

თინათინ წერეთლის
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

**თანამედროვე საკორპორაციო
სამართლის თეორიული და
პრაქტიკული საკითხები**

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2009

პროექტი განხორციელდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) ფინანსური ხელშეწყობით (საგრანტო ხელშეკრულება № 017-08).

პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

წინამდებარე პუბლიკაცია ვრცელდება უფასოდ. დაინტერესებულ მკითხველს წიგნის მიღება შეუძლია სსიპ თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, შემდეგ მისამართზე: ქიქოძის ქ. №3, 0105 თბილისი.

პროექტის სამეცნიერო

ხელმძღვანელი: გაა ლილუაშვილი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009

© თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

შინაარსი

შესავალი.....	5
ლაშა ბრეზვაძე	
ორგანიზაციის თეორიის საფუძვლები: სოციოლოგიური მოდერება კორპორაციული სისტემების შესახებ	9
ბესარიონ ზონიძე	
მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა, საკუთრების უფლების თავისებურებანი კორპორაციულ საზოგადოებებში (საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით)	65
ბია ლილუაშვილი	
მეწარმეთა რეგისტრაციის არსი და მიზნები	139
ირაკლი ბურდული	
საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები	208
მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება	262
ლალი ლაზარაშვილი	
სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში	309
მცირე აქციონერის ცნება	342

ზია ქირია

საკორპორაციო დავების განხილვის წესი სასამართლოში.....361

ლადო ჭანტურია

ევროპის საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივებისა
და დადგენილებების მნიშვნელობა ქართული

საკორპორაციო სამართლის კოდიფიკაციისთვის.....447

შესავალი

თანამედროვე საკორპორაციო სამართალი, გლობალური კაპიტალური ბაზრების ტრანსფორმაციისა და ეკონომიკური პროცესების მზარდი დინამიკის პარალელურად, განიცდის საგრძნობ ცვლილებას და მოდერნიზებას. გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესი განაპირობებს სამართლის ჰომოგენიზაციას, მსგავსი პრინციპებისა და ნორმების დანერგვას სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. თუმცა ნაციონალურ კანონმდებლობასა და დოქტრინას კვლავინდებურად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლის მეცნიერების ცალკეული დარგების, მათ შორის საკორპორაციო სამართლის განვითარებაში. გლობალური კაპიტალიზმის ეპოქაში ყალიბდება ახალი ორგანიზაციული ფორმები, იცვლება ორგანიზაციათა მართვისა და თვითრეგულირების მექანიზმები. საერთაშორისო და ტრანსნაციონალური პროცესები გავლენას ახდენს ნაციონალური კანონმდებლობის, იურიდიული დოგმატიკისა და სამართლებრივი პრაქტიკის მოდერნიზებაზე. ადამიანთა ორგანიზებული ეკონომიკური საქმიანობის საფუძველს სწორედ საკორპორაციო სამართალი იძლევა, შესაბამისად, სამართლის მეცნიერების მოცემულ დარგს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური სისტემის გამართული ფუნქციონირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

წინამდებარე გამოცემის ავტორთა მიზანი იყო წარმოეჩინათ თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიაში, დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში მიმდინარე ახალი პროცესები, საკანონმდებლო ცვლილებების კომენტარების პარალელურად აესახათ ის უახლესი ინსტიტუტები თუ ნორმატიული ნოვაციები, რომლებიც წარმატებით დამკვიდრდა დასავლურ საკორპორაციო სამართალში.

ნაშრომები კრებულში თემატურადაა განლაგებული: თავდაპირველად ადგილი ეთმობა საკორპორაციო სამართლის თეორიას (ლ. ბრეგვაძე), კრებულის ამ ნაწილში გადმოცემულია ინტერდისციპლინური ინფორმაცია და ძირითადი თეორიები ორგანიზა-

ციული სტრუქტურების შესახებ, რასაც დღემდე საკორპორაციო სამართლის შესწავლისას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ახალი კორპორაციული ფორმების განხილვის პარალელურად ყურადღება ეთმობა ორგანიზაციის სოციოლოგიისა და კორპორაციული თეორიის კლასიკურ თემებს. კრებულის შემდეგი ნაწილი მეწარმის ცნებისა და მისი თეორიული მნიშვნელობის გააზრების პრობლემატიკას შეეხება (ბ. ზოიძე). კრებულის მოცემულ მონაკვეთში ასევე გაანალიზებულია კორპორაციებში საკუთრების უფლების კომერციალიზაციისა და მისი შეზღუდვის თავისებურებანი, რისი მიზნითაც განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე წამოყენებული დებულებები და დასკვნები მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ქართული საკორპორაციო სამართლისათვის. კრებულის მომდევნო მონაკვეთი (გ. ლილუაშვილი) საწარმოსა და ფილიალის რეგისტრაციის აქტუალურ საკითხებს ეხება. საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო ორგანოებში რეგისტრაციის პრაქტიკისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზთან ერთად მოცემულია განსახილველ საკითხთან დაკავშირებული შედარებით-სამართლებრივი ინფორმაცია საზღვარგარეთის სამართლებრივი სისტემების მაგალითზე. კრებულის შემდეგი თავი (ი. ბურდული) საწესდებო კაპიტალის, საზოგადოების კაპიტალის, კორპორაციის ქონების და მისი ფუნქციების ანალიზს ეთმობა. ისტორიული და შედარებითი ინფორმაციის განხილვის საფუძველზე შესწავლილია მოცემული ინსტიტუტი და მისი მნიშვნელობა თანამედროვე საკორპორაციო სამართალში. გერმანული, ავსტრიული და აშშ სამართლის მაგალითზე გადმოცემული ინფორმაცია კვლევის ობიექტის შესახებ ფართო წარმოდგენას იძლევა. ამ ნაწილში ასევე საუბარია უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებათა დაცვის თანამედროვე სამართლებრივი მექანიზმების თაობაზე. გადმოცემულია, აგრეთვე, უმცირესობის უფლებების ბოროტად გამოყენების საკითხები, რაც თანამედროვე ევროპულ საკორპორაციო სამართალში მწვავე დისკუსიის და მოსალოდნელი ცვლილებების სა-

გნად არის ქცეული. კრებულის მომდევნო მონაკვეთი (ლ. ლაზარაშვილი) საკორპორაციო სამართლის პრაქტიკის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება, როგორცაა სასამსახურო ხელშეკრულება დირექტორთან, მცირე და დომინანტ აქციონერთა ცნებების ურთიერთგამიჯვნა, საკორპორაციო განსჯადობა. ქართული და დასავლური კანონმდებლობისა და დოქტრინის ანალიზის და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე, გადმოცემულია შეხედულებანი საქართველოში მოცემულ ინსტიტუტთა ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშესაწყობად. შემდგომი თავი (გ. ქირია) ეძღვნება სასამართლოსა და კერძო არბიტრაჟში საკორპორაციო დავების განხილვის წესსა და სხვა პროცესუალურ საკითხებს. საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის კომენტარების საფუძველზე გაანალიზებულია საკორპორაციო სამართლის საპროცესოსამართლებრივი პრობლემატიკა. კრებულის ბოლო თავი (ლ. ჭანტურია) შეეხება სამართლის ევროპეიზაციის პროცესის შედეგად ევროპის კავშირში ჩამოყალიბებული საკორპორაციოსამართლებრივი ნოვაციების ანალიზს, მეტადრე ევროპის სამართლის დირექტივებსა და დადგენილებებს და მათ მნიშვნელობას ქართული საკორპორაციო სამართლის შემდგომი განვითარებისათვის. ევროპის საკორპორაციო სამართალში მიმდინარე უახლესი საკანონმდებლო ცვლილებების დეტალური ანალიზის პარალელურად გამოთქმულია ის შეხედულებანი და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საკორპორაციო სამართლის წარმატებული რეფორმირებისათვის საქართველოში.

წინამდებარე გამოცემაზე მუშაობა დაფინანსდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) გრანტის მეშვეობით. თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, წიგნის თანაავტორების სახით, გულითად მადლიერებას გამოხატავს რუსთაველის ფონდის მიმართ, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც შესაძლებელი გახდა მოცემულ გამოკვლევაზე მუშაობა და წინამდებარე კრებულის გამოცემა. ავტორთა ჯგუფი იმედს გამოთქვამს, რომ

ნაშრომთა კრებული – თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები – დაინტერესებას გამოიწვევს მკითხველში და თავის წვლილს შეიტანს ქართული სამართლის მეცნიერების შემდგომი განვითარების საქმეში.

სამწუხაროდ კრებულზე მუშაობაში თავისი წვლილის შეტანა არ დასცალდა პროექტის ერთ-ერთ თანაავტორს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ *თენგიზ ლილუაშვილს*. კრებულის თანაავტორები სწორედ თავიანთი კოლეგისა და მასწავლებლის – ბატონი *თენგიზ ლილუაშვილის* ნათელ ხსოვნას უძღვნიან მოცემულ გამოცემას.

**ორგანიზაციის თეორიის საფუძვლები:
სოციოლოგიური მოქმედება კორპორატიული
სისტემების შესახებ**

I. შესავალი

თანამედროვე გლობალურ საზოგადოებაში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესები მნიშვნელოვან სტრუქტურულ და ორგანიზაციულ ცვლილებებს განაპირობებენ. სოციალური სისტემის ტრანსფორმაციის პარალელურად ცვლილებას განიცდიან ის მეტაფორები და პერსპექტივები, რომელთა გამოყენებაც ზდება თანამედროვე საზოგადოების კომპლექსური შემადგენლობის აღწერისა და მისი განვითარების ძირითად მიმართულებათა წარმოსაჩენად. სოციალური დინამიკის წინააღმდეგობრივი არსის გადმოცემის მიზნით ხორციელდება მრავალი ორიგინალური თეორიული პერსპექტივის შემუშავება. თავად თანამედროვე საზოგადოების კომპლექსური ბუნება განაპირობებს მისივე ამსახველი პერსპექტივების მრავალფეროვნებას. მეცნიერული დაკვირვებებისა და თვითრეფლექსიის საფუძველზე, თანამედროვე სოციალური სისტემის ანალიზის მიზნით, ყალიბდება ისეთი განსხვავებული კონცეფციები და მეტაფორები, როგორცაა – „ქსელური საზოგადოება“, „ინფორმაციული საზოგადოება“, „მომხმარებლური საზოგადოება“, „კომუნიკაციების საზოგადოება“, „რისკის საზოგადოება“, „ღია საზოგადოება“, „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“, „პოსტმოდერნული საზოგადოება“. თანამედროვე საზოგადოების მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივი ბუნება სამართლიანადაა წარმოჩენილი მოცემულ პერსპექტივათა სიმრავლით, რაც საბოლოო ჯამში, სწორედ მისი არსის ობიექტური ასახვისა და იდენტიფიკა-

ციის მცდელობითაა განპირობებული. ამ და სხვა მეტაფორებსა თუ თეორიებს შორის, რომელთა მიზანია ორიგინალურად გადმოიცეს და აისახოს თანამედროვე სოციალური სისტემის სტრუქტურა და მისი ტრანსფორმაციის შედეგები, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი კონცეფცია, რომელიც „ორგანიზაციების საზოგადოების“ სახელწოდებითაა ცნობილი. „ორგანიზაციების საზოგადოება“ სწორედ ის უახლესი პერსპექტივაა, რომელიც ასახავს სოციალური სისტემის ამ უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ერთეულების – ორგანიზაციების როლს თანამედროვე სამყაროში და საზოგადოების, სოციალური სფეროს ამ ყოვლისმომცველი სივრცის უმთავრეს შემადგენელ ელემენტებად უპირველეს ყოვლისა ორგანიზაციებს მიიჩნევს. სწორედ იმ წარმოდგენამ, რომ თანამედროვე სოციალური სისტემის ევოლუცია განპირობებულია ერთმანეთთან ქსელური კავშირებით შერწყმული ფორმალური თუ არაფორმალური ორგანიზაციების ურთიერთქმედებითა და ინტერაქციებით, განაპირობა ორგანიზაციების კვლევის აქტუალობა თანამედროვე მეცნიერების სისტემაში. *ორგანიზაციის თეორია* ჩამოყალიბდა იმ უნივერსალურ პერსპექტივად, რომელიც აერთიანებს განსხვავებულ მოძღვრებებს კორპორაციების შესახებ, რომლებიც, თავის მხრივ, განსხვავებული დისციპლინური საფუძვლებითა და კვლევის ინტერესით ხასიათდებიან. ორგანიზაციის თეორია, როგორც ინტერდისციპლინური დისკურსი, მოიცავს და განაზოგადებს სოციოლოგიის, იურისპრუდენციის, პოლიტოლოგიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, კიბერნეტიკის, ეთიკის, სოციალური ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, ლინგვისტიკის, სემიოტიკის ძირითად მოძღვრებებს საზოგადოების ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური სტრუქტურის – ორგანიზაციის ბუნებისა და თანამედროვე სამყაროში მისი როლის შესახებ. ორგანიზაციის თეორიას, როგორც უნივერსალურ დისკურსს სოციალური გაერთიანებების შესახებ, თანდათანობით დამოუკიდებელი მიმდინარეობის სახით გამოეყო *ორგანიზაციის სოციოლოგია* და დამკვიდრდა ზოგადი სოციოლოგიის მნიშვნელოვან ქვემომართულებად. რამდენადაც ორგანიზაციის თეორიის

ძირითად კვლევით ინტერესს წარმოადგენს ორგანიზაციის სტრუქტურული ანალიზი, მისი როლი და ფუნქციები საზოგადოებაში, სწორედ ორგანიზაციის სოციოლოგიაა მიჩნეული ორგანიზაციის ზოგადი თეორიის ძირითად ინტელექტუალურ შთაგონებად, რაც ასევე თვალსაჩინოა მოცემულ სფეროში აკუმულირებული სოციოლოგიური პერსპექტივების სიმრავლით. ორგანიზაციის თეორიის ფარგლებში განხორციელებული სოციოლოგიური კვლევებისა თუ თეორიებს მრავალფეროვნებამ ორგანიზაციის სოციოლოგია ჩამოაყალიბა მძლავრ მიმართულებად, რის შედეგადაც იგი სოციოლოგიის – საზოგადოების შესახებ ამ უნივერსალური მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად ნაწილად იქცა. მაგრამ აღნიშნული გარემოება სულაც არ აკნინებს ორგანიზაციის ზოგადი თეორიის არასოციოლოგიური მიმდინარეობების მნიშვნელობას კორპორაციული წარმონაქმნების არსისა და ბუნების, მათი სტრუქტურისა და ევოლუციის შესასწავლად.

ორგანიზაციების როლი თანამედროვე სამყაროში უდიდესია. ცალკეული საერთაშორისო ინსტიტუტები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, მულტინაციონალური საწარმოები თუ გლობალური არასამთავრობო ორგანიზაციები განაპირობებენ სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (ეკონომიკა, პოლიტიკა, სპორტი, მეცნიერება, ჯანდაცვა, თავდაცვის სისტემა) დინამიკასა და ახალი საყოველთაო სტანდარტებისა თუ ზოგადსაეკლდებულო პრინციპების დადგენას, რომელთა რეგულირება და კორექცია დიდი ხანია გასცდა ეროვნულ სახელმწიფოთა – საერთაშორისო პოლიტიკის ერთ ღროს ამ დომინანტ სუბიექტთა – კონტროლისა და კომპეტენციის ფარგლებს. ზშირ შემთხვევაში სწორედ სხვადასხვა სახის ორგანიზაციები განაპირობებენ სახელმწიფოთა შიდა და საგარეო პოლიტიკის შინაარსს.

საკორპორაციო სამართლის სფეროში შესრულებულ ნაშრომთა კრებულის წინამდებარე ნაწილის მიზანია ორგანიზაციის თეორიის საფუძვლებისა და ძირითადი სოციოლოგიური მიმართულებების წარმოჩენა, კლასიკური და თანამედროვე კორპორაციული

აზროვნების მიღწევათა დესკრიფციული ანალიზი, ასევე ახალი კორპორაციული ფორმების ჩამოყალიბების ძირითად პერსპექტივათა განხილვა.

II. ორგანიზაციის ცნება და ფორმები

თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ადამიანს უწევს ურთიერთქმედება სხვადასხვა სახის ორგანიზაციებთან, მისი კონკრეტული ქმედებები კი ხშირად მოქცეულია კონკრეტული ორგანიზაციის სფეროში. ორგანიზაციას ადამიანები აღიქვამენ როგორც იმპლიციტურ თუ ექსპლიციტურ ნორმათა სისტემას, რომელიც კონკრეტული მიზნისკენაა მიმართული, განსაზღვრული ფუნქციონალური თავისებურებითაა განპირობებული და უყალიბებს სპეციფიკურ მოლოდინებს ორგანიზაციის წევრებსა თუ არა-წევრებს, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს ადამიანის ქცევას მოცემულ სიტუაციაში.¹ ხშირად ადამიანი თავად ვერ განსაზღვრავს კონკრეტული ორგანიზაციის მიზნებს, მის ფუნქციებსა თუ ნორმატიული რეგულირების თავისებურებებს, წესებისა თუ პრინციპების იმ სისტემას, რომელსაც ეფუძნება ორგანიზაციის მოქმედება. ნაცვლად ამისა, იგი თავად ხდება კონკრეტული ორგანიზაციული პროცესის, პროდუქტისა თუ ცვლილების მომხმარებელი. ორგანიზაციები მოქედებენ ნებისმიერ სოციალურ სფეროში, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სექტორში. ორგანიზაციული პროცესების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფოთა არსებობა, საზოგადოების განვითარება და ადამიანური ურთიერთობები. ორგანიზაციის მნიშვნელობა განპირობებულია კოლექტიური მოქმედების მობილიზებით, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა კოლექტიური თუ ინდივიდუალური მიზნების განსაზღვრა და მიღწევა.

1 A. G. Scherer: „Kritik der Organisation oder Organisation der Kritik? – Wissenschaftstheoretische Bemerkungen zum kritischen Umgang mit Organisationstheorien“, in: A. Kieser und M. Ebers (Hrsg.): *Organisationstheorien*, 6. Auflage, Stuttgart: Kohlrammer, 2006: 19-61, 19.

იმისათვის, რომ თანამედროვე საკორპორაციო სამართალი გახდეს რეგულირების ქმედითი ინსტრუმენტი და არ ჩამორჩეს დროს, აუცილებელია აქტუალური სოციალური, ტექნოლოგიური თუ რეგულაციური ცვლილებებისა თუ საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინება, ასევე იმ განსხვავებული სოციალური კონტექსტებისა და ინფორმაციული სივრცის გათვალისწინება, რომლებშიაც მოქმედებენ კორპორაციები. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია უშუალოდ საწარმო, კორპორაცია გააზრებულ იქნეს ზოგადი მნიშვნელობით – როგორც ორგანიზაცია, სოციალურ სისტემათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმონაქმნი, რომელიც ყოველი საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ ფორმას წარმოადგენს. ორგანიზაციის მნიშვნელობის გასააზრებლად კი უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მისი ცნების განსაზღვრა.

ორგანიზაცია, როგორც იურიდიულ, ასევე ეკონომიკურ თუ პოლიტოლოგიურ დისკურსში, უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება როგორც *კონკრეტულ სფეროში წესრიგის დამამკვიდრებელი ინსტრუმენტი*. სწორედ ორგანიზაციის მეშვეობით ხდება კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული კომპლექსურობის რედუცირება, სოციალურ მოლოდინთა ჩამოყალიბება და განმტკიცება, დასახულ მიზანთა მიღწევა და კონკრეტული შედეგებით სარგებლობა. საზოგადოებრივი ინტერაქციების, კონკრეტულ ურთიერთობათა საფუძველზე ადამიანები აყალიბებენ განსაზღვრულ სოციალურ *ინსტიტუტებს*, რომლებიც ნორმატიული და ღირებულებითი სტაბილურობით გამოირჩევიან და ცალკეულ შემთხვევაში ღებულობენ ერთგვარ მბოჭავ ხასიათს. ორგანიზაციად კი ყალიბდებიან სოციალური წესრიგისა და ინსტიტუციური ფორმის მქონე განსაკუთრებული წარმონაქმნები.

ორგანიზაციის თეორიის მულტიდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, არსებობს არა ერთი, არამედ ორგანიზაციის მრავალი, კომპლექსური ცნება, ცნებათა სისტემა. ზოგადი კლასიფიკაციით, ერთმანეთისგან განასხვავებენ ორგანიზაციის *პროცე-*

სუალურ, ინსტრუმენტალურ და ინსტიტუციონალურ ცნებებს.²

კონკრეტული ორგანიზაციული საქმიანობა, ორგანიზაციის მოქმედება უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება, როგორც პროცესი. სწორედ პროცესზე არის დამოკიდებული ორგანიზაციის ფუნქციონირება, რაც წესრიგზე ორიენტირებულ სოციალურ დინამიკას გულისხმობს. ორგანიზაციის წევრები, მისი ხელმძღვანელი პირები თუ მართვის ორგანო ორიენტირებულია კონკრეტული ნორმატიული წესრიგის საფუძველზე მუშაობისაკენ, ორგანიზებისაკენ. შესაბამისად, ორგანიზაციული წესრიგი წარმოიშობა დაგეგმარებისა და ცნობიერი მოქმედების საფუძველზე, რაციონალური პროცესის შედეგად, ხოლო მოცემული წესრიგის მიერ დამკვიდრებული პრინციპები თუ მოთხოვნები შესასრულებლად სავალდებულოა ორგანიზების პროცესში ჩართული სუბიექტებისთვის. წესრიგის ფენომენს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციული საქმიანობის შინაარსის გააზრებისთვის. ორგანიზაციის პროცესუალური, პროცესზე ორიენტირებული ცნების თანახმად, ორგანიზაცია წარმოადგენს ერთ ან მეტ ცნობიერად მართულ პროცესს, რომლის საფუძველზეც ყალიბდება წესრიგი.³

ორგანიზირების საფუძველზე ყალიბდება ორგანიზაცია. მოცემული ფორმის, სტრუქტურისა და შინაარსის მქონე წარმონაქმნის ჩამოყალიბება აუცილებელია კონკრეტული მიზნების მისაღწევად. სწორედ დასახული მიზნის მიღწევის პროცესში გამოიყენება ორგანიზაცია, როგორც ინსტრუმენტი. ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მასში როლების გადანაწილება – სპეციალიზირება, სამუშაო გეგმისა თუ ამოცანების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა – კოორდინირება, უფლებამოსილებათა მინიჭება კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად – დელეგირება, ასევე დაქვემდებარება ფუნქციების განხორციელებისას – იერარქია. თითოეული მოცემული ორგანიზაციული ფუნქციის

2 F. X. Bea und E. Göbel: *Organisation*, 3. Auflage, Stuttgart: Lucius & Lucius, 2006: 3.

3 F. X. Bea und E. Göbel: *Organisation*, 3. Auflage, Stuttgart: Lucius & Lucius, 2006: 5.

განხორციელება ნორმათა გარკვეულ სისტემასთანაა დაკავშირებული. ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად აუცილებელია იმ პრინციპებისა და წესების განმტკიცება, რაც ამკვიდრებს ორგანიზაციის, როგორც კონკრეტული მიზნის მიღწევის საშუალების – ინსტრუმენტის როლს. ორგანიზაციის *ინსტრუმენტალური* ცნების თანახმად, ორგანიზაცია განიმარტება როგორც ნორმათა სისტემა, რომელიც კონკრეტული მიზნის მიღწევისკენ არის ორიენტირებული და მართული.⁴

იმისათვის, რომ სოციალური წესრიგის დამამკვიდრებელი და განსაზღვრული ფუნქციის მატარებელი წარმონაქმნი ჩამოყალიბდეს ორგანიზაციის სახით, აუცილებელია მისი ინსტიტუციონალიზება, მისი არსებობა კონკრეტული ინსტიტუტის სახით. ორგანიზაციის არსებობისათვის აუცილებელია რამდენიმე პირობის თანაარსებობა. კერძოდ, ორგანიზების პროცესში აუცილებელია სულ მცირე ერთი ინდივიდის ჩართულობა და “თამაშის წესების” არსებობა. უმნიშვნელოვანესი პირობა ორგანიზაციული საქმიანობისა არის საზღვრები – აუცილებელია ორგანიზაციისა და მის გარესამყაროს, წევრებისა და არაწევრების განსხვავების შესაძლებლობა. ორგანიზაციაში უნდა არსებობდეს ასევე მისი წევრების შეცვლის, ჩანაცვლების შესაძლებლობა, რაც რასაკვირველია გარკვეული პროცედურების საფუძველზე ხორციელდება. ორგანიზაციის წევრები მხოლოდ კონკრეტული როლის, კორპორაციული ფუნქციის ფარგლებში წარმოადგენენ ორგანიზაციის ნაწილს. ორგანიზაციული საქმიანობისას წევრებს ერთმანეთთან აკავშირებთ განსაზღვრული ორგანიზაციული მიზნები, რაც შესაძლოა არ ემთხვეოდეს მათ პირად, ორგანიზაციის გარეთ არსებულ მიზნებს. ორგანიზაციის ფორმირება ხდება წინასწარი განზრახვის საფუძველზე, ადამიანის ნების შესაბამისად, რაც განასხვავებს მას სხვა სახის ინსტიტუტებისაგან, რომელთა წარმოშობა შესაძლებელია სპონტანური, დაუგეგმავი პროცესების შედეგი იყოს. სწორედ მოცემული

4 F. X. Bea und E. Göbel: *Organisation*, 3. Auflage, Stuttgart: Lucius & Lucius, 2006: 6.

პრინციპები განსაზღვრავენ ორგანიზაციის, როგორც თავისებური, კომპლექსური სტრუქტურის მქონე სოციალური წარმონაქმნის ბუნებას. ორგანიზაციის ინსტიტუციონალური ცნების თანახმად, ორგანიზაცია არის განსაკუთრებული სახის ინსტიტუტი.⁵

ორგანიზაციის ცნებების განსხვავების შემდეგ მიზანშეწონილია ორგანიზაციის ძირითადი ფორმების განსხვავება. ორგანიზაციული წარმონაქმნების ყველაზე ზოგად და უმნიშვნელოვანეს დიფერენცირებად მიღებულია ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ფორმალური ორგანიზაციის ჩამოყალიბება ცნობიერ, რაციონალურ პროცესებთან არის დაკავშირებული, ადამიანის ნების საფუძველზე წარმოიშობა და იურიდიულად, წერილობითი ფორმითაა ფიქსირებული კონკრეტული სადამფუძნებლო დოკუმენტის სახით. ორგანიზაციული ნორმებიც, შესაბამისად, წარმოადგენენ ფორმალურ, ოფიციალურ ნორმებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ადამიანისთვის, მას შემდეგ, რაც იგი კონკრეტული ორგანიზაციის წევრი გახდება ან ჩაება ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში. ფორმალურ ორგანიზაციათა ნორმების შეუსრულებლობა იწვევს კონკრეტულ სანქციებს, მათ შორის ორგანიზაციის წევრობიდან გარიცხვას. არაფორმალურ ორგანიზაციას რაც შეეხება, იგი გულისხმობს პიროვნული სურვილების, სიმპათიების, ქცევების საფუძველზე ჩამოყალიბებულ სოციალურ სტრუქტურებს. მსგავსი წარმონაქმნების ჩამოყალიბება ხდება სპონტანური, დაუგეგმავი პროცესების შედეგად. არაფორმალური ორგანიზაციის დინამიკის განმპირობებელია სწორედ არაფორმალური ჯგუფების, კომუნიკაციების, გადაწყვეტილებების მიღებისა და ძალაუფლების დიფერენცირების სისტემა. არაფორმალურ ორგანიზაციათა სტრუქტურა არ არის ბიუროკრატიულად რეგლამენტირებული და ოფიციალურად ნორმირებული. არაფორმალურ ორგანიზაციულ პროცესებს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ფორმალურ ორგანიზაციაშიც, რის შედეგადაც

5 F. X. Bea und E. Göbel, *Organisation*, 3. Auflage, Stuttgart: Lucius & Lucius. 2006: 6

ხდება ფორმალურ ურთიერთობათა ნაკლოვანებების აღმოფხვრა. თუმცა, არაფორმალური ორგანიზაციის ზემოქმედება შესაძლოა იყოს როგორც სასარგებლო, ასევე საზიანო კონკრეტული ფორმალური ორგანიზაციისათვის.⁶ ვიდრე მოხდებოდა ორგანიზაციული ფორმების რაციონალიზაცია, ორგანიზაციათა იურიდიული დაფუძნებისა და მათი შინაგანი რუტინის ოფიციალური რეგლამენტაცია, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ისტორიული ორგანიზაცია, დღევანდელი თანამედროვე გაგებით, არაფორმალურ ხასიათს ატარებდა. თუმცა არაფორმალურ ორგანიზაციათა რაოდენობა და როლი თანამედროვე საზოგადოებაში კვლავაც დიდია. არცთუ იშვიათად, ფორმალური ორგანიზაციები და რაციონალური სამართლებრივი ინსტიტუტები სწორედ არაფორმალური პროცესებითა და ურთიერთობებით რეგულირდებიან და მოქმედებენ.⁷

ორგანიზაციის განმსაზღვრელ, მის ძირითად მახასიათებელ ნიშნებად მიღებულია შემდეგი ხუთი ელემენტის თანაარსებობა: მიზანი, სტაბილურობა, წევრები, ფორმალური სტრუქტურა და წევრთა საქმიანობა.⁸ სწორედ მოცემულ პირობათა თანაარსებობა და კოორდინირებული ურთიერთქმედება იძლევა გამართული ორგანიზაციული საქმიანობის შესაძლებლობას.

6 M. Schulte-Zurhausen: *Organisation*, 3. Auflage, München: Verlag Franz Vahlen, 2002: 3.

7 S. Macaulay: „Non-Contractual Relations in Business: A Preliminary Study“. in: *American Sociological Review*, Vol. 28 (1). 1963: 55-67. წინამდებარე გამოკვლევა წარმოადგენს ემპირიული სამართლის სოციოლოგიისა და სახელშეკრულებო სამართლის კლასიკურ ნაშრომს, რომელშიც ნაჩვენებია თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს კერძო, არაფორმალურ ურთიერთობებს თანამედროვე ფორმალური ორგანიზაციული პროცესებისა დინამიკასა და კონკრეტულ ხელშეკრულებათა აღსრულებაში.

8 A. Kieser und P. Walgenbach: *Organisation*, 5. Auflage, Stuttgart: Schäffer-Poeschel Verlag, 2007: 7.

III. ორგანიზაციის თეორიის კლასიკოსები

ორგანიზაციის თეორიის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სოციალური თეორიის კლასიკოსთა ნააზრევმა, რომელიც მოყოლებული XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობდა საზოგადოებაში ჩამოყალიბებადი კორპორაციული სტრუქტურების ანალიზს, ინდუსტრიალიზაციის მზარდი პროცესების გავლენას ორგანიზაციულ დინამიკაზე, ახალი ტიპის კორპორაციების ჩამოყალიბებისა და მართვის პრობლემებს. ორგანიზაციის თეორია, მისი ჩამოყალიბების საწყისი ეტაპიდანვე, განიცდის ცალკეული სოციოლოგიური მიმდინარეობების განსაკუთრებულ გავლენას, რაც თვალსაჩინოა სოციოლოგიური მიდგომების სიმრავლით კორპორაციული სტრუქტურების ანალიზის სფეროში. სწორედ ზოგადი სოციოლოგიის ფარგლებში ხდებოდა კორპორაციული თეორიის განვითარება საწყის ეტაპზე, ვიდრე მოცემულ სფეროში დაგროვილი ინფორმაცია და თეორიული თუ ემპირიული კვლევების სიმრავლე განაპირობებდა მის ცალკე დისკურსად ჩამოყალიბებას. ქვემოთ განხილული იქნება რამდენიმე ძირითადი კლასიკური და თანამედროვე მოძღვრება ორგანიზაციის შესახებ, რის შემდეგაც ადგილი დაეთმობა ორგანიზაციის თეორიის პერიოდიზაციისა და სოციალური ევოლუციის პარალელურად მისი ტრანსფორმაციის ასახვას.

ემილ დიურკემი: სოციალური ზრომის დანაწილება

ემილ დიურკემის (1858-1917) ინტელექტუალურმა ნააზრევმა და პროდუქტიულმა სამეცნიერო მოღვაწეობამ განაპირობა სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბება. ბუნებრივია, სოციოლოგიის ფუძემდებელი გკვერდს ვერ აუვლიდა ისეთი უმნიშვნელოვანესი სოციალური წარმონაქმნის ანალიზს, როგორცაა ორგანიზაცია.

თავის ერთ-ერთ ძირითად ნაშრომში – *სოციალური შრომის დანაწილების შესახებ*, რომელიც ჯერ კიდევ 1893 წელს გამოქვეყნდა, დიურკემი ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებრივი სისტემის უმნიშვნელოვანეს ტრანსფორმაციაზე, რაც გამოიხატებოდა სამეურნეო, აგრიკულტურული ტიპის საზოგადოებიდან ინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის პროცესში.⁹ ნაშრომში დიურკემი ავითარებს ადამიანური თანაცხოვრების, ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების, სოციალური ევოლუციის ძირითად საკითხებს და სოციალური შრომის მზარდ დანაწილებას და დიფერენცირებას საზოგადოებრივი განვითარების ძირითად, შეუქცევად პირობად მიიჩნევს. კაპიტალისტურ სისტემაში, წარმოებისა და მოხმარების ურთიერთმიმართების, ინდუსტრიალიზაციისა და პროფესიონალიზაციის პროცესების ზეწოლის შედეგად, ყალიბდება კონკრეტული სოციალური სფეროების დიფერენცირებისა და მათი შინაგანი რეგულირების აუცილებლობა – საზოგადოებრივი ფუნქციების სპეციალიზაცია განაპირობებს განსაზღვრული ფუნქციის მქონე სოციალური სფეროების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. თუმცა, სოციალური შრომის დანაწილება, დიურკემის თანახმად, არ წარმოადგენს საზოგადოების „გახლეჩის“, სოციალური სისტემის რღვევის წინაპირობას, რადგანაც დიფერენცირებული სექტორები, და მაშასადამე, კონკრეტული სფეროს წარმომადგენელი ადამიანები, ურთიერთდამოკიდებულების მდგომარეობაში იმყოფებიან და სოციალური სოლიდარობის მეშვეობით ახდენენ საზოგადოებრივი ერთობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.¹⁰ სო-

9 É. Durkheim: *The Division of Labor in Society* (translated by George Simpson), New York: Free Press, 1964.

10 დიურკემის შემდგომ, თანამედროვე სოციოლოგიაშიც შრომის დანაწილება საზოგადოების ორგანიზების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად ითვლება. *ენტონი გილენის* თანახმად, სოციალური შრომის დანაწილება განპირობებულია წარმოების სისტემის დიფერენცირებით სპეციალიზებულ პროფესიებად, რის შედეგადაც ყალიბდება ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების აუცილებლობა. ნებისმიერი სახის საზოგადოება ხასიათდება შრომის დანაწილებით, მათ შორის პრიმიტიული საზოგადოებებიც, რომლებშიაც როლისა თუ სტატუსის დანაწილება ადამიანებს შორის უმარტივესი ნიშნით – სქესის მიხედვით – განისაზღვრება. თუმცა, საზოგადოების განვითარებასთან

ციალური სოლიდარობა, რომელსაც წარმოშობს შრომის დანაწილება, დიურკემისთვის წარმოადგენს საზოგადოების განვითარებისა და ინტეგრაციის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს სოლიდარობის ორ სახეს – *მექანიკურ და ორგანულ სოლიდარობას*. დიურკემის აზრით, ეკონომიკურად და ინდუსტრიულად განუვითარებელი, ტრადიციული საზოგადოებები, სადაც სახეზეა შრომის დანაწილების დაბალი დონე, ხასიათდებიან მექანიკური სოლიდარობით. მსგავსი საზოგადოების წევრები ჩაბმულნი არიან ერთსახოვან სოციალურ აქტივობაში, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული თითოეული ინდივიდის სოციალური, პროფესიული როლი, ინდივიდთა კერძო ინტერესებსა და მისწრაფებებს არ ეძლევა გასაქანი და ყალიბდება რეპრესიული სოციალური კონტროლის მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც იხვევა ყველა, ვინც არღვევს კონვენციურ კანონებს, თანაცხოვრების საერთო წესებს. სოციალური თანხმობა და ფასეულობათა ვიწრო სისტემა განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა თანაცხოვრებას. მაგრამ, ეკონომიკისა და წარმოების სისტემის განვითარების, ინდუსტრიული და ტექნოლოგიური რევოლუციების კვალდაკვალ ყალიბდება ვიწრო პროფესიონალიზაციის აუცილებლობა, რაც განაპირობებს საზოგადოების წევრთა შორის სოციალური როლების დანაწილებას. სოციალური დინამიკა საფუძველს უყრის საზოგადოებაში სოციალური შრომის დანაწილებას, ეკონომიკური ორგანიზების ახალი პრინციპების დანერგვას. იქ, სადაც სახეზეა მაღალი დონის შრომის დანაწილება, ადგილი აქვს ორგანულ სოლიდარობას. ორგანული სოლიდარობის დროს, საზოგადოების წე-

ერთად, სოციალური შრომის დანაწილებაც კომპლექსურ ხასიათს ღებულობს, რაც გამოიხატება თანამედროვე სამყაროში შრომის საერთაშორისო დანაწილებით: A. Giddens: *Sociology*, 5th Edition, Cambridge: Polity Press, 2006: 1014. ასევე, დიურკემისეული სოციალური შრომის დანაწილების კონცეფცია უნდა ჩაითვალოს თანამედროვე გერმანელი სოციოლოგის, ნიკლას ლუმანის მიერ აუტოპოიეტურ სოციალურ სისტემათა თეორიის ფარგლებში განვითარებული საზოგადოების ფუნქციონალური დიფერენცირების პრინციპის წინამორბედად. ლუმანისეული საზოგადოების ფუნქციონალური დიფერენცირების კონცეფციის შესახებ, იხილეთ: N. Luhmann: *Die Gesellschaft der Gesellschaft*, 2. Teilband, Frankfurt: Suhrkamp, 1998: 743.

ვრები, მიუხედავად სხვადასხვა სოციალურ სექტორში მოღვაწეობისა, ერთმანეთთან შეკავშირებულნი არიან ურთიერთსაჭიროების პრინციპის საფუძველზე. ინდივიდები ხდებიან ერთმანეთზე, ერთმანეთის საქმიანობაზე დამოკიდებულნი, აღიარებენ ერთმანეთის ინდივიდუალური სოციალური როლისა და ფუნქციის მნიშვნელობას და, კონკრეტული სახეობის საზოგადოებრივი შრომის შესრულების ფარგლებში, განაპირობებენ საზოგადოების ევოლუციას.¹¹

დიურკემმა ასევე წამოაყენა ორიგინალური იდეა ორგანიზაციის ფუნქციონირების ფორმალური და არაფორმალური ასპექტების ურთიერთგამიჯვნის აუცილებლობის შესახებ. მისი მტკიცებით, აუცილებელია ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა სოციალურ მოთხოვნებზე, საჭიროებებზე ყურადღების გამახვილება, ასევე მათი შრომითი ვალდებულებების ფორმალური ორგანიზება. ამდენად, აუცილებელია შრომითი ურთიერთობების *ჰუმანიზაცია*, რის მისაღწევადაც ფორმალურად უნდა იყოს გარანტირებული დასაქმებულთა სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება ორგანიზაციებში. „სოციალური საჭიროება“, ცნება რომელიც განავითარა დიურკემმა, უდიდეს მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციის კვლევის თანამედროვე მიმართულებებში – ორგანიზაციული ქცევების ანალიზსა და ინდუსტრიული ფსიქოლოგიის შესწავლის სფეროში. დიურკემის მიერ შემოთავაზებულმა ორგანიზაციული ცხოვრების ფორმალური და არაფორმალური სფეროების ურთიერთგამიჯვნის მოსაზრებამ გამოიწვია საგრძნობი წინააღმდეგობა ეკონომიკურ და ჰუმანურ მოსაზრებებს შორის. თანამედროვე გამოკვლევებში ორგანიზაციული კონტროლის მექანიზმთა შესახებ ასევე ფართოდაა გამოყენებული დიურკემისეული მექანიკური და ორგანული სოლიდარობის კონცეფციები, რისი მეშვეობითაც ხდება იმის დემონსტრირება, თუ როგორ შეიძლება მიღწეულ იქნეს კორპორაციული ინტეგრაცია ორგანიზაციებში საერთო ფასეულობებისა და მიზნების დანერგვისა და გაზიარების მეშვეობით.¹²

11 A. Giddens: *Sociology*, 5th Edition, Cambridge: Polity Press, 2006: 14.

12 P. Hirsch, P. C. Fiss, A. Hoel-Green: „A Durkheimian Approach to Globaliza-

დიურკემის 1912 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში – რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები – განვითარებულია ადამიანის ქცევის მიკრო თეორია, ორიგინალური პერსპექტივა, რომლის მიხედვითაც დროისა და სივრცის კონსტრუირება შეიძლება წარმოებულ იქნეს მხოლოდ კოლექტიურად. დიურკემის მიერ აზრის, ცნობიერების შესახებ წამოყენებული მოძღვრება ითვლება ასევე ორგანიზაციის თეორიის შემდგომი განვითარებისათვის გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.¹³ დიურკემის მტკიცებით, კოლექტიური ცნობიერება აღმოცენდება სოციალური ჯგუფის წევრთა ინტერაქციების შედეგად, და არა ინდივიდის პირადი მახასიათებლების საფუძველზე. მოცემულ ნაშრომში¹⁴ დიურკემი ყურადღებას ამახვილებს პრიმიტიული საზოგადოებების თვითორგანიზების პრინციპებზე, რაც იძლევა თანამედროვე ორგანიზაციებისა და ორგანიზების პრიმიტიული პროცესების ორიგინალური შედარების შესაძლებლობას.

მაქს ვებერი: ორგანიზაციის ბიუროკრატიული მოდელი

მაქს ვებერი (1864-1920), თანამედროვე სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სამართლიანად ითვლება ორგანიზაციის სოციოლოგიის კლასიკოსად. სწორედ მას მიეწერება ორგანიზაციული წარმონაქმნების შესახებ პირველი თანამედროვე სისტემური მოძღვრების განვითარება.¹⁵ თავის ყოვლისმომცველ სოციოლოგიურ ტრაქტატში – ეკონომიკა და საზოგადოება (Wirtschaft

tion“, in: P. S. Adler (ed.): *The Oxford Handbook of Sociology and Organization Studies*, Oxford: Oxford University Press, 2009: 223-245, 228.

13 F. Dobbin: „How Durkheim’s Idea of Meaning-Making Influenced Organizational Sociology“, in: P. S. Adler (ed.): *The Oxford Handbook of Sociology and Organization Studies*, Oxford: Oxford University Press, 2009: 201-222.

14 É. Durkheim: *The Elementary Forms of the Religious Life*, New York: Collier, 1961.

15 A. Giddens: *Sociology*, 5th Edition, Cambridge: Polity Press, 2006: 638.

und Gesellschaft),¹⁶ სხვა მრავალ ახალ მიმართულებასთან ერთად, ვებერმა საფუძველი ჩაუყარა ორგანიზაციის სოციოლოგიას. ვებერის თანახმად, ორგანიზაცია გულისხმობს ადამიანთა საქმიანობის ან მათ მიერ წარმოებული საქონლის კოორდინირების შესაძლებლობას, რაც ხასიათდება განსაზღვრული სტაბილურობით დროსა და სივრცეში. ორგანიზაციათა განვითარება დამოკიდებულია კონკრეტული ინფორმაციისა და საქმიანობის კონტროლზე, რაც აუცილებელს ხდის ორგანიზაციებში ურთიერთობათა ფორმალიზებას, რისი შედეგიცაა წერილობითი ფორმის ნორმათა სისტემის შემუშავება, ასევე ჩანაწერების წარმოება „ორგანიზაციული მეხსიერების“ უზრუნველსაყოფად. ვებერი ამტკიცებს, რომ ორგანიზაცია მკაცრად იერარქიული და ბიუროკრატიული წარმონაქმნია, რომელიც ძალაუფლების ვერტიკალის მეშვეობით ახორციელებს საკუთარ ფუნქციებს. ვებერი ბიუროკრატიის ცნებას იყენებს ფართო გაგებით და არ დაჰყავს მისი მნიშვნელობა მარტოოდენ საჯარო, სახელისუფლებო აპარატამდე. მისი აზრით, მართვის ბიუროკრატიული მექანიზმი ახასიათებს ნებისმიერი ფორმისა და ფუნქციის მსხვილ კორპორაციას. ვებერის თანახმად, ბიუროკრატიული წარმონაქმნები ჯერ კიდევ ტრადიციულ ცივილიზაციებშიც არსებობდნენ, თუმცა ბიუროკრატიული ადმინისტრირების რაციონალური ტექნიკა მხოლოდ თანამედროვეობის პირობებში, კაპიტალისტური ფორმაციის დამკვიდრების პარალელურად ვითარდება. ბიუროკრატიული ძალაუფლება წარმოადგენს ორგანიზაციული მართვის ერთადერთ რაციონალურ მოდელს კაპიტალისტურ სამყაროში, თუმცა მიუხედავად მისი დადებითი მხარეებისა, იგი განსაზღვრული უარყოფითი მახასიათებლებითაც გამოირჩევა.

16 M. Weber: *Wirtschaft und Gesellschaft. Grundriß der Verstehenden Soziologie*, 5. Auflage. Tübingen: Mohr Siebeck, 2002. აღსანიშნავია, რომ ვებერის ეს უმთავრესი ოპუსი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1922 გამოქვეყნდა. ნაშრომი გამოქვეყნებისთანავე იქცა სოციოლოგიის ერთ-ერთ უპირველეს კლასიკურ ტექსტად და განსაზღვრა სოციოლოგიის ზოგადი მოძღვრებისა და სპეციალური მიმართულებების (ეკონომიკის, რელიგიის, პოლიტიკის, სამართლის სოციოლოგიის) ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ტენდენციები.

ვებერის ორიგინალური ნააზრევი ძალაუფლების, დომინაციის (Herrschaft) ფორმათა შესახებ მნიშვნელოვან ბიძგად იქცა ორგანიზაციული ძალაუფლების კვლევის სფეროში. ძალაუფლების ადრეული ფორმა ეფუძნებოდა კონკრეტულ ლიდერთა, მაგალითად ტომის ბელადების, ქურუმების პიროვნულ ნიშან-თვისებებსა და აღიარებულ უპირატესობებს, რის შესაბამისადაც ყალიბდებოდა *ქარიზმატული ძალაუფლება*. მოგვიანებით კონკრეტულ ინდივიდთაგან ძალაუფლებამ გადაინაცვლა დომინანტ სოციალურ ჯგუფებზე – არისტოკრატიაზე, მიწათმფლობელებზე, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყენებდნენ ტრადიციით დამკვიდრებულ უფლებებს, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ძალაუფლების ახალი ფორმა – *ტრადიციული ძალაუფლება*. თანამედროვე საზოგადოების რაციონალიზაციამ კი განაპირობა ძალაუფლების არაპერსონალური, ობიექტური ფორმის ჩამოყალიბება, რომელიც სწორედ ბიუროკრატიის სახით არსებობს და აყალიბებს ძალაუფლების თანამედროვე მოდელს – *რაციონალურ-სამართლებრივ ძალაუფლებას*.

ბიუროკრატიული ორგანიზაციის სტრუქტურისა და მართვის მოდელთა ანალიზისას ვებერმა განავითარა *იდეალური ტიპის* ორიგინალური ცნება. იდეალური ტიპი წარმოადგენს იმ აბსტრაქტულ მახასიათებელთა ერთობლიობას, რომელიც კონკრეტულ საგანს თუ მოვლენას აყალიბებს მისი ზოგადად მისაღები, რეალური ფორმით. შესაბამისად, „იდეალური“ ამ შემთხვევაში არ გულისხმობს „სანუკვარს“, არამედ რეალურს, არსებითს. სწორედ ბიუროკრატიული ორგანიზაციის იდეალური ტიპის კონცეფციის, ამ ჰიპოთეტური მოდელის ანალიზის საფუძველზე დამკვიდრდა მოცემული ტერმინი სოციალურ მეცნიერებებში. ვებერი შემდგენიერად აყალიბებს ბიუროკრატიული ორგანიზაციის იდეალური ტიპის მახასიათებლებს: (1) აუცილებელია ორგანიზაციული ძალაუფლების იერარქიის ჩამოყალიბება, რაც მიღწეული იქნება უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნითა და მოვალეობების გადანაწილებით. ძალაუფლების ვერტიკალი გულისხმობს ორგანიზა-

ციული საქმიანობის კონტროლს ზევიდან ქვევით, რის შედეგადაც იქმნება კოორდინირებული მოქმედების შესაძლებლობა – ძალაუფლების ზედა რგოლი აკონტროლებს ქვედა რგოლს. (2) ორგანიზაციის მუშაობა უზრუნველყოფილია წერილობითი ნორმების, სავალდებულო ქცევის წესების დაცვის მეშვეობით. ორგანიზაციული დისციპლინა უზრუნველყოფილია ყველასათვის სავალდებულო ნორმატიული პრინციპების დაცვით. (3) ორგანიზაციაში დასაქმება ანაზღაურებადი. შრომის დანაწილებისა და ძალაუფლების ვერტიკალის შესაბამისად, იზრდება შრომის ანაზღაურება ქვედა დონის პოზიციიდან ზედა დონის პოზიციისკენ. თანამშრომლებს, შესაძლებლობებისა და კარიერული ზრდის შესაბამისად, ეძლევათ უფლება იერარქიულ საფეხურზე დაწინაურებისა, რაც შრომის ანაზღაურების ზრდასაც გულისხმობს. (4) ორგანიზაციული წესრიგი, ბიუროკრატიული რუტინა განსხვავდება ცხოვრებისაგან ორგანიზაციის გარეთ. თანამშრომლების პირადი ცხოვრება და საქმიანობა არის სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი ორგანიზაციული ვალდებულებებისაგან. (5) საჯარო ბიუროკრატიული ორგანიზაციის წევრები, განსხვავებით კერძო ორგანიზაციებისაგან, არ ფლობენ პირად საკუთრებაში იმ ორგანიზაციის მატერიალურ რესურსებს, რომლებშიაც მუშაობენ, რაც განაპირობებს საჯარო და კერძო ინტერესების გამიჯვნის აუცილებლობას.

ვებერის თანახმად, რაც უფრო უახლოვდება ორგანიზაცია მოცემულ ჰიპოთეტურ მოდელს, ბიუროკრატიის იდეალურ ტიპს, მით უფრო გამართული და შედეგიანი იქნება მისი მოქმედება. თანამედროვე საზოგადოების რაციონალიზაცია განაპირობებს ორგანიზაციათა ბიუროკრატიული მართვის საჭიროებას. თუმცა ბიუროკრატიული მოდელი შორსაა იდეალურისგან, ზედმეტად ტექნოკრატიულია და შეიძლება ხელს არ უწყობდეს ადამიანის შესაძლებლობათა სრულ გამოვლინებას იერარქიულად მართულ, მკაცრ სოციალურ კონტროლზე დაფუძნებულ ორგანიზაციებში.¹⁷

17 ვებერისეული კორპორაციული მოძღვრების შემდგომი დამუშავების შესახებ, იხ.: S. Clegg and M. Lounsbury: „Weber: Sintering the Iron Cage“ Translation, Domi-

მიშელ ფუკო: ორგანიზაციული ძალაუფლების დისკურსი

ფრანგი ფილოსოფოსი, პოსტსტრუქტურალისტი მიშელ ფუკო (1926-1984), რომელიც ძალაუფლების ფენომენის კრიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია, ავითარებს ორიგინალურ თეორიას ორგანიზაციული ძალაუფლებისა და ზედამხედველობის შესახებ.¹⁸ მისი პროვოკაციული მტკიცებების თანახმად, ორგანიზაციის სტრუქტურა პირდაპირაა დამოკიდებული ძალაუფლების სისტემაზე. ორგანიზაციათა ფიზიკური, არქიტექტურული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ფუკო მივიდა დასკვნამდე, რომ ძალაუფლების ვერტიკალი ხშირად ღია ფორმითაა გადმოცემული კონკრეტული ორგანიზაციის სივრცობრივ განლაგებაში – „ძალაუფლების მწვერვალი“, როგორც ორგანიზაციული მართვის უმაღლესი საფეხური, შეიძლება შეესაბამებოდეს მოცემული ორგანიზაციის შენობის შინაგან სტრუქტურას, სადაც მისი ხელმძღვანელის სამუშაო ოთახი შენობის ყველაზე ზედა სართულზე, „ძალაუფლების მწვერვალზეა“ განლაგებული. ორგანიზაციის „გეოგრაფია“ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს და არეგულირებს შიდაორგანიზაციულ წესრიგს და უქმნის თანამშრომლებს ნათელ წარმოდგენას საკუთარი უფლებამოსილებების შესახებ.

ორგანიზაციის ფიზიკური სტრუქტურის ანალიზისას ფუკო ყურადღებას ამახვილებს „ხილვადობაზე“, იმაზე, თუ რამდენად

nation, and Rationality“, in: P. S. Adler (ed.): *The Oxford Handbook of Sociology and Organization Studies*, Oxford: Oxford University Press, 2009: 118-145; Gay, P. D.: „Max Weber and the Ethics of Office“, P. S. Adler (ed.): *The Oxford Handbook of Sociology and Organization Studies*, Oxford: Oxford University Press, 2009: 146-173; A. Kieser: „Max Webers Analyse der Bürokratie“, in: A. Kieser und M. Ebers (Hrsg.): *Organisationstheorien*, 6. Auflage, Stuttgart: Kohlrammer, 2006: 63-92.

18 ფუკოს ძირითადი შეხედულებანი ორგანიზაციული ძალაუფლების შესახებ თავმოყრილია მის შემდეგ ნაშრომებში: M. Foucault: *The Archaeology of Knowledge and the Discourse of Language* (translated by A. M. Sheridan Smith), New York: Pantheon, 1972; M. Foucault: *The Order of Things: An Archeology of the Human Sciences* (translation of *Les Mots et les choses*), New York: Vintage, 1994; M. Foucault: *Discipline and Punish: The Birth of the Prison* (translation of A. Sheridan), New York: Vintage, 1978.

შესამჩნევია ძალაუფლების სტრუქტურის ზეგავლენა ორგანიზაციის დიზაინზე, მის არქიტექტურულ სტრუქტურაზე. სწორედ მოცემული ზილვალობის დონე განაპირობებს იმას, თუ რამდენად ექვემდებარებიან თანამშრომლები ზედამხედველობის, მეთვალყურეობის (surveillance) მექანიზმებს, რაც მათი კორპორაციული საქმიანობის კონტროლის მიზნით ხორციელდება. თანამედროვე ორგანიზაციებში ყველა თანამშრომელი, ძალაუფლების სათავეში მყოფთა ჩათვლითაც, წარმოადგენს ზედამხედველობის საგანს.

ორგანიზაციული ზედამხედველობის რამდენიმე ფორმა არსებობს. ხელმძღვანელის უშუალო ზედამხედველობა დაქვემდებარებულ თანამშრომელზე ამისი ერთი მაგალითია. ასევე განსხვავებულ ფორმას წარმოადგენს საგანგებო ჩანაწერების წარმოება, ისტორიული მონაცემების შენახვა ორგანიზაციაში ინდივიდის საქმიანობის შესახებ. და ბოლოს, თვით-ზედამხედველობა, რაც ინდივიდის წარმოდგენის შედეგია, რომლის მიხედვითაც იგი, როგორც გარეშე ზედამხედველობის შესაძლო ობიექტი, თავად ზღუდავს და აკონტროლებს საკუთარ საქმიანობას.

ორგანიზაციის მუშაობა ვერ იქნება ეფექტიანი და მაღალ შედეგებზე ორიენტირებული, თუ დაქირავებულ მუშაკთა საქმიანობა შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. აუცილებელია პროფესიული საქმიანობის კოორდინირება დროსა და სივრცეში, რაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სამუშაო საათების ზედმიწევნით გაწერითა და სამუშაო ფართის ფიზიკური მონაცემების რეგულირებით. დროისა და სივრცის რაციონალური გადანაწილება და მართვა, ფუკოს მტკიცებით, უზრუნველყოფს ორგანიზაციაში „სხეულების ჯეროვან მიწოდებას“, დასაქმებულთა პროდუქტიულ ფიზიკურ განლაგებას. შესაბამისად, ორგანიზაციული დისციპლინის ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დროისა და სივრცის კრეატიულ გამოყენებას.

ფუკოს მორიგი ორიგინალური მტკიცების თანახმად, არ არსებობს „სუვერენული ძალაუფლების“ კატეგორია, რომელიც ერთპიროვნულად განსაზღვრავდა დომინაციის და ლეგიტიმური მართვის

სისტემას ორგანიზაციაში. ნაცვლად ძალაუფლების, კონტროლის უმაღლესი ინსტანციისა, ორგანიზაცია იმართება ძალაუფლებითი ურთიერთობების ქსელით, დისკურსით, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის წევრთა უფლებამოსილებებს. ძალაუფლება, როგორც დისკურსი, აღარ წარმოადგენს ავტონომიურ სუბიექტთა ხელში მობილიზებულ რესურსს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაციაში პირდაპირ იმართება დაქვემდებარებულთა საქმიანობა. დისკურსი ამ შემთხვევაში გულისხმობს ორი ფენომენის – ძალაუფლებისა და შემეცნების (Power/Knowledge) ურთიერთობათა კომპლექსს, რომლის აკუმულირება წერილობითი, ვერბალური თუ სხვა კომუნიკაციური ფორმით ხორციელდება კონკრეტულ სოციალურ სივრცეში. მოცემული ურთიერთობები შეიცავენ ძალაუფლებისა და ჭეშმარიტების პრეტენზიას და დისკურსული ანალიზის მთავარ ობიექტს წარმოადგენენ.¹⁹ კონკრეტული ორგანიზაციის თანამშრომლები ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, იციან თუ რატომ იქცევიან ასე, მაგრამ უკვე ვეღარ აკონტროლებენ საკუთარი ქმედებების შედეგად ინიცირებულ ახალ ქმედებებსა და პროცესებს. კონკრეტული მიზნების მისაღწევად ორგანიზაციის სუბიექტებს შეუძლიათ მანიპულირება რესურსებით, სტრუქტურით, ორგანიზაციული ტექნიკით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ვერ ახერხებენ ძალაუფლების სრულ მობილიზებას და მართვას.²⁰ ძალაუფლება, თავისი ბუნებით, იმდენად კომპლექსური, მრავალასპექტიანი და დინამიკური ფენომენია, რომ შეუძლებელია მისი აკუმულირება ერთი კონკრეტული სუბიექტის ხელში, რადგან ძალაუფლების ყოველი „მატარებელი“, თავის მხრივ, ძალაუფლების უფრო მაღალი დონის რეგულირების საგანია.

ფუკოს მტკიცებით, შეუძლებელია ინდივიდმა თავი დააღწიოს ძალაუფლების ყოვლისმომცველ ზემოქმედებას. არც სპეციფიკურ

19 D. Knights and G. Morgan: „Corporate Strategy. Organizations, and Subjectivity“, in: *Organization Studies*, Vol. 12 (3), 1991: 251-273. 254.

20 C. Hardy: „Organizations: Authority and Power“, in: N. J. Smelser and P. B. Baltes, (eds): *International Encyclopedia of the Social and Behavioral Sciences*, Amsterdam: Elsevier, 2001: 10954-10960, 10957.

ცოდნას, შემეცნების უნარზე დამყარებულს, რომლის გამომუშავება ხდება კრიტიკული რეფლექსიის მეშვეობით და არც ლიბერაციის სხვადასხვა მექანიზმს არ ძალუძს გაათავისუფლოს ადამიანი ძალაუფლებაზე დამოკიდებულებისაგან. წარმატებული ემანსიპაციის შემთხვევაშიც, როდესაც ძალაუფლებისადმი წინააღმდეგობა პოზიტიურად სრულდება, ახალი მოცემულობა არასოდეს არ არის თავისუფალი ძალაუფლების ზემოქმედებისაგან – ახალი სიტუაცია, ახალი სოციალური გარემო ექვემდებარება ძალაუფლების ახლებურ რეჟიმს, რომელიც ლატენტურად ჩაენაცვლება ძალაუფლების ძველ მოდელს. ძალაუფლებითი ურთიერთობა ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის ნებისმიერ სეგმენტზე – კორპორაციულ სტრუქტურასა და კაპიტალზე, დამქირავებლებსა და დაქირავებულებზე. შეუძლებელია იარსებო სოციალურ გარემოში, რომელიც თავისუფალია ძალაუფლების ზეგავლენისაგან – იგი ზემოქმედებს ყველაზე და ყოველთვის, დროის და სივრცის ნებისმიერ განზომილებაში. თავად ფუკოს სიტყვებით: „ძალაუფლება აუცილებელია განხილულ იქნეს როგორც ცირკულარული ფენომენი, რომელსაც ახასიათებს ჯაჭვური მოქმედების უნარი. ძალაუფლება არასოდეს არ არის ლოკალიზებული კონკრეტულ ადგილზე, არასოდეს არ იმყოფება კონკრეტული ადამიანის ხელში, არასოდეს არ განიხილება როგორც საქონელი ან ქონების ნაწილი. ძალაუფლება გამოიყენება ქსელური ორგანიზების მეშვეობით. ინდივიდი ყოველთვის იმყოფება ძალაუფლების როგორც მომხმარებლის, ასევე მისი რეგულირების საგნის როლში.“²¹

ძალაუფლების ფენომენი იმდენად ყოვლისმომცველი, ყველგანმყოფი და ბუნებრივია, რომ ადამიანები ზშირად ვერც აცნობიერებენ მის ზემოქმედებას ორგანიზაციული საქმიანობის პროცესში. თუმცა მათი ყოველი გამიზნული ქცევა თუ წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილება, რომელიც არ ემორჩილება კონკრეტულ ორგანიზაციულ სტრატეგიას, სწორედ ძალაუფლების დისკურსის

21 M. Foucault: *Power/Knowledge: Selected Interviews and Other Writings 1972-1977*. Brighton: Harvester Press, 1980: 98.

ზემოქმედების შედეგია, რაც ყველაზე ნათლად ორგანიზაციებში მიმდინარე დაგეგმილი თუ სპონტანური პროცესების ანალიზის შედეგად ხდება თვალნათელი.

ფემინისტური დისკურსი: გენდერი და კორპორაცია

ორგანიზაციის კლასიკურ თეორიებში არ აქვს დათმობილი ჯეროვანი ადგილი გენდერის საკითხს. მხოლოდ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც ჩამოყალიბდა გავლენიანი ფემინისტური მოძრაობები და ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, დაიწყო ქალის როლის შესწავლა საზოგადოებაში და საზოგადოების მნიშვნელოვან ინსტიტუტებში, მათ შორის კორპორაციებში.²² ფემინისტებმა გამოიკვლიეს და ასახეს არა მარტო გენდერული უთანასწორობა საზოგადოებასა და ორგანიზაციებში, არამედ შეისწავლეს და დაადასტურეს მოცემული უთანასწორობის რეპროდუცირების მიზეზი, რომელიც, მათი მტკიცებით, განპირობებულია თანამედროვე ორგანიზაციების უსამართლო სტრუქტურული განვითარებით, უშუალოდ ორგანიზაციათა გენდერული კონსტრუქციით. არა მარტო მამაკაცებით დომინირებული ორგანიზაციები, არამედ უშუალოდ ორგანიზაციათა კორპორაციული სტრუქტურა, ძალაუფლების გადანაწილების მექანიზმი და გადაწყვეტილებების მიღების სისტემაა გენდერიზებული, რაც ახდენს ქალთა როლის, სოციალური სტატუსის, ფუნქციის, მათი სამუშაოს ხასიათისა და ანაზღაურების მარგინალიზაციას.

თანამედროვე კორპორაციული სტრუქტურებისა და ბიუროკრატიის აღმოცენებას იმთავითვე არ მოჰყოლია ქალთა დასაქმება მოცემულ ორგანიზაციებში. ქალები შრომის ბაზარზე გამოვიდნენ ემანსიპატორული მოძრაობების შემდეგ, როდესაც ორგანიზაცია დომინირებული იყო მამაკაცთა მიერ დამკვიდრებული ძალაუფლე-

22 A. Giddens: *Sociology*, 5th Edition, Cambridge: Polity Press, 2006: 662.

ბის ვერტიკალითა და კორპორაციულ ფასეულობათა გენდერიზებული, მასკულიზური სისტემით. ბიუროკრატიული აპარატი თავდაპირველი სახითვე ჩამოყალიბდა გენდერული სეგრეგაციის მექანიზმად. ქალებს „დაეთმოთ“ მხოლოდ უმნიშვნელო პოზიციები, ნაკლებად მიმზიდველი მამაკაცთათვის როგორც ანაზღაურების, ასევე სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე. მოცემული პოზიციები, თავის მხრივ, იერარქიულად ექვემდებარებოდა სწორედ მამაკაცებს, რაც კარიერული წინსვლის შესაძლებლობას საკმაოდ ართულებდა. შესაბამისად, ხდებოდა ქალთა გამოყენება იაფი, მენეჯერული თვალსაზრისით უმნიშვნელო შრომისათვის. ასევე, ბიუროკრატიული კარიერა თავისთავად ჩამოყალიბდა მამაკაცთა „ოკუპაციის“ სფეროდ, სადაც ქალებს მხოლოდ დამხმარის, ასისტენტის როლი თუ მოეძებნებოდათ. ქალებს უთმობდნენ მხოლოდ ყოველდღიური ორგანიზაციული რუტინის მომწესრიგებლისა და მსახურის როლს, რაც გამოიხატება ისეთ თანამდებობებში, როგორცაა მდივანი, ოფისის მენეჯერი, რეფერენტი, კლერკი, რისი მეშვეობითაც ორგანიზაციაში დამკვიდრდა ქალის, როგორც პროფესიონალი მამაკაცის ტექნიკური დამხმარის, მისი ხელშემწყობი მუშაკის როლი, რომელიც არაფერს და ვერაფერს ვერ აკეთებს კარიერული წინსვლისათვის. იგივენაირად იყო სტრუქტურირებული ტრადიციული ოჯახიც – გენდერიზებულ ოჯახში ქალი ასრულებდა ყოველდღიურ საქმიანობას, ხოლო მამაკაცს ეძლეოდა კარიერული წინსვლის ყველანაირი შესაძლებლობა, თუნდაც იმით, რომ იგი იყო თავისუფალი საოჯახო მოვალეობებისა და ყოველდღიური რუტინისაგან. მოცემული არგუმენტების საფუძველზე ფემინისტები ასკენიან, რომ თავად თანამედროვე ორგანიზაციები ჩამოყალიბდნენ მამაკაცებით მართულ სტრუქტურებად, რომლებშიც ქალებს არ ეძლევათ ძალაუფლება და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა, და სქესობრივი თუ სექსუალური დისკრიმინაციის საფუძველზე წარმოადგენენ მსხვერპლს გენდერული დისბალანსით დომინირებულ შრომის ბაზარზე.

ქალთა ემანსიპირებისთვის აღმოცენებული ფემინისტური მიმ-

დინარეობა ჩამოყალიბდა ლიბერალურ და რადიკალურ მიმართულებებად. ორივე მიმართულებამ ჰპოვა ასახვა კორპორაციული სტრუქტურების კრიტიკაში, რამაც საგრძნობლად გაამდიდრა ორგანიზაციის თეორია ორიგინალური, ხშირად ობიექტური დაკვირვებებითა და სოციალური რეალობის ალტერნატიული წაკითხვის შესაძლებლობით.

ლიბერალური ფემინიზმის პერსპექტივით შესრულებული გამოკვლევის მაგალითია როსაბეთ კანტერის გახმაურებული ნაშრომი.²³ ემპირიული დაკვირვების შემდეგ კანტერმა განავითარა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბიუროკრატიულ სტრუქტურებში მამაკაცებს მონოპოლიზებული ჰქონდათ ძალაუფლებისა და კარიერული წინსვლის მექანიზმები და ქალებსა თუ ეთნიკურ უმცირესობებს არ აძლევდნენ კარიერული წინსვლის შესაძლებლობას, უბლოკავდნენ საქმიანი კონტაქტებისა და პირადი ურთიერთობების ვიწრო წრეში შესვლის უფლებას, უხურავდნენ სოციალურ ქსელში შეღწევის კარებს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფესიული ზრდისთვის. შედეგად, მამაკაცები აყალიბებდნენ ერთგვარი „მამრი ჰომოსოციაბილურობის“ სფეროს, რომელში შეღწევაც მხოლოდ მათივე ნებართვით იყო შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც ეს გამოკვლევა გამოქვეყნდა, ორგანიზაციებში საკმაოდ ღიად ფიქსირდებოდა გენდერული დისკრიმინაციის მსგავსი ფორმები, ავტორი მთლად პესიმისტურად არ იყო განწყობილი მომავლისადმი. მისი აზრით, ამ პრობლემის სათავე იყო არა გენდერი, არამედ ძალაუფლება: ქალები თავიანთი სქესის გამო როდი იმყოფებოდნენ მსგავს უსამართლო სიტუაციაში, არამედ იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი ძალაუფლება ორგანიზაციაში. შესაბამისად, რაც უფრო მეტი ქალი მოიპოვებს ძალაუფლებას კონკრეტულ ორგანიზაციაში, მით უფრო შედეგიანად აღმოიფხვრება მოცემული დისბალანსი და ქალებს მიეცემათ მამაკაცთა თანასწორი უფლებამოსილებანი.

23 R. M. Kanter: *Men and Women of the Corporation*. New York: Basic Books, 1977.

სწორედ მოცემული შეხედულების გამო იწოდება კანტერის მიერ ჩამოყალიბებული პერსპექტივა ლიბერალურ ფემინიზმად – მისი მთავარი მიზანია შესაძლებლობათა თანასწორობისთვის ბრძოლა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების დამკვიდრება ქალებისთვის, მათ შორის კორპორაციებშიც.

რადიკალური ფემინიზმის იდეა განვითარებულია *კეტი ფერგიუსონის* გამოკვლევაში.²⁴ ავტორი კორპორაციებში გენდერული დისბალანსის გამოსწორების შესაძლებლობას ვერ ხედავს მსგავს ორგანიზაციებში ქალთა დასაქმების ზრდითა და მათ ხელში ძალაუფლების მობილიზებით. პრობლემა უშუალოდ თანამედროვე ორგანიზაციებშია, რომლებიც სამუდამოდ დაღდასმულია მამაკაცური ფასეულობებითა და მასკულინური დომინაციით. ფერგიუსონი გამოსავლის ძიებაშიც ინარჩუნებს რადიკალურობას და ამტკიცებს, რომ ერთადერთი შესაძლებლობა მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად არის ალტერნატიული ორგანიზაციების შექმნა ქალებისათვის, სადაც ძალაუფლება იმთავითვე სრულად იქნება მობილიზებული ქალთა ხელში. აუცილებელია ქალების მიერ დაფუძნდეს საგანგებო კორპორაციები, სადაც დასაქმდებიან მხოლოდ მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები და დაამკვიდრებენ ახალ ფასეულობებს, რომლებიც განსხვავდება მამაკაცებით დომინირებული ორგანიზაციების ფასეულობებისაგან. ფერგიუსონის აზრით, ქალებს შეუძლიათ უფრო დემოკრატიული, თანამონაწილეობაზე დაფუძნებული ორგანიზაციების მშენებლობა, განსხვავებით მამაკაცებისაგან, რომლებიც ბუნებრივად არიან მიდრეკილნი ავტორიტარული ძალაუფლებისაკენ, კორპორაციული რეგულირების დისკრიმინაციული მეთოდებისაკენ. ამდენად, რადიკალური ფემინიზმის მიმდევართა თანახმად, რადიკალური პრობლემების მოგვარება მხოლოდ რადიკალური მეთოდებითვეა შესაძლებელი.

გარდა ლიბერალური და რადიკალური ფემინისტური მიმართულებებისა, რომლებიც ორიგინალურად გადმოსცემენ ორგანი-

24 K. E. Ferguson: *The Feminist Case against Bureaucracy*, Philadelphia: Temple University Press, 1984.

ზაციისა და გენდერის ურთიერთობის პრობლემას, ფემინიზმის, როგორც კრიტიკული თეორიის განვითარების საფუძველზე ჩამოყალიბდა მრავალი ალტერნატიული დისკურსი. ფსიქონალიტიკური, მარქსისტული, სოციალისტური, პოსტსტრუქტურალისტური, პოსტკოლონიური ფემინისტური თეორიები ის უახლესი პერსპექტივებია, რომელთა მეშვეობით ხდება გენდერისა და ორგანიზაციის პრობლემატიკის დამუშავება ინტერდისციპლინური მეთოდების გამოყენებით.²⁵

ნიკლას ლუმანი: ორგანიზაცია, როგორც აუტოპოიეტური სისტემა

გერმანელი იურისტი და სოციოლოგი, აუტოპოიეტურ სოციალურ სისტემათა თეორიის ფუძემდებელი ნიკლას ლუმანი (1927-1998) აღიარებულია თანამედროვე ორგანიზაციის თეორიისა და სოციოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს წარმომადგენლად. ჯერ კიდევ თავისი სადოქტორო დისერტაცია – *ფორმალური ორგანიზაციის ფუნქციები და შედეგები* – ლუმანმა სწორედ ორგანიზაციის თეორიას მიუძღვნა.²⁶ მოცემულ ნაშრომში იგი იყენებს სისტემათა კლასიკურ, ზოგად თეორიას, რომელიც ორგანიზაციას, ისევე როგორც სხვა სახის სოციალურ სტრუქტურებს, განიხილავს გარესამყაროსადმი ღია სისტემად. თუმცა თავის გვიანდელ ნაშრომებში ლუმანმა განავითარა *აუტოპოიეტურ სოციალურ სისტემათა თეორია*, რომელმაც სრულებით შეცვალა მისი პირვანდელი წარმოდგენა საზოგადოების და შესაბამისად ორგანიზაციის სტრუქტურული ბუნების შესახებ.

25 S. Gherardi: „Feminist Theory and Organization Theory: A Dialogue on New Bases“, in: H. Tsoukas and C. Knudsen (eds.): *The Oxford Handbook of Organization Theory: Meta-Theoretical Perspectives*, Oxford: Oxford University Press, 2005: 210-236, 216-218.

26 N. Luhmann: *Funktionen und Folgen formaler Organisation*, Berlin: Duncker & Humblot, 1964.

მოყოლებული 1982 წლიდან,²⁷ ლუმანი, რომელიც მანამდე ავითარებდა სოციალურ თეორიას პარსონსისეული ფუნქციონალიზმისა და ღია სოციალური სისტემების კონცეფციის გავლენით, შეუდგა აუტოპოიეტურ სისტემათა თეორიის განვითარებას, რისთვისაც გამოიყენა თანამედროვე ნეირობიოლოგიის მიღწევები, კერძოდ კი ჩილელ მეცნიერთა – *ჰუმბერტო მატურანასა და ფრანჩისკო ვარელას* მიერ ფორმულირებული *აუტოპოიეზისის* (ბერძ. *autopoiesis*: *auto* – თვით, *poiesis* – წარმოება, შექმნა) კონცეფცია.²⁸ მატურანა და ვარელა ცოცხალ სისტემებს განიხილავდნენ თვითწარმოებად, თვითრეგულირებად, თვითორგანიზებად სტრუქტურებად, რომლებიც თავიანთი ელემენტების კვლავწარმოებით განსაზღვრავდნენ და ავითარებდნენ საკუთარ არსებობას. აუტოპოიეზისის კონცეფციის სოციალურ თეორიაში ტრანსპლანტაციით ლუმანმა მიზნად დაისახა უნივერსალური სოციოლოგიური თეორიის განვითარება, რომელიც დაეფუძნებოდა ორგანიზაციული დამოუკიდებლობის, თვითრეგულირებისა და თვითორგანიზების იდეას საზოგადოებაში.

მოყოლებული ამ უმნიშვნელოვანესი გარდატეხიდან, ლუმანი აღარ განიხილავდა სოციალურ სისტემებს, მათ შორის ორგანიზაციებს, გარესამყაროსადმი ღია ერთეულებად, რომლებიც ვითარდებიან ერთმანეთზე პირდაპირი ურთიერთქმედებითა (*input-output model*) და გარესამყაროს რეგულაციური ზემოქმედებით (სისტემათა თეორიის პარსონსისეული მოდელი), არამედ, ნაცვლად ამი-

27 N. Luhmann: „The World Society as a Social System“, in *International Journal of General Systems*, Vol. 8, 1982: 131-138. ლუმანის ფუნდამენტური ნაშრომი, რომელსაც დაეფუძნა მისი ახალი თეორია – *Soziale Systeme. Grundriß einer allgemeinen Theorie*, გამოიცა 1984 წელს. მოცემულ ნაშრომს მოჰყვა კონკრეტული სოციალური ქვესისტემებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები: *Die Wirtschaft der Gesellschaft* (1988), *Die Wissenschaft der Gesellschaft* (1990), *Das Recht der Gesellschaft* (1993), *Die Kunst der Gesellschaft* (1995), *Die Politik der Gesellschaft* (2002), *Die Religion der Gesellschaft* (2002). რაც დაავიკრავინა შემაჯამებელმა ორტომეულმა – *Die Gesellschaft der Gesellschaft* (1997).

28 F. Varela: *Principles of Biological Autonomy*, New York: Elsevier, 1979; H. Maturana and F. Varela: *Autopoiesis and Cognition*. Boston: Reidel, 1980; H. Maturana and F. Varela: *Tree of Knowledge: Biological Roots of Human Understanding*, Boston: Shambhala, 1988.

სა, უმნიშვნელოვანეს ყურადღებას აქცევდა სისტემათა შინაგანი თვითორგანიზებისა და თვითწარმოების პროცესებს, სისტემის ოპერაციულ დახურულობას გარესამყაროსადმი.²⁹ პარსონსისა და ლუმანის სისტემათა თეორიების მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშნად მიჩნეულია ასევე განსხვავება სტრუქტურასა და ფუნქციას შორის, რომელთაც პარსონსი და ლუმანი სხვადასხვა დატვირთვას აძლევენ: ლუმანი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სოციალურ სტრუქტურათა ფუნქციებზე, როგორც საზოგადოებრივი ევოლუციის განმაპირობებელ ფაქტორზე. მისი აზრით, საზოგადოდ მიღებულ ფასეულობათა სტრუქტურას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პარსონსის თეორიისათვის, აღარ შეუძლია თანამედროვე კომპლექსური სოციალური სისტემების ინტეგრირება, რამეთუ ისინი წარმოადგენენ საკმაოდ რთულ, დიფერენცირებულ წარმონაქმნებს და აქედან გამომდინარე, ფასეულობათა თანხვედრის მიღწევა მათში წარმოუდგენელია. ამდენად, ლუმანის აზრით, სოციალური ინტეგრირების საშუალებას იძლევა მარტოოდენ განსხვავებულ, ფუნქციონალურად დიფერენცირებულ სოციალურ სისტემათა და მათი ფუნქციების მზარდი კომპლექსურობა. თანამედროვე საზოგადოების განმსაზღვრელი სწორედ *ფუნქციონალურობის, ფუნქციის კატეგორიაა*, რომელიც საფუძვლად ედება სისტემათა ჩამოყალიბებას და საზოგადოებრივ დიფერენცირებას. მეტაფორული გამოთქმა რომ ვიხმართ, პარსონსისეული *სტრუქტურული ფუნქციონალიზმი* გადაიქცა ლუმანისეულ *ფუნქციონალურ სტრუქტურალიზმად*.³⁰

განსხვავებით აუტოპოიეზისის ორიგინალური, ბიოლოგიური კონცეფციისაგან, ლუმანმა თავი აარიდა ცოცხალი სისტემების ცნებას, სიცოცხლეს, როგორც აუტოპოიეზისის ძირითად იდეას. შესაბამისად, მან მკვეთრად გამოიჯნა ერთმანეთისაგან *სიცოცხლე* და *აზრი (მნიშვნელობა)* (Sinn, Meaning), როგორც აუტოპოიე-

29 M. King: „The ‘Truth’ About Autopoiesis“, in: *Journal of Law and Society*, Vol. 20 (2), 1993: 218-236, 219.

30 K. F. Röhl: *Rechtssoziologie: Ein Lehrbuch*, Köln: Carl Heymanns Verlag KG, 1987: 391.

ტური თვითორგანიზების განსხვავებული სახეები. თავის მხრივ, აზრზე (მნიშვნელობაზე) დაფუძნებული სისტემებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, თუ რას იყენებენ საკუთარი კვლავწარმოების საფუძვლად – ცნობიერებას, თუ კომუნიკაციას. ცნობიერებას ეფუძნებიან ფსიქიკური, ხოლო კომუნიკაციას – სოციალური სისტემები.³¹ ამდენად, ლუმანის თეორიაში, ადამიანები წარმოადგენენ ფსიქიკურ სისტემებს, ხოლო სოციალური ქვესისტემების ერთობლიობა შეადგენს საზოგადოებას, რომლის არსებობაც ემყარება აზრობრივ კომუნიკაციებს.³² შესაბამისად, ლუმანისეული თეორიის რევოლუციური მტკიცების თანახმად, საზოგადოება შედგება არა ადამიანების და სოციალური ჯგუფების, არამედ სოციალური კომუნიკაციებისაგან.

კომუნიკაციის ცნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლუმანის თეორიაში. სწორედ კომუნიკაციების მეშვეობით ხორციელდება საზოგადოების ევოლუცია, სწორედ კომუნიკაციები წარმოადგენენ ფუნქციონალურად დიფერენცირებული ქვესისტემების შემადგენელ ელემენტებს, რომელთა თვითწარმოება მოცემული ქვესისტემების ადრინდელ, წინარე კომუნიკაციებზე დაყრდნობით, განაპირობებს თავად ამ ქვესისტემის, და შესაბამისად – საზოგადოების, თვითორგანიზებას. ლუმანის თეორიაში, საზოგადოებრივი ქვესისტემები (მაგალითად, სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკა, რელიგია, ხელოვნება...) წარმოადგენენ თემატიზირებულ კომუნიკაციებს, რომლებიც საკუთარ რეპროდუცირებას ისევ თავისსავე კომუნიკაციების საფუძველზე ახორციელებენ. სოციალური ქვესისტემის ნებისმიერი ოპერაცია ხორციელდება მხოლოდ მოცემული ქვესისტემისათვის დამახასიათებელი კომუნიკაციების საშუალებით, რომელიც ინფორმაციულ დონეზე ურთიერთქმედებს სხვა სისტემების მიერ წარმოებულ და გამომუშავებულ კომუნიკაციებთან. თავად კომუნიკაცია სამი ნაწილისაგან შედგება: ინფორმაცია (Informa-

31 N. Luhmann: „The Autopoiesis of Social Systems“, in: Luhmann, Niklas: *Essays on Self-Reference*. New York: Columbia University Press, 1990: 1-20, 2.

32 M. King and C. Thornhill: *Niklas Luhmann's Theory of Politics and Law*. New York: Palgrave Macmillan, 2003: 7.

tion), გამოთქმა (Mitteilung, Utterance), გაგება, აღქმა (Verstehen, Understanding). კომუნიკაციის პირველი ელემენტი მოიცავს უშუალოდ იმ აზრობრივ მნიშვნელობას, რომელსაც მოცემული კომუნიკაცია, საკუთარი ქვესისტემის ფუნქციიდან გამომდინარე, შეიცავს. კომუნიკაციის მეორე ელემენტი წარმოადგენს მოცემული ინფორმაციის გარესამყაროსათვის წარდგენის ფორმას, რადგანაც განსაზღვრულ ქვესისტემაში გამომუშავებული ინფორმაცია თავისთავად „გამოიხატება“ და ქმედით ხასიათს ღებულობს გარესამყაროში. ხოლო კომუნიკაციის მესამე ელემენტი გულისხმობს კონკრეტული ქვესისტემის მიერ გამომუშავებული და გამოხატული ინფორმაციის მიღებასა და დამუშავებას სხვა ქვესისტემების მიერ, რომლებიც სხვადასხვა სახის ინფორმაციებს საკუთარი ფუნქციის შესაბამისად ღებულობენ და აღიქვამენ. ამდენად, საზოგადოების ყოველი ქვესისტემა არსებობს მისი ფუნქციონალური მნიშვნელობისაგან განპირობებული სოციალური კომუნიკაციების სახით, რომლებიც, საერთო ჯამში, შეადგენენ ერთიან საზოგადოებას. ხოლო უშუალოდ საზოგადოება, როგორც ყველა სოციალური ქვესისტემის მომცველი გლობალური მთლიანობა, პირადად არ ახდენს კომუნიკაციას, რადგანაც მის ზოგად კომუნიკაციებს არ შეიძლება ჰყავდეს ადრესატი, იგი თავად არის ყველა სახის სოციალური კომუნიკაციის ერთობლიობა. ლუმანის თანახმად: „საზოგადოება წარმოადგენს ყოვლისმომცველ სოციალურ სისტემას, რომელიც მოიცავს ყველა კომუნიკაციას, ახდენს ყველა კომუნიკაციის რეპროდუცირებას და აყალიბებს შემდგომი კომუნიკაციების აზრობრივ პორიზონტებს. საზოგადოება აძლევს სხვა სოციალურ სისტემებს კომუნიკაციის საშუალებას. თუმცა, თავად საზოგადოებას არ შეუძლია კომუნიკაცია. რამდენადაც იგი მოიცავს ყველა კომუნიკაციას, ეს გამორიცხავს უშუალოდ საზოგადოების გარე კომუნიკაციის შესაძლებლობას. საზოგადოებას არ გააჩნია საკუთარი კომუნიკაციების ადრესატი, ვისკენაც მიმართული იქნებოდა მისი კომუნიკაცია, ხოლო მსგავსი პარტნიორების ძებნა

უბრალოდ გაზრდიდა სოციალურ სისტემას.“³³

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინოვაცია აუტოპოიეტურ სოციალურ სისტემათა თეორიისა მდგომარეობს ლუმანის კიდევ ერთ რევოლუციურ მტკიცებაში – სოციალური სისტემები წარმოადგენენ გარესამყაროსადმი ოპერაციულად დახურულ ერთეულებს. ლუმანის აზრით, თანამედროვე საზოგადოებამ, გაიარა რა თანმიმდევრულად ევოლუციის ისტორიული საფეხურები – სემენტაცია და სტრატეფიკაცია – მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს დონეს – *ფუნქციონალურ დიფერენცირებას*. თანამედროვე საზოგადოება არის ფუნქციონალურად დიფერენცირებული მთლიანობა, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი შემადგენელი ქვესისტემები (სამართალი, პოლიტიკა, ეკონომიკა, რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება და ა.შ.) წარმოადგენენ ერთმანეთისაგან დიფერენცირებულ, დამოუკიდებელ, საკუთარი ფუნქციის განმახორციელებელ, სპეციალიზირებულ ერთეულებს. მოცემული ქვესისტემები არიან საზოგადოების თანაბარუფლებიანი კომპონენტები და ერთობლიობაში შეადგენენ *მსოფლიო საზოგადოებას*. ლუმანი საზოგადოების ცნებას მხოლოდ მსოფლიო საზოგადოების მნიშვნელობით იყენებს (Weltgesellschaft, Global Society), ასევე გლობალური დატვირთვა აქვთ მის თეორიაში საზოგადოების ქვესისტემებსაც. საზოგადოების ქვესისტემების ფუნქციონალური დიფერენცირება უზრუნველყოფილია მათი *ნორმატიული, ოპერაციული დახურულობით*, რაც გულისხმობს იმას, რომ ერთ ქვესისტემას არ შეუძლია შეცვალოს და პირდაპირი გავლენა მოახდინოს სხვა ქვესისტემაზე, ხოლო კომუნიკაცია მოცემულ ქვესისტემებს შორის ზორციელდება *კოგნიტიური ღიაობის საფუძველზე* – ქვესისტემები ურთიერთობენ ერთმანეთთან შემეცნებით, ინფორმაციულ დონეზე და ახდენენ ერთმანეთის მიერ გამომუშავებული ინფორმაციის თვისობრივ, საკუთარი ფუნქციის შესაბამისად დამუშავებას, რომელიც მათში „გარეგანი ხმაურის“ სახით აღწევს. სწორედ კოგნიტიური

33 N. Luhmann: „The World Society as a Social System“, in: *International Journal of General Systems*, Vol. 8, 1982: 131-138, 131.


ლიაობის საფუძველზე ხდება არაპირდაპირი ურთიერთგავლენის სტიმულირება საზოგადოების ქვესისტემებს შორის. მოცემული ქვესისტემები არიან ინდივიდუალურად კოდირებული ერთეულები, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი ოპერირებენ *ორმაგი კოდის* საფუძველზე, რომელიც შედგება ორი, ერთმანეთის საპირისპირო ფასეულობისაგან და რომლის მიხედვითაც ახორციელებენ საკუთარი, მხოლოდ ინდივიდუალურად რელევანტური მოვლენების წარმოჩენას სოციალური კომუნიკაციების საშუალებით. მაგალითად, სამართლის ორმაგ კოდს წარმოადგენს განსხვავება – სამართალი/უმართლობა, ან სამართლიანი/უსამართლო (Recht/Unrecht, Legal/Illegal), პოლიტიკის – ხელისუფლება/ოპოზიცია, ეკონომიკის – გადასახადი/გადაუხდელობა, რელიგიის – რწმენა/ურწმუნობა, ხელოვნების – მშენიერება/სიმახინჯე, მეცნიერების – ჭეშმარიტება/სიყალბე, მედიცინის – ჯანმრთელობა/ავადმყოფობა... სწორედ ამ განზომილებაში ხედავს, აფასებს და აღიქვამს გარესამყაროს და ახორციელებს კომუნიკაციას თითოეული სოციალური ქვესისტემა. მოცემული ორმაგი კოდებისაგან თითოეული არის მარტოოდენ კონკრეტული ქვესისტემის საკუთრება, ამიტომაცაა, რომ საზოგადოების მოცემული კომპონენტები წარმოადგენენ ავტონომიურ, გარესამყაროსადმი დახურულ წარმონაქმნებს, ამიტომაცაა, რომ სამართალი ვერ შეცვლის და მართავს პოლიტიკას, პოლიტიკა – ეკონომიკას, ეკონომიკა – მეცნიერებას, მეცნიერება – ხელოვნებას, ხელოვნება – რელიგიას და ა.შ., რადგანაც თითოეული ქვესისტემა ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად ახორციელებს თავის ფუნქციებს საკუთარი კოდირებისა და პროგრამირების მეშვეობით. მაგრამ ეს არ ნიშნავს ქვესისტემების იზოლაციას საზოგადოებისა და ერთმანეთისაგან, პირიქით, სოციალური კომუნიკაციების საშუალებით ისინი წარმოადგენენ საკუთარი სფეროებიდან ერთმანეთისათვის ინფორმაციის არაპირდაპირ მიმწოდებლებს, რასაც შედეგად მოსდევს მათი ევოლუციური ურთიერთგანვითარება და არაპირდაპირი ზეგავლენა შემეცნებითი კომუნიკაციის საშუალებით. კოდირებასა და პროგრამირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვესისტე-

ემათა შინაგანი ოპერაციების წარმოებაში, რამეთუ სწორედ ისინი განსაზღვრავენ ფუნქციონალურად დიფერენცირებული სოციალური ერთეულების იდენტობას. მაშინ, როდესაც კოდი წარმოადგენს მართლოდენ კონკრეტული ქვესისტემისათვის დამახასიათებელ ორმაგ სიდიდეს, პროგრამირება უზრუნველყოფს მოცემული კოდირების შესაბამისად განსახორციელებელი კომუნიკაციების რეგულირებას, ასევე ქვესისტემის მიერ საკუთარი ორმაგი კოდის გამოყენებისათვის ინფორმაციის ორგანიზებას. პროგრამირება განსაზღვრავს, თუ კოდირების რომელი მხარე (პოზიტიური ან ნეგატიური) უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში. პროგრამირებასა და კოდირებას შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია პროგრამირების მოდიფიცირება ან მისი ჩანაცვლება, მაგრამ კოდირების შეცვლა წარმოუდგენელია.

ლუმანის თეორიაში ასევე უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია განსხვავებას *სისტემასა და გარესამყაროს* (Umwelt, Environment) შორის. აუტოპოიეტური თეორიის თანახმად, სოციალური ქვესისტემები წარმოადგენენ გარესამყაროსადმი ნორმატიულად დახურულ წარმონაქმნებს. გარესამყარო კი, თავის მხრივ, წარმოადგენს მოცემული ქვესისტემის გარეთ არსებულ მთლიანობას, რომელიც მოიცავს ყველა დანარჩენ ქვესისტემას. მაგალითად, სამართლის, როგორც სოციალური ქვესისტემის, გარესამყაროს წარმოადგენს პოლიტიკა, მეცნიერება, ეკონომიკა და ა.შ. ასევე, სამართალიც, თავის მხრივ, წარმოადგენს გარესამყაროს ერთ-ერთ ელემენტს საზოგადოების დანარჩენი ერთეულებისათვის. გარესამყაროს, სოციალური ქვესისტემების გარდა, განეკუთვნებიან სხვა სისტემები და სოციალური წარმონაქმნებიც, მაგალითად ფსიქიკური სისტემები (ადამიანები). ამდენად, ადამიანები არ შეადგენენ სოციალური ქვესისტემების ელემენტებს, რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, შედგებიან მხოლოდ საეციფიკური კომუნიკაციებისაგან. ბიოლოგიური აუტოპოიეზისისაგან განსხვავებით, რომელიც აუტოპოიეტურ ერთეულებად მართო ცოცხალ ბიოლოგიურ ქმნილებებს მიიჩნევს, ლუმანს შემოაქვს *ცოცხალი* (უჯრედები, ორგანიზმები),

ფსიქიკური (ადამიანები) და სოციალური (საზოგადოებანი, ორგანიზაციები, ინტერაქციები) აუტოპოიეტური სისტემების ცნება. თავად ლუმანი მის მიერ ფორმულირებულ სისტემათა სახეობებს სქემატურად შემდეგნაირად გამოხატავს:

სისტემათა სახეები:³⁴




ჩამოთვლილი სისტემებიდან მხოლოდ მანქანები (მექანიზმები) არ წარმოადგენენ აუტოპოიეტურ წარმონაქმნებს (და შესაბამისად განეკუთვნებიან ალოპოიეტურ – allopoietic – ერთეულებს), რადგანაც მათი წარმოება გარეშე ძალებზეა დამოკიდებული. როგორც მოცემული სქემიდან ჩანს, სისტემების ლუმანიისეული კონსტრუქცია საკმაოდ კომპლექსურად გამოიყურება. ლუმანის მტკიცებით, თავად თანამედროვე საზოგადოება წარმოადგენს უაღრესად რთულ, კომპლექსურ მთლიანობას, რაც იწვევს მისი სფეროების განგრძობად ღიფერენცირებას, რასაც, თავის მხრივ, საზოგადოების მრავალი ფუნქციონალური ქვესისტემების ჩამოყალიბებამდე მიყვავართ. სწორედ საზოგადოებრივი ქვესისტემების მეშვეობით ხდება შესაძლებელი მოცემული კომპლექსურობის შემცირება, რედუცირება.

34 N. Luhmann: *Soziale Systeme. Grundriß einer allgemeinen Theorie*. Frankfurt am Main: Suhrkamp, 1984: 16.

თვითრეფერირებად აუტოპოიეტურ სისტემებად ლუმანი მიიჩნევს ცოცხალ სისტემებს, ფსიქიკურ სისტემებს და სოციალურ სისტემებს. ცოცხალ სისტემათა ნაირსახეობებს, ლუმანის თანახმად, განეკუთვნებიან ისეთი წარონაქმნები, როგორცაა უჯრედი, ტვინი, ორგანიზმი. ფსიქიკური სისტემა წარმოდგენილია ადამიანის სახით. სოციალური სისტემების სახეები, კი, როგორც უკვე აღინიშნა, სამ ჯგუფად იყოფა – ინტერაქცია (სოციალური ურთიერთობა), ორგანიზაცია, და ფუნქციონალურად დიფერენცირებული მსოფლიო საზოგადოება.

ლუმანისავე სქემატური გამოსახულების გამოყენებით, თვითრეფერირებად აუტოპოიეტურ სისტემათა სახეები შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:³⁵



შესაბამისად, ლუმანის თანახმად, ორგანიზაციები განეკუთვნებიან სოციალურ სისტემათა დამოუკიდებელ სახეს, რომლებიც, მიუხედავად მათი ფუნქციონალური თუ ფორმალურ-სტრუქტურული თავისებურებებისა, წარმოდგენენ თვითრეგულირებად, აუტოპოიეტურ წარმონაქმნებს. ორგანიზაცია, როგორც ცოცხალი ორ-

35 N. Luhmann: *Essays on Self-Reference*, New York: Columbia University Press, 1990: 2.

განიზმი, აუტოპოიეზისის საფუძველზე, თავად იყალიბებს შინაგან სტრუქტურას, გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმს, წევრობის რეგულირების ფორმებს, შინაგანი დინამიკის პროცესებს, რის შედეგადაც, თვითრეგულირების მეშვეობით, ახდენს გარესამყაროსაგან ნორმატიული დახურულობის პირობებში ევოლუციას, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებების და ორგანიზაციული პროდუქციის გარესამყაროსთან კომუნიცირებით ახერხებს კოგნიტიური ღიაობის შენარჩუნებას.³⁶

IV. ორგანიზაციის თეორიის კლასიფიკაცია

ორგანიზაციის თეორიის ინტერდისციპლინურ ხასიათსა და მრავალფეროვნებას ხსნიან თავად ორგანიზაციის კომპლექსური სტრუქტურით, იმ დიდი მნიშვნელობით, რომლითაც მოცემული სოციალური წარმონაქმნი გამოირჩევა მეცნიერების სხვადასხვა დარგის კვლევის ობიექტთა შორის, და იმ მრავალმხრივი ფუნქციებით, რომლებიც ექსკლუზიურად მიეწერებათ ორგანიზაციებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სექტორში. ორგანიზაციის თეორიის ძირითადი მიმართულებანი და მისი განვითარების პერსპექტივები შეიძლება ზოგადი სახით სისტემატიზებულ იქნეს კონკრეტული მაჩვენებლების, კვლევითი და ევოლუციური ინდიკატორების გამოყენებით.

ზოგადი წარმოდგენით, თითოეული თეორიული პერსპექტივის განმასხვავებელი ნიშანია კვლევის ობიექტი, მეთოდი და კონკრეტული მეცნიერული ანალიზის შემდეგ მიღებული შედეგები. თუ ეს მონაცემები განიხილება საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ცალკეული ეტაპების, ინტელექტუალური ევოლუციის კონ-

36 დეტალურად ლუმანისეული ორგანიზაციული თეორიის შესახებ იხ.: N. Luhmann: *Organisation und Entscheidung*, 2. Auflage, Wiesbaden: VS Verlag, 2006; F. B. Simon: *Einführung in die systemische Organisationstheorie*, Heidelberg: Carl Auer, 2007.

კრეტული საფეხურების პარალელურად, მივიღებთ ზოგად სქემას ორგანიზაციული თეორიის დინამიკის შესახებ.

სოციალური ევოლუციის ძირითადი ეტაპების შესაბამისად, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ორგანიზაციული თეორიის განვითარების *კლასიკურ, მოდერნულ, სიმბოლურ-ინტერპრეტაციულ და პოსტმოდერნულ ეტაპებს*.³⁷ აღნიშნულ პერსპექტივათაგან თითოეული გამოიმუშავებს განსაკუთრებულ, ინდივიდუალურ მოდელს ორგანიზაციული თეორიის სფეროში. ორგანიზაციის თეორიის პერიოდიზაცია მნიშვნელოვანია მოცემული დისკურსის განვითარებისა და მისი კანონზომიერებების ჩამოყალიბების თვალსაჩინო ანალიზისათვის. ორგანიზაციის თეორიის განვითარების ძირითად პერსპექტივათა წარმოჩენისას დაფიქსირებული ეპისტემოლოგიური განსხვავებანი შეესაბამება ინტელექტუალური ევოლუციის კონკრეტულ დონეს საზოგადოების ისტორიული განვითარების თითოეულ ეტაპზე. ცხრილი № 1 სქემატურად გამოსახავს მოცემულ საკითხს.

კლასიკური პერსპექტივის აღმოცენება და საბოლოო სახით ფორმირება მოიცავს ორგანიზაციული თეორიის განვითარების საწყის პერიოდს, მოყოლებული მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე. ორგანიზაციის თეორიის კლასიკური პერიოდი, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვითარდებოდა, აერთიანებს იმ თეორიულ ნაზრევს, რომელმაც ფაქტობრივად ჩაუყარა საფუძველი თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებს. კლასიკური პერიოდის მოაზროვნეთაგან, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ორგანიზაციის თეორიის განვითარებაში, აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი სახელები: *ადამ სმიტი* („ერთა სიმდიდრის კონცეფცია“), *კარლ მარქსი* (კაპიტალისტური ორგანიზაციის კრიტიკა), *ემილ დიურკემი* (სოციალური შრომის დანაწილება, მექანიკური და ორგანული სოლიდარობა), *ფრედერიკ უინსლოუ ტეილორი* (მეცნიერული მენეჯმენტის თეორია), *მაქს ვებერი* (ლეგიტიმური

37 M. J. Hatch: *Organization Theory. Modern, Symbolic and Postmodern Perspectives*, Oxford: Oxford University Press, 1997: 5.

დომინაცია და ბიუროკრატიული ორგანიზაცია). ორგანიზაციული თეორიის კლასიკური პერიოდის ნააზრევი, კვლევის საგნის თვალსაზრისით, ძირითად ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ საზოგადოების ზეგავლენაზე ორგანიზაციის სტრუქტურის ფორმირების პროცესში, ასევე ორგანიზაციის მართვის პრობლემებზე. მოცემული მოდელისთვის აქტუალურია ასევე ისეთი საკითხები, როგორცაა ინდუსტრიალიზაციის გავლენა საზოგადოებაზე, ორგანიზაციის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდა. კვლევის მეთოდების თვალსაზრისით, კლასიკურ პერიოდში გამოიყენებოდა ასევე კლასიკური მეთოდები – ისტორიული ანალიზი, დაკვირვება და პირადი რეფლექსია კონკრეტული გამოცდილების მიღების შემდეგ. ორგანიზაციის კლასიკური თეორიის კვლევის შედეგებს კი წარმოადგენს მოცემულ სფეროში აკუმულირებული ინფორმაციის სისტემატიზირება, ცნებათა სისტემის ჩამოყალიბება, რეკომენდაციები ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებით.

მოდერნულ მიმართულებას ორგანიზაციის თეორიაში საფუძველი ჩაეყარა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში და დომინირებდა ინტელექტუალურ სივრცეში 80-იან წლებამდე. მოდერნული პერიოდი აერთიანებს შემდეგ მოაზროვნეებს: ჰერბერტ სიმონი, ტოლკოტ პარსონსი, ალფრედ გოულდნერი, მელვილ დალტონი, ლუდვიგ ფონ ბერტალანფი. ორგანიზაციის თეორიის მოდერნული პერსპექტივა, განსხვავებით კლასიკურისგან, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა საზოგადოებისა და ორგანიზაციის ურთიერთკავშირზე, საზოგადოებრივ გავლენებზე ორგანიზაციულ ცხოვრებაში, უკვე აქცენტს აკეთებს უშუალოდ ორგანიზაციის შესწავლაზე. ანალიზის ძირითადი ობიექტი ამ შემთხვევაში თავად ორგანიზაციაა, რაც შესაბამის კვლევით მეთოდებზეც ახდენს გავლენას. ამ მხრივ ხდება სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემისა და დესკრიფციული საზომის გამოყენება, სტანდარტული მაჩვენებლების ურთიერთმეფარდება. მოდერნული მიმართულება დებულობს ობიექტურ ეპისტომოლოგიურ ხასიათს, რის შედეგადაც ორგანიზაციული წარმონაქმნი შეისწავლება როგორც ობიექტი,

რომლის მაჩვენებლებიც შეიძლება გაიზომოს. შესაბამისად, მოცემული მიმართულება ახდენს მნიშვნელოვანი კვლევითი შედეგების აკუმულირებას, რომელთაც განეკუთვნება შედარებითი ანალიზის შედეგად მიღებული მაჩვენებლები, მრავალმხრივი სტატისტიკური ანალიზის ჯამური მონაცემები და სხვა.

სიმბოლურ-ინტერპრეტაციული მიმართულება გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ორგანიზაციულ-თეორიული ნააზრების შედეგია. იგი აერთიანებს შემდეგ თეორეტიკოსებს: *ალფრედ შულცი, ფილიპ სელცნიკი, პეტერ ბერგერი, თომას ლუკმანი, კლიფორდ გეერცი, როლანდ ბარტესი, ფერდინანდ სოსური* და სხვები. სიმბოლურ-ინტერპრეტაციული პერსპექტივა, მსგავსად მოდერნულისა, ასევე უშუალოდ ორგანიზაციის შესწავლაზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ სუბიექტური, და არა ობიექტური მნიშვნელობით. სიმბოლურ-ინტერპრეტაციული ორგანიზაციის თეორია ღებულობს სუბიექტური ეპისტომოლოგიის სახეს, რაც განაპირობებს ორგანიზაციის, როგორც ქმედითი სუბიექტის შესწავლას (და არა ორგანიზაციის, როგორც გაზომვადი სტრუქტურის ანალიზს, რასაც ადგილი ჰქონდა მოდერნული პერსპექტივის შემთხვევაში), რომლის აზრობრივი და ოპერაციული მაჩვენებლები უნდა გახდეს კვლევის განსაკუთრებული ობიექტი. მეთოდის თვალსაზრისით, სიმბოლურ-ინტერპრეტაციული პერსპექტივა იყენებს ჩართული დაკვირვების, პროფესიული ინტერვიუს და ეთნოგრაფიისა თუ სოციალური ანთროპოლოგიის სხვადასხვა მეთოდს, რის შედეგადაც მიიღება ემპირიული ინფორმაცია უშუალოდ ორგანიზაციის შინაგანი დინამიკის შესახებ, რაც კონკრეტულ სუბიექტურ შთაბეჭდილებებს ეფუძნება. მსგავსი გამოკვლევების საფუძველზე მიიღება მნიშვნელოვანი და საინტერესო სამეცნიერო შედეგები: ორიგინალური ნარატივები ორგანიზაციული რუტინის, კორპორაციის შინაგანი წესრიგისა და დინამიკის შესახებ.

ორგანიზაციის თეორიის *პოსტმოდერნული პერიოდის* ჩამოყალიბება იწყება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და წარმოდგენილია შემდეგი მოაზროვნეებით: *მიშელ ფუკო, ჟაკ დერიდა,*

ჟან-ფრანსუა ლიოტარი, რიჩარდ რორტი, ჟან ბოდრიარი. პოსტ-მოდერნიზმი, როგორც განუსაზღვრელობის და პარადოქსების ეპოქა, ზოგადად სოციალური თეორიის ტრანსფორმაციასთან ერთად, იწვევს ორგანიზაციის თეორიის რადიკალურ სახეცვლილებასაც. უპირველეს ყოვლისა, პოსტმოდერნული პერსპექტივა ცვლის თავად კვლევის ობიექტს – ნაცვლად ორგანიზაციისა, მისი შესწავლის საგანია უშუალოდ ორგანიზაციის თეორია და თეორიული ოპერაციები, თეორეტიზაცია როგორც პროცესი – თეორიის ფორმირება მოცემულ სფეროში. შესაბამისად, პოსტმოდერნული პერსპექტივა მოიცავს პირადად მკვლევარს თუ პრაქტიკოსს, რომელიც ცდილობს ორგანიზაციის არსის შემეცნებას. კვლევის მეთოდის თვალსაზრისით, პოსტმოდერნული ორგანიზაციული თეორია იყენებს დეკონსტრუქციისა და კრიტიკის მეთოდებს, რომლებიც ლიტერატურული ტექსტების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა და მიზნად ისახავს არსებული ტექსტის (თუ სოციალური რეალობის) ალტერნატიული წაკითვის შესაძლებლობის დემონსტრირებას. შესაბამისად, პოსტმოდერნული დისკურსი ორგანიზაციების შესახებ მიდრეკილია არსებული თეორიული კონსტრუქციების, განსხვავებებისა და ცნებების ობიექტურობაში ეჭვის შეტანისაკენ და ცდილობს „ალტერნატიული ჭეშმარიტების“ მოძლიერებას. ამდენად, მოცემული ტიპის გამოკვლევებისა და ნააზრევის შედეგია თვითრეფლექსურობა და თეორიული მონაცემები თუ კონსტრუქციები, მოპოვებული შინაგანი რეფლექსიისა და რეალობის დეკონსტრუქციის გზით.

ორგანიზაციის თეორიის ძირითადი პერსპექტივები:³⁸

პერსპექტივა	კვლევის ობიექტი	მეთოდი	კვლევის შედეგი
<i>კლასიკური</i>	– ორგანიზაციის გაუღენა საზოგადოებაზე. – ორგანიზაციის მართვა.	– დაკვირვება და ისტორიული ანალიზი. – პერსონალური გამოკვლევების რეფლექსია.	– ტიპოლოგია და თეორიული ანალიზი. – მართვის პრაქტიკის მოდელირება.
<i>მოდერნული</i>	– ორგანიზება „ობიექტური“ ზომების მეშვეობით.	– დესკრიფციული საზომები. – სტანდარტული მაჩვენებლების კორელაცია.	– შუღარებითი გამოკვლევები. – მრავალგვარი სტატისტიკური ანალიზი.
<i>სიმბოლურ- ინტერპრეტაციული</i>	– ორგანიზება „სუბიექტური“ ზომების მეშვეობით.	– ჩართული დაკვირვება. – ეთნოგრაფიული ინტერვიუს წარმოება.	– ნარატიული ტექსტები, მაგალითად ორგანიზაციული ეთნოგრაფია.
<i>პოსტმოდერნული</i>	– ორგანიზაციის თეორია და თეორეტიზაციის პროცესი.	– დეკონსტრუქცია. – თეორეტიზაციის პროცესის კრიტიკა.	– რეფლექსურობა და რეფლექსური მონაცემები.

38 M. J. Hatch: *Organization Theory. Modern, Symbolic and Postmodern Perspectives*, Oxford: Oxford University Press, 1997: 49.

V. ორგანიზაციის თეორიის ცვალებადი მეტაფორები

მსგავსად თეორიული პერსპექტივებისა, სოციალური ცვლილებები და ევოლუციური პროცესები კულტურისა თუ საზოგადოების სტრუქტურის სფეროში, განაპირობებენ იმ მეტაფორების, ცნებების, ტერმინოლოგიის, კონცეფციების ცვლილებას, რაც გამოიყენება ორგანიზაციის თეორიაში. მოცემული ცვლილებები ნათლად გადმოსცემენ ორგანიზაციული თეორიისა და პრაქტიკის დინამიკის მრავალფეროვან პროცესს.

კლასიკურ ორგანიზაციის თეორიაში კორპორაციული წარმონაქმნები განიხილება ერთგვარი მანქანის, მექანიზმის მსგავს ქმნილებებად. ორგანიზაცია მიჩნეულია ტექნიკურ მოწყობილობად, რომელიც იძლევა რეგულირებისა და კონკრეტული მიზნის მისაღწევად მისი ექსპლუატაციის საშუალებას. შესაბამისად, როგორც ორგანიზაცია, ასევე მისი მართვის პროცესი აღიქმება ტექნიკურ ფენომენად, რაც უთუოდ იმ პერიოდის ტექნიკურ რევოლუციებსა და ინდუსტრიალიზაციის ბუშთანაა დაკავშირებული. ორგანიზაციის მმართველი, მენეჯერი კი აღიქმება ინჟინრად, რომელიც პირადად ხელმძღვანელობს კორპორაციული მართვის ტექნიკურ პროცესს.

მოდერნული მიდგომის საფუძველზე აღმოცენდა ორგანიზაციის ახალი მეტაფორა – ორგანიზაცია აღიქმება ცოცხალ ორგანიზმად, სისტემად, რომელიც კომპლექსურ გარესამყაროში ადაპტირების მიზნით ასრულებს განსაზღვრულ ტექნიკურ ამოცანებს. მოცემული შეხედულების დამკვიდრება ბიოლოგიური ევოლუციონიზმის პოპულარიზაციის შედეგია, რომელიც ლუდვიგ ფონ ბერტალანფის მიერ განვითარებულ სისტემათა ზოგადი თეორიიდან ნასესხები ცოცხალი ბიოლოგიური სისტემის მეტაფორიდან იღებს სათავეს. ორგანიზაციის, როგორც ორგანიზმის მეტაფორა აყალიბებს კორპორაციული წარმონაქმნების შესახებ მოდერნულ შეხედულებას და ყურადღებას ამახვილებს ორგანი-

ზაციის დამოკიდებულებაზე გარესამყაროსადმი, ტექნოლოგიაზე, როგორც ორგანიზაციული ტრანსფორმაციის ძირითად საშუალებაზე და სტრუქტურულ ადაპტაციაზე, რაც საბოლოო ჯამში აყალიბებს ორგანიზაციის სტრატეგიულ მიმართულებებს. ასეთი ორგანიზაციის მენეჯერი კი წარმოადგენს მოცემული ცოცხალი სისტემის ნაწილს, რომელსაც მხოლოდ სისტემაზე დამოკიდებულებით შეუძლია მისი მართვა.

ორგანიზაციის თეორიის სიმბოლურ-ინტერპრეტაციული მიმართულება კორპორაციის მეტაფორად იყენებს კულტურის ცნებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეტაფორა ერთგვარ გაუგებრობას შეიძლება იწვევდეს, მისი მეშვეობით მოსახერხებელია ორგანიზაციის არსისა და წინააღმდეგობრივი ბუნების შემეცნებისათვის ახალი წყაროების მიღება. ორგანიზაციის, როგორც კულტურული წარმონაქმნის მეტაფორა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კორპორაციულ ჩვეულებებსა და ტრადიციებს, სხვადასხვა ნარატივსა და სიმბოლოს. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია განიხილება როგორც კონკრეტული ჩვეულებებით, ტრადიციებით, საერთო ფასეულობებით გაერთიანებული ადამიანთა კავშირი, ხოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი აღიქმება როგორც ორგანიზაციის სიმბოლო, კორპორაციული ტრადიციების დამცველი და მატარებელი.

ორგანიზაციის თეორია როგორც ყოვლისმომცველი, მრავალფეროვანი კოლაჟი პოსტმოდერნული პერსპექტივის გამოძახილია. პოსტმოდერნული წარმოდგენით თავად ორგანიზაციის თეორია ხდება ორგანიზაციის თეორიის შესწავლის საგანი – იქმნება ცირკულარული თვითრეფერირების ერთგვარი აუცილებლობა. ამდენად, მოცემული მეტაფორა გულისხმობს მეტათეორიას – ორგანიზაციის უნივერსალურ თეორიას ორგანიზაციის თეორიების შესახებ. კოლაჟის ცნება გამოიყენება იმ მრავალფეროვანი თეორიული საფუძვლისა თუ წინააღმდეგობრივი მოძღვრებების აღსანიშნავად, რომლებსაც იყენებენ პოსტმოდერნი თეორეტიკოსები კორპორაციების შესახებ ერთგვარი ნარევი, ქაოსური სურათის შესაქმნელად. ამ დროს თეორეტიკოსი იქცევა მხატვრად და ჭრე-

ლი, ყოვლისმომცველი პალიტრის გამოყენებით, თეორიული ინტერტექსტუალობის გზით, ქმნის ახალ თეორიას. თეორეტიკოსი ამ შემთხვევაში სიმულირებს და ახდენს დამკვიდრებული წარმოდგენებისა თუ აპრობირებული პრაქტიკის დეკონსტრუქციას. ყოველივე ეს განაპირობებს ორგანიზაციის მენეჯერის გაიგივებას თეორეტიკოსთან. სწორედ თეორეტიკოსის ფუნქციას არსებული ინფორმაციის საფუძველზე ახალი, ორიგინალური, ალტერნატიული, კრიტიკული ინფორმაციის შექმნა, რომელსაც მსოფლალქმის საკუთარი პერსპექტივა და ჭეშმარიტების საკუთარი ვერსია ექნება გამომუშავებული. ამ ორიგინალური შეხედულებების თანახმად, მენეჯერი აყალიბებს ორგანიზაციის სტრუქტურას, როგორც თეორიას, შესაბამისად – ორგანიზაციის მართვის პროცესი უტოლდება თეორიის შენების პროცესს.

ცხრილი № 2 გადმოსცემს მოცემულ დებულებებს სქემატურად.

ორგანიზაციის თეორიის ძირითადი მეტაფორები:³⁹

პარსამპტივა	მეტაფორა	ორგანიზაციის არსი	ორგანიზაციის მენეჯერი
კლასიკური	მანქანა	მანქანა, რომელიც შექმნილია წინასწარ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.	ინჟინერი, რომელიც აშენებს და მართავს ორგანიზაციულ მანქანას.
მოდერნული	ორგანიზმი	ცოცხალი სისტემა, რომელიც ასრულებს რთულ სამყაროში ადაპტირებისთვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს.	ადაპტირებადი სისტემის ნაწილი.
სიმბოლურ-ინტერ-პრეტაციული	კულტურა	აზრობრივი მოდელი, რომელიც შექმნილია ინდივიდთა კავშირებით საერთო ფასეულობების, ტრადიციებისა და ჩვეულებების საფუძველზე.	ადამიანი – ორგანიზაციის სიმბოლო.
პოსტმოდერ-ნული	კოლაჟი	ორგანიზაციის თეორია არის კოლაჟი, რომელიც შედგება ახალი მიმართულების შექმნის მიზნით სხვადასხვა პერსპექტივიდან თავმოყრილი ცოდნის და შემეცნების ნაწილებისაგან.	თეორეტიკოსი, რომელიც არის ხელოვანი.

39 M. J. Hatch: *Organization Theory. Modern, Symbolic and Postmodern Perspectives*. Oxford: Oxford University Press, 1997: 52.

VI. ორგანიზაციათა დენაციონალიზაცია:
საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო
ორგანიზაციები

თანამედროვე მსოფლიო საზოგადოების დენაციონალიზაციის მზარდი პროცესებისა და საერთაშორისო მობილობის, გლობალური სოციალური მოძრაობებისა თუ ინტერკულტურული კომუნიკაციების ზრდის პარალელურად ყალიბდება ახალი ორგანიზაციული ფორმები, რომელთა მოქმედება სცილდება კონკრეტული ნაციონალური იურისდიქციის ფარგლებს. ასეთი ინსტიტუტების მაგალითია საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მსოფლიოს ნებისმიერ გეოგრაფიულ სარტყელში, მიუხედავად მათი ტერიტორიული მდებარეობისა, განსაზღვრავენ და არეგულირებენ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ პროცესებს და ყალიბდებიან გლობალური პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური ცვლილებების დომინანტ სუბიექტებად. კორპორაციული დინამიკის ზოგიერთი მკვლევარი იმასაც ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლითა და ერთსახოვანი პოლიტიკის გატარებით ეროვნული სახელმწიფოები სულ უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს.⁴⁰

საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმირება არ წარმოადგენს სიახლეს თანამედროვე სამყაროში. არსებობს მრავალი მაგალითი, მოყოლებული ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან, რითაც დასტურდება საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი ორგანიზაციული წარმონაქმნებისა თუ სხვადასხვა სახის ბიზნეს ალიანსების არსებობა. თუმცა საჯარო-პოლიტიკური სფეროს მარეგულირებელი, კლასიკური ფორმისა და სტრუქტურის საერთაშორისო ორგანიზაცია, მკაცრად ჩამოყალიბებული საწესდებო პრინციპებით, კონკრეტულად განსაზღვრული ფუნქციებით, შიდაორგანიზაციული ნორმირებით, ბიუროკრატიული აპარატითა და წევრი სახელმწი-

40 W. R. Scott and J. W. Meyer: *Institutional Environments and Organizations: Structural Complexity and Individualism*, Thousand Oaks: Sage, 1994.

ფოებით მხოლოდ 1919 წლიდან – ერთა ლიგის შექმნიდან იღებს სათავეს.

სოციოლოგები განასხვავებენ საერთაშორისო არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებს⁴¹ (International Non-Governmental and Governmental Organizations – მიუხედავად ამ უკანასკნელის სახელწოდების უცნაური, ერთგვარად არატრადიციული ჟღერადობისა სამართალმცოდნეებისათვის). საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები კერძო გაერთიანებებია, მიუხედავად იმისა, რომ მათი საქმიანობის სფერო შეიძლება იყოს საჯარო სფეროს კონკრეტული სეგმენტის შესწავლა და მონიტორინგი. საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები კი წარმოადგენენ საჯარო-სამთავრობო გაერთიანებებს, სხვადასხვა ფორმის საერთაშორისო ალიანსებს, რომლებიც იქმნებიან კონკრეტულ სფეროში, განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, უშუალოდ ნაციონალურ ხელისუფლებათა ინიციატივითა და მხარდაჭერით.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია (INGO) ყალიბდება ინდივიდთა ან კერძო ორგანიზაციათა გაერთიანების სახით, რომლებიც მიზნად ისახევენ ეკონომიკურად არამომგებიან სოციალურ აქტივობას კონკრეტულ სფეროში, რის შედეგადაც იქმნება განსაზღვრულ სფეროში მოღვაწე პირთა და ორგანიზაციათა საერთაშორისო ქსელი. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა რიგს განეკუთვნებიან მსოფლიოში ცნობილი ინსტიტუტები, როგორცაა მაგალითად Amnesty International, Human Rights Watch, Greenpeace, World Social Forum. დასახელებული ორგანიზაციები ეფექტიანად მოქმედებენ ისეთ აქტუალურ და გლობალური მნიშვნელობის სფეროებში, როგორცაა ადამიანის უფლებების თუ გარემოს დაცვა, ამასთანავე პროტესტის სხვადასხვა ფორმით ეწინააღმდეგებიან ნეოლიბერალური გლობალიზაციის ექსპანსიას, მასშტაბური სოციალური კამპანიების წარმოებითა და სხვადასხვა სახის აქტივობით ხშირად აღწევენ წარმატებებს კონკრეტული სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციის გადაწყვეტილების

41 A. Giddens: *Sociology*, 5th Edition, Cambridge: Polity Press, 2006: 651.

და კონკრეტული მიუღებელი ინიციატივის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირის (კავშირის ან ფონდის) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, კონკრეტულ საყაროში მათი მოქმედება უფრო ეფექტიანია, ვიდრე ცალკეულ სახელმწიფოს თუ სახელმწიფოთა ალიანსის კოლექტიური ძალი-სხპკვა განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციის შესაქმნელად საკმარისი არ არის კერძო ორგანიზაციებისა და ინდივიდების საერთო ინტერესი – ამისათვის აუცილებელია სამთავრობო შეთანხმება ორ ან მეტ მხარეს შორის, რის შედეგადაც ყალიბდება მკაცრად ბიუროკრატიზებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი წარმონაქმნი. 1945 წელს შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თავისი სტრუქტურითა და მოქმედების მასშტაბით, წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციის კლასიკურ მაგალითს (მიუხედავად მოცემულ ორგანიზაციაში ცალკეული გადაწყვეტილების მიღებასა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებული არსებითი პრობლემებისა). საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციის ნიმუშად სოციოლოგები ხშირად მოიხსენიებენ ევროპის გაერთიანებასაც, თუმცა, იურიდიული თვალსაზრისით ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სუპრანაციონალურ და არა ტრადიციულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან.⁴² საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ გაატარონ საკუთარი გლობალური ინტერესები, რის მისაღწევადაც იყენებენ წევრ სახელმწიფოთა ინდივიდუალურ და კოლექტიურ ძალისხმევას. მოცემულ ორგანიზაციათა სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი ხშირად ხდება კრიტიკის მიზეზი, რადგან არცთუ იშვიათად წევრ სახელმწიფოთა შორის ძალთა ბალანსის დარღვევა აშკარაა და გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების მექანიზმი მონოპოლიზებულია მხოლოდ

42 სამართლის საერთაშორისო და სუპრანაციონალური დონეების გამოჯენის შესახებ იხ.: ლ. ბრეჯაქი: „კონსტიტუციური პლურალიზმი: გლობალური კონსტიტუციონალიზმი მსოფლიო საზოგადოებაში“, ადამიანი და კონსტიტუცია, 2006, № 4: 7-20, 15.

რამდენიმე სუბიექტის ხელში, რისი საუკეთესო მაგალითიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო.

საერთაშორისო არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა დიდი სისწრაფით იზრდება. თუ მეოცე საუკუნის დამგვეს მათი საერთო რაოდენობა ათეულებს ძლივს აღწევდა, ოცდამეერთე საუკუნეში ათასობით ორგანიზაციაა ოფიციალურად დარეგისტრირებული, რომელთა მოქმედების არეალიც დიდი ხანია გასცდა კონკრეტული სახელმწიფოს იურისდიქციას და შეუერთდა ორგანიზაციათა გლობალურ ქსელს. საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო კორპორაციულმა წარმონაქმნებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს ორგანიზაციის სტრუქტურული ფორმა, მოქმედების შინაარსი და ორგანიზაციული ძალაუფლების მასშტაბები.

VII. ორგანიზაციის ცვალებადი ფორმები გლობალიზაციის პირობებში: ტრანსნაციონალური და ვირტუალური კორპორაციები

ტრანსნაციონალური კორპორაციის, როგორც ახალი ორგანიზაციული ფორმის აღმოცენება წარმოადგენს გლობალური კაპიტალიზმის ევოლუციის უპირობო შედეგს. ტრანსნაციონალურ კორპორაციას უწოდებენ საწარმოს, რომელიც მდებარეობს და საქმიანობას ეწევა ორ ან მეტ ქვეყანაში. ცალკეულ შემთხვევაში ტრანსნაციონალურ კორპორაციას შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული სახელმწიფოებრივი, ეროვნული წარმომავლობა და საფუძველი, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი ორიენტირებულია გლობალური ბაზრებისაკენ, ცდილობს შემოსავლის დივერსიფიკაციას და მომსახურების წარმოებას გლობალური მასშტაბით. ნეოლიბერალიზმი, წინააღმდეგობრივი მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური ზრდა შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალისტურ წარმოებაზე და თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებითა და ბიზნესის გათავისუფლებით სახელმწიფოებრივი კონტროლისაგან თუ სხვადასხვა ბიუროკრატიული შეზღუდვისაგან, იქცა ტრანსნაციო-

ნალური კორპორაციების აღმოცენების თეორიულ საფუძველად და განმსაზღვრელ საზომად. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაცია იურიდიულად დაფუძნებულია კონკრეტულ მისამართზე, მისი საქმიანობის კონტროლიზ შესაძლებლობა მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციის გამოყენებით ფაქტობრივად მინიმალურიზებულია.

ტრანსნაციონალური კორპორაციები, გლობალური ბიზნეს-ტრანზაქციების შესრულებისას და პარტნიორებთან ურთიერთობებისას ხელმძღვანელობენ ძირითადად საკუთარი კორპორატიული ნორმებით, შიდაორგანიზაციული ნორმატიული წესრიგით, ბიზნეს-ეთიკის აღიარებული პრინციპებით, ორგანიზაციული ქცევის კოდექსით, შინაგანაწესითა და გლობალური კერძო ინტერაქციების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკით. გლობალურ დონეზე მოქმედი კერძო კორპორაციები იშვიათად ახდენენ წარმოშობილ იურიდიულ დავათა ფორმალიზებას და ცდილობენ თავი აარიდონ კონკრეტული ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში დავის გადაწყვეტას: ნაცვლად მართლმსაჯულების ოფიციალური სისტემისა იყენებენ ტრანსნაციონალური კერძო არბიტრაჟის მომსახურებას. არბიტრაჟზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას კი, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, განაპირობებს უშუალოდ ბაზარი – მხარე რომელიც თავს არიდებს აღიარებული საარბიტრაჟო პალატის გადაწყვეტილების აღსრულებას, კარგავს რეპუტაციას და განიდევნება ბაზრიდან. შესაბამისად, ტრანსნაციონალური კერძო არბიტრაჟი აღსრულების უფრო ეფექტიანი მექანიზმებით გამოირჩევა, ვიდრე სახელმწიფოებრივ კონტროლს დაქვემდებარებული მართლმსაჯულების სისტემა, სადაც დავების გადაწყვეტა ხორციელდება საკმაოდ მოუქნელი პროცედურების დაცვითა და ხშირად ფიზიკურ ძალადობაზე დამყარებული იძულების მექანიზმის გამოყენებით. ტრანსნაციონალურ ბიზნეს-ურთიერთობებში ჩართული მხარეები კი მაქსიმალურად მოწოდებულნი არიან შეინარჩუნონ არსებული საქმიანი ურთიერთობები და შესაბამისად დაემორჩილონ კერძო მართლმსაჯულებას, შეასრულონ დავების მოგვარების

ალტერნატიული მექანიზმის – არბიტრაჟის გადაწყვეტილებანი. ამის საფუძველზე უფრო ადვილია შეინარჩუნებულ იქნეს კორპორაციული რენომე, ავტორიტეტი ბაზარზე. შესაბამისად, მხარეები ემორჩილებიან გლობალური კაპიტალიზმის დინამიკას, რაც მათი ინტერესებიდანვე გამომდინარეობს.

მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციები სწორედ კერძო მართლმსაჯულების (Private Justice) ფორმის გამოყენებით, საჯარო პრობლემის კერძო სფეროში გადატანით ახერხებენ იურიდიული დავების დიდი ნაწილის მოგვარებას და ამ გზით ინარჩუნებენ ბაზარსაც და ბიზნეს-პარტნიორსაც. სწორედ ეს განაპირობებს ელიტარული იურისტებისა და პრესტიჟული არბიტრების პროფესიული ჯგუფის მომრავლებას, რომლებიც დომინირებენ მსოფლიოს სხვადასხვა სოლიდურ საარბიტრაჟო პალატაში. შესაბამისად, არბიტრთა მიუკერძოებლობაც, კონკრეტული დავის განხილვისას მათი ობიექტურობა და მაღალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისი მომსახურებაც ასევე ბაზრის ზეწოლითაა განპირობებული – არბიტრი, რომელიც შეეცდება მიიღოს უსამართლო, მიკერძოებული გადაწყვეტილება, კარგავს რეპუტაციას და ემშვიდობება იურისტთა მომსახურების ელიტარულ ბაზარს, სადაც თავის ხელახალი დამკვიდრება ფაქტობრივად გამორიცხებულია. მსხვილ კორპორაციულ დავებში თავად მხარეები არიან მოწადინებულნი, რომ კონკრეტული იურიდიული დავა გადაწყდეს რაც შეიძლება მალე, ეფექტიანად და ფორმალიზების მინიმალისაციით, რაც ხელს უწყობს მხარეთა საბოლოო მორიგებას და ახალი ბიზნეს ურთიერთობების ინიცირებას.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის ანალიზი აჩვენებს, რომ მათი ორგანიზაციული ფორმა და საქმიანობის მიმართულებანი სრულიად შეესაბამება კაპიტალიზმის ძირითად პრინციპებს. მიუხედავად მრავალი საფუძვლიანი კრიტიკისა (ძირითადად მემარცხენე პოზიციებიდან) და არსებითი ხარვეზისა, რომელითაც ხასიათდება კაპიტალისტური ფორმაცია, იგი დღემდე რჩება წარმოების ყველაზე ფართომასშტაბიან სისტემად, რომე-

ლიც გამოირჩევა შემდეგი პრინციპებით: კერძო საკუთრების უზენაესობა; შემოსავლის ზრდის პრიმატი; თავისუფალი კონკურენცია ბაზრების მოსაზიდად; იაფი ნელლეულისა და შრომის გამოყენება; მუდმივი ექსპანსია და ინვესტირება, რაც ემსახურება კაპიტალის დაგროვებას. სწორედ მოცემული პრინციპების წარმატებულმა ათვისებამ და ცხოვრებაში რეალიზებამ აქცია ტრანსნაციონალური კორპორაციები თანამედროვე გლობალური ბაზრების დომინანტ სუბიექტებად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები საკუთარი ინტერესებისთვის ზედმიწევნით იყენებენ კაპიტალისტური წარმოების ძირითად პრინციპებს, ზშირად თავიანთი საქმიანობით ზღუდავენ ბაზრის თავისუფლებას სხვა სუბიექტებისთვის. თავისუფალი კონკურენცია ბაზარზე, როგორც კაპიტალიზმის ძირითადი პრინციპი, ისევ ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ექსპანსიამ დააყენა ეჭვქვეშ – ძირითადად სწორედ მსხვილი კომპანიების ფარული თუ ღია ალიანსი განსაზღვრავს ბაზრის ტრანსფორმაციას და ფასების ცვლილებას კონკრეტულ საქონელზე, და არა ბაზარი. მსოფლიო ბაზრებზე სწორედ გიგანტურმა კორპორაციებმა დაამკვიდრეს მონოპოლიური ურთიერთობები და შთანთქეს ლოკალური, მცირე საწარმოები, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში აქციეს საკუთარ მიმწოდებლებად, რომელთაც თავადვე უდგენენ მიწოდებული მომსახურებისა თუ ნელლეულის ფასს.

ტრანსნაციონალური კორპორაციის სინონიმად იხმარება მულტინაციონალური კორპორაციის ცნებაც,⁴³ თუმცა უპირატესობას პირველს ანიჭებენ, რადგან მისი მეშვეობით ცხადდება, რომ კონკრეტული კომპანია, თავისი ფილიალებისა თუ წარმომადგენლების მეშვეობით, შეიძლება ფუნქციონირებდეს ეროვნულ იურისდიქციათა მიღმა, ჰქონდეს ბიზნეს კომუნიკაციები ერთდროულად რამდენიმე ქვეყანასა თუ კერძო პარტნიორთან. ცალკეული გიგანტური ტრანსნაციონალური კორპორაციის ყოველწლიური შემოსავალი საგრძნობლად აღემატება მრავალი ქვეყნის ბიუჯეტს.

43 A. Giddens: *Sociology*, 5th Edition, Cambridge: Polity Press, 2006: 658.

მსოფლიო გლობალურ ბაზრებზე დომინირებენ ამერიკული და იაპონური წარმოშობის ტრანსნაციონალური კორპორაციები. გიგანტური კომპანიები სულ უფრო ზრდიან თავიანთ ინვესტიციებს და ახდენენ კაპიტალის ექსპანსიას ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში, რასაც ხელს უწყობს ტექნოლოგიური პროგრესი, გლობალური კომუნიკაციების სისტემებისა და სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობა თანამედროვე „გლობალურ სოფელში“.⁴⁴

ორგანიზაციის თეორიაში მიღებულია ტრანსნაციონალური კორპორაციების სამ ჯგუფად დაყოფა: *ეთნოცენტრული*, *პოლიცენტრული* და *გეოცენტრული ტრანსნაციონალური კორპორაციები*.⁴⁵ (1) ეთნოცენტრულ ტრანსნაციონალურ კორპორაციებში ორგანიზაციული პოლიტიკა განისაზღვრება და ხორციელდება მოცემული ორგანიზაციის დაფუძნების ადგილიდან, ქვეყნიდან, რომელშიაც მდებარეობს კონკრეტული ორგანიზაცია ან იმყოფება მისი ცენტრალური ფილიალი. ძირითადი ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ქვესტრუქტურები იმართება ცენტრიდან. (2) პოლიცენტრულ ტრანსნაციონალურ კორპორაციებში ძირითადი კომპანიის ფილიალები თუ წარმომადგენლობები საზღვარგარეთ იმართება ადგილობრივი უცხოური კომპანიების მიერ. ძირითადი ორგანიზაცია ლოკალურ კომპანიებს უწესებს სახელმძღვანელო პრინციპებსა და სტანდარტებს, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება მათი მუშაობა. „მშობელი კომპანიის“ მიერ „შვილობილი კომპანიის“ პოლიცენტრული მართვისას გამოიყენება ნდობისა და კონტროლის მექანიზმთა ერთგვარი ბალანსი. (3) გეოცენტრული ტრანსნაციო-

44 „გლობალური სოფელი“ არის ორიგინალური მეტაფორა, რომელიც დაამკვიდრა კანადელმა ფილოსოფოსმა და მედიის თეორეტიკოსმა, მარშალ მაკლუჟანმა (Global Village), რომლის მიხედვითაც ელექტრონული კომუნიკაციისა და მედიის ექსპანსიამ თანამედროვე მსოფლიო დაამსგავსა მცირე სოციალურ ჯგუფს, ერთობას – ადამიანები დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ერთსა და იმავე ახალ ამბებს ადვენებენ თვალყურს ტელევიზიის მეშვეობით, ღებულობენ იდენტურ ინფორმაციას და ცხოვრობენ მსგავსი პრობლემებით. იხ.: M. McLuhan: *Understanding Media*, London: Routledge & Kegan Paul, 1964.

45 A. Giddens: *Sociology*, 5th Edition, Cambridge: Polity Press, 2006: 659.

ნალური კორპორაციები წარმოადგენენ მართვის თვალსაზრისით მართლაცდა საერთაშორისო ორგანიზაციებს – მათი მართვის, მენეჯმენტის სისტემები გლობალურად ინტეგრირებულია და კვალიფიციურ მენეჯერთა მობილურ ჯგუფს შეუძლია ეფექტიანად მართოს კომპანია საჭიროებისას ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადაადგილებისა და საქმის ვითარების ადგილზე ანალიზის მეშვეობით.

გლობალური კაპიტალის დენაციონალიზაცია განაპირობებს მსხვილ კორპორაციულ სუბიექტთა სივრცობრივ თავისუფლებას. დროისა და სივრცის ტრანსფორმაციამ განაპირობა ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ადგილმდებარეობის მნიშვნელობის დაკნინებაც. განსხვავებით ტრადიციული კომპანიებისაგან, რომლებიც საკუთარ ბიზნესს მართავენ ცენტრალური ოფისებიდან, თანამედროვე ორგანიზაციის მობილურ მენეჯერებს და მმართველ ჯგუფებს შეუძლიათ საჭირო კონტაქტი დაამყარონ ერთმანეთთან და კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის მეშვეობით მართონ ორგანიზაცია მაშინაც კი, როდესაც ისინი დედამიწის სხვადასხვა წერტილზე იმყოფებიან. კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგია ერთგვარ შესატყვისობაშია მოსული გლობალური ბაზრებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ევოლუციის დონესთან – ის მსოფლიოს ნებისმიერ ადგილზე აღწევს.

გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური ინოვაციების საუკუნე განაპირობებს კლასიკური ორგანიზაციული ფორმისა და სტრუქტურის რადიკალურ ტრანსფორმაციას. ინტერნეტის ყოვლისმომცველმა ზეგავლენამ სოციალური ცხოვრების თითოეულ სფეროში შეაღწია და რეგულირებისა თუ კონტროლის, ასევე ინფორმაციისა და მომსახურების მიწოდების უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცა. თანამედროვე პოლიტიკურ სისტემას ხშირად მოიხსენიებენ ელექტრონული მმართველობის (E-Government), ხოლო ეკონომიკის სისტემას – ელექტრონული ბიზნესის (E-Business) სისტემებად;⁴⁶

46 W. Gora und H. Bauer (Hrsg.): *Virtuelle Organisationen im Zeitalter von E-Business und E-Government: Einblick und Ausblicke*, Berlin: Springer, 2001.

თანამედროვე საზოგადოებას კი ზოგადად ინტერნეტის საზოგადოებასაც უწოდებენ.

პოსტმოდერნიზმის ეპოქა სივრცის, დროის, მატერიის, განზომილებისა და სტრუქტურის კლასიკურ ფორმათა დეკონსტრუქციის ხანად ითვლება. სოციალური სფეროს ტრანსფორმაციის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი თანამედროვე სამყაროში ინტერნეტის უსწრაფესი გავრცელებაა, რომლის ვირტუალური ქსელი დედამიწის ყველა კონტინენტზე აღწევს და ელექტრონული კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით აკავშირებს ერთმანეთთან უცნობ ადამიანებსა თუ უცნობ სივრცეებს. კომუნიკაციის პროცესის მეშვეობით ყალიბდება კონკრეტული ურთიერთობი, სოციალური ინტერაქციის განსაზღვრული ფორმები, რაც საბოლოო ჯამში კიბერ-სივრცეში ორგანიზების განსაზღვრული პროცესების დაწერგვას, თუნდაც კიბერ-ურთიერთობების რეგულირებას განაპირობებს. ორგანიზების პროცესები კი კოლექტიურ მოქმედებაში, ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბებაში გადაიზრდება რაც, ვირტუალური კომუნიკაციების მსგავსად, ასევე ვირტუალურ ფორმას ღებულობს.

ვირტუალური ორგანიზაციების მარტივი ფორმების დამკვიდრება ხელს უწყობს კომპლექსური კიბერ-კორპორაციების აღმოცენებას. თანამედროვე სამყაროში საკმაოდ გავრცელებულია ინტერნეტის მეშვეობით კონკრეტული ონლაინ-მაღაზიებით სარგებლობა (მაგალითად, ისეთი ფართოდ მოხმარებადი ინტერნეტ-მაღაზები, როგორიცაა: www.ebay.com; www.amazon.com). ხშირად, მსხვილი საწარმოები თავიანთ მომსახურებას მხოლოდ ონლაინ-რეჟიმში მიღებულ შეკვეთებზე აწარმოებენ, რის შემდეგაც შეკვეთილი საქონელი ფოსტის მეშვეობით ეგზავნება შემკვეთებს. საკრედიტო ბარათების მომხმარებელთა ზრდა პირდაპირპროპორციულად განაპირობებს ვირტუალური ორგანიზაციების გამოყენების გავრცელებას.

ვირტუალური ორგანიზაციების მოქმედების მასშტაბები აღასტურებენ გლობალური კაპიტალური ბაზრების ყოვლისმომცვე-

ლობისა და მზარდი ექსპანსიის ფაქტს. მსოფლიო ეკონომიკის დინამიკა საქონლის მიწოდების გლობალური ფორმების ძიებაშია, რის თვალსაჩინო შედეგსაც კიბერ-სივრცეში ჩამოყალიბებადი ორგანიზაციული წესრიგები და უახლესი კორპორაციული ფორმები წარმოადგენენ.

VIII. დასკვნა

პოსტმოდერნიზმის ეპოქის ორგანიზაციული დინამიკა, საზოგადოებრივი რეალობის ყოველ მნიშვნელოვან სექტორში კორპორაციული ძალაუფლების ზრდა და ორგანიზაციათა რეგულირების სფეროს ყოვლისმომცველობა ცხადყოფს, რომ თანამედროვე საზოგადოების უმნიშვნელოვანეს სტრუქტურებს, სამყაროს ყველაზე გავლენიან სუბიექტებს დღესდღეობით სწორედ ორგანიზაციული წარმონაქმნები წარმოადგენენ. კონკრეტული ორგანიზაციები, მაგალითად უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციები, ფინანსური, პოლიტიკური თუ სამხედრო ძალაუფლების უფრო მეტ ბერკეტს ფლობენ, ვიდრე ცალკეული სახელმწიფოები ან სახელმწიფოთა გაერთიანებანი. მართვის დენაციონალიზებული მოდელი, კერძო რეგულირების პრინციპი და კორპორაციული ორგანიზების ფორმა სოციალური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში აღწევს და წარმატებით მკვიდრდება. ერთ დროს აქტუალური *კონფლიქტი სახელმწიფოსა და ორგანიზაციას შორის* ლოგიკურ წინააღმდეგობამდე მიდის და აზრს კარგავს – თითოეული სახელმწიფოც ხომ კორპორაციული ფორმით არსებობს, ყოველი სახელმწიფოც ხომ თავად არის ორგანიზაცია. სწორედ ეს განაპირობებს პოსტმოდერნულ სოციალურ რეალობაში აღმოცენებული მსოფლალქმის ორიგინალობასა და ამავე დროს ჭეშმარიტებასაც, რომლის მიხედვითაც თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება არის არა სახელმწიფოთა თანამეგობრობაზე დაფუძნებული პოლიტიკური წარმონაქმნი, არამედ სოციალური ქსელებითა და ფუნქციონალური კომუნიკაციებით შეკავშირებული ორგანიზაციების საზოგადოება.

მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა. საკუთრების უფლების თავისებურებანი კორპორაციულ საზოგადოებებში (საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით)

I. მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა

1. მეწარმის კერძოსამართლებრივი ცნება

მეწარმის ცნების საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში პირველად დაისვა 2006 წლის 13 ივლისის №1/2/378 გადაწყვეტილებაში საქმეზე – „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ ამ საკითხის განხილვის აუცილებლობა განაპირობა იმან, რომ მოსარჩელეს პარლამენტმა სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტა იმ მოტივით, რომ იგი ეწეოდა დეპუტატისათვის კანონით შეუთავსებელ საქმიანობას, კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობას. სასამართლოს წინაშე დაისვა საკითხი – გამოერკვია სამეწარმეო საქმიანობის ბუნება, კერძოდ, დაედგინა მეწარმის, როგორც სუბსტანციური კატეგორიისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ისე დეპუტატისათვის შეუთავსებლობის კუთხით მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბუნება. ამდენად, სასამართლომ შეისწავლა მეწარმის, როგორც არსობრივი ცნება, ისე მისი მიზნობრივი ცნება.

ამჯერად შევეხთ მეწარმის კერძო-სამართლებრივ ცნებას. მეწარმედ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, ითვლება ის პირი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მე-2-ე წინა-

დადების მიხედვით, „სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლ-ზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.“ სასამართლომ სამეწარმეო საქმიანობის მოცემული ცნება ჩათვალა მის სუბსტანციურ კერძო-სამართლებრივ ცნებად, ხოლო ამ საქმიანობის განმახორციელებლად მიიჩნია გარკვეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მოწყობილი საწარმო, როგორც ეს განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტით. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების დროს ამ მუხლში საუბარი იყო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე, რაშიც სასამართლომ კონკრეტული მეწარმე სუბიექტები დაინახა. მის ამჟამინდელ რედაქციაში პირდაპირ მინიშნებულია იმაზე, რომ გარკვეული ფორმით არსებული სუბიექტი მეწარმე სუბიექტია. კერძოდ, მასში ნათქვამია: „მეწარმე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სამეწარმეო ამხანაგობა, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.“ ამდენად, მეწარმედ ფიზიკური პირი ითვლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც იგი ინდივიდუალური მეწარმეა, სხვა დროს, ყველა შემთხვევაში მეწარმეებია იურიდიული პირები. რაც შეეხება იურიდიული პირების წარმომადგენლობით სუბიექტებს, მათ შესახებ სასამართლომ აღნიშნა: „სამეწარმეო საქმიანობის კერძო-სამართლებრივი გაგების ვითარებაში, როდესაც მეწარმე იურიდიული პირია, შეუძლებელი და ლოგიკას მოკლებულია საწარმოს ხელმძღვანელი (წარმომადგენელი) განვიხილოთ მეწარმედ, ვინაიდან უსაფუძვლოა საწარმო მისი დირექტორის, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის იდენტური იყოს.“¹

დასკვნის სახით, მეწარმეობის კერძო-სამართლებრივი ცნე-

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2006-2007, ბათუმი, 2009, 60-61.

ბის კუთხით სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა ასეთი პოზიცია: საწარმოს ხელმძღვანელის უფლებამოსილების ბუნება ვერ შეფასდება სამეწარმეო საქმიანობის ნიშნებით, ვინაიდან ეს ნიშნები სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთათვის დამახასიათებელი ნიშნებია. საწარმოს ხელმძღვანელი, განახორციელებს თუ არ განახორციელებს სამეწარმეო საქმიანობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, ყველა შემთხვევაში იგი საწარმოს წარმომადგენელია და არა მეწარმე.

2. მეწარმის კონსტიტუციური- სამართლებრივი ცნება

ერთი შეხედვით არ შეიძლება არსებობდეს მეწარმის სხვა ცნება გარდა კერძო-სამართლებრივისა, ვინაიდან ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა ცნების ერთიანობის იდეასთან. საკმარისია დავუშვათ ერთი მოვლენის რამდენიმე ცნება, რომ განუსაზღვრელი და გაურკვეველი დაგვრჩება თავად მოვლენა. ეს მართლაც ასეა, ცნება ერთა და მას სუბსტანციური ცნება ჰქვია, მაგრამ სამართლისათვის დამახასიათებელი პრაქტიკული გონიერება და ეგზისტენციალურობა ზოგჯერ მოითხოვს ერთი მოვლენის ძირითად ცნებასთან ერთად მიზნობრივი, პირობითი ცნებების არსებობას. გარკვეული, კონკრეტული შემთხვევებისათვის ამა თუ იმ ცნებამ, შეიძლება სახე იცვალოს.

საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის თანახმად, „პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას.“ თუკი პარლამენტის წევრი დაარღვევს ამ მოთხოვნას, კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მას ვადაძღვე შეუწყდება უფლებამოსილება. ბუნებრივია, თუკი პარლამენტის წევრი განახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებულ საქმიანობას ინდივიდუალური მეწარმის სახით, მას შეუწყდება პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

დასახელებულ კონსტიტუციურ სარჩელში სასამართლოს წინაშე იდგა საკითხი იმის შესახებ, კონსტიტუციის 53-ე მუხლით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობა მართო მისი კერძო-სამართლებრივი შინაარსით უნდა ახსნილიყო თუ უფრო ფართოდ, მიზნობრივი ცნების დონეზეც. სასამართლომ კონსტიტუციის 53-ე მუხლი ფართოდ განმარტა, რის საფუძველსაც იძლეოდა მოქმედი კანონმდებლობა. კერძოდ, „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, „1. დაუშვებელია პარლამენტის წევრის სტატუსთან სამეწარმეო საქმიანობის ან სახელმწიფო სამსახურში რაიმე თანამდებობის შეთავსება. შეუთავსებლობის შემთხვევები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“, ამ და სხვა კანონებით. 2. სამეწარმეო საქმიანობასთან პარლამენტის წევრის სტატუსის შეუთავსებლობის მოთხოვნები არ ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას. ის შეიძლება ფლობდეს აქციებს, წილს და სხვა ქონებას. 3. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს: ა) უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით, მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად; ბ) უშუალოდ განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო და საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ „პარლამენტის წევრის საქმიანობაში ინტერესთა შეუთავსებლობის მიმართებით, საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ სამეწარმეო საქმიანობაში, უნდა იგულისხმებოდეს მისი როგორც კერძო-სამართლებრივი, ისე საჯარო სამართლებრივი შინაარსი.“² სასამართლომ მოსარჩელის მიერ განხორციელებუ-

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2006-2007, ბათუმი, 2009, 60-62.

ლი საქმიანობა აღნიშნულ კონტექსტში შეამოწმა და დაადასტურა საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის დარღვევა არა იმით, რომ დაირღვა „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, არამედ იმით, რომ დეპუტატისათვის შეუთავსებელი საქმიანობით დაირღვა მეწარმეობის საჯარო-სამართლებრივი შინაარსი, რაც სპეციალური კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

3. მეწარმის ფაქტობრივი ცნება

საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის №1/2/378 გადაწყვეტილებაში სამეწარმეო საქმიანობის ხასიათის გარკვევისას ყურადღება გამახვილდა ფაქტობრივი მეწარმეობის სამართლებრივ კვალიფიკაციაზე. სასამართლოს წინაშე იდგა საკითხი იმის შესახებ, რა შემთხვევაში ჩათვლილიყო მოსარჩელე მეწარმედ: მხოლოდ მაშინ, თუ ის „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას განახორციელებდა ამ კანონით დადგენილი ფორმით თუ ამ ფორმის დაუცველად, ფაქტობრივი საქმიანობაც ასეთად უნდა ჩათვლილიყო. საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თანამდებობის პირის სამსახურებრივ შეუთავსებლობასთან მიმართებით ფაქტობრივი საქმიანობაც სამეწარმეო საქმიანობად უნდა ჩათვლილიყო. სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „საქართველოს კონსტიტუციის მიზანმიმართულებიდან გამომდინარე, მისი გონივრული განმარტება უნდა გულისხმობდეს დეპუტატის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დაუშვებლობას არამართო ფორმალური – კანონის მოთხოვნათა საფუძველზე დანიშნული დირექტორის სახით, არამედ იმ პირის მიერაც, რომელიც მართალია, არ არის დირექტორი, მაგრამ ფაქტობრივად ახორციელებს დირექტორის ფუნქციას.“³

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანია ის დასკვნები,

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2006-2007, ბათუმი, 2009, 62.

რაც გაკეთდა სამეწარმეო საქმიანობის კონტექსტში იურიდიული სინამდვილის ფორმალური და შინაარსობრივი მხარეების მიმართულებასთან დაკავშირებით. სასამართლომ განავითარა ის აზრი, რომ როცა რაიმეს აკრძალვან საუბარი და იგი ეკრძალება სუბიექტს კანონით დადგენილი ფორმით, ივარაუდება, რომ ამ ფორმით მოაზრებული შინაარსის რეალიზაცია ფორმის დაუცველად დაუშვებელია. სასამართლოს მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა პრაქტიკული შემთხვევების შესაფასებლად. გადაწყვეტილებაში აღინიშნა: „კონსტიტუციურ-სამართლებრივად შეფასებას მოკლებული ვერ იქნება საწარმოს ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფაქტობრივი განხორციელება. როცა საუბარია დეპუტატის მხრიდან სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობაზე, მართლწესრიგისათვის მიუღებელია ამ საქმიანობის არა მარტო ჩვეულებრივი სახით (ფორმალური ნიშნების დაცვით) განხორციელება, არამედ ფაქტობრივი განხორციელებაც. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სამართალში ფორმას არა აქვს დამოუკიდებელი დატვირთვა და ამდენად, ფორმა არ არსობობს ფორმისათვის. ნებისმიერი ფორმის უკან დგას კონკრეტული შინაარსი და მართლწესრიგისათვის მთავარია ამ შინაარსის განხორციელება ან არგანხორციელება. როცა ეს შინაარსი სინამდვილედ იქცევა ფორმის გარეშე, ის, ცხადია, ვერ იქნება მოკლებული შეფასებაუნარიანობას. როცა დაუშვებელ საქმიანობაზეა საუბარი, საჯარო წესრიგისათვის საშიში იქნება ფაქტობრივი სინამდვილის იგონორირება და არსებულად მხოლოდ იმისი აღიარება, რაც მხოლოდ ფორმალურად არსებულა. ასეთი მიდგომა ხელ-ფეხს გაუხსნიდა თანამდებობის პირებს, განეხორციელებინათ სამეწარმეო საქმიანობა და ფორმის არარსებობით ემართლებინათ თავი. ამდენად, ის, რაც ფორმის დაცვითაც მიუღებელია, ივარაუდება, რომ ფაქტორივადაც მიუღებელია. როცა თანამდებობის პირი არ შეიძლება იყოს სამეწარმეო საზოგადოების დირექტორი, ივარაუდება, რომ მას ეკრძალება შესაბამისი ფაქტობრივი ხელმძღვანელობითი საქმიანობაც. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ცალკე გამოყოფს სამსახურებრივი შეუთავსებლობის

ფორმალურ და ფაქტობრივ მხარეს. მაგალითად, კანადაში პალატის წევრებს ეკრძალებათ როგორც ფაქტობრივი ხელმძღვანელობა და მართვა, ისე იქ დირექტორის თანამდებობის დაკავება.⁴

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ფაქტობრივი საქმიანობა შეიძლება ჩაითვალოს თანამდებობის პირის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ საქმიანობად. ამდენად, კერძო-სამართლებრივ კონტექსტში საწარმოს დირექტორი – არც ფორმალური და არც ფაქტობრივი, არ არის მეწარმე. კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კი ორივე შემთხვევაში სახეუბა მეწარმე. ერთ შემთხვევაში სახეუბა მეწარმის არსობრივ-სუბსტანციური ცნება, მეორე შემთხვევაში კი – მისი მიზნობრივი ცნება.

II. საკუთრების უფლების კომერციალიზაცია

თანამედროვე საკუთრებით წესრიგში შეიმჩნევა საკუთრების უფლების კომერციალიზაციის ტენდენციები. სამართლებრივი სისტემები მართალია საკუთრებას განიხილავენ ერთიან ფასეულობად, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან მაინც მიჯნავენ საკუთრების არსებობის სხვადასხვა მდგომარეობებს (ფორმებს). მართალია არ არსებობს დისკრიმინაციული საკუთრება, საკუთრების ნებისმიერი გამოვლინება თანაბრადაა დაცული, მაგრამ სახელმწიფოს ვალდებულებანი მაინც დიფერენცირებულია გარანტიის სუბიექტთა წრის მიხედვით. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას იმის გარანტიები, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს საკუთრების ის აუცილებელი ობიექტები, რომლის გარეშეც მისი თავისუფლება მხოლოდ დეკლარაცია იქნება. მაგრამ სახელმწიფო არაა ვალდებული შექმნას იმისი გარანტიები, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს კომერციული საკუთრება, თუმცა ყველა ადამიანისათვის მასთან მისასვლელი გზები უნდა იყოს ერთნაირი. ამ მდგომარეობას გერმანული სამარ-

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2006-2007, ბათუმი, 2009, 62-63

თალი ასახავს საკუთრების მცირე და დიდ საკუთრებად დაყოფით. დიდი საკუთრება არაერთჯერადი გამოყენების ობიექტებია და მის საფუძველზე ახალი საკუთრება იქმნება.⁵ გერმანული სამართლებრივი დოქტრინის თანახმად, ადამიანის თავისუფლებისათვის საკმარისია მცირე საკუთრება. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც ყველა ყველა ადამიანს გაუხსნის გზას ამ საკუთრების რეალური შექმნისაკენ. ეს ისეთი საკუთრებაა, რომელშიც პიროვნება ვლინდება, როგორც თავისუფალი სუბიექტი. ეს თავისუფლება ვლინდება იმაში, რომ მესაკუთრე ორგანულადაა დაკავშირებული საკუთრების შინაარსთან. ამ შინაარსის რეალიზაცია უშუალოდ მისი მოქმედებით ხდება. სხვა სიტყვებით, მესაკუთრე იმავდროულად საკუთრების მმართველიცაა. მართალია არც აქაა გამორიცხული საკუთრების შინაარსის (შემადგენლობის) მართვას სხვა ახორციელებდეს, მაგრამ ეს წესისგან გამონაკლისები თუ იქნება. მცირე საკუთრება თავისი ბუნებით ისეთი საკუთრებაა (მაგალითად, როგორიცაა ბინა, ავტომობილი, საყოფაცხოვრებო და პირადი მოხმარების საგნები და ა. შ.), რომელთა სარგებლობაც და განკარგვაც უშუალოდ მესაკუთრის მოქმედებით შეიძლება განხორციელდეს. მოკლედ, ეს საკუთრება იმდენად ახლოსაა პიროვნებასთან, რომ მისი ყოველდღიური ცხოვრება მასთანაა დაკავშირებული. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს საკუთრება აქცევს პირს სამართლის სრულფასოვან სუბიექტად. სწორედ ამ საკუთრებით შემოსილი სუბიექტი არის თავისუფალი სუბიექტი. სუბიექტის თავისუფლება ვლინდება საკუთრების აუცილებელ ობიექტებზე ხელმისაწვდომობის გარანტიისში. ადამიანი, რომელსაც არ მიუწვდება ხელი აუცილებელ ქონებრივ სიკეთეებზე ის ან არ არის თავისუფალი, ან ნაკლებად თავისუფალია. ქართული სახელმწიფო ვალდებულია შეიმუშაოს სათანადო სამართლებრივი პროგრამა აღნიშნული საკუთრების გარანტიებთან დაკავშირებით. სრულიად სხვა მდგომარეობა გვაქვს კომერციული

5 იხ. Gerhard Breidenstein, Das Eigentum und seine verteilung, Kreuz-Verlag, Stuttgart, Berlin, 26.

საკუთრების დროს. აქ გერმანული დოქტრინის მიხედვით სახეზეა დიდი საკუთრება, რომელიც, მართალია, გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორი იქნება მცირე საკუთრების გარანტიები, თუმცა თავად მესაკუთრისათვის იგი არ წარმოადგენს თავისუფლების აუცილებელ გარემოებას. მეწარმე, ისევე როგორც ყველა სხვა სუბიექტი, თავისუფალი იქნება მცირე საკუთრებაზე გარანტიებით. თავისუფალი რომ იყო ამისათვის არ არის აუცილებელი გქონდეს ქარხანა ან ფაბრიკა. საამისოდ საკმარისია გააჩნდეს მცირე საკუთრებაზე საკმარისი გარანტიები. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ კომერციულ საკუთრებაში მოაზრებული შინაარსი სპეციფიურ დანახვას საჭიროებს. უცხოელი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში არა გვაქვს საკუთრების შემადგენლობასთან მესაკუთრის ისეთი ორგანული კავშირი, როგორც ეს მცირე საკუთრების შემთხვევაშია. თავისუფალი მეწარმეობის პირობებში საკუთრების შინაარსის რეალიზაციაში არნახულად იზრდება იმ პირთა როლი, რომლებიც თვით არ არიან მესაკუთრენი. გავრცელებული თეორიის თანახმად, მსხვილ საწარმოებში (კორპორაციებში) საკუთრებიდან გამომდინარე უფლებამოსილებანი ხორციელდება არა თვით მესაკუთრეთა მიერ, არამედ დამოუკიდებელი მმართველების, მენეჯერების მიერ. „მენეჯერული რევოლუციის“ პერიოდში მესაკუთრე აღარაა იმდენად თავისი საკუთრების მმართველი.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი დ. გელბრეიტი წერს, რომ „მარტივი წარმოების მქონე წვრილ საწარმოებში ძალაუფლება მომდინარეობს საკუთრებიდან კაპიტალზე, წარმოების საშუალებებზე. მსხვილსა და მაღალორგანიზებულ ფირმაში ძალაუფლება გადადის თვით ორგანიზაციაზე – კორპორაციის ტექნოსტრუქტურაზე.⁶ განვითარების ყველაზე მაღალ დონეზე, რომლის მაგალითსაც წარმოადგენს კომპანიები „ჯენერალ მოტორსი“, „ჯენერალ ელექტრიკი“, „Seeli“, „iunilever“, ИБМ, მანამ სანამ ფირმა აკეთებს ფულს, ტექნოსტრუქტურის ძალაუფლება აბსოლუტურია.

6 იხ. Гелбрейт Дж. Экономические теории и цели общества. Москва, 1979, 125.

კაპიტალის მესაკუთრეთა, ე.ი. აქციის მფლობელთა ძალაუფლება ტოლია ნულისა.⁷ ეს თეორია თავდაპირველად განავითარეს ა. ბერლიმ და გ. მინსმა ნაშრომში: „თანამედროვე კორპორაცია და კერძო საკუთრება“, რომელიც ინგლისურად დაისტამბა 1932წელს. სწორედ მათ წამოაყენეს ის აზრი, რომ აქციონერები – საკუთრების უფლების სუბიექტებია, ხოლო ისინი ვინც უძღვებიან კორპორაციის საქმეებს – ისინი მმართველობითი ურთიერთობის სუბიექტებია. მესაკუთრენი სარფის (სარგებლობის) მიმღებნია. მათ, მართალია აქვთ საწარმოზე უფლება, მაგრამ თითქმის არა აქვთ ფეექტური ძალაუფლება მათზე.⁸ ვ. ფრიდმანის აზრით, დღევანდელი კაპიტალისტური სამეწარმეო საქმიანობის პირობებში საკუთრების უფლება იყოფა (დაიშალა) სარგებლობის მიღების უფლებად და კონტროლის უფლებად. ადრე საკუთრების უფლების ეს ელემენტები შერწყმული იყო ერთმანეთში და მათ სრულად ახორციელებდა მესაკუთრე წვრილი სასაქონლო მეურნეობის პირობებში, როცა საკუთრება ჯერ კიდევ დაკავშირებული იყო ადამიანების მიმართ ძალაუფლებაზე (მართლაც ფეოდალიზმის ხანაში ეკონომიკური ძალაუფლება ვის ხელთაც იყო, იგი იყო პოლიტიკური ძალაუფლების მატარებელიც – ბ.ზ.). კაპიტალიზმის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა სააქციო და სხვა საზოგადოებათა საწარმოები ბატონობენ მრეწველობისა და ვაჭრობის ყველა სფეროში, სხვა ვითარებაა სრულიად. მესაკუთრის ტიტული გამოეყო კონტროლის უფლებას და თანამედროვე სამრეწველო ორგანიზაციის პირობებში თვით მესაკუთრენი არსებითად მეტად აღარ ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებებს. სხვა ავტორის, პ. ზენდლერის სიტყვებით, დღევანდელ პირობებში ქრება საკუთრების ისეთი უფლება, რომლის რეალიზაცია შეიძლებოდა მარტოდენ მესაკუთრის პირადი ძალებითა და პასუხისმგებლობით. მსხვილ საწარმოებში მეწარმეთა საკუთრების უფლება

7 იხ. Гейлбрейт Дж. Экономические теории и цели общества. Москва. 1979. 70.

8 აღნიშნული აზრი მოტანილია წიგნიდან: Ян Лазар. Собственность в буржуазной правовой теории, Москва., 1985. 66-67.

დანაწევრდა ერთი მხრივ, შენატანზე უფლებამოსილ პირებსა და მეორე მხრივ, საწარმოოს ხელმძღვანელთა (მენეჯერთა) შორის.

საკუთრების ასეთი გაგების ავტორთა აზრით, მენეჯერთა საგანმკარგულებო-მმართველობითი უფლებამოსილებანი წარმოების საშუალებების მიმართ ნაწარმოებია არა საკუთრების უფლები-საგან, არამედ საკუთარ ძალღონესა და წარმატებებს ეფუძნება. ზოლო თვით მენეჯერი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს შრომის პროცესის ყველა მონაწილეთა სასარგებლოდ. მენეჯერებს სარგებლობა მოაქვთ აქციონერთათვის, მუშებისათვის, სახელმწი-წოფოსა და საზოგადოებისათვის.⁹

საკუთრების უფლების ამგვარი ტრანსფორმაცია ბუნებრივია შესაძლებელია თავისუფალი მეწარმეობის პირობებში. მართალია, მესაკუთრე კვლავაც მესაკუთრედ რჩება, მაგრამ ფაქტობრივი რეალიზაცია საკუთრების უფლების ელემენტებისა ხდება მენეჯერთა მიერ, რომელნიც ასევე დამოუკიდებელი არიან თავიანთ საქმიანობაში. რა თქმა უნდა მესაკუთრის ნება კვლავაც რჩება, როგორც დამფუძნებელი ნება არსებული სამეწარმეო საქმიანობისა, მაგრამ თავად პროცესი ამ საქმიანობის რეალიზაციისა მმართველი წრეების ნებაზეა დამოკიდებული. მენეჯერი, უხეშად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაგონებს მეურვეს, რომელიც მოქმედებს სამეურვეო პირის სახელით და მისი ინტერესებისათვის. მართალია, არაქმედუნარიანიც უფლებაუნარიანია, შეიძლება საკუთრებაც გააჩნდეს და ცხადია აქედან გამომდინარე ექნება ქონების სარგებლობის და განკარგვის უფლებამოსილება. მაგრამ აღნიშნული უფლებები სხვა, გარეშე ძალების დახმარების გარეშე რეალურ (ფაქტობრივ) შინაარსს მოკლებულია. ეს ძალა სწორედ რომ მეურვეა, რომლის ქმედუნარიანობითაც ხდება მეურვეობაში მყოფი პირის საკუთრების უფლების შინაარსის რეალიზაცია. აქედან ჩანს, რომ საკუთრება, როგორც სტატიკური მდგომარეობა შეიძლება მესაკუთრისაგან განუყოფელია, მაგრამ საკუთრება, როგორც დი-

⁹ აღნიშნული აზრი მოტანილია წიგნიდან: Ян Лазар. Собственность в буржуазной правовой теории, Москва., 1985. 69-70.

ნამიკა, ხშირად აღემატება მესაკუთრის ნების შესაძლებლობებს და საჭიროებს გარეშე სუბიექტებს, რომლებშიც შეიძლება უფრო უკეთესად გამოვლინდეს მესაკუთრის უფლებამოსილებათა შინაარსი, ვიდრე თვით მესაკუთრეში. მართლაც, მარტივი სასაქონლო წარმოების დროს შესაძლებელი იყო ის, რომ მესაკუთრეს თვითონ განეხორციელებინა სრულყოფილად საკუთრების უფლების შინაარსში მოცემული უფლებამოსილებანი.

ჩვენს მიერ განვითარებული აზრის სანდოობას და სისწორეს ადასტურებს რ. პაიპსის შეხედულებები დასახელებულ ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით. იგი ავითარებს იმ აზრს, რომ საკუთრების უფლების არსებობა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ მართავს ამ საკუთრებას. განსაზღვრულია ის, თუ ვის სასარგებლოდ ხდება ეს მართვა. რ. პაიპსი აღნიშნავს, რომ არ არის სწორი თითქოს მენეჯერები აქციონერთა კონტროლის გარეშე მოქმედებენ. აქციონერებს მნიშვნელოვანი სამართლებრივი ბერკეტები გააჩნიათ საამისოდ, რომ ზეგავლენა მოახდინონ კორპორაციის მართვა-გამგეობაზე. არაეფექტური მართვა-გამგეობის დროს შეუძლიათ, გაყიდონ აქციები, საერთოდ ჩამოაშორონ მენეჯერები მართვა-გამგეობას. საკუთრების კონცეფცია არასოდეს არ ზღუდავდა იმას, რომ ამ საკუთრების მართვა-გამგეობა გადასცემოდა სხვას ისე, რომ საკუთრების უფლება შენარჩუნებულიყო. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში ევროპელი ვაჭრები თავიანთი კაპიტალის სამართავად იყენებდნენ სახელწიფო კონსესიების საფუძველზე შექმნილ სავაჭრო კომპანიებს, მე-16 საუკუნის ინგლისში კომპანიები იმართებოდა არა აქციონერების მიერ, არამედ მათი აგენტების მიერ.¹⁰ ამდენად, შეხედულება, რომ „საკუთრება საჭიროებს პირად მართვა-გამგეობას, ისევე მცდარია, როგორც შეხედულება, რომ დემოკრატია ყოველი მოქალაქისაგან მოითხოვს პირადად მიიღოს მონაწილეობა კანონშემოქმედებაში, როგორც ეს უძველესი სახალხო თავყრილობების შემთხვევაში ხდებოდა: მრავალმილიონიანი

10 იხ. Ричард Пайпс, Собственность и свобода. Московская школа политических исследований, 2000, 302-303.

მოსახლების მიერ იმავეს გაკეთების შეუძლებლობა საუკუნეების წინ იქნა აღიარებული და ეს სირთულე გადაჭრილ იქნა საპარლამენტო წარმომადგენლობის ინსტიტუტის შემოღებით¹¹.

ამდენად, უსაფუძვლოა მენეჯერთა უფლებამოსილებების ფეტიშიზაცია და მათი მესაკუთრისაგან უკონტროლო სამართლებრივ სივრცეში გადატანა. საკუთრება დღესაც რჩება ხელშეუვალ უფლებად და მას არ ემუქრება გაქრობის საშიშროება, როგორც ამას ასაბუთებენ ცალკეული ავტორები. არ შეიძლება საკუთრება მივიჩნიოთ „უფლებათა მოჩვენებით გროვად“, რომელიც არ ექვემდებარება ზუსტ განსაზღვრას. სხვა საკითხია საკუთრების სოციალური ბოჭვა, რომელიც არანაირ საფრთხეს არ უქმნის ამ უფლების არსებობას.¹²

III. კომერციული საკუთრების იდენტიფიკაცია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში

1. კომერციული იურიდიული პირებისა და მათი დაფუძნებლების საკუთრების გამიჯვნა

საკონსტიტუციო სასამართლოში მრავალჯერ დამდგარა ფიზიკური და იურიდიული პირის საკუთრების გამიჯვნის საკითხი. ერთხელ ჩვენ ეს საკითხი საგანგებოთ მიმოვიხილეთ¹³. პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ ერთმანეთშია არეული სამართლის აღნიშნული სუბიექტების საკუთრებითი უფლებები. მხოლოდ, ბოლო, რამდენიმე წლის პრაქტიკა იძლევა ამ საკითხის სწორ სურათს. ამჯერად შევხებით, მხოლოდ კომერციული იურიდიული პირები-

11 იხ. Ричард Пайпс, Собственность и свобода. Московская школа политических исследований, 2000, 304.

12 იხ. Ричард Пайпс, Собственность и свобода. Московская школа политических исследований, 2000, 304-305.

13 იხ. ბესარიონ ზოიძე, კონსტიტუციური კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 110-116.

სა და მათი საკუთრების ერთმანეთისგან გამიჯვნას. უნდა ითქვას, რომ ეს საკუთრება ნორმატიულად გამიჯნულია ერთმანეთისაგან, რაც სასამართლომ კიდევ დაადასტურა 1998წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში (№2 36-7)¹⁴. მოსარჩელები არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46-ე და 47-ე მუხლებს იმ მოტივით, რომ ამ მუხლების საფუძველზე მათ ესპობათ საშუალება თავისუფლად განკარგონ ის ქონება (შესატანი), რომელიც მათ შპს დაფუძნების დროს გააერთიანეს. მათი აზრით, კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, ამ ქონებას განკარგავს შპს საერთო კრება. მოკლედ, მოსარჩელეთა მტკიცებით, ის საწესდებო შესატანი, რომელიც დამფუძნებლებმა გამოიყენეს საწარმოს დაფუძნებისას, კვლავაც მათი საკუთრებაა და დაუშვებელია ხელის შეშლა მის განკარგვაში, თუკი შეიძლება მისი უკან გამოტანა ნატურით და არის ამისი შესაძლებლობა. დასკვნის სახით, მოსარჩელეთა აზრით, სანიეთო სამართლით აღიარებული საკუთრების ფლობის და განკარგვის უფლება მესაკუთრებთა „პრეროგატივაა და არა საერთო კრების გადასაწყვეტი“.

სასამართლო დაემყარა რა სპეციალისტების მოსაზრებებს არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა. პროფესორ ლადო ჭანტურიას აზრით, ამ შემთხვევაში შესატანის მესაკუთრეთა იურიდიული პირი. კერძოდ, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ისეთივე მესაკუთრეთა, როგორც ნებისმიერი ფიზიკური პირი. ამიტომ, მის საკუთრებას ისევე იცავს საქართველოს კონსტიტუცია, როგორც ნებისმიერი ადამიანისა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი შპს-ს, როგორც იურიდიულ პირს, სრულად ანიჭებს საკუთრების თავისუფალი გასხვიების უფლებას და მის შეზღუდვას მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში უშვებს. . სარჩელში დავის საგანია ის ფაქტი, რომ შპს-ს პარტნიორები, მას შემდეგ, რაც ისინი ქონებას შპს-ს საწესდებო კაპიტალში შეიტანენ, უფლებ-

¹⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 1998-1999, თბილისი, 2002, 27-36.

ბას კარგავენ თავისუფლად განკარგონ ეს ქონება. სწორედ ეს არის სარჩელში კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მიჩნეული, რაც სრულიად დაუსაბუთებელია. სწორედ, კონსტიტუციის 21-ე მუხლის საფუძველზე აქვთ მესაკუთრეებს უფლება მინიჭებული, თავიანთი ქონება თავისუფლად განკარგონ. განკარგვის ერთ-ერთი ფორმაა ამ საკუთრების გამოყენება კერძო სამართლის იურიდიული პირების დასაფუძნებლად, კერძოდ, მათ საკუთრებაში გადასაცემად. ამიტომ მესაკუთრეთა კონსტიტუციური უფლების დარღვევაზე საუბარი აქ სრულიად უადგილოა და დაუსაბუთებელია. მას შემდეგ, რაც შპს-ის დამფუძნებლებმა ქონება გადასცეს შპს-ს, ამ ქონების მესაკუთრე არის შპს. როგორც მესაკუთრეზე, მასზე ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი. თუ უარს ვიტყვით იმაზე, რომ შპს ამ ქონების მესაკუთრეა, მაშინ უარი უნდა გვეთქვა სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნაზე¹⁵. სამოქალაქო კოდექსის ეს მუხლი იძლევა იურიდიული პირის განმარტებას, რაშიც ქონებრივი დამოუკიდებლობა მისი არსების ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. კერძოდ, იურიდიული პირი არის „საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი“, რომელიც „თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს“.

პროფესორ ლადო ჭანტურიას დასკვნაში მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ მასში გაბათილებულია შპს-ს ქონების პარტნიორთა საერთო საკუთრებად მიჩნევა, რაც სასამართლო პრაქტიკაშიც დაფიქსირდა. „იურიდიული პირის ქონება იურიდიული პირის როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების ან მასში მონაწილეების. მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებელი პარტნიორები თავიანთ საკუთრებას გადასცემენ შპს-ს (სანაცვლოდ ისინი იღებენ შპს-ის წილს) და ამით ამ ქონებაზე უარს ამბობენ“. მიუხედავად ამისა, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.3 მუხლის მე-2 აბზაცი და 3.6 მუხლის პირველი აბზაცი

¹⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 1998-1999, თბილისი, 2002, 31-32.

მინც აძლევდა პარტნიორებს უფლებას გაიტანონ თავიანთი წილი შესატანი, ოღონდ მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ, რაც უნდა მოხდეს წესდებაში საერთო კრების გადაწყვეტილებით ცვლილებების შეტანით“.¹⁶

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ შესატანი შპს-ს საკუთრებაა, პარტნიორებს შეუძლიათ იგი უკან გაიტანონ. მაგრამ ვიდრე, ეს მოხდება იგი შპს-ს საკუთრებაა. დამფუძნებელთა ეს შესაძლებლობა მიგვანიშნებს იმ ორგანულ უფლებრივ კავშირურთიერთობაზე, რაც დამფუძნებელსა და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს შორისაა. დამფუძნებელს სულაც ხელეწიფება მოახდინოს მისი ლიკვიდაცია. ეს ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ იურიდიული პირების საკუთრება ნაკლებად დაცულია კონსტიტუციით. აღნიშნული უფლებრივი კავშირი მხოლოდ დამფუძნებლებთან მიმართებაშია, რის გარეშე წარმოუდგენელია იურიდიული პირის არსებობა. ფიზიკური პირებისაგან განსხვავებით, იურიდიული პირები სამართლის ხელოვნური წარმონაქმნებია და ემსახურებიან გარკვეული მიზნის მიღწევას, რაც დამფუძნებლებს ჰქონდათ განზრახული. შპს-ც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დამფუძნებელთა მიზანზე მორგებული საზოგადოებაა. აქ არაა ისეთი სამართლებრივი რეალობა, როცა იურიდიული პირის დაფუძნების შემდეგ წყდება სამართლებრივი კავშირი დამფუძნებელთან. არ არსებობს იურიდიული პირი დამფუძნებლის (პარტნიორის) გარეშე არც მისი წარმოშობის მომენტში და არც მისი არსებობის დროს. ნებისმიერი იურიდიული პირი ცოცხლობს დამფუძნებელთან (პარტნიორთან) ერთად.

პროფესორ ლადო ჭანტურიას მსგავსი დასკვნა მქონდა მეც აღნიშნულ პროცესზე, რის გამოც აღარ ვთვლი საჭიროდ მის გადმოცემას. აღნიშნავთ მხოლოდ სასამართლოს პოზიციის თაობაზე, რაც შემდეგი სახით არის გადმოცემული გადაწყვეტილებაში: „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მიხედვით, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფ-

16 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 1998-1999, თბილისი, 2002, 32.

ფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. შპს, რომელიც ნებაყოფლობით ყალიბდება, თვითონ ხდება შეტანილი ქონების მესაკუთრე და მას ისევე იცავს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს. ქონება, რომელიც პარტნიორებმა შეიტანეს საზოგადოებაში, არ ქმნის მათ საერთო საკუთრებას და ამ ქონებაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით საერთო საკუთრებისათვის დადგენილი ნორმები. იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების ან მასში მონაწილეების. შპს-ს პარტნიორები საზოგადოების კაპიტალის წილის მესაკუთრეებად ითვლებიან და კაპიტალზე წილის ოდენობის თანაზომიერად ვლინდება საზოგადოების მიერ მიღებულ მოგებაზე მათი უფლებების ფარგლები. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით მინიჭებული საკუთრების უზრუნველყოფა მთლიანად ვრცელდება პარტნიორებზე, როდესაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი მათ წილის გასხვისების და მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას აძლევს. ...ისინი არიან შპს-ს წილის მესაკუთრენი და კონსტიტუციით მინიჭებული საკუთრების დაცვის უფლება მათზე მთლიანად ვრცელდება. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46.1 მუხლის თანახმად, პარტნიორს შეუძლია წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა. მაშასადამე, შპს ქონების მესაკუთრე კი არაა, არამედ შპს-ის ქონების წილის“.¹⁷

როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში საუბარია ერთობ ცხად სამართლებრივ საკითხებზე.¹⁸

17 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 1998-1999, თბილისი, 2002, 34-35.

18 სამეწარმეო კანონმდებლობა საგანგებოდ უსვამს ხაზს წილზე პარტნიორთა უფლებებს და წილის ბრუნვაუნარიან ხასიათს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „შპს პარტნიორებს უფლება აქვთ, გაასხვიონ ან დატვირთონ (დააგირაონ) წილი საზოგადოების კაპიტალში, თუ წესდებით შეზღუდვა არ არის დაწესებული“. 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად კი „წილი არის მიმოქცეული უფლება“.

აღნიშნული ახსნა-განმატრებანი აუცილებელი ხდება იმ ქვეყნებში, სადაც საბაზრო ეკონომიკა პირველად ყალიბდება და სამოქალაქო ბრუნვაში შემოდინან სამართლის ისეთი სუბიექტები, როგორცაა კომერციული საწარმოები.

2. კომერციული საწარმო – დამფუძნებლის საკუთრება თუ დამოუკიდებელი სუბიექტი?

საწარმო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტია და იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მისი დამფუძნებლის საკუთრებად. ყველა შემთხვევაში, გარდა ინდივიდუალური საწარმოსი, „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტები წარმოადგენენ სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტებს. არ შეიძლება სამართლის სუბიექტის საკუთრებას წარმოადგენდეს ისევ სამართლის სუბიექტი. მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას საწარმოს დამფუძნებელი რამდენი პირია, ანდა როგორია მათი წილი საწესდებო კაპიტალში, ან რა ოდენობის აქციებს ფლობენ ისინი. სააქციო საზოგადოება, რომლის აქციათა 100% ერთი პირის საკუთრებაა, სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტია და არ შეიძლება იგი განვიხილოთ აქციონერის საკუთრებად, თუნდაც იმიტომ, რომ საწარმო არ არის იდენტური ქონებისა. საწარმო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დაწესებულებაა და იგი როგორც სამართლის ხელოვნური წარმონაქმნი არსებობს გარკვეული ორგანიზმის სახით, რომელშიც ქონებრივი მდგომარეობა ერთ-ერთი არსებითი ელემენტია, მაგრამ არა ერთადერთი. ეს ის სუბიექტებია, რომლებიც ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლ-ზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“. სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეს-მეწარმეს კი წარმოადგენს არა

დამფუძნებელი (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი), არამედ მის მიერ დაფუძნებული საწარმო.¹⁹

რატომღაც როგორც ნორმატიულ, ისე პრაქტიკულ სინამდვილეში, საწარმოს განიხილავენ მისი დამფუძნებლის საკუთრებად. ამჯერად მოვიტანთ შემდეგ მაგალითს: „ვალერი გელაშვილისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 31 მარტის დადგენილებაში, ვინაიდან ვალერი გელაშვილი იყო შპს „ევრას“ ერთადერთი პარტნიორი და 100%-ნი წილის მფლობელი, იგი მოხსენიებულია, როგორც მისი მესაკუთრე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა რა ამ დადგენილების კონსტიტუციურობის საკითხი, გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „დამფუძნებელი (პარტნიორი) და მის მიერ დაფუძნებული საზოგადოება სამოქალაქო ბრუნვის სრულიად დამოუკიდებელი სუბიექტებია. სამწუხაროდ, როგორც სადაო დადგენილებიდან ჩანს, საქართველოს პარლამენტსაც გასჭირვებია ამისი სრულად გაცნობიერება და იგი შპს „ევრას“ მოიხსენიებს, როგორც ვ. გელაშვილის „საკუთრებაში არსებულ კომერციულ იურიდიულ პირს“. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან ასეთი შეფასება ყოველად დაუშვებელია და არ შეესაბამება მის მიერვე მიღებული კანონების შინაარსს“²⁰.

ასეთი მიდგომა არათუ აკინებს სამართლის სუბიექტის სტატუსს, არამედ მას სამართლის ობიექტად აცხადებს და ამით საფრთხეს უქმნის კომერციული იურიდიული პირების არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ აქ სახეზეა ხელოვნური სუბიექტები, მათ ისეთივე არსებობის უფლება აქვთ, როგორც ბუნებით სუბიექტებს.

19 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება (№1/2/378), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №3, 181.

20 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება (№1/2/378), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №3, 190.

3. აქცია, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული სიკეთე

აქცია საკუთრების ობიექტს წარმოადგენს. იგი ფასიანი ქალაქია და მის მფლობელს მრავალი უფლებით აღჭურავს. იგი გულისხმობს სააქციო საზოგადოებაში კაპიტალის წილს, ადასტურებს მისი მფლობელის წევრობას ამ საზოგადოებაში და შესაბამის უფლება-მოვალეობებს, რაც ვლინდება როგორც საზოგადოების მართვაში, ისე მოგების მიღებაში.²¹

აქციის ამ სპეციფიკურ ბუნებაზე ხაზი გაესვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაში (2/1-370, 382, 390, 402, 405), რომელშიც ითქვა, რომ „აქცია მოიცავს სააქციო საზოგადოების წევრობისა და მის მართვაში მონაწილეობის კომპონენტს. ამ მიმართებით, აქციონერს, სააქციო საზოგადოებაში მისი მონაწილეობის შესაბამისად, აქვს ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, კონტროლის უფლება, საერთო კრების გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებები. მეორე მხრივ, აქცია არის სააქციო საზოგადოების ქონებაში მესაკუთრის წილობრივი საკუთრების გამომხატველი და წილზე უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ის არის „წილობრივი ფასიანი ქალაქი“ „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ კანონის განმარტებით. საკუთრება აქციაზე მატერიალიზებულია აქციის განკარგვის შემთხვევაში, ასევე საზოგადოების ლიკვიდაციისას, რადგანაც ის აძლევს აქციონერს უფლებას მიიღოს ლიკვიდირებული სააქციო საზოგადოების ქონება თავისი წილის შესაბამისად. გარდა ამისა, აქცია აძლევს მის მესაკუთრეს საწარმოს მოგებიდან წილის მიღების უფლებას. ამდენად, აქცია არ არის სავარაუდოდ მისაღები ვირტუალური შემოსავალი, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე დივიდენდებს შეეხება. ის

21 იხ.ირაკლი ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, 161.

არის აქციონერის სამართლებრივად განმტკიცებული ქონებრივი უფლებებისა და პოზიციის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სიკეთეს წარმოადგენს²².

აქციის, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულობას ხაზი გაესვა საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (№2/85/1). კერძოდ, ერთ-ერთი მოსამართლის განსხვავებულ აზრში ითქვა, რომ „აქცია წარმოადგენს საკუთრების ობიექტს და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. დაუშვებელია აქციის, როგორც საკუთრების შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება საკანონმდებლო წესით. კონსტიტუციის ეს ნორმა ეხება სახელმწიფოს მოვალეობას არ შელახოს საკუთრების უფლება. საკუთრების კონსტიტუციური დაცვის საგანი დასახელებულ შემთხვევაში არის არა საწარმოს ქონებისათვის განკუთვნილი ნივთები და უფლებები, არამედ სააქციო საზოგადოების წევრობა, რომელიც დასტურდება აქციით. სააქციო საზოგადოება იმ ქონების მესაკუთრეა, რომელიც მის ბალანსზეა, ამიტომ კონსტიტუციის 21-ე მუხლი გავრცელდება სააქციო საზოგადოებაზეც.“²³

როგორც ვხედავთ, ამ პოზიციაში მოსინჯულია აქციონერისა და საწარმოს უფლებების გამიჯვნა, განსხვავებით თავად გადაწყვეტილებისაგან, რომელშიც საერთოდ არ არის ახსნილი აქციის ბუნება. თუმცა, განსხვავებულ პოზიციაშიც აქციის მფლობელის უფლებები ერთობ ვიწროდაა წარმოჩენილი და იგი მხოლოდ სააქციო საზოგადოებაში წევრობის უფლებით შემოიფარგლება. როცა აქციაზე, როგორც ქონებრივ ფასეულობაზეა საუბარი, იგი ისე უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ეს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაშია. კერძოდ, აქცია დაცულია, როგორც მრავალი ფუნქციის მატარებელი სიკეთე. ეს ფუნქციები კი ისე ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული,

22 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 169-170.

23 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 1998-1999, თბილისი, 2002, 121.

რომ შეუძლებელია მათი ერთმანეთისგან იზოლირებულად განხილვა. თუმცა, არ გამოვრიცხავ იმას, რომ აქციონერს შეზღუდული ჰქონდეს რომელიმე მათგანზე უფლება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აქციაში მთავარია ქონებრივი უფლებები, რასაც ემსახურება ყველა დანარჩენი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი საგანგებოდ უსვამს ხაზს, აქციას, როგორც არამატერიალიზირებულ სახელობით ფასიან ქაღალდს და მასზე აქციონერის საკუთრებას.²⁴

4. აქციის შიქენის კონსტიტუციური უფლების შესახებ

საკონსტიტუციო სასამართლოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში დაფიქსირდა მნიშვნელოვანი სამართლებრივი პოზიციები. კერძოდ, 1997 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებაში (№2/77/1) ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი ირღვევა მაშინაც, როცა ადგილი აქვს საკუთრების შექმნის უფლების დარღვევას. კერძოდ, ნულოვან აუქციონზე გატანილი იქნა გასაყიდად „სააქციო საზოგადოება“, რომლის დაფუძნების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ითქვა: „სახელმწიფო საწარმოების სააქციო საზოგადოებად შექმნის გზით პრივატიზებისას სახელმწიფო ჯერ აფუძნებს სააქციო საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ზუსტი დაცვით, რომლის რეგისტრაციას ამ კანონის 4.1 მუხლის თანახმად, ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩაწერით“ ... „ნულოვან აუქციონზე გატანისას სააქციო საზოგადოება და მაშასადამე, არც მისი აქციები არ არსებობდა“.²⁵

მართალია, სასამართლომ ითქვა, რომ სააქციო საზოგადოება არ არსებობდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ არ-

24 იხ. 51-ე მუხლი, პირველი და მე-2 პუნქტები.

25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 1998-1999, თბილისი, 2002, 98-99.

სებობდა რაიმე კოლექტიური წარმონაქმნი. სინამდვილეში სახეზე იყო სახელმწიფო საწარმო, რომელიც იმყოფებოდა სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბების პროცესში. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად, სახეზე იყო ორსახოვანი ბუნების სუბიექტი. ცხადია, იგი როგორც „მეწარმეთა შესახებ“ კანონით შემდგარი სუბიექტი, კერძოდ, სააქციო საზოგადოება არ არსებობდა. თუ სააქციო საზოგადოება არ არის, მაშინ არც მისი აქციებია სახეზე. კანონით გათვალისწინებული წესით რომ მომხდარიყო სახელმწიფო საწარმოს „სააქციო საზოგადოებად“ გარდაქმნა, მაშინ აღნიშნულ საწარმოში – ინსტიტუტში (როგორიც იყო „მრეწვევ-ტომატსაკი“) მომუშავე პირები ისარგებლებდნენ პრივატიზაციის პროცესში გათვალისწინებული შეღავათებით, კერძოდ მოხდებოდა მათზე გარკვეული ოდენობის აქციების უსასყიდლოდ გადაცემა, ფასდაკლებით შესყიდვა, განვადება და ა. შ.

სასამართლომ სწორედ აღნიშნულ გარემოებაში დაინახა საკუთრების შექმნის კონსტიტუციური უფლების შელახვა. „... თვით პრივატიზება კოლექტივის გვერდის ავლით და კანონის დარღვევით მოხდა, რითაც შეილახა მათი საკუთრების უფლება, შეღავათით პრივატიზაციის ჩატარების სახით“.²⁶

სწორი გზა იქნებოდა, გაურკვეველი ბრუნვის სუბიექტი ამოღებულიყო საპრივატიზაციო ნუსხიდან. კერძოდ, „მოსარჩევეებს, რომლებმაც იცოდნენ, რომ „მრეწვევტომატსაკი“ არ არის რეგისტრირებული, არ ითვლება დაფუძნებულად და უკანონოდ იქნა შეტანილი ნულოვან აუქციონზე გასატან ობიექტთა ნუსხაში, სრული საფუძველი ჰქონდათ არ მიეღოთ მონაწილეობა ასეთ აუქციონში და საჩივრებით მიემართათ ზემდგომი ორგანოებისათვის ინსტიტუტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გარკვევამდე ჩამონათვალიდან მისი ამოღების მოთხოვნით“.²⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმატიული აქტები, რომელთა

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (1998-1999), თბილისი, 2002, 100.

27 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (1998-1999), თბილისი, 2002, 101.

საფუძველზეც ჩატარდა ამ სახით პრივატიზება არაკონსტიტუციურად ჩათვალა კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

IV. საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკა აქციათა სავალდებულო მიყიდვის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით

1. საკუთრების უფლება და მისი კავშირი ამ უფლების ობიექტებთან

როცა საუბარია საკუთრების დაცვაზე, კონსტიტუციისათვის ამოსავალია თავად უფლება, როგორც, ასე ვთქვათ, თანდაყოლილი ბუნებითი თვისება სუბიექტისა. საკმარისია ეს უფლება ქონებრივ ფასეულობას წარმოადგენდეს, რომ იგი დაცვის ღირსი ზდება. ფასეულობას კი შეადგენს სამართლებრივად მნიშვნელოვანი, ბრუნვაუნარიანი და შეფასებაუნარიანი სიკეთე. ამდენად, უპირველესად სიკეთე სამართლის ნორმატიული ნებით უნდა იქცეს აღნიშნული თვისების მქონედ. სამართლის ობიექტურმა ნებამ უნდა ცნოს იგი ასეთად, სხვაგვარად ნებისმიერი სიკეთე ამოვარდება მოწესრიგების სამართლებრივი ველიდან და ინდივიდუალურად, პიროვნულად შეფასებით სიკეთედ იქცევა. უფლების მატარებლის სუბიექტური ნება მეორადია, ვინაიდან აქ საერთო მასშტაბს შეიძლება დავშორდეთ და კონკრეტული სუბიექტის ღირებულებითი წარმოდგენების პირისპირ აღმოვჩნდეთ. სამართალი არც ამ სინამდვილის მიმართაა გულგრილი, მაგრამ, მას არ ძალუძს, ყველა ადამიანის ღირებულებითი გულისტკივილი გაითვალისწინოს და ამის მიხედვით იმოქმედოს. აქაც სამართალს მხოლოდ ის ძალუძს, ანგარიში გაუწიოს მესაკუთრის ისეთ გრძნობებს, რასაც ნეიტრალური და სამოქალაქო ბრუნვის საშუალო მონაწილე ჩათვლიდა საჭიროდ. ამით სამართალი ისევ საერთო მასშტაბისაკენ მიაპყრობს თავის ყურადღებას. რადგანაც საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, ამ უფლების ობიექტების მართლსაწინააღმდეგო, არაკონსტიტუცი-

ური შეზღუდვა თუ ჩამორთმევა, აღნიშნული უფლების დარღვევა იქნება. საკუთრების უფლება სიკეთის შექმნის შესაძლებლობაა. როცა არაა გარანტირებული უფლებით თავისუფალი სარგებლობა, ამ შემთხვევაში მისი მოვალეობად ტრანსფორმაცია ხდება, რაც ადამიანებს უკარგავს სტიმულს იქონიონ საკუთრების ობიექტები. როცა ადამიანს რჩება მხოლოდ მოვალეობისადმი შეხვედრის შესაძლებლობა, ეს უკვე საკუთრების უფლების ფაქტობრივი ლიკვიდაციაა.

საკუთრების უფლება პიროვნულობის თვისებისაა, მაშინ როცა ამ უფლების ობიექტები მოკლებული არიან მას. პიროვნულობას მისი ბუნებითი თვისებანი განსაზღვრავენ. არ არსებობს საკუთრების უფლების გარეშე ადამიანი. მისი პიროვნულობა წარმოუდგენილია საკუთრების გარეშე. ისევ ეუბრუნდები საკუთრების ობიექტების მიმართ ეგზისტენციალურ მიდგომას. მართალია საკუთრების იურიდიული მდგომარეობისათვის მნიშვნელოვანია ნივთი თავისთავად, როგორც ფასეულობა და არა ნივთი, როგორც ჩემთვის ფასეულობა, მაგრამ აქაც სერიოზული ტრანსფორმაცია ხდება შეხედულებებისა. თავად ნივთები ხდებიან გარკვეული პიროვნულობის ნიშნით შემოსილნი. ნივთებში აირეკლება და აისახება პიროვნება, ნივთი ხდება მისი პიროვნულობის ნაწილი. სხვაგვარად მას ვერ აღვიქვამთ, როგორც განსხვავებულ სუბიექტს და ამას ჩვენ ვაწყდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ მღვდელს ანაფორის გარეშე, მოსამართლეს მანტიის გარეშე, ექიმს ხალათის გარეშე და ა. შ. ამ ნივთობრივი ატრიბუტების გარეშე ძნელია ჩვენში მოხდეს პიროვნულობის იდენტიფიკაცია. კიდევ მეტი დატვირთვა აქვს რელიგიურ წმინდა ნივთებს, რომელთა მიმართაც ყოველთვის არსებობდა განსხვავებული სამართლებრივი მოწესრიგებანი. თუ კიდევ შორს წავალთ და ადამიანებისა და ნივთების ურთიერთობებს გადავხედავთ ბავშვობის დროიდან მოყოლებული, აღმოჩნდება, რომ ადამიანი, როგორც პიროვნება ნივთების სამყაროში ყალიბდება.

უფლებისა და ნივთების ეს კავშირურთიერთობა გვაკლდებულებს განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეკიდოთ საკუთრე-

ბის შეზღუდვასა და ჩამორთმევას. ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ თუკი ამით ადამიანის პიროვნულობას საფრთხე შეექმნება, მაშინ ვერავითარი სხვა ინტერესი ვერ გაამართლებს ამ უფლებაში ჩარევას. ადამიანის პიროვნულობა, რომელიც მისი არსების განმსაზღვრელია, არ შეიძლება დაექვემდებაროს მსგავს შეზღუდვებს. მახსენდება ზღაპრებში მოთხრობილი ამბები, როცა ბოროტი ძალების დამარცხება ხდება მათთვის საყვარელი და მაგიური ძალის მქონე ნივთების წართმევით. ტელეეკრანზე ჩანდა, თუ რამდენი ჯაფა შეაღია კალიფორნიელმა მოქალაქემ მისთვის საყვარელი ცხოველის პოვნას. როცა ნივთების ორგანული კავშირი გვაქვს ადამიანთა პიროვნულობასთან, აქ საკუთრება გამოიყურება ერთობ პირობით ცნებად. ყოველივე ეს საკუთრებისადმი განსხვავებული მიდგომაა, რასაც გუსტავ რადბრუხიც გადმოსცემს თავის ფილოსოფიაში.²⁸ არ მინდა დავივიწყო ერთი ძველი მაგალითი ქართული სინამდვილიდან. ვახტანგ-VI-ს თავის სამართლის წიგნში აქვს ნათქვამი, რომ „თუ ღიაცი ბოზია, მისი მზითევიც ბოზია“. ასე რომ განქორწინების შემთხვევაში თან უნდა გაეტანებინათ მზითევი ქალისათვის. რა მოხდებოდა, რომ მზითევი დარჩენილიყო მამაკაცის ოჯახში, რა მნიშვნელობა აქვს ცოლის მოტანილ სკივრს ვინ გამოიყენებს. აქვს ამას მნიშვნელობა ღირსების მქონე ადამიანისათვის. სამართლის წიგნის მიხედვით, იგი ყოფილი მეუღლის პიროვნულობის მატარებელია და ამიტომ მას უნდა გაჰყვეს.

ყოველივე ეს ჩვენ იმიტომ მოვაყოლეთ, რომ საკუთრების ობიექტებში არ დავინახოთ ადამიანის პიროვნულობისაგან განყენებულად მხოლოდ რაიმე მატერიალური, ფიზიკური ნივთები ან არამატერიალური სიკეთეები. სამართალი, განსაკუთრებით – სამოქალაქო, ამ მდგომარეობას გარკვეულ ანგარიშს უწევს.

28 იხ. Густав Радбрух, Философия права, „Международные отношения“, Москва, 2004, 154-155.

2. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი და კერძო-სამართლებრივი ურთიერთობანი

საკითხი იმის შესახებ, კონსტიტუციის 21-ე მუხლი იცავს თუ არა საკუთრების უფლებას, კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, საკამათოა. საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაში (№2/1-370, 382, 390, 402, 405), „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53³-ე მუხლის შეფასებისას²⁹, რომელიც ითვალისწინებდა აქციათა სავალდებულო მიყიდვას, გააკეთა დასკვნა, რომ შეხედულება, რომელიც გამორიცხავს მოცემული ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის კონსტიტუციის 21-ე მუხლის ფარგლებიდან, მცდარია. „ასეთი მიდგომა, კონსტიტუციური კონტროლის სფეროდან გამოიყვანდა სამართლის ნორმების დიდ ნაწილს და ამ სფეროში თვითნებობისათვის ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა“.³⁰ 21-ე მუხლის იგნორირების აზრი ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის აღნიშნული ნორმა კერძო პირებს შორის ურთიერთობას აწესრიგებდა.

სასამართლოს გადაწყვეტილების (პოზიციის) მართებულობას ამტკიცებს მრავალი გარემოება. დავიწყოთ იმით, რომ საჭიროა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ნორმატიული ნება და კერძო პირთა ავტონომიური ნება. მართალია კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლა ხდება სახელშეკრულებო თავისუფლების საფუძველზე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კონტრაპირების იძულების ცალკეულ შემთხვევებს, როცა ერთი მხარისათვის ამ თავისუფლებას იძულება ცვლის), მაგრამ ამ ურთიერთობის ნორმატიულ საფუძველს ქმნის სახელმწიფო. ნორმატიული ნება, რითაც განისაზღვრება ამათუიმ ურთიერთობის შინაარსი, სავალ-

29 აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53³-ე მუხლის შემოღების შემდეგ ბევრმა აქციონერმა ისარგებლა აქციათა სავალდებულო მიყიდვით (იხ. ირაკლი ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, 231).

30 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 169.

დებულოა მხარეთათვის, თუკი იგი არ ითვალისწინებს მისგან გადახვევის კერძო ინიციატივას. ამიტომაცაა, რომ კერძოსამართლებრივი ხასიათის ნორმატიული დადგენილებანი ისევე ექვემდებარება კონსტიტუციურ კონტროლს, როგორც ყველა სხვა. როცა სახელმწიფო მადლევს ხელშეკრულების თავისუფლებას, მან ეს კონსტიტუციური გარანტიებით უნდა უზრუნველყოს. განა თანაზომიერების პრინციპი, რომელიც მნიშვნელოვანი საზომია ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებისა, ექვივალენტობის კერძო ურთიერთობებიდან არ იღებს საფუძველს. წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფომ აშკარად არაექვივალენტურ ურთიერთობებს დაუჭირა მხარი. როგორ მოვიქცეთ, არ შემოწმდეს მისი კონსტიტუციურობა, თუკი რომელიმე ძირითადი უფლება დაირღვევა ამით? საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როცა 21-ე მუხლთან მიმართებით შემოწმებულა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლებიც ნაჩქარის უკან გამოთხოვას შეეხებოდა. სასამართლომ კონსტიტუციურად ჩათვალა არსებული ნორმატიული დადგენილებანი. ამ შემთხვევაში კონსტიტუციურობის საფუძველია არა ის, რომ მე მაქვს არჩევანის თავისუფლება, არამედ ის, რომ თავად ურთიერთობა კონსტიტუციასთან შესაბამისი. არჩევანის თავისუფლება ვერ გაამართლებს არაკონსტიტუციურ გარემოს. კანონმდებელი ყველა შემთხვევაში ვალდებულია ადამიანებს მისცეს შესაძლებლობა კონსტიტუციით განსაზღვრულ სივრცეში დაამყარონ ურთიერთობანი. მოკლედ, ყოველივე ეს იმდენად ელემენტარულად გამოიყურება, რომ შეიძლება ზედმეტიც იყოს მასზე მსჯელობა. მაგრამ ფაქტები გვაიძულებენ გავაკეთოთ კომენტარები. აქციათა იძულებითი გამოსყიდვაც ზომ ნორმატიული ნებითაა განსაზღვრული.

ახლა რაც შეეხება ნორმატიულის გარეთ არსებულ სამყაროს. სამოქალაქო კანონმდებლობა საკმაოდ ფართო შესაძლებლობებს აძლევს მხარეებს განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი. ცალკეულ შემთხვევებში ეს შინაარსი შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს კანონთანაც და კონსტიტუციასთანაც. წარმოვიდგინოთ

შემთხვევა, როცა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დაი-
დო ადამიანური ღირსების შემლახავი შრომითი ხელშეკრულე-
ბა, ანდა დაილო გირავნობის, იჯარის ისეთი შინაარსის მქონე
ხელშეკრულება, რომელიც აშკარად ხელყოფს სამოქალაქო ბრუნ-
ვაში დამკვიდრებულ ტრადიციებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთერთი
მხარის უფლების არსი გაქრობის პირასაა მისული. რა უნდა მო-
ვიმოქმედოთ ამგვარ შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლოს
მოვმართოთ? ეს ცხადია შეუძლებელია, საერთო სასამართლობმა
უნდა შეაფასონ მოქმედი სამართლის მიხედვით აღნიშნული ურთ-
იერთობების შინაარსი და ნამდვილობა. სასამართლო ამოწმებს
ამ შემთხვევებს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად თავსებადია
ისინი სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში და ერთ-ერთ
უმთავრეს კრიტერიუმად შეფასებისა იყენებს სამართლიანობის
კატეგორიას.

მოკლე დასკვნა ის იქნება, რომ კერძო სამართლებრივი ურთ-
იერთობანი ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე წარმოადგენს
კონსტიტუციური შეფასების საგანს. კონსტიტუცია არ ერევა
პირდაპირ სახელშეკრულებო თავისუფლებაში, მაგრამ საკანონმ-
დებლო მოწესრიგების გზით არაპირდაპირ გავლენას ახდენს მის
დაცვაზე.

3. საკუთრების მომგებნიანობა და მისი გამოყენების ვალდებულება

საკონსტიტუციო სასამართლოში მინორიტარი აქციონერის
უფლებებთან დაკავშირებით დაისვა საკითხი იმის შესახებ, რამ-
დენად აუცილებელია აქციონერს თავისი აქციების ფუნქციურად
გამოყენების ყველა შესაძლებლობა ჰქონდეს, როცა აქციონერის
წილი უმნიშვნელოა, ცხადია შესაბამისადაა შეკვეცილი (შეზღუ-
დული) მისი უფლებებიც. ერთადერთი რაც გარანტირებული აქვს,
ესაა აქციისაგან მოსალოდნელი დივიდენდები, რომელიც ასევე
თავისი სააქციო წილის პროპორციულია. მიუხედავად იმისა, რომ

მინორიტარი აქციონერების უფლებრივი შესაძლებლობანი განსხვავდება მაჟორიტარი აქციონერისაგან, სასამართლო სწორად მოიქცა, როცა საკუთრება დაცვის ღირსად ჩათვალია იმის მიუხედავად, თუ რა შედეგებს შეიძლება მოელოდოს სუბიექტი მისი გამოყენებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი საკუთრების, ეს იქნება მცირე, თუ დიდი საკუთრება, არსი მდგომარეობს პრაქტიკულად მათი ფუნქციური დანიშნულებით გამოყენებაში, საკუთრება დაცულია, როგორც შესაძლებლობა და არა როგორც პრაქტიკულად რეალიზებული უფლება. ეს განპირობებულია იმით, რომ საკუთრება უპირველესად ეს არის მისი შემადგენლობის განხორციელების უფლება და არა ვალდებულება. მესაკუთრე უფლებამოსილია ისარგებლოს თავისი ქონებით. თანამედროვე სამოქალაქო კოდექსები ამას გამოხატავენ ისეთი მნიშვნელოვანი ფორმულით, როგორცაა პირის უფლება არ ისარგებლოს თავისი საკუთრებით. არის გამონაკლისები, რასაც მოგვიანებით შევეხებით. არავინ არ არის ვალდებული გამოიყენოს უფლება, მაგრამ ყველა ვალდებულია პატივი სცეს სხვის უფლებებს. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას უფლებები, იმის მიუხედავად, რა მდგომარეობაში არიან ეს უფლებები, სტატიკურში, თუ დინამიურში. უფლება ავალდებულებს სახელმწიფოს. საკუთრებისადმი ასეთი მიდგომა პიროვნული თავისუფლების გამოვლინებაა. საკუთრებაში ადამიანი ვლინდება არამარტო როგორც გონი, არამედ როგორც თავისუფალი სუბიექტი. ის ვინც არ იყენებს საკუთრებას, იერიზგის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მისთვის „ხასიათის პოეზიაა.“ ზოგი მესაკუთრე საკუთრების პირდაპირ მოხმარებაში ხედავს მის დანიშნულებას, ზოგიც კიდევ ამ საკუთრების მოხმარების იდეაში. კონსტიტუციით დაცულია საკუთრების უფლება, როგორც შემადგენლობის გამოვლინება, კერძოდ შემადგენლობის რეალიზაციის თავისუფლება. საკუთრება დაცულია ადეკვატური ფეექტების მიუხედავად. ამიტომაც მინორიტარი აქციონერების საკუთრებაც ისევეა დაცული, როგორც მაჟორიტარისა.

სხვა საკითხია, როგორი ნორმატიული გარემოა შექმნილი იმისათვის, რომ საკუთრების შინაარსის რეალიზაცია მოხდეს (ეს

ბრუნვის პრობლემა(ცაა). საკმარისია საკუთრებით სარგებლობა იქცეს ვალდებულებად, რომ აზრი დაეკარგება მის არსებობას და გაქრება მისი კერძო სამართლებრივი ხასიათი. ეს იქნება საბჭოური სამართლისადმი მიბრუნება, სადაც არცთუ ისე იშვიათად იყო საკუთრებით სარგებლობის ვალდებულება.

ახლა რაც შეეხება სარგებლობის ვალდებულებას, ეს იშვიათი გამონაკლისია და განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებს მოიცავს, სადაც საკუთრებას აქვს სოციალური დატვირთვები. მაგრამ აქაც ჩნდება კითხვა, მხოლოდ საკუთრების ფუნქცია ავალდებულებს სუბიექტს ისარგებლოს ამ საკუთრებით თუ საჭიროა ამაში ნორმატიული ჩარევა. ერთ-ერთი ასეთთაგანი არის ნორმატიული იძულება. თუკი კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული, რომ მესაკუთრე ვალდებულია ისარგებლოს თავისი საკუთრებით, არსარგებლობა მოვალეობის დარღვევა იქნება. ვინაიდან საკუთრება უფლებაა, კანონმდებელი ერიდება ასეთ ფორმულირებას. პირიქით, კანონმდებელი ამბობს, რომ მესაკუთრეს უფლება აქვს არ ისარგებლოს თავისი ქონებით და იქვე აღგენს, რომ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება დადგინდეს სარგებლობის ვალდებულება. წარმოვიდგინოთ, რომ კანონით არ არის ასეთი ვალდებულება დადგენილი, მაგრამ რომელიმე დიდმა კომპანიამ გადაწყვიტა, რომ იგი აღარ გააგრძელებს საქმიანობას და არის იმისი დიდი ვარაუდი, რომ ეს გადაწყვეტილება უარყოფითად აისახება მომხმარებელთა ინტერესებზე. ვერ ვიტყვით, რომ კომპანიას არა აქვს ამისი უფლება. კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, ეს გადაწყვეტილება სამეწარმეო თავისუფლების გამოხატულება იქნება, მაგრამ თუ დაუშვებთ იმას, რომ კომპანია უფლებას ბოროტად იყენებს, ეთქვათ წინა წელს დიდი მოგება ნახა და გადაწყვიტა, რომ აღარ სჭირდება საქმიანობის გაგრძელება, გაჩნდება კითხვა – შეიძლება ჩარევა ამ პროცესში, შეიძლება ვინმე აიძულო მისდევდეს იძულებით სამეწარმეო საქმიანობას? როგორც ჩანს ამ საკითხს უნდა შეეხედოთ სამეწარმეო საქმიანობისადმი წაყენებული მოთხოვნების კრილში. თუკი მეწარმემ იკისრა გრძელვადიანი ვალდებულება

მომხმარებლების წინაშე, ვთქვათ, „ჟინვალჰესმა“ იკისრა ვალდებულება, რომ იგი მოემსახურებოდა როგორც მსხვილ მომხმარებლებს, ისე ჩვეულებრივს (შეიძლება ეს ვალდებულება კონკრეტული ვადით არც კი იყოს შემოფარგლული), მაშინ საქმიანობის შეწყვეტა ვალდებულების დარღვევა იქნება. მოკლედ, ცალკე ჩადრმავებას საჭიროებს საქმიანობის ვალდებულება.

როცა ვსაუბრობთ მინორიტარ და მაჟორიტარ აქციონერებზე, მათი საკუთრების დაცულობა არ შეიძლება შეფასდეს შედეგუნარიანობით. თუკი ასე მიუდგებით, მაშინ მივიღებთ დისკრიმინაციულ გარემოს ქონებრივი დისკრიმინაციის ფორმით, როცა კონსტიტუციის წინაშე ყველა მესაკუთრე თანასწორია, ნემსის მესაკუთრე და აქლემის მესაკუთრეც. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელს შეიძლება გაცილებით მეტი ვალდებულებები გაუჩნდეს. ამდენად, თუკი საკუთრება ავალდებულებს მის სუბიექტს, როგორც უფლების მატარებელს, საკუთრება ავალდებულებს სახელმწიფოს, როგორც მხოლოდ მოვალეობის სუბიექტს.

ამდენად, არც საკუთრების სარგებლობის ფარგლები, არც მისი შედეგუნარიანობა და არც მოცულობა არ არის ისეთი გარემოებანი, რამაც შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენოს საკუთრების კონსტიტუციური დაცვა.

4. საკუთრების უფლების უზღუდვის კერძო ინტერესის უზღუდვის

გაჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით კერძო ინტერესების საფუძველზე თუა შესაძლებელი საკუთრების შეზღუდვა ან მისი ჩამორთმევა. შეზღუდვასთან მიმართებით შეიძლება ეს კითხვა მოგვეჩვენოს უადგილოდ, მაგრამ იგი საჭიროებს აუცილებელ განმარტებას, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაში (№2/1-370,382,390,402,405) „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53³-ე მუხლთან დაკავშირებით დააფიქსირა შეზღუდვის მდგომარეობა. საკუთრება, ცხადია შეიძლება შეიზღუ-

დოს როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესების საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსი საკუთრებას განმარტავს, როგორც კანონისმიერი და სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში მესაკუთრის მიერ თავისი უფლებამოსილების გამოყენებას. აქვე უნდა გავმიჯნოთ შეზღუდვის ორგვარი მდგომარეობა. ერთი, შეზღუდვა, რომელიც საკუთრების იმანენტურ თვისებას, მისი სუბსტანციის განუყოფელ მახასიათებელს წარმოადგენს და შეზღუდვა, რომელიც გარედან მოდის და მისი აუცილებლობა სპეციალურ შემოწმებას საჭიროებს. როცა ვლაპარაკობთ საკუთრების არსობრივ შეზღუდვებზე, ეს პრინციპში არც არის შეზღუდვა, ვინაიდან საკუთრება, როგორც სიკეთე, მხოლოდ ამგვარი თვისების მქონე სიკეთეა და ეს განპირობებულია იმით რომ, რომ იგი სამართლებრივი კატეგორიაა. ნებისმიერი უფლება გარკვეულ ფარგლებში მოცემული უფლებაა და ამ ფარგლებით ზღბა ამ უფლებათა იდენტიფიცირება. ავიდოთ სანიმუშოდ სამეზობლო თმენის ვალდებულებანი, ისინი საკუთრების შინაარსის გამოვლინებაა. იგივე შეიძლება ითქვას ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ და ა. შ. მოკლედ, წარმოუდგენილია საზოგადოებაში ისეთი უფლების არსებობა, რომელიც აბსოლუტურ თავნებობაზე იქნება მიშვებული. იყო რობიზონი ამგვარ მდგომარეობაში, მაგრამ მისი უფლება არც იყო უფლება თავისი ნამდვილი გაგებით. როცა ვამბობთ, რომ მე მაქვს რაიმე უფლება, ის აუცილებლად შეიცავს თავის თავში იმდენ შეზღუდვას, რომ მან უფლების სახე მიიღოს. აქედან ჩანს, რომ უფლება ვალდებულებით გაჯერებული ფასეულობაა და ეს არის არა სხვისი ვალდებულება, არამედ ჩემი ვალდებულება, რომელიც უფლების თვისებას შეადგენს. როცა სასამართლოს შეზღუდვებზე უხდება მსჯელობა, მან უნდა გამიჯნოს უფლების ეს მდგომარეობა, რომელიც მას დაბადებიდან თან დაჰყვება და მისგან განუყოფელია. შეზღუდვების მეორე ჯგუფი უფლების გარეთაა და როგორც ითქვა, განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მისი გამოყენება. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ მესაკუთრეს აეკრძალა საქონლის იმპორტი იმის გამო, რომ სახელმწიფომ გადაწყვიტა ხელი შეეწყო ეროვ-

ნული წარმოებისათვის. ასეთი შეზღუდვა შეიძლება სხვა დროს მოიხსნას. მოკლედ, ისეთი შეზღუდვები, რომლებიც გარდამავალი ხასიათის არიან და ინსტიტუტის ბუნებას არ განსაზღვრავენ, შეფასებითი შეზღუდვებია და შეიძლება მის აუცილებლობაზე მსჯელობა. შეფასებას არც ზემოაღნიშნული შემთხვევები არიან მოკლებული, მაგრამ იქ შეფასების სამიზნე თავად უფლებაა, აქ კი უფლების შეზღუდვა.

და მაინც პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, შეიძლება თუ არა შეზღუდვა კერძო ინტერესებიდან გამომდინარე? თუმცა, მანამდე უნდა ავხსნათ რაა ეს კერძო ინტერესი, საჯაროსგან აბსოლუტურად გამიჯნული? შეიძლება კი ინტერესთა სამყაროს აბსოლუტური იდენტიფიკაცია, როცა ამათუიმ უფლების შეზღუდვებზეა საუბარი. მე ვფიქრობ, რომ ეს შეუძლებელია. კერძო ინტერესში შეიძლება ვლინდებოდეს საჯარო და პირიქით, საჯაროში — კერძო. როცა კონსტიტუცია საზოგადო ინტერესებზე საუბრობს, ეს გარემოება მხედველობაში უნდა მივიღოთ. კერძო ინტერესი არ უნდა იყოს ვინმეს წმინდა, ამჟამად მერკანტილისტური და ეგოისტური ინტერესი. ინტერესი, რომლის სამიზნე იმავდროულად საზოგადო სიკეთეა და ეს პირდაპირაა გამოკვეთილი, არ შეიძლება მოინათლოს, როგორც მკაცრად (ამჟამად) კერძო ინტერესი. ასეთ ვითარებაში საკუთრების შეზღუდვა შეიძლება გამართლებული იყოს.

ჩემი მსჯელობიდან არ უნდა გაგაკეთოთ ისეთი დასკვნა, თითქოს გარედან წამოსული შეზღუდვები საკუთრების შინაარსზე გავლენას არ ახდენენ. პირიქით, ნებისმიერი შეზღუდვა პირდაპირ საკუთრების შინაარსში შეჭრას და მას ყოველთვის არა აქვს გამართლება. ნებისმიერი შეზღუდვა საკუთრებაში „ავრესიაა“ და მას მესაკუთრე მტკივნეულად განიცდის. ეს შეზღუდვებიც აუცდენელია, მაგრამ იგი საკუთრების არსის თვისება არაა. თვისება, რომ იყოს, მაშინ აღარ დაისმებოდა კითხვა მათი მიზანშეწონილობის თაობაზე. შეიძლება საკუთრების უფლება ამა თუ იმ პირისა ისე განხორციელდეს ამა თუ იმ სიკეთესთან დაკავშირებით, რომ არც კი მოხდეს მისი შეზღუდვა, ვინაიდან არ დადგეს ამისი საჭიროება.

ყოველივე აღნიშნული იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას

გვაძლევს, რომ საკუთრების კონსტიტუციური შეზღუდვები არ განვიხილოთ საკუთრების შინაარსის განმსაზღვრელად. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, საკუთრების შინაარსს კერძო სამართალი განსაზღვრავს და არა კონსტიტუციური. ამიტომაც, არასწორი აღმოჩნდება მსჯელობა, რომელიც იტყვის, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი იძლევა საკუთრების უფლების შინაარსის განსაზღვრის უფლებამოსილებას. პირიქით, ეს პუნქტი იძლევა საკუთრების უფლების შინაარსში შეჭრის უფლებამოსილებას, ამ შინაარსის შეზღუდვის უფლებამოსილებას. შინაარსის შეზღუდვა კი უკვე განსაზღვრულის შეზღუდვაა, კერძო სამართლით განსაზღვრულის შეზღუდვაა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ აზრი დაეკარგება შეფასების მთელ ლოგიკურ პროცესს. თუ შეზღუდვით შინაარსი განისაზღვრება, მაშინ როგორ ვადგენთ იმას, თუ როგორი უნდა იყოს საკუთრების შინაარსი. საკმარისია დაუშვათ კონსტიტუციით საკუთრების შინაარსის განსაზღვრა, რომ კერძო სამართალს საფუძველი გამოეცლება. კონსტიტუციაზე იქნება დამოკიდებული საკუთრების შინაარსი. კონსტიტუციის დანიშნულება კი მდგომარეობს საკუთრების შინაარსის გარანტიაში. „საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და დაცულია“ – სწორედ შინაარსის (შემადგენლობის) აღიარებასა და უზრუნველყოფას ნიშნავს. ამიტომაც, საეჭვო იქნება იმისი თქმა, რომ საკუთრების შემზღუდველი ნორმა, კერძოდ, „სადაო ნორმა განსაზღვრავს საკუთრების უფლების შინაარსს, ადგენს მის ფარგლებს კონკრეტული საჯარო მიზნის მისაღწევად“. ჩნდება კითხვა, როცა სადაო ნორმაში წერია, რომ ხდება „კანონიერ ფლობელობაში არსებული ქონების“ ჩამორთმევა, რა შინაარსი განისაზღვრება ამით. მარტივად, ესაა შინაარსში შეჭრა.

5. საზოგადოებრივი აუცილებლობის ცნება კერძო ინტერესებთან მიმართებით

როგორც უკვე ითქვა, საკუთრების შეზღუდვა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53³ მუხლით მოხდა მაჟორიტარი აქციონერის სასარგებლოდ. ეს კი კერძო ინტერესია. საქმეზე „ჯეიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საკუთრების იძულებითი გადაცემა ერთი კერძო პირიდან მეორე კერძო პირისათვის შეიძლება შეესაბამებოდეს კანონიერ მიზანს საზოგადოების ინტერესებში. ამდენად, როცა საზოგადოებრივ ინტერესებზეა საუბარი, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, მისი გაგება ვრცელია და მოქმედებს ე.წ. „სახელმწიფოს ფართო მიხედულების“ კონცეფცია.³¹

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ არ შეიძლება განვიხილოთ გაქვეყნებულ ფასეულებად. „ის ცვალებადია დროსა და სივრცეში პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მოცემულობების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ის რაც ერთ საზოგადოებაში შეიძლება ჩაითვალოს „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად“, შეიძლება სხვა საზოგადოებაში ასეთად არ იქნეს მიჩნეული.“... „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა არის საკუთრების უფლების ობიექტი, როგორია მისი ბუნება და სოციალური დატვირთვა. ამ თვალსაზრისით, ის გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“, საკუთრების ერთი ობიექტის მიმართ, ასეთ საჭიროებას შეიძლება არ წარმოადგენდნენ სხვა ობიექტის მიმართ.“³²

მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლომ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ არ დაუკავშირა მარტო რაიმე უარ-

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 173.

32 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 173-174

ყოფითი შედეგების პრევენციას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დანაშაულის იარაღად გამოყენებული ქონების ჩამორთმევისას. კანონმდებელი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ შეიძლება მოქმედებდეს, როდესაც მას ამოძრავებს საზოგადოებისათვის ან მისი ნაწილისათვის დადებითი შედეგების მომტანი მიზნები. ამასთანავე, არ არის აუცილებელი, რომ კანონმდებელმა კონკრეტულად მიუთითოს ნორმაში, თუ რა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ იღებს მას. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობა შეიძლება გაირკვეს ნორმის ანალიზის, მისი განმარტების შედეგად. პირი, რომელიც იყენებს ნორმას, თვითონ კი არ ადგენს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობას ან არარსებობას, არამედ მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში არსებობს კანონმდებლის მიერ მოაზრებული „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“.³³

სხვაგვარადაა საკითხი მოწესრიგებული, როცა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ რეალიზაცია ხდება ქონების ჩამორთმევით, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით. აქ უკვე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ კონკრეტული შემთხვევით კი არ დგინდება, არამედ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ კანონი მკაცრად ამომწურავად ჩამოთვლის მას. მოკლედ, აქ მოქმედებს ე.წ. „ნუმერუს კლაუზა“-ს პრინციპი. კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში კი აღნიშნული საჭიროება გაცილებით ფართოდ გაიგება.

ამდენად, საკუთრების, როგორც შეზღუდვის, ისე მისი ჩამორთმევის შემთხვევაში ამოსავალია „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“, როგორც ინტერესი. როგორც უკვე ითქვა, ევროსასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ამ ინტერესში დანახულიყო კერძო ინტერესიც. მის შესაძლებლობას არც საკონსტიტუციო სასამართლო გამორიცხავს. ვფიქრობთ, რომ ასეთი მიდგომა

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 174.

საფუძვლიანი უნდა იყოს და მას ადგილი უნდა ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო ინტერესი, რომლის სასარგებლოდაც ხდება საკუთრების შეზღუდვა, იმავდროულად, გამოკვეთილად, საჯარო-საზოგადოებრივ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. განსაკუთრებით ეს მომენტი შესაძინებია მსხვილ კორპორაციებში, სადაც კორპორაციული საკუთრება განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის მატარებელია. წარმოვიდგინოთ, რომ ჟინვალქესის ნორმალურმა ფუნქციონირებამ საჭირო გახადა მის მიმდებარე ტერიტორიაზე კერძო პირთა საკუთრების შეზღუდვა. თუკი მივაღწეოთ იმ დასკვნამდე, რომ არა უბრალოდ მოგების მიზანი, არამედ საზოგადოებისათვის ელექტროენერჯით შეუფერხებელი მიწოდება არის გამოკვეთილი საჭიროება, ცხადია, კანონმდებელს შეუძლია მოახდინოს საკუთრების შეზღუდვა.

არ იქნებოდა სწორი კერძო და საჯარო ინტერესების მხოლოდ დაპირისპირების კუთხით განხილვა. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური ძალაუფლების მატარებელი ძირითადად კერძო პირებია, რომელთა საქმიანობაც სოციალური ტვირთის მატარებელია. მათი საკუთრება ემსახურება არა მარტო წმინდა კერძო ინტერესებს, არამედ საერთო კეთილდღეობასაც. შეიძლება ითქვას, რომ ზოგჯერ საერთო კეთილდღეობის ინტერესები უფრო გამოკვეთილია როცა საკუთრება ემსახურება არა მარტო მის მატარებელს, არამედ სხვა პირებსაც და სხვანაირად ასეთი საკუთრების არსებობა წარმოუდგენელია. ცხადია, აქ გამოკვეთილია საზოგადოებრივი საჭიროება.

ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც კერძო ინტერესით საკუთრების შეზღუდვაზეა მსჯელობა, არ უნდა გაგვიტაცოს ფუნქციური საკუთრების გაფეტიშებამ. ქვეყნად უფრო მეტია ისეთი საკუთრება, რომელსაც სიმბოლური სოციალური ფუნქცია თუ გააჩნია და იგი აუცილებელია ადამიანის თავისუფლებისათვის. არ უნდა მოხდეს ისე, რომ მცირე საკუთრება მსხვერპლად იქცეს დიდი საკუთრებისათვის. ამიტომაცაა, რომ როცა საკუთრების შეზღუდვაზეა საუბარი, ის იმდენად აუცილებელი და დასაბუთებული უნდა იყოს, რომ არ

მოხდეს მის მიმართ შეზღუდვის სუბიექტის გაუცხოება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი საკუთრების შეზღუდვა, მისი ჩამორთმევა, ფართო ხასიათს მიიღებს, ამით საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი წინადადების დებულება, რომ საკუთრება აღიარებული და დაცულია. დაუშვებელია დისკრიმინაციული საკუთრებითი წესრიგის ჩამოყალიბება. ასეთი წესრიგის რეზულტატი ვეღარ იქნება თავისუფალი საკუთრება. ამიტომაცაა, რომ როგორც კანონმდებელი, ისე სასამართლო, განსაკუთრებული, კონსტიტუციური პასუხისმგებლობით უნდა წყვეტდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკუთრების შეზღუდვის აუცილებლობას. თუ ამას ანგარიში არ გაეწია, საზოგადოება კომუნიზმის ეპოქაში გადაინაცვლებს და სამართალიც გაუტოლდება სოციალურ ფუნქციას.

6. საკუთრების უზღუდვისა და ჩამორთმევის ბაზიჯვანა

ეს საკითხი პირველად „მეწარმეთა შესახებ კანონის“ 53^ე მუხლის შეფასებისას წამოიჭრა. სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი იმის შესახებ, საკუთრების ყოველგვარი დაკარგვა თუ შეიძლებოდა განხილულიყო კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის ჭრილში. სასამართლო გადაწყვეტილებები ამ საკითხის გამორკვევისას ემყარება ევროპული კონვენციის მიდგომებს, როცა საკუთრების ჩამორთმევა საკუთრებაზე კონტროლის ძირითად გამოვლინებადაა მიჩნეული. შეიძლება ადგილი ჰქონდეს საკუთრების დაკარგვას, მაგრამ ეს არ განიხილებოდა ჩამორთმევად. საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაში (№2/1-370,382,390,402,405) აღნიშნა: „როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ასევე სხვადასხვა სახელმწიფოების საკონსტიტუციო სასამართლოებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი, ასევე სასამართლოს სხდომაზე სპეციალისტის მიერ წარმოდგენილი დასკვ-

ნა მეტყველებს იმაზე, რომ 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტს მკვეთრად გამოხატული ფორმალური ნიშნები ახასიათებს. ამ ცნებაში ვერ თავსდება ნებისმიერი შემთხვევა, რაც პირის მიერ, მისი ნების საწინააღმდეგოდ საკუთრების დაკარგვას გულისხმობს. საკუთრების ჩამორთმევაში იგულისხმება ექსპროპრიაცია, რომლის პირობები და წესი დადგენილია საქართველოს კანონით „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“.³⁴ ამდენად, სასამართლოს პოზიციით, საკუთრების ჩამორთმევა საკუთრების ექსპროპრიაციას გულისხმობს და მისი თავისებურება იმაშია, რომ მას ახორციელებს სახელმწიფო. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „საკუთრების ჩამორთმევის ურთიერთობისათვის მახასიათებელია, რომ სახელმწიფო არა მხოლოდ ადგენს საკუთრების ჩამორთმევის სამართლებრივ რეჟიმს, არამედ პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობს ჩამორთმევის კონკრეტულ პროცესში. აქციების სავალდებულო მიყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფომ, საკანონმდებლო ხელისუფლებამ დაადგინა სამართლებრივი რეჟიმი, მაგრამ თვითონ არ გამოდის ამ ურთიერთობის მონაწილედ“.³⁵

აქციათა სავალდებულო მიყიდვისას საკუთრების დაკარგვა ხდება კერძო სამართლებრივი ურთიერთობის შიგნით. ადგილი აქვს სახელშეკრულებო იძულებას, სასამართლოს აზრით, „სახეზეა მინორიტარი აქციონერის კონტრაქტების იძულება. ეს არის გარიგება, რაც ითვალისწინებს ერთი მხრივ, მინორიტარი აქციონერის მიერ მაჟორიტარი აქციონერისათვის აქციების საკუთრებაში გადაცემას, ხოლო მეორე მხრივ, მაჟორიტარი აქციონერის მიერ მინორიტარი აქციონერისათვის ამ აქციებში სამართლიანი ფასის გადახდას. მიუხედავად იმისა, რომ გარიგების დადებისას იგნორირებულია მინორიტარი აქციონერის ნება, მას მაინც ვერ

34 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 170-171.

35 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 171.

გავაიგივებთ დიამეტრალურად განსხვავებული სამართლებრივი ბუნების მქონე სახელისუფლებო აქტთან, რითაც ხდება საკუთრების ჩამორთმევის უფლებამოსილების მინიჭება და ჩამორთმევის სამართლებრივი გაფორმება. საკუთრების ჩამორთმევისას ურთიერთობები მესაკუთრესა და ხელისუფლებას შორის თავისი არსით საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობებია, როდესაც ურთიერთობები აქციონერებს შორის კერძოსამართლებრივ სფეროს განეკუთვნება“.³⁶ აქედან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53³ მუხლით მოწესრიგებული ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ხდება მინორიტარი აქციონერის მიერ საკუთრების უფლების დაკარგვა აქციაზე, ვერ იქნება განხილული, როგორც საკუთრების ჩამორთმევა და ვერ მოხდება მისი კონსტიტუციურობის შემოწმება 21-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით“.³⁷

საკუთრების შეზღუდვისა და ჩამორთმევის თანაფარდობას ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება (1/2/384). რომლის თანახმადაც „ფორმალურად ერთი და იგივე შედეგი – ქონების ჩამორთმევა ყოველთვის არ წარმოადგენს ჩამორთმევას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. ამ დროს გასათვალისწინებელია უფლებაში ჩარევის მიზანი, შინაარსი, ფორმა. ზოგჯერ, საკუთრების ჩამორთმევა უფლების შეზღუდვის შედეგი შეიძლება იყოს“.³⁸

საკონსტიტუციო სასამართლო ჩამორთმევას მიიჩნევს საკუთრებაში ჩარევის ერთჯერად აქტად, მაშინ როცა შეზღუდვა შეიძლება ატარებდეს ხანგრძლივ ხასიათს. „21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით საკუთრების ჩამორთმევისას კანონმდებელი

36 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 171.

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 171-172.

38 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 201.

კონკრეტული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, პირის საკუთრების მიმართ მოქმედებს ინდივიდუალურად, მიზანმიმართულად, ანუ განსაზღვრული საჯარო ინტერესების მიღწევა ხდება კონკრეტული პირის (პირების) საკუთრების ჩამორთმევის ხარჯზე. ამასთან, ეს ღონისძიება ერთჯერად ხასიათს ატარებს. მაშინ როდესაც 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში კანონმდებელი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას ადგენს საკუთრებით სარგებლობის ზოგად ფარგლებს, მესაკუთრეთა გარკვეულ ვალდებულებებს და საკუთრების ასეთი პირობებით შეზღუდვა ვრცელდება პირთა წრეზე მანამ, სანამ კონკრეტული გარემოება ან მიზანი, რომელიც საზოგადოებრივ საჭიროებად არის მიჩნეული არ მიიღწევა, არ ამოიწურება მისი ასეთად მიჩნევის აუცილებლობა“.³⁹

სხვა პრინციპული განსხვავება საკუთრების შეზღუდვასა და ჩამორთმევას შორის აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად ის არის, რომ „მე-3 პუნქტი გამოირიცხავს კანონის მოთხოვნათა დაცვით და სათანადო კომპენსაციით ჩამორთმეული ქონების უკან მოთხოვნის უფლებას, რადგან მესაკუთრე კარგავს არამარტო კონკრეტულ ქონებას, არამედ უფლებასაც ამ ქონებაზე. მაშინ როდესაც მე-2 პუნქტის ფარგლებში საკუთრების უფლების შეზღუდვისას, რომელიც ქონების ჩამორთმევით სრულდება, მესაკუთრე ყოველთვის არ კარგავს უფლებას კონკრეტულ საკუთრებაზე, მას შესაძლოა ჰქონდეს ქონების ან სათანადო ანაზღაურების მოთხოვნის უფლება“.⁴⁰

ამასთან დაკავშირებით თავს უფლებას ვაძლევ დავაზუსტო ზოგიერთი რამ, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებიდან უნდა გამომდინარეობდეს. კერძოდ ის რომ, როგორც წესი, შეზღუდვის დროს საკუთრების უფლება არ იკარგება. როცა იკარგება, ეს უნდა მივიჩნიოთ საკუთრებაში ჩარევის სპეციფიკურ შემთხვევად,

39 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 202

40 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 202-203.

რაზედაც კიდევ მიგვანიშნებს სასამართლო გადაწყვეტილება.

ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია სასამართლოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ კონსტიტუციის მე-21 მუხლის მე-2 პუნქტი არ გამოირიცხავს საკუთრების შეზღუდვისას სათანადო კომპენსაციას. როცა პირის უფლებებში ზომაზე მეტად ჩარევა ხდება, ასეთ დროს შეზღუდვის გაწონასწორების მიზნით სახელმწიფოსათვის ფულადი ვალდებულების დაკისრება ემსახურება კერძო და საჯარო ინტერესებს შორის თანაზომიერი დამოკიდებულების უზრუნველყოფას „... ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ ფულადმა კომპენსაციამ შეიძლება წარმატებით დააბალანსოს კერძო და საჯარო ინტერესები“.⁴¹ მაგალითად, საკომუნიკაციო სამუშაოების გამო მოხდა სამეწარმეო საქმიანობის შეფერხება – შეჩერება.

7. საკუთრების შეზღუდვის ორბუნოვნების შესახებ

ჯერ დავიწყოთ საკუთრების შეზღუდვის არატრადიციულ შემთხვევით, როგორცაა აქციის იძულებითი გამოსყიდვა და დანაშაულის იარაღად გამოყენებული კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების კონფისკაცია.

აქციის იძულებითი გამოსყიდვა მართლაც კონტრაპირების იძულებას წარმოადგენს, მაგრამ იგი მაინც ვერ ჯდება ამ იძულების სიერცეში სრულყოფილად. კონტრაპირების იძულების კლასიკურ შემთხვევებში იძულების სუბიექტი სამოქალაქო ბრუნვის ძლიერი მხარეა. ის, ვისაც არა აქვს ძალაუფლება ვერც ვაიძულებთ. ეს იძულება ზორციელდება ბრუნვის სუსტი მხარის სასარგებლოდ. იძულების სუბიექტია ის, ვისზეც ვარ დამოკიდებული. ამ იძულების გზით ხდება ძლიერი მხარის ძალაუფლების „მოთოკვა“, მისი გონივრული გამოყენება. ამ იძულებას მოითხოვს მოწესრიგე-

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 203.

ბული და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვა, რომლის მიზანიცაა მხარეთა თანასწორობა და ექვივალენტური ურთიერთობებისათვის ხელის შეწყობა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53³ მუხლში კი კონტრაქტების იძულებას ახორციელებს ძლიერი მხარე, რომლის ხელშია აქციათა 95%. აქ ძალაუფლება კი არ იბოჭება, არამედ მას ასპარეზია აქვს გაშლილი და მინორიტარი აქციონერის მცირე ძალაუფლების „მოსპობის“ იარაღად იქცევა. სწორედ ამით განსხვავდება კონტრაქტების იძულების „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული შემთხვევა, „კონტრაქტების იძულების“ კლასიკური შემთხვევებისაგან.

ახლა გასარკვევია რატომ უნდა იყოს აქციის გამოსყიდვა 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. მინორიტარი აქციონერი ზომ ამ შემთხვევაში კარგავს საკუთრებას, რა მნიშვნელობა აქვს მისთვის ამ საკუთრების დაკარგვას შეზღუდვას დაარქმევენ თუ ჩამორთმევას. ორივე შემთხვევაში იგი კარგავს საკუთრებას და კარგავს საბოლოოდ. რა მნიშვნელობა აქვს მისთვის, სახელმწიფო აქტით ჩამოერთმევა ეს ქონება თუ „კონტრაქტების იძულების გზით“. განა ორივე შემთხვევაში მის ნებას რაიმე ანგარიში ეწევა? ორივე შემთხვევაში იძულებას აქვს ადგილი. განა მინორიტარი აქციონერის უფლებრივი მდგომარეობა შემხვედრი დაკმაყოფილების თვალსაზრისით, იგივე არ უნდა იყოს, რასაც ადგილი აქვს სახელმწიფო აქტით საკუთრების ჩამორთმევისას. თუ დავეყრდნობით მოცემულ გარემოებებს, მაშინ გამოვა, რომ ორივე შემთხვევაში ქონების ჩამორთმევაა სახეზე. საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებიდან (№2/1-370,382,390,402,405) ჩანს, რომ ეს ასე არ არის და მათ შორის სერიოზული განსხვავებაა.⁴²

დავიწყოთ იმით, რომ როცა ადგილი აქვს ექსპროპრიაციას, აქ არ საუბრობენ ძალთა თანაფარდობაზე, იმაზე, რომ ვილაციის ძალაუფლება საჭიროებს შევსებას (გაფართოებას), განმტკიცებას

42 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 148-186.

ვინმეს ხარჯზე, რათა მან სრულყოფილად და ეფექტიანად შეასრულოს თავისი ფუნქცია. არსებობს კონკრეტული საზოგადოებრივი საჭიროება და საკუთრების ჩამორთმევაც სახეზეა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ ხდება მესაკუთრე სუბიექტის ქცევების განსჯა, ჩამორთმევა არ წარმოადგენს რაიმე „სადამსჯელო“ ღონისძიებას მესაკუთრის ქმედებებთან მიმართებით. ობიექტური აუცილებლობა საკმარისია ამ ღონისძიების განსახორციელებლად.

რაც შეეხება საკუთრების შეზღუდვას ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აქ ინტერესთა ორმხრივი შეფასების მდგომარეობა გვაქვს. „კონტრაქტების იძულებისათვის“ არსებითი მნიშვნელობა აქვს მინორიტარი აქციონერის მიერ თავისი აქციების გამოყენების კეთილსინდისიერებას. ვინაიდან სააქციო საზოგადოება წარმოადგენს ერთიან ორგანიზმს, მინორიტარი აქციონერის აქციები მთელი სააქციო პაკეტის ორგანული ნაწილია და სააქციო საზოგადოებაც მოქმედებს როგორც ერთიანი სხეული. კანონმდებელი ვალდებულია შექმნას ეფექტიანი მექანიზმები საიმისოდ, რომ ეს ორგანიზმი ჯასაღად მოქმედებდეს და მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავდეს უკიდურეს ღონისძიებებს. საკუთრების კონტროლი გულისხმობს საკუთრების ისეთი გამოყენებისაგან თავის დაზღვევას, რითაც სხვებს შეიძლება მიადგეთ ზიანი. არ შეიძლება საკუთრებაში არსებული წილი საფრთხეს უქმნიდეს წილობრივ საკუთრებას, როგორც ერთიან ფასეულობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ სწორად მიაპყრო თავისი ყურადღება მინორიტარი აქციონერის შესაძლო ვნებაუნარიანობის ფაქტორს და აქედან გამომდინარე გააკეთა შესაბამისი დასკვნები. რადგანაც კონტრაქტების იძულების უფლება მისცა კანონმდებელმა მაჟორიტარ აქციონერს, იგი ვალდებულია დაასაბუთოს მისი აუცილებლობა. კონტრაქტების იძულება ეს არ არის უპირობო უფლება. ნებისმიერ შემთხვევაში მაჟორიტარმა აქციონერმა ჯეროვანი მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს საიმისოდ, რომ აქციების გამოსყიდვა აუცილებელია სააქციო საზოგადოებისათვის. მოკლედ, მან უნდა დაასაბუთოს, რომ მინორიტარი აქციონერის

არსებობა (საქმიანობა) მას უქმნის ისეთ პრობლემებს, რაც საკმა-
რისია აქციათა გამოსყიდვისათვის.

ერთ-ერთი ასეთთაგანი შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოების
მართვაში გამოწვეული ტვირთი. სასამართლომ ამასთან დაკავში-
რებით აღნიშნა: „სააქციო საზოგადოების საქმიანობა დაკავშირე-
ბულია გარკვეულ ხარჯებთან, მათ შორის ისეთთან, რომლებსაც
იწვევს მინორატორი აქციონერების არსებობა სააქციო საზოგა-
დობაში. თუმცა, ეს არ არის იმდენად მძიმე და გადაჭარბებული
ტვირთი სააქციო საზოგადოებისათვის, მითუმეტეს ნორმალური
მართვის პირობებში, რომ ყველა შემთხვევაში გამოიწვიოს აქციე-
ბის სავალდებულო მიყიდვის გზით მინორატორი აქციონერების
სააქციო საზოგადოებიდან განდევნის აუცილებლობა. საქმის არ-
სებითი განხილვისას ვერ დასახელდა ვერცერთი შემთხვევა, რო-
დესაც სააქციო საზოგადოებას ხარჯი მინორატორ აქციონერთა
დესტრუქციული მოქმედებების შედეგად წარმოეშვა“.⁴³

ამდენად, აქციის სავალდებულო გამოსყიდვა სამართლებრივად
ანგარიშგასაწევ მოტივაციას უნდა ემყარებოდეს, რათა მინორი-
ტარ აქციონერებს თვითნებურად არ ჩამოერთვას საკუთრება. მე
ვიტყობი, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც
იგი თავისი არსებობა-ფუნქციონირებით საფრთხეს შეუქმნის სამე-
წარმეო წესრიგს. როცა საკუთრების ღირებულებაზე და გარანტიებზეა
საუბარი, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საკუთრება არ
შეიძლება იქცეს ზიანის მომტან კატეგორიად. საკუთრების არსებობას
მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა იგი სიკეთის მომტანია. როცა ვლავა-
რაკობთ საკუთრების უფლებაზე, იგი მანამ ექვემდებარება დაცვას,
სანამ მისი შინაარსი ხორციელდება ისე, რომ ამით არ ირღვევა
სხვათა უფლებები⁴⁴. ამ გარემოებას თვით საბჭოური სამოქალაქო

43 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007,
ბათუმი, 2009, 177.

44 აუქციონერთა ინტერესების აწონ-დაწონვის დროს გასათვალისწინებელია
კორპორაციული თანაზომიერების პრინციპი. იხ: ირაკლი ბურდული, სავალდებულო
სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო გაყიდვა: „აქციით მინიჭებული უფლებ-
ის ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპი-
რობაა?!, მართლმსაჯულება 2007, №2, 38.

კოდექსებიც კი განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავდნენ. როცა მინორიტარი აქციონერი ბოროტად იყენებს თავის უფლებებს, საბოლოო ჯამში იგი თავისთავსაც აყენებს ზიანს. თუკი საწარმოს ფუნქციონირება არ მოხდება კორპორატიული ტრადიციების საფუძველზე, ისე ვერც საწარმო მიიღებს მოგებას და მინორიტარი აქციონერიც დაზარალდება.

საკონსტიტუციო სასამართლომ სწორად მიაქცია ყურადღება კერძო ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების ერთიანობაზე. კორპორაცია ერთიანი ინტერესის მატარებელი სუბიექტია და იმის მიუხედავად, კერძოდ რა ინტერესი ამოძრავებს ცალკეულ აქციონერებს, ყველა მათგანი ვალდებულია საერთო ინტერესის სწორად განსაზღვრაში მიიღონ მონაწილეობა და შესაბამისად ადეკვატური ტვირთიც იკისრონ. როცა კონტრაპირების იძულებას ეხება საქმე, აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ იძულების მოტივაცია. არათუ კორპორაცია, არამედ ნებისმიერი იძულების მატარებელი სუბიექტი შებოჭილია იძულების გამოყენების საფუძველებით. ვინც უგულვებელყოფს მას, იგი თვითნებურად იქცევა და ამ იძულებას ბოროტად იყენებს. მოკლედ, საჭიროა სწორად განისაზღვროს როგორც მინორიტარი აქციონერისგან მოსალოდნელი საფრთხეები, ისე მაჟორიტარი აქციონერის აბსოლუტური ძალაუფლების მოტივაციის საფუძველები. ეს აუცილებელია, ვინაიდან, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებაში ითქვა, „ეკონომიკური ეფექტურობის მოტივით შემოღებული წესი არ შეიძლება ცალმხრივ ტვირთად დააწვეს ერთ-ერთ მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გარდა სასამართლებრივი პრობლემებისა, წარმოიშეება საბაზრო დეზორგანიზაციის, მიწოდებისა და მოთხოვნის დისბალანსის საშიშროება. „მეწარეთა შესახებ“ კანონის 53³ მუხლით დადგენილი წესი არ შეესაბამება ამ მოთხოვნებს. ის აშკარად არღვევს სამართლიან ბალანსს მაჟორიტარი აქციონერის სასარგებლოდ. სადაო ნორმიდან, მისი საზღვარგარეთული ანალოგებიდან განსხვავებით არ იკვეთება აქციათა სავალდებულო მიყიდვის მიზანმიმართულება. ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ მაჟორიტარმა აქციონერმა გამოისყიდოს

მინორიტარი აქციონერის აქციები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს საწარმოსათვის არაერთარ საჭიროებას არ წარმოადგენს“.⁴⁵

ამდენად, სასამართლო საერთოდ კი არ უარყოფს ანალოგიური ნორმის არსებობას, არამედ აღნიშნავს იმას, რომ ასეთი ნორმა უნდა შეიცავდეს აქციათა იძულებითი გამოსყიდვის სამართლებრივ საჭიროებასა და აუცილებლობას კორპორაციის ინტერესებისათვის და არა ამ ინტერესებისგან განყენებულად 95% აქციების მქონე აუქციონერის მხრიდან აქციების უპირობოდ გამოსყიდვის უფლებას. მოკლედ, აქციების გაყიდვას კორპორაცია ავალდებულებს და არა აქციონერი. როგორც წესი, აქციონერისა და კორპორაციის ინტერესები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს, მაგრამ არ არის გამორიცხული მათ შორის წინააღმდეგობა და შეუსაბამობა. მაჟორიტარ აქციონერს შეიძლება ამოძრავებდეს წმინდა ეგოისტური ინტერესი, კერძოდ ის, რომ კორპორაციის აქციათა სრული ბატონ-პატრონი გახდეს და ამით საერთოდ გამორიცხოს განსხვავებული აზრი მისი მართვის პროცესში.

როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს, კონტრაქტების იძულების მექანიზმი ერთობ განსხვავებულია კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მიღებული წესებისგან. მართალია, კონტრაქტების იძულებისას, მინორიტარი აქციონერის ნების საწინააღმდეგოდ ხდება გამოსყიდვა, მაგრამ ეს მის ნებას არ აქცევს ნულის ტოლად და გამოსყიდვის პროცესში იგი გარკვეულ როლს თამაშობს. არ არის გამორიცხული, რომ მხარეები შეთანხმდნენ აქციათა გამოსყიდვის პირობებზე და ეს განხორციელდეს აქციათა შესყიდვის ტრადიციული მექანიზმების ფარგლებში. ვიდრე კონტრაქტების იძულების მექანიზმი ამოქმედდებოდა მანამდე უნდა გაირკვეს, იქნებ თანახმაა მინორიტარი აქციონერი მიყიდოს აქციები მაჟორიტარს და ამის თაობაზე შეთანხმდნენ.

მაგრამ რას გვთავაზობდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა. ამის თაობაზე სასამართ-

45 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 180.

ლოს გადაწყვეტილებებში აღნიშნულია: „53³ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, მინორიტარი აქციონერი აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას იღებს ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებული გადაწყვეტილებით, მას აღნიშნული განცხადება გაეგზავნება დაზღვეული წერილით. ამგვარ პირობებში მინორიტარ აქციონერს არა თუ არა აქვს სამართლებრივი საშუალება თავი დაიცვას მაჟორიტარი აქციონერის მიერ ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან, არამედ მას იმის შესაძლებლობაც არა აქვს მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია აქციათა სავალდებულო მიყიდვის მიზეზების თაობაზე და დააფიქსიროს თავისი პოზიცია ამასთან დაკავშირებით. სადაო ნორმით გათვალისწინებული პროცედურა არაგამჭვირვალეა, აქციების სავალდებულო მიყიდვისას მინორიტარი აქციონერი ფაქტიურად ინფორმაციის ვაკუუმში იმყოფება და გაცილებით წამგებიან მდგომარეობაშია ვიდრე მაჟორიტარი აქციონერი. იმ პირობებში, სადაც სამართლებრივი სისტემა ვერ უზრუნველყოფს მინორიტარი აქციონერების დაცვასა და მათი უფლებების განსაზღვრას, მაჟორიტარი და მინორიტარი აქციონერების ინტერესების კონფლიქტი იწვევს დამატებით სამართლებრივ არასტაბილურობას საქმიან გარემოში, ზრდის რისკებს და „აფრთხობს“ როგორც შიდა, ასევე უცხოურ ინვესტიციებს“.⁴⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ მსჯელობიდან ნათელი ხდება, რომ 5% აქცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია განწირული გასასხვისებლად, როცა იგი აქციათა მთელი პაკეტისათვის ხელშემშლელ ფაქტორად იქცევა. აპრიორულად, თავისთავად, რომ წარმოადგენდეს ეს ფაქტი ნეგატიურ გარემოებას, მაშინ კანონმდებელი იტყოდა, რომ დაუშვებელია აქციათა ისეთი განაწილება, როცა ერთის ხელშია 95% აქცია, მეორის ხელში კი – 5%. ეს იქნებოდა კანონმდებლის მიერ შემოღებული აბსურდული დანაწესი. მაგრამ, თუ მხედველობაში არ იქნებოდა მიღებული საკონ-

46 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007. ბათუმი, 2009, 180-181.

სტიტუციო სასამართლოს აღნიშნული დებულებანი, მაშინ ასეთ დანაწესამდე მისვლას ბევრი არაფერი დააკლდებოდა.

ისევ ჩნდება კითხვა, რატომ არის აქციის ჩამორთმევა შეზღუდვა. თუკი გავყვებით სასამართლოების პრაქტიკას, ეს საკუთრებაზე კონტროლის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. თავად გამოსყიდვა კი არაა კონტროლი, არამედ იგი კონტროლის შედეგია. აქ მესაკუთრის მხრიდან ირღვევა ის კონსტიტუციური მოთხოვნა, რომ საკუთრება მესაკუთრეს ავალდებულებს. მე ამ შემთხვევაში ეს ვალდებულება წარმომადგენია კორპორაციული ინტერესების ფარგლებში, რაზეც ვისაუბრეთ, როცა საზოგადოებრივი აუცილებლობა დავახასიათეთ. მთავარი ის არის, რომ მხოლოდ 5% აქციაზე საკუთრება თავისთავად არ წარმოადგენს „ბოროტებას“. ნებისმიერი პირი შეიძლება გახდეს ამ უფლების სუბიექტი. ამიტომაც, როცა მინორიტარი აქციონერი არ ეთანხმება მაჟორიტარი აქციონერის ნებას, საერთო სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებებით. სასამართლომ მაჟორიტარის ნება რომ ცნოს გამართლებულად, აუცილებლად მასში უნდა დაინახოს სამართლებრივად ანგარიშგასაწვევი მოტივები. სასამართლო, ნებისმიერ შემთხვევაში იქედან უნდა ამოვიდეს, რომ საკუთრება უმაღლესი ფასეულობაა და მისი დაცვა არაა დამოკიდებული მის ოდენობაზე. როცა სასამართლო იცავს საკუთრებას, აქ ამოსავალია თავად უფლება და არა ამ უფლების ქვეშ მოაზრებული ქონების ოდენობა. იმავდროულად ანგარიში უნდა გაეწიოს 5%-იანი აქციონერის არსებობის მდგომარეობას. კერძოდ იმას, რომ ფასეულობას წარმოადგენს აქციები და ყველა შემთხვევაში ესაა აქციათ 100%-იანი პაკეტი, სადაც აქციონერები აქციითა გარკვეული წილის მესაკუთრებად გვევლინებიან. ნებისმიერი წილი ერთი მთლიანი საკუთრების შემადგენელი ნაწილია და მას მრავალი ფუნქციის შესრულება უწევს. როგორც არ უნდა იყოს ეს წილი, თუნდაც 1%, იგი ყველა დანარჩენი წილის ფუნქციური ერთიანობის ობიექტს წარმოადგენს და აქცია, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ამ ერთიანობას იგი ამით საფრთხეს უქმნის კორ-

პორაციული (სამეწარმეო) წესრიგის უსაფრთხოებას. ნებისმიერი საკუთრება, ეს იქნება დიდი თუ მცირე, საკუთრებითი წესრიგის რეზულტატია. გონივრულად მოწყობილი საკუთრებითი წესრიგი კი საკუთრების უფლების გარანტიას წარმოადგენს. სწორედ აქ გაჩნდება ყველაზე უხერხული კითხვა-საკუთრების უფლება თუ საკუთრებითი წესრიგი? ის ვისაც, მხოლოდ უფლების შეგრძნება აქვს და არ ესმის ამ უფლების არსებობის გარემო, ცხადია თავგამოდებით დაიცავს უფლებას. ხოლო ის, ვინც იცის, რომ ეს უფლება უფლებრივი წესრიგის ნაყოფია და ნახავს, რომ ეს წესრიგი გამართლებულია და მას საფრთხეს უქმნის უფლება, მაშინ იგი უფლებრივი წესრიგის მხარეზე აღმოჩნდება. რატომ უნდა ეს იქნება იშვიათი შემთხვევები და სასამართლოებმა ყოველთვის კარგად უნდა აწონდაწონონ ყოველი კონკრეტული შემთხვევა. ბოლოს და ბოლოს ნებისმიერი წესრიგი გვეჭირდება იმისათვის, რომ უფლების ხელშეუვალი გამოყენება შევძლოთ. სააქციო საზოგადოებაში აქციაც ასეთ მდგომარეობაშია. თავად კორპორაციული საკუთრება საკუთრებითი წესრიგის შიგნით არსებული ფასეულობა, ხოლო ცალკეული აქციები კი, კორპორაციული საკუთრებითი წესრიგის ფარგლებში მოცემული სიკეთეა. შეიძლება ითქვას, რომ საკუთრების ბუნება განაპირობებს ორმაგი წრის არსებობას.

საკუთრების უფლება მსგავს გარემოებებში ანალოგიური თვისებებით ხასიათდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში იყო ნორმა, რომელიც ავალდებულებდა ბინის მესაკუთრეს, თუკი იგი უხეშად არღვევდა ამხანაგობის წინაშე ვალდებულებებს, გაესხვისებინა ბინა. უფრო მეტიც, „ბინის საკუთრების შესახებ“ გერმანიის კანონი ახლაც შეიცავს ნორმას, რომელიც ინდივიდუალური ბინის მესაკუთრეს არ აძლევს უფლებას ბინა გაასხვისოს ისეთ პირობებზე, რომელიც ამხანაგობისათვის მიუღებელია. მსგავსი ნორმა იყო ქართული სამოქალაქო კოდექსის პროექტში, მაგრამ მას პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა. გასხვისების შემაფერხებელი ნორმაც, რაც გერმანულიდან იყო გადმოღებული, „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ გაუქმდა.

რა დასკვნების გაკეთება შეიძლება აქედან. რატომ არსებობენ აღნიშნული ნორმები გერმანულ სამართალში, რა მიზანს ემსახურებიან ისინი? უნდა ითქვას, რომ ერთობ დასაბუთებული და კეთილშობილური მიზნებია, რაც განპირობებულია მრავალბინიან სახლებში საკუთრების თავისებურებებით. ნებისმიერი ინდივიდუალური საკუთრება საერთო საკუთრებასთან ისეა მიბმული, რომ მის გარეშე არ არსებობს. გარდა ამისა, ეს საკუთრება არსებობს ისეთ გარემოში, რომელიც სამეზობლო თმენის ვალდებულებებითაა დატვირთული. ვერცერთი მესაკუთრე ვერ გამოიყენებს თავის საკუთრებას მშვიდად, თუკი არ იქნება გარანტირებული, როგორც საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის ვალდებულება, ისე სამეზობლო მშვიდობა. როცა გერმანული სამართალი ამბობს, რომ ბინა უნდა გაასხვისო, ამას იწვევს საერთო საკუთრების მოვლის ვალდებულების დარღვევა, როცა გეუბნება რომ ბინას ვერ გაასხვისებ გარკვეულ პირზე, ამას იწვევს სამეზობლო მშვიდობის შენარჩუნების ვალდებულება. ამდენად, საკუთრებითი წესრიგით შეიბოჭა საკუთრება ისევე საკუთრების გარანტიისათვის.

8. საკუთრების უფლებების სხვა განზომილების შესახებ

რაც აქამდე ვისაუბრეთ, ეხებოდა შეზღუდვას, რომელიც საკუთრებაზე კონტროლის განხორციელების გამოვლინებას წარმოადგენდა. შეზღუდვის ეს მდგომარეობა, სადღაც ჩამორთმევასა და კლასიკური გაგებით შეზღუდვას შუაა. საკუთრების შეზღუდვა ამ გაგებით გულისხმობს საკუთრების უფლების შენარჩუნებას, განსხვავებით აღწერილი შემთხვევებისაგან. მესაკუთრის უფლებები იზღუდება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ეს შეიძლება იყოს სარგებლობის შეზღუდვა, ან გასხვისების უფლებამოსილების შეზღუდვა. მოკლედ, კანონმდებელი საჯარო-სამართლებრივი აქტით საკუთრების შინაარსს, რომელიც საკუთრების უფლების მატერიას შეადგენს კვეცავს. სასამართლოების

წინაშე დგება ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი — სადამდე შეიძლება შეიზღუდოს საკუთრების შინაარსი. ბოლო ხანებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დამკვიდრდა გერმანული სამართლის ანალოგიური პრაქტიკა. კერძოდ, ეს მდგომარეობს იმაში, რომ საკუთრება ისე უნდა შეიზღუდოს, რომ მისი სუბსტანცია, არსი შენარჩუნდეს. საკუთრების შეზღუდვით მისი შინაარსი არ უნდა დაზიანდეს. საკუთრება უნდა შეიზღუდოს მინიმალურად, რომ თავი გამოავლინოს მაქსიმალურად. საკუთრება ისე უნდა შეიზღუდოს, რომ იგი საკუთრებად დარჩეს.⁴⁷ ეს სერიოზული დებულებანი ძირფესვიანადაა დამუშავებული და ჩამოყალიბებული გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. ყოველივე ეს გამოიხატება ისეთ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ პრინციპში, როგორცაა არსის (შემადგენლობის) შენარჩუნება. ეს პრინციპი ყველა ძირითად უფლებასთან მიმართებით მოქმედებს. არსი მოვლენის არსებობის, მისი ფასეულობად ყოფნის საფუძველია. არსს ქმნის მოვლენის ძირითადი ნიშნები, რასაც ჩვენ ცნებასაც ვუწოდებთ. არსის დაკარგვა, მოვლენის გამოფიტვა იქნებოდა და მისი მატერიალური შინაარსის გაქრობა. ნებისმიერი მოვლენა შინაარსის გარკვეული თვისობრივობით იძენს თავის ბუნებას. ამიტომაცაა, რომ როცა უფლების შინაარსში შეჭრის აუცილებლობასთან გვაქვს საქმე, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ეს შეჭრა უფლებაში ჩარევის ხასიათს ატარებს თუ მასში „აგრესიის“ ხასიათს. მზამზარეული რეცეპტები ამის შესამოწმებლად არ არსებობს. ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის უფლების შინაარსში შეჭრის საკითხი ინდივიდუალურად წყდება.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი მხოლოდ შეზღუდვის მოტივზე საუბრობს და არაფერს ამბობს ამ შეზღუდვის ხასიათზე. უმეტესი ქვეყნების კონსტიტუციები საერთოდ არაფერს არ ამბობენ შეზღუდვის თაობაზე. როგორც ჩანს, საკუთრების შეზღუდვა საგულისხმო მომენტი საკუთრების

47 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2000-2001, თბილისი, 2003, 122.

უფლებისათვის. შეზღუდვის ფარგლებს სასამართლოები ადგენენ. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის ერთ-ერთ პროექტში სწორედ სასამართლო პრაქტიკიდან იქნა აღებული ნორმა, კერძოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან და ჩაიწერა, რომ საკუთრების უფლება ისე უნდა შეიზღუდოს, რომ მისი არსი არ განადგურდეს. ეს მეტად მნიშვნელოვანი მიგნებაა კონსტიტუციისათვის და იგი გამოდგება უფლებათა შეზღუდვის საერთო მასშტაბადაც. არსის შენარჩუნების ნორმა შეიძლება გამოდგეს დამატებით გარანტიად სხვა უფლებებისათვის.

ამდენად, შეზღუდვა საკუთრებისა თავისი კლასიკური გაგებით გულისხმობს შეზღუდვის ობიექტის შენარჩუნებას ისე, რომ მას შენარჩუნებული ექნება თავისი სახე. ამდენად, არსის შენარჩუნება ესაა სახის შენარჩუნება, მართალია შეზღუდული ქმედუნარიანობით, მაგრამ იგი მაინც საკუთრების შენარჩუნებაა. განხილული ორი შემთხვევა არც ერთ მათგანში არ ჯდება. იქ, როგორც პრეცედენტები მეტყველებენ საკუთრების შეზღუდვის სპეციფიკური შემთხვევაა.

9. კონფისკაცია საკუთრების შეზღუდვის კონტექსტში

ვინაიდან საკუთრების შეზღუდვის გამოვლინება საკუთრების დაკარგვაში ერთობ ძნელად აღსაქმელი საკითხია, მინდა კიდევ ერთ შემთხვევაზე გავჩერდე, როცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა ევროსასამართლოს პრაქტიკა და კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის იარაღად გამოყენებული ქონების კონფისკაცია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით განიხილა. ამ შემთხვევაში მდგომარეობა შედარებით განსხვავებულია წინა შემთხვევისაგან, იმით, რომ ქონების გამოყენება ხდება მართლსაწინააღმდეგო მიზნით და სახელმწიფოს მთელი ყურადღება მიჰყრობილია სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებისაკენ და მისი კანონიერი მესაკუთრე სუბიექტი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე

უკანა პლანზე დგება. ამ გზით სახელმწიფო ყველა გზას კეტავს იმისათვის, რომ არ მოხდეს ქონების გამოყენება ისეთი მიზნებისათვის, რაც საფრთხეს შეუქმნის არამართო სამოქალაქო ბრუნვას, არამედ სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძვლებს. ამ შემთხვევაშიც შეზღუდვის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მკაცრად იკრძალება ქონების მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენება და თუ ეს მოხდება ამ ქონების კონფისკაცია შედეგი იქნება შეზღუდვით გათვალისწინებული მოთხოვნებისა. ქონების ექსპროპრიაციის დროს არ არსებობს არავითარი წინარე ვალდებულებანი მესაკუთრისა, საზოგადოებრივი საჭიროება სრულიადაც არ არის განპირობებული მესაკუთრის ქცევებით. არც კი ხდება მისი შეფასება. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება განაპირობებს ქონების ჩამორთმევის საჭიროებას. დანაშაულის იარაღის კონფისკაციის დროს გვაქვს ასეთი აუცილებლობა. საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებაში (№1/2/384) აღნიშნულია: „ექვმიტანილის, ბრალდებულის, მსჯავრდებულის კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების ჩამორთმევა აუცილებელია სადავო ნორმითვე გათვალისწინებული კონკრეტული საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, რადგან დანაშაულის საგანი, იარაღი ან დანაშაულის ჩასადებად გამიზნული ნივთი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, დამოუკიდებლად იმისა, ვის ეკუთვნის ასეთი ქონება, ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, მსჯავრდებულს თუ მესამე პირებს“.⁴⁸

მოცემულ ვითარებაში საუბარია ისეთ ნივთებზე, რომლებიც გასულია ნორმალური სამოქალაქო ბრუნვიდან. მიუხედავად იმისა, რომ ჩამორთმევა ხდება არაბრალეული მესაკუთრის ქონებისა, მას მაინც რჩება გზა პასუხი მოსთხოვოს არაკეთილსინდისიერ კონტრაქტს და ედაოს სამოქალაქო-სამართლებრივი წესით.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სასამართლოს გადაწყვეტილებაში, ეს არის ის, რომ კონტრაქტების იძულების ანალოგიურად,

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 209.

დანაშაულის იარაღად ქონების გამოყენება არ არის საკმარისი საფუძველი ქონების კონფისკაციისათვის. საკონსტიტუციო სასამართლომ სწორად მიაპყრო ყურადღება იმ ფაქტს, რომ ამას უნდა განაპირობებდეს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება. ამიტომაც, ყოველი კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს. მოსამართლემ „უნდა შეძლოს ყოველ კონკრეტულ საქმეზე აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობის საკითხის სწორად შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საეჭვო გახდება როგორც საჯარო მიზნის მიღწევა, ისე საკუთრების უფლებაში ჩარევის მართლზომიერება.“⁴⁹

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ ორ გადაწყვეტილებაში მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ საკუთრების დაკარგვა შეაფასა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით და ისინი განიხილა, როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვა, რასაც საფუძვლად დაედო ევროსასამართლოს პრეცედენტები.

10. საკუთრების სამართლიან ფასად გამოსყიდვა

სამართლიანი ფასი ექვივალენტური ქონებრივი ურთიერთობების საფუძველია. აქციების გამოსყიდვის დროს მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებით მძაფრდება ეს პროცესი, როცა აქციის გამოსყიდვა აქციონერის ნების საწინააღმდეგოდ ხდება. როდესაც ფასი სუბიექტთა შეთანხმების შედეგად დგინდება, აქ მეტია ქონების რეალური ფასისგან გადახრები, მაგრამ დავის შემთხვევაში იგი ექვემდებარება შემოწმებას. ვინაიდან ფასი ერთ-ერთი არსებითი პირობაა შეთანხმებისა, არ შეიძლება იგი ისე განისაზღვროს, რომ ამით არაექვივალენტური და დისკრიმინაციული ურთიერთობები ჩამოყალიბდეს სუბიექტებს შორის. თანამედროვე კერძო სამარ-

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 212.

თალი სამართლიანობას განიხილავს, როგორც თავისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს და მისი არსებობის აუცილებელ ფარგლებს. სამართლიანობა სუბიექტების ბოჭვის ისეთი ფასეულობაა, რომლის გარეშე შეუძლებელია სიკეთეთა დაბალანსებული წესრიგი და მშვიდობიანი სამოქალაქო ბრუნვა. ამიტომაცაა, რომ ფასის განსაზღვრის მექანიზმებიც ისეთი უნდა იყოს, რომელიც ადეკვატური იქნება აღნიშნული მიზნებისა და მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ მხედველობაში იქნეს მიღებული ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებანი. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაში (№2/-370, 382, 390, 402, 405) ითქვა: „განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი ფასის დადგენის ისეთი სამართლებრივი პროცედურის განსაზღვრას, რომელიც არაორაზროვანი, მკაფიოა და არ აძლევს რომელიმე მხარეს მანიპულირების საშუალებას“⁵⁰. ფასის განსაზღვრის მექანიზმმა უნდა გამორიცხოს, რომელიმე მხარეს მიეცეს უსაფუძვლო პრიორიტეტი. საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ „მეწარმეთა შესახებ კანონის“ 53³ მუხლში მოცემული ფასის განსაზღვრის მექანიზმი ვერ იძლევა სამართლიანი ფასის დადგენის გარანტიას. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53³ მუხლის მე-3 პუნქტი ფასის განსაზღვრისას წარმოშობილი პრეტენზიისას აქციონერს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას აძლევს იმ შემთხვევაში, თუ ფასი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის მიერ არის დადგენილი, მაგრამ კანონი არ აწესრიგებს იმ სიტუაციას, როდესაც მინორიტარი აქციონერი არ ეთანხმება სააქციო საზოგადოების წესდებით რეგულირებული წესით დადგენილ ფასს“.⁵¹

მართალია აქციათა გამოსყიდვის ფასის მექანიზმის არასრულყოფილება არ წარმოადგენს თავად გამოსყიდვის უფლების არსებობის განმსაზღვრელ გარემოებას, მაგრამ მასზე ბევრადაა დამოკიდებული რამდენად სამართლიანი იქნება აღნიშნული უფლების

50 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 181.

51 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 182.

განხორციელება. უფრო მეტიც, ნებისმიერი უფლება საჭიროებს იმ გარემოში არსებობას, რომელ გარემოშიც შეიძლება იგი წარმოჩინდეს, როგორც ფასეულობა. ისევე, როგორც უფლება ვერ იარსებებს არაადექვატურ გარემოში, ასევე მიუღებელია გონივრული და დაბალანსებული გარემოსათვის გაუცხოებული უფლებები. უფლებასა და გარემოს შორის კონფლიქტის შემთხვევაში დაპირისპირება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ წყდება.⁵²

11. აქციის სავალდებულო მიყიდვის კონსტიტუციური საპართველოს კონსტიტუციის 14-ე მუხლთან მიმართებით

აქციების გამოსყიდვის უფლება ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს სააქციო საზოგადოებაში უფლებრივი დისკრიმინაცია გვაქვს ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. დისკრიმინაცია მაშინ იქნებოდა, თუკი განსხვავებული მიდგომა გვექნებოდა ერთნაირ მდგომარეობაში მყოფ სუბიექტებთან მიმართებით.⁵³ ამ საკითხს საკონსტიტუციო

52 საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ შეიცვალა ფასის განსაზღვრის მექანიზმი. იხ. საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53^ე-ე მუხლი.

53 გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მცირე აქციონერების უფლებების დაცვა საკანონმდებლო ძალისხმევის ობიექტს წარმოადგენს, რათა არ მოხდეს მსხვილი აქციონერების მხრიდან მათი უფლებების ბოროტად გამოყენება. ამასთან დაკავშირებით იხ.: როლფ კნიჰერი, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, 97-107; გელა ბახუტაშვილი, აქციათა მცირე პაკეტის მფლობელ აქციონერთა უფლებების დაცვა სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, 117-127; მერაბ მემარნიშვილი, მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით (იხ. წიგნი: საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში. გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2000 წლის 7-8 მარტი. გამომცემლები: ლალო ჭანტურია, როლფ კნიჰერი, იოჰანეს ზემლერი, თბილისი, 200); ლალო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2006, 527; Ладо Чантурия, Ограничение прав акционеров в международной практике, 117-138 (იხ. წიგნი: Актуальные вопросы законодательства республики Казахстан об акционерных обществах, Алматы, 2007); ირაკლი ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში,

სასამართლო საგანგებოდ შეეხო 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაში (3211-370, 390, 402, 405). სასამართლომ აღნიშნა, რომ მინორიტარ და მაჟორიტარ აქციონერებს შორის უფლებრივი განსხვავების მიუხედავად, ადგილი არა აქვს დისკრიმინაციას და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის დარღვევას. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ითქვა: „იმისათვის, რომ დავადგინოთ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53³ მუხლის კონსტიტუციურობა კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით, მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ თვით კორპორაციული ურთიერთობების სამართლებრივი ბუნება. კორპორაციული ურთიერთობები თავისი ხასიათიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კაპიტალურ საზოგადოებებში, ასიმეტრიული ურთიერთობებია. მნიშვნელოვანია, რომ პირზე ამ ურთიერთობათა მომწესრიგებელი სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება მისი ნების გარეშე, ეს არ არის ურთიერთობა, რომელშიც პირი სავალდებულო წესით მონაწილეობს, რამდენადაც ეს ფაქტიურად მრავალმხრივ ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ურთიერთობაა. ამ ურთიერთობებში პირის შესვლა თავისთავად გულისხმობს, რომ მან ნებაყოფლობით მიიღო შესაბამისი სახელშეკრულებო პირობები და გაცნობიერებული აქვს ურთიერთობათა სფეციფიკა. კორპორაციული ურთიერთობების ხასიათი განაპირობებს ამ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დიფერენცირებას საწარმოში მათი ქონებრივი მონაწილეობის შესაბამისად. ეს არის სააქციო საზოგადოების ძირითადი პრინციპი, რის თაობაზეც ინფორმირებულია პირი, როდესაც ის შედის ამ ტიპის ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, როდესაც ვსაუბრობთ სააქციო საზოგადოებაში მიმდინარე ურთიერთობათა მონაწილეებზე, მათი უფლებებისა და მოვალეობების განსხვავებას ვერ განვიხილავთ, როგორც ერთნაირი შემთხვევების მიმართ დიფერენცირებულ დამოკიდებულებას,

იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, 197-204. ირაკლი ბურდული სავალდებულო სატენდერო შეთავაზება. აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა?! მართლმსაჯულება, 2007, №2, 10-38.

არსებითად მსგავსი სუბიექტებისადმი არათანასწორ მიდგომას. ეს არის ურთიერთობა აქციონერებს შორის, რომლებმაც ნებაყოფლობით აირჩიეს ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სადაც გადაწყვეტილების მიღებასა და მართვაში მონაწილეობა, სხვა უფლებამოსილებათა და ასევე შესაბამისი პასუხისმგებლობის ფარგლები საწარმოში მონაწილეობის მასშტაბებზეა დამოკიდებული. სააქციო საზოგადოების საქმიანობა ეფუძნება უმრავლესობის პრინციპს და აქ იმთავითვე გამორიცხულია არსებითად განსხვავებული წილობრივი მონაწილეობის მქონე აქციონერების თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით აღჭურვის, მათი თანასწორ სუბიექტებად ჩამოყალიბების შესაძლებლობა. კონსტიტუციის მე-14 მუხლი არ ავალდებულებს კანონმდებელს, რომ უზრუნველყოს მსგავსი ტიპის ურთიერთობებში მხარეთა თანასწორობა, რამდენადაც ის არ მოითხოვს უნივერსალურ თანასწორობას ურთიერთობის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინების გარეშე“.⁵⁴

12. საკანონმდებლო ნოვაციები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53³ მუხლი (ამჟამად 54⁴ მუხლი) შეიცვალა და ჩამოყალიბდა ახლებურად. კერძოდ, მასში აისახა სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაში (№2/1-370,382,390,402,405) ჩამოყალიბებული დებულებანი.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ კანონმდებლის მიერ გათვალისწინებულია ის უმთავრესი კრიტერიუმები, რაზედაც საუბარი იყო 2007 წლის გადაწყვეტილებაში. ეს კრიტერიუმები მდგომარეობდა შემდეგში: 1. არ უნდა არსებობდეს ეკონომიკური

⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2006-2007, ბათუმი, 2009, 183-184.

ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა მაჟორიტარი აქციონერის მიერ. 2. მინორიტარმა აქციონერმა უნდა იცოდეს, თუ რატომ ხდება მისი კუთვნილი აქციების სავალდებულო მიყიდვა და 3. მინორიტარ აქციონერს უნდა ჰქონდეს თავისი პოზიციის გამოხატვისა და დაცვის სამართლებრივი საშუალება.

საკანონმდებლო ნოვაციიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ „აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით“. ამდენად, კონტრაპირების იძულება აღარ წარმოადგენს მინორიტარი აქციონერის თავნებობის საგანს. სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ეს იძულება გამორიცხულია. უფრო მეტიც, ამ საქმეში სასამართლოს ჩართვით კონტრაპირების იძულებასაც გამოეცალა საფუძველი. ეს იძულება მაშინაა, როცა სასამართლომდე ხდება აქციების გამოსყიდვა. როცა გამოსყიდვის საკითხმა სასამართლოში გადაინაცვლა, აქ შეიძლება საუბარი გამოსყიდვის უფლების განხორციელებაზე. მოკლედ, კონკრეტულ ვითარებაში, ეს უფლება არის თუ არა, ადგენს სასამართლო. ამდენად, საკუთრების შეზღუდვის ის შემთხვევა, რომლის საფუძველიც საკონსტიტუციო სასამართლომ დაინახა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში, თავისი შინაარსით უფრო დაუახლოვდა ამავე მუხლის მე-3 პუნქტს იმით, რომ აქციის გამოსყიდვა სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს ექსპროპრიაციისას.

ეს კი მეტყველებს მინორიტარი აქციონერის გაცილებით მეტ გარანტიებზე და მაჟორიტარი აქციონერის მხრიდან მის უფლებებში უსაფუძვლო ჩარევების თავიდან აცილებაზე. როცა მაჟორიტარმა აქციონერმა იცის, რომ მინორიტარ აქციონერს აქციებს ვერ წაართმევს სამართლებრივად დასაბუთებული ინტერესების გარეშე, მისი ცდუნება მოიწადინოს აქციების გამოსყიდვა – ნაკლები იქნება. მოკლედ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკუთრების შეზღუდვის სივრცეში ხაზი გაესვა სასამართლო გადაწყვეტილების აუცილებლობას, როდესაც ეს შეზღუდვა მხოლოდ ფორმა-

ლური ნიშნით განსხვავდება საკუთრების ჩამორთმევისაგან.

აღნიშნული გარანტიის საფუძველია ისიც, რომ მაჟორიტარი აქციონერის განცხადება, რითაც იგი ატყობინებს მინორიტარი აქციონერს აქციების გამოსყიდვის თაობაზე, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოსყიდვის მიზეზების, პირობებისა და პროცედურების შესახებ. ამას ემატება აქციათა სამართლიანი ფასის განსაზღვრა, რასაც სასამართლო განსაზღვრავს.

მიუხედავად აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებისა საკონსტიტუციო სასამართლოში სამჯერ წამოიჭრა მოსარჩელეთა მხრიდან კანონის ახალი რედაქციის კონსტიტუციურობის საკითხი. სასამართლომ თავის განჩინებებში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, კონსტიტუციის საწინააღმდეგო იყო, სავალდებულო მიყიდვის ის მექანიზმი, რასაც ითვალისწინებდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობილი 53³ მუხლი.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 4 მაისის განჩინებაში (№2/2/457) აღნიშნა: „საკონსტიტუციო სასამართლომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53³ მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობა განახორციელა არა იმის გამო, რომ ზოგადად აქციების სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი თავისი არსით ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას და საერთოდ გამოირიცხებოდა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობა“. სასამართლოს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს 53³ მუხლის შინაარსში ჩადებული აქციათა სავალდებულო მიყიდვის მექანიზმი. თავად ინსტიტუტის კონსტიტუციურობაზე (№2/1-370, 382, 390, 402, 405, 11-26) სასამართლომ მიუთითა 2007წლის გადაწყვეტილებაშიც და მომდევნო განჩინებებშიც. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა: „აქციათა სავალდებულო მიყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას შესაბამისი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის“.

2009 წლის 5 მაისის განჩინებაში (№2/3/460) საკონსტი-

ტუციო სასამართლომ ასევე დაადასტურა აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის კონსტიტუციურობა. მათში ნათქვამია: „შეაფასა რა კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53³ მუხლით დადგენილი წესი, საკონსტიტუციო სასამართლო არ მისულა იმ დასკვნამდე, რომ აქციების სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი თავისი არსით იყო არაკონსტიტუციური. პირიქით - დაინახა რა შესაძლებლობა, რომ ეს პროცედურა შეიძლება განპირობებული იყოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია ამასთან დაკავშირებით (გადაწყვეტილება 2/1-370, 382, 390, 402, 405, II – 23,24,25,26), შემოწმა რა სადაო ნორმა თანაზომიერების თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლომ ამით გამორიცხა, თავად ინსტიტუტის, მისი არსიდან გამომდინარე, არაკონსტიტუციურობა“.

აღნიშნული პოზიციის კიდევ ერთხელ განმეორება მოუხდა სასამართლოს 2009 წლის 8 ივნისის განჩინებაში (№2/5/467). მასში დადასტურდა ადრინდელი პოზიციები: „კოლეგიას მიაჩნია, რომ აქციების სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის ლეგიტიმური მიზნის ეჭვქვეშ დაყენება ფაქტიურად ნიშნავს ამ ინსტიტუტის არსის არაკონსტიტუციურობის საკითხის დაყენებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეცვლილა – აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის არსი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და აქციათა სავალდებულო მიყიდვას შეიძლება ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი, რაც განპირობებულია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით“.

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღებას შედეგად მოჰყვა აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტის იმგვარი ფორმულირება, რაც აღარ მოვიდოდა წინააღმდეგობაში საქართველოს კონსტიტუციასთან. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასამართლომ მომდევნო გადაწყვეტილებებში (განჩინებებში) დაადასტურა თავად ამ ინსტიტუტის კონსტიტუციასთან შესაბამისობა.

V. მეწარმეობის თავისუფლებისა და საკუთრების დაცვის კავშირურთიერთობა

1. მეწარმეობის თავისუფლება, როგორც სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების გამოვლინება

საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (№1/2/411) ხაზგასმით აღინიშნა საბაზრო ურთიერთობების ფუნქციონირების ისეთი ფუძემდებლური პრინციპების შესახებ, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვის საძირკველს შეადგენენ. კერძოდ, ითქვა, რომ „ხელშეკრულების, საკუთრებისა და მეწარმეობის თავისუფლება წარმოადგენს იმ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ პრინციპულ ფასეულობებს, რაც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის. ისევე, როგორც საკუთრების უფლება წარმოადგენს საკუთრებითი წესრიგის გამოვლინებას, თავისუფალი მეწარმეობაც შესაძლებელია მხოლოდ სამეწარმეო წესრიგის ფარგლებში. ფასეულობებისადმი ასეთი დამოკიდებულებით, სახელმწიფო ახდენს კერძო და საჯარო ინტერესების ერთმანეთისაგან არა გაუცხოებას, არამედ უზრუნველყოფს მათ შორის სამართლიანი ბალანსისა და მშვიდობის დამყარებას. ამით სახელმწიფო ქმნის ისეთ ეკონომიკურ მართლწესრიგს, რომელშიც მეწარმის ინტერესები არა თუ წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოების სამართლებრივად ანგარიშგასაწევ ინტერესებთან, არამედ მათ ემსახურება“.

სასამართლოს დადგენილებიდან ჩანს, რომ პირველ რიგში სუბიექტის თავისუფლებაა საჭირო. მეწარმე, აღჭურვილი უნდა იყოს იმ თვისებებით, რაც მას აქცევს ასეთ სუბიექტად. ეს კი კორპორაციებთან დაკავშირებით სუბიექტის „სიცოცხლის“ გარანტიებში ვლინდება. რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა კორპორაციული პირების უფლება არსებობაზე. კერძოდ, ითქვა: „სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს მეწარმე სუბიექტის არსებობას (არსებობის უფლება). კონს-

ტიტუცია იცავს არა მარტო ადამიანის არსებობას, არამედ ორგანიზებული წარმონაქმნების არსებობასაც. თავისუფალი მეწარმეობა შეუძლებელია, თუ არ არის დაცული მისი სუბიექტის „სიცოცხლე“. ყველა შემთხვევაში, სუბიექტის საქმიანობის დასასრული, ეს ნორმატიული ჩარევით მოხდება თუ მის გარეშე, ბუნებრივი, პრაქტიკული გონიერებიდან გამომდინარე აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული და არა მის მიმართ ხელონური ანგარიშსწორებით. მეწარმეს შეუძლია დაიცვას საკუთარი უფლება არსებობაზე მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ის მზადაა განახორციელოს თავისუფალი მეწარმის ყველა ფუნქცია, ყველა შესაძლებლობის სრულად გამოყენებით და აქედან გამომდინარე, იტვირთოს თანაბარი რისკი. ის შეუცვლელი და ხელშეუხებელია (დაცულია) მანამ, სანამ თავისუფალ ბაზარზე, თავისუფალი შეჯიბრებით (კონკურენციით), მზადაა გამოავლინოს თავისი სარგებლიანობა ამ ფუნქციებისათვის“.

ამდენად, ვიდრე სუბიექტის უფლებებზე დავიწყებდეთ საუბარს, მანამდე, სუბიექტის არსებობის გარანტიები მოეთხოვება სახელწიფოს. სახელწიფო ვალდებულია კორპორაციების არსებობა ისევე დაიცვას, როგორც ადამიანისა. კორპორაციის ხელოვნური „მოკვდინება“ სამოქალაქო და ეკონომიკური წესრიგისათვის იმდენად მძიმეა, რომ იგი ძირს უთხრის ამ წესრიგს. ამიტომაცაა, რომ კანონმდებელი ყველანაირად ცდილობს, გაკოტრების პირას მისულმა საწარმომ არ შეწყვიტოს არსებობა და გამოჯანმრთელდეს. ასეთი ნორმატიული მიდგომის წყალობით, „სიკვდილის“ პირას მისული კორპორაციებიც კი გაჯანსაღებულან. ასეთი მაღალი პასუხისმგებლობა სახელმწიფოსი ხელს უწყობს სუბიექტების არსებობის სტაბილურობას. მრავლადაა შემთხვევები, როცა კორპორაციების არსებობის ასაკი ასეულობით წლებს ითვლის. სასამართლოს მხრიდან ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა აუცილებელი იყო. არ არსებობს სამართლის სუბიექტი, არსებობის უფლების გარეშე. მისი საქმიანობა პირველ რიგში იმაზეა დამოკიდებული როგორაა დაცული ეს უფლება.

მოკლედ, სუბიექტის არსებობის უფლება თუ არაა დაცული,

აზრი ეკარგება იმ უფლებებს, რომლითაც აღჭურვილია ეს სუბიექტი, ვინაიდან ნებისმიერი უფლება სუბიექტზეა მიბმული. არის სუბიექტი, არის უფლება. უფლება უსუბიექტოდ მხოლოდ იდეაში არსებული ფასეულობაა.

საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთრების უფლება სწორედ რომ თავისუფალი სუბიექტის თვალსაზრისით განიხილა. მეწარმე სუბიექტის თავისუფლება შეიძლება ნულს გაუტოლდეს თუკი მას გადაეცემა სამოქალაქო ბრუნვის ასპარეზი. სამოქალაქო ბრუნვა ვერ განვითარდება თუკი იქ დისკრიმინაციული გარემო ჩამოყალიბდება ბრუნვის მოთამაშეებს შორის. ეს რომ არ მოხდეს და ყველას შეეძლოს თავისი უნარი სრულყოფილად გამოავლინოს ბრუნვის გარემო იმავდროულად კონკურენციის გარემოსაც უნდა წარმოადგენდეს. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „... თავისუფალი კონკურენცია ორგანულადაა დაკავშირებული მეწარმეობის თავისუფლებასთან და წარმოადგენს საბაზრო მეურნეობის საძირკველს. კონკურენციის განვითარების ხელის შეწყობა, ცალკეულ შემთხვევაში, სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს. ეკონომიკური ურთიერთობების იმ სფეროშიც, რომელშიც ბუნებრივი მონოპოლიებია გაბატონებული. მხოლოდ ასეთი ბაზრის პირობებში შეიძლება ავლენდეს სუბიექტი მეწარმისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშან-თვისებას. მხოლოდ კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი სუბიექტის თავისუფალი წარმოშობა, საქმიანობა და არსებობის შეწყვეტა. კონკურენციისადმი ხელის შეწყობით სახელმწიფო ახალისებს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი სუბიექტების საქმიანობას. ეს კი თავის მხრივ, ხელს უწყობს ჯანსაღი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებას“.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაინახა კონკურენციის ორგანული კავშირი მეწარმეობის თავისუფლებასთან. სახელმწიფოს ყველა მცდელობა შეაფერხოს კონკურენცია, უნდა ჩაითვალოს კონკურენციის საწინააღმდეგო მოქმედებად. სწორედ კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი, რომ ბრუნვის მონაწილეებმა მოახდინონ თავისუფალი არჩევანი. არ შეიძლება ბაზარში ხელოვნუ-

რად გაბატონდეს ისეთი ბრუნვა, რომელიც ბაზრის სუსტ მხარეს მოუსპობს ყოველგვარი არჩევანის შესაძლებლობას. არ შეიძლება თავისუფალი ბრუნვის ადგილი დაიკავოს კონტრაპირების იძულებამ, სადაც დიდია იმისი ალბათობა, რომ ძლიერი მხარე ბოროტად გამოიყენებს თავის ძალაუფლებას.

სასამართლოს მიდგომა იმითაც გამოირჩევა, რომ მან დაინახა ის დამაკავშირებელი ფასეულობა, რომლითაც ორგანულადაა შეკრული ბაზრის ფუნდამენტური პრიმციპები. ესაა სამართლიანობა, რომელიც ყველგანაა და ყველაფერშია. სამართლიანობაა ის, რომ სუბიექტის არსებობა იყოს გარანტირებული. სამართლიანობაა ის, რომ მეწარმე სუბიექტს ჰქონდეს საქმიანობის თავისუფლება. სამართლიანობაა ის, რომ მეწარმე სუბიექტის არსებობის გარემო იყოს კონკურენტული ბაზარი და ბოლოს სამართლიანობაა ის, რომ მეწარმე სუბიექტს შეეძლოს დანიშნულებისამებრ გამოიყენოს თავისი ქონება. ეს უკანასკნელი ყველაზე მტკივნეულია და მეწარმის სიცოცხლისათვის იმდენად აუცილებელი, რომ მასში დაუსაბუთებულ შეჭრას მეწარმეთა არსებობის გაუქმება შეიძლება მოჰყვეს შედეგად.

2. მეწარმეობის თავისუფლებისა და საკუთრების უფლების კავშირურთიერთობა

საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (№ 1/2/411) დაისვა საკითხი მეწარმეობის თავისუფლებისა და საკუთრების კავშირურთიერთობაზე. მეწარმეობის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებაში. კერძოდ, კონსტიტუციის თანახმად „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. მართალია საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელების შპს „რუსენერგოსერვისის“ – შპს „პატარა კახის“, „სს გორგოტას,“ გივი აბალაკის ინდივიდუ-

აღური საწარმო ფერმერის“ სასარჩელო მოთხოვნა შეაფასა კონსტიტუციის დასახელებული მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, ვინაიდან ასეთი იყო მოსარჩელეთა მოთხოვნა, ამასთან მას მოუხდა ამ პუნქტის მე-2 წინადადებასთან ერთად სარჩელის განხილვა. მოსარჩელები იმავდროულად მოითხოვდნენ მათი მოთხოვნის შეფასებას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

საქმის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ სადაო აქტებით დადგინდა ელექტროენერჯის განაწილებითი საქმიანობა, რაც გულისხმობდა წელიწადში (სექტემბერ – აგვისტოს ჩათვლით) არანაკლებ 120 მლნ კვტ.სთ ელექტროენერჯის რეალიზაციას. ვინაიდან მოსარჩელებმაც ვერც დამოუკიდებლად და ვერც ერთად ვერ შეძლეს აღნიშნული ოდენობის ელექტროენერჯის მიწოდება, ისინი გამოეთიშენ ელექტროენერჯის განაწილებით საქმიანობას და უფუნქციოდ დარჩათ ამ მიზნით შეძენილი ქონება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სადაო ნორმატიული აქტები გამოცხადდა არაკონსტიტუციურად.

საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელეთა საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მეწარმეობის თავისუფლების დარღვევა ყოველთვის არ ნიშნავს ავტომატურად საკუთრების უფლებაში დაუსაბუთებელ შეჭრას. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ითქვა: „სადაო აქტების კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით შეფასებისას მნიშვნელოვანია სამეწარმეო თავისუფლებისა და საკუთრების უფლების ურთიერთმიმართება. უნდა ითქვას, რომ მეწარმეობის თავისუფლება არ არსებობს თავისუფალი და გარანტირებული საკუთრების გარეშე. იმდენად მჭიდროა მათი კავშირურთიერთობა, რომ ერთი სამართლებრივი სიკეთის ყოფიერებას განსაზღვრავს მეორე სიკეთე, საკუთრების თავისუფლებაში ასოცირდება მეწარმეობის თავისუფლება. ეტყობა, ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია არ შეიცავს ცალკე ნორმას მეწარმეობის თავისუფლების შესახებ და მას იქ მოიაზრებენ, სადაც საკუთრების უფლების გარანტიებზეა

საუბარი. მართლაც, მეწარმეობა საკუთრების თავისუფლების გამოვლენის, მისი შინაარსის დემონსტრირების საუკეთესო ფორმაა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საკუთრებაში ვლინდება ადამიანი, როგორც მეწარმე სუბიექტი. ქართულ სინამდვილეში სწორედ ამ ახალი საკუთრებითი წესრიგის ჩამოყალიბებამ გახადა შესაძლებელი, გზა გახსნოდა მეწარმეობის თავისუფლების შესაფერისი სამეწარმეო წესრიგის დამკვიდრებას. კონსტიტუციის 21-ე მუხლის დაცვის ობიექტია კერძო პირთა საკუთრება, როგორც ფუნქციური დატვირთვაც არ უნდა ჰქონდეს მას, სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად იქნება გამოყენებული თუ არასამეწარმეო მიზნებისათვის. საკუთრება უპირობოდ დაცული ფასეულობაა, იმის მიუხედავად, თუ რა ღირებულების მფლობელობაა სახეზე და რა სოციალური ტვირთის მატარებელია იგი“. ეს უკანასკნელი დებულება აუცილებლად გასათვალისწინებელია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53⁴-ე მუხლის გამოყენებისას, რათა კონტრაპირების იძულება არ იქცეს თვითნებობად. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს დებულება ყველას ავალდებულებს და მათ შორის საერთო სასამართლოებსაც, რომლებიც პრაქტიკულად ახორციელებენ 53⁴-ე მუხლის გამოყენებას.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნული დებულებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელეთა საკუთრებაში შეჭრის საკითხი შეფასებულიყო კონსტიტუციის 30-ე მუხლთან ერთად. სიკეთეთა ორგანული კავშირი და ურთიერთგანპირობებულობა ზდება ამისი საფუძველი. სასამართლომ აღნიშნა, რომ.. .. „მიუხედავად საკუთრებისა და მეწარმეობის თავისუფლების ორგანული კავშირისა, შესაძლებელია, რომ 30-ე მუხლის დარღვევას ყოველთვის არ მოჰყვეს შედეგად 21-ე მუხლის დარღვევაც. ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებაზე, საკუთრების ობიექტის ფუნქციურობაზე და სამეწარმეო საქმიანობის ხასიათზეა დამოკიდებული 30-ე მუხლის დარღვევის შემთხვევაში დაირღვევა თუ არა 21-ე მუხლიც. საესებით შესაძლებელია, რომ სუბიექტმა, რომელსაც შეეღაზა სამეწარმეო თავისუფლება საქმიანობის უფლების ჩამ-

ორთმევის შედეგად, წარმატებით გამოიყენოს თავისი ქონება სხვა მიზნით და სრულად განახორციელოს მესაკუთრის ყველა უფლებამოსილებანი. სხვა საქმეა, როცა ქონება თავისი ბუნებით ფუნქციურად მკაცრად განსაზღვრულ მიზანს ემსახურება. საკმარისია ასეთი მიზნობრივი საქმიანობა აეკრძალოს სუბიექტს, რომ სახეზე იქნება საკუთრების უფლებაში არათანაზომიერი შეჭრა“.

სასამართლომ აღნიშნული პოზიცია მეტყველებს იმაზე, რომ სამართლებრივი სიკეთეები, ორგანული კავშირის მიუხედავად, მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ცალკეულ შემთხვევებში ისინი დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური ჩარევის ობიექტები. მეწარმეობაც თავისუფლებაა და საკუთრებაც. მეწარმეობა არ არსებობს საკუთრების გარეშე საკუთრება მეწარმეობის საშუალებაცაა და მიზანიც. როცა მიზანი ხდება სახელმწიფოს ჩარევის ობიექტი, აქ აუცილებლად სახეზეა მეწარმეობის თავისუფლებაში ჩარევა, მაგრამ როცა ქონება თავისი ბუნებით არ არის მკაცრად მიზნობრივი, მაშინ, როგორც სასამართლომ აღნიშნა, შეიძლება ადგილი არ ჰქონდეს 21-ე მუხლის დარღვევას.

3. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევა 30-ე მუხლის მე-2 წინადადებასთან ერთად

საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (№1/2/411) ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაადასტურა 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების დარღვევასთან ერთად 21-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დარღვევა. სასამართლომ ეს ახსნა მოსარჩელეთა საქმიანობის მდგომარეობით. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა: „მოსარჩელეთა მიერ განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობითაა განპირობებული ის, რომ ერთი უფლების დარღვევას შედეგად მოსდევს მეორის არათანაზომიერი შეზღუდვა. ამ შეფასების გაკეთებისას გასათვალისწინებელია მოსარჩელეთა ქონების ფუნქციური, მიზნო-

ბრივი დანიშნულება. მათ ეს ქონება შეიძინეს კონკრეტული სამე-
წარმეო საქმიანობის განსახორციელებლად და იმთავითვე იცოდ-
ნენ, რომ მხოლოდ ამ მიზნით იყო შესაძლებელი მისი ეფექტური
გამოყენება. ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობიდან მათ
ჩამოცილებას შედეგად მოჰყვა ის, რომ ისინი პირდაპირი დანიშ-
ნულებისამებრ ვეღარ იყენებენ აღნიშნულ ქონებას, მიუხედავად
იმისა, რომ ფორმალურად, მათ არც სარგებლობისა და განკარგვის
უფლებამოსილებანი არ წართმევიათ (კერძოდ, შეუძლიათ ეს ქონება
იჯარით გასცენ ან საერთოდ გაასხვისონ). ეს ფაქტი არ ნიშნავს,
რომ მათი საკუთრებითი უფლებამოსილებანი მომეტებულად არ
შეზღუდულა. ქონების ფლობას აზრი დაეკერგება თუკი სუბიექტის
ქონებრივი უფლებები შინაარს გამოცლილი გახდება. საკუთრების
შინაარსი მაშინაა გარანტირებული, როცა მესაკუთრეს შეუძლია
საკუთრებაში მოაზრებული უფლებამოსილების სრულყოფად განხ-
ორციელება საკუთრების ობიექტის ფუნქციით დეტერმინირებული
ნების მიხედვით. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი ვალდებუ-
ლია, მესაკუთრეს მისცეს მისი საკუთრების დანიშნულებისამებრ
გამოყენების შესაძლებლობა, რაც პირველ რიგში, გულისხმობს
საკუთრების ობიექტთან თავად მესაკუთრის პირად ურთიერთო-
ბას. სწორედ ეს წარმოადგენს საკუთრების როგორც სანივთო
უფლების პოზიტიური შინაარსის გამოვლინებას.“

ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილებაში განსაკუთრებული
ზაზგასმის საგანია საკუთრების ფუნქციური მდგომარეობა. ნები-
სმიერი საკუთრება თავის ფუნქციაში ჰოულობს თავისი არსებობის
გამოხატულებას. ნივთი თავისთავად კი არ წარმოადგენს ფასეულობას,
არამედ იგი ფასეულია მასში მოაზრებული ფუნქციების წყალობით.
ამიტომაც აღინიშნა სასამართლო გადაწყვეტილებაში ამ ფუნქცი-
ისადმი განსაკუთრებული პატივისცემა. როცა ფუნქციაზეა საუბარი აქ
არსის განმსაზღვრელი ფუნქციაა მხედველობაში, რაც მომეტებულად
შეეზღუდათ მოსარჩელებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასა-
მართლოს გადაწყვეტილებაში ასევე ხაზი გაესვა საკუთრებასთან
მესაკუთრის პირად ურთიერთობას. მართალია ასეთმა საკუთრებამ

სხვის ხელშიც შეიძლება სრულყოფილად გამოავლინოს თავისი თავი, ე. ი. ფუნქცია, მაგრამ საკუთრების გარანტია გულისხმობს იმას, რომ ამგვარი დანიშნულებით თავად მესაკუთრე იყენებდეს თავის ქონებას. არ შეიძლება მესაკუთრის სანიუთო უფლებებმა გადაინაცვლოს ვალდებულებითი უფლებების სამყაროში. ის რაც ჩემი უფლებაა, ის მე უნდა გამოვიყენო პირველ რიგში. საკუთრება უპირველესად გულისხმობს ჩემი შინაგანი „მე“-ს (სანიუთო უფლების) რეალიზაციას და არა ჩემი გარეგანი „მე“-ს (ვალდებულებითი უფლების) რეალიზაციას. თუკი მე ვალდებულებათა სივრცეში ვერ ვნახავ მისი რეალიზაციის შესაძლებლობას, მაშინ აზრს დაკარგავს ჩემი გარეგანი „მე“-ც. ეს მარტივად რომ ვთქვათ, იმ მაგალითს წააგავს, როცა მე მებძლევა უფლება ჩემი ავტომობილი გამოვიყენო მხოლოდ გასაქირავებლად და დამქირავებელს თუ ვერ მოვნახავ, ვერც პირადი სარგებლობისათვის გამოვიყენებ მას. ამიტომაც ვამტკიცებ, რომ კანონმდებელიც და სასამართლოც ყველა შემთხვევაში ვალდებულია სუბიექტის ნების უფლებრივი გამოვლინების ყველა შემთხვევა კარგად გამოარკვიოს და გამოიჯნოს ერთმანეთისაგან. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ დადგინდეს სად იწყება საკუთრების თავისუფლება და სად ხელშეკრულების თავისუფლება. აღნიშნულ შემთხვევაში სიკეთეთა სრულიად ულოგიკო ადგილმონაცვლეობა მოხდა, კერძოდ, საკუთრების თავისუფლების ადგილი დაიკავა ხელშეკრულების თავისუფლებამ (ესეც საეჭვოა არის თუ არა თავისუფლება). ულოგიკოს იმიტომ ვეძახით, რომ როცა შეზღუდულია ის უფლება, რომელსაც ეფუძნება სხვა უფლება, არ შეიძლება ეს უკანასკნელი იყოს თავისუფალი. კიდევ გამოჩნდა ეს შეუსაბამობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში ითქვა: „ბაზრიდან გამოღვევნამ მოსარჩელებს წაართვა უფლება, თვითონ გამოეყენებინათ ქონება ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობისათვის. მათ გადაეკეტათ, საკუთარ ქონებასთან ამ კუთხით მისასვლელი გზა, რითაც სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა საკუთრების შინაარსის ისეთი ელემენტი, როგორიცაა სარგებლობა. ვერ ამართ-

ლებს აღნიშნულ შეზღუდვას ის ფაქტი, რომ მოსარჩელებს შეუძლიათ, იჯარით გასცენ საკუთარი ქონება და ამ გზით გამოიყენონ იგი. ამ შესაძლებლობას მესაკუთრე არასდროს არ არის მოკლებული. განაწილების საქმიანობიდან მოსარჩელეთა ჩამოშორებით, სარგებლობის შინაარსი ინდენად ვიწროვდება, რომ ეს იწვევს მესაკუთრის მისგან გაუცხოებას. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას მაშინ აქვს გამართლება, როცა ლეგიტიმური მიზანი ისე მიიღწევა, რომ არ მოხდება შეზღუდვას დაქვემდებარებული სიკეთისა და მისი მატარებელი სუბიექტის ერთმანეთისგან გაუცხოება. შეზღუდვა გულისხმობს ინტერესთა სამართლიან დაბალანსებას და არა ისეთ შეზღუდვას, როცა ერთი ინტერესის ადგილს მეორე იკავებს. ჩვენს შემთხვევაში, საკუთრების შეზღუდვას კიდევ უფრო გაუმართლებელს ხდის ის ფაქტი, რომ იჯარის დროსაც არაინ არის ვალდებული, საიჯარო ურთიერთობაში შევიდეს მოსარჩელებთან. გამანაწილებელ კომპანიებს სრული უფლება აქვთ, თვითონ ააგონ ელექტროენერჯის განაწილების ქსელები და ამით აბსოლუტურად უფუნქციოდ აქციონ მოსარჩელეთა ქონება. ასეთი შედეგი შეიძლება დამდგარიყო სადაო ნორმის არ არსებობის დროსაც, მაგრამ ეს იქნებოდა ბაზრის ბუნებრივი დინების შედეგი და არა მასში ხელოვნური ჩარევის შედეგი. მართალია, ნებისმიერ შემთხვევაში, არასასურველი შედეგები მტკიცენეულია მეწარმისათვის, მაგრამ ამას არა აქვს გამართლება, როცა უფლებაში ჩარევა ხდება ისეთი გზით, რომელიც გაუმართლებელია და ვერ აკმაყოფილებს პრაქტიკული გონივრების მოთხოვნებს“.

სასამართლომ დაადასტურა საკუთრების განკარგვის შეზღუდვაც და რაც მთავარია აღნიშნა, რომ საკუთრების შინაარსის შეზღუდვა მაშინაცაა, როცა შეზღუდულია ამ შინაარსის განმსაზღვრელი თუნდაც ერთი უფლებამოსილება. კერძოდ, „შეზღუდვის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი უფლებამოსილება, რომელიც საკუთრების სუბსტანციის მატარებელია“. საკუთრების განკარგვის შეზღუდვა სასამართლომ სწორედ ზემოთ მოტანილი მოტივაციით ახსნა, კერძოდ, გადაწყვეტილების თანახმად, „საკუთრების გან-

კარგვის თავისუფლებასთან გვექვს საქმე, როცა ეს განკარგვა მესაკუთრის თავისუფალი ნების შედეგად ხდება და იგი წარმოადგენს სუვერენული უფლების რეალიზაციის გამოვლინებას. იმ შემთხვევაში, როცა მესაკუთრის ნების გამოვლენა გარეგანი ნორმატიული იძულების საფუძველზე ხდება, შეუძლებელია საუბარი მის თავისუფლებაზე“.

გია ლილუაშვილი

საწარმოთა რეგისტრაციის არსი და მნიშვნელობა. სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის რეგისტრაციისათვის წარსადგენი დოკუმენტები და მათი კომენტარები

ფილიალების (წარმომადგენლობების) შექმნის წესი, ფორმა, რეგისტრაცია, მართვა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. საკორპორაციო დაგების სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობა

1. მეწარმეთა რეგისტრაციის არსი და მიზნები

საერთოდ, მეწარმეთა სახელმწიფო რეგისტრაცია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს. მეწარმეთა რეგისტრაცია ხორციელდება, მაგალითად საფრანგეთში კანონით სავაჭრო რეგისტრაციის შესახებ¹, გერმანიაში სავაჭრო კოდექსით², აშშ-ში კორპორაციები-სა და პარტნიორობის შესახებ შტატების ცალკეული კანონებით³ და ა.შ.

განსხვავდებიან მარეგისტრირებული ორგანოებიც, კერძოდ, საფრანგეთში რეგისტრაციას ახორციელებს სავაჭრო სასამართლოების მდივანი⁴, აშშ-ში შტატის მდივანი (Secretary of State)⁵ ან სასამართლო, გერმანიაში სასამართლოები⁶, ავსტრიაში სასამართლოები⁷.

ამრიგად, სასამართლოების მხრიდან მეწარმეთა რეგისტრაცია მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში საკმაოდ გავრცელებული და

1 С. Жамси, Л. Лакур, Торговое право. М. 1993. Ст. 37.

2 Торговое уложение Германии, WoltersKluwer, 2005

3 Selected corporation and partnership statutes, rules and forms. St. Paul. Minn. 1994

4 С. Жамси, Л. Лакур, Торговое право. М. 1993. Ст. 37.

5 Selected corporation and partnership statutes, rules and forms. St. Paul. Minn. 1994

6 Торговое уложение Германии, WoltersKluwer, 2005

7 Вольфганг Хоиер, Как делать бизнес в европе. М. 1990. Ст. 37

დამკვიდრებული ფორმაა. 1995 წლის მარტიდან მეწარმეთა შესახებ კანონი ასევე ითვალისწინებდა საწარმოთა რეგისტრაციას სასამართლოების მიერ, მაგრამ 2005 წლის 24 ივნისს მეწარმეთა შესახებ კანონში შესული ცვლილებებითა და დამატებებით მეწარმეთა რეგისტრაცია დაიწყო საგადასახადო ორგანოებმა. შეტანილი ცვლილებების მიხედვით საწარმოს რეგისტრაციას ახდენს საგადასახადო ორგანო საწარმოს ადგილსამყოფლის მიხედვით (მეწარმეთა შესახებ კანონის 4.1 მუხ.).

ამრიგად, მსოფლიოს საბაზრო ეკონომიკის ყველა ქვეყანაში მოქმედებს სამეწარმეო – სავაჭრო რეგისტრაციის სისტემა, ამასთან, ევროპის ყველა ქვეყანაში სამეწარმეო რეესტრი საჯაროა⁸.

რა მიზანს ემსახურება რეგისტრაცია?

მეწარმეთა რეგისტრაციას რამდენიმე მიზანი აქვს, რომელთაგანაც შეიძლება ზოგიერთი მათგანი დავასახელოთ.

უპირველესი მიზანი არის ის, რომ სახელმწიფომ საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერების მიზნით, მის ტერიტორიაზე მყოფ პირთა გაერთიანებებს ან (ცალკეულ ფიზიკურ პირებს (მაგალითად, ინდივიდუალურ მეწარმეს), მიანიჭოს მეწარმის სტატუსი, რათა მათ თავისუფლად განახორციელონ ვაჭრობა, გასწიონ მომსახურება, მიიღონ მოგება და ქვეყანაში შექმნან მატერიალური დოვლათი, ხელი შეუწყონ ინტელექტუალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

მორე ასევე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიზანია კონტროლი იმ თვალსაზრისით, რომ მეწარმეებმა, ზუსტად დაიცვან სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესები, არ განახორციელონ საზოგადოებისათვის ზიანის მომტანი საქმიანობა, არ დაარღვიონ კანონი და ზნეობის ნორმები.

რეგისტრაციის ერთ-ერთი მიზანია აგრეთვე ის, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს სტატისტიკური მონაცემები მეწარმეთა რაოდენობის, მათი საქმიანობის შესახებ, რათა გაატაროს ეკონომიკის რეგული-

⁸ თამაზ ჯანუაშვილი, სამეწარმეო რეესტრი ევროპის ქვეყნებში. ჟურნალი საქართველოს ნოტარიტი, 2002 წ., №3-4, გვ. 81.

რების შესაბამისი ღონისძიებები, მაგალითად, თუ სახელმწიფო ხედავს, რომ ქვეყანაში ხორცის პროდუქტები ნაკლებად იწარმოება, მაშინ ხელი უნდა შეუწყოს მეცხოველეობის განვითარებას, ანდა, თუ თვლის, რომ სახელმწიფოში დიდი ოდენობით შემოდის გარკვეული სახის საქონელი, მაშინ ხელი შეუწყოს სახელმწიფოში ამ სახის საქონელის წარმოებას და ა.შ.

რეგისტრაცია ემსახურება აგრეთვე ერთ მეტად მნიშვნელოვან მიზანს: მეწარმეებიდან გადასახადების აკრეფას.

ბოლოს, რეგისტრაცია ხელს უწყობს საზოგადოებაში დემოკრატიისა და საჯაროობის დამკვიდრებას, კერძოდ, რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ პირს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მეწარმის შესახებ.

რა მნიშვნელობა აქვს მეწარმის რეგისტრაციას?

მეწარმის რეგისტრაციის მნიშვნელობა მეწარმეთა შესახებ კანონის მთელი რიგი მუხლების არსიდან ირკვევა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ რეგისტრაციის მნიშვნელობა 2008 წლის მარტის თვემდე უფრო მკვეთრად ვლინდებოდა. მე შევეხები რეგისტრაციის მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელობას.

პირველი – საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ბოლო ცვლილებამდე ეს წესი პირდაპირ იყო აღნიშნული კანონის 2.5 მუხლში და იგი ეხებოდა ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. ცვლილებების შემდეგ იგი დარჩა მხოლოდ ინდივიდუალური მეწარმისა და სამეწარმეო ამხანაგობის მიმართ (მეწ. შესახებ კანონის 2.2 მუხლი). მიუხედავად ამისა ვთვლით რომ ამ წესის არსი უცვლელი რჩება სხვა ორგანიზაციული ფორმების მიმართაც. ეს კი იმაზე მიანიშნებს რომ თუ საზოგადოება, კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი არ გატარდება სამეწარმეო რეესტრში და საზოგადოების სახელით დადებენ გარიგებას, პასუხისმგებლობის დადგომის შემთხვევაში მისი დამფუძნებლები მთელი თავისი ქო-

ნებით აგებენ პასუხს კრედიტორების წინაშე. ეს არის, შეიძლება ითქვას, საწარმოს რეგისტრაციის უპირველესი მნიშვნელობა.

მეორე – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი იურიდიული პირის სტატუსს მოიპოვებენ სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის შემდეგ.

სამწუხაროდ, მარტის თვის ცვლილებებით გაუქმდა რეგისტრაციის კიდევ ერთი მნიშვნელობა, კერძოდ მეწარმეთა შესახებ კანონის 5.8 მუხლით გათვალისწინებული იყო შემდეგი: თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, რეგისტრაცია უქმდება სასამართლოს მიერ, თუკი ეს ხარვეზი სამი თვის ვადაში არ იქნება გამოსწორებული. რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს აგრეთვე საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის სარჩელის საფუძველზე (მეწ. შეს. კანონის 5.8 მუხლი).

სიტყვა „ხარვეზში“ შპს-სთან დაკავშირებით მოიაზრებოდა მეწარმეთა შესახებ კანონის მთელი რიგი წესები, რომელთა გაუთვალისწინებლობაც იწვევდა ხარვეზს.

დღეისთვის კანონი აღარ ითვალისწინებს ხარვეზის გამოსწორებისათვის ვადას, რეგისტრაციის დროს თუ აღმოჩნდება რომ წარმოდგენილი ინფორმაცია კანონის კონკრეტულ მოთხოვნებს არ შეესაბამება რეგისტრაციაზე უარს ეტყვიან.

რას წარმოადგენს მეწარმის რეგისტრაცია? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „რეგისტრაცია არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების და მოვლენების შეტანა სპეციალურ სახელმწიფო რეესტრში“⁹. ამრიგად, როგორც განმარტებიდან ჩანს, მხოლოდ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების რეგისტრაცია ხდება. საზოგადოების მიერ განხორციელებული ყველა სა-

9 ლ. ჭანტურია და თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მესამე გამოცემა, 2003 წ. გვ. 210

ხის მოქმედება არ წარმოადგენს რეგისტრაციისათვის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს, მაგალითად, საზოგადოების მიერ თანხის გასესხება, ანდა ღირეპტორის მიერ პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა და ა.შ. მათ არ სჭირდებათ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია.

რეგისტრაციას საჭიროებს აგრეთვე საფირმო სახელის შეცვლა, იურიდიული მისამართის შეცვლა და სხვა.

რეგისტრაციის მნიშვნელობა რა თქმაუნდა, მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილით არ ამოიწურება, საქმე ისაა, რომ ზოგიერთი სახის მოქმედების თუ გადაწყვეტილების იურიდიული შედეგის დადგომისათვის აუცილებელია ამ მოქმედების (გადაწყვეტილების) რეგისტრაცია, ანუ მარტივი ენით რომ ვთქვათ, თუ რეგისტრაციაში არ გატარდა გადაწყვეტილება ის არ წარმოშობს იმ იურიდიულ შედეგს, რასაც ეს გადაწყვეტილება ისახავს მიზნად. მაგალითად, თუ პარტნიორთა კრებაზე მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ შეიცვალოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი ან საწარმოს საქმიანობის ხანგრძლივობა, ამ გადაწყვეტილებას არ ექნება იურიდიული შედეგი მანამდე სანამ ეს გადაწყვეტილება რეგისტრაციაში არ გატარდება.

როგორც ვხედავთ, რეგისტრაციას აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა, ანუ რეგისტრაციის განხორციელება კანონით არის გათვალისწინებული და მხოლოდ კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემთხვევაში წარმოიშობა სამართლებრივი შედეგები.

ტერმინი „რეგისტრაცია“ პირველად ჩვენ გვხვდება მეწარმეთა შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში, კერძოდ, მასში აღნიშნულია: „სამეწარმეო ამხანაგობა და ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშვება მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან“.

აღნიშნული მუხლი იმაზე მიუთითებს, რომ სამეწარმეო ამხანაგობა ან ინდივიდუალური მეწარმე არ ჩაითვლება მეწარმე სუბიექტად თუ იგი არ გატარდა რეგისტრაციაში. ეს კი იმის

მაჩვენებელია, რომ მათი ურთიერთობები, მათ შორის დაკეები, არ გადაწყდება მეწარმეთა შესახებ კანონით.

2008 წლის მარტის თვემდე არსებული კანონით ზემოთ აღნიშნული მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ეხებოდა ყველა საწარმოს. ცვლილებების შემდეგ დასახელებული მე-2 პუნქტი რატომღაც მხოლოდ სამეწარმეო ამხანაგობას და ინდივიდუალურ მეწარმეს შეეხო, რაც რათქმაუნდა სწორად არ მიმაჩნია, რადგანაც იბადება კითხვა არარეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება შეიძლება ჩაეთვალოს მეწარმე სუბიექტად?

ზემოთ აღნიშნულ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის წესს აქვს გაგრძელება „თუ რეგისტრაციამდე მეწარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება განხორციელდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და საწარმოს დამფუძნებლები პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები ..“ აღნიშნული წესი იწვევს გაუგებრობას, რადგანაც სამეწარმეო ამხანაგობის მონაწილეებიც და ინდივიდუალური მეწარმეც მთელი თავისი ქონებით აგებენ პასუხს, არიან ისინი რეგისტრირებულები თუ არა. გარდა ამისა, არც სამეწარმეო ამხანაგობა და არც ინდივიდუალური მეწარმე კანონის არსიდან გამომდინარე „საწარმოდ“ არ მოიაზრებიან. ასეთი დასკვის საფუძველს იძლევა კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი წარმოადგენენ იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოებს.

ამდენად აღნიშნული მუხლი იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით საჭიროებს დახვეწას. დახვეწამდე კი საჭიროა რომ აღნიშნული წესი დაუკავშიროთ საზოგადოებებს (საწარმოებს) და მათ მიეცეთ ისეთი განმარტება რაც ადრე ქონდათ.

ასეთ შემთხვევაში კი მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის წესი გასათვალისწინებელი იქნება სპს-ს, კს-ის, შპს-ს, სს-ისა და კოოპერატივის დამფუძნებლებისათვისაც. თუ პარტნიორები რეგისტრა-

ციამდე რაიმე ვალდებულებას იკისრებენ ვინმეს წინაშე და შემდეგ რეგისტრაციაში გაატარებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, ვალდებულებები უნდა შეასრულოს არა მათ მიერ დაფუძნებულმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ, არამედ პირადად მათ, მთელი თავიანთი ქონებით. ამის მიზეზი ძალიან მარტივია, შპს, სააქციო და კოოპერატივი როგორც საწარმოები ანუ პასუხისმგებელი პირები, წარმოიშვებიან მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ, მანამდე ისინი როგორც პასუხისმგებელი იურიდიული პირები არ არსებობენ.

მეწარმე სუბიექტმა, გარკვეული მიზეზით შეიძლება ხელმეორედ გაიაროს რეგისტრაცია. ამასთან დაკავშირებით პრაქტიკის შესწავლამ და მისმა ანალიზმა წარმოშვა კითხვა, ასეთ შემთხვევაში მოხდება თუ არა მისი ლიკვიდაცია ან ნიშნავს თუ არა ხელმეორედ რეგისტრაცია ახალი მეწარმე სუბიექტის წარმოშობას?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ, ხელახალი რეგისტრაცია არ იწვევს ადრე არსებული მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციას, მის გაუქმებას. ხელახალი რეგისტრაცია არც ახალი მეწარმე სუბიექტის წარმოშობის საფუძველია. ხელახალი რეგისტრაციის შედეგად რეგისტრირებული იურიდიული პირი ადრე რეგისტრირებული იურიდიული პირის უფლებამონაცვლეა¹⁰.

სასამართლოს ეს აზრი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის მეწარმე სუბიექტის მიმართ.

შეიძლება თუ არა საწარმო დაფუძნდეს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა კანონი „თავისუფალ ინდუსტრიულ ზონის შესახებ“

ამ კანონის მე-7 მუხლით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.

¹⁰ სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001წ., №8, გვ. 860.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობას ახორციელებენ ამ ზონაში რეგისტრირებული საწარმოები. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ რეგისტრირებული საწარმოები (როგორც საქართველოს, ისე უცხოური) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობას ახორციელებენ ამ ზონაში რეგისტრირებული მუდმივი დაწესებულებების მეშვეობით.

2. სამეწარმეო რეესტრის ცნება და მნიშვნელობა

„საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას ახორციელებს რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო (მარეგისტრირებელი ორგანო), თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი“. მეწარმეთა შესახებ კანონის 4.1 მუხლის ამ მითითებით იწყება რეესტრის „სამყარო“.

ეს არის, შეიძლება ითქვას, „კარები“, რომლითაც ჩვენ შევდივართ და ვეცნობით სამეწარმეო რეესტრს, მის ფუნქციას, იურიდიულ ბუნებას, რეესტრში რეგისტრაციის პირობებს და-ა.შ.

„სამეწარმეო რეესტრი“ სრულიად ახალი ინსტიტუტია, რომელსაც მანამდე ქართველი საზოგადოება არ იცნობდა. შეიძლება ითქვას, რომ მისი ბუნებიდან გამომდინარე, იგი დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

რა არის სამეწარმეო რეესტრი?

მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარებში მოცემულია მისი ძირითადი ბუნება, კერძოდ, იგი „არის საჯარო (სახელმწიფო) ნუსხა იმ ფაქტებისა, რომელთაც ეკონომიკურ ურთიერთობებში სამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ“¹¹.

აღნიშნული მოსაზრება გადატანილი იქნა „გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/

11 ლ. ჭანტურია და თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 70.

აღრიცხვის, იურიდიულ პირთა ფილიალების სახელმწიფო ან/ და საგადასახადო რეგისტრაციის/ აღრიცხვის წესის შესახებ“ ინსტრუქციის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის ი) ქვეპუნქტში „სახელმწიფო (მათ შორის, სამეწარმეო) რეესტრი – იმ ფაქტების საჯარო (სახელმწიფო) ნუსხა, რომელთაც ეკონომიკურ ურთიერთობებში სამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ.“

ამრიგად, სამეწარმეო რეესტრში ფიქსირდება ისეთი ფაქტები, რომლებიც ეკონომიკურ ურთიერთობებში იურიდიულ შედეგებს წარმოშობს. ამიტომ აქვს სამეწარმეო რეესტრს უდიდესი მნიშვნელობა სამართალსუბიექტებისათვის.

მხოლოდ რეგისტრირებულ ფაქტს აქვს იურიდიული ძალა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი გამოქვეყნება და გაცნობა მესამე პირებისათვის. ამის შესახებ პირდაპირ უთითებს კანონის 7.1 და 7.2 მუხლები, კერძოდ, 7.1 მუხლის თანახმად, „ვიდრე რეესტრში ჩასაწერი ფაქტები არ იქნება რეგისტრირებული და გამოქვეყნებული, დაუშვებელია მათი გამოყენება მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მონაცემები მათთვის ცნობილი იყო“. 7.2. მუხლის თანახმად კი, თუ ფაქტები რეგისტრირებული და გამოქვეყნებულია, დასაშვებია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ.

ამდენად, რეგისტრაციისა და საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების შემდეგ არის შესაძლებელი საგადასახადო ორგანომ გასცეს ამონაწერი რეესტრიდან. თუ საკანონმდებლო ორგანოში არ არის გამოქვეყნებული მარეგისტრირებულ ორგანოს რეესტრის ამონაწერის გაცემის უფლება არა აქვს.

მარეგისტრირებულ ორგანოებში პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა რომ ეს წესი ზოგჯერ დაცული არ არის.

3. სამეწარმეო რეგისტრის მწარმოებელი ორგანო

მეწარმეთა შესახებ კანონში თავდაპირველად აღნიშნული იყო, რომ საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერთ (მუხ. 4.1), მაგრამ 2001 წლის 1 მაისიდან ამოქმედდა ახალი წესი, რომელმაც შეცვალა დასახელებული 4.1 მუხლის ფორმულირება და იგი ასე ჩამოაყალიბა: საწარმოს რეგისტრაციას, გარდა ინდივიდუალური საწარმოსი, ახორციელებს სასამართლო სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით.

2005 წლის სექტემბრიდან საწარმოთა რეგისტრაციის განხორციელება დაიწყო საგადასახადო ორგანომ საწარმოს ადგილსამყოფლის მიხედვით.

2008 წლის მარტში მეწარმეთა შესახებ კანონში შევიდა ახალი ცვლილებები, მაგრამ მარეგისტრირებელ ორგანოდ დარჩა საგადასახადო ორგანო. აქვე არ შემიძლია არ ავლნიშნო რომ ამ ცვლილებებით გაუქმდა საწარმოს წესდების რეგისტრაცია. ვფიქრობ, რომ ეს დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც წესდების, როგორც კორპორაციის კონსტიტუციის, რეგისტრაცია მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში არსებობს. წესდების და მისი შინაარსის მიმართ ასეთი მიდგომა საკორპორაციო ურთიერთობებში უკვე ბევრ პრობლემას ქმნის.

რამდენად სწორია საგადასახადო ორგანო იყოს მეწარმე სუბიექტის „შემქნელი“, მარეგისტრირებელი, ეს სხვა საკითხია. პირადად მე მიმაჩნია, რომ ეს სწორი არ არის რადგანაც საწარმოთა რეგისტრაცია სამართლებრივ საკითხებს შეეხება და მოითხოვს იურიდიული ნორმების სიღმისეულ ცოდნას და მათ ანალიზს, ჯობდა რომ სასამართლოს გაეგრძელებინა მეწარმეთა რეგისტრაცია. რატომ ჯობდა, ამას თავისი სხვა დასაბუთებებიც აქვს რომელსაც აქ აღარ შევეხები.

საერთოდ არ შეიძლება აქვე არ ავლნიშნო, რომ 2008 წლის მარტის თვის ცვლილებებით მეწარმეთა შესახებ კანონი, რომელიც ქართველი და ევროპელი იურისტების აზრით ერთ-ერთ

საუკეთესო კანონად ითვლებოდა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, მისი სისტემის, იურიდიული ტექნიკისა და შინაარსის მხრივ ძალიან დამახინჯდა და თავიდან მოითხოვს გადამუშავებას, ოღონდ მხოლოდ წამყვანი ქართველი და ევროპელი სპეციალისტების დახმარებით.

საგადასახადო ორგანოებს აქვთ კანონით დადგენილი სამეწარმეო ფორმულარები, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის განცხადების, საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებებთან რეგისტრაციის განცხადების, სარეგისტრაციო მოწმობის და რეესტრიდან ამონაწერების ფორმები, რომლებშიც ხდება კანონით დადგენილი ფაქტების ჩაწერა. მეწარმეთა შესახებ კანონის 4.6 მუხლით, „სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო სამეწარმეო რეესტრის ასლს (ელექტრონულ ვერსიას) უგზავნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სტატისტიკის დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არაუგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა. ამრიგად, საგადასახადო ორგანოს მოვალეობაში შედის:

- მეწარმის რეგისტრაცია;
- რეესტრის მონაცემების გამოქვეყნება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, კერძოდ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში;
- საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტისადმი მეწარმის რეგისტრაციის შესახებ დადგენილების გაგზავნა.

მეწარმეთა შესახებ კანონის 5.1 მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანომ მეწარმის რეგისტრაცია უნდა განახორციელოს სარეგისტრაციო საბუთების წარდგენისთანავე.

**4. მეწარმე სუბიექტების რეგისტრაციის პირობები.
რეგისტრაციისათვის წარსადგენი დოკუმენტები
და მათი კომენტარები**

მეწარმეთა რეგისტრაცია ძირითადად რეგულირდება კანონით „მეწარმეთა შესახებ“ და 2008 წლის 8 მაისის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/ აღრიცხვის, იურიდიულ პირთა ფილიალების სახელმწიფო ან/ და საგადასახადო რეგისტრაციის/ აღრიცხვის წესის შესახებ“.

კანონის მე-5 მუხლის მიხედვით საწარმოს (სპს, კს, შპს, სს და კოოპერატივი) რეგისტრაციისათვის წარდგენილი უნდა იყოს:

1. საწარმოს სარეგისტრაციო განცხადება;
2. საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუში;
3. სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დამოწმებული საბანკო დაწესებულების მიერ). (ინსტრუქცია, მუხლი 5.2. (გ) პუნქტი.)

4.1. საწარმოს სარეგისტრაციო განცხადება

ამ ნაწილში მიუთითებ არა მხოლოდ განცხადებაში შესატან პუნქტებს, არამედ აგრეთვე მათ არსს და მნიშვნელობასაც.

კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საწარმოს სარეგისტრაციო განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) საწარმოს საფირმო სახელწოდებას;

საწარმოს საფირმო სახელწოდება რეგულირდება კანონის მე-6 მუხლით. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით საფირმო სახელწოდება ანუ ფირმა არის სახელი რომლითაც საქმიანობს მეწარმე სუბიექტი.

ამრიგად, სახელი სამოქალაქო ურთიერთობებში საწარმოს

ინდივიდუალიზების ისეთივე საშუალებაა, როგორც ადამიანისათვის სახელი და გვარი.

იქიდან გამომდინარე, რომ ფირმა ეს არის სახელი, ამიტომ არ შეიძლება „ფირმა“ გავაიგივოთ საზოგადოებასთან, როგორც ეს გამოიყენებოდა 1995 წლამდე, მაგალითად, ხშირად ამბობდნენ, „მე გახსნილი მაქვს ფირმა“ ანდა „ფირმაში ვმუშაობ“, ასევე გაუმართლებელია სიტყვები „ფირმის ეკონომიკა“ და ა.შ. ასეთი ფორმულირება არასწორია და ამასვე აღნიშნავენ ქართველი მეცნიერ იურისტებიც¹².

როგორი სახელი შეიძლება გამოვიყენოთ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის მიმართ?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს მეწარმეთა შესახებ კანონის 6.3 და 6.4 მუხლები, კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი პარტნიორის სახელს „სპს“-ის დამატებით. კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი სრული პარტნიორის სახელს „კს“-ის დამატებით.

თუ პარტნიორები მხოლოდ იურიდიული პირებია, მაშინ მათი სახელწოდება უნდა იყოს ერთ-ერთის საფირმო სახელი.

თუ პარტნიორი, რომლის სახელიც ქვია საზოგადოებას, გავა (გარდაიცვლება, მოხდება ლიკვიდაცია) საზოგადოებიდან ან ვინმე შეიძინს წილებს და გახდება პარტნიორი, შეიძლება თუ არა კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე დარჩეს მისი (აღრე არსებული) სახელი საზოგადოების საფირმო სახელად? 2008 წლის მარტის ცვლილებამდე ამ საკითხს კანონი კარგად არეგულირებდა, მაგრამ ცვლილებების შემდეგ ეს საკითხი სამწუხაროდ აღარ რეგულირდება, არადა პრაქტიკაში ასეთი კითხვა ხშირად დგება.

რადგანაც კანონი ამ საკითხს აღარ არეგულირებს, სპს-ს

12 ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, 2003 წ. გვ. 98.
დ. ძამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, 2001 წ.

და კს-ის შემთხვევაში ძველი საფირმო სახელი ველარ დარჩება, რადგან ის ჩაითვლება ფანტაზიის ნაყოფად, რასაც კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი კრძალავს.

რაც შეეხება შპს, სს და კოოპერატივს, პარტნიორის სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, მათ შეუძლიათ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ მათი საქმიანობის საგნის მიხედვით ან ეს სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კანონი სახელის შერჩევის სამ შესაძლებლობას გვაძლევს, კერძოდ:

1. საწარმოს შეგვიძლია დავარქვათ დამფუძნებლის – პარტნიორის ან პარტნიორების სახელი, მაგალითად, „ბესიკ მაღლაკელიძე“ ანდა „ბესიკ მაღლაკელიძე და კომპანია“;
2. სახელი შეიძლება შეირჩეს საქმიანობის საგნის მიხედვით, როგორც არის „ადეოკატი“, „ცოლიკაურის ღვინო“, „თონის პური“ და ა.შ.;
3. საზოგადოების სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი (ადგილმდებარეობა, მოგონილი არსება და ა.შ.), მაგალითად „ზეინდარი“, „დევი“ და ა.შ.

შესაძლებელია თუ არა რომ სახელი და გვარი იყოს მონილი? კანონი შპს-ს, სს-ისა და კოოპერატივის მიმართ ამას არ კრძალავს, თუმცა დამფუძნებლები ასეთ სახელს უნდა მოერიდონ, რადგანაც ზოგ შემთხვევაში ამან შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის (კლიენტის) შეცდომაში შეყვანა, რაც რათქმაუნდა უზნებოდ შეიძლება მივიჩნიოთ.

ზემოთ აღნიშნული სამი ვარიანტიდან შეიძლება პარტნიორებმა შეარჩიონ ერთ-ერთი ვარიანტი, მაგრამ კაპიტალური გაერთიანების მქონე საწარმოების მიმართ არ უნდა დაგვავიწყდეს კანონის მოთხოვნა, რომ იგი უნდა შეიცავდეს: „სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – დამატებას „სააქციო საზოგადოება“ ან „სს“ ან „კორპორაცია“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – დამატებას „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ან „შპს“, კოოპერატივის შემთხვევაში – დამატებას

„რეგისტრირებული კოოპერატივი“ ან „რკ“. სახელის საბოლოო სურათი ასეთი იქნება: „ცოლიკაური“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანდა „შპს ცოლიკაური“.

საფირმო სახელწოდების შერჩევასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც პარტნიორების, ასევე მარეგისტრირებელი ორგანოების მიერაც.

ეს შეზღუდვები მდგომარეობს შემდეგში:

პირველი – მეწარმეთა შესახებ კანონის 6.5 მუხლის თანახმად, საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ანდა გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა საწარმოს ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის, ან/და პარტნიორთა ურთიერთობების გამო.

როგორც ვხედავთ, ეს მუხლი რამდენიმე წესზე მიგვითითებს, რომლებიც მკაცრად უნდა იქნეს დაცული, კერძოდ:

წესი პირველი – საფირმო სახელწოდებას არ უნდა დაერთოს ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი.

წესი მეორე – საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შეცდომა ან გაუგებრობა საწარმოს ფორმის თუ საქმიანობის მოცულობის, ანდა პარტნიორთა ურთიერთობების გამო. მაგალითად, არ შეიძლება ასეთი სახელის გამოყენება – „სს თბილისი შპს“. აღნიშნული სახელი რა თქმა უნდა დააბნევს მესამე პირს იმ მხრივ, რომ ვერ გაიგებს, საზოგადოება სააქციო არის თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის.

არ შეიძლება ისეთი სახელის გამოყენება, რომელიც მხოლოდ სპეციალურ ორგანიზაციას უნდა ერქვას, მაგალითად, არ შეიძლება სახელწოდებაში იყოს „ბირჟა“, „სასაქონლო ბირჟა“¹³ ან

13 ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 102.

„საფონდო ბირჟა“ ანდა „ბანკი“¹⁴ თუ ორგანიზაციები არ ახორციელებენ საბირჟო ან საბანკო საქმიანობას.

არ მიგვაჩნია სწორად ისეთი სახელის გამოყენება, რაც დამახასიათებელია მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, მაგალითად, სახელწოდებაში არ უნდა ჩაირთოს „სამინისტრო“, „მერია“, ნოტარიუსი და ა.შ.

გარდა კანონით ზემოთ აღნიშნული შეზღუდვებისა, დამფუძნებლები უნდა მოერიდნენ ისეთი სახელწოდებების გამოყენებასაც, რაც ქართული და საერთოდ, მსოფლიო კულტურის შემაღგენელ ელემენტს წარმოადგენს, მაგალითად, არ მიგვაჩნია სწორად კომერციულ ორგანიზაციას დეარქვით „წმინდა ნინო“, ანდა „წმინდა გიორგი“. ასევე არ შეიძლება სახელწოდებაში ჩართულ იქნეს სიტყვა „ეკლესია“, „მონასტერი“ და ა.შ.

აღნიშნული აკრძალვა გამომდინარეობს არა მხოლოდ მეწარმეთა შესახებ კანონის არსიდან და მიზნიდან, არამედ აგრეთვე ზნეობის ნორმებიდანაც, მით უმეტეს, რომ სამოქალაქო კოდექსი, რომელიც სამოქალაქო ურთიერთობებს არეგულირებს, უთითებს ორ მნიშვნელოვან წესზე, რომელიც ზემოდ დასახელებულ მაგალითებს ესადაგება, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი აღნიშნავს:

„სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.“ ე.ი. ჩვენს შემთხვევაში იგი შეიძლება ასე განვმარტოთ: სახელის დარქმევის უფლება კი გაქვს, მაგრამ სახელი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის ნორმას, ანუ არ უნდა გამოიყენო ისეთი სახელი, რომელიც ქართული და საერთოდ, მსოფლიო ცივილიზაციის საკუთრებაა.

სამოქალაქო კოდექსის შემდეგი მუხლიც ფაქტობრივად ამას უთითებს, კერძოდ, 54-ე მუხლში აღნიშნულია: „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.“

14 ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 102.

იურისტებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ გარიგება ნების გამოვლენაა, რომელიც შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივიც. თუ ერთი პირი აფუძნებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და სახელსაც ის არქმევს, მაშინ ეს ცალმხრივი ნების გამოვლენაა ანუ ცალმხრივი გარიგებაა, ხოლო თუ ორი ან მეტი აფუძნებს შპს-ს და არქმევს სახელს, მაშინ, შესაბამისად, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა იქნება.

ამიტომ, თუ მეწარმისთვის დარქმეული სახელი ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმას იგი არ უნდა იქნეს რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში.

დამფუძნებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ არა სახელით, არამედ მათი საქმიანობით, ხარისხით, კეთილსინდისიერებით და ადამიანებთან დამოკიდებულებით იმარჯვებენ კონკურენციაში და იმკვიდრებენ ადგილს ბაზარზე.

სახელთან დაკავშირებით მინდა ერთ პრაქტიკულ მაგალითსაც შევეხო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დააფუძნა ნინო სიხარულიძემ. „სიხარულიძე“ იყო ქმრის გვარი. ნინომ თავის მიერ დაფუძნებულ შპს-ს ასევე უწოდა, „შპს ნინო სიხარულიძე“ .. გარკვეული დროის შემდეგ ნინო სიხარულიძე ქმართან განქორწინდა.

ქმარმა მოითხოვა მისგან შპს-ის სახელწოდებაში გვარის შეცვლა. არადა, შპს „ნინო სიხარულიძემ“ თავისი სახელით უკვე დაიმკვიდრა ადგილი ბაზარზე.

ისმის კითხვა: უნდა შეცვალოს თუ არა ნინო სიხარულიძის გვარი შპს-ს სახელწოდებაში?

ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ უნდა გავანალიზოთ მეწარმეთა შესახებ კანონის 6.4 მუხლი, რომელიც უფლებას იძლევა, რომ სახელწოდებაში გამოყენებული იყოს ა) პარტნიორთა სახელი (სახელი კი სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მოიცავს სახელსაც და გვარსაც). ბ) საქმიანობის საგანი, ანდა გ) ფანტაზიის ნაყოფი.

თუ ნინო სიხარულიძე, რომელიც პარტნიორია, განქორწინების

შემდეგ უარს იტყვის ქმრის გვარის დატოვებაზე და დაუბრუნდება ქორწინებამდელ გვარს, მაგალითად, ჭყონიას, მაშინ მას შეუძლია დაეყრდნოს უფლებას – ისარგებლოს გამოგონილი სახელით ან ფსევდონიმით. აღნიშნული უფლება არ უკავშირდება „პარტნიორთა სახელს“, რადგანაც მასში მოიაზრება მხოლოდ სამოქალაქო სახელი, ე.ი. სახელი, რომელსაც იგი იყენებს ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმოწერისას პირადობის მოწმობის მიხედვით.

აღნიშნული უფლება შეიძლება ასევე დაუკავშირდეს „ფანტაზიის ნაყოფსაც“, რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ მოგონილი სახელიც და ამიტომ მას შეუძლია დაიტოვოს საფირმო სახელი „ნინო სიხარულიძე“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი ფრანგულ სამართალშიც¹⁵.

ახლა დავუშვათ, რომ ერთ-ერთმა პარტნიორმა შეიცვალა სახელი, რომელიც დაფიქსირებული იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდებაში, მაგალითად, „შპს გიორგი ცარციძე“. გიორგი ცარციძემ შეიცვალა გვარი და გახდა ჩხეიძე, უნდა შეიცვალოს თუ არა შპს-ის სახელწოდებაშიც გვარი?

ჩვენი კანონმდებლობა ამ საკითხს არ აწესრიგებს.

თუ ავიღებთ ჩვენს კანონთან დაახლოებულ გერმანულ სამართალს მისი სავაჭრო დებულების 21-ე მუხლით, „თუ ფიზიკური პირის შეცვლის გარეშე იცვლება იმ მფლობელის სახელი ან მონაწილის სახელი, რომელიც ასახულია ფირმაში, ძველი სახელი შეიძლება იქნეს გამოყენებული.“

ამრიგად, შპს-ის სახელწოდება და დამფუძნებლის სამოქალაქო სახელი განსხვავებული მოვლენებია. სახელი კონკურენტ საწარმოებს შორის გამოყოფის, ინდივიდუალიზების საშუალებაა, მისი მიზანი არ არის მისი დამფუძნებლის სახელის ჩვენება, თუ ეს თავად დამფუძნებელს არ სურს, ამიტომაც, ვფიქრობ, რომ მსგავსად გერმანული წესისა, თავისუფლად შეიძლება ჩვენთანაც

15 С. Жамей, Л. Лакур, Торговое право. М. 1993. ст. 43-45.

ძველი სახელით იმუშაოს შპს-მ ანუ ჩვენს მაგალითში შეიძლება, რომ შპს-ის სახელი „გიორგი ცარციძე“ დარჩეს უცვლელად.

ზოგ შემთხვევაში ხდება ისეთი ფაქტიც, რომ დამფუძნებლის ან დამფუძნებლების სურვილი დაარქვან გარკვეული სახელი შპს-ს, ემთხვევა უკვე სხვის მიერ დაფუძნებული და მოქმედი შპს-ის სახელს. მაგალითად, დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს შპს-ს დაარქვან მათი საყვარელი ქალაქის – ქუთაისის სახელი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი სახელით უკვე მოქმედებს შპს, ამიტომ დამფუძნებლებს მაშინვე უჩნდებათ კითხვა – შეიძლება თუ არა, რომ მათ დაარქვან შპს-ს სახელად „ქუთაისი“?

აღნიშნულ საკითხს კარგად არეგულირებდა 2008 წლის მარტის ცვლილებამდე მოქმედი კანონი, ცვლილებების შემდეგ მარეგულირებელი ნორმა რატომღაც გაუქმდა. ვფიქრობ, კეთილსინდისიერი კონკურენციის ინტერესებიდან გამომდინარე თავად არ უნდა იყვნენ დაინტერესებული სხვა მსგავსი საზოგადოების სახელწოდება გამოიყენონ. მაგალითად, უკვე არსებული შპს „ქუთაისი“ ბაზარზე მომხმარებლისთვის ცნობილი საზოგადოება გახდა და შეიძლება იგივე სახელის მქონე ახლად შექმნილმა შპს „ქუთაისმა“ არაკეთილსინდისიერი კონკურენცია გაუწიოს უკვე არსებულ შპს „ქუთაისს“, გარდა ამისა, შეიძლება თავად დაიმკვიდროს ადგილი ბაზარზე, მაშინ კი უკვე იმავე სახელის მქონე ადრე არსებული საზოგადოება მათთვის გახდება ხელისშემშლელი.

ამდენად, დამფუძნებლებმა სახელის დარქმევამდე ჯერ უნდა გაარკვიონ სტატისტიკის დეპარტამენტში, სადაც თავს იყრის ყველა რეგისტრირებული საზოგადოებების მონაცემები, ხომ არ არსებობს უკვე იმ სახელის მქონე საზოგადოება, რომლის დარქმევასაც ისინი აპირებენ.

ბ) საწარმოს სამართლებრივ ფორმას;

კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის მიხედვით საწარმოს სამართლებრივ ფორმაში მოიაზრება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგა-

დოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი. ყველა ეს ფორმა წარმოადგენს იურიდიულ პირს.

აქვე იბადება კითხვა, როგორ გავიგოთ ესა თუ ის ორგანიზაცია იურიდიული პირი არის თუ არა?

თუ რა არის იურიდიული პირი და რა ნიშნებით ხასიათდება იგი, ძირითადად განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლით. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

იურიდიული პირის აღნიშნული განმარტება არის ზოგადი განმარტება, რომელიც ძირითადად მოიცავს ისეთ ნიშნებს, რომლებიც დამახასიათებელია კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის.

ამრიგად, კერძო სამართლის იურიდიულ პირს, სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლიდან გამომდინარე, ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. განსაზღვრული მიზანი;
2. საკუთარი ქონება;
3. ორგანიზებული წარმონაქმნი;
4. თავისი ქონებით დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა;
5. საკუთარი სახელით უფლება-მოვალეობების შექმნა, გარიგებების დადება და სასამართლოში გამოსვლა მოსარჩელედ ან მოპასუხედ.

განვიხილოთ თითოეული ეს ნიშან — თვისება:

განსაზღვრული მიზანი

ნებისმიერი სახის იურიდიულ თუ არაიურიდიულ პირს, მაგალითად, სამეწარმეო ამხანაგობას ან არარეგისტრირებულ კავშირს, ახასიათებს განსაზღვრული მიზანი. ჩვენს შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია კომერციული იურიდიული პირის მიზანზე. მეწარმეთა შესახებ კანონის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სამეწარმეო ორგანიზაციას აქვს ორი სახის მიზანი, კერძოდ მოგების მიზანი და განსაზღვრული მიზანი.

საწარმოს საქმიანობის უმთავრესი მიზანია მიიღოს მოგება. მოგება შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, მაგალითად ფულის სახით ან არაფულადი შემოსავლის სახით.

მოგება განსაზღვრული მიზნის მიღწევის შედეგად მიიღება. განსაზღვრული მიზანი გამოიხატება საწარმოს კონკრეტულ საქმიანობაში, მაგალითად, ტანსაცმლის კერვა, უალკოჰოლო სასმელების დამზადება და რეალიზაცია და ა.შ.

საწარმოს განსაზღვრული მიზანი ანუ რა საქმიანობის რა სახე უნდა განახორციელოს საწარმომ, აისახება წესდებაში. თუმცა არ არის აუცილებელი საქმიანობის ყველა სახე წესდებაში დაფიქსირდეს. მთავარია, რომ საქმიანობის მიზანი კანონის ფარგლებში თავსდებოდეს.

საკუთარი ქონება

ცნება „ქონება“ ძალიან ფართო შინაარსისაა. თანახმად სამოქალაქო კოდექსის 147-ე და 148-ე მუხლებისა, იგი მოიცავს უძრავ და მოძრავ ნივთებს და აგრეთვე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც.

ამავე კოდექსის 149-ე მუხლის მიხედვით, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგანან მიწაზე.

როგორც მოცემული განმარტებიდან ირკვევა, უძრავი ნივთი

არის მიწის ნაკვეთი და ის საგანი რომელიც მყარად არის დაკავშირებული მასთან, კერძოდ, მცენარეები, შენობები, საცურაო თუ სხვა სახის აუზები, რომლებიც მიწასთან ჩასმული, ელექტროგადამცემი ხაზები, რომლებიც მიწასთან არიან დაკავშირებული, წყლის ან ქარის წისქვილი, წიაღისეული და ა.შ.

რაც შეეხება მოძრავ ნივთს, მის განმარტებას კანონი არ იძლევა, ამიტომ იგი შეიძლება ასე განემარტოს: ყველა ნივთი რომელიც მყარად არ არის დაკავშირებული მიწასთან, არის მოძრავი.

რაც შეეხება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, მის განმარტებას გვაძლევს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლი, კერძოდ, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამიზნულია საიმოსოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს სხვაგვარად უწოდებენ „უსხეულო ნივთებსაც“. მაგალითად, ამერიკის სანივთო სამართალში მას უწოდებენ Intangible property¹⁶.

როგორც დასახელებული მუხლის შინაარსიდან ჩანს, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს მიეკუთვნებიან ის უფლებები და მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება სხვას გადაეცეს ან გამიზნულია იმისათვის, რომ უფლების ან მოთხოვნის მფლობელმა მიიღოს რაიმე მატერიალური სარგებელი, ანდა უფლებისა და მოთხოვნის მფლობელს მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე

ამ მუხლის მეტი თვალსაჩინოებისათვის, კერძოდ, უფლებასთან და მოთხოვნასთან დაკავშირებით, მოვიყვანო რამდენიმე პატარა მაგალითი:

სააქციო საზოგადოებამ, როგორც დამოუკიდებელმა არსებამ (პირმა), შეიძლება იჯარით აიღოს მიწის ნაკვეთი. დავუშვათ სს „რუსთავმა“ დალო იჯარის ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან –

16 F. William McCarty, John W. Bagby, The legal environment of business. Bur Ridge, Boston, Sydney; 1993., P.180.

ალეკო ბექელაძესთან. ამ ხელშეკრულების საფუძველზე სს „რუსთავმა“ ხუთი წლის ვადით იჯარით აიღო 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ამრიგად, სს „რუსთავმა“ მოიპოვა უფლება (არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ერთ-ერთი სახე), დაამუშაოს 1 ჰექტარი მიწა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნისათვის.

იჯარის მსგავსად საწარმოს ასევე შეიძლება ჰქონდეს ქირავნობის უფლება, საავტორო უფლება და ა.შ.

რაც შეეხება „მოთხოვნას“ – საწარმოს შეიძლება ჰქონდეს მსესხებლისგან სესხის დაბრუნების ან სხვა სახის მოთხოვნა, მაგალითად, შპს-მ დადო ნარდობის ხელშეკრულება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან „სპს გიორგი მალლაკელიძე“ და შეუკვეთა წიგნების კარადა. თანხა წინასწარ გადაიხადა. შპს-ს შეუძლია მოსთხოვოს სააქციო სპს „გიორგი მალლაკელიძეს“ წიგნების კარადის გადმოცემა ან ხელშეკრულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურება და ა.შ.

რაც შეეხება არამატერიალური ქონებრივი სიკეთის – უფლების და მოთხოვნის სხვა პირზე გადაცემას, აქაც შეიძლება ერთი მაგალითი მოვიყვანოთ, შპს „ელექტროხელსაწყომ“ სესხის ხელშეკრულებით სამი თვით ისესხა 5000 ლარი და ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე სააქციო საზოგადოება „ავეჯს“ დასამზადებლად შეუკვეთა 5000 ლარის ღირებულების საოფისე ავეჯი. სამი თვის თავზე შპს „ელექტროხელსაწყომ“ ჩათვალა, რომ იგი სესხს ვერ დააბრუნებდა და ამიტომ 5000 ლარის დასამზადებელი საოფისე ავეჯის მოთხოვნა დაუთმო გამსესხებელს, რომელიც დათანხმდა 5000 ლარის ნაცვლად მიიღოს იმავე რაოდენობის და დასახელების ავეჯი.

კანონი როდესაც უთითებს, რომ „არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს“, ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს შეიძლება ჰქონდეს ისეთი უფლება ან მოთხოვნა, რომელსაც სხვას ვერ გადასცემს ან მისი გადაცემა იყოს შეზღუდული, მაგალითად, თუ შპს-ს სახელზე არის მშენებლობის ნებართვა გაცემული იგი ამ

ნებართვას ვერ გაასხვისებს ე.ი. სხვას ვერ დაუთმობს სახლის აშენების უფლებას. მოიჯარე ანუ პირი, რომელმაც იჯარით აიღო მიწის ნაკვეთი, იგი სხვა პირს ვერ გადასცემს იჯარის უფლებას თუ ამის შესახებ წინასწარ არ შეუთანხმდა მეიჯარეს ანუ იჯარით აღებული ნივთის მესაკუთრეს. ეს მოსაზრება ემყარება სამოქალაქო კოდექსის 587-ე მუხლის პირველ ნაწილს, კერძოდ, მოიჯარეს არ აქვს ქვეიჯარის უფლება მეიჯარის თანხმობის გარეშე.

როგორც ზემოთ გაკეთებული ანალიზი გვიჩვენებს, საწარმოს აქვს საკუთარი ქონება, რომელიც გამოიხატება მოძრავ და უძრავ ნივთებში და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეში – უფლებებში და მოთხოვნებში.

სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, საკუთრება მოიცავს სამ მნიშვნელოვან ელემენტს: მფლობელობას, სარგებლობასა და განკარგვას. ამრიგად, საწარმო იმ შემთხვევაში იქნება მესაკუთრე, თუ მას შეუძლია გამოიყენოს სამივე ელემენტი, განსაკუთრებით კი განკარგვის უფლება.

თუ შპს-ს იჯარით აქვს აღებული ნივთი, დაქირავებული აქვს ან კიდევ ათხოვეს რაიმე ნივთი, მას არა აქვს უფლება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, რომ ეს ნივთი გაასხვისოს. გასხვისებაში იგულისხმება ნივთის სხვის საკუთრებაში გადაცემა. სხვის საკუთრებაში გადაცემა კი ხდება გაყიდვით, გაჩუქებით, გაცვლით და ა.შ.

ისმის კითხვა, როგორ გავიგოთ რა ქონება აქვს საწარმოს საკუთრებაში?

ამის გაგება შეიძლება მისი ბალანსის და საჯარო რეესტრის მეშვეობით.

არ შეიძლება, საწარმოს საჯარო რეესტრში ქონდეს რეგისტრირებული უძრავი ნივთი და არ ქონდეს გატარებული, დაფიქსირებული ბალანსზე, მაგრამ შეიძლება ბალანსზე ქონდეს დაფიქსირებული, მაგრამ არ ქონდეს რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. იქ ისევ სხვის სახელზე იყოს რეგისტრირებული უძრავი ნივთი. ასეთ შემთხვევაში რა თქმა უნდა, უძრავი ნივთი სამო-

ქალაქო კოდექსის 183.1 მუხლიდან გამომდინარე, არ ჩაითვლება საწარმოს საკუთრებად.

რა მნიშვნელობა აქვს იმის გაგებას და დაზუსტებას, თუ რა ქონების მესაკუთრეა საწარმო?

ამ საკითხის გარკვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კრედიტორებისთვის, რადგანაც მათ ზიანის ანაზღაურების მიზნით შეუძლიათ მოითხოვონ საწარმოს იმ ქონების გაყიდვა, რომლის მესაკუთრეც იგი არის. თუკი კრედიტორები შეცდომით გაყიდვიან იმ ნივთს, რომლის მესაკუთრეც არ იყო მათი მოვალე – საწარმო, მაშინ ისინი სამოქალაქო კოდექსის 163-ე მუხლის თანახმად, ვალდებული არიან, დაუბრუნონ ნივთი უფლებამოსილ პირს. მაგალითად, შპს-ს იჯარით ჰქონდა მიწის ნაკვეთი აღებული ანდა გასესხებული თანხა მსესხებლის გირაოთი იყო უზრუნველყოფილი – არც ერთი ნივთი შპს-ის საკუთრებას არ წარმოადგენს და ამდენად, შპს-ის კრედიტორები ასეთ ნივთებს ვერ მიიღებენ საკუთრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად: „მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება“. მაგრამ კრედიტორებს შეუძლიათ საკუთრებაში მიიღონ იჯარაზე ან გირავნობაზე უფლება, ანუ გახდებიან მოიჯარენი ან მოგირავნენი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ზოგჯერ შპს-ს საკუთრებას ქონების მხოლოდ ბალანსზე დაფიქსირება არ წარმოშობს, რამდენადაც ბალანსში აისახება არამარტო შპს-ის საკუთრებაში არსებული ქონება, არამედ ნებისმიერი სხვა ქონება, რომელსაც იგი კანონიერად ფლობს.

კრედიტორმა ან სასამართლომაც უნდა გაითვალისწინოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნა, კერძოდ, „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში“.

ამავე კოდექსის 311-ე მუხლით, „. . . რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები. . .“

ორგანიზებული წარმონაქმნი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ორგანიზებული წარმონაქმნი“ საწარმოს, როგორც იურიდიული პირის დამახასიათებელ ერთ-ერთი აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ცნება „ორგანიზებული წარმონაქმნი“ ზოგადია ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის.

დასახელებული ნიშანი, თავის მხრივ, რამდენიმე ელემენტს მოცავს, რომელთა ერთობლიობა ანიჭებს წარმონაქმს ორგანიზებულობის ხასიათს.

როგორია ეს ელემენტები?

პირველი – ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

ორგანიზებული წარმონაქმნი საქართველოში არსებულ, დაკანონებულ ორგანიზაციულ – სამართლებრივ ფორმაში უნდა თავსდებადეს. მაგალითად, ვერ შევქმნით დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დღეს რუსეთში მოქმედებს, რადგანაც იგი ჩვენი კანონით არ არის გათვალისწინებული.

ჩვენს შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება უკვე არის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მეორე – ორგანიზებული წარმონაქმნის მართვის შიდა სტრუქტურა.

როდესაც პირი დააფუძნებს საზოგადოებას ქართული კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, მან იმაზეც უნდა იზრუნოს, რომ ამ წარმონაქმნმა იმუშაოს, იმოქმედოს. ამისათვის კი მას სჭირდება მართვის ორგანოები. საწარმოში მართვის ორი ძირითადი ორგანო ფუნქციონირებს, ეს არის მართვის უმაღლესი ორგანო --- პარტნიორთა კრება და აღმასრულებელი ორგანო --- დირექტორატი – დირექტორი.

გარდა მართვის ორგანოებისა, სააქციო საზოგადოებას, კოოპერატივს შეიძლება ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო.

საწარმოს მართვის შიდა სტრუქტურასთან დაკავშირებულია ბუღალტერიაც, რომელიც, როგორც ყოველთვის, დღესაც იურიდიული პირის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

მესამე – ორგანიზებული წარმონაქმნის რეგისტრაცია.

როდესაც ვამბობთ, რომ იურიდიული პირი ორგანიზებული წარმონაქმნია, ავტომატურად ვგულისხმობთ ამ წარმონაქმნის სპეციალურ სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციას.

ჩვენს შემთხვევაში, საწარმო, წარმოიშობა მხოლოდ საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. ამიტომაც არის რომ, თუ კერძო სამართლის ორგანიზებული წარმონაქმნი შესაბამის სახელმწიფო რეესტრში არ გატარდება, ის იურიდიული პირის სახით ვერ იარსებებს, ვერ მოიპოვებს იურიდიული პირის სტატუსს.

თავისი ქონებით დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საწარმოს, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირს, სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლიდან გამომდინარე აქვს საკუთარი ქონება. რადგანაც საწარმოსს აქვს საკუთარი ქონება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მისი ქონება გამოცალკევებულია ყველა სხვა პირის ქონებისგან, მათ შორის მისი დამფუძნებლების ქონებისგანაც. რაზან შპს, სს და კოოპერატივი ქონების მესაკუთრეა, ისინი მხოლოდ საკუთარი ქონებით აგებენ პასუხს კრედიტორების წინაშე.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება, მართალია არიან იურიდიული პირები მაგრამ კრედიტორების წინაშე მათი დამფუძნებლები-პარტნიორები, გარდა შეზღუდული პარტნიორებისა (კომანდიტებისა) მთელი თავისი პირადი ქონებით აგებენ პასუხს.

შპს-ის, სს-ისა და კოოპერატივის როგორც იურიდიული პირების ეს თვისება, კერძოდ, რომ საკუთარი ქონებით აგონ პასუხი, არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლით არის განმტკი-

ცებული, არამედ აგრეთვე მეწარმეთა შესახებ კანონითაც, მაგალითად კანონის 44-ე მუხლით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

**საკუთარი სახელით უფლება-მოვალეობების შექმნა,
გარიგებების დადება და სასამართლოში გამოსვლა მოსარჩელედ
და მოპასუხედ**

იურიდიულ პირს, ანუ ჩვენს შემთხვევაში საწარმოს, აქვს საკუთარი სახელი, რომლის მეშვეობითაც იგი იძენს უფლებებს და კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს (ხელშეკრულებებს) და ა.შ.

ეს ნიშან-თვისება იმაზეც მიუთითებს, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის არ არის საკმარისი, ქონდეს მხოლოდ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

საკუთარი სახელი – ეს არის ორგანიზებული წარმონაქმნის ინდივიდუალიზება, რის წყალობითაც იგი გამოიყოფა სხვა იურიდიული პირებისგან. ეს იმდენად მნიშვნელოვანი ნიშანია, რომ მარეგისტრირებული ორგანო ორგანიზებულ წარმონაქმნს, თუკი მას უნდა, რომ ჰქონდეს იურიდიული პირის სტატუსი, სახელის გარეშე რეესტრში არ გაატარებს.

საკუთარი სახელის არსებობის მნიშვნელობაზე მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, მსგავსი სახელის მქონე იურიდიული პირი გაატაროს რეესტრში თუ მათ ერთნაირი ორგანიზაციული ფორმაც აქვთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთნაირი სახელის არსებობა ძალიან დიდ გაუგებრობას გამოიწვევს სავაჭრო თუ სამოქალაქო ურთიერთობებში. მაგალითად, არ შეიძლება იყოს ორი ან მეტი შპს, რომელთა სახელიც იქნება, დაეუშვათ „მთაწმინდა“.

სახელმწიფო რეესტრში ერთნაირი სახელის მქონე იურიდიული პირის გატარების აკრძალვას კანონი არ შეიცავს, მაგრამ იგი

გამომდინარეობს მეწარმეთა შესახებ კანონის არსიდან.

ამიტომ დამფუძნებლებმა, სანამ სახელს დაარქმევდნენ მათ მიერ დაფუძნებულ ორგანიზებულ წარმონაქმნს, რომელიც ჯერ კიდევ რეგისტრაციაში არ გატარებულა და ამდენად, არ მიუღია იურიდიული პირის სტატუსი, უნდა გაარკვიონ, არსებობს თუ არა მსგავსი სახელის მქონე იურიდიული პირი. ამის გარკვევა მათ შეუძლიათ სტატისტიკის დეპარტამენტში.

საწარმოს უფლება აქვს, დაღოს გარიგებებიც. აქ ძირითადად მოიაზრება როგორც ცალმხრივი გარიგებები, მაგალითად, საზოგადოების სახელით განცხადების დაწერა (როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენა), ასევე ორმხრივი გარიგებები – ხელშეკრულებები, მაგალითად, ნასყიდობის, ქირაუნობის, ლიზინგის ხელშეკრულება და მრავალმხრივი გარიგებებიც, მაგალითად, ახალი საზოგადოების დაფუძნების დროს, სხვა დამფუძნებლებთან ერთად წესდებაზე ხელის მოწერა ანუ იურიდიული პირის დაფუძნება რამდენიმე პარტნიორთან ერთად.

საწარმო, როგორც დამოუკიდებელი არსება (პირი), სარგებლობს იმ უფლებითაც, რომ დაიცვას საკუთარი ინტერესები სასამართლოში და არა მხოლოდ სასამართლოში, არამედ აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებშიც.

ამ მიზნით იგი განცხადებაში ან სარჩელში ყოველთვის უთითებს თავის ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას, სახელსა და მისამართს.

იმის კითხვა: ვინ ლაპარაკობს საზოგადოების სახელით?

შპს-ს სახელით ძირითადად მოქმედებს მისი დირექტორი. სიტყვას „ძირითადად“ იმიტომ ვიყენებ, რომ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში მისი სახელით შეიძლება გამოვიდეს სამეთვალყურეო საბჭოც ან სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა პირი.

საწარმოს შეიძლება ჰყავდეს პროკურისტიც, რომელსაც შეუძლია ასევე იმოქმედოს საზოგადოების სახელით პროკურის ფარგლებში.

საწარმო შეიძლება იყოს მოსარჩელე, შეიძლება იყოს მოპასუ-

ხეც. თუკი ეს საზოგადოება ვინმეს წინაშე რაიმე ვალდებულებას არ შეასრულებს, სარჩელს აღძრავენ არა მისი დამფუძნებლების წინააღმდეგ, არამედ უშუალოდ საზოგადოების წინააღმდეგ, რადგანაც იგი არის იურიდიული პირი. ამის შესახებ მითითებულია, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის 1-ელ ნაწილში, კერძოდ, სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების განცხადებით. მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები.

რადგანაც მოპასუხეც მხარეს წარმოადგენს, ამიტომ სასამართლოში მოპასუხედ შეიძლება გამოვიდეს მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაც.

სარჩელში უნდა მიეთითოს მოპასუხის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელი და მისამართი: იგულისხმება მხოლოდ ის მისამართი, რომელიც საწარმოს სამეწარმეო რეესტრში აქვს რეგისტრირებული. აგრეთვე, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა პირობები.

გ) საწარმოს იურიდიული მისამართი;

რაც შეეხება იურიდიულ მისამართს, რეგისტრაციისა და სასამართლო პარაქტიკის შესწავლამ დაგვანახა რომ ეს ტერმინი დღესაც გარკვეულ განმარტებას საჭიროებს.

რას ნიშნავს „იურიდიული მისამართი“?

„იურიდიული მისამართი“ ეს არის განსაზღვრულ ფარგლებში ტერიტორიის ინდივიდუალიზება, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი, რეგისტრირებული და აქვს იურიდიული ძალა.

ამრიგად, იურიდიული მისამართი ეს არის განსაზღვრული ინდივიდუალიზებული ტერიტორია, რომელიც ქალაქებში ქუჩით და შესაბამისი ნომრით უნდა გამოიხატოს, თანაც ქუჩაც და ნომერიც სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დადგენილი. მისი ერთ-ერთი მიზანი ის არის, რომ ფოსტამ, საგადასახადომ და ა.შ. ზუსტად იცოდნენ სად მივიდნენ, სად გაგზავნონ წერილი.

რატომ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი?

ზოგჯერ დამფუძნებლები, რომლებიც სამეურნეო საქმიანობას ეწევიან გზატკეცილზე, მაგალითად, აქვთ ბენზინგასამართი სადგური ან ტრანსპორტის შესაკეთებელი ადგილი, იურიდიულ მისამართად უთითებენ გზატკეცილის დასახელებას და მერამდენე კილომეტრზე იმყოფება მათი საქმიანობის ობიექტი, მაგალითად, მისამართია: „სამხედრო გზის 28-ე კილომეტრი“.

„28-ე კილომეტრი“ თავად დამფუძნებლების მიერ არის დადგენილი და არა სახელმწიფოს მიერ, რაც არ არის სწორი.

ერთადერთი გამონაკლისი, სადაც შეიძლება ვერ მიუთითონ ქუჩა და ნომერი – ეს არის სოფელი. საქართველოს ბევრ სოფელში არ არის ქუჩა და სახლის ნომერი იმ გაგებით, როგორც ეს ქალაქებშია. ასეთ შემთხვევაში დამფუძნებელი, უბრალოდ, იძულებულია მიუთითოს მხოლოდ სოფლის დასახელება, მაგალითად, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი. ეს შეიძლება გავამართლოთ იმით, რომ სოფელი ზეინდარი რამდენიმე ათეული კომლისგან შედგება, ყველა ერთმანეთს კარგად იცნობს და როდესაც ზეინდრის ფოსტა რაიმეს ღებულობს გადასაცემად, მან იცის ადრესატის საცხოვრებელი ადგილი. ეს ტრადიციულად ასე არის და კიდევ დიდხანს ასე იქნება

დ) საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორის (პარტნიორების), ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) (მათ შორის, პროკურისტის) სახელს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს, პირად ნომერს და ხელმოწერას; თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მის საფირმო სახელწოდებას და რეგისტრაციის მონაცემებს, იურიდიულ მისამართს, იმ ორგანოს დასახელებას, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღს და საიდენტიფიკაციო კოდს, მონაცემებს მისი წარმომადგენლების შესახებ;

ამ პუნქტში ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს: როგორც ზევით ავლნიშნეთ საწარმოში არ მოიაზრება სამეწარმეო

ამხანაგობა და ინდივიდუალური მეწარმე. სამეწარმეო ამხანაგობაში დამფუძნებელს ქვია მონაწილე და არა პარტნიორი, ამდენად საჭიროა განცხადებაში მიეთითოს:

1. პარტნიორთან დაკავშირებით:

- სახელი;
- საცხოვრებელი ადგილის მისამართი;
- პირადი ნომერი, რომელიც პირადობის მოწმობაშია დაფიქსირებული;

– განცხადებაზე გაკეთდეს ხელმოწერა.

2. ხელმძღვანელობასთან (დირექტორთან) დაკავშირებით:

- სახელი;
- საცხოვრებელი ადგილის მისამართი;
- პირადი ნომერი, რომელიც პირადობის მოწმობაშია დაფიქსირებული;

– განცხადებაზე გაკეთდეს ხელმოწერა.

3. წარმომადგენლობასთან (პროკურა, სავაჭრო წარმომადგენელი და ა.შ) დაკავშირებით იგივე ინფორმაცია.

4. თუ პარტნიორი იურიდიული პირია, განცხადებაში უნდა მიეთითოს:

- საფირმო სახელწოდება;
- რეგისტრაციის მონაცემები;
- იურიდიული მისამართი;
- იმ ორგანოს დასახელება რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი;
- რეგისტრაციის თარიღი;
- საიდენტიფიკაციო მონაცემები.
- მონაცემები წარმომადგენლის (იურიდიული პირის ხელმძღვანელის) შესახებ.

აქვე იბადება კითხვა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: სპს-ს და კომანდიტური საზოგადოების დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ იურიდიული პირებიც, ეს კი იმას ნიშნავს რომ იურიდიული პირი ავტომატურად იქნება ხელმძღვანელიც. ასეთ შემთხვევაში რა მო-

ნაცემები უნდა დააფიქსირონ განცხადებაში? ამ კითხვაზე პასუხი არც ინსტრუქციაშია და არც კანონში. ხელმძღვანელად იურიდიული პირის გახდომა, ეს სრულიად ახალი მოვლენაა ქართულ სამართალში, რომელიც უკვე გარკვეულ პრობლემებს ქმნის საკორპორაციო ურთიერთობათა პრაქტიკაში. ამიტომ მისი საკანონმდებლო წესით დამკვიდრება სწორად არ მიმაჩნია.

ე) საწარმოს საქმიანობის ხანგრძლივობა (ვალიანი საწარმოს შემთხვევაში ვადა უნდა მიეთითოს წლებით);

რეგისტრაციის პრაქტიკა გვიჩვენებს რომ ძირითადად მითითებულია საქმიანობის განხორციელება „უვალოდ“.

ვ) თუ საწარმოს ჰყავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი, აღნიშვნას – ისინი ერთად წარმომადგენენ საწარმოს თუ ცალცალკე.

ეს პუნქტი ეხება როგორც ხელმძღვანელებს (დირექტორებს) ასევე წარმომადგენლებსაც.

საწარმოს შეიძლება ყავდეს ორი ან მეტი ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი – პროკურისტი, სავაჭრო წარმომადგენელი და ა.შ.

თუ საწარმოს ჰყავს ორი ან მეტი ხელმძღვანელი, მაშინ ხელმძღვანელობის ასეთ ფორმას ჰქვია კოლეგიური ფორმა. ასეთ შემთხვევაში წესდებაში უნდა ჩაიწეროს ორიდან ერთ-ერთი ვარიანტი: 1. იურიდიული ძალის არსებობისათვის ერთ-ერთი დირექტორის მიერ შემუშავებულ დოკუმენტზე ყველა დირექტორი აწერს ხელს, ან 2. ყოველი დირექტორი თავისი კომპენტენციის ფარგლებში მხოლოდ მის მიერ შემუშავებულ დოკუმენტზე აწერს ხელს.

ასეთივე წესი მოქმედებს სხვა წარმომადგენლების (პროკურისტი, სავაჭრო წარმომადგენელი და ა.შ.) მიმართაც. აქაც წესდება-

ში უნდა აღინიშნოს წარმომადგენლობითი უფლებით აღჭურვილი პირები იმოქმედებენ ერთპიროვნულად თუ ერთობლივად.

ზ) განცხადებაში, თუ ის წარდგენილია კომანდიტური საზოგადოების მიერ, უნდა აღინიშნოს, რომელი პარტნიორია შეზღუდული (კომანდიტი) და რომელი სრული (კომპლემენტარი)

4.2. საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუში;

ეს არის სამეწარმეო რეესტრში მეორე წარსადგენი დოკუმენტი.

კანონში არ არის რაიმე მითითება ხელმოწერის ფორმასთან დაკავშირებით ანუ არ არის აუცილებელი ხელმოწერაში ზუსტად იკითხებოდეს გვარი და სახელი.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა როდესაც გვარი სანახევროდ არის შესრულებული. ხელმოწერის მიზანი არ არის გვარის ამოკითხვა, ხელმოწერის მიზანია ინფორმაციის გაცნობის, ნების გამოვლენის ფაქტის დადასტურებაა.

რასაკვირველია უმჯობესია, რომ ხელმოწერა ისე გაკეთდეს რომ იკითხებოდეს ხელმძღვანელის გვარი და სახელი.

ხელმოწერის ნიმუში უნდა დამოწმდეს ნოტარიულად, ამიტომ იგი ნოტარიუსის თანდასწრებით უნდა შესრულდეს. ნოტარიული დამოწმება საჭირო აღარ არის თუ ხელმოწერა შესრულდება მარეგისტრირებულ ორგანოში რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით.

4.3. სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი

ეს მესამე წარსადგენი დოკუმენტია სამეწარმეო რეესტრში სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდისათვის განმცხადებელმა უნდა იცოდეს რამდენია გადასახადი და მარეგისტრირებელი ორგანოს ანგარიშის ნომერი.

ეს დოკუმენტი დამოწმებული უნდა იყოს ბანკის მიერ.

კანონის 5.4 მუხლის თანახმად „თუ საწარმოს პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ საქართველოს მოქალაქისათვის/ საქართველოში რეგისტრირებული საწარმოსათვის დადგენილის ექვივალენტირ მონაცემებს. უცხო ქვეყნის იურიდიული პირების შემთხვევაში მათი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით.

5. საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებებთან რეგისტრაციის წესი და ფორმა

საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილებების რეგისტრაციისათვის მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება. არსებობს განცხადების სპეციალური ფორმა, რომელიც უფასოდ შეიძლება მიღებულ იქნეს მარეგისტრირებელ ორგანოში.

განცხადება უნდა შეიცავდეს:

- საწარმოს საფირმო სახელწოდებას;
- საწარმოს სამართლებრივ ფორმას;
- საწარმოს იურიდიულ მისამართს;
- საწარმოს საქმიანობის ხანგრძლივობას;

– საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის სახელს, საცხოვრებელი ადგილის მისამართსა და პირად ნომერს;

– საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (მათ შორის პროკურისტის) სახელს, საცხოვრებელი ადგილის მისამართსა და პირად ნომერს.

– განცხადების სარეგისტრაციოდ წარდგენის თარიღს.

სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს. ამ ვალდებულების დარღვევისათვის საწარმოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება ხელმძღვანელ პირს.

სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილების შესახებ განცხადებით შეიძლება მიმართონ აგრეთვე პარტნიორმა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა. განცხადებით მიმართვა მათ ვალდებულებას არ წარმოადგენს, ეს მათი კანონით მინიჭებული უფლებაა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ ცვლილება ძალაში შედის არა ოფიციალურ ორგანოში-საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების მომენტიდან არამედ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

6. საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები

მეწარმეთა შესახებ კანონის 5³ მუხლში წერია: „საწარმოს რეგისტრაციაზე უარი შეიძლება ეთქვას თუ“ აღნიშნული განცხადებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საგადასახადო ორგანოს შეუძლია უარი არ უთხრას რეგისტრაციაზე, თუნდაც წარდგენილი დოკუმენტები რეგისტრაციის პირობებს არ შეესაბამებოდეს.

სინამდვილეში ფორმულირება „უარი შეიძლება ეთქვას“ იმპერატიულ მოთხოვნას გულისხმობს, მაგრამ, თავისთავად, იგი იმპერატიული მოთხოვნის წყობას არ შეესაბამება. უმჯობესი იქნებოდა

დაწერილიყო „საწარმოს რეგისტრაციაზე უარი უნდა ეთქვას“.

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის შემდეგ საფუძველებს:

1. სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს;
2. სარეგისტრაციოდ წარდგენილია ცრუ, არაიდენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები;
3. არ არის გადახდილი სარეგისტრაციო მოსაკრებელი.

კონკრეტულად გაავანილებოთ თუ რა იგულისხმება რეგისტრაციაზე უარის თქმის თვითეულ საფუძველში.

პირველი საფუძველია ის რომ საწარმოს დამფუძნებლების მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს;

რა შეიძლება მოვიაზროთ ამ წესში?

– არ არის შევსებული საწარმოს სარეგისტრაციო განცხადება;

– არ არის წარდგენილი საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (პირების) ხელმოწერის ნიმუში (ნიმუშები);

– თუ საწარმოს პარტნიორი ან ხელმძღვანელობაზე ანდა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის უცხო ქვეყნის იურიდიული პირი, მან უნდა წარმოადგინოს იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;

თვითეულ დოკუმენტს აქვს კანონით დადგენილი ფორმა, კერძოდ:

– საწარმოს სარეგისტრაციო განცხადება უნდა დამოწმდეს ნოტარიულად, მაგრამ თუ პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) სარეგისტრაციო განცხადებას ხელს აწერენ მარეგისტრირებელ ორგანოში, იგი აღარ მოითხოვს ნოტარიულ დამოწმებას;

– ხელმოწერის ნიმუში არ არის დამოწმებული ნოტარიუსის

მიერ ან ხელმოწერა არ შესრულებულა მარეგისტრირებელ ორგანოში, რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით;

– უცხო ქვეყნის იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით.

მორე საფუძველია ის რომ საწარმოს დამფუძნებლების მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილია ცრუ, არაიდენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები;

აღნიშნული საფუძველი ძირითადად გამომდინარეობს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5 მუხლიდან სადაც მითითებულია თუ რას უნდა შეიცავდეს სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტები. მაგალითად, საწარმოს სარეგისტრაციო განცხადებაში უნდა იყოს მითითებული საწარმოს იურიდიული მისამართი, დამფუძნებლებმა კი განცხადებაში ჩაწერეს „ თელავის ქუჩა №65“ ამ დროს, თელავის ქუჩა ან ასეთი ნომერი საერთოდ არ არსებობს.

არაიდენტიფიცირებად ინფორმაციად შეიძლება მივიჩნიოთ მაგალითად, როდესაც არ არის აღნიშნული დამფუძნებლის პირადი ნომერი. თავისი ბუნებით არაიდენტიფიცირებადი ინფორმაცია ახლოს დგას არასრულყოფილ ინფორმაციასთანაც.

არასრულყოფილი ინფორმაციის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ის რომ სარეგისტრაციო განცხადებაში არ არის მითითებული თუ ვინ არის კომანდიტი კომანდიტურ საზოგადოებაში და ა.შ.

სარეგისტრაციო პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა რომ არასრულყოფილ ინფორმაციის მიწოდების გამო დამფუძნებლებს ზოგჯერ უარს ეუბნებიან რეგისტრაციაზე.

მესამე საფუძველია სარეგისტრაციო მოსაკრებლების გადაუხდელობა.

საწარმოს რეგისტრაციისათვის დამფუძნებლები იხდიან კანონით დადგენილ ბაჟს. მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციისათვის გადასახდელია 120 ლარი

(კანონი სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ, მე-7 მუხლი, მე-7 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი), ამიტომ თუ სარეგისტრაციო დოკუმენტებს არ ახლავს გადახდის ქვითარი საგადასახადო ორგანო არ გაატარებს რეგისტრაციაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ უარის თქმის საფუძვლები მეტ სრულყოფასა და დახვეწას საჭიროებს. ასეთი დასკვნა რამდენიმე მოსაზრებას ეყრდნობა, მაგალითად: 1. კანონში არ წერია იქნება თუ არა უარის თქმის საფუძველი თუ მესამე პირი შეატყობინებს რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილია ცრუ ან არაიდენტიფიცირებადი ინფორმაცია.

მესამე პირად არ მიიჩნევა საზოგადოების პარტნიორი, ან სამეწარმეო ამხანაგობის მონაწილე. მესამე პირი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფოც, რომელიც წარმოადგენს მომავალი გარიგების მხარეს ან არ იყოს მხარე, მაგრამ გარიგება დაიდო მის სასარგებლოდ. მაგალითად, შპს-მ იყიდა კომპიუტერი სააქციო საზოგადოებისგან და ხელშეკრულებაში მიუთითა, რომ გამყიდველს ეს კომპიუტერი გადაეცა კომანდიტური საზოგადოებისათვის. ამრიგად, კომანდიტური საზოგადოება არის მესამე პირი, რომლის სასარგებლოდაც დაიდო გარიგება.

მესამე პირად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ყველა ის პირი, რომელსაც შეიძლება წარმოეშვას მოთხოვნა საზოგადოების ან მისი პარტნიორების ან თუნდაც ამხანაგობის მიმართ.

2. კანონში ასევე არაფერია ნათქვამი იმის შესახებ უნდა უთხრას თუ არა უარი რეგისტრაციაზე საგადასახადო ორგანომ თუ რეგისტრაციის შემდეგ მოხდა ისეთი ცვლილებები რომლებიც აღარ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის ან კომანდიტურ საზოგადოებაში დარჩა ერთი პარტნიორი და ასე აგრძელებს მუშაობას საზოგადოება ანუ არ მოახდინეს საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილების რეგისტრაცია.

3. გარდა ამისა ისმის კითხვა, საგადასახადო ორგანო ვალდებულია თუ არა არკვიოს მიაწოდეს თუ არა ცრუ ინფორმაცია,

შეუძლია თუ არა მონაცემების დასაზუსტებლად მოითხოვოს დამატებითი ცნობები?

აქვს თუ არა უფლება ნებისმიერ პარტნიორს (მონაწილეს), წილის ოდენობის მიუხედავად, მოითხოვოს რეგისტრაციაზე უარის თქმა იმ მოტივით თითქოსდა სარეგისტრაციოდ ცრუ ინფორმაცია არის წარდგენილი? ამ და სხვა კითხვებზე კანონში პასუხები არ არის.

7. ინდივიდუალური მეწარმისა და სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციისა და სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილებების რეგისტრაციის წესი და პირობები

7.1. ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის და სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილებების რეგისტრაციის წესი და ფორმა

ფიზიკური პირი (საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი) ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისათვის მარეგისტრირებელ ორგანოში წარადგენს:

1) განცხადებას;

2) პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ხოლო განცხადების დაზღვეული წერილით გაგზავნის ან წარმომადგენლის მემკვიდრით წარდგენის შემთხვევაში – კანონით დადგენილი წესით დამოწმებულ პირადობის მოწმობის ასლს.

განცხადება უნდა შეიცავდეს:

– განმცხადებლის სახელს;

განმცხადებლის სახელში მოიაზრება მხოლოდ სახელი და გვარი (სამ. კოდ. 17.1 მუხლი), მშობლის სახელი არ გამოიყენება.

შეიძლება თუ არა პირმა მიუთითოს ფსევდონიმი ან ისეთი სახელი როგორცაა ის არის ცნობილი საზოგადოებაში, ნათე-

სავეების ან მეგობრების წრეში? ასეთი სახელის გამოყენება არ შეიძლება, სახელი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს პირადობის მოწმობაში (ბინადრობის მოწმობაში) დაფიქსირებულ სახელს.

– განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;

სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებელი ადგილის საკითხს არეგულირებს აგრეთვე საგადასახადო კოდექსიც. ამ კოდექსის 35 მუხლით „1. ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად ითვლება ადგილი, რომელსაც იგი, ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს, ან მისი ფაქტობრივად ყოფნის ადგილი, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურნეო ან სამზრუნველო პირის საცხოვრებელ ადგილად-მეურვის ან მზრუნველის საცხოვრებელი ადგილი.

2. ფიზიკური პირის ფაქტობრივად ყოფნის ადგილად ითვლება მისი დროებითი საცხოვრებელი ადგილი, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. -----

4. თუ ფიზიკურ პირს რამდენიმე საცხოვრებელი (ბინა ან სხვა საცხოვრებელი) აქვს, მის საცხოვრებელ ადგილს ან ფაქტობრივად ყოფნის ადგილს განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო ამ ფიზიკური პირთან შეთანხმებით.

თუ პირს სხვა ქალაქში ან რაიონში დაქირავებული აქვს ბინა და სურვილი აქვს რომ იმავე ქალაქში ან რაიონში გატარდეს ინდივიდუალურ მეწარმედ, მაშინ უნდა მიუთითოს ის მისამართი სადაც მას აქვს ბინა დაქირავებული ანუ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი. თუმცა უმჯობესი იქნებოდა ეს საკითხი კანონით ან ინსტრუქციით მოწესრიგებულიყო.

თუ პირი 6 თვეზე მეტი ვადით შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს, რომლის მისამართიც მას პირადობის მოწმობაში უწერია, იგი ვალდებულია 6 თვის გასვლიდან 10 დღის ვადაში რეგისტრაციისა და პირადობის მოწმობის მისაღებად ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართოს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს. შააგენტოს ტერიტორიული სამსახური ვალდებულია 10 დღის ვადაში მოახდინოს მისი რეგისტრაცია.

— განმცხადებლის პირად ნომერს;

პირადი ნომერი შედგება თერთმეტი ციფრისგან. პირველი ორი ციფრი (01-99-მდე) არის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის კოდი, მომდევნო ერთი ციფრი (1-დან 9-მდე) საკონტროლოა, რომელიც გარკვეული ფორმულის საფუძველზე მიიღება დანარჩენი ათი ციფრისგან. შემდეგი ორი ციფრი (01-99-მდე) არის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იმ ტერიტორიული სამსახურის კოდი, რომელმაც პირს მიანიჭა პირადი ნომერი, ხოლო ბოლო ექვსი ციფრი ამ პირისათვის პირადი ნომრის მინიჭების შესახებ ჩანაწერის რიგით ნომერია (000001-დან 999999-მდე).

ერთხელ მინიჭებული პირადი ნომრის შეცვლა ან გაუქმება არ შეიძლება¹⁷.

— განცხადების შევსების თარიღს;

პრაქტიკაში არის შემთხვევები როდესაც განცხადების თარიღად მითითებული აქვს არა რეგისტრაციის დღე არამედ წინა დღეები. ვფიქრობ რომ ასეთი პრაქტიკა რაიმე პრობლემას არ უნდა წარმოშობდეს, თუმცა რასაკვირველია, ჯობია, რომ განცხადების შევსების თარიღი რაც შეიძლება ახლოს იყოს რეგისტრაციის თარიღამდე.

— განმცხადებლის ხელმოწერას;

განმცხადებლის ხელმოწერა, განცხადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ხელმოწერით დასტურდება:

17 ინსტრუქცია საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა და ლტოლვილთა პირადობის დადასტურებისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის (სამგზავრო პასპორტისა და დოკუმენტის) გაცემის შესახებ. მუხლი 7.

1. განმცხადებლის საბოლოო ნება ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის თაობაზე, და

2. განცხადებაში აღნიშნული ინფორმაციის უტყუარობის დადასტურება.

ისმის კითხვა: როგორ მოიქცეს ფიზიკური პირი, თუ ფიზიკური ნაკლის (სიბრძავე, ხელის უქონლობა და ა.შ) ან ავადმყოფობის გამო განცხადებაზე ვერ აწერს ხელს?

ასეთ შემთხვევაში, რადგანაც განცხადება ნების გამოვლენაა და აქედან გამომდინარე გარიგებაა, იმოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 70-ე მუხლი, კერძოდ: იმ პირს ვინც თვითონ ვერ მოაწერს ხელს გარიგებას წერა კითხვის უცოდინრობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო, შეუძლია გარიგებაზე ხელის მოწერა სხვას მიანდოს. ამ უკანასკნელის ხელის მოწერა დამოწმებული უნდა იყოს ოფიციალურად. ამასთან უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა ვერ შეძლო გარიგებაზე ხელის მოწერა.

განცხადებაში არაფერია ნათქვამი ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდებაზე. არადა ინდმეწარმეს უნდა ქონდეს საფირმო სახელწოდება. ამის შესახებ პირდაპირ უთითებს კანონის მე-ნ მუხლი, კერძოდ: საფირმო სახელწოდება, ანუ ფირმა არის სახელი, რომლითაც საქმიანობს მეწარმე სუბიექტი. აღნიშნული შეცდომა გამოსწორებულია ინდივიდუალური მეწარმის სარეგისტრაციო ბარათში, სადაც ცალკე გრაფაა „საფირმო სახელწოდება“ თუმცა ეს გრაფა არც კანონს ემყარება და არც ინსტრუქციას.

მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია განცხადების წარდგენისთანავე განახორციელოს ფიზიკური პირის ინდმეწარმედ რეგისტრაცია. ეს ვალდებულება არ ეკისრება თუ მარეგისტრირებელ ორგანოს – რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს, ექნება რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

რეგისტრირებულ მონაცემებში შესაძლებელია დროთა განმავლობაში ინდივიდუალურმა მეწარმემ შეიტანოს ცვლილებები. ამ

ცვლილებებს იურიდიული ძალა ექნება მხოლოდ მათი საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. ამიტომ სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილებებისათვის ასევე წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- განმცხადებლის სახელს და გვარს;
- განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;
- განცხადების შევსების თარიღს;
- განმცხადებლის ხელმოწერას.

ცვლილებები ძალაში შედის საგადასახადო ორგანოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

განცხადების ფორმას ფიზიკური პირი უფასოდ მიიღებს მარეგისტრირებელ ორგანოში, ასევე შეუძლია ინტერნეტის დახმარებითაც მიიღოს (ამობეჭდოს) განცხადების ფორმის ასლი (კანონის 5⁴ მუხლის მე-5 პუნქტი).

7.2. სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციის და სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილებების რეგისტრაციის წესი და ფორმა

სამეწარმეო ამხანაგობა შეიძლება დააფუძნოს როგორც ფიზიკურმა პირებმა ასევე იურიდიულმა პირებმაც. მინიმალური დამფუძნებელთა რაოდენობა უნდა იყოს 2 პირი.

თუ ფიზიკური პირი (პირები) გადაწყვეტს სამეწარმეო ამხანაგობის დაფუძნებას ისინი ჯერ ინდივიდუალურ მეწარმეებად უნდა გაფორმდნენ და შემდეგ დააფუძნონ სამეწარმეო ამხანაგობა ანუ ეს სამართლებრივი ფორმა ინდივიდუალური მეწარმეების გაერთიანებას წარმოადგენს, ასევე იგი შეიძლება იყოს იურიდიული პირების გაერთიანებაც, მაგრამ კანონით არ არის განსაზღვრული იურიდიული პირებიც უნდა იყვნენ მეწარმეები თუ არა. სამეწარმეო ამხანაგობის ბუნებიდან გამომდინარე იურიდიული პირებიც უნდა იყვნენ მეწარმე სუბიექტები.

სამეწარმეო ამხანაგობა რეგისტრირდება საგადასახადო ორგანოში ერთ-ერთი იმ პირის მისამართის მიხედვით, რომლის სახელიც მითითებულია სამეწარმეო ამხანაგობის სახელწოდებაში.

სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს:

1. განცხადება;

2. მონაწილეთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ხოლო განცხადების დაზღვეული წერილით გაგზავნის ან წარმომადგენლის მეშვეობით – კანონით დადგენილი წესით დამოწმებული პირადობის მოწმობის ასლები;

განცხადება უნდა შეიცავდეს:

– ყველა მონაწილის სახელს (სახელი და გვარი), თუ მონაწილე იურიდიული პირია – საფირმო სახელწოდებას;

ამ პუნქტთან დაკავშირებით ისმის კითხვა: „ყველა მონაწილის სახელში“ ინდივიდუალური მეწარმე ფიზიკური პირების პირადობის მოწმობაში აღნიშნული სახელი და გვარი მოიაზრება თუ ინდივიდუალური მეწარმის სახელი? როგორც მეწარმეთა შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტიდან ირკვევა ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით. დამატებები დაიშვება ამ მუხლის მე-5 პუნქტის დაცვით. ამ პუნქტიდან გამომდინარე თუ მაგალითად, ინდივიდუალური მეწარმე აცხობს თონეში პურს, მისი საფირმო სახელი შეიძლება იყოს „ვახტანგ სიხარულიძე-თონის პური“. რეგისტრაციის პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა, რომ აღნიშნული დამატების რეგისტრაცია აღარ ხდება, არადა ეს დამატება შედის საფირმო სახელში. საერთოდ „საფირმო სახელად“ მოიაზრება ის სახელი რომელიც რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში. მეწარმეთა შესახებ კანონში 2008 წლის მარტის ცვლილებებით კი შესაძლებელი გახდა რომ საფირმო სახელი სამეწარმეო რეესტრში იყოს ერთი, ხოლო საქმიან ურთიერთობებში გამოყენებული იყოს სხვა, თანაც ინდივიდუალურ მეწარმეს სახელმწიფო უფლებას აძლევს საქმიან ურთიერთობებში თავის სახელზე დამატებები ხშირად ცვალოს.

საფირმო სახელწოდების მიმართ ასეთი დამოკიდებულება, რასაკვირველია პრობლემებს შექმნის სამეწარმეო ურთიერთობებში და მიმაჩნია რომ არასწორია.

აღნიშნულიდან გამომდინარე სამეწარმეო ამხანაგობის მონაწილე ინდივიდუალური მეწარმის სახელი შეიძლება იყოს მხოლოდ რეგისტრირებული საფირმო სახელი ანუ სახელი და გვარი. ეს დასკვნა ემყარება აგრეთვე ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტს რომლის მიხედვით ყველა მონაწილის სახელში მოი-აზრება სახელი და გვარი.

– ყველა მონაწილის საცხოვრებელი ადგილის მისამართს (ქვეყანა, მისამართი); იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიულ მისამართს;

– ყველა მონაწილის პირად ნომერს, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, როცა მათ არ გააჩნიათ საქართველოს მოქალაქისათვის დადგენილი ექვივალენტური მონაცემები, მიეთითება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახელწოდება (ქვეყნის მითითებით), ნომერი და/ან პირადი ნომერი; იურიდიული პირის შემთხვევაში – რეგისტრაციის თარიღს და რეგისტრაციის ნომერს ან/დასაიდენტიფიკაციო ნომერს;

– საქმიანობის ხანგრძლივობას;

– განცხადების შევსების თარიღს;

– განმცხადებლის ხელმოწერას; იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი წარმომადგენლის ხელმოწერას;

– სამეწარმეო ამხანაგობის მონაწილე უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში – აპოსტილით დამოწმებულ ან ლეგალიზებულ იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია განცხადების წარდგენისთანავე განახორციელოს სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაცია. ეს ვალდებულება არ ეკისრება თუ მარეგისტრირებელ ორგანოს – რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს, ექნება რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

რეგისტრირებულ მონაცემებში შესაძლებელია დროთა განმა-

ვლობაში მონაწილეებმა შეიტანის ცვლილებები. ამ ცვლილებებს იურიდიული ძალა ექნებათ მხოლოდ მათი საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. ამიტომ სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილებებისათვის ასევე წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- თითოეული მონაწილის სახელს და გვარს; იურიდიული პირის – შემთხვევაში საფირმო სახელწოდებას;
- თითოეული მონაწილის საცხოვრებელი ადგილის მისამართს; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიულ მისამართს;

- საქმიანობის ხანგრძლივობას;
- განცხადების შევსების თარიღს;
- განმცხადებლის ხელმოწერას; იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი წარმომადგენლის ხელმოწერას.

განცხადების ფორმას სამეწარმეო ამხანაგობის დამფუძნებლები უფასოდ მიიღებენ მარეგისტრირებელ ორგანოში.

8. ინდივიდუალური მეწარმისა და სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები

ინდივიდუალური მეწარმისა და სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციაზე უარის თქმის ორი საფუძველი გვაქვს:

პირველი საფუძველია ის რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი განცხადება არ არის შევსებული ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

აქვე იბადება კითხვა: კანონის რომელ მოთხოვნებს ეხება უარის თქმის საფუძველი?

ინდივიდუალურ მეწარმესთან დაკავშირებით ამ შემთხვევაში მოიზარება კანონის 5⁴.2 პუნქტით გათვალისწინებული სარეგისტრაციო განცხადების შინაარსი.

ინდივიდუალური მეწარმისა და სამეწარმეო ამხანაგობის რეგ-

ისტრაციაზე უარის თქმის მეორე საფუძველია ის, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილია ცრუ, არაიდენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები;

ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს წარმოდგენილი განცხადების სათანადო წესით რეგისტრაციას, რომლის შემდგომ მის მიერ დაუყოვნებლივ მოწმდება განცხადების მონაცემთა სისრულე.

რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი ასევე ამოწმებს განცხადების სამეწარმეო ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ განცხადების მონაცემთა სისრულეს.

მეწარმეთა შესახებ კანონის არსიდან გამომდინარე, საწარმოთა რეგისტრაციის დროს მარეგისტრირებელ ორგანოს აკისრია მოვალეობა – შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება წარმოგენილი დოკუმენტების შინაარსი კანონს, სრულყოფილად არის თუ არა დოკუმენტები წარმოდგენილი.

9. სამეწარმეო რემესტრის საჯაროობა

ერთ-ერთი დიდი უპირატესობა დემოკრატიისა, სახელმწიფოებრივი მართვის სხვა ფორმებთან შედარებით ისაა, რომ საზოგადოების წევრები უკეთ იცნობენ ერთმანეთის საქმიანობას, ცხოვრების სტილს, რაც ასეთი საზოგადოების გამჭვირვალობას უწყობს ხელს.

რა აქვს დადებითი ასეთ გამჭვირვალობას?

დადებითი ის არის, რომ საზოგადოება, რომელიც ისწრაფვის განვითარებისაკენ, ცხოვრების სტილის სრულყოფისაკენ, უარყოფითად რეაგირებს მის ფარგლებში ცალკეული პირების მიერ გამოვლენილ ყოველგვარ უზნეობაზე და უკანონობაზე. საზოგადოების მხრიდან ასეთი რეაქცია აიძულებს ამ პირებს, დატოვონ ასეთი საზოგადოება ან დაემორჩილონ ამ საზოგადოების მიერ ჩამოყალიბებულ ზნეობისა და სამართლის ნორმებს.

იმისათვის, რომ საზოგადოებამ რეაგირება მოახდინოს ყოველნაირ უკანონობაზე და უზნეობაზე, მას სჭირდება ინფორმაცია მისი წევრების საქმიანობის, ცხოვრების წესის შესახებ. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც მასმედია, ასევე სახელმწიფოს მიერ შექმნილი ცალკეული ინსტიტუტები. ერთ-ერთ ასეთ ინსტიტუტს სწორედ სამეწარმეო რეესტრი წარმოადგენს. მისი საჯაროობა და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება კანონით არის გარანტირებული.

მეწარმეთა შესახებ კანონის 4.6 მუხლის თანახმად, „სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო სამეწარმეო რეესტრის ასლს უგზავნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სტატისტიკის დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა“.

ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 61-ე მუხლის თანახმად, ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს წარმოადგენს საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, რომლის მე-4 ნაწილში მოცემულია საინფორმაციო მასალა მარეგისტრირებული ორგანოების მიერ რეგისტრირებულ მეწარმეთა შესახებ.

ამრიგად, ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება, რა თქმა უნდა ერთ-ერთი გზაა საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანისა. მეორე გზა არის ზემოთ აღნიშნული კანონის 4.3 მუხლით გათვალისწინებული წესი, კერძოდ, „ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს და საწარმოს მარეგისტრირებულ საგადასახადო ორგანოში მიიღოს ამონაწერი რეესტრიდან.“. თუმცა აქვე ერთი კითხვაც იბადება, ამონაწერის მიღება მხოლოდ საწარმოსთან დაკავშირებით შეიძლება? ეხება ეს წესი სამეწარმეო ამხანაგობას და ინდივიდუალურ მეწარმეს? უნდა ვივარაუდოთ რომ ეხება, უბრალოდ, წესი არ არის სწორად ჩამოყალიბებული.

ამრიგად, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია,

მიიღოს ინფორმაცია სამეწარმეო რეესტრიდან.

სამეწარმეო რეესტრის საჯაროობის მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ ევროსაბჭომ სპეციალური დირექტივა მიიღო ამასთან დაკავშირებით¹⁸⁴⁰

10. სამეწარმეო რეესტრში მემართა რეგისტრაციის დროს დაშვებული შეცდომები და მათი ანალიზი

სამეწარმეო რეესტრში მეწარმე სუბიექტების რეგისტრაციის დროს აღმოჩენილი შეცდომები და მათი ანალიზი ეყრდნობა მარგისტრირებელ ორგანოებში, სასამართლოებში და საკანონმდებლო მაცნეში მოცემულ ინფორმაციებს.

თუ ამ მასალის მონაცემებით ვიმსჯელებთ მეწარმეთა რეგისტრაციის დროს ზოგ შემთხვევაში დაშვებულია შეცდომები.

რაში გამოიხატება ეს შეცდომები და რამდენად მნიშვნელოვანია ისინი?

1. ზოგჯერ დამფუძნებელ-პარტნიორად გამოდის იურიდიული პირი. რეესტრის მონაცემებში წერია მხოლოდ იურიდიული პირის წარმომადგენელი და მითითებულია მისი ვინაობა, და ა.შ. შეცდომა კი იმაში გამოიხატება, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის 5 მუხლის საფუძველზე, თუ დამფუძნებლად გამოდის იურიდიული პირი, უნდა მიეთითოს მისი საფირმო სახელწოდება და რეგისტრაციის მონაცემები, კერძოდ, იურიდიული მისამართი, იმ ორგანოს დასახელება, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა იურიდიული პირი, რეგისტრაციის თარიღი და საიდენტიფიკაციო კოდი, მისი წარმომადგენლის მონაცემები.

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ზემოთ დასახელებულ შეცდომას და რატომ არის მისი გამოსწორება საჭირო?

ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია. სამეწარმეო რეესტრი

18 უფრო დაწერილებით ამ საკითხზე შევიაძლიათ გაეცნოთ თ. ჯანეზაშვილის სტატიას „სამეწარმეო რეესტრი ევროპის ქვეყნებში“, უფრნალი საქართველოს ნოტარიატი, 2002წ., №3-4, გვ. 79-85.

საჯაროა და ამიტომაც მესამე პირმა უნდა იცოდეს ვინ არის მაგალითად, შპს-ის დამფუძნებელი.

ინფორმაციის მიღების სურვილი შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი გარემოებით:

პირი დაინტერესდა ახლად შექმნილი იურიდიული პირის საქმიანობით, მაგრამ სანამ მასთან ითანამშრომლებდეს, ბუნებრივია, დაინტერესდება მისი დამფუძნებლებით, რადგანაც, თუ დამფუძნებლები ცნობილი, კეთილსინდისიერი პირები არიან, მაშინ ახლად შექმნილ იურიდიულ პირთან თანამშრომლობაც თავისუფლად შეიძლება.

მაგრამ, პირი შეიძლება დაინტერესდეს თავად საზოგადოების დამფუძნებელი იურიდიული პირის საქმიანობითაც, მაშინ კი მასთან კონტაქტების დასამყარებლად იგი რეესტრიდან მიიღებს მის მოსანახად საჭირო ინფორმაციას, კერძოდ, გაიგებს იმ მარეგისტრირებული ორგანოს დასახელებას, რომელმაც იგი რეგისტრაციაში გაატარა. მას ასევე დასჭირდება რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, რათა მარეგისტრირებულმა ორგანომ ადვილად მონახოს. მას შეიძლება დასჭირდეს აგრეთვე მისი მისამართიც, წარმომადგენლის ვინაობა და ა.შ.

ამრიგად, ზუსტი და სრული ინფორმაციის მიწოდებას მნიშვნელობა აქვს ახლად შექმნილი იურიდიული პირისათვის, დამფუძნებლისათვის და საერთოდ, სვაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის, სამოქალაქო ბრუნვისათვის.

2. ზოგჯერ ადგილსამყოფელი ანუ იურიდიული მისამართი ზოგადი დასახელებებით არის შემოფარგლული, მაგალითად, „ქ. რუსთავი, მშვიდობის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია“ „ქ. თელავი, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია“, „თბილისი, გლდანის რაიონი, IV მიკრორაიონი“ „თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია“, „თბილისი, საბურთალოს რაიონში ფიზკულტურისა და გოთუას კვეთა“. სამეწარმეო ამხანაგობას რეესტრში იურიდიული მისამართის გრაფაში ზოგჯერ ყველა მონაწილის მისამართი უწერია, რაც გაუგებარს ხდის მის იურიდიულ მისამართს.

შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგადი ტერმინებით იურიდიული მისამართის აღნიშვნა არ შეიძლება, იგი აბნევს დაინტერესებულ პირს თუნდაც იმიტომ, რომ ძნელი გასაგებია, რა სიგრძე-სივრცის არის ეს „მიმდებარე ტერიტორია“?

დაინტერესებულმა პირმა მთლიანად უნდა შემრიაროს ბაზარი ან მიმდებარე ტერიტორია რათა მისთვის სასურველი ორგანიზაცია ნახოს.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, თავად ორგანიზაცია უნდა ზრუნავდეს რომ იგი ადვილად მისაგნები იყოს.

ამრიგად, იურიდიულ მისამართად ზოგადი ტერმინის გამოყენება უნდა მივიჩნიოთ ისეთ ხარვეზად, რომელზედაც უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე კანონის 5³ მუხლისა და 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის „სარეგისტრაციოდ წარდგენილია არაიდენტიფიცირებადი ან არასრულყოფილი მონაცემები“ საფუძველზე.

რა შეიძლება ვურჩიოთ იმ დამფუძნებელს, რომელიც აპირებს გარკვეული სახის საქმიანობა განახორციელოს ტერიტორიის ისეთ ადგილზე, სადაც არ არის ქუჩა შესაბამისი ნომრით?

საერთოდ, იურიდიული მისამართის მითითება არ არის საკვალდებულო იმის მიხედვით, თუ სად ახორციელებს საქმიანობას. თუ პირს აქვს IV მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მაღაზია ან ბენზინგასამართი სადგური, მას შეუძლია ან იქვე, რომელიმე ქუჩაზე იქირაოს შენობის ნაწილი, ანდა თავისი ბინის მისამართი მიუთითოს.

ჩაეთვლება თუ არა ეს „სხვა ადგილი“ ფილიალად?

არ ჩაეთვლება, რადგანაც, ჯერ ერთი, ფილიალის შექმნა არის მეწარმის სურვილი და არა ვალდებულება, მეორეც, საწარმოდან სხვა ადგილზე საქმიანობა დაფიქსირდება საწარმოს ბალანსზე და არა „ფილიალის“ ბალანსზე. მაგალითად, ქუთაისში საზოგადოება არის რეგისტრირებული, ხოლო ქუთაისთან ახლოს ერთ-ერთ სოფელში 5 ჰექტარზე ამ საზოგადოებას ვაზი აქვს გაშენებული. უნდა ჩავთვალოთ გაშენებული ვაზის ადგილი ფილიალად? რა თქმა უნდა, არა. ასეთივე ანალოგია შეიძლება გამოვიყენოთ სხვა შემთხვევაშიც.

3. ზოგჯერ საფირმო სახელწოდებებში ისეთი ტერმინები და სიტყვებია, რომ გაუგებარს ხდის საზოგადოების სახელს. მაგალითად, სამეწარმე რეესტრში სამეწარმეო ამხანაგობას სახელად უწერია „ფერმერული კოოპერაციის აგროპროდუქტი“; სამეწარმეო ამხანაგობა „ავანდიდი“ (სოფლის სახელი),

საწარმოს სახელად ფიქსირებულია „ფირმა ოდიში ს/ნ“, სააქციო საზოგადოების სახელია „ქართული ფილმის თანამშრომლები“ ზოგჯერ სახელი დასრულებული არ არის, მაგალითად, „ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის. . . . „ეს სახელი არც დასრულებულია და არც ის უწერია რა სამართლებრივი ფორმის არის.

ასევეა სხვა შემთხვევაც, მაგალითად, შპს „ქუთაისი ჰუმანიტარული და . . .“

სამწუხაროდ უფრო გაუგებარი სახელებიც არის, მაგალითად, „ზუგდიდის კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი გაერთიანება (ლიკე-კ)/ბარათი, მიუერთდა ს/ნ“.

ზოგჯერ უწერიათ საფირმო სახელი, მაგრამ არ უწერიათ სამართლებრივი ფორმა.

სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც სახელად გამოყენებულია უცხო სიტყვები, ანდა ერთად არის უცხო და ქართული სიტყვა. ეს კი საერთოდ გაუგებარს ხდის რისთვის და ვისთვის არის ასეთი სახელი გამოყენებული. მე ამჟამად მოვერიდე ბი ასეთი სახელების ზუსტ მითითებას, მაგრამ მკითხველს რომ წარმოდგენა ჰქონდეს, იგი დაახლოებით ასე გამოიყურება შპს „სკაი-მშენიერი“, შპს „არტ მომავალი“ შპს „ჯორჯიან ბილდინგ გრუფ“ და ა.შ. რაში გამოიხატება ასეთი სახელების გაუგებრობა? თუ ის ქართველისთვის არის გათვალისწინებული, ყველა ქართველმა არ იცის ის უცხო სიტყვა, თუ უცხოელისთვის არის გათვლილი, მისთვის გაურკვეველია ქართულად დაწერილი უცხო სიტყვა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ქართველი დამფუძნებლები უცხო სიტყვებს იყენებენ სახელად და ქართული ასოებით წერენ მას, მაგალითად შპს „სქუულ“ (სკოლა), სააქციო საზოგადოება

„არტ“ (ხელოვნება) და ა.შ. მე არ შემხვედრია, რომ გერმანელ ან ინგლისელ მეწარმეებს საწარმოს სახელად გამოეყენებინოთ უცხოენოვანი სიტყვები.

რატომ ხდება ეს საქართველოში? ალბათ ამაზე, ისევე როგორც ბევრ ქართულ ქცევაზე, პასუხი მხოლოდ ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა უნდა გასცენ.

ამიტომ, ვფიქრობ, რომ დამფუძნებელიც და მარეგისტრირებული ორგანოებიც გონივრულად უნდა მოეკიდონ სახელწოდებების შერჩევას.

მარეგისტრირებულ ორგანოს, შეუძლია სრული წესრიგი შეიტანოს ამ სფეროში, არ გაატაროს რეგისტრაციაში ისეთი მეწარმე, რომლის სახელი არ შეესაბამება არც ეროვნულ ტრადიციებს და არც ენის სიწმინდის მოთხოვნებს.

4. არის შემთხვევები როდესაც ხელმძღვანელს მისამართი არ უწერია ან ხელმძღვანელს სრულად არ უწერია მისამართი. ზოგჯერ ხელმძღვანელი ჰყავთ უცხოელი, მაგრამ მისამართი უწერია საზღვარგარეთის რაც არასწორია. თუ ხელმძღვანელია ივარაუდება რომ საქართველოში უნდა ქონდეს საცხოვრებელი ადგილი, დროებითი მაინც, ან უკანასკნელ შემთხვევაში უნდა ყავდეს წარმომადგენელი. წარმომადგენლის გრაფაში კი არაფერი წერია.

5. ზოგჯერ, როდესაც დამფუძნებლად ფიზიკური პირია, სრულად არ არის მითითებული მისი მისამართი.

6. რეესტრის გრაფაში „წარმომადგენლის სახე და ფორმა“ ხშირად არაფერი წერია, მაგრამ იშვიათად უწერიან „ერთპიროვნულად“ ან „წესდებით გათვალისწინებული“. რასაკვირველია ასეთი აღნიშვნა არასწორია. ან საერთოდ უნდა იყოს დაფიქსირებული რომ ხელმძღვანელი ამავე დროს თვითონაც არის წარმომადგენელი ანდა სიტყვა „ერთპიროვნულად“ უნდა იქნეს გაუქმებული, ასევე არასწორია სიტყვა „წესდებით გათვალისწინებული“. ასეთი აღნიშვნა არ უნდა ხდებოდეს.

**თავი II. ფილიალის (წარმომადგენლობის)
შექმნის წესი, ფორმა, რეგისტრაცია, მართვა,
რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

**1. საწარმოს ფილიალის (წარმომადგენლობის)
ცნება და შინაარსი**

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი წინადადებით საწარმოს შეუძლია დაარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ.

როგორც ვხედავთ, საწარმოს შეუძლია დაარსოს ფილიალი. მართალია, კანონის მე-16 მუხლი არაფერს ამბობს წარმომადგენლობის დაარსების შესახებ, მაგრამ, როდესაც ვლაპარაკობთ ფილიალზე, იქვე ყოველთვის მოვიაზრებთ წარმომადგენლობასაც.

რა არის ფილიალი და რა არის წარმომადგენლობა? არის თუ არა მათ შორის განსხვავება?

სამოქალაქო კოდექსის 30.1 მუხლიდან გამომდინარე, „ . . . ფილიალი არის განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ და სრულად ან ნაწილობრივ წარმოადგენს მას ან ახორციელებს მის ფუნქციებს“.

წარმომადგენლობაც იურიდიული პირის ქვედანაყოფია, რომელიც ასევე მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ და სრულად ან ნაწილობრივ წარმოადგენს მას მესამე პირების წინაშე.

ამრიგად, განსხვავება თვალში საცემია, კერძოდ, ფილიალი ახორციელებს იურიდიული პირის ფუნქციას, მაგალითად, თუ შპს უშვებს უალკოჰოლო სასმელს თბილისში, მისი ფილიალი ბათუმშიც უშვებს უალკოჰოლო სასმელს ან ამზადებს სხვაგვარ პროდუქციას. ერთი სიტყვით ფილიალი ქმნის პროდუქტს. ხოლო წარმომადგენლობა, იურიდიული პირის სახელით დებს გარიგებებს მესამე პირების წინაშე და ამის მეშვეობით ყიდის პროდუქციას,

რომელიც შეიქმნა უშუალოდ იურიდიული პირის მისამართზე ან მის ფილიალში. არც ფილიალი და არც წარმომადგენლობა არ არის იურიდიული პირი. ამის შესახებ პირდაპირ უთითებს როგორც სამოქალაქო კოდექსის 30.2 მუხლი, ასევე მეწარმეთა შესახებ კანონის 16.1 მუხლი.

ფილიალის (წარმომადგენლობის) ცნებიდან გამომდინარე მას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. საწარმოს ნაწილია;
2. საწარმოსგან განცალკევებულია;
3. გარკვეული ორგანიზაციული ფორმა აქვს (ხელმძღვანელი, დაქირავებული პირები და ა.შ.);
4. აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა;
5. აქვს საფირმო სახელწოდება;
6. თუ წარმომადგენლობაა – წარმოადგენს ძირითად საწარმოს, ხოლო თუ ფილიალია – ახორციელებს ძირითადი საწარმოს ფუნქციებს;

მოკლედ განემარტოთ ფილიალის თვითეული ნიშანი:

ფილიალი, როგორც საწარმოს ნაწილი

როგორც ზევით ავლნიშნეთ საწარმოს აქვს საკუთარი ქონება. საწარმო არის იურიდიული პირი ფილიალი არ არის იურიდიული პირი. აქედან გამომდინარე რასაც ფილიალი შეიძენს, წარმოადგენს არა ფილიალის საკუთრებას არამედ საწარმოს საკუთრებას. ამიტომ ფილიალს არ აქვს უფლება გაასხვისოს ის ნივთები (ქონება) რაც მას აქვს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად. ამ ნივთების გასხვისების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება თუ საწარმო ამის უფლებას მიანიჭებს ფილიალს. ამ უფლების მინიჭება შეიძლება მოხდეს წესდებით, ფილიალის დებულებით ან ცალკე მინდობილობით.

ფილიალი (წარმომადგენლობა), როგორც საწარმოს განცალკევებული ქვედანაყოფი

საწარმოს აქვს ერთი იურიდიული მისამართი, მაგალითად, ვაჟა ფშაველას გამზირი №15. ფილიალი შეიძლება იმავე ქუჩაზე მდებარეობდეს ან იმავე ქალაქში ან საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ ადგილას. აქედან გამომდინარე მას უნდა ქონდეს თავისი იურიდიული მისამართი.

ფილიალი როგორც განცალკევებული ქვედანაყოფი დებს ხელშეკრულებებს.

ფილიალს აქვს გარკვეული ორგანიზაციული ფორმა (ხელმძღვანელი, დაქირავებული პირები და ა.შ)

ფილიალის ორგანიზაციული ფორმის მაჩვენებელია ის, რომ ის ტარდება რეგისტრაციაში მარეგისტრირებელ ორგანოში, ყავს ხელმძღვანელი, დაქირავებული პირები, აქვს თავისი საფირმო სახელი, ბუღალტერი, ანგარიშსწორების ანგარიში და ა.შ.

ფილიალის ხელმძღვანელს, ხელშეკრულების საფიძველზე, ნიშნავს საწარმოს დირექტორი. ფილიალის ხელმძღვანელი თავის მხრივ დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს ფილიალში მომუშავე პირებთან.

ფილიალს აქვს გარკვეულ ფარგლებში დამოუკიდებლობა;

მართალია ფილიალს აქვს გარკვეული დამოუკიდებლობა, თავისი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობებში მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას რომ ის არის კერძო სამართლის სუბიექტი.

საგარეო ურთიერთობებში ფილიალს წარმოადგენს მისი დირექტორი. თუ ფილიალი გადაწყვეტს რომ განახორციელოს ისეთი საქმიანობა რომელსაც ნებართვა ესაჭიროება, ასეთ შემთხვევაში ნებართვა უნდა აიღოს საწარმომ.

ეს დასკვნა ემყარება კანონს ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ. ამ კანონის 25-ე მუხლის მე-16 პუნქტით თუ ნებართვით გათვალისწინებულ ქმედებას ახორციელებს იურიდიული პირი, აღნიშნული ქმედების განხორციელების უფლებამოსილება აქვს ამ იურიდიული პირის ფილიალსაც. ნებართვის მფლობელი ვალდებულია ფილიალის მიერ სანებართვო ქმედების განხორციელებისათვის წინანსწარ აცნობოს ნებართვის გამცემს ფილიალის მიერ სანებართვო პირობების დაკმაყოფილების შესახებ. დაუშვებელია ნებართვის გამცემის მიერ ისეთი დამატებითი პირობის ან რეჟიმის დაწესება, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს ნებართვის მფლობელი იურიდიული პირის ფილიალისათვის ცალკე ქმედებას, რომელიც რეგულირდება ნებართვით და აღნიშნულს არ ითვალისწინებს მათ მიერ მოპოვებული ნებართვა, საჭიროა ამ იურიდიული პირის მიერ შესაბამისი ნებართვის მოპოვება.

ფილიალის გარკვეული დამოუკიდებლობა ჩანს სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებშიც, მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „სარჩელი რომელიც გამოძინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით.“

ფილიალს არა აქვს უფლება თავად შექმნას წარმომადგენლობები ან კიდევ ფილიალები.

ფილიალის მიერ კრედიტორებისთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს საწარმო.

საწარმო თავად განსაზღვრავს თუ რამდენი ფილიალი და წარმომადგენლობა უნდა ქონდეს და სად დაარსოს ისინი.

ფილიალს აქვს საფირმო სახელწოდება

ფილიალის საფირმო სახელი, განსხვავდება საწარმოს საფირმო სახელისგან. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა რრდესაც, საფირმო სახელში ჩანს რომ ის არის საწარმოს ფილიალი.

ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ საწარმოს ფუნქციების განხორციელება

ფილიალი იქმნება იმისათვის რომ გარკვეულ ტერიტორიაზე განახორციელოს საწარმოს მიზნები. საწარმოს უპირველესი მიზანია წესდებით გათვალისწინებული, კანონით აუკრძალავი საქმიანობის განხორციელებით მიიღოს მოგება. ამიტომ საწარმო დაინტერესებულია ფილიალს დირექტორის სახით ყავდეს გამოცდილი, კეთილსინდისიერი და კარგი ორგანიზატორი, რომელიც ასევე იზრუნებს სამუშაოზე, მოიწვიოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

რადგანაც ფილიალი ახორციელებს საწარმოს ფუნქციებს ამიტომ მას არ აქვს უფლება ამ საწარმოსთან დადოს ხელშეკრულებები.

რაც შეეხება წარმომადგენლობას, იგი საწარმოს სახელით მესამე პირებთან დებს გარიგებებს, ეხმარება საწარმოს პროდუქციის რეალიზებაში.

რადგანაც ფილიალი არ არის იურიდიული პირი, ამიტომ მას აქვს არა წესდება არამედ დებულება. აქედან გამომდინარე, ფილიალის ფუნქციები აღნიშნული შეიძლება იყოს საწარმოს წესდებაში ან ფილიალის დებულებაში.

2. ფილიალის შემქმნისა და რეგისტრაციის ფესი და ფორმა

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, კომანდიტურ საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ფილიალის შექმნის საკითხს ხმების უმრავლესობით წყვეტს პარტნიორთა კრება. სააქციო საზოგადოებაში, თუ არსებობს სამეთვალყურეო საბჭო, და წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ფილიალის შექმნისა¹⁹ და ლიკვიდაციის სა-

¹⁹ ზოგჯერ ფილიალის შესახებ ამბობენ სიტყვა „დაფუძნებას“, რაც არასწორი ტერმინია. დაფუძნება უკავშირდება მხოლოდ იურიდიულ პირს, ამიტომაც იყენებენ

კაოხს წყვეტს დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით. კაოპარატავემა წესდებით უნდა განისაზღვროს თუ ვისა აქვს ფალიალის შექმნის უფლებამოსილება.

რადგანაც ფილიალი საწარმოს ნაწილია, ამიტომ ფილიალის შექმნა შეუძლია იურიდიულ პირებს.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ საქართველოში დარეგისტრირებულ საწარმოს შეუძლია დაარსოს ფილიალი თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.

რას ნიშნავს „თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“?

ამ საკითხს არეგულირებს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ“

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს ტერიტორიის ნაწილი განსაზღვრული საზღვრებითა და კანონით მინიჭებული სპეციალური სტატუსით.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა განსაზღვრული ვადით გამოიყოფა ეკონომიკური საქმიანობისათვის და მის ფარგლებში პირები ექვემდებარებიან სპეციალურ ეკონომიკურ და სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც დადგენილია „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ“ კანონით.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ ტერიტორიაზე, რომლის ფართობი აღემატება 10 ჰექტარს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცული ტერიტორიებისა.

ფილიალი შექმნის შემდეგ შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში. საწარმოს შეუძლია ფილიალის დაარსების შესახებ შეტყობი-

სიტყვა „დამფუძნებელს“, მაგალითად, შპს დაფუძნეს. სამოქალაქო კანონმდებლობაშიც ფილიალთან დაკავშირებით ვერსად შევხვდებით სიტყვა „დამფუძნებას“, ფილიალის მიმართ იყენებენ ტერმინ „შექმნას“ ან „დაარსებას“.

ნება გაუეზანოს მარეგისტრირებელ ორგანოს ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით, რომელიც ვალდებულია, სამეწარმეო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია ფილიალის რეგისტრაციის თაობაზე.

ფილიალის რეგისტრაციის თაობაზე შეტყობინებაში (განცხადებაში) უნდა აღინიშნოს:

- ა) ფილიალის საფირმო სახელწოდება;
- ბ) ფილიალის იურიდიული მისამართი;
- გ) დამფუძნებლის საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი და საიდენტიფიკაციო ნომერი;
- დ) მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დამოწმებული საბანკო დაწესებულების მიერ)
- ე) თუ ფილიალს ჰყავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი, განცხადებაში უნდა მიეთითოს, ისინი ერთად წარმოადგენენ ფილიალს თუ ცალ-ცალკე;
- ვ) ფილიალის საქმიანობის ხანგრძლივობა (ვადიანი ფილიალის შემთხვევაში მიეთითება ვადა წლების მიხედვით, სხვა შემთხვევაში „უვადო“);
- ზ) განცხადების სარეგისტრაციოდ წარდგენის თარიღი;
- თ) დამფუძნებლის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერა.

საწარმოს ფილიალზე გაიცემა საწარმოს ფილიალის სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობა. სარეგისტრაციო მონაცემები შეიტანება რეესტრში, ამასთან ფილიალის რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრაციის ფაქტის თაობაზე, ეცნობება სათაო საწარმოს, სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის ადგილის მიხედვით, მარეგისტრირებელ ორგანოს.

სახელმწიფო რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების, ასევე საგადასახადო აღრიცხვის მონაცემების ყოველი ცვლილება საჭიროებს სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციას/აღრიცხვას, რა მიზნითაც საწარმოს, ფილიალის, ასევე უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) უფლებამოსილმა პირმა (პირებმა) კანონით დადგენილი წესით განცხადებით და

თანდართული დოკუმენტებით უნდა მიმართონ საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით მარეგისტრირებულ ორგანოს (ცვლილების სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის მიზნით გამოიყენება რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი).

უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის რეგისტრაციას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო ფილიალის იურიდიული მისამართის მიხედვით.

რამდენ ხანში უნდა მოახდინოს ფილიალის რეგისტრაცია მარეგისტრირებელმა ორგანომ?

მეწარმეთა შესახებ კანონის 16-ე მუხლის მე-ნ პუნქტით „მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია ფილიალი რეგისტრაციაში გაატაროს დოკუმენტების წარდგენისთანავე.

იქედან გამომდინარე, რომ ფილიალი საწარმოს ქვედანაყოფია, ანუ სტრუქტურული ერთეულია, ფილიალის დირექტორს არ აქვს უფლება, ფილიალის სახელით დააფუძნოს საწარმო ან გაასხვისოს ფილიალის უძრავი ნივთები. აქვე განვიხილავ ერთ პრაქტიკულ მაგალითს, რომელიც ვფიქრობ საინტერესო იქნება მკითხველისთვის:

2002 წელს A-მ მიყიდა საქონელი B-ს, რომელსაც თანხა – 10000 ლარი, უნდა გადაეხადა 2003 წლის სექტემბერში. B-მ თანხა სექტემბერში ვერ გადაიხადა. 2004 წელს დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. B რომელიც იყო კოოპერატივი, ფილიალის სახით შეუერთდა ამ საზოგადოებას.

2005 წელს ფილიალმა იმ მოტივით, რომ ის ადრე მოვალე კოოპერატივი იყო, დარჩენილი 10000 ლარი გადასახადიდან კრედიტორ – A-ს გადაუხადა 3000 ლარი. 2006 წლის მაისში A-მ სარჩელი შეიტანა შპს-ს წინააღმდეგ და მოითხოვა დარჩენილი თანხის გადახდა. სარჩელში მიუთითებდა, რომ 2005 წელში ფილიალის მიერ თანხის ნაწილის გადახდა სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ნიშნავდა შპს-ის მხრიდან ვალის აღიარებას.

შპს-ის დირექტორი აღნიშნავდა, რომ მან არაფერი იცოდა ფილიალის მხრიდან თანხის გადახდის თაობაზე, და რომ ფილიალს არ ქონდა უფლება მისი თანხმობის გარეშე გაეცა თანხა.

კითხვა: ქონდა თუ არა უფლება ფილიალს საზოგადოების ხელმძღვანელისთვის შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე გადაეცა თანხა სხვა პირისათვის?

ამ კითხვაზე, რომ პასუხი გავცეთ საჭიროა კიდევ ერთხელ მოკლედ გავიხსენოთ ფილიალის არსი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლიდან გამომდინარე ფილიალი არის იურიდიული პირის, ჩვენს შემთხვევაში შპს-ის ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს ტერიტორიულად სხვა ადგილას. ამდენად, ფილიალი საზოგადოების ქონების ნაწილია, რომელსაც გარკვეული სახის მცირე ავტონომია აქვს, კერძოდ, აქვს ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში, ყავს დირექტორი და ბუღალტერი. მიუხედავად ამისა, ფილიალი არ არის საწარმო, საკორპორაციო სამართლის მიხედვით, ანუ არ არის დამოუკიდებელი სუბიექტი. იგი ტერიტორიულად სხვა ადგილას წარმოადგენს საზოგადოებას. ანუ რასაც მიუთითებს საზოგადოება იმას აკეთებს. ამიტომ თუ ფილიალი საზოგადოების მითითებებს ასრულებს, მისი ერთ-ერთი ქვედანაყოფია, მისი ქონების ნაწილია, მას ემორჩილება, მაშინ რა უფლება აქვს ფილიალს საზოგადოების ქონება მის დაუკითხავად სხვას გადასცეს. მართალია, ფილიალამდე როგორც იურიდიულ პირს, კოოპერატივს ქონდა ვალი, მაგრამ შემდეგ მისი უფლებები და ვალდებულებები გადავიდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, ამიტომ შპს არის პასუხისმგებელი მესამე პირების წინაშე და არა მისი ფილიალი.

ამიტომაც ფილიალს არ ქონდა უფლება გადაეხადა თანხა A-სთვის. თუ ჩვენ უფლებას მივცემთ ფილიალს საზოგადოებისგან თანხმობის გარეშე კრედიტორს გადასცეს ქონება, ამან შეიძლება უმძიმეს დღეში ჩააყენოს საზოგადოება. მაგალითად, თბილისში

დაფუნდა შპს, რომლის საწესდებო კაპიტალი არის მხოლოდ 3000 ლარი. კახეთში შპს შეიძინა ლეინის ქარხანა და მიწის ნაკვეთი. ამ ქონების საფუძველზე მან შექმნა ფილიალი. ფილიალის დირექტორმა შპს-ის გაკოტრების მიზნით კრედიტორთან გააფორმა ისეთი შინაარსის ხელშეკრულება, რომელსაც ვერ შეასრულებდა. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საზოგადოების ხელმძღვანელების დაუკითხავად მან კრედიტორს გადასცა ქონება – ლეინის ქარხანა და მიწის ნაკვეთი. რა თქმა უნდა შპს აღმოჩნდება უმძიმეს მდგომარეობაში. ამიტომ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარეც ფილიალს არ შეიძლება მიეცეთ უფლება საზოგადოების თანხმობის გარეშე კრედიტორს გადასცეს ქონება. ხოლო მის მიერ გადაცემული ქონება, თუ თანხმობა არ არის საზოგადოებიდან, არ უნდა ჩაითვალოს ვალის აღიარებად.

შესაძლებელია რომ ფილიალს დებულებით ან რეორგანიზაციის (გარდაქმნის, მიერთების და ა.შ.) ხელშეკრულებით ქონდეს უფლება გაისტუმროს მის მიერ „გადმოტანილი“ ვალი, მაგრამ ზემოთ მოყვანილ მაგალითში მსგავსი თანხმობა არ ყოფილა.

ფილიალს არც იმის უფლება აქვს, სათაო საზოგადოებასთან, შპს-სთან დადოს რაიმე სახის სავაჭრო ხელშეკრულება. ფილიალის ქონება შპს-ის ქონებას წარმოადგენს. ამიტომ შპს-ს ყოველთვის შეუძლია ფილიალიდან რაიმე ნივთი გამოიყენოს ან გაასხვისოს. ფილიალს შეიძლება ქონდეს თავისი ანგარიში ბანკში და ჰყავდეს ბუღალტერი.

ფილიალის დირექტორს ევალება აგრეთვე, შეასრულოს საზოგადოების უმაღლესი ორგანოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებები და დირექტორის მითითებები.

რადგანაც ფილიალი საზოგადოების ქონების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, საზოგადოებას უფლება აქვს თავისი კრედიტორები დააკმაყოფილოს ფილიალის ქონებით.

საერთო კრებას უფლება აქვს სამეურნეო წლის ბოლოს განიხილოს ფილიალის დირექტორის წლიური ანგარიში. ასევე შესაძლებელია, რომ საზოგადოების დირექტორმა თავის წლიურ

ანგარიშში მიუთითოს ფილიალის დირექტორის ანგარიშის შესახებაც.

აქვს თუ არა უფლება სპს-ის, კს-ის, შპს-ის და სს-ის ფილიალის დირექტორს საზოგადოებასთან შეთანხმების გარეშე იპოთეკით ან გირაოთი დატვირთოს ფილიალის სარგებლობაში არსებული ნივთები?

მეწარმეთა შესახებ კანონის 9¹ მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ პუნქტით, პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას იმ ვალდებულებათა უზრუნველყოფაზე, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს.

აღნიშნული წესი გათვალისწინებით, ფილიალის დირექტორი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას.

პრაქტიკაში ზოგჯერ სვამენ კითხვას – თუ ფილიალმა არ შეასრულა ხელშეკრულება ან სხვა სახით მიაყენა ზიანი მესამე პირს, სად უნდა იქნეს შეტანილი სარჩელი, ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოში თუ საწარმოს – შპს-ის იურიდიული მისამართის მიხედვით არსებულ სასამართლოში?

ეს კითხვა ზოგჯერ უცხოეთის საწარმოსაც უკავშირდება, რომელიც თავად მდებარეობს სხვა ქვეყანაში, ხოლო ფილიალი აქვს საქართველოში.

ამ კითხვაზე ზევით უკვე გავეცით პასუხი, მაგრამ კვლავ ავღნიშნავთ, რომ ასეთ შემთხვევაში სარჩელი შეტანილი შეიძლება იქნეს ფილიალის იურიდიული მისამართის მიხედვით არსებულ სასამართლოში, რადგანაც ფილიალი ეს არის საწარმოს ნაწილი. მაგრამ ვფიქრობ, რომ სარჩელის ასლი უნდა გაეგზავნოს საწარმოს ხელმძღვანელს.

უნდა ითარგმნოს თუ არა სარჩელი მოპასუხის ენაზე?

სარჩელსა და თანდართულ დოკუმენტებს უნდა დაერთოს თარგმანი იმ ენაზე, რომელ ქვეყანაშიც მოპასუხეს ეგზავნება სარჩელი. აღნიშნული დასკვნა კეთდება კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-10

მუხლის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე. დასახელებული მუხლებით, პირს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა დაენიშნება თარჯიმანი. ამ წესის მიზანია, მხარემ მიიღოს და გადასცეს ინფორმაცია იმ ენაზე, რა ენასაც იგი ფლობს. აქედან გამომდინარე, მოპასუხემაც უნდა მიიღოს ინფორმაცია (სარჩელი და თანდართული დოკუმენტები) იმ ენაზე, რომელიც მან იცის.

დოკუმენტის თარგმნას ითვალისწინებს აგრეთვე 1954 წლის 1 მარტის ჰააგის კონვენციაც სამოქალაქო საპროცესო საკითხებთან დაკავშირებით.

შეუძლია თუ არა ფილიალმა გახსნას თავისი ანგარიში?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს 2004 წლის 17 მარტის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №51 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საქართველოს საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი: ფილიალს . . ანგარიში გაეხსნებათ სათაო საწარმოს შუამდგომლობით.

რა საბუთები უნდა წარადგინოს ფილიალმა ანგარიშის გახსნის ნელად?

ამავე ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით, ფილიალი ანგარიშის გახსნის ნელად ბანკში წარადგენს:

- ა) სათაო საწარმოს განცხადებას ანგარიშის გახსნის თაობაზე;
- ბ) ფილიალის ხელმძღვანელის ხელწერის ნიმუშს დამოწმებულს სანოტარო წესით;
- გ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერს სასამართლოდან;
- დ) ფილიალის საქმიანობის მოკლე აღწერას;
- ე) ცნობას საგადასახადო ორგანოდან გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე აყვანის შესახებ.

სათაო საწარმოს უფლება აქვს, შეწყვიტონ შუამდგომლობა ან გააუქმონ ადრე გაცემული ნებართვა და გასცენ ბრძანება ანგარიშის დახურვის შესახებ.

თავი III. საკორპორაციო ღვაწლის სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან მიჯნავს ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, მაგრამ განსხვავებული შინაარსის ცნებებს: უწყებრივ ქვემდებარეობას, ანუ სასამართლო საქვეუწყებობას და განსჯადობას (სსკ მე-11 და მე-13-ე მუხლები).

რას ნიშნავს სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა?

ყოველ სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც, არსებობს სხვადასხვა ორგანო რომელიც იქმნება და ყალიბდება გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაჭრელად. ამ ორგანოების ამოცანების მიხედვით განისაზღვრება მათი უფლებამოსილებათა ფარგლებიც. როგორც კი რომელიმე ორგანო გასცილდება თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, იგი იჭრება სხვა ორგანოს კომპეტენციაში, ე.ი. იღებს თავის თავზე ისეთი საკითხის გადაჭრის უფლებამოსილებას, რომელიც სხვა ორგანოს აქვს მიკუთვნებული. სახელმწიფოში არსებულ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჯერ ერთი იმ თვალსაზრისით, რომ არ მოხდეს ერთი და იგივე საკითხის სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვა-გადაწყვეტა, და, მეორე, იმ თვალსაზრისით, რომ ზუსტად უნდა ვიცოდეთ რომელ კონკრეტულ ორგანოს რა კონკრეტული საკითხის გადაჭრისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა. სწორედ ამიტომაც, რომ არცერთ ორგანოს ან თანამდებობის პირს უფლება არ აქვს გასცდეს თავის კომპეტენციას, გადაამეტოს თავისი უფლებამოსილებას. სახელმწიფოში არსებული ყოველი ორგანოს უფლებამოსილება (კომპეტენცია) განისაზღვრება ამ ორგანოსათვის შემუშავებული კანონით, წესდებით, დებულებით ან სხვა ნორმატიული აქტით. აქედან გამომდინარე, უწყებრივი ქვემდებარეობა, ანუ საქვეუწყებობა შეიძლება განვმარტოთ, როგორც იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობა და ფარგლები, რომელიც კანონით აქვს განსაზღვრული

ამა თუ იმ ორგანოს.²⁰

უწყებრივი ქვემდებარეობა ერთ-ერთი იურიდიული პირობაა, რომელიც ადგენს სასამართლოში მიმართვის უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობა (სასამართლო საქვეუწყებობა) კანონით განსაზღვრულ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობაა, რომლის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები.²¹

საქართველოს ამჟამად მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განუსაზღვრელად აფართოვებს სასამართლოს იურისდიქციას, მის უფლებამოსილებას. ამ კოდექსის მე-11 მუხლი შეიცავს სანიმუშო ჩამონათვალს იმ ურთიერთობებისას, რომლებიდანაც წარმოშობილ დავებს განიხილავს სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. მაგალითად, საერთო სასამართლოები განიხილავენ სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, სადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს, უდავო წარმოების საქმეებს, დავებს საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის, შვილად აყვანის საქმეებს. ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კანონით სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვაც.

მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ საერთო სასამართლოების უფლებამოსილება ანუ მათი უწყებრივი ქვემდებარეობის ფარგლები არ ამოიწურება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის საქმეებით. საერთო სასამართლოები განიხილავენ აგრეთვე დავებს „იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან“ (ასკ მე-2 მუხლი). ადმინისტრაციულ სამართლებრივი დავების განხილვისას სასამართლო ხელმძღვანელობს, როგორც ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსით (ასკ), ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (ასკ პირველი მუხლი).

20 თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გვ. 148. 2005 წ.

21 იქვე, გვ 149

სსკ 186-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს თუ სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას, ხოლო თუ სასამართლო შეცდა და მან მიიღო არასაკმარისი საქმე, რაც ამ საქმის განხილვის პროცესში გამოიკვეთა, მაშინ მან უნდა შეწყვიტოს საქმე. სსკ 272-ე მუხლის თანახმად სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას თუ „საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის“.

როგორც ვხედავთ, ერთადერთი კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად და შეუცდომლად განსაზღვროს ექვემდებარება თუ არა უწყებრივად საქმე სასამართლოს – ესაა კანონი და მისი გამოყენების პრაქტიკა. ამიტომ, სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობისათვის კრიტერიუმების კვლევას, როგორც ამას ზოგჯერ ვხვდებით ლიტერატურაში, შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა საკანონმდებლო ორგანოსათვის, მაგრამ არა სასამართლოსათვის.

უწყებრივ ქვემდებარეობაზე მიუთითებს აგრეთვე კანონი „მეწარმეთა შესახებ“. ამ კანონის 5³ და 5^{4.3} მუხლების თანახმად „საგადასახადო ორგანოს უარი რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

უწყებრივი ქვემდებარეობა სასამართლომ უნდა შეამოწმოს თავისი ინიციატივით. სასამართლოს მიერ არასაკმარისი საქმის განხილვა და გადაწყვეტა წარმოადგენს ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს (სსსკ 394-ე მუხლის „გ“ პუნქტი).

საკორპორაციო დავებზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა რომ უწყებრივი ქვემდებარეობასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად სწორად წყდება.

საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები

შესავალი

კერძო სამართლის სისტემაში საკორპორაციო სამართალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი სამართლის უმნიშვნელოვანესი სფეროა და თავის თავში მრავალ ინსტიტუტს მოიცავს. საკორპორაციო სამართალი შესაძლოა ორ ძირითად მიმდინარეობად დაიყოს: ამხანაგური (პერსონალური) ტიპის საზოგადოების და კაპიტალური საზოგადოების სამართლად. კაპიტალური ტიპის საზოგადოების სამართალი (მისი მომწესრიგებელი დებულებანი) ამ თემისთვის მეტად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ აქ მახვილდება განსაკუთრებული ყურადღება ისეთ ინსტიტუტზე, როგორც არის საზოგადოების საწესდებო კაპიტალი, საწარმოს კაპიტალი, კაპიტალური საზოგადოების (მეწარმე სუბიექტის) ქონება, ზოგადად, ქონებისა და კაპიტალის ურთიერთმიმართება. ამ სფეროში ნაციონალური კანონმდებლობა გერმანული, ავსტრიული საზოგადოებათა სამართლის და სავაჭრო (საწარმოთა, მეწარმეთა) სამართლის ინსტიტუტებს ეფუძნებოდა.¹ 2008 წლის 14 მარტის რეფორმის და „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შეტანილი ძირეული ცვლილებების შემდეგ ქართულმა საკორპორაციო სამართალმა გეზი უფრო აშშ-ს კორპორაციული სამართლისკენ აიღო, თუმცა მასში ისევ მძლავრობს გერმანული სული. მოკლედ, ადგილი აქვს ორი სისტემის კვეთას ქართულ საკორპორაციო სამართალში. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გერმანული და ამერიკული საკორპორაციო სამართლის ინსტიტუტების ნაზავი. მაგრამ ამის თქმა, მითუმეტეს საწესდებო კაპიტალთან და მის ფუნქციებთან მიმართებით, გადამწყვეტად მაინც არ შეიძლება.

¹ ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ. 2005, გვ. 185.

საწესდებო კაპიტალი ტრადიციული ინსტიტუტია გერმანულ, ავსტრიულ სამართალში და მის გაუქმებას კანონმდებელი ჯერ-ჯერობით არ ჩქარობს.² მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, გარკვეული კორექტივები შევიდა გერმანულ კანონმდებლობაში, კანონისმიერი სავალდებულო საწესდებო კაპიტალი აქ მაინც ინარჩუნებს თვითმყოფადობას.

აშშ-ს საკორპორაციო სამართლისათვის³ კაპიტალური საზოგადოების⁴ კანონისმიერი სავალდებულო მინიმალური საწესდებო კაპიტალის ინსტიტუტი უცხოა, ისევე, როგორც ქართული კანონმდებლობისთვის. მაგრამ ამერიკული სამართალი უდიდეს ყურადღებას საზოგადოების კაპიტალთან დაკავშირებულ საკითხებს უთმობს და მას ძალიან დიდი გულისყურით ეკიდება.

უდავოა, რომ ამერიკული საკორპორაციო სამართლისადმი დიდი ინტერესი არსებობს, რაც ძალიან ბევრი ფაქტორით აიხსნება.⁵ ამიტომ მისი სამართლებრივი ინსტიტუტების კვლევა არა მხოლოდ გერმანელი (ან ევროპელი), არამედ ქართველი იურისტებისთვისაც უნდა იყოს მეტად მნიშვნელოვანი. მით უფრო თუ გათვალისწინებული იქნება საკორპორაციო სამართლის სფეროში რეფორმის შემდგომი ქართული კანონმდებლობა, თვალნათელი გახდება, რომ ის საკითხები, რაზედაც წინამდებარე წიგნის ამ

2 თუმცა ამ მიმართულებითაც გერმანული საკორპორაციო სამართალი მისდევს საერთო დინებას, რომელიც, გარკვეულწილად, ამ სფეროში მოწესრიგების ლიბერალიზაციისაკენ სწრაფვით ხასიათდება და ხელს უწყობს საწარმოთა დაფუძნების სიმარტივეს და სხვა მასთან დაკავშირებულ საკითხებს. ერთ-ერთ ასეთ საკითხად კი საწესდებო კაპიტალიც შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამ ბოლო დროს გერმანულ შპს-ის სამართალში განხორციელებული რეფორმა ამის ნათელი მაგალითია (მხედველობაშია ცვლილებები ფედერალურ კანონში „შპს-ის შესახებ“). ამ საკითხზე ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება საუბარი.

3 ყოველ შემთხვევაში უმეტესი შტატების სამართლისათვის.

4 აშშ-ს კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა კლასიფიკაციისთვის იხ.: ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა, გვ. 77-81; H. Merkl/S. Göthel, US-amerikanisches Gesellschaftsrecht, 2. Auf., Frankfurt 2006, S. 184 ff; H. Bungen, Gesellschaftsrecht in den USA, 3. Auf., München 2003, S. 31-65; Т. В. Кашанина, Корпоративное право. Москва 1999, ст. 129-135; და ა.შ.

5 Merkl/Göthel, US-amerikanisches Gesellschaftsrecht, (2006), S. 5.

ნაწილში უნდა იყოს მსჯელობა, მიზანშეწონილია სწორედ გერმანული და ამერიკული სამართლის მაგალითზე იქნეს განხილული. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ კანონისმიერი სავალდებულო მინიმალური საწესდებო კაპიტალი სულ რამდენიმე ხნის წინ გაუქმდა ქართულ სამართალში და ჯერ კიდევ შეიძლება არსებობდეს დავა, რომელიც ადრინდელი რეგულირების ქვეშ მოექცევა. ამასთან, გაუქმებულია მხოლოდ კანონისმიერი სავალდებულო მინიმალური საწესდებო კაპიტალი და არა საწესდებო კაპიტალი ზოგადად. საწესდებო კაპიტალი კი, როგორც ითქვა, გერმანული სამართლიდან იღებს ნაციონალურ კანონმდებლობაში სათავეს. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ, ეს განპირობებულია იმით, რომ დღეს მოქმედი კანონი ამერიკულ მოდელს ეფუძნება, სადაც კანონისმიერი სავალდებულო საწესდებო კაპიტალის არსებობა კორპორაციის რეგისტრაციის სავალდებულო წინაპირობა არ არის. თუმცა ე.წ. stated (chartered) capital-ს ამერიკული სამართალი, რა თქმა უნდა, იცნობს. ამიტომ საინტერესო იქნება აშშ-ს სამართლის კვლევა ამ საკითხთან მიმართებით. მოკლედ რომ ითქვას, დახასიათებული იქნება საწესდებო კაპიტალი და საწარმოს კაპიტალი, მისი ფუნქციები და იგი უპირატესად აშშ-ს, გერმანული და ქართული სამართლის შედარების გზით იქნება წარმოჩენილი.

1. საწესდებო კაპიტალი გერმანულ და ავსტრიულ სამართალში

როგორც ითქვა, კანონისმიერი სავალდებულო საწესდებო კაპიტალი გერმანულენოვანი ქვეყნების სამართლის ტრადიციული ინსტიტუტია. ავსტრიული სამართლის მიხედვით იმისათვის, რომ დაფუძნდეს კაპიტალური ტიპის საზოგადოება (შპს, სს) საჭიროა დაფუძნებელმა პარტნიორმა (პარტნიორებმა) გარკვეული შენატანის შეტანის გზით შექმნას საწარმოს საწესდებო კაპიტალი, რომელიც კანონმდებლობით ზუსტად არის განსაზღვრული. სწო-

რედ ამას ადგენს „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონის მე-9 პარაგრაფი და „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის მე-9 პარაგრაფი. შეიძლება ითქვას, რომ ფულადი თუ არაფულადი საშუალებების მოზიდვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოებისათვის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი კაპიტალური სამართლებრივი ფორმისთვის, უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. განცალკევებული ქონების არსებობა, რაც კორპორაციის წევრებისაგან დამოუკიდებელია, კაპიტალურ საზოგადოებაში, თავის მხრივ, პასუხისმგებლობის შინაარსის განსაზღვრასაც ემსახურება. მხოლოდ დამფუძნებელთა სურვილი, დააარსონ კაპიტალური ტიპის საზოგადოება და წარმართონ მისი საქმიანობა, რასაკვირველია, საკმარისი არ არის. ამისათვის, საზოგადოების დამფუძნებელმა პარტნიორებმა შესაბამისი კაპიტალი უნდა შეაგროვონ (მოიზიდონ) და საზოგადოებას გადასცენ (ავსტრიული და გერმანული სამართალი შპს-ს და სს-ს, როგორც კორპორაციული ტიპის იურიდიულ პირებს განიხილავს, ისინი არ წარმოადგენენ ე.წ. Gesamthandsgemeinschaft-ს,⁶ ანუ სპს-ს (ღია საზოგადოებას (ღია სავაჭრო საზოგადოებას), როგორც ამ სამართლებრივ ფორმას, ზოგადად, ამ ქვეყნების კანონმდებლობა უწოდებს) და კს-ს). კორპორაცია კაპიტალის (ქონების) განცალკავების მაღალი ხარისხის გამო კერძოსამართლებრივ ბრუნვაში სრული უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მქონე წარმონაქმნად გამოდის, განსხვავებით სპს-ის ან კს-ისაგან. ასეთი კორპორაცია თავისი ქონებით (ამ შემთხვევაში, საწესდებო (თავდაპირველი, ძირითადი, დაწყებითი) კაპიტალით) ცალკე „სხეულია“, კრედიტორების წინაშე დამოუკიდებლად აგებს პასუხს. რაც შეეხება მის წევრებს, ისინი საზოგადოების მიერ დადებული გარიგებებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებელნი არიან სწორედ იმ შენატანების მოცულობით, რაც მათ გაიღეს სა-

⁶ ამის თაობაზე მაგ.: G. Hueck/C. Windbichler, Gesellschaftsrecht, 21. Auf., München 2008, S. 34 ff; P. Mader, Kapitalgesellschaften, 3. Auf., Wien 1998, S. 2 ff; და სხვ.

ზოგადობის თავდაპირველი კაპიტალის შედგენისას. ეს პრინციპი მოქმედებს როგორც ავსტრიულ და გერმანულ, ისე ამერიკულ და ქართულ სამართალში. ამიტომ კაპიტალური საზოგადოების დაფუძნებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ პარტნიორთა შეთანხმება სამეწარმეო საქმიანობის ერთობლივად განხორციელების თაობაზე. პარალელურად საჭიროა მათი შეთანხმება შესატანთან დაკავშირებით და საზოგადოებისათვის მისი საკუთრებაში გადაცემის გზით საწარმოსათვის აუცილებელი (საწესდებო) კაპიტალის შექმნა.

1. ისტორიული მქსკურსი

ისტორიულად კანონმდებელი საწარმოს კაპიტალს, როგორც კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს და გარანტიას, ყოველთვის განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა. ჯერ კიდევ საყოველთაო სავაჭრო კოდექსის⁷ ნორმები, კერძოდ, 209-ე მუხლის მე-4 აბზაცი ითვალისწინებდა სააქციო საზოგადოებისათვის იმ წმინდა საწესდებო კაპიტალს, რომელიც წესდებით უნდა ყოფილიყო დადგენილი. თუმცა მინიმალური საწესდებო კაპიტალი კანონმდებლობით მაშინ განსაზღვრული არ ყოფილა.⁸ საუბარი იყო მხოლოდ საწესდებო კაპიტალის თანაფარდობაზე, ანუ მის მიზანშეწონილობაზე, თუ რამდენი უნდა ყოფილიყო იგი ამა თუ იმ საწარმოსათვის (სს). ამიტომ ასეთ „მიზანშეწონილ კაპიტალს“ საზოგადოებისათვის თავად კონცესიის, ანუ სახელმწიფო ნებართვის გამცემი მოხელე ადგენდა იმისდა მიხედვით, თუ რა ეკონომიკურ საქმიანობას მისდევდა საწარმო.⁹ რამდენიმე ხნის შემდეგ, მცირე ინვესტორთა დაცვის უზრუნველსაყოფად, კანონმდებელმა შემოიღო მინიმალუ-

7 AHGB.

8 S. Kalss/C. Burger/G. Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, Geschichte und Materialien, Linde Verlag, Wien 2003, S. 91.

9 Blaschke/Pitreich, HGB 192; Renaud, Actiengesellschaften 378. ეუთოთებ: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 91.

რი ნომინალური ღირებულება, რაც კონცესიის გაცემის დროს მხედველობაში მიიღებოდა ხოლმე. თუმცა მოხელეს, თავისუფალი შეხედულებისამებრ, შეეძლო არც ეს ღირებულება გაეთვალისწინებინა.¹⁰ საყოველთაო საეაჭრო კოდექსის 216-ე მუხლის მიხედვით, დადგენილი იყო კაპიტალის შენარჩუნების მოვალეობაც. ეს იმას ნიშნავდა, რომ ის საწესდებო კაპიტალი, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა საზოგადოების წესდებით და შემდგომ დამოწმებული ნებართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ უნდა შენარჩუნებულიყო (Kapitalerhaltung) და საზოგადოების პარტნიორს უფლება არ ჰქონდა უკან მოეთხოვა მის მიერ შეტანილი შენატანი.¹¹ ერთადერთი, რისი მოთხოვნის უფლებაც მას ჰქონდა იყო საზოგადოების მოგებიდან წილი – დივიდენდი. მართალია, რეზერვის შექმნის ვალდებულება საწარმოს არ ეკისრებოდა, თუმცა იგი შესაძლოა საზოგადოების წესდებით ყოფილიყო გათვალისწინებული.¹²

პირველად, გერმანიაში ე.წ. „ოქროს ბალანსის“¹³ დადგენილებით 1923 წელს ძალაში შევიდა ნორმა, რომლის მიხედვითაც, განისაზღვრა სააქციო საზოგადოებისათვის მინიმალური კანონისმიერი კაპიტალი.¹⁴ ავსტრიაში 1925 წელს ე.წ. „ოქროს ბალანსის“¹⁵ კანონით (მე-3 პარაგრაფის პირველი აბზაცი) დადგენილ იქნა კანონისმიერი მინიმალური კაპიტალი სააქციო საზოგადოებისათვის. თანხა 100 000 ავსტრიულ შილინგს შეადგენდა.¹⁶ საბოლოოდ, გერმანული დადგენილების ეს დებულება 1938 წლის გერმანულ

10 Blaschke/Pitreich. HGB 191 ff. უუთითებ: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 92.

11 Kalss/Burger/Eckert. Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 93.

12 Pollitzer, Handelsrecht 258, 260; Randa. Handelsrecht 176. უუთითებ: Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 93.

13 Goldbilanzverordnung (1923).

14 Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 509.

15 Goldbilanzengesetz (1925).

16 Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts, S. 508.

სააქციო კანონში აისახა (მე-7 პარაგრაფი).¹⁷ გამომდინარე იქიდან, რომ ავსტრია ისტორიული ბედისუკულმართობით გერმანიის რაიხის შემადგენელი ნაწილი გახდა, ქვეყანაში გერმანული 1938 წლის სააქციო კანონი ამოქმედდა, რამაც ამ საკითხის ირგვლივ იგივეობრივ მოწესრიგებას დაუდო საფუძველი. დიდი რეფორმის შემდეგ (იგულისხმება 1965 წელს სააქციო კანონში განხორციელებული ცვლილებები და დამატებები) კანონისმიერი მინიმალური საწესდებო კაპიტალი 1 მლნ. შილინგით განისაზღვრა,¹⁸ ხოლო გერმანიაში 50 000 გერმანული მარკით.¹⁹ 1. 1. 1999 წელს ევროპის კავშირში ახალი ფულადი ერთეულის შემოღებით კი ავსტრიასა და გერმანიაში კაპიტალურ საზოგადოებათა მინიმალური კანონისმიერი საწესდებო კაპიტალი ევროთი შეიცვალა.²⁰

1. საწესდებო კაპიტალი როგორც კაპიტალური საზოგადოების სავალდებულო მინიმუმი

გერმანული და ავსტრიული კანონმდებლობა ამბობს, რომ შპს-ში და სს-ში უნდა არსებობდეს კანონით განსაზღვრული მინიმალური საწესდებო კაპიტალი. თუმცა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით კანონები (შპს-ის შესახებ და სს-ის შესახებ ფედერალური კანონები) განსხვავებულ სიტყვებს ხმარობს: ერთ შემთხვევაში, როდესაც საქმე შპს-ს ეხება, მხედველობაში მიიღება Stammkapital (*ძირითადი, საწყისი, თავდაპირველი კაპიტალი*²¹), ხოლო მეორე შემთხვევაში Grundkapital – საწესდებო კაპიტალი (სააქციო სა-

17 Kalss/Burger/Eckert, Die Entwicklung des österreichischen Aktienrechts. S. 509.

18 C. Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, Linde Verlag, Wien 2000, S. 355.

19 E. Klunzinger, Grunzüge des Gesellschaftsrechts, 11. Auf., Verlag Franz Vahlen, München (1999), S. 154.

20 ამის თაობაზე მაგ.: Mader, Kapitalgesellschaften, (2006), S. 60, 61f; Klunzinger, Gründzüge des Gesellschaftsrechts, (1999), S. 154; და სხვ.

21 თუმცა ამ შემთხვევაში მაინც მიზანშეწონილად მიმჩნია სიტყვის „თავდაპირველი კაპიტალის“ გამოყენება.

ზოგადოებასთან მიმართებით).²² ავსტრიაში შპს-სთვის საწესდებო კაპიტალის თანხას 35 000 ევრო, სს-ისთვის კი 70 000 ევრო შეადგენს. გერმანიაში ეს თანხა შპს-სთვის 25 000 ევრო, ხოლო სს-სთვის 50 000 ევროა.

თავდაპირველი კაპიტალი შპს-ში

შპს-ის რეგისტრაციის მიზნებისათვის მონაცემი საწარმოს თავდაპირველი კაპიტალის შესახებ სავალდებულოა. ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით, პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე, მის წესსა და პირობებზე და დაადგინონ საწარმოს კაპიტალი. თუმცა იგი არ უნდა იყოს იმ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები (35 000 ევრო), რომელსაც კანონი ადგენს. წილთა ჯამი სწორედ თავდაპირველი (საწესდებო) კაპიტალის ექვივალენტურია. გერმანიაში 2008 წლის შემოდგომაზე შპს-ის მომწესრიგებელ ნორმებს ცვლილებები შეეხო. მხედველობაშია ის რეფორმა, რომელიც გერმანულ შპს-ის სამართალში გატარდა. შპს-ის დაფუძნების გამარტივების მიზნით, გერმანელმა კანონმდებელმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა ფედერალური კანონის იმ ნორმებში, რომელიც შპს-ის დაფუძნებას და რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის წარდგენას და მის დამადასტურებელ დოკუმენტაციას შეეხება.²³

22 dGmbHG § 6, dAktG § 6, dGmbH § 5, dAktG § 6.

23 დაწერილებით ამ რეფორმის შესახებ მაგ.: Deutscher Bundestag. Drucksache 16/6140. Gesetzentwurf der Bundesregierung – Entwurf eines Gesetzes zur Modernisierung des GmbH-Rechts und zur Bekämpfung von Missbräuchen (MoMiG), 25. 07.2007, S. 2 ff; Stellungnahme des Bundesrates, Drucksache 354/07 (Beschluss), 06. 07. 07, S. 3 ff. უშუალოდ საწესდებო კაპიტალთან მიმართებით: იგივე, S. 5 ff; ასევე, Priester/Mindestkapital und Sacheinlageregeln in: Behrens/Hommelhoff/Joost/Lutter/Priester/Karsten Schmidt/Wachter/Zöllner (Hrsg.), Die GmbH-Reform in der Diskussion, Verlag Otto Schmidt, Köln 2006, S. 3-24.

2. შპს-ის სამართლის რეფორმა გერმანიაში და მისი გავლენა თავდაპირველი კაპიტალის ფორმირებაზე

2.1. რეფორმის მიზანი

2008 წლის 1 ნოემბერს გერმანიაში ძალაში შევიდა ფედერალური კანონი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლის მოდერნიზების და უფლების ბოროტად გამოყენების დაძლევის შესახებ“ ე.წ. MoMiG.²⁴ ასეთი მასშტაბური რეფორმა შპს-ის სამართალში „შპს-ის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ (1892 წ.) არც განხორციელებულა. რეფორმის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ეკონომიკური საქმიანობის ეს სამართლებრივი ფორმა საერთაშორისო ასპარეზზე უფრო კონკურენტუნარიანი გაეხადათ. ამ ბოლო დროს ინგლისურმა Limited-მა ძალიან მოიკიდა ფეხი ევროპულ სივრცეში. ცენტროსის შემთხვევაში²⁵ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ამ მიმართულებას. ინგლისური „შეზღუდული კომპანია“,²⁶ რომელიც დიდი ელასტიურობით, მოქნილობით და დაფუძნების სიმარტივეთ გამოირჩევა, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით ყველასათვის მისაღები ფორმა აღმოჩნდა. ამიტომ გერმანულ სამართალშიც დღის წესრიგში დადგა საკითხი საერთო ევროპული დინებისთვის ანგარიშის გაწევის და შპს-ის სამართლის რეფორმირების თაობაზე. ამ მხრივ, როგორც ფედერალური იუსტიციის მინისტრი განმარტავდა, „გაცილებით ადვილი გახდება საზოგადოების დაფუძნება იმდენად, რამდენადაც აღარ მოითხოვება იმ რთული წინაპირობების დაცვა, რაც ადრე არსებობდა შპს-ის დაფუძნების პროცესში. ამასთან,

24 Gesetz zur Modernisierung des GmbH-Rechts und zur Bekämpfung von Missbräuchen (MoMiG), BGBl. 2008 Teil I Nr. 48. ამასთანავე, გარკვეული ცვლილებები სხვა საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებშიც შევიდა: სააქციო კანონი, რეორგანიზაციის შესახებ კანონი, სეაგრო კოდექსი და ა.შ.

25 EuGH (09.03.99) = NJW 1999, S. 2027 ff.

26 Limited Company.

უფრო გამარტივდება მინიმალური თავდაპირველი (საწესდებო) კაპიტალის მოზიდვასთან დაკავშირებული ნორმები, რაც ბიზნესის მონაწილეთ მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ საქმიანობა დაიწყონ კანონით იმპერატიულად განსაზღვრული სავალდებულო მინიმალური საწყისი კაპიტალის შეესების გარეშე“.²⁷

2.2. შპს-ის ორი სხვადასხვა სამართლებრივი ფორმა?

ამ მხრივ, კანონი გამოყოფს შპს-ის ორ ვარიანტს: „ჩვეულებრივი“ შპს-ის გვერდით, რომელსაც ესაჭიროება კანონით დადგენილი მინიმალური თავდაპირველი კაპიტალი (25 000 ევრო), კანონი ადგილს უთმობს ე.წ. haftungsbeschränkte Unternehmergesellschaft-ს, სიტყვასიტყვით – „პასუხისმგებლობაშეზღუდული მეწარმე საზოგადოება“.²⁸ ამას განსაზღვრავს ახალი კანონის მე-5ა პარაგრაფი. ამ ორ საზოგადოებას შორის სხვაობა საწარმოს სამართლებრივი ბუნების და მისი სამართლებრივი ფორმის მიხედვით არ არსებობს. თუმცა აღნიშნული პარაგრაფი ყურადღებას სწორედ ისეთ შპს-ზე ამახვალეებს, რომელიც უფრო ნაკლები კაპიტალით შეიძლება დაფუძნდეს, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. მოკლედ, ყველა მონაწილისათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ საქმე ეხებოდა იმ შპს-ს, რომელიც ნაკლები კაპიტალის მოზიდვას მოითხოვდა. ამით კანონმდებელმა შექმნა ის სამართლებრივი ჩარჩო, რომლითაც სამეწარმეო „იდეები გაცილებით სწრაფად და ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე განხორციელდებოდა.“²⁹ „მეწარმე საზოგადოება“ გამიზნულია იმ მცირე მეწარმეთათვის, რომელთაც სწორედ დღეს

27 Interview mit Bundesjustizministerin Brigitte Zypries zur GmbH-Reform. Bundesanzeiger 30.10.08. ხელმისაწვდომია შემდეგ მის.: <http://www.bmj.bund.de> (10.01.2009).

28 Interview mit Bundesjustizministerin Brigitte Zypries zur GmbH-Reform. Bundesanzeiger 30.10.08. ხელმისაწვდომია შემდეგ მის.: <http://www.bmj.bund.de> (10.01.2009).

29 Interview mit Bundesjustizministerin Brigitte Zypries zur GmbH-Reform. Bundesanzeiger 30.10.08. ხელმისაწვდომია შემდეგ მის.: <http://www.bmj.bund.de> (10.01.2009).

სურთ ბიზნესის დაწყება, მაგრამ ამისათვის კანონით დადგენილი საჭირო სახსრები არ აქვთ. ასეთი მეწარმე სუბიექტები, ძირითადად, მომსახურების გაწევის სფეროში საქმიანობენ და მათთვის, ეკონომიკური გადმოსახედიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს აუცილებელი საწარმოს დაფუძნებისათვის იმ მინიმალური სავალდებულო თავდაპირველი კაპიტალის შევსება, რომელსაც კანონი იმპერატიულად მოითხოვდა. სწორედ ეს გახლდათ ასევე ფედერალური მთავრობის კანონპროექტთან დაკავშირებული დასაბუთების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი.³⁰ იმისათვის, რომ მესამე პირებისთვის უფრო შესაცნობი ყოფილიყო, თუ რა ვარიანტის საზოგადოებასთან ჰქონდათ მათ ამ შემთხვევაში საქმე, მიზანშეწონილი იყო დანამატის „პასუხისმგებლობაშეზღუდულის“ ან „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მინიმალური თავდაპირველი კაპიტალის გარეშე“ ან უბრალოდ „GmbH (o.M.)“ ხმარება.³¹ იყო ასევე აზრი, რომ ასეთ საზოგადოებას „საბაზისო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ დარქმეოდა.³² მნიშვნელოვანია, რომ დაფუძნების პროცესში, ამ ვარიანტის შპს-ისთვის,³³ სავალდებულო არ არის კანონისმიერი მინიმალური თავდაპირველი კაპიტა-

30 Stellungnahme des Bundesrates, Drucksache 354/07 (Beschluss). 06. 07. 07. S. 4-5.

31 Stellungnahme des Bundesrates, Drucksache 354/07 (Beschluss). 06. 07. 07. S. 4-5.

32 Priester, Mindestkapital und Sacheinlageregeln, S. 9. ამ შემთხვევაში იმაზეც იყო საუბარი, რომ საზოგადოებას სულ მცირე ხუთი დამფუძნებელი პარტნიორი უნდა ჰყოლოდა. ამასთან, ისინი მხოლოდ ფიზიკური პირები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო მინიმალური კაპიტალი, რომელიც საწარმოს სარეგისტრაციო აღრიცხვაზე დადგომისას უნდა განსაზღვრული, 2500 ევროს შეადგენდა და მხოლოდ ფულით უნდა შეესებოდა. იხ.: Priester, Mindestkapital und Sacheinlageregeln, S. 9. კიდევ სხვა მოსაზრებას 2006 წელს ბავარიის იუსტიციის სამინისტრო აყალიბებდა. კერძოდ, ასეთ საზოგადოებას „საკაპრო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ დარქმეოდა. შესაბამისად, საკაპრო კოდექსის მე-4-4j პარაგრაფებში უნდა შესულიყო ცვლილება. საბოლოოდ კი ერთ-ერთი საპარლამენტო ფრაქციის (CDU/CSU) წინადადება გავიდა. ამის თაობაზე ასევე: Priester, Mindestkapital und Sacheinlageregeln, S. 9.

33 გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი „პასუხისმგებლობაშეზღუდული მეწარმე საზოგადოება“ არ განიხილება შპს-ის რაიმე სპეციალურ ფორმად, უფრო სწორედ, განსაკუთრებული სახეობის სამართლებრივ ფორმად, მიზანშეწონილია ამ შემთხვევაში ნახმარი იყოს სიტყვა „ვარიანტი“, ანუ შპს-ის პირველი (კლასიკური) და მეორე ვარიანტი (რასაც კანონის მე-5a პარაგრაფი ითვალისწინებს).

ლის განსაზღვრა. დამფუძნებელი პარტნიორები თავიანთი შეხედულებებისამებრ ადგენენ პირველდაწყებითი კაპიტალის და საკუთარი შენატანების ღირებულებას (ზღვარს). თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ კანონით დადგენილი მინიმალური სავალდებულო საწესდებო კაპიტალი ასეთი ვარიანტის საზოგადოებისთვის საერთოდ მხედველობაში არ მიიღება. კანონი უბრალოდ იმპერატიულად აღარ მოითხოვს საზოგადოების დაფუძნების და მისი რეგისტრაციაში გატარების მომენტში საწესდებო კაპიტალის შეესებას (არსებობს ამ საკითხთან მიმართებით სპეციალური ნორმა(ც) და აძლევს საზოგადოების წევრებს თავისუფლად, კანონის მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად განსაზღვრონ კაპიტალის ის ოდენობა, რომელიც მათ საწარმოს დაფუძნების დროისათვის აქვთ. ამასთან, ზემოთ აღნიშნული პარაგრაფი ითვალისწინებს, რომ შენატანი უნდა განხორციელდეს მხოლოდ ფულადი სახით და, ამ შემთხვევაში, გამოირიცხება სანივთო (ქონებრივი) შენატანის სხვა სახეობის განხორციელება³⁴ და საზოგადოებისათვის მისი გადაცემა. მოკლედ, ასეთი ვარიანტის საზოგადოება ქმნის „შუალედურ სტადიას სრული შპს-ის ჩამოყალიბების გზაზე“.³⁵ სწორედ ამისთვის ადგენს კანონი, რომ დროის ამ მონაკვეთში საქმის განმახორციელებელი საწარმო ისეთ აღნიშვნას უნდა ატარებდეს, რომელიც ადვილად მისცემს მესამე პირს იმის აღქმის საშუალებას, რომ მას საქმე სწორედ „სრული შპს-ის“ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ საზოგადოებასთან აქვს.³⁶ კანონი, ამასთან ერთად, დამფუძნებელ პარტნიორებს სხვა მოთხოვნებსაც უდგენს. კერძოდ, გამარტივებული წესით (რასაც რეგისტრაციის პროცესში ე.წ. „სანიმუშო პროტოკოლის“³⁷ ჩართვას გულისხმობს) ასეთი ვარიანტის საზოგადოება რეგისტრაციაში გატარდება, თუ მას მაქსიმუმ სამი დამფუძნებელი და, რასაკვირველია, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ეყოლება. გარდა ამისა, დამფუძნებელი პარტნიორები

34 dGmbHG §5a Abs. (2) Satz 2.

35 Stellungnahme des Bundesrates, Drucksache 354/07 (Beschluss), 06. 07. 07, S. 5.

36 Stellungnahme des Bundesrates, Drucksache 354/07 (Beschluss), 06. 07. 07, S. 5.

37 Musterprotokolle.

საქმიანობიდან შემოსულ აქტივებს ვერ გაინაწილებენ სრული მოცულობით. ეს იმას ნიშნავს, რომ მოგების 25% იქამდე უნდა ჩაირიცხოს კანონისმიერ რეზერვში, სანამ თანხა კანონით გათვალისწინებულ კაპიტალს არ მიაღწევს.³⁸ თუმცა დროის მაქსიმალური ვადა, რომელშიც აუცილებლად უნდა შეივსოს კაპიტალის ეს მინიმუმი დადგენილი არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტის წარდგენის თავდაპირველ ეტაპზე საუბარი იყო იმაზე, რომ საზოგადოების მინიმალური თავდაპირველი კაპიტალი საერთოდ 10 000 ევროთი განსაზღვრულიყო.³⁹ საბოლოოდ საწესდებო კაპიტალის საფონდო პასუხისმგებლობის და ამ პასუხისმგებლობის ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, კანონისმიერი მინიმალური კაპიტალის ოდენობა ისევ 25 000 ევრო დარჩა. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანულმა კანონმდებლობამ საგრძნობლად გაამარტივა შპს-ის დაფუძნება და დამწყები ბიზნესმენებისთვის უფრო ხელმისაწვდომი და ელასტიური გახადა საქმიანობის ეს სამართლებრივი ფორმა, კანონისმიერი სავალდებულო საწესდებო კაპიტალის უარყოფის შესახებ საუბარიც არ ყოფილა. ამიტომ მნიშვნელოვანია, ჯერ ერთი, მისი დატოვების მიზანი (აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობაუნარიანი კაპიტალის სისტემა⁴⁰) და, მეორე, თუ რა ფუნქციის მატარებელია იგი.

38 Stellungnahme des Bundesrates, Drucksache 354/07 (Beschluss), 06. 07. 07, S. 5.

39 Referententwurf, Entwurf eines Gesetzes zur Modernisierung des GmbH-Rechts und zur Bekämpfung der Missbräuchen (MoMiG), 29.05.06, S. 33, 37-38.

40 Haftkapitalsystem. ამაზე: Priester, Mindestkapital und Sacheinlageregeln, S. 1 ff.

3. თავდაპირველი (საწესდებო) კაპიტალის ფუნქციები

იმისათვის, რომ უკეთ წარმოჩნდეს შპს-ის კაპიტალური ბუნება, აუცილებელია ისეთი ძირითადი ცნების განსაზღვრა, როგორც არის Stammkapital (საზოგადოების თავდაპირველი კაპიტალი). როგორც ზემოთ ითქვა, იმისთვის, რომ პირმა (პირებმა) შპს დააფუძნოს, აუცილებელია მის მიერ გარკვეული ქონებრივი შენატანის განხორციელება. შენატანით კი, როგორც წესი, იქმნება ის კაპიტალი, რომელიც, ძირითადად, განკუთვნილია კრედიტორის მოთხოვის დასაკმაყოფილებლად.

3.1. თავდაპირველი კაპიტალი, როგორც კრედიტორთა დაცვის მექანიზმი და გამაფრთხილებელი ფუნქციის მატარებელი

თავდაპირველი კაპიტალის მომწესრიგებელ ნორმებს სხვადასხვა ხასიათი აქვს. ეს ნორმები გამიზნულია ნაწილობრივ კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის.⁴¹ კანონმდებლობა ადგენს საწყისი კაპიტალის მხოლოდ მინიმალურ სავალდებულო ზღვარს რეგსიტრაციის პირობისათვის, ხოლო კაპიტალის მოცემულობა დადგენილი უნდა იყოს საზოგადოების ხელშეკრულებით, წესდებით.⁴² საზოგადოების წესდებით განსაზღვრული კაპიტალი უნდა ემთხვეოდეს მის თავდაპირველ კაპიტალს. ამასთან, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ, მიუხედავად ტერმინებს შორის მსგავსებისა, თავდაპირველი კაპიტალი და საწარმოს საწესდებო კაპიტალი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ცნებებია, თუმცა საწესდებო კაპიტალი მხოლოდ სააქციო საზოგადოებასთან მიმართებით იხმარება.⁴³ შპს-ის თავდაპირველი კაპიტა-

41 Winter in Scholz/Emmerich, GmbH-G, 8. Auf., I. Band, Verlag Dr. Otto Schmidt KG, Köln 1993, §5, Anm. 1.

42 Winter in Scholz/Emmerich, GmbH-G, (1993), §5, Anm. 1.

43 P. Kindler, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht, 2. Auf., Verlag Beck.

ლი უნდა უდრიდეს 25 000 ევროს. თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ კრედიტორის განკარგულებაში (როდესაც, მაგალითად, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას შეეხება საქმე) მხოლოდ საწარმოს ეს საწყისი კაპიტალი დგას. მხედველობაში მიიღება იმავდროულად საზოგადოების მთელი ქონება, როგორც საწარმოს მხრიდან პასუხისმგებლობის გარანტია კრედიტორთა წინაშე. ამიტომ თავდაპირველი კაპიტალი და საზოგადოების ქონება სამართლებრივი გაგებით არ არის ერთმანეთის იდენტური.⁴⁴ კრედიტორის განკარგულებაში დგას როგორც თავდაპირველი კაპიტალი, ისე საზოგადოების ქონება მთლიანობაში. უბრალოდ, „სრული შპს-ის“ დაფუძნების წინაპირობაა ის, რომ საზოგადოების დაარსების მომენტში განსაზღვრული და წესდებით დადგენილი იყოს მისი საწყისი კანონისმიერი კაპიტალი⁴⁵ (მინიმალური ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით). ამასთან, მხედველობაში მიიღება ის გარემოება, რომ დამფუძნებელი პარტნიორები წესდებაში უნდა შეთანხმდნენ შენატანების განხორციელებაზე, მათ მოცულობაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას კანონი სანივთო (ქონებრივ არაფულად) შენატანებს უთმობს, რამდენადაც კაპიტალის შევსებისას მათ შესახებ მონაცემები აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი საზოგადოების წესდებაში (მკვეთრად უნდა იქნეს განსაზღვრული თუ რომელ პარტნიორს რა მოცულობის ქონება შეაქვს და რა ღირებულების არის იგი), რაც კრედიტორებს, მეწილეთ და მარეგისტრირებულ სასამართლოს სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფს.⁴⁶ გამომდინარე აქედან, იგი გამაფრთხილებელი (ინფორმაციული) ფუნქციის მატარებელიცაა.⁴⁷ იგი ინფორმაციას აძლევს კრედიტორს, ასევე, სააქციო საზოგადოების

München (2007), S. 316.

44 ლ. ჭანტურია/თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, III გამოცემა, თბ. 2002, გვ. 61.

45 Kindler, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht. (2007), S. 316.

46 Priester, BB 1980, S. 19. 21. უთითებ: Winter in Scholz/Emmerich, GmbH-G. (1993), §5, Anm. 1.

47 BGH, NJW 1979, S. 216: Hachenburg/Ulmer, Rdn. 1. უთითებ: Winter in Scholz/Emmerich, GmbH-G. (1993), §5, Anm. 1.

მინიმალური პასუხისმგებლობაუნარიანი კაპიტალის შესახებ.⁴⁸

მონაცემი თავდაპირველი კაპიტალის შესახებ აღინიშნება საზოგადოების ხელშეკრულებაში.⁴⁹ საზოგადოების ხელშეკრულება ორგანიზაციული ხელშეკრულებაა და ნოტარიულ ფორმას მოითხოვს, თუმცა ესეც იმ შემთხვევაში, თუკი დამფუძნებელი პარტნიორები ახალი კანონმდებლობის მიხედვით არ ირჩევენ საზოგადოების დაფუძნებას კანონით განსაზღვრული სპეციალური ფორმულარის (ფორმის) შესაბამისად. ამ შემთხვევაში, საკმარისია საზოგადოების ხელშეკრულების წარდგენა წერილობითი სახით და სავალდებულო აღარ არის მისი დამოწმება ნოტარიუსის მიერ.⁵⁰ შესაბამისად, თუკი დამფუძნებელ პარტნიორებს სურთ ნოტარიუსის ჩართვა საზოგადოების დაფუძნების პროცესში და სანოტარო ფორმის არჩევა, მაშინ საზოგადოების ხელშეკრულება მოწმდება ნოტარიუსის მიერ.⁵¹

3.2. თავდაპირველი კაპიტალი, როგორც სავალდებულო მინიმალური კაპიტალი „სრული შპს-ისთვის“

მიუხედავად იმისა, რომ შპს-ის სამართლის რეფორმის შემდეგ, გერმანელმა კანონმდებელმა გაითვალისწინა საზოგადოების დაფუძნების სიმარტივე და მოქნილობა, ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია ის შემთხვევა, როდესაც საქმე „ჩვეულებრივი“ შპს-ის დაფუძნებას ეხება. ამ მხრივ, პრინციპულად არაფერი შეცვლილა,

48 Fleischer in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, 2008, §6, Rn. 1.

49 მიუხედავად იმისა, რომ Gesellschaftsvertrag და Satzung გერმანულ ენაში სხვადასხვა ტერმინოლოგიურად განსხვავებული სიტყვებია, რაც, ერთი მხრივ, საზოგადოების ხელშეკრულებას, ხოლო, მეორე მხრივ, წესდებას აღნიშნავს, შინაარსობრივად მათი გაიგივება შეიძლება. საზოგადოების ხელშეკრულება არ არის მთელი თავისი შინაარსის მიხედვით მხოლოდ წესდების ხასიათის მატარებელი, იგი ვალდებულებითსამართლებრივ შემადგენლობასაც მოიცავს.

50 Hueck/Windbichler, Gesellschaftsrecht, 21. Auf., Verlag C.H.Beck, München 2008, S. 200.

51 Hueck/Windbichler, Gesellschaftsrecht. (2008), S. 200.

თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ დაფუძნების გამარტივებულ წესებს შეიძლება ასევე დაეყრდნონ „ჩვეულებრივი“ შპს-ის დაფუძნების მსურველი პირები. საზოგადოების დაფუძნებისათვის საჭიროა კანონით განსაზღვრული მინიმალური საწყისი კაპიტალის ჩამოყალიბება. კაპიტალი შესაძლოა შეიქმნას როგორც ფულადი ისე არაფულადი მატერიალური ქონებრივი ობიექტების კაპიტალში შეტანის გზით.⁵² საზოგადოების სარეგისტრაციოდ დადგომის მომენტიდან თავდაპირველი კაპიტალის ნახევარი შევსებული უნდა იყოს. როდესაც საქმე ქონებრივი (არაფულადი) შენატანის განხორციელებას ეხება, მაშინ ეს უკანასკნელი ამ დროისათვის სრულყოფილად უნდა იქნეს შეტანილი.⁵³ ფულადი შესატანის შემთხვევაში კი შეტანილ უნდა იქნეს კაპიტალის 1/4 მანძი.

3.3. თავდაპირველი კაპიტალის ოდენობა

**„მასუხისმგებლობა შეზღუდული მეწარმე საზოგადოებისთვის“⁵⁴
და წილის განსაზღვრა**

როგორც ითქვა, ასეთი ვარიანტის შპს-ისთვის კანონი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პარტნიორები შეთანხმდნენ კაპიტალის ნებისმიერ ოდენობაზე და გადაუხვიონ მინიმალური სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნას. ამ მხრივ, მათ ეძლევათ შესაძლებლობა ჩამოაყალიბონ „ერთეუროიანი საზოგადოება“.⁵⁵ თუმცა, პრაქტიკულად ეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.⁵⁶ საზოგადოების წესდებაში პარტნიორებმა უნდა დაადგინონ საწარმოს თავდაპირ-

52 B. Grunewald, Gesellschaftsrecht, 7. vollständig überarbeitete Auf., Mohr Siebeck, Tübingen 2008, S. 343.

53 Hueck/Windbichler, Gesellschaftsrecht, (2008), S. 203.

54 „Unternehmensgesellschaft haftungsbeschränkt“.

55 დაახლოებით იგივე ტერმინს იხილავთ ამერიკულ სამართალშიც: „ერთცენტიანი კორპორაცია“. Robert W. Hamilton, The Law of Corporations, 5th Edit., St. Paul 2000, p. 88.

56 Hueck/Windbichler, Gesellschaftsrecht, (2008), S. 220.

ველი კაპიტალი და საზოგადოების სარეგისტრაციოდ დადგომის ეტაპზე სრულად უნდა შეავსონ იგი. ამასთან, როგორც ზემოთ ითქვა, დაუშვებელია ამ შემთხვევაში სანიეთო (არაფულადი) შენატანების განხორციელება. შენატანი მხოლოდ ფულში გამოიხატება.⁵⁷

რაც შეეხება წილს ასეთი ვარიანტის საზოგადოებაში, მისთვის კანონი უკვე აღარ ადგენს მინიმალურ ღირებულებას,⁵⁸ რაც რეფორმამდე 100 ევროს შეადგენდა. თუმცა კანონის მოთხოვნით წილის ღირებულება მხოლოდ მყარად განსაზღვრულ ევროს (1 ევრო, 2 ევრო, 3 ევრო და ა.შ.) უთანაბრდება. თუკი საზოგადოებას რამდენიმე (სამზე მეტი) პირი აფუძნებს, მაშინ აუცილებელია, რომ თითოეული მათგანი სულ მცირე ერთი წილის მფლობელი მაინც იყოს. დამფუძნებელთა რიცხვი კი შეადგენს მინიმალური საწყისი კაპიტალის ციფრს გამოსატულს ევროში.⁵⁹ წილი საზოგადოებაში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ნომინალური ღირებულებით, რომელსაც, რა თქმა უნდა, წესდებით დადგენილი ღირებულება ექნება. თუმცა წილთა ნომინალური ღირებულება შეიძლება სხვადასხვა იყოს და საზოგადოების ერთ პარტნიორს რამდენიმე წილი ეკუთვნოდეს.⁶⁰ ყოველმა პარტნიორმა საზოგადოებაში სამართლებრივი სტატუსის მოპოვებისთვის უნდა მიიღოს წილი. შესაბამისად, მან თავისი წილის პროპორციული შენატანი უნდა გაიღოს და გახდეს საზოგადოების წევრი.

57 გერმანული კანონმდებლობის ეს მოცემულობა შესაძლოა შეეღაროს 2008 წლის 14 მარტამდე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის რედაქციას, სადაც შპს-ის მინიმალური საწესდებო კაპიტალი 200 ლარს შეადგენდა და იგი მხოლოდ ფულით უნდა შეესებულებოდა.

58 იხ.: Klunzinger, Gründzüge des Gesellschaftsrechts. (1999). S. 228.

59 Hueck/Windbichler, Gesellschaftsrecht, (2008), S. 220.

60 Hueck/Windbichler, Gesellschaftsrecht, (2008). S. 202, 220.

4. თავდაპირველი კაპიტალი და საკუთარი კაპიტალი (როგორც ქონების შენარჩუნების და შემაკავშირებელი ფუნქციის გატარებელი)

საზოგადოების თავდაპირველი კაპიტალისაგან უნდა განვასხვავოთ საწარმოს საკუთარი კაპიტალი (Eigenkapital). ამ უკანასკნელში იგულისხმება ყველა ის საშუალება (მატერიალური თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე), რომელიც იმყოფება საზოგადოების ფაქტობრივ ან დროებით განკარგულებაში.⁶¹ საწარმოს ბალანსში თავდაპირველი კაპიტალი აღნიშნულია სიტყვებით – „ნაჩვენები კაპიტალი“, როგორც საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემადგენელი ნაწილი.⁶² საკუთარ კაპიტალს მიეკუთვნება: კაპიტალური რეზერვები, მოგების რეზერვები, წლიური გადაჭარბებული ღირებულება (მაგალითად, მოგებიდან შემოსული) და სხვ.⁶³ როგორც წესი, საზოგადოებაში მოგება ნაწილდება იმისდა მიხედვით, გადააჭარბა მან ძირითადი კაპიტალის ციფრს თუ არა და რამდენად გადააჭარბა. ამიტომ, ქართული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, გერმანული (და ავსტრიული) კანონმდებლობა ითვალისწინებს კაპიტალის შენარჩუნების მოვალეობას და ადგენს, რომ 30-ე პარაგრაფის (გერ.) პირველი აბზაცის თანახმად, თავდაპირველი კაპიტალის შენარჩუნების მიზნით, საზოგადოების პარტნიორებს არ შეუძლიათ მოგების განაწილება, თუკი სახეზე არ იქნება კანონით დადგენილი მინიმალური ზღვარი ამ მოგების განაწილების დასაშვებობისა.⁶⁴ აქედან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ თავდაპირველი კაპიტალი ქონების შენარჩუნების ფუნქციის მატარებელიცაა.

კაპიტალის დაცვა შპს-ში მოიცავს საწყისი კაპიტალისათვის

61 Kindler, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht, (2007), S. 316.

62 Kindler, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht, (2008), S. 319.

63 Kindler, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht, (2008), S. 319.

64 K. Schmidt, Gesellschaftsrecht, 4. neu bearbeitete Auf., Carl Heymanns Verlag, Köln 2002, S. 1111-1112. უფრო ვრცლად შპს-ში კაპიტალის შენარჩუნების ვალდებულების შესახებ: Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 1131 ff.

აუცილებელი ქონების შენარჩუნებას.⁶⁵ კაპიტალის დაცვის მომწესრიგებელი ნორმები, როგორც წესი, იმპერატიული ხასიათისაა და მისი დარღვევა გარკვეული სანქციის შემცველ შედეგს იწვევს. მართალია, საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ გაინაწილონ საზოგადოებაში შემოსული ქონება მოგების სახით, მაგრამ აუცილებლად უნდა დაიცვან საბალანსო აღრიცხვის წესები, ანუ აკრძალვა (ქონების შენარჩუნების მოვალეობის მარეგულირებელი წესებიდან გამომდინარე) მაშინ გამოიყენება, როდესაც სახეზე იქნება ბალანსის გარღვევის შემთხვევა.⁶⁶ ე.წ. Unterbilanz (ეს შესაძლოა ითარგმნოს სწორედ როგორც ბალანსის გარღვევა) მაშინაა სახეზე, როდესაც საზოგადოების სუფთა ქონება – აქტივს გამოკლებული საწარმოს ვალები – ვედარ ფარავს საზოგადოების თავდაპირველ კაპიტალს.⁶⁷ იმის დახასიათებისთვის, ადგილი აქვს თუ არა ბალანსის გარღვევას, ჩვეულებრივ, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, გამოიყენება ზოგადი ნორმები ბალანსის შედგენის და შემოწმების შესახებ, ის ნორმები, რომელიც წლიური ბალანსის შედგენას, გამოთვლას და ა.შ. აწესრიგებს.⁶⁸ ამიტომ თავდაპირველი კაპიტალის მოზიდვის (საზოგადოებისათვის გადაცემა) და მისი შენარჩუნების პრინციპები საწარმოს კაპიტალის არსებობის შემადგენელი ნაწილია. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ იგი კაპიტალის შემაკავშირებელი ფუნქციის მატარებელია.⁶⁹ მიჩნეულია ასევე, რომ კაპიტალური საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები მოგების განაწილების შესაძლებლობის ზღვარის დადგენის შესახებ არის პარალელურ რეჟიმში კრედიტორთა დაცვის მარეგულირებელი ნორმები და საზოგადოების პარტნიორთა საერთო

65 Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 1134.

66 BGHZ 136. 125. უთითებ: Schmidt, Gesellschaftsrecht, 2002, S. 1134-1135.

67 Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 1135; Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 319.

68 Baumbach/Hueck/Fastrich, Kurzkomentar zum GmbH-Gesetz, 17. Auf., 2000, §30, Rdn. 7. უთითებ: Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 1135.

69 შტრ.: Hueck/Windbichler, Gesellschaftsrecht, (2008) S. 239; Fritz, gesellschafts- und Unternehmensformen, S. 314, 318; T. Raiser, Recht der Kapitalgesellschaften, 3. Auf., Verlag Franz Vahlen, München 2001, S. 633-634.

კრების მიერ⁷⁰ ამ დებულებებისაგან გადახვევა არაფრით შეიძლება.⁷¹ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კი, ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, ისე და ისე კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ფუნქციის უზრუნველყოფას ემსახურება.

4.1. ქართული საკანონმდებლო რეალობა

ქართული სამეწარმეო სამართლის მიხედვით, კაპიტალის შენარჩუნების ნორმები ძალზე ლიბერალური გახდა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი საერთოდ აღარ შეიცავს დებულებებს საზოგადოების კაპიტალის შენარჩუნების ვალდებულების თაობაზე. ადრე მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით⁷² დღეს მოქმედი რედაქცია პარტნიორებს საზოგადოებაში მოგების განაწილების სრულ თავისუფლებას ანიჭებს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი, რომლის შესაბამისადაც, ისეთი ტიპის კაპიტალურ საზოგადოებაში როგორცაა შპს და სს შესაძლოა დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების განაწილება. ამასთან, ადრე მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, კანონი დღეს უკვე შპს-შიც მოგებას დივიდენდს უწოდებს (დივიდენდი ადრე მხოლოდ სს-ის მოგებასთან მიმართებით იხმარებოდა). მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება (აქციონერთა საერთო კრება). ამას განსაზღვრავს კანონის მე-8 მუხლი. გამომდინარე იქიდან, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით ნაციონალური საკანონმდებლო ნორმები მთლიანად დისპოზიციური ხასიათისაა, შესაძლებელია მოგების განაწილების თაობაზე პარტნიორები შპს-ში სხვაგვარად შეთანხმდნენ. კერძოდ, სწორედ წესდებით გაითვალისწინონ, რომ საზოგადოების პარტ-

70 საზოგადოებაში მოგების განაწილება მის პარტნიორებს შორის სწორედ პარტნიორთა კრების კომპეტენციაში შედის.

71 Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 319.

72 იგულისხმება საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ 2008 წლის 14 მარტამდე მდგომარეობით.

ნიორებზე მოგება მაშინ განაწილდება, როდესაც იგი საწარმოს კაპიტალის გარკვეულ ოდენობას გადააჭარბებს (მაგალითად, 10, 15, 20%-ს). მაგრამ აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, თუ რა უნდა მოიაზრებოდეს საზოგადოების კაპიტალის ქვეშ. რადგან კანონმა, ამ საკითხებთან მიმართებით, ხმარებიდან ამოიღო ტერმინი საწესდებო კაპიტალი, მაშინ გამოდის რომ საზოგადოების კაპიტალი და საზოგადოების ქონება ერთი და იგივე სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ცნებებია?! არადა იგი, როგორც წესი, გამოთვლადი სიდიდეა⁷³ და მოგების თუ სხვა ოპერაციების გამოსათვლელად (მაგალითად, ლიკვიდაციისას პარტნიორებზე ქონების წილობრივად განაწილების შემთხვევაში) დიდ როლს თამაშობს. მოკლედ, შესაძლებელია, რომ თავად პარტნიორების ინტერესში მოექცეს ის მყარად დადგენილი წილობრივი კაპიტალი, რომელიც შემდგომ მისცემს მათ სხვადასხვა გადანაწილებითი ოპერაციების შესრულების გამარტივების შესაძლებლობას. ამიტომ გადამწყვეტად თქმა იმისა, რომ საწესდებო კაპიტალი გაუქმებულია, საფუძველს მოკლებულია. გაუქმებულია მხოლოდ კანონით მინიმალურად დადგენილი სავალდებულო კაპიტალი და არა საწესდებო კაპიტალი მთლიანობაში. თუმცა, პრაქტიკიდან გამომდინარე, რამდენად შეიბოჭავენ პარტნიორები თავს და ისეთ ნორმებს გაითვალისწინებენ წესდებაში, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი ძალიან ძნელი სათქმელია. ქართულ რეალობაში თეორიულად შეიძლება დაფუძნდეს მართლაც „ერთლარიანი საზოგადოება“, რომელიც კრედიტორების წინაშე არანაირი ქონებით არ იქნება პასუხისმგებელი. ამ შემთხვევაში რისკი სრული მოცულობით გადადის მესამე პირზე – კრედიტორზე. როდესაც კონტრაქტის ისურვებს ურთიერთობა დაამყაროს „ერთლარიან საზოგადოებასთან“ და გარიგება დადოს მასთან, მან თავიდანვე უნდა გაათავისოს ის რისკი, რის წინაშეც იგი შეიძლება დადგეს, თუკი წარმოიქმნება ზიანი და ამ ზიანს აღნიშნული საზოგადოება ვერ აანაზღაურებს. ესეც უფრო ამე-

73 Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrechts. (2009), S. 163.

რიკული მიდგომაა, ვიდრე გერმანული.⁷⁴ ქართული კერძო სამართალი კი ჯერჯერობით გერმანული (სამოქალაქო) სამართლის სულისკვეთებას ინარჩუნებს და ამ მხრივ შესაძლოა ბევრი გაუთვალისწინებელი სიძნელე წარმოიშვას.

5. საფოსტებო კაპიტალის ფუნქციები სააქციო საზოგადოებაში:

გამომდინარე იქიდან, რომ თავდაპირველი კაპიტალი (შპს-ში) და საწესდებო კაპიტალი (სს-ში) ერთი და იმავე შინაარსის მქონე ცნებებია (განსხვავებაა მხოლოდ ტერმინოლოგიაში) ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების გარდა საწესდებო კაპიტალის კიდევ რამდენიმე ფუნქცია არის გამოსაყოფი. პირველი ეს არის კორპორაციის (სს-ის) ქონების შევსების სავალდებულო მინიმუმი. იგი გერმანიასა და ავსტრიაში თავად სს-ის დაფუძნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინა პირობად განიხილება. მიუხედავად გერმანული ცვლილებებისა შპს-ის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში, სს-სთან მიმართებით ასეთი ცვლილებები ჯერჯერობით არ განხორციელებულა.

ა) ქონების შევსების სავალდებულო მინიმუმი

საწესდებო კაპიტალი საზოგადოების ე.წ. „დაწყებით-სავალდებულო“⁷⁵ (სს-ის დაფუძნებისათვის აუცილებელი ქონების შევსების თვალსაზრისით) ქონებაა,⁷⁶ იმიტომ, რომ დამფუძნებელი

⁷⁴ აქ შეიძლება საუბარი caveat emptor-ის პრინციპზე, რომელიც უფრო ე.წ. Due Diligence-ის საკითხებთან მიმართებით მიიღება მხედველობაში, თუმცა გარკვეული პარალელები ამ კუთხითაც შეიძლება იქნეს გავლებული. მაგ.: L. Kirschner, Grenzen der Gewährung der Due Diligence durch den Vorstand einer Aktiengesellschaft, Arb.P. SS (Un. Hamburg) 2004, S. 1.

⁷⁵ Anfangs-Sollvermögen.

⁷⁶ G. H. Roth, Handels- und Gesellschaftsrecht, Verlag Orac. Wien 2000, S. 178.

აქციონერ-პარტნიორები მოვალენი არიან, საზოგადოებას შეუქმნან, კანონსმიერი მინიმალური სავალდებულო საწესდებო კაპიტალი.

საწესდებო კაპიტალი გამოთვლადი⁷⁷ და უცვლელი სიდიდეს, მაგალითად, აქციათა დაყოფის, გადანაწილების თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვანია იგი წმინდა მოგების გამოსათვლელად, აქციონერების წილთა გამოსათვლელად საზოგადოების ლიკვიდაციის დროს და კრედიტორებისათვის, როგორც მინიშნება იმაზე, თუ რა მოცულობითი ქონებით დაფუძნდა საზოგადოება და როგორი პასუხისმგებლობაუნარიანია იგი.⁷⁸

ბ) კორპორაციის მინიმალური აუცილებელი ქონება

კანონით დადგენილი სავალდებულო საწესდებო კაპიტალი მიეკუთვნება მინიმალურ სავალდებულო ქონების კატეგორიას.⁷⁹ როდესაც საზოგადოების „წმინდა ქონების“ ღირებულება – აქტივს გამოკლებული საზოგადოების ვალები – კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ საწესდებო კაპიტალს გადააჭარბებს, მხოლოდ მაშინ შეიძლება საზოგადოებაში შემოსული ქონება მოგების სახით უკვე აქციონერებზე განაწილდეს. აქედანაც ნათლად ჩანს, რომ ქართული სს-ის მომწესრიგებელი რეგულაციები განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს, რაზედაც ზემოთ უკვე იყო საუბარი.⁸⁰ მაგალითად, „სააქციო საზოგადოების შესახებ“ ავსტრიის ფედერალური კანონის 187-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი ამბობს, რომ მოგების განაწილება არ დაიშვება, სანამ რეზერვები საწესდებო კაპიტალის 10%-ს არ მიაღწევს. წინამდებარე პარაგრაფის მიხედვით, რეზერვებში, ძირითადად, მოიაზრება კაპიტალური ტიპის საზოგადოების სარეზერვო ფონდი. თავის მხრივ, სარეზერვო ფონდს აერთიანებს ე.წ. კანონისმიერი რეზერვი და კაპიტალრეზერვი.⁸¹

77 Klunzinger, Grundzüge des Gesellschaftsrecht. (2006), S. 158.

78 Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 356.

79 ე.წ. Mindest-Sollvermögen.

80 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი.

81 ე.წ. gesetzliche Rücklage und Kapitalrücklage.

ისინი ერთობლივად სარეზერვო ფონდს ქმნიან.⁸² სწორედ ამ სარეზერვო ფონდზეა საუბარი ავსტრიის კანონის წინამდებარე პარაგრაფში. იმისათვის, რომ საზოგადოებაში მოგება განაწილდეს, საზოგადოების კანონისმიერმა და კაპიტალრეზერვმა უნდა მიაღწიოს საწესდებო კაპიტალის 10%-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგების განაწილება დაუშვებელია. (აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გერმანიის სააქციო კანონის 233-ე პარაგრაფი აწესრიგებს ასევე ზემოაღნიშნულ საკითხს, მაგრამ მიუთითებს როგორც კანონისმიერ, ისე კაპიტალურ რეზერვებზე ცალ-ცალკე და ამბობს, რომ მოგების განაწილება მაშინაა შესაძლებელი, როდესაც კანონისმიერი და კაპიტალური რეზერვების ჯამი საწესდებო კაპიტალის 10%-ს გადააჭარბებს). თავის მხრივ, კანონისმიერი და კაპიტალრეზერვების შესახებ მოცემულია ავსტრიის „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის §130-ში (გერმანული სააქციო კანონის §150). წინამდებარე პარაგრაფი ეხება კანონისმიერი რეზერვების შექმნის ვალდებულებას და არეგულირებს მის დოტაციასა და გამოყენებას. აღნიშნული ნორმის მოთხოვნა ემსახურება კაპიტალის მდგრად შენარჩუნებასა და კრედიტორთა დაცვას იმდენად, რამდენადაც მისი მეშვეობით იქმნება საზოგადოებისათვის შეკავშირებული (დაკავშირებული) ქონება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზემოაღნიშნული ერთგვარად წარმოადგენს ბუფერულ მატერიალურ ზონას საწესდებო კაპიტალის უზრუნველყოფის აუცილებელი ქონების თვალსაზრისით. საერთოდ, რეზერვი საზოგადოებაში პასიურ ადგილს იკავებს და იმ საკუთარ კაპიტალს აღნიშნავს, რომელიც საწესდებო კაპიტალს არ გამოხატავს (არ მიეკუთვნება მას. წინამდებარე საკითხი განისაზღვრება უკვე ავსტრიის ფედერაციული რესპუბლიკის საწარმოთა კოდექსის (აღრე სავაჭრო კოდექსის)⁸³ 229-ე

82 იხ.: U. Hüfler, Aktiengesetz, Kommentar, 7. Auf., Verlag C. H. Beck, München 2006, S. 1165.

83 საქმე ის გახლავთ, რომ ავსტრიაში (2004-2007 წწ.) განხორციელდა სავაჭრო სამართლის გრანდიოზული რეფორმა (ნოველირება), რომლის საფუძველზეც HGB გარდაიქმნა UGB-დ, ანუ სავაჭრო კოდექსს შეეცვალა სახელწოდება და იგი ამჟამად ავსტრიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცნობილია როგორც მეწარმეთა (საწარმოთა)

პარაგრაფით⁸⁴). ძირითადად, ისინი განეკუთვნებიან საზოგადოების რისკის ფაქტორებს და გაუთვალისწინებელ დანახარჯებს, ამიტომაც მათ (რეზერვს) სხვაგვარად იურიდიულ ლიტერატურაში „უცხო კაპიტალს“ უწოდებენ.⁸⁵ კანონისმიერი რეზერვი ერთგვარად უფრო საზოგადოების მოგების რეზერვს განეკუთვნება. რაც შეეხება კაპიტალრეზერვებს, ისინი, ძირითადად, გაუთვალისწინებელი (თავისუფალი) შემოსავლების ან აჯიოს (გადაჭარბებული ღირებულების), დანამატების გადახდის შედეგად წარმოქმნილი რეზერვებია. კანონისმიერ და კაპიტალრეზერვებს, ძირითადად, განასხვავებენ მათი წარმომავლობის გზების მიხედვით.⁸⁶ შეიძლება ითქვას, რომ რეზერვი კორპორაციის ის ქონებაა, საიდანაც უნდა განაწილდეს საზოგადოების მოგება წილების საფუძველზე დივიდენდების სახით. ამიტომ, ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საწესდებო კაპიტალი *საბალანსო ფუნქციის* მატარებელიცაა.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს იმ ღირებულებას, რომლის შეტანის ვალდებულებასაც საზოგადოების დამფუძნებლები ერთობლივად კისრულობენ. ეს ზუსტადაა მოწესრიგებული ნორმატიული გზით. საწესდებო კაპიტალის თანხა შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალის ოფიციალური მომატების ან შემცირების დროს იქნეს შეცვლილი.⁸⁷

კოდექსი. ცვლილებები და დამატებები განხორციელდა საეაჭრო კოდექსის „ჩონჩხზე“, ამიტომ მასში (საეაჭრო კოდექსში) ძალიან ბევრი ცვლილება შევიდა. ასე რომ, ნუ გაგვიკვირდება, თუკი საეაჭრო კოდექსის ნაცვლად შეგვხვდება მეწარმეთა (საწარმოთა) კოდექსი, რომელიც საწარმოთა სპეციალურ კერძოსამართლებრივ ნორმებს მოიცავს. კანონი ძალაში 2007 წლის 1 იანვარს შევიდა.

84 Kodex des österreichischen Rechts. 23. Auf., Verlag Orac, Wien 2006, S. 51.

85 Hüfner, Aktiengesetz. Kommentar. (1999). S. 721.

86 იხ.: Hüfner, Aktiengesetz, Kommentar, (2006). S. 819.

87 ამას ითვალისწინებდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის აღრინდელი რედაქცია (59-ე მუხ.). იხ.: ჭანტურია/ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, III გამოც. (2002), გვ. 447.

გ) საზოგადოების პასუხისმგებლობის განსაზღვრის გარანტია

შესაძლოა გამოიყოს ასევე საწესდებო კაპიტალის ისეთი ფუნქცია, როგორც არის საფონდო პასუხისმგებლობის ფუნქცია. საწესდებო კაპიტალი სს-ის კრედიტორთათვის ერთგვარად პასუხისმგებლობის გარანტიას უნდა წარმოადგენდეს. მთავარი აქ მესამე პირთა მხრიდან გამოვლენილი ნდობის ფაქტორია. თუმცა აშშ-ის საკორპორაციო სამართალში, ამ მხრივ, ნდობის ფაქტორი შესაძლოა, გარკვეულწილად უკანა პლანზე იქნეს დაწეული. ამერიკულ სამართალში, კერძო სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე, კრედიტორს თავად დაეკისრება შესაძლო რისკის გათვალისწინების ვალდებულება. ამერიკულ სამართალში საზოგადოების კაპიტალის ღირებულება არ აისახება სამეწარმეო რეესტრში⁸⁸ (გერმანიისა და ავსტრიისაგან განსხვავებით). ამიტომ კრედიტორმა სავალდებულო წინდახედულება უნდა გამოიჩინოს, რათა შეცდომაში არ შევიდეს.⁸⁹ საჯარო კორპორაციის შემთხვევაში, ბუნებრივია, ეს რისკი ძალიან მცირდება.⁹⁰ დახურული კორპორაციის დროს, რა თქმა უნდა, მოტყუების (ან კორპორაციის კაპიტალის ინფორმაციის შესახებ დოკუმენტაციის დამალვის ან გაყალბების) შემთხვევაში, იგი დაეყრდნობა გამჭოლი პასუხისმგებლობის სამართალს,⁹¹ მაგრამ პირველ შემთხვევაში მას, caveat emptor-ის პრინციპიდან გამომდინარე, მართებს სათანადო და აუცილებელი გულმოდგინება.

ზოგადად, კრედიტორებისთვის გაცილებით მისაღებია იმ საწარმოსთან ურთიერთობა, რომელსაც უფრო მეტი საწესდებო კაპიტალი აქვს, უფრო დიდი ქონება გააჩნია, ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობა გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული და სავსებით

88 Joseph W. Bartlett, *Fundamentals of Venture Capital*, Madison Books, Lanham 1999, p. 8.

89 Dermot Berkery, *Raising venture capital for the serious entrepreneur*, McGraw-Hill Publisher, New York 2008, p. 233.

90 Berkery, *Raising venture capital for the serious entrepreneur*, p. 229.

91 ამ ინსტიტუტის თაობაზე ქვემოთ უფრო დავწვრილებით იქნება საუბარი.

გასაგებია, რომ საზოგადოების შესაძლო არარენტაბელური საქმიანობის შემთხვევაში, კრედიტორს გაცილებით დიდი ალბათობა აქვს „დიდი ქონებიდან“ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, ვიდრე მცირე სახსრებიდან. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ამ ფუნქციიდან გამომდინარე, საწესდებო კაპიტალი ერთგვარად განსაზღვრავს კაპიტალური საზოგადოების *სიმყარის* გარანტიასაც.

6. პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე საწარმოს მთელი (კაპიტალით) ქონებით: კანონის დემკლარაციული მოცემულობა თუ კანონის კომპილაცია?

როგორც წესი, დათქმული შენატანების განხროციელებით და საზოგადოების საკუთრებაში მათი გადაცემით, პარტნიორი შპს-ში (და საერთოდ კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში) იკავებს წევრის სამართლებრივ სტატუსს. ამით იგი საკუთარ პასუხისმგებლობას იზღუდავს მესამე პირთა წინაშე და, როგორც წესი, თავისუფლდება პირადი პასუხისმგებლობისაგან. სწორედ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება განსაზღვრავს ამ შინაარსს, სადაც ნათქვამია, რომ შპს არის ისეთი ტიპის კაპიტალური საზოგადოება, რომელიც პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე მთელი თავისი ქონებით.⁹² ეს იმას ნიშნავს, რომ პარტნიორი თავისუფლდება ინდივიდუალური პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მისი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება იმ შენატანით, რაც მან საზოგადოებისათვის გაიღო. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ასეთი კითხვა: ზომ არ არსებობს ისეთი შემთხვევა, როდესაც შეზღუდული პასუხისმგებლობის მიუხედავად შესაძლოა დადგეს კაპიტალური ტიპის საზოგადოების პარტნიორის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი? სწორედ ეს კითხვა შეიძლება დაუკავშირდეს იმ საკითხს, რასაც გერმანული

92 იხ.: ასევე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტი.

სამართალი Durchgriff-ს, ხოლო ამერიკული Piercing the Corporate Veil-ს უწოდებს.

6.1. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“⁹³ ცნება და მნიშვნელობა თანამედროვე კაპიტალური საზოგადოების სამართლისათვის

შპს-ის, როგორც იურიდიული პირის და სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის ქონება უნდა განსხვავდებოდეს მისი მონაწილეების პირადი ქონებისაგან, იმ ქონებისაგან, რომელიც მისი პარტნიორების სამართლებრივი განკარგვის სფეროში ექცევა. დანაწილების ეს პრიციპი⁹⁴ მეტად მნიშვნელოვანია იმ დროიდან მოყოლებული, რა დროიდანაც საუბარია იურიდიულ პირზე (კორპორაციაზე) როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე დამოუკიდებელ სუბიექტზე. ამიტომ საზოგადოების ქონებას და პარტნიორის ქონებას შორის დანაწილებას⁹⁵ და მათ შორის მკვეთრი ზღვარის გაელებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. /ერთი პირის შპს-ში (ასევე სს)⁹⁶ ამ პრინციპის დაცვას საკორპორაციო

93 Piercing the Corporate Veil (Durchgriffshaftung) სიტყვასიტყვით ნიშნავს შეღწეად. გამჭოლ პასუხისმგებლობას. მოკლედ რომ ითქვას, ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, როდესაც პარტნიორს მისი შეზღუდული პასუხისმგებლობის მიუხედავად შეიძლება დაეკისროს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის. ამიტომ მე ვამჯობინე ამ შინაარსის ერთ სიტყვაში გადმოცემა: „გამჭოლი პასუხისმგებლობა“. თანამედროვე საკორპორაციო სამართალში ეს ძალზე საინტერესოა საკითხია. ამის თაობაზე ვრცლად შევიძლიათ იხილოთ დიდძალი ლიტერატურა. აქ მხოლოდ რამდენიმეს ჩამოთვლი: Alan R. Palmiter, Corporations, 5 Edit., Aspen Publishers, New York, 2006, p. 553-571; Hamilton, The Law of Corporations, (2000), p. 134-163; Johnatan R. Macey (Edit.), The icons cases in Corporate Law, Thomson West Publishers, St. Paul 2008, 165-191; Merkl/Göthel, US-amerikanisches Gesellschaftsrecht, S. 236-254; Grunewald, Gesellschaftsrecht, (2008), S. 396-402; და ა.შ.

94 Trennungsprinzip. ამის თაობაზე მაგ.: Kindler, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht, (2007), S. 334 ff.

95 Kindler, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht, (2007), S. 334.

96 შპს, სს შესაძლოა ასევე შეიქმნას ერთი პირის მიერაც. ამას ნაციონალური კანონმდებლობაც განსაზღვრავს. „შეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადება. იგივეს იუწყება გერმანული და ავსტრიული კანონმდებლობა.

სამართალი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს.⁹⁷ ამ შემთხვევაშიც, როგორც წესი, კრედიტორების წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ შპს და არა მისი ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორი.⁹⁸ თუმცა შპს-ის იურიდიული პირის დამოუკიდებლობა არ გამორიცხავს იმას, რომ დანაწილების ეს პრინციპი, განსაკუთრებული წინაპირობების გათვალისწინებით, შელახულ იქნეს.⁹⁹ სწორედ ასეთ შემთხვევებში შესაძლოა საქმე იქამდე მივიდეს, რომ პარტნიორს, მიუხედავად მისი შეზღუდული პასუხისმგებლობისა, მაინც დაეკისროს პასუხისმგებლობა მისი ინდივიდუალური ქონებით,¹⁰⁰ იმ ქონებით, რომელიც განცალკევებულია საზოგადოებისაგან.

Veil-piercing-ის (გამჭოლი პასუხისმგებლობა) იურისპრუდენცია აშშ-ში და გერმანიაში დიდი ხნის განმავლობაში ეფუძნება გარკვეულ ფაქტებს, მასზე დამოკიდებულ გარემოებებს და მათ სავალდებულო კატეგორიად განიხილავს.¹⁰¹ ამიტომ, განსაკუთრებით ამერიკაში, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა მოსამართლეს (სასამართლოს) ანიჭებს მნიშვნელოვან დისკრეტციას, შესაძლებლობას აძლევს რა განახორციელოს მართლმსაჯულება და მიიღოს ინდივიდუალური გადაწყვეტილება, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება მოყვანილი კონკრეტული კაზუსის ობიექტურ განხილვასთან.¹⁰²

უფრო განვრცობითი მნიშვნელობით, ამგვარ პასუხისმგებლობაში შეიძლება მოიაზრებოდეს ისეთი იურიდიული ფაქტები, რომლის მიხედვითაც საწარმოს პარტნიორი, ზოგადი კერძოსამართლებრივი ნორმების შესაბამისად, პასუხისმგებელია საზოგადოების ვალდებულებებისათვის. ასეთ ფაქტებს შეიძლება მიეკუ-

97 U. Eisenhardt, *Gesellschaftsrecht*, 13. Auf., Verlag C. H. Beck, München 2007, S. 417.

98 Eisenhardt, *Gesellschaftsrecht*, S. 417.

99 Kindler, *Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht*, (2007), S. 335.

100 Raiser, *Recht der Kapitalgesellschaften*, (2001), S. 490.

101 Sandra K Miller, *Piercing the corporate veil among affiliated companies in the European Community and in the U.S.: A comparative analysis of U.S., German and U.K. Veil-Piercing approaches*, *American Business Law Journal* (36 Am. Bus. L.J.), Fall 1998, p. 79.

102 F. Hodge O'neil and R. Thomson, *Close Corporations*, 3. edition, 1997, p. 49.

თვნივბოდეს პარტნიორის ისეთი ზოგადი პასუხისმგებლობა როგორიც არის: საგარანტიო პასუხისმგებლობა, culpa in contrahendo,¹⁰³ შეცდომა, დელიქტური პასუხისმგებლობა¹⁰⁴ და სხვ. იმდენად, რამდენადაც საკითხი საკორპორაციო სამართლის თავისებურებას შეეხება, ზოგადი ფაბულის მიხედვით, აყალიბებენ ორ ძირითად შემთხვევას.¹⁰⁵ პირველი გულისხმობს ე.წ. Zurechnungsdurchgriff-ს, ხოლო მეორე – Haftungsdurchgriff-ს.¹⁰⁶ Zurechnungsdurchgriff-ის საგანი არის ის თვისებები, განმარტებები, მოსაზრებები ან მოქმედება, რომელიც შესაძლოა საზოგადოებას ან მის პარტნიორს მიეთვალოს.¹⁰⁷ სხვა სიტყვებით, ამ შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ კონსტალაციას, როდესაც საზოგადოება და მისი პარტნიორი რეალურ სიტუაციაში იგივეობრივ ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენს.¹⁰⁸ ამ დროს ვერ ხერხდება იმ უპირატესობის დანახვა, რაც იურიდიულ პირს, როგორც სამართლის დამოუკიდებელ განცალკევებულ სუბიექტს აქვს. მოკლედ რომ ითქვას, ხდება იურიდიული პირის და მისი წევრის (ქმედების) აღრევა ერთმანეთში. აქ არ აქვს მნიშვნელობა იმას, ხდება თუ არა იურიდიული პირის, როგორც სამართლებრივი კონსტრუქციის, უფლების ბოროტად გამოყენება სუბიექტური მოსაზრებიდან გამომდინარე.¹⁰⁹ ყურადღება ექცევა იმ ობიექტურ რეალობას, იმ ფაქტს, რომ მოხდა ამა თუ იმ ქმედების ჩათვლა საზოგადოების ან მისი პარტნიორის სასარგებლოდ.¹¹⁰ გამომდინარე აქედან, შესაძლოა დადგეს ზიანის ანაზღაურების საკითხი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ხელ-

103 ბრალეულობა ხელშეკრულების დადებისას. იხ.: ნ. კაპანაძე/მ. კვაჭაძე, ლათონური-ქართული იურიდიული ლექსიკონი, სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბ. 2008, გვ. 22.

104 Raiser, Recht der Kapitalgesellschaften. (2001), S. 491.

105 Wiedemann, Gesellschaftsrecht I, S. 217 ff; Stimpel, FS Goerdeler. S. 601.
604. უუთითებ: Raiser, Recht der Kapitalgesellschaften. (2001), S. 491.

106 Raiser, Recht der Kapitalgesellschaften. (2001), S. 491.

107 Kindler, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht. (2007). S. 336.

108 Kindler, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht. (2007). S. 336.

109 Kindler, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht. (2007). S. 336.

110 გერმანული სასამართლო პრაქტიკა რამდენიმე შემთხვევას ითვალისწინებს.
იხ.: Raiser, Recht der Kapitalgesellschaften. (2001), S. 493-495.

შეკრულების ბათილობის საკითხის დაყენება იმ მხარის მიერ, რომელმაც საწარმოსთან დადო ეს გარიგება. ამ მხრივ აღიარებულია, რომ ბათილობის საკითხის დაყენება პიროვნების ხასიათის არსებითი შეცდომის მოტივით სავსებით დასაშვებია. მაგალითად, როდესაც საქმე საზოგადოების ძირითად პარტნიორს ეხება და ხელშემკერელი მხარისათვის გაუგებარი აღმოჩნდება, თუ არსებითად ვისი სახელით იმოქმედებს იგი – საზოგადოების თუ საკუთარი სახელით.¹¹¹ ამის საილუსტრაციოდ გარკვეული მაგალითებიც არის მოყვანილი უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში: სავაჭრო მაკლერი პროვიზიას იღებს იქიდან გამომდინარე, რომ იგი შუამავლის ფუნქციას ასრულებს, მონაწილეობს რა მესამე პირებს შორის ხელშეკრულების დადებაში და ამას უწყობს ხელს. არ არსებობს პროვიზიის მოთხოვნის უფლება, თუ იგი ხელშეკრულებას თავად დადებს. სასამართლო პრაქტიკა მიდის იქითკენ, რომ ამ შემთხვევაში მაკლერს არ აქვს პროვიზიის მოთხოვნის უფლება მაშინაც კი, როდესაც იგი საშუამავლო ხელშეკრულებას გააფორმებს მის სრულ დამოკიდებულებაში მყოფ საწარმოსთან (ანუ თუკი შუამავლობას გაწევს მასზე მთლიანად დამოკიდებულ შპს-სა და მესამე პირს შორის). მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაში ეკონომიკური თვალსაზრისით ხელშეკრულება ფორმდება თავად მაკლერთან და არა დამოუკიდებელ მესამე პირთან.¹¹²

აშშ-ის სამართალში გამჭოლი პასუხისმგებლობა ხშირად ასოცირდება მოტყუების განზრახ აქტთან, ან შეცდომაში შემყვანი ბუნების მქონე სხვა აქტთან.¹¹³ ბუნებრივია, პირის მხრიდან ამგვარმა ქმედებამ შესაძლოა შექმნას არასამართლიანი გარემო კრედიტორისთვის, რის შემდეგაც ამ უკანასკნელს იურიდიული დოგმატიკა ანიჭებს შესაძლებლობას დაეყრდნოს და გამოიყენოს veil-piercing. ამიტომ, როგორც ამერიკული case law ამბობს, გამჭოლმა პა-

111 RGZ 143, 429, 431 f. უთითებ: Kindler, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht, (2007), S. 337.

112 Kindler, Grundkurs Handels- und Gesellschaftsrecht, (2007), S. 337; ასევე: Raiser, Recht der Kapitalgesellschaften, (2001), S. 494.

113 Sandra K Miller, 36 Am. Bus. L.J., Fall 1998, p. 117-118.

სუხისმგებლობამ თავიდან უნდა ააცილებინოს საკორპორაციო სამართალს მესამე პირის, კრედიტორის შეცდომაში შეყვანა (მოტყუება), აღკვეთოს არასამართლიანი ქმედება, დაძლიოს სიმართლის (ჭეშმარიტი ფაქტების) დაფარვის მცდელობა¹¹⁴ და ა.შ. პრინციპში ზემოთ თქმული დაკავშირებულია ისეთ ფაქტებთან როგორც არის ფორმალობების (ფორმალური წინაპირობების) დაუცველობა საწარმოს წევრთა (პარტნიორთა) მხრიდან, დიდი „ქვეკაპიტალიზაცია“,¹¹⁵ აქტივების აღრევა პასივებში.¹¹⁶ როგორც შეერთებულ შტატებში, ისე, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ყოველივე ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოს მეწილეთა მხრიდან კონტროლის მექანიზმების განხორციელებასთან.¹¹⁷ ზემოთ ჩამოთვლილი იურიდიული ფაქტების კონტროლი და დაცვა ხომ საზოგადოების წილის მფლობელთა უფლებამოსილებაში შედის. უფრო მეტიც, ეს მათი ვალდებულებაცაა (მაგალითად, შენატანის დროული და ჯეროვანი განხორციელება და მისი გადაცემა საზოგადოებისათვის, თანაც ამ შენატანის სათანადო საბუღალტრო აღრიცხვა, საიდანაც ნათლად გაირკვევა, თუ რა ქონება იქნა შეტანილი ამა თუ იმ პარტნიორის მიერ საზოგადოებაში და გადაცემულ იქნა თუ არა ეს უკანასკნელი რეალურად საწარმოსათვის და სხვ.)

ამ მხრივ აყალიბებენ იმ ძირითად კრიტერიუმებს, რის მიხედვითაც შესაძლოა იურისტები გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებამდე მივიღნენ.

114 *Robertson v. Roy L. Morgan Production Co.*, 411 F. 2d 1041 (1969); *Anderson v. Abbott*, 321 U.S. 349 (1944); *Brock v. Poor*, 11 N.E. 229 (N.Y. 1915). ვუთითებ: *Merkel/Göthel*, US-amerikanisches Gesellschaftsrecht, S. 236.

115 იხ. „gross undercapitalization“, გერმ. „Unterkapitalisierung“. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სახეზეა კაპიტალის ისეთი დოზით შემცირება, რომ კრედიტორის მოთხოვნები შესაძლოა საერთოდ დაუკმაყოფილებელი დარჩეს. მოკლედ, როდესაც საზოგადოებას თითქმის აღარ გააჩნია რეგისტრირებული ან წესდებით დადგენილი (ან საკუთარი და/ან საბრუნავი) კაპიტალი. შესაბამისად, ამის აღმნიშვნელად აქ გამოყენებულია ტერმინი ქვეკაპიტალიზაცია.

116 იხ.: *DeWitt Truck Brokers v. W. Ray Flumming fruit Company*, 540 F. 2d 681 (Cir 1976); *Lowerdahl v. Baltimore & O. R. Company*, 6 N. E. 2d 56 (N. Y. 1936); *Brunswick Corporation v. Waxman*, 459 F. Supp. 1222 (E. D. N. Y. 1978).

117 *Sandra K. Miller*, 36 Am. Bus. L.J., Fall 1998, p. 119.

6.2. ზოგადი ფაბულა

თავდაპირველად აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხს შემხებლობა აქვს, როგორც წესი, მხოლოდ დახურული ტიპის კორპორაციებთან. ამას ის ემპირიული გამოკვლევებიც უჩვენებს, რომელიც აშშ-ში ჩატარდა გასული საუკუნის ბოლოს.¹¹⁸ ამიტომ, მე, ძირითადად, ყურადღება სწორედ დახურული ტიპის საზოგადოებაზე¹¹⁹ გავაკეთე. ამ საკითხის მსჯელობა სწორედ რომ შპს-ში იქნა წარმოდგენილი იმდენად, რამდენადაც ამერიკული სასამართლოები piercing-ს დახურულ კორპორაციებთან მიმართებით იხილავენ და მას ნაკლები შეხება აქვს ღია (საჯარო) საზოგადოებებთან.¹²⁰ დახურული ტიპის კორპორაციებში მეწილეები (პარტნიორები), როგორც წესი, თავად არიან აქტიურად ჩაბმულნი საწარმოს ბიზნესის მართვაში, ისინი პირადად ხელმძღვანელობენ კორპორაციას, ადგენენ რისკებს საზოგადოების აქტივების დაფარვის (შექმნის) გათვალისწინებით.¹²¹ ამის გარდა, „საინვესტიციო დივერსიფიკაცია და აქტივი სავაჭრო ბაზარზე – ორი საბაზი მათი შეზღუდული პასუხისმგებლობისათვის – ინვესტორთათვის შემდგომში ნაკლებად მნიშვნელოვანია“.¹²² გამომდინარე იქიდან, რომ ამერიკული დახურული კორპორაცია, განსახვევების მიუხედავად, მსგავსებას ავლენს ქართულ, გერმანულ, ავსტრიულ შპს-სთან¹²³ საკითხი სწორედ ამ სამართლებრივი ფორმის ჭრილში იხილება.

118 ამის თაობაზე: Robert B. Thompson. Piercing the corporate veil: An empirical study. 76 Cornell L. Rev. 1991, p. 1036. უთითებ: Palmiter, Corporations, (2006), p. 554.

119 closely held corporations.

120 Palmiter, Corporations, (2006), p. 554.

121 Palmiter, Corporations, (2006), p. 554.

122 Palmiter, Corporations, (2006), p. 554.

123 ამ საკითხის ირვლივ უფრო ვრცლად მაგალითად: ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა, გვ. 77-97; გერმანული და აშშ-ის დახურული კორპორაციის შესადარებლად მაგალითად: H. Bungeert, Gesellschaftsrecht in den USA, 3. Auf., Rehm, München 2003, S. 31, 55 ff.

(1) კორპორაციის, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის წარმონაქმნის, იურიდიული დახასიათება

ძირითადად, არსებობს ოთხი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რითიც კორპორაცია¹²⁴ განსხვავდება სხვა ბიზნეს წარმონაქმნებისაგან. ეს არის (ა) მესამე პირთა კრედიტორთა წინაშე ინვესტორთათვის შეზღუდული პასუხისმგებლობა (რითიც ინვესტიციის განხორციელების თვალსაზრისით ეს სამართლებრივი ფორმა მიმზიდველი შეიძლება იყოს მათთვის), (ბ) წილთა (აქციათა) თავისუფალი გასხვისების სამართლებრივი რეჟიმი, (გ) ე.წ. perpetual life, ანუ უვადო მოქმედების რეჟიმი (აქ იგულისხმება ის, რომ კორპორაციის არსებობა-ფუნქციონირება არ არის დამოკიდებული მასში წევრთა ცვლილებაზე თუ სხვა ფაქტორზე), (დ) ცენტრალიზებული მენეჯმენტი.¹²⁵ ამ ოთხი მახასიათებელიდან ყველაზე უმთავრესი არის სწორედ კორპორაციაში (ა) შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ბუნება. ამიტომაც მიჩნეულია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობა არის კორპორაციული სამართლის ფუნდამენტური პრინციპი.¹²⁶ თუმცაღა ეს არ ნიშნავს შეზღუდული პასუხისმგებლობის აბსოლუტურად შეუზღუდავ ხასიათს.¹²⁷ შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში არ არის დეკლარაციული (აბსოლუტური) ხასიათისა.¹²⁸ ამიტომ ზოგჯერ „სასამართლოები კრედიტორებს აძლევენ შესაძლებლობას შეაღწიონ კორპორაციულ მოსახამში, რაც იმას ნიშნავს, რომ მეწილეებმა

124 კორპორაცია აშშ-ის და გერმანული გაგებით მხოლოდ იურიდიული პირია. ამ მხრივ გარკვეული განსხვავებებია ქართულ და ამერიკულ და გერმანულენოვან სამართალს შორის.

125 Roberta Romano, *Legal Characteristics of the Corporations: Limited Liability* in R. Romano, *Foundations of Corporate Law*, Foundation Press, New York 1993, p. 61.

126 Frank H. Easterbrook/Daniel R. Fischel, *Limited Liability and Corporation* in R. Romano, *Foundations of Corporate Law*, Foundation Press, New York 1993, p. 62.

127 *Adams v. Cape Industries*, 2 W. L. R. 657, 1989 WL 651250 (C. A. 1990).

128 J. Jarrod Jordan, *Piercing the corporate veil in west virginia: the exstention of laya to all sophisticated commercial entities*, 109 W. Va, L. Rev. (2006), p. 148.

უნდა დააკმაყოფილონ კრედიტორთა მოთხოვნები“.¹²⁹ შეზღუდული პასუხისმგებლობა ნიშნავს, რომ კრედიტორი შესაძლოა დარჩეს გადაუხდელი იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციული ქონება საკმარისი არ აღმოჩნდება მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. ამიტომაც საუბრობენ იმაზე, რომ ამგვარი შეზღუდული პასუხისმგებლობის მიუხედავად, სასამართლო კრედიტორს შესაძლებლობას ანიჭებს აღძრას სარჩელი ყველა ან რამდენიმე პარტნიორის წინააღმდეგ სასამართლოში იმისთვის, რომ „სასამართლოს მიერ გაფართოვდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფარგლები იურიდიული პირის მიღმა“.¹³⁰ სხვაგვარად რომ ითქვას, პასუხისმგებლობა კრედიტორის მხრიდან გახდეს „არაკორპორაციული“,¹³¹ არამედ გამჭოლი, ანუ შეღწევადი პარტნიორთა მიმართ. გასული საუკუნის ბოლომ და, მით უფრო, ამ საუკუნის დასაწყისმა ნათლად წარმოაჩინა, რომ მცირე ბიზნესს შთანთქავს დიდი ბიზნესი და ამ პროცესში არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ piercing-ის მოთხოვნა წარმოადგენს ყველაზე უფრო გავრცელებულ სასამართლოსეულ სფეროს საკორპორაციო სამართალში.¹³² მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში, ისევე როგორც გერმანიასა და ავსტრიაში საკორპორაციო კანონმდებლობა უდიდეს ყურადღებას უთმობს საზოგადოების ქონების შენარჩუნების მოვალეობას, საზოგადოების კაპიტალის დაცვის გარანტიის განმახორციელებელ პრინციპებს, შესაძლოა, რომ საზოგადოების კაპიტალი აღარ აღმოჩნდეს საკმარისი შესაძენი პირების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. არადა საზოგადოების კაპიტალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის საფონდო პასუხისმგებლობის ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ საწესდებო კაპიტალი კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მნიშვნელო-

129 Easterbrook/Fischel, Limited Liability and Corporation in: Romano, Foundations of Corporate Law, p. 62.

130 Franklin A. Gevurtz, Corporation Law, Hornbook series, St. Paul, Minn 2000, p. 69-70.

131 beyond the corporate entity.

132 Robert B. Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, 76 Cornell Law Revue (1991), p. 1036.

ვანი გარანტია უნდა იყოს (მაგრამ, როგორც ჩანს, არა ერთადერთი). ამიტომ საკითხავია რა დოზით უნდა იქნეს უარყოფილი კორპორაციის (როგორც განცალკევებული სუბიექტის) დამოუკიდებელი არსებობა იმისათვის, რომ ობიექტური ჭეშმარიტების და სიმართლის დასადგენად განხორციელდეს ელემენტარული მართლმსაჯულება ან კიდევ თავიდან იქნეს აცილებული მკვეთრად ჩამოყალიბებული საჯარო წესრიგის შელახვის ფაქტები.¹³³ მოკლედ, უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება სავსეა უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებით. ამიტომ შესაძლოა დადგეს კორპორაციის, როგორც იურიდიული პირის ბოროტად გამოყენების შემთხვევა და პირები კორპორაციული მოსახსნამის მიღმა ახორციელებდნენ ისეთ ქმედებებს, რომელიც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს კრედიტორთა მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას. კორპორაციამ კი სწორედ იმგვარად უნდა შექმნას მისი კაპიტალი, რომ იგი გადახდისუნარიანი და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობაუნარიანი იყოს კრედიტორების წინაშე. ამის თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების შესრულებასთან ერთად, გამოიყენება სამოსამართლო სამართალი, რომელიც სწორედ ამ ნორმების დარღვევის შემთხვევაში იჩენს თავს. გამჭოლი პასუხისმგებლობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, უპირატესად, ამერიკული სამოსამართლო სამართლის ქმნილებაა. ამიტომ აყალიბებენ იმ ძირითად კითხვა-კრიტიერიუმებს, რომელიც გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისას მხედველობაში მიიღება. ამერიკელმა მოსამართლე მაქ ჰაგმა, მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში,¹³⁴ ერთგვარად, თავი მოუყარა კიდევ იმ საერთო მახასიათებლებს, რომელიც გამჭოლი პასუხისმგებლობის დროს მიიღება მხედველობაში.¹³⁵ ამიტომ აქ ჩამოთვლილი იქნება,

133 Hamilton, *The Law of Corporations*, (2000), p. 134.

134 *Laya v. erin Homes, Inc.*, 352 S. E. 2d 93, 98 (W. Va. 1986). ეუთითებ: Merkl/Göthel, *US-amerikanisches Gesellschaftsrecht*, S. 239.

135 ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორის პანო შერკისა და სტეფან გოტელის ზემოთ აღნიშნულ მონოგრაფიაში ეს კითხვარი საკმაოდ დეტალურად არის მოცემული. ამიტომ ამ შემთხვევაში, მე სწორედ ამ ნაშრომიდან ვამჯობინე მისი

ძირითადად, ის უმთავრესი კითხვები, რომელიც აუცილებელია ამ საკითხის განსაზღვრისათვის.

(2) ძირითადი საფუძველი გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისთვის

2.1. დასადგენ იურიდიულ ფაქტთა მოცემულობა

იმისათვის, რომ დადგეს ამგვარი პასუხისმგებლობის საკითხი, საჭიროა სასამართლომ გაარკვიოს ის ფაქტები, რომლის არსებობის დროსაც შესაძლებელია საუბარი იყოს veil piercing-ზე. ამიტომ აუცილებელია დაისვას ძირითადი კითხვები: ხომ არ იქნა საზოგადოებისა და მისი წევრის (პარტნიორის) ქონება ერთმანეთში აღრეული, იქნა თუ არა დაცული წილების გაცემისას წილთა გაცემისა და დარიგების ფორმალური და მატერიალური პროცედურული წინა პირობები, ხომ არ წარმოექმნა შესაძლებელი პირს შთაბეჭდილება იმისა, რომ კონტრაპენტი (ჩვენ შემთხვევაში საზოგადოების პარტნიორი) პირადად არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე, იქნა თუ არა საწარმოს კაპიტალის შევსებისას და შენატანების განხორციელებისას სათანადოდ აღრიცხული საბუღალტრო დოკუმენტაცია და საზოგადოების წიგნების სათანადო წარმოება, ადგილი ხომ არ ჰქონდა ორი საწარმოს ისეთ ფორმალურ დაყოფას, საიდანაც ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდებოდა იმის გარკვევა, იმყოფებოდა თუ არა ეკონომიკური საკუთრება (equitable ownership) დამოუკიდებელ ერთეულთა თუ ერთი პირის ხელში, ხომ არ მოხდა საზოგადოების ისეთი „ქვეკაპიტალიზაცია“, რომელიც რეალურად ვერ დააკმაყოფილებდა კრედიტორების მოთხოვნებს, იყო თუ არა თავმოყრილი საწარმოს მთლიანი (ჯამური) წილი ერთი პირის ან ერთი ოჯახის ხელში, იქნა თუ არა ხელყოფილი სამართლებრივი

ჩამოთვლა. აქედან გამომდინარე, კითხვარი-კრიტიკიუმი, უმეტესწილად, ამ წიგნიდან იქნება წარმოდგენილი.

პრინციპები დაკავშირებულ საწარმოთა (მაგალითად, კონცერნი) ეკონომიკური თავისუფლების და დამოუკიდებლობის შესახებ, ხომ არ იქნა დადებული გარიგება საზოგადოებასა და მის პარტნიორს შორის სესხის თაობაზე ისე, რომ არანაირი გარანტია სახეზე არ არსებობს (ბუნებრივია, ასეთი უზრუნველყოფის არ არსებობამ შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს საწარმოს გადახდისუნარიანი კაპიტალი), რამდენიმე საწარმოს შორის ხომ არ იქნა აქტივი და პასივი იმგვარად გადანაწილებული (და შედგენილი), რომ აქტივი მხოლოდ ერთი საზოგადოების ხელშია თავმოყრილი, ხოლო პასივი სხვა მხარეზე იმყოფება (რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს კრედიტორთა მოთხოვნების რეალური დაკმაყოფილების საკითხი).¹³⁶) ეს სწორედ ის უმთავრესი კითხვებია, რომლებსაც აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი. შესაბამისად, მათზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ იქნება შეფასებული შემდგომში სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით დაკმაყოფილება თუ არა მოსარჩელის იურიდიული მოთხოვნა.

(3) (კორპორაციულ საფარველში) შეღწევის წყაროები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კორპორაციულ მოსახსნამში შეღწევას სასამართლო იწყებს გარკვეული ფაქტების გამოკვლევით. როგორც ამბობენ „შეღწევა (კორპორაციულ საფარველში)¹³⁷ – მართლზომიერი ქმედებაა, რომელიც სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს უსამართლობა“.¹³⁸ პრობლემას წარმოადგენს სწორედ ის, რომ სასამართლო უნდა გასცდეს მოქმედების ამ ფართო არეალს და დაადგინოს, თუ რა კონკრეტული ფაქტები აყალიბებს ამ უსამართლობას და რატომ.¹³⁹

136 Merkl/Göthel, US-amerikanisches Gesellschaftsrecht, S. 239-240.

137 ჩამატება ავტორისაა (ი.ბ.).

138 DeWitt Truck Brokers v. W. Ray Flumming fruit Company, 540 F. 2d 681 (Cir 1976).

139 Gevurtz, Corporation Law, (2000), p. 70.

სწორედ ამიტომ ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები, რომლის ირგვლივაც უნდა დასვას მოსამართლემ შეკითხვები და რომელი იურიდიული ფაქტებიც უნდა გამოარკვიოს მან.

3.1. „ქვეკაპიტალიზაცია“

სასამართლოები ზოგჯერ გამოთქამენ მზად ყოფნას, „შეაღწიონ კორპორაციულ საფარველში“ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო შექმნილია ან მისი საქმიანობა წარმართულია კაპიტალის ისეთი ოდენობით, რომელიც, განხორციელებული გარიგებებიდან გამომდინარე, ვერ დააკმაყოფილებს შემხვედრ ვალდებულებებს.¹⁴⁰ არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები მხარს უჭერენ piercing-ს, როცა სახეზეა „ნომინალური კაპიტალიზაცია“¹⁴¹ ან ადგილი აქვს მიზანმიმართულ უარს დაკავშირებულს (ქონების) დაზღვევასთან.¹⁴²

„ქვეკაპიტალიზაცია“ არის ისეთი შემადგენლობა, როდესაც საწარმო ქმედუნაროა თავი გაართვას დასახული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზანს.¹⁴³ საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ „ქვეკაპიტალიზაცია“ არ არის ბალანსის გარღვევის იდენტური.¹⁴⁴ საზოგადოება განიცდის ქვეკაპიტალიზაციას, როდესაც მისი საკუთარი კაპიტალი არ არის საკმარისი იმისათვის,

140 Palmiter, Corporations, (2006), p. 558.

141 ან სხვაგვარად მატერიალური „ნომინალური ქვეკაპიტალიზაცია“. ამ უკანსაქნელის თაობაზე საუბარია მაშინ, როდესაც საზოგადოების პარტნიორები საჭირო კაპიტალს სესხის ფორმით აესებენ. სხვა სიტყვებით, როცა საწარმო შექმნილია და წარმართავს თავის საქმიანობას საკუთარი კაპიტალის გარეშე. იხ.: Grunewald, Gesellschaftsrecht, (2008), S. 396. სესხის ფორმით შესვებულ კაპიტალს შესაძლოა უცხო კაპიტალიც ეწოდოს. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო ასევე მოსაზრება, რომ ასეთ სიტუაციაში საზოგადოების ვალდებულებებისათვის მესამე პირის წინაშე პარტნიორები ან ერთ-ერთი მათგანი პირადად ყოფილიყვნენ პასუხისმგებელი. Reiser, FS Lutter, 2000, S. 637, 647 ff; Wiedemman § 4 III 1 b), § 10 IV 3 b). ეუთითბ: Grunewald, Gesellschaftsrecht, (2008), S. 396.

142 Palmiter, Corporations, (2006), p. 558.

143 Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 240.

144 Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 240.

რათა წარიმართოს საწარმოს მიერ დასახული მიზნის მისაღწევი საქმიანობა იმგვარი დაფინანსების მეთოდების გათვალისწინებით, რომელიც შესაძლებლობას ვერ მისცემს მას საკუთარი ქონებით დაფაროს კორპორაციის ვალები და ამისათვის იგი, უპირატესად, მესამე პირთა მხრიდან მოკლევადიანი ან გრძელვადიანი საკრედიტო დაფინანსების საშუალებებს იყენებს.¹⁴⁵

„ქვეკაპიტალიზაციას“ შესაძლოა, ასევე, ეწოდოს „არაადექვატური კაპიტალიზაცია“.¹⁴⁶ როგორც წესი არაადექვატურ კაპიტალიზაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სახეზეა კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევები, თუმცა ამ უკანასკნელმა შესაძლოა თავი იჩინოს აგრეთვე სახელშეკრულებო ურთიერთობის დროსაც.¹⁴⁷ „ქვეკაპიტალიზაციის“ ქვეშ არ უნდა მოიაზრებოდეს მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, საწარმოს საწესდებო კაპიტალი (ზოგადად, საზოგადოების წესდებით დადგენილი კაპიტალი) გარკვეულ (კონკრეტულ) ოდენობას შეადგენს და ხდება ამ ოდენობის შემცირება. გერმანულ სამართალში საწესდებო კაპიტალის (როგორც თავდაპირველი კაპიტალის შპს-ის შემთხვევაში, ისე საკუთრივ საწესდებო კაპიტალის – სს-ის შემთხვევაში) შემცირება ატიპური მოვლენაა. შემცირების შემდეგ წესდებით დადგენილი და სამეწარმეო რეესტრში აღნიშნული საწესდებო კაპიტალი უმაღლვე უნდა შეივსოს დადგენილ ოდენობამდე, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი შემცირება და, შესაბამისად, წესდებაში ცვლილებების შეტანა და რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. იმ შემთხვევაში, თუკი კაპიტალური ტიპის საზოგადოების მინიმალური კანონით დადგენილი საწესდებო კაპიტალი შემცირდება, მაშინ უმაღლვე უნდა მოხდეს მისი კანონით დადგენილ ოდენობამდე შევსება. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა დადგენს საზოგადოების დაშლის საკითხიც.

145 Hachenburg/Ulmer, Anmh. § 30 Rdnr. 16. უთითებ: Schmidt, Gesellschaftsrecht, S. 240.

146 როგორც ამას ჰემილტონი ეძახის: Hamilton, The Law of Corporations, (2000), p. 142.

147 Hamilton, The Law of Corporations, (2000), p. 142.

აშშ-ის საკორპორაციო სამართალი არის წევრ-სახელწიფო-თა სამართალი,¹⁴⁸ რაც იმას ნიშნავს, რომ შტატებს აქვთ თავ-ისუფლება დამოუკიდებლად განსაზღვრონ ნორმები საზოგადოე-ბის საწესდებო კაპიტალის შესახებ. დღეის მდგომარეობით მხ-ოლოდ რამდენიმე შტატში მოქმედებს მინიმალური ნომინალური სავალდებულო საწესდებო კაპიტალის მომწესრიგებელი ნორმა. უმეტესობა მათგანს, გერმანული ან ავსტრიული საზოგადოების სამართლის მაგვარი ნორმა დაკავშირებული მინიმალურ სავალ-დებულო საწესდებო კაპიტალთან, არ აქვს. თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში სრულიად სამართლიანად არის აღნიშნული, რომ არაადექვატური კაპიტალიზაცია ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ შელახულია კანონით გათვალისწინებული მინიმალურ-სავალდებ-ულო მოთხოვნა საწესდებო კაპიტალის შემცირების აკრძალვას-თან დაკავშირებით (და საზოგადოების კაპიტალი შემცირებულია ამგვარად), არამედ იმასაც, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის მოქმედების არეალი გამოიყენება იმ დროსაც, როდე-საც საწარმოს აქვს იმდენად დაბალი კაპიტალი მოსალოდნელ საწარმოო რისკებთან მიმართებით, რომ იმთავითვე ცხადია – იგი ვერ დააკმაყოფილებს კრედიტორთა მოთხოვნებს.¹⁴⁹ სხვა სიტყვე-ბით რომ ითქვას, ქვეკაპიტალიზაცია „დაფუძნებულია ფაქტობრივ ეკონომიკურ მოთხოვნილებებზე და არა იურიდიულ (საკანონმ-დებლო) მოთხოვნებზე“.¹⁵⁰ ამიტომ, კორპორაციის (მენეჯერთა და დირექტორთა, ისე პარტნიორთა) ერთ-ერთი ძირითადი საზრუ-ნავი სწორედ გადახდისუნარიანი კაპიტალის შექმნა უნდა იყოს, რათა ამ უკანასკნელით მოხდეს მესამე პირთა მოთხოვნების დაკ-მაყოფილება. ამერიკაში, როგორც ითქვა, არსებობს კაპიტალის შენარჩუნების ნორმატივები,¹⁵¹ რომელთა გადახვევაც გარკვეული

148 Gotschev/Staub, GesKR 2006, S. 266.

149 Hamilton, The Law of Corporations. (2000), p. 142.

150 Hamilton, The Law of Corporations. (2000), p. 142.

151 მაგალითად, ე.წ. blue sky laws (იხ.: Merkl/Güthel, US-amerikanisches Ge-
sellschaftsrecht, S. 235), რომ არაფერი ითქვას გერმანულენოვან ქვეყნებზე (გერმანია,
ავსტრია).

სანქციის შემცველ შედეგს იწვევს. შესაბამისად, ქართული რეალობისთვის ისეთი ნორმების გაუქმება, რომელიც, განსაკუთრებით კაპიტალურ საზოგადოებებში, ქონების შენარჩუნების მოვალეობას განსაზღვრავდა, სავსებით გაუმართლებელი იყო. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის შინაარსის თანახმად, პარტნიორებს, ფაქტიურად, ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოგება გამოიყენონ ისე, რომ საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ მიაქციონ იმას, საწარმოს შემდგომი საქმიანობისათვის საკმარისი იქნება თუ არა საზოგადოების კაპიტალი. მართალია, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა დადგეს საერთოდ ბიზნესის დასრულების საკითხი, მაგრამ, ამასთან ერთად, შესაძლოა, დადგეს იმ თანმდევი შედეგის საკითხი, რასაც კრედიტორთა მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა ჰქვია. საერთო ჯამში, ეს, ჩემი აზრით, უცხოელი ინვესტორებისათვის მეტად არასერიოზულ მიდგომას გამოიწვევს. ამ შემთხვევაში ამ საკითხების ნებაყოფლობით თვითრეგულირებაზე მინდობა¹⁵² არ შეიძლება. საქართველო ჯერ არ არის იმ დონემდე განვითარებული ქვეყანა, რომ ამის ფუფუნება გააჩნდეს. მით უმეტეს, რომ ბოლო დროინდელი მოვლენები¹⁵³ კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებული გერამუნულ-ევროპული რეგულაციები გაცილებით უფრო მყარია, ვიდრე ამერიკული.

3.2. კორპორაციულ ფორმლობათა დაუცველობა¹⁵⁴

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი, რომლითაც სასამართლოს უფლება აქვს შეაღწიოს „კორპორაციულ საფარველში“ არის

152 იმდენად, რამდენადაც საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების არარსებობის მიუხედავ, საზოგადოების წესდებით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ქონების შენარჩუნების მოვალეობის, სარეზერვო კაპიტალის შექმნის და სხვ. მომწესრიგებელი ნორმები.

153 ბანკებთან დაკავშირებული პრობლემები, ეკონომიკური კრიზისი და ა.შ.

154 აშშ-ის სხვადასხვა იურიდიულ წყაროებში მას სხვადასხვანაირად გამოთქვამენ. მაგალითისათვის, იხ.: Palmiter, Corporations, (2006), p. 557; Hamilton. The Law of Corporations, (2000), p. 145; Gevurtz, Corporation Law, (2000), p. 72; და ა.შ.

ის, რომ თავად კორპორაცია დაფუძნებულია სამართლის ნორმების იგნორირების ან დაუცველობის გზით. ამიტომ საუბრობენ იმაზე, რომ მეწილეს არ შეიძლება მიეცეს ის უპირატესობა, რაც კორპორაციიდან (როგორც ბიზნეს საქმიანობის სამართლებრივი ფორმიდან) გამომდინარეობს მაშინ, როდესაც იგი არ დაიცავს მისი შექმნა-ჩამოყალიბებისათვის საჭირო და სავალდებულო წინა პირობებს. შესაბამისად, ამგვარად დაფუძნებული კორპორაცია (და ის პარტნიორი, რომელიც მას დააფუძნებს) შემდეგში ვერ ისარგებლებს „კორპორაციული საფარველით“.¹⁵⁵

კორპორაციულ ფორმალობათა შორის გამოყოფენ ისეთ ძირითად მოცემულობებს როგორცაა: (პირველი) პარტნიორთა და დირექტორთა კრების ჩატარება, წილთა გამოშვება და გამოშვებისათვის დადგენილი წინა პირობების შესრულება, დირექტორთა და ოფიცერთა (მენეჯერთა) არჩევა, ხელმოწერილი კაპიტალის რეალურად და მართლზომიერად შევსების სისწორე, კორპორაციულ კრებათა საოქმო ჩანაწერების კანონიერება და მათთან მიმართებით ფორმალური პირობების დაცვა.¹⁵⁶

უნდა ითქვას, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი დეტალურად არ შეიცავს გამჭოლი პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ნორმებს. მოძიებული ვერ იქნა, ასევე, ის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ამ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემდა. თუმცა ყურადღება, ამ კუთხით, შეიძლება გამახვილდეს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომელიც პარტნიორის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებაზე საუბრობს. ამ შემთხვევაში ლაპარაკია კს-ში, შპს-ში,

155 Hamilton, *The Law of Corporations*, (2000), p. 146. თუმცა ეს მოსაზრება, ასევე, კრიტიკის საგნადაც არის ქვეული ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში. მაგალითად: Palmiter, *Corporations*, (2006), p. 557.

156 ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, აშშ-ის სასამართლო გადაწყვეტილებებს ეფუძნება: Kinney Shoe Corporation v. Polan, 939 F. 2d 209 (Cir. 1991); Sea-Land Services Inc. v. Peper Source, 941 F. 2d 519 (Cir. 1991); DeWitt Truck Brokers v. W. Ray Flemming Fruit Company, 540 F. 2d 681 (Cir. 1976). ამ ძირითად კრიტერიუმებს მისდევს ასევე იურიდიული ლიტერატურაც: Hamilton, *The Law of Corporations*, (2000), p. 146; Palmiter, *Corporations*, (2006), p. 557.

სს-ში პარტნიორის (პარტნიორების) მხრიდან პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოიყენებაზე. თუ რა არის ამ სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება კანონი არ აკონკრეტებს. არ განმარტავს ამას არც სასამართლო პრაქტიკა. გარკვეულ მინიშნებას ამ საკითხთან დაკავშირებით შეიცავს კანონის კომენტარი, სადაც აღნიშნულია, რომ პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, მაგალითად, ისეთი არასწორი დოკუმენტაციის წარმოება, საიდანაც არ გამომდინარეობს, თუ რა კონკრეტული ქონებაა ჩადებული პარტნიორის მხრიდან საზოგადოებაში და, საერთოდ, გადაცემულია თუ არა იგი რეალურად საკუთრების უფლებით საზოგადოებისათვის.¹⁵⁷ შესაბამისად, თუ ამგვარ შემთხვევას ექნება ადგილი, იგი პასუხისმგებელი იქნება მესამე პირების წინაშე ინდივიდუალური ქონებით პირადად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ დროს ქართველი იურისტები საუბრობენ შესატანის შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებზე.¹⁵⁸ მაგრამ შესატანის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება ხომ შეიძლება მიჩნეულ იყოს როგორც კორპორაციული ფორმალობის დარღვევაა?!

3.3. დომინირებული მდგომარეობა კორპორაციაში ან მისი კონტროლი

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტში საუბარია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ.¹⁵⁹ კანონის მოცემულობა იუწყება, რომ ის პარტნიორი,

157 მდრ.: ლ. ჭანტურიას/თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, (2002), გვ. 64.

158 ჭანტურიას/ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, (2002), გვ. 64-65.

159 ერცლად საკონტროლო „ზღურბლის“ და დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრის მანიქენების თაობაზე შეგიძლიათ იხ.: ი. ბურდული, სვალდებულო სატენდერო შუთავაზება, აქციათა სვალდებულო მიყიდვა: აქციათ მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა?!, ჟურნ. „მართლშაჯულება“, №2 2007, გვ. 21-23.

რომელიც საზოგადოების საზიანოდ ბოროტად გამოიყენებს თავის დომინანტურ მდგომარეობას საწარმოში ვალდებული ხდება სხვა დანარჩენ პარტნიორებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია (აუნაზღაუროს ზიანი). ნაციონალური კანონმდებლობა არაფერს ამბობს იმაზე, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა მესამე პირთა მხრიდან წაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას შეეხოთ საქმე. კანონის სიტყვასიტყვითი მოცემულობა იძლევა ამ ნორმის იმგვარად განმარტების შესაძლებლობას, რომ საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევას ეხება, როდესაც დომინანტი პარტნიორი გადაწყვეტილების (კენჭისყრის) შედეგზე ახდენს ზეგავლენას და ამით ზიანს აყენებს საზოგადოებას. ბუნებრივია, საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება ნიშნავს ევენტუალურად (და შესაძლოა პირდაპირაც) სხვა დანარჩენი პარტნიორებისთვისაც გარკვეული ზიანის მიყენებას. ამ შემთხვევაში სხვა დანარჩენ პარტნიორებს უფლება აქვთ მოითხოვონ კომპენსაცია. მაგრამ შესაძლოა თუ არა ამ დროს მესამე პირმაც მოითხოვოს დომინანტი პარტნიორისაგან გარკვეული მოთხოვნის დაკმაყოფილება და აქვს თუ არა მას ამ შემთხვევაში ამის უფლება. ამის თაობაზე კანონი არაფერს ამბობს. არც საქართველოს სასამართლო პრაქტიკა არსებობს ამასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ქართულ ჭრილში ამ პრობლემის დანახვა მეტად რთულია. წინამდებარე ნაშრომის 3.3. ნაწილში აღნიშნული საკითხის განხილვა კი სწორედ იმ მიზანს ემსახურება, დაგვანახოს შეიძლება თუ არა სასამართლოს მხრიდან „კორპორაციულ საფარველში“ შეღწევის საკითხის განხილვა საწარმოს პარტნიორის ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფის მაჟორიტარული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საფუძველით.

ერთ-ერთი ხშირად ნახსენები ფაქტორი, რომლის დროსაც საუბრობენ გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე არის მოპასუხის დომინირებული მდგომარეობა ან კონტროლი საწარმოში.¹⁶⁰ ხშირად სასამართლოები ეყრდნობიან და იკვლევენ ამ ფა-

160 Gevurtz, Corporation Law, (2000), p. 75-76.

ქტორს და იყენებენ ე.წ. „სამსაფეხურიან ტესტს“.¹⁶¹ პირველი ეს არის კონტროლი. კონტროლში იგულისხმება წილთა არა მხოლოდ აბსოლუტური ან უმრავლესობითი კონტროლი, არამედ სრული დომინირება (ზეგავლენის მოხდენა) როგორც კორპორაციის ფინანსებზე, ისე საწარმოს მთლიან პოლიტიკაზე და საზოგადოების ბიზნეს პრაქტიკაზე.¹⁶² მეორე, დომინანტმა პარტნიორმა არასწორად ან მოტყუებით გამოიყენა თავისი მაჟორიტარული მდგომარეობა მოსარჩელის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, ან განახორციელა სამართლის ნორმით დადგენილი მოვალეობის დარღვევა.¹⁶³ ამ შემთხვევაშიც მესამე პირს აქვს უფლება დაეყრდნოს გამჭოლ პასუხისმგებლობას. და მესამე, კონტროლის განმახორციელებელი პარტნიორის უშუალოდ ისეთი თაღლითური ან არასწორი ქმედება, რომელიც პირდაპირ ეხება მოსარჩელეს და ზიანს აყენებს მას.¹⁶⁴ ამ შემთხვევების განხილვისას ძალიან რთულია მართლაც იმის თქმა, შესაძლებელი იქნება თუ არა ქართული სამართლებრივი რეალობიდან გამომდინარე „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ნორმის მისადაგება veil-piercing-თან. ჩემი აზრით, ამ დროს სასამართლო, ზოგადსაკორპორაციო სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე, შეიძლება დაეყრდნოს ნორმათა ზოგად განმარტებას და ობიექტური ჭეშმარიტების და კანონიერების დასადგენად გამოიყენოს იგი.

3.4. გამჭოლი პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო და დელიქტურ ურთიერთობაში

უმეტეს შემთხვევაში, როდესაც საკითხი „კორპორაციულ საფარველში“ შეღწევას ეხება, საწარმოს კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად თითქმის არანაირი აქტივი აღარ რჩება. ამი-

161 three-part test.

162 Gevurtz, Corporation Law, (2000), p. 76.

163 Gevurtz, Corporation Law, (2000), p. 76.

164 Gevurtz, Corporation Law, (2000), p. 76.

ტომ ძირითადი ყურადღება სწორედ იმას ექცევა, უნდა იყვნენ თუ არა კორპორაციის პარტნიორები პასუხისმგებელნი მესამე პირების წინაშე ასეთი აქტივების (ქონების) დაკარგვის ან შემცირების გამო.¹⁶⁵

ბოლო წლების განმავლობაში, აშშ-ში მიიჩნევენ, რომ სასა-მართლომ, გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას, უნდა მოახდინოს განსხვავება სახელშეკრულებო და დელიქტური სამართლებრივი შემთხვევებისას,¹⁶⁶ ანუ „კორპორაციის ნებაყოფლობით (სახელშეკრულებო) და არანებაყოფლობით (დელიქტურ)“ კრედიტორს შორის.¹⁶⁷ თუმცა უნდა ითქვას, რომ საზოგადოების პარტნიორთა მიმართ გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი უფრო ხშირად სწორედ სახელშეკრულებო მოთხოვნების და არა დელიქტური მოთხოვნების დაკმაყოფილებისას დგება.¹⁶⁸

ა) ხელშეკრულების დროს

სახელშეკრულებო piercing-ის დროს უთანხმოებას იწვევს ის გარემოება, რომ კრედიტორმა მოვალე (კორპორაცია, ვისთანაც იდება გარიგება) თავად შეარჩია და მისთვის, ერთგვარად, ხელმისაწვდომი არ უნდა გახდეს „კორპორაციულ საფარველში“ შეღწევის დაშვება. ეს, შესაძლოა, განპირობებული იყოს იმით, რომ კონტრაქტორმა (ხელშემკერელმა მხარემ) დამოუკიდებლად აირჩია მოვალე და, შესაბამისად, თავად უნდა იწვინოს მასთან დაკავშირებული ის თანმდევი რისკი, რაც ამ გარიგებიდან შეიძლება მომდინარეობდეს. ამ მხრივ, კრედიტორს საქმე აქვს კორპორაციასთან და წინდახედული ნაბიჯების გადადგმა მართებს. მან,

165 Hamilton, *The Law of Corporations*, (2000), p. 138.

166 ერთ-ერთ სამაგალითო გადაწყვეტილებას ამ დიფერენცირების თაობაზე წარმოადგენს: *Mills v. USA MobileComm., Inc.*, 438 S. E. 2d 1,5 (W. Va. 1993).

167 Hamilton, *The Corporate Entity*, 49 *Texas Law Rev.* (1971), p. 985.

168 ამას ადასტურებს ცნობილი ამერიკელი მეცნიერის რობერტ ტომფსონის ემპირიული გამოკვლევები: Robert B. Thompson, *Piercing the veil within corporate groups: Corporate shareholders as mere investors*, *Conn. J. Int'l L* 13 (1999) 379-395. უთითებ: Merkl/Göthel, *US-amerikanisches Gesellschaftsrecht*, S. 241.

გარკვეულწილად, უნდა იცოდეს იმის თაობაზე, რომ კორპორაცია ფინანსურად შესაძლოა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდეს.¹⁶⁹ კორპორაციის მხრიდან კრედიტორის მოტყუების (შეცდომაში შეყვანის) არარსებობის შემთხვევაში, შეიძლება ამ უკანასკნელს ევარაუდა მოსალოდნელი დანაკარგის თაობაზე. თუკი კრედიტორი დაინტერესებული იქნებოდა ამ გარიგების შესრულებაში, მაშინ გარკვეულ გარანტიას, უზრუნველყოფას მოითხოვდა მისგან (კორპორაციისგან)¹⁷⁰ და გარიგების შეუსრულებლობის დროს დაცული იქნებოდა. ამ ვითარების გათვალისწინებით, თითქოსდა, უსამართლოა გამჭოლ პასუხისმგებლობაზე დაყრდნობა მოთხოვნის მფლობელის მხრიდან.¹⁷¹ მაგრამ მიჩნეულია, რომ „კორპორაციულ საფარველში“ შეღწევა მაინც არის დასაშვები, თუკი სახეზეა გარკვეული გარემოებები. ისევე და ისევე ეს, ძირითადად, დაკავშირებულია ე.წ. fraud-თან,¹⁷² მაგალითად, დედა-საზოგადოების ხელმძღვანელობამ არასწორი წარმოდგენა შეუქმნა კრედიტორს შვილობილი კომპანიის ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით და შეცდომაში შეიყვანა იგი.¹⁷³ ასეთ ცრუ არასწორ შთაბეჭდილებებს შესაძლოა მიეკუთვნებოდეს კრედიტორის წარმოდგენა დედა-საზოგადოებას და მის შვილობილ საწარმოს შორის კონტროლის მდგომარეობის შესახებ, წილობრივი მონაწილეობითსამართლებრივი ფაქტორი დედა და შვილობილ საზოგადოებას შორის, დედა-საზოგადოების მზად ყოფნა მის დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოს ვალდებულების შესრულების თაობაზე და სხვ.¹⁷⁴ იმდენად, რამდენადაც ამ შემთხვევაში საქმე სწორედ რომ მოტყუების ფაქტს ეხება, მიჩნეულია, რომ კრედიტორს, veil-piercing-ისგან დამოუ-

169 Hamilton, *The Law of Corporations*. (2000). p. 138.

170 Hamilton, *The Law of Corporations*. (2000). p. 138.

171 Pinto/Branson, *Understanding Corporate Law*, 2004, p. 52. ვუთითებ: Merkl/Göthel, *US-amerikanisches Gesellschaftsrecht*, S. 241.

172 Vincent M. Roche, 'Bashing the Corporate Shield~: The Untenable Evisceration of Freedom of Contract in the Corporate Context, 28 *Iowa J. Corp. L.* (2003), p. 291.

173 Merkl/Göthel, *US-amerikanisches Gesellschaftsrecht*, S. 241.

174 Merkl/Göthel, *US-amerikanisches Gesellschaftsrecht*, S. 241.

კიდებლად, შეუძლია მოთხოვნა ისედაც დაიკმაყოფილოს სამოქალაქოსამართლებრივი პრინციპების საფუძველზე.¹⁷⁵ მხედველობაში მიიღება „მოტყუების ფაქტისაგან თავის დაცვის მექანიზმი“.¹⁷⁶ გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც საზოგადოების პარტნიორმა თავად გადაწყვიტა კრედიტორის წინაშე გარიგებიდან წარმოშობილი ზიანის შემთხვევაში გარანტიის აღება.¹⁷⁷ ამ დროს მხატვრულად რომ ითქვას, საწარმოს პარტნიორი, რა თქმა უნდა, ვერ შეიმოსება „კორპორაციული სამოსელით“ და აპელირებას ვერ გააკეთებს იმაზე, რომ იგი კორპორაციულად შეზღუდული პასუხისმგებლობის მატარებელი სუბიექტია.

სხვაგვარად დგას საკითხი დელიქტური გამჭოლი პასუხისმგებლობის შემთხვევაში.

ბ) დელიქტის დროს

დელიქტური პასუხისმგებლობის დროს კონტრაქტორს საკუთარი სურვილით არ შეურჩევია მხარე¹⁷⁸ (ამ შემთხვევაში, მაგალითად, კორპორაცია). ასეთ სიტუაციაში საუბრობენ, რომ ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებისას, პრინციპში, სახეზე არ არის „ნებაყოფლობითი კონტაქტის (შემხებლობის) ელემენტი“.¹⁷⁹ დელიქტური გამჭოლი პასუხისმგებლობის შემთხვევაშიც ძირითადი ყურადღება ექცევა იმას, იქნა თუ არა კორპორაცია სათანადოდ დაფინანსებული (კაპიტალიზებული) იმისათვის, რომ მას, მისი სფეციფიკური ბიზნესიდან გამომდინარე, გაეთვალისწინებინა ის შესაძლო რისკი, რომელიც დელიქტის წარმოშობისას დააკმაყოფილებდა შესამე პირის მოთხოვნებს.¹⁸⁰ ამიტომ, თუკი

175 Yacker v. Weiner Corp., 263 A. 2d 188 (N. J. Ch. Div. 1970); Bartle v. Home Owners Cooperative, Inc., 127 N. E. 2d 832 (N. Y. 1955). ამ გადაწყვეტილებებს უთითებ: Merkl/Göthel, US-amerikanisches Gesellschaftsrecht, S. 242.

176 იხ. fraudulent conveyance, fraud on the creditors; გერმ. Schutz vor Betrug.

177 Merkl/Göthel, US-amerikanisches Gesellschaftsrecht, S. 242.

178 Merkl/Göthel, US-amerikanisches Gesellschaftsrecht, S. 242.

179 Hamilton, The Law of Corporations, (2000), p. 139.

180 Hamilton, The Law of Corporations, (2000), p. 139.

სამეწარმეო საზოგადოება არ იქნა უზრუნველყოფილი სათანადო მატერიალური სახსრებით (და ამის თაობაზე პარტნიორებმა არაფერი იღონეს), შეიძლება დადგეს piercing-ის საფუძველი. ამ რისკის თავიდან ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაზღვევა უნდა განიხილებოდეს როგორც კაპიტალიზაცია კორპორაციაში იმდენად, რამდენადაც იგი (დაზღვევა) ხელმისაწვდომს ხდის მესამე პირებისთვის თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილებას¹⁸¹ უზრუნველყოფს რა მათ სათანადო (კორპორაციული) კაპიტალით. ამიტომ პარტნიორთა მიმართ გამჭოლი პასუხისმგებლობა დელიქტური მოთხოვნებისას, ძირითადად, მაშინ მიიღება მხედველობაში, როდესაც სახეზეა ე.წ. „მატერიალური ქვეკაპიტალიზაცია“.¹⁸² ამასთან ერთად ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, დაფუძნებული იქნა თუ არა კორპორაცია სადამფუძნებლო ფორმალობების გათვალისწინებით. ამერიკული სასამართლოები გამჭოლ პასუხისმგებლობას დელიქტებისას მაშინაც უშვებენ, როდესაც კორპორაცია სწორედ სადამფუძნებლო ფორმალობების დარღვევით არის ჩამოყალიბებული. ამ დროს საუბრობენ ცნობილ გადაწყვეტილებაზე: მინტონი ქევენის წინააღმდეგ.¹⁸³ მხედველობაში მიიღება ასევე ის გარემოება, აღრეული ხომ არ არის ერთმანეთში საზოგადოების და საზოგადოების წევრის ქონება, საზოგადოების აქტივი ვის „ჯიბეში“ მიედინება¹⁸⁴ და ა.შ. პრინციპში

181 Hamilton, *The Law of Corporations*, (2000). p. 139-140.

182 „shell corporation“. Merku/Göthel, *US-amerikanisches Gesellschaftsrecht*, S. 242.

183 *Minton v. Cavancy*, 364 P. 2d. 473 (Cal. 1961). ამ დავაში საუბარი იყო იმაზე, რომ საზოგადოება დაფუძნდა სწორედ სადამფუძნებლო პირობების დაცვის გარეშე. საწარმოს მიზანი იყო საცურაო ფილტების წარმოება და გაქირავება. საზოგადოების პარტნიორებს გათვალისწინებული შესატანები არასდროს განუხორციელებიათ. მოხდა უბედური შემთხვევა და საწარმოს ერთ-ერთი მუშაკის გაუფრთხილებლობით დაიღუპა პატარა ბავშვი. ამ შემთხვევაში სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების პარტნიორთათვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. იხ.: Merku/Göthel, *US-amerikanisches Gesellschaftsrecht*, S. 243.

184 Merku/Göthel, *US-amerikanisches Gesellschaftsrecht*, S. 243. დელიქტური veil-piercing-ის დროს აშშ-ში მიუთითებენ, აგრეთვე, ცნობილ გადაწყვეტილებაზე: თერ-

ყველა ის მოცემულობა, რომელიც შესაძლოა სახელშეკრულებო გამჭოლი პასუხისმგებლობის დროს იყოს სახეზე. მოკლედ, დელიქტური გამჭოლი პასუხისმგებლობისას განსასხვავებელია სუბიექტი, რომელიც ზიანს აყენებს სხვა პირს: საუბარი უნდა იყოს ამ შემთხვევაში საზოგადოების პასუხისმგებლობაზე თუ დელიქტის ჩამდენი პირის პასუხისმგებლობაზე. იმისათვის, რომ დადგინდეს თუ ვის მიმართ უნდა იქნეს მიმართული მოთხოვნა, ჯერ საჭიროა სასამართლოს წარმოდგენა შეექმნას იყო თუ არა ქმედების ჩამდენი (ზიანის მიმყენებელი) საზოგადოების მომსახურე პერსონალი თუ მისი წარმომადგენელი და, შესაბამისად, პასუხს აგებს თუ არა საერთოდ საზოგადოება მათ მიერ განხორციელებული ქმედებებისათვის. ტიპიური veil-piercing-ის შემთხვევებში ორივეა პასუხისმგებელი (საზოგადოებაც და ის, ვისთვისაც არის საზოგადოება პასუხისმგებელი), თუმცა ორივე გადახდისუუნაროა.¹⁸⁵

ნერი ანდრეა სერვის კორპორაციის წინააღმდეგ. *Turner v. Andrea Service Corporation*. 157 N. Y. L. J. No. 92, 17 (1967). სხვაგვარად ეს ქეისი ამერიკაში „ტაქსო-საწარმოს“ დაეად არის ცნობილი. ვრცლად ამის თაობაზე: Hamilton, *The Law of Corporations*. (2000), p. 144-145.

185 Merkt/Göthel, *US-amerikanisches Gesellschaftsrecht*, S. 242.

დასკვნის მაგიერ

როგორც ზემოთ აღინიშნა, კორპორაციის კანონისმიერი მინიმალური საწესდებო კაპიტალი ევროპის მრავალი ქვეყნის ტრადიციული ინსტიტუტია.¹⁸⁶ ამას განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ ევროპის კავშირის საერთო სამართალი ითვალისწინებს კაპიტალის იმ მინიმალურ ოდენობას (25 000 ევრო), რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს წევრ-სახელმწიფოთათვის თავიანთ კანონმდებლობაში მინიმალური საწესდებო კაპიტალის განსაზღვრის კრიტერიუმს.¹⁸⁷ სწორედ ამას ეხება 1976 წლის საწარმოს კაპიტალის დირექტივა.¹⁸⁸ ზემოთ ასევე ითქვა, რომ აშშ-ის საკორპორაციო სამართალში კანონისმიერ მინიმალურ სავალდებულო საწესდებო კაპიტალს დიდი ყურადღება არ ექცევა.¹⁸⁹ თუმცა ეს უკანასკნელი არ გამორიცხავს მის არსებობას.

შესაძლოა ითქვას, რომ ფუნქციური დატვირთვის თვალსაზრისით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი¹⁹⁰ და საზოგადოების კაპიტალი¹⁹¹ ერთი და იგივეს უზრუნველყოფს: მისი ძირითადი ფუნქცია მესამე პირების მოთხოვნათა დაკმაყოფილებაა. თუმცა სავალდებულო მინიმალურ საწესდებო კაპიტალს ის დადებითი მხარე აქვს, რომ საწარმოს ყოველთვის აქვს გარკვეული ხელშეუხებელი ქონება, საიდანაც მოხდება კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფი-

186 განსაკუთრებით გერმანულენოვანი ქვეყნების.

187 საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ დირექტივის ეს მოთხოვნა ღია (საჯარო) საზოგადოებებს ეხება. იგი არ ვრცელდება private limited companie-ზე (ბრიტანული კერძო შეზღუდული კომპანია ბევრ მსგავსებას ავლენს გერმანულ, ავსტრიულ და ქართულ შპს-სთან). გამოძინარე აქედან, ბრიტანეთშიც ღია კერძო კომპანიებისათვის საჭიროა დაცული იქნეს მინიმალური სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნა. ამის თაობაზე მაგ.: Ellis Ferran, Principles of Corporate Finance Law, Oxford University Press, New York 2008, p. 91-92.

188 Richtlinie 77/91/EWG von dem 13.12.1976, ABl. Nr. L. 26 v. 31.1.1977, S. 1.

189 Merkl/Göthel, US-amerikanisches Gesellschaftsrecht, S. 213.

190 როგორც „ევროპული სამართლისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტი“.

191 როგორც „აშშ-სთვის დამახასიათებელი ინსტიტუტი“.

ლება. მართალია, შესაძლოა ეს უკანასკნელი საკმარისი არ აღ-
მოჩნდეს კრედიტორთა ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად,
თუმცა გარკვეული გარანტიის წინა პირობას იგი უთუოდ ქმნის.
ამას ემატება ქონების შენარჩუნების განმსაზღვრელი რეგულა-
ციები გერმანულ და ამერიკულ სამართალში. ეს რეგულაციები¹⁹²
უზრუნველყოფს იმას, რომ კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყო-
ფილებისათვის იქმნება ის ბუფერული ზონა საწარმოს ქონებისა,
რომელიც ფუნქციურად კიდევ უფრო ხელს უწყობს კორპორაციის
პასუხისმგებლობაუნარიანობას მესამე პირების წინაშე საზოგადო-
ების კაპიტალთან მიმართებით გერმანული სამართალი განსაკუ-
თრებით გამოირჩევა თავისი საკანონმდებლო მოწესრიგების სიმკა-
ცრით, განსხვავებით, ვთქვათ, აშშ-ის სამართლისაგან. ქართული
საკორპორაციო სამართალი კი, ბოლო დროინდელი ცვლილებების
შედეგად, უფრო წესდებაზე ორიენტირებულ ინსტიტუტს დაემსგა-
ვსა, ვიდრე კანონისმიერს. საწარმოს კაპიტალის მომწესრიგებელი
ნორმებიც, პრინციპში, ნებაყოფლობით თვითრეგულაციისკენ მიი-
სწრაფვის, რაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა საკვალალო შედე-
გის მომტანი აღმოჩნდეს: საწესდებო (საზოგადოების) კაპიტალმა
დაკარგოს ის ტრადიციული ფუნქცია, რაც მას განვითარებულ
დემოკრატიებში აქვს.

192 საკანონმდებლო თუ არასაკანონმდებლო.

მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად
გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო
სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე
(მცირე აქციონერთა უფლებების დაცვის
თანამედროვე მეთოდები)

შესავალი

კანონმდებელი აქციონერს მთელ რიგ უფლებებს უდგენს, რომლის საფუძველზეც ამ უკანასკნელს შესაძლებლობა ეძლევა მონაწილეობა მიიღოს სააქციო საზოგადოების მართვაში და ხელმძღვანელობაში, გაუწიოს კონტროლი საზოგადოებას, მიიღოს მისთვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია საწარმოს შესახებ, განსაზღვროს მოსალოდნელი რისკები, რათა უფრო უკეთ დაინახოს თუ დროის რა პერიოდში არის უკეთესი მის საკუთრებაში არსებული აქციების გაყიდვა. ჩვეულებრივ, პირი თანახმაა განახორციელოს ფულადი კაპიტალდაბანდება საწარმოში, თუკი მას აქვს შესაძლებლობა თანამონაწილე გახდეს ამ ფულის განკარგვისა, საზოგადოების კონტროლის და იმ რისკების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღებისა, რომელიც მისცემს მას შესაძლებლობას, გარკვეულწილად, ზეგავლენა იქონიოს იმ არასასურველ შედეგზე, რომელიც მას, როგორც აქციონერს, შეიძლება მოელოდოს. როგორც წესი, სწორედ აქეთკენ არის მიმართული აქციონერის უფლებები. სააქციო სამართალი იცნობს ისეთ თანამონაწილეობითსამართლებრივ უფლებებს როგორც არის მმართველობის უფლება, ქონებრივი უფლებები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთო კრებაზე მონაწილეობის (და, ზოგადად, საწარმოს ხელმძღვანელობაში მონაწილეობის მიღების) და ხმის უფლება. სააქციო საზოგადოების ნება სწორედ საერთო კრებაზე ფორმირდება. აქციონერთა საერთო კრება არის ის ადგილი, სადაც არსებითად ყალიბდება საწარმოს ძირითადი პოლიტიკა. ამ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ აქციონერებს. მაგრამ კაპიტალური

ტიპის საზოგადოების ამ სამართლებრივი ფორმისათვის განსაკუთრებულად არის დამახასიათებელი უმრავლესობისა და უმცირესობის მდგომარეობის თანაფარდობის (განსაზღვრის) საკითხი, ანუ ასეთი ტიპის საწარმოში განსაკუთრებით იგრძნობა საჭიროება იმისა, რომ უმრავლესობაში მყოფმა პარტნიორმა არ გამოიყენოს თავისი დომინანტური მდგომარეობა საზოგადოების ინტერესების საპირისპიროდ და მისი ასეთი დამოკიდებულებით ზიანი არ მიაყენოს საზოგადოებას და უმცირესობაში მყოფ თანაპარტნიორს. ამიტომ სააქციო კანონმდებლობა განსაკუთრებული გულისყურით უნდა ეკოდებოდეს ამ საკითხს და იცავდეს იმ აქციონერს, რომელიც უმრავლესებაში მყოფ აქციონერთან შედარებით გაცილებით უფრო „არათანაბარ მდგომარეობაშია“ ჩავარდნილი. შესაბამისად, სააქციო სამართალი დიდი მოწინააღმდეგეობით ეკიდებოდა და დღესაც ეკიდება კაპიტალურ საზოგადოებაში უმცირესობაში მყოფი აქციონერის დაცვის მექანიზმებს. ეს მექანიზმები, განსაკუთრებით კი გასული საუკუნის ბოლო წლებიდან და ამ საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, უფრო და უფრო თანამედროვე ხდება. გერმანიაში განხორციელებული უკანასკნელი სააქციო რეფორმა (სააქციო კანონმდებლობაში ცვლილება, რომელიც ARUG-ის სახელწოდებით იქნება ცნობილი გერმანულ სამართალში) მეტყველებს იმაზე, რომ უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლებების დაცვას გერმანულმა სამართალმა ცოტა სხვა თვალთ შეხედა.¹⁹³ საუბარია აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებაზე.¹⁹⁴ ბოლო დროს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ტენდენცია იმისა, რომ უმცირესობაში მყოფი აქციონერი ბოროტად იყენებდა თავის მდგომარეობას, რაც მრავალ ასპექტში ვლინდებოდა. მართალია,

193 უმცირესობაში მყოფი აქციონერის ინტერესების დაცვა აქამდე სააქციო სამართლის ერთ-ერთ სტრატეგიულ ელემენტად მიიჩნეოდა. მინორიტარი აქციონერი ყოველთვის გარკვეული უპირატესობით იყო აღჭურვილი და „ფოკუსირებაც სწორედ რომ მინორიტარის დაცვის დომინირებაზე“ ხდებოდა. Viola Sailer. Aktienrechtliche Minderheitskompetenzen zwischen Missbrauch und unternehmerischer Entscheidungsfreiheit, Peter Lang, Frankfurt 1999, S. 1. თუმცა დროთა განმავლობაში სიტუაცია ამკარად უმცირესობაში მყოფი აქციონერების საპირისპიროდ შეიცვალა.

194 ე.წ. Anfechtungsrecht.

სააქციო სამართალი უნდა აძლევდეს უმცირესობას უმრავლესობის „თავდასხმისაგან“ დაცვის შესაძლებლობას და უმრავლესობის მიერ უმცირესობისათვის ანგარიშის გაწევის ვალდებულებას, თუმცა ეს (პარტნიორთა ინტერესისათვის ანგარიშის გაწევა), რა თქმა უნდა, არ უნდა გახდეს „უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების ბატონობისა და დამოუკიდებელი ხელმძღვანელობის უკანონოდ“ გამოცხადების¹⁹⁵ და უფლების ბოროტად გამოყენების საწინდარი. შეიძლება ითქვას, რომ სააქციო სამართალი, ერთგვარად, წარმოადგენს მაჟორიტარი აქციონერის მიერ საწარმოს მართვის მარეგულირებელ სამართალს. თუმცა აქაც დაცული უნდა იყოს, გარკვეულწილად, „სოციალური სამართლიანობა“ და უმცირესობაში მყოფ აქციონერს უნდა დაუდგინდეს ისეთი უფლებები, რომელიც დაიცავს მას (და მის საკუთრებას გამოხატულს აქციებში) უმრავლესობის „ადვირახსნილი მმართველობისაგან“ და მიანიჭებს მას მის მფლობელობაში არსებული აქციების გადარჩენის და დაცვის შესაძლებლობას. უმცირესობაში მყოფი აქციონერის ეს უფლებები ისეთივე სიძველისაა, როგორც თავად სააქციო სამართალი.¹⁹⁶ თუმცა უმცირესობაში მყოფი აქციონერის გადამეტებული ყურადღების ქვეშ მოქცევა და მისი უფლებების დაცვის რერეგულირებადი ნორმების შემოღება ნამდვილად გამოიწვევს იმას, რომ მინორიტარი პარტნიორი ამ უფლებების ბოროტად გამოყენებას დაიწყებს. ამიტომ იგი შესაძლოა „მომპარავ აქციონერს“¹⁹⁷ დაემსგავსოს, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ იმაზე, რომ სხვადასხვა სახის პრობლემები შეუქმნას უმრავლესობაში მყოფ აქციონერს აიძულოს რა იგი წამოიყვანოს გარკვეულ დათმობაზე და ამით სარგებელი ნახოს. ამ უფლების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთ მაგალითად გამოდგება ის შემთხვევა, როდესაც უმცირესობაში

195 რ. კნიპერი, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, 2000, 95.

196 S. Kalss/F. Linder, Minderheits- und Einzelrechte der Aktionären. Verlag Manz, Wien 2006. S. III.

197 ე.წ. „räuberische Aktionäre“-ს შესახებ მაგ.: Jänig, BB 2005. S. 949 ff.

მყოფი აქციონერი დაუსრულებლად ასაჩივრებს საერთო კრების გადაწყვეტილებებს და, გარკვეულწილად, ცდილობს დაასაბუთოს თითქოსდა საწარმოს ინტერესის პრიმატი. სინამდვილეში კი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. ამგვარი ქმედებით, რასაკვირველია, შეიძლება ზიანი მიადგეს თავად საზოგადოებას.

სამეწარმეო საქმიანობა სამართლებრივთან ერთად უფრო მეტად ეკონომიკური კატეგორიაა. ეკონომიკური ურთიერთობისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინვესტირების სიჩქარეს და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების და ამ გადაწყვეტილების აღსრულების მიზანშეწონილობას. შესაბამისად, უმცირესობაში მყოფი აქციონერის მხრიდან საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლოა დანახულ იქნეს იმ ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად, რომელიც ინვესტირების არა მასტიმულირებელ, არამედ, პირიქით, შემაფერხებელ წინა პირობად არის წარმოჩენილი.¹⁹⁸ მოკლედ, სააქციო სამართალი უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ უმცირესობაში მყოფი აქციონერის მიერ შემოწმდეს ის, რისი შემოწმებაც შეიძლება საგნობრივად აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი საზოგადოებისთვის და ექვემდებარებოდეს უმცირესობის მხრიდან სპეციალურ შემოწმებას.¹⁹⁹ წიგნის ამ ნაწილში საუბარი იქნება სწორედ უმცირესობის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებზე, ყურადღება გამახვილდება, ძირითადად, უმცირესობაში მყოფი აქციონერის კონტროლის (შემოწმების) უფლებაზე, ინფორმაციის, ხმის და შეკითხვის უფლების ბოროტად გამოყენებაზე და საერთო კრებასა თუ სასამართლოში ამ უფლებების დაცვაზე, ამასთან, მოკლედ ითქმება ისეთი საინტერესო საკითხის თაობაზე, როგორიც არის უმცირესობაში მყოფი აქციონერის საზოგადოებიდან განდევნის²⁰⁰ შემთხვევაში მისი ძირითადი უფლების²⁰¹ დაცვის თანამედროვე საშუალება.

198 მაგალითისთვის: Linnerz, NZG 2004, S. 307-309; Seibt, WM 2004, S. 2137. 2139 f; Duvc/Basak, BB 2006, S. 1345, 1346; ასევე, Wilsing, ZIP 2004, S. 1083, 1089 f.

199 Schröer in MünchKomm, 2. Auf., (2004), §142, Rn. 14.

200 Squeeze-out.

201 ამაში ძირითადად აქციის სამართლიანი ფასი იგულისხმება.

1. ხმის უფლების ბოროტად გამოყენება

ხმის უფლება, როგორც თითოეული აქციონერისათვის მიკუთვნებული კანონით განმტკიცებული ძირითადი უფლება, ავტომატურად შეიძლება მოიცავდეს უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობებს. პოზიტიური სამართალი აქციონერს ვერაფრით აუკრძალავს გარკვეული ქმედების განხორციელების უფლებას (მაგალითად, საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გამოყენება, საერთო კრებაზე სიტყვის მოთხოვნის და შეკითხვის დასმის უფლება და ა.შ.). აქციონერის ეს ქმედება კი შესაძლოა მიმართული იყოს მისთვის მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენებისაკენ. ამიტომ კანონმდებლობა ადგენს გარკვეულ სტანდარტს, რომლის შელახვის შემთხვევაშიც სასამართლოში დავის დროს შესაძლოა დადგეს ზიანის ანაზღაურების საკითხი და დაეა უმცირესობაში ან უმრავლესობაში მყოფი აქციონერის სასარგებლოდ დასრულდეს. ერთ-ერთ ასეთ გაწერილ სტანდარტად შეიძლება წარმოდგეს უმცირესობაში მყოფი აქციონერის მხრიდან საზოგადოებისათვის ერთგულების გაწევის მოვალეობა²⁰² (მისი დარღვევა).

ა) უმცირესობაში მყოფი აქციონერის ერთგულების მოვალეობა

გერმანიაში რამდენიმე ცნობილი გადაწყვეტილება იქნა მიღებული პარტნიორთა მხრიდან საზოგადოებისადმი ერთგულების მოვალეობის გამოჩენასთან დაკავშირებით.²⁰³ მართალია, ამ გადაწყვეტილებამდე ერთხმად იყო აღიარებული, რომ ერთგულების მოვალეობა მხოლოდ უმრავლესობაში მყოფი (მაჟორიტარი) აქ-

202 Treupflicht.

203 შესაძლოა მოყვანილ იქნეს ცნობილი გადაწყვეტილებები გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო პრაქტიკიდან, რომელსაც გირმესის და ლინოტიპის სახელით იცნობენ: BGHZ 129, 136, 143 ff (Girmes); BGHZ 103, 184, 194 ff (Linotype); ასევე, BGH WM 1992, 1812ff (შპს-სთან მიმართებით შევიძლიათ იხ: BGHZ 65, 15 ff).

ციონერის საქმე იყო,²⁰⁴ თუმცა ბოლოდროინდელმა სასამართლო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საწარმოსადმი ერთგულების მოვალეობა უმცირესობაში მყოფი აქციონერის ვალდებულებასაც წარმოადგენს.²⁰⁵ ამიტომ, იურიდიულ ლიტერატურაში აქციონერის ერთ-ერთ ყველაზე უმთავრეს მოვალეობას მის მიერ შენატანის განხორციელებასთან ერთად, სწორედ რომ ერთგულების მოვალეობას გამოყოფენ.²⁰⁶ გერმანული სააქციო კანონის რამდენიმე პარაგრაფი ეხება ამ საკითხს. ყველაზე საკვანძო მუხლს ამ საკითხთან მიმართებით 117-ე პარაგრაფი წარმოადგენს. აღნიშნული ნორმა ადგენს, თუკი პარტნიორი იმგვარად იმოქმედებს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებზე, რომ ამით ზიანი მიადგება საზოგადოებას, მაშინ დანარჩენ პარტნიორებს აქვთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. რა თქმა უნდა, ადრესატი ასეთ შემთხვევაში იქნება ის აქციონერი, რომლის არასწორი ქმედებითაც საზოგადოებას ზიანი მიადგა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პარაგრაფი ეხება ერთგულების მოვალეობას საზოგადოებისა და თანაპარტნიორების მიმართ,²⁰⁷ ანუ ამ შემთხვევაში საუბარი არ არის ცალსახად უმრავლესობაში მყოფი ან უმცირესობაში მყოფი აქციონერის შესახებ. აქ მთავარია ფაქტი, რომ ადგილი აქვს აქციონერის ისეთ არასწორ ქმედებას, რომელიც აძლევს დანარჩენ აქციონერს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს აკთებეს რა აქცენტს მხოლოდ საზოგადოებაზე და თანაპარტნიორზე (თანაქციონერზე). ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში და შპს-ში

204 H. Henze. Treupflichtwidrige Stimmrechtsausübung und ihre rechtlichen Folgen, in: Henze/Timm/Westermann, RWS-Forum 8, Gesellschaftsrecht, Köln 1995, S. 18.

205 J. Hennrichs, Treupflichten im Aktienrecht- zugleich Überlegungen zur Konkretisierung der Generalklausel des § 242 BGB sowie zur Eigenhaftung des Stimmrechtsvertreters. AcP 1995, S. 222; ასევე, H. Henze. Die Treupflicht im Aktienrecht. Gedanken zur rechtsprechung des Bundesgerichtshofs von „Kali & Salz“ über „Linotype- und „Kochs Adler“ bis zu „Girmes“, BB 1996, S. 490.

206 K. Langenbucher, Aktien- und Kapitalmarktrecht, C. H. Beck. München 2008, S. 166.

207 T. Reiser/R. Veil, Recht der Kapitalgesellschaften. 4. Auf., Franz Vahlen. München, 2006, S. 108.

პარტნიორთა (თანაპარტნიორთა) ერთგულების მოვალეობა იურიდიულმა დოგმატიკამ დიდი ხანია აღიარა პარტნიორის ერთ-ერთ ყველაზე ძირითად მოვალეობად.²⁰⁸ სააქციო სამართალი, თითქოსდა, თავს იკავებდა ასეთი პოსტულატის დაწესებისაგან, მაგრამ აქაც (თანა)აქციონერის ერთგულების მოვალეობა საბოლოოდ იქნა დამკვიდრებული.²⁰⁹ ახალმა სამართალგანვითარებამ საფუძველი ჩაუყარა იმ მოსაზრებას, რომ ერთგულების მოვალეობის გამოჩენა არა მხოლოდ დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებებში უნდა იყოს სახეზე, არამედ ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებშიც.²¹⁰ ხანდახან უმრავლესობაში მყოფ აქციონერებს და უმცირესობას შორის ისეთი ვითარება ყალიბდება, რა დროსაც იგი შეუძლებელია აიხსნას და განიმარტოს იმ დოგმატიკის გამოყენების გარეშე, რომელსაც ეყრდნობა ამხანაგური ტიპის საზოგადოება და შპს ერთგულების მოვალეობის საკითხების გადაწყვეტასთან მიმართებით.²¹¹ ამიტომ მიჩნეულია, რომ „ასეთ სიტუაციაში ყურადღება უფრო სამეწარმეო საქმიანობის რეალურ სახეს უნდა მიექცეს, ვიდრე მის სამართლებრივ ფორმას“,²¹² სხვა სიტყვებით უფრო შინაარსს და არა ფორმას.

ა.ა.) მოვალეობის შინაარსი ხმის უფლების გამოყენებისას

ერთგულების მოვალეობას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მისი

208 Reiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 108; Jannott/Hagemann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, 8. völlig neu bearbeitet Aufl., C. F. Müller, Heidelberg 2009, S. 81.

209 Reiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 108-109. ამ საკითხს გარკვეული კრიტიციზმით უყურებდნენ გერმანულ სამეცნიერო წრეებში აპელირებდნენ რა იმაზე, რომ სააქციო სამართალში (სააქციო საზოგადოებაში) არ შეიძლება არსებობდეს ისეთი ერთგულების და რწმენის მოვალეობა პარტნიორთა შორის, როგორც ამას ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში ან შპს-ში აქვს. Hueck, Der Treuegedanke, 14 ff. უთითებ: Reiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 109.

210 Reiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 109.

211 Reiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 109.

212 Reiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 109.

შინაარსი შესაძლოა შემდეგნაირად დადგინდეს: იგი მოქმედებს როგორც საერთო მიზნის მიღწევისაკენ წარმართული მოთხოვნა; როგორც საწარმოსათვის ზიანის მიყენების აკრძალვის მოთხოვნა; ასევე, ისეთი ზემოქმედების განხორციელების აკრძალვის მოთხოვნა, რომელმაც ზემოქმედებამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საწარმოს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მჭიდროდ არის დაკავშირებული პარტნიორის მხრიდან მისი უფლების პასუხისმგებლობაუნარიანად გამოყენების და განხორციელების ვალდებულებასთან.²¹³

ერთგულების მოვალეობას ცენტრალური მნიშვნელობა უმრავლესობის ძალაუფლების შეზღუდვის საკითხთან მიმართებით ენიჭება.²¹⁴ თუმცა მხედველობაში მიიღება უმცირესობაში მყოფი აქციონერიც. მინორიტარი აქციონერისათვის ერთგულების მოვალეობა მოქმედებს როგორც უფლების შეზღუდვა ძირითადად მაშინ, როცა საკითხი ე.წ. *Sperminorität*-ის გამოყენებას შეეხება, ამ შემთხვევაში იმისგან დამოუკიდებლად უმცირესობაში მყოფი აქციონერი ხმის მიცემით უბრალოდ დაეთანხმა საერთო კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას თუ სახეზე იყო შემთხვევითი კოალიცია, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო.²¹⁵ ასეთი კონსტალაციით უმცირესობა ისეთივე პოზიციაში ექცევა, როგორშიც უმრავლესობა: მინორიტარი აქციონერის ხმის მიცემით სახეზეა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ხელყოფს საზოგადოების და თანააქციონერის ინტერესებს. ეს კი ხდება მოთხოვნის აღძვრის საფუძველი. მოკლედ, ასეთ დროსაც უმცირესობაში მყოფი აქციონერის ქმედება, როგორც წესი, გამიზნული უნდა იყოს პირადი სარგებლის მიღებისაკენ, რითიც იგი ზიანს აყენებს საზოგადოებას.

უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთ ნთვალსაჩინო მაგალითად შესაძლოა გამოდგეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მინორიტარი აქციონერი, რომელიც

213 Reiser/Veil, *Recht der Kapitalgesellschaften*, (2006), S. 111.

214 Langenbucher, *Aktien- und Kapitalmarktrecht*, S. 167.

215 K. Schmidt/Lutter/Fleischer, §53 a AktG Rn. 50; Hüffer, *Komm. zum AktG*, §53 a, Rn. 17. უთითებ: Langenbucher, *Aktien- und Kapitalmarktrecht*, S. 168.

განკარგავს ე.წ. Spermioritäts-ს, ბლოკავს საერთო კრების გადაწყვეტილებებს. ამიტომ მიჩნეულია, რომ ამ დროს უმცირესობაში მყოფი აქციონერი წინ არ უნდა აღუდგეს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ „გარანტირებული იყოს საზოგადოების არსებობა-ფუნქციონირება ან საწარმოს მომავალი რენტაბელური საქმიანობა“.²¹⁶ ხშირად უმცირესობა ამ უფლებას იმიტომ იყენებს, რომ პირადი სარგებელი „გამოსტყუოს“ უმრავლესობას: გადაწყვეტილების დაბლოკვით ზიანი მიადგება საზოგადოებას და, უმეტესწილად, უმრავლესობაში მყოფ აქციონერს.²¹⁷ ამიტომ თუკი უმცირესობა ამგვარად გამოიყენებს თავის უფლებას, მას შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურების მოვალეობა სწორედ სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფის საფუძველზე.²¹⁸

გაბატონებული მოსაზრების თანახმად, გერმანიის სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფი დელიქტურსამართლებრივი ბუნების მქონე ნორმა²¹⁹ და მასთან ერთად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 393-ე, 830-ე, 840-ე პარა-

216 Reiser/Veil, Recht der Kapitalgesellschaften, (2006), S. 112.

217 ამ შემთხვევაში უმრავლესობას ნამდვილად უფრო მეტი აქვს დასაყრდენი, ვიდრე უმცირესობას. უმრავლესობისათვის საზოგადოებაში აქციონერად მონაწილეობა არა მხოლოდ კაპიტალდაბანდების ტოლფასია, არამედ იგი საწარმოს მართვის და ხელმძღვანელობის პირდაპირპროპორციულია. აქედან გამომდინარე, უმრავლესობა შეიძლება უფრო მეტად იყოს დაინტერესებული საწარმოს მართვის საქმით, ვიდრე უმცირესობა. მინორიტარი აქციონერისათვის სს-ში მონაწილეობა მხოლოდ კაპიტალდაბანდებად არის განხილული. საწარმოს წარმატებული საქმიანობის შემთხვევაში უმცირესობაში მყოფი აქციონერის ერთადერთი ინტერესი მდგომარეობს იმაში, რაც შეიძლება მაღალ ფასად გაყიდოს მის ხელთ არსებული აქცია და მიიღოს ის სხვაობა, რაც მან პირველად ფასსა და გასაყიდ ფასს შორის ნახა. ამიტომ მიჩნეულია, რომ ამ დროს უმრავლესობის ინტერესების დაცვა და უმცირესობის ერთგულების მოვალეობა უმრავლესობასთან მიმართებით წარმოადგენს ე.წ. „კორალაქტს, რომლის მიხედვითაც, შეზღუდული უფექტით, მხედველობაში ისევ მინორიტარი აქციონერის ინტერესი მიიღება“. BGH Z. 129, 136 = AG 1997, S. 469; OLG Stuttgart = AG 2000, S. 369-370.

218 ამასთან მხედველობაში მიიღება გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 242-ე და 705-ე პარაგრაფები.

219 Schall in Spindler/Stilz, Kommentar zum AktG, C. II. Beck, München 2007, §117, Rn. 3.

გრაფები.²²⁰ ამ ნორმას შეიძლება დაეყრდნოს როგორც საზოგადოება, ისე ყოველი მესამე პირი, რომელსაც შეიძლება ზიანი მიაღგეს აქციონერის ქმედებით.²²¹ მნიშვნელოვანია, რომ ზიანის მოთხოვნის უფლება აქვს საზოგადოებას გამგეობის (დირექტორატის) მეშვეობით და არა ცალკეულ აქციონერს.²²² თავად აქციონერს დამოუკიდებლად არ აქვს უფლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წაუყენოს ზიანის მიმყენებელს.²²³ ამისათვის მან თავდაპირველად უნდა მიმართოს საზოგადოების დირექტორატს²²⁴ (როგორც ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით ორგანოს). რაც შეეხება მესამე პირს, მას კანონმდებლობა აძლევს შესაძლებლობას გამოიყენოს უფლება და მოთხოვნა წაუყენოს ზიანის მიმყენებელ აქციონერს.²²⁵ უმცირესობაში მყოფი აქციონერი თავს ვერაფრით იმართლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე მისი მხრიდან სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფის დარღვევას ექნება ადგილი. ყურადღება აქვე გასამახვილებელია იმ ფაქტზე, რომ კანონმდებლობა ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებაზე, თუმცა პარალელურ რეჟიმში თავად აქციონერზეც საუ-

220 Bürgers-Israel in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum Aktiengesetz, C. F Müller, Heidelberg 2008, §117, Rn. 1.

221 მესამე პირისათვის ამ უფლების მინიჭება განპირობებულია იმით, რომ იგი შესაძლოა წარმოადგენდეს საზოგადოების კრედიტორს. შესაბამისად, მისი ინტერესი იმაში გამოიხატება, რომ მას აქვს უფლება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა საზოგადოების ქონების ხარჯზე. ამიტომ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებით შესაძლოა საფრთხე სწორედ საწრმოს ქონებას შეექმნას. გამოზღინარე აქედან, ამ ნორმის შინაარსი გამიზნულია საზოგადოების „ქონების დაცვის სფეროსაკენ და ხელმძღვანელობის ავტონომიურობისაკენ“. Bürgers-Israel in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, §117, Rn. 1.

222 Bürgers-Israel in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, §117, Rn. 5. თუმცა აქ გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ ზიანის მოთხოვნის დამყენებელი სუბიექტი შესაძლოა იყოს ასევე საერთო კრებაც. ამიტომ ეს საკითხი გასათვალისწინებელია სააქციო კანონის 147-ე პარაგრაფთან ერთობლიობაში. Paschke in: Armin Schwerdtfeger (Hrsg.) Kompaktkommentar, Gesellschaftsrecht, Luchterhand 2007, §117, Rn. 6.

223 Schall in Spindler/Stilz, AktG, §117, Rn. 15.

224 OLG Bremen = AG 2002, S. 620.

225 Paschke in Schwerdtfeger (Hrsg.). Gesellschaftsrecht. §117, Rn. 6.

ბრობს. კერძოდ, ის ვინც თავისი ქმედებით ზემოქმედებას იქონიებს საწარმოს ზელმძღვანელობით ორგანოზე და წარმოქიმნება ზიანი, იგი პასუხისმგებელი იქნება ზიანის ანაზღაურებისათვის საზოგადოების ან მისი აქციონერების წინაშე. კანონის ამ მოცემულობაზე მე სპეციალურად ვაკეთებ აქცენტს. საქმე ის არის, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონიც საუბრობს საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების თაობაზე. წინამდებარე კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი, როგორც არაერთგზის იქნა ნახსენები, ყურადღებას ისეთ ვითარებაზე ამახვილებს, როდესაც დომინანტი პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი ბოროტად გამოიყენებს თავის დომინანტურ მდგომარეობას საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ. ასეთ შემთხვევაში მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა აუნაზღაუროს ზიანი. თუმცა ნაციონალური კანონის ეს მოცემულობა, ჩემი აზრით, ხარვეზის შეიცავს. ამ დროს უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა აქცენტი მხოლოდ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების ფაქტზე გაკეთებულიყო. ხოლო ზიანის ანაზღაურების მომთხოვნი სუბიექტი საზოგადოება უნდა ყოფილიყო. მართალია, ზიანის შედეგად ასევე ზარალდება საწარმოს პარტნიორი, მაგრამ იურიდიულად უფრო სწორია იმის აღნიშვნა, რომ აქციონერის ზიანი აქ მხოლოდ ევენტუალურ ხასიათს ატარებს იმდენად, რამდენადაც არსებითად ზიანი ჯერ საზოგადოებას ადგება, ხოლო შემდეგ მის აქციონერს. ამ შემთხვევაში ზიანი მხოლოდ ქონებრივ ზიანს უნდა ნიშნავდეს.²²⁶ ამიტომ აქციონერის ზიანი განიხილება როგორც „არაპირდაპირ წარმოშობილი ქონებრივი“ ზიანი²²⁷ (დანაკლისი). ნაციონალური კანონმდებლობა რეგულირების მიღმა ტოვებს იმ შემთხვევას, როდესაც ზიანი არასწორი ქმედებით შეიძლება უმცირესობაში მყოფმა პარტნიორმა (აქციონერმა) გამოიწვიოს (ისე როგორც ამას გერმანული სამართალი განსაზღვრავს). თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის რომ ქართული სამართლებრივი მოწესრიგება ნამდ-

226 Brügge-meier AG 1988. S 93, 96. უთითებ: Paschke in: Schwedtfeger (I Hrsg.), Gesellschaftsrecht, §117, Rn. 4.

227 Paschke in Schwedtfeger (Hrsg.), Gesellschaftsrecht, §117, Rn. 4.

ვილად ხარვეზიანი აღმოჩნდება ამ საკითხთან მიმართებით. ზიანის მოთხოვნის დაყენების უფლება ნაციონალური კანონის აღნიშნული ნორმის განმარტების შედეგად, არც მესამე პირს ექნება. ხოლო უმცირესობაში მყოფ აქციონერს შესაძლოა არანაირი სანქცია არ დაეკისროს. გამოდის, რომ ქართული სამართალი ფართო ასპარეზს აძლევს მინორიტარ აქციონერს ბოროტად გამოიყენოს თავისი უფლება, და ამაზე პასუხი არ აგოს. ამ დროს უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ყურადღება სწორედ უფლების ბოროტად გამოყენებაზე და ზიანის მიყენებაზე გაკეთებულიყო. შესაბამისად, ზიანის მიმყენებლის ადგილზე უმცირესობაში მყოფი აქციონერიც მოექცეოდა, რაც, გარკვეულწილად, მისთვის უფლების ბოროტად გამოყენების მიზანშეუწონლობის წინა პირობად იქცეოდა.

2. სიტყვისა და ინფორმაციის უფლების ბოროტად გამოყენება

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი ადგენს ინფორმაციის მიღების უფლების ზოგად წესს. იგი მოცემულია კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტში. აღნიშნული ნორმის მიხედვით, საზოგადოების ყოველ პარტნიორს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ყველა პუბლიკაცია. კანონი არ შემოიფარგლება მხოლოდ უფლებათა ამ ჩამონათვალით. გარდა ამისა, აქციონერს აქვს უფლება შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე. კონტროლის ამ უფლების გამოყენებისათვის, ანუ წლიური ანგარიშის შემოწმების მიზნით პარტნიორს, ასევე, აქვს უფლება შეამოწმოს ანგარიშის სისწორე პირადად ან ამ საქმეში ჩართოს აუდიტორი და ამ უკანასკნელის მეშვეობით განახორციელოს შემოწმება. ყურადსაღებია, რომ კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტში დეკლარირებული უფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს წესდებით. საზოგადოების ხელშეკრულებით შესაძლოა მხოლოდ ამ უფლებათა გაფართოვება. თუმცა მისი შეზღუდვა კანონით საესებით დასაშვებია, რის მაგალითსაც სს-ის მომწესრიგებელი სპე-

ციალური ნორმები წარმოადგენს. მოკლედ, აქციონერის ინფორმაციის და კონტროლის უფლებაც შესაძლოა გახდეს მისი მხრიდან ამ უფლების ბოროტად გამოყენების საწინდარი. ამიტომ, სააქციო კანონმდებლობა, პრინციპში, უნდა შეიცავდეს შეზღუდვებს, რომელმაც შეუძლებელი უნდა გახადოს მცირე აქციონერთა მხრიდან ამ უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა და გარკვეულ ფარგლებში მოაქციოს იგი.

ა) აქციონერის ინფორმაციის უფლება

აქციონერის ინფორმაციის უფლება ფორმულირებული და ჩამოყალიბებულია როგორც ყოველი აქციონერის დამოუკიდებელი, „ცალკე მდგომი“ უფლება.²²⁸ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ინფორმაციის უფლება გახლავთ აქციონერის ინდივიდუალური უფლება და იგი საზოგადოების თითოეული პარტნიორისათვის არის დადგენილი.²²⁹ აქციონერის ეს ინდივიდუალური უფლება აძლევს უმცირესობაში მყოფ პარტნიორს იმის შანსს, რომ მიიღოს უხარვეზო, ნამდვილი და უტყუარი ინფორმაცია საზოგადოების შესახებ.²³⁰ მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ ვინ უნდა ჩათვლილიყო ინფორმაციის მიღების სუბიექტად. ამ მხრივ, ევროპის კავშირის კომისიის მხრიდან საუბარი იყო იმაზეც, ხომ არ უნდა მიეკუთვნებინათ ეს უფლება ე.წ. „ultimate investor“-ისთვისაც იმდენად, რამდენადაც მათაც გარკვეული უფლებები უნდა ჰქონოდათ საზოგადოებაში.²³¹ საბოლოოდ აღიარებულია, რომ როგორც „დაუწერელი შემადგენლობა ფაქტისა სახეზე უნდა იყოს ის უფლებამოსილი აქციონერი, რომელიც მონაწილეობას იღებს საერთო კრებაში“.²³² არის თუ არა

228 Göhmann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 500.

229 Siems in Spindler/Stilz, AktG, 2007, §131, Rn. 12.

230 Göhmann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 500-501.

231 Siems in Spindler/Stilz, AktG, §131, Rn. 12.

232 Decher in Grosskomm., Rn. 86; Kubis in: MünchKommAktG, Rn. 9. უუთითებ: Siems in Spindler/Stilz, AktG, §131, Rn. 13.

აქციონერი ხმის უფლების მფლობელი პირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც იგი შესაძლოა იყოს ასევე პრივილეგირებული აქციის მფლობელი,²³³ ხოლო ეს აქცია საერთოდ არ უზრუნველყოფდეს მას ხმის უფლებით. მოკლედ, მოთხოვნის უფლებამოსილების მქონე პირი უნდა იყოს აქციონერი, რომელიც (აქციის სახისა და ტიპის მიუხედავად) ერთ აქციას მაინც ფლობს.²³⁴ ამიტომ სააქციო სამართალი ყურადღებას ყველა იმ აქციონერზე ამახვილებს, რომელსაც უფლება აქვს დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საერთო კრებაში.²³⁵ გერმანიის სააქციო კანონის 131-ე პარაგრაფი (რომელიც ცენტრალური ნორმაა აქციონერის ინფორმაციის უფლებასთან მიმართებით) აწესრიგებს აქციონერის ინფორმაციის უფლებას საერთო კრებაში.²³⁶ მიჩნეულია ასევე, რომ ინფორმაციის უფლების უზრუნველყოფით აქციონერისთვის შესაძლებელი უნდა გახდეს დღის წესრიგის საგნის განსაზღვრაში მიიღოს მონაწილეობა.²³⁷ ამით კი იგი, გარკვეულწილად, გავლენას მოახდენს საზოგადოების ნების ფორმირებაზე. ამიტომ მას სხვაგვარად საერთო კრების გადაწყვეტილების მიღების პროცესთან ერთობლიობაშიც განიხილავენ.²³⁸

საჭიროა ასევე აღინიშნოს, რომ აქციონერმა საერთო კრებაზე შეიძლება პირადად არც მიიღოს მონაწილეობა. შეიძლება იგი წარმოდგენილი იყოს აქციონერთა კრებაზე მისი კანონიერი ან გარიგებითსამართლებრივი წარმომადგენლის მეშვეობით. შესაბამისად, საუბრობენ იმაზე, რომ ინფორმაციის მიღების უფლება, მართალია, არის ინდივიდუალური უფლება, მაგრამ არა „პიროვნული უფლება“²³⁹ და, გამომდინარე აქედან, მოთხოვნის მფლობელი

233 Siems in Spindler/Stilz, AktG, §131, Rn. 13.

234 Reger in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, §131, Rn. 4.

235 Paschke in Schwerdtfeger (Hrsg.), Gesellschaftsrecht, §131, Rn. 2.

236 Paschke in Schwerdtfeger (Hrsg.), Gesellschaftsrecht, §131, Rn. 1.

237 Paschke in Schwerdtfeger (Hrsg.), Gesellschaftsrecht, §131, Rn. 1.

238 Semler in Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Aktiengesellschaft (Michael Hoffmann-Becking (Hrsg.)), 3. Aufl., 4. Band, C. H. Beck, München 2007, S. 555.

239 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, 2008, §131, Rn. 13.

შეიძლება აქციონერთან ერთად იყოს მესამე პირიც (მაგალითად, წარმომადგენელი²⁴⁰ ან ე.წ. „ლიგიტიმირებული აქციონერი“²⁴¹). ინფორმაციის გაცემაზე ვალდებულების მქონე პირი არის მხოლოდ საზოგადოება,²⁴² ანუ პაუსიხისმგებელია გამგეობა, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო. აუცილებელია, რომ გამგეობა (დირექტორატი) იყოს მოქმედი, ანუ სახეზე უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის დროისთვის მოქმედი გამგეობა (ე.წ. amtierender Vorstand).²⁴³ სწორედ გამგეობაა ინფორმაციის გაცემაზე ვალდებული²⁴⁴ პირი და არა, მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭო.²⁴⁵ როგორც წესი, მოთხოვნას ინფორმაციის მიღების თაობაზე უმცირესობაში მყოფი აქციონერი, ძირითადად, აყენებს საერთო კრების ჩატარებამდე, სანამ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი კენჭისყრაზე დადგება. თუმცა მიჩნეულია, რომ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება უმცირესობაში მყოფი აქციონერის მიერ შეიძლება დაყენებული იქნეს აგრეთვე კენჭისყრამდე, ანუ არსებობს შესაძლებლობა, რომ აქციონერმა ინფორმაცია უფლებამოსილი ორგანოსაგან მიიღოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის კენჭისყრამდე (ხმის მიცემამდე), მაგრამ არა მის შემდეგ.²⁴⁶ როგორც უკვე ითქვა, ინფორმაციის მოთხოვნის აღრესატი აქციონერის მხრიდან არის დირექტორატი, თუმცა შეიძლება, რომ მოთხოვნა მიმართული იყოს საერთო კრების თავმჯდომარისადმი, თუკი ეს უკანასკნელი დასმულ საკითხს (ინფორმაციის თაობაზე)

240 Semler in Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, (2007), S. 555.

241 ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხდება აქციონერის მხრიდან მისი ხმის უფლების გამოყენების გადაცემა სხვა პირისათვის. ამ დროს აუცილებელია, რომ აქციონერი იყოს ლეგიტიმური პირი სს-სთან მიმართებით და სახეზე იყოს ცესია, ანუ უფლების დათმობის გარიგება. იხ.: Kubis in Kropf/Semler (Hrsg.) Münchener Kommentar zum Ktiengesetz, 4. Band, 2. Aufl., München 2004, §118, Rn. 67.

242 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §131, Rn. 14.

243 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §131, Rn. 14.

244 თუკი სახეზე არ არის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძელები.

245 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §131, Rn. 16.

246 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §131, Rn. 19.

შემდგომ გადაამისამართებს (გადასცემს) ღირექტორატზე.²⁴⁷ მოკლედ, მაინც გამოდის, რომ მოთხოვნა ისევ და ისევ გამგეობისადმი მიმართული. ინფორმაციის მიღების თაობაზე საკითხი, როგორც წესი, ზეპირსიტყვიერად დგება საერთო კრებაზე. წერილობითი ფორმის სავალდებულობა კანონით იმპერატიულად დადგენილი არ არის.²⁴⁸ გამომდინარე იქიდან, რომ საერთო კრების თავმჯდომარე უფლებამოსილია დაადგინოს საერთო კრებაზე მონაწილე პირის სიტყვისა და კითხვის დასმის ლიმიტი (ანუ შეზღუდოს გამომსვლელი დროში) და მას შემდეგ, რაც გერმანულ სააქციო კანონის 131-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცს დაემატა მე-2 წინადადება, საზოგადოების წესდებით ან საერთო კრების მუშაობის რეგლამენტით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ინფორმაციის მოთხოვნის წერილობითი ფორმა.²⁴⁹ მიიჩნევა ასევე, რომ ეს განხილული უნდა იყოს საერთო კრებაზე გამომსვლელის კითხვისა და სიტყვის ზეპირ ფორმასთან ურთიერთმიმართებაში.²⁵⁰ იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებლობით ზუსტად დადგენილი არ არის, თუ რომელ ენაზე შეიძლება აქციონერმა დააყენოს კითხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ინფორმაციის მისაღებად წარდგენილი მოთხოვნა (ზეპირი თუ წერილობითი) უნდა შეესაბამებოდეს საერთო კრების წარმოების ენას²⁵¹ (ჩვენ შემთხვევაში ეს იქნება ქართული ენა, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საზოგადოებაში შეიძლება ძირითადად უცხო ენაზე მიმდინარეობდეს ხელმძღვანელობითი საქმიანობა, მაგალითად, უცხოური ინვესტიცია საქართველოში. ამ შემთხვევაში სრულიად დასაშვებია, რომ იმ პირის მიერ, რომელიც ფლობს საწარმოში კაპიტალის უდიდეს ნაწილს მოთხოვნილი იქნეს უცხო ენა. მოკლედ, ამის თაობაზე არც ქართული და არც გერმანული კანონმდებლო-

247 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §131, Rn. 20.

248 Paschke in Schwerdtfeger (Hrsg.), Gesellschaftsrecht, §131, Rn. 4.

249 Paschke in Schwerdtfeger (Hrsg.), Gesellschaftsrecht, §131, Rn. 4.

250 Paschke in Schwerdtfeger (Hrsg.), Gesellschaftsrecht, §131, Rn. 4.

251 შტრ.: Decher in Grosskomm. Rn. 99; Kubis in MünchKommAktG., Rn. 22.

კუთობ: Siems in Spindler/Stilz, AktG, §131, Rn. 19.

ბა რაიმე სახის წერილობით შეზღუდვებს არ აწესებს, რაც ამ საკითხთან მიმართებით თვითრეგულირებად შიდაორგანიზაციულ მოწესრიგებას გულისხმობს).

მოკლედ, უნდა ითქვას, რომ ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა რამდენიმე იურიდიული ფაქტის არსებობა. როგორც წესი, სწორედ ამ ფაქტებმა უზრუნველყონ, რომ აქციონერმა ბოროტად არ გამოიყენოს ეს უფლება და ზიანი არ მიაყენოს საზოგადოებას. პირველი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს არის ის, რომ ინფორმაცია უნდა გაიცეს აქციონერისთვის (ან მისი წარმომადგენლისთვის) მხოლოდ მისი მოთხოვნის საფუძველზე. სხვაგვარი ინფორმაცია არის უბრალო ცნობის გაცემა პირისათვის და არა ის კორპორაციულსამართლებრივი ინფორმაცია,²⁵² რასაც სააქციო კანონის 131-ე პარაგრაფის შინაარსი განსაზღვრავს. მეორე, ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ საზოგადოების კომპეტენციის ფარგლებში და საერთო კრების დღის წესრიგით დადგენილი საკითხების გათვალისწინებით.²⁵³ საზოგადოების კომპეტენციის ცნება ფართოდ უნდა განიმარტოს. ამ შემთხვევაში იგი მოიცავს ყველაფერს, რაც კი საზოგადოებას და მის საქმიანობას უკავშირდება. მოკლედ, ყველა ფაქტი და გრემოება, რომელიც საწარმოს ფინანსებს, შემოსავალს, მის ქონებრივსამართლებრივ ურთიერთობას, საზოგადოების ფაქტობრივ და სამართლებრივ შიდა სტრუქტურას უკავშირდება.²⁵⁴ მესამე, ინფორმაციის გაცემა წარმოებს უშუალოდ საერთო კრებაზე. ამ შემთხვევაში ნებისმიერი აქციონერისათვის გაცემული ინფორმაცია ატარებს საჯარო ხასიათს და თუკი ასეთი ინფორმაცია გაცემულ იქნა, მაშინ მისი მიღების უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ პარტნიორს. მეოთხე, ინფორმაციის გაცემისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კეთილგონიერებისა და ერთგულების ზოგადი კორპორაციულსამართლებრივი

252 Göhmann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 503.

253 Göhmann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 503.

254 Spindler in K. Schmidt/Lutter, (Hrsg.), AktG. §131, Rn. 25.

პრინციპები²⁵⁵ იმდენად, რამდენადაც ამ მოვალეობათა დარღვევის შემთხვევამ შესაძლოა ზიანის ანაზღაურების საკითხამდე მიგვიყვანოს.

ა.ა.) ქართული საკანონმდებლო რეალობა

ქართული საკორპორაციო სამართალი, რა თქმა უნდა, იცნობს პარტნიორის (აქციონერის) ინფორმაციის უფლებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონტროლის უფლება და ინფორმაციის უფლება განხილულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ზოგად ნაწილში. მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი აქციონერს აძლევს შესაძლებლობას შეამოწმოს საწარმოს წლიური ანგარიში და მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია. კანონი არსად არ აკონკრეტებს, თუ როდის და სად უნდა იქნეს წარდგენილი მოთხოვნა ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. გერმანული სააქციო კანონის განხილული მუხლი უშუალოდ ეხება აქციონერის საერთო კრებაზე მისაღებ ინფორმაციას. უფრო მეტიც, ამგვარი ინფორმაცია უშუალო შემხებლობაში უნდა იყოს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ინფორმაციის მოთხოვნის დროისა და ადგილის შეუზღუდაობა, შესაძლოა, განსაკუთრებით უმცირესობაში მყოფი აქციონერების მხრიდან, ამ უფლების ბოროტად გამოყენების საწინდარიც გახდეს. ამიტომ აქციონერი ჩვეულებრივ ინფორმაციას იღებს საერთო კრებაზე (მისი ჩატარების წინ, ასევე, კრებაზე მისაღები გადაწყვეტილების კენჭისყრამდე და არა მას შემდეგ. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ინფორმაცია არ გაიცემა). ქართული კანონის ფაბულა ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს არ იძლევა. ამიტომ მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი განმარტებას მოითხოვს. გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე ნორმა, ძირითადად, პარტნიორის მიერ წლიური ანგარიშის თაობაზე ინფორმაციის მიღებას ითვალისწინებს, ხოლო წლიური ანგარიშის დამტკიცებაზე

255 Göhmann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 503.

კი სს-ის საერთო კრებაა უფლებამოსილი, გამოდის, რომ უმცირესობაში მყოფი აქციონერი ამგვარ ინფორმაციას სწორედ საერთო კრების მეშვეობით იღებს (ვინაიდან იმპერატიულად გაწერილი არ არის დროის რა მონაკვეთში შეუძლია მიმართოს აქციონერმა ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოს, იგულისხმება, რომ ინფორმაცია გაიცემა კრების ჩატარებამდე, ასევე უშუალოდ კრებაზე, მაგრამ კენჭისყრამდე და არა მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება იქნება მიღებული). პრინციპში ამის განმარტების საშუალებას იძლევა თავად მე-10 პუნქტის მე-2 წინადადებაც, სადაც საუბარია იმაზე, რომ აქციონერი (პარტნიორი) ინფორმაციას მიიღებს და შესაბამის დოკუმენტაციას გაეცნობა მას შემდეგ, რაც საწარმოს სათანადო ორგანო წარადგენს ინფორმაციას წლიური ანგარიშის თაობაზე პარტნიორთა საერთო კრებაზე, მაგრამ მანამ, სანამ საერთო კრება ამ ანგარიშს მიიღებდეს, ანუ დაამტკიცებდეს (გამოდის გადაწყვეტილების მიღებამდე, კენჭისყრამდე). ამიტომ ინფორმაციის მიღება დაკავშირებული უნდა იყოს საერთო კრებასთან. დაშვება იმისა, რომ აქციონერს მიენიჭოს დროსა და სივრცეში გაბნეული შესაძლებლობა უსასრულოდ წარადგინოს ინფორმაციის მოპოვებისათვის განაცხადი საზოგადოებაში, უაზრობა იქნება. უფრო მეტიც, ეს შეიძლება გახდეს სწორედ მისი მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების კარგი საფუძველი. ამიტომ ინფორმაციის გაცემას თავისი წესი და სტანდარტი აქვს. ამ დროსაც დაცული უნდა იქნეს ძირითადი კრიტერიუმები, რომელიც პარტნიორის მოვალეობებს განსაზღვრავს ერთმანეთის და საზოგადოების მიმართ. მართალია, ქართული კანონმდებლობა ზუსტად არ აღგენს თუ ვინ არის პასუხისმგებელი ინფორმაციის გაცემაზე, მაგრამ ეს საკითხიც განმარტების გზით უნდა იქნეს ახსნილი. მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი საუბრობს საზოგადოების ორგანოებზე. აქაც, ვფიქრობ, მოთხოვნის ადრესატი და ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს თავად საზოგადოება. ქართული საკორპორაციო სამართალი 2008 წლის 14 მარტის რეფორმის შემდეგ უფრო „არაკანონისმიერი“ სამართალი გახდა. საკითხების

მოწესრიგება, ძირითადად, თვითრეგულირებისაკენ არის გატანილი. ამიტომ ნაციონალური კანონმდებლობა უდიდეს ყურადღებას ანიჭებს წესდებებს. აქედან გამომდინარე, სწორედ წესდება უნდა იყოს ის ძირითადი დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი თუ საზოგადოების რომელი ორგანო იქნება პასუხისმგებელი ინფორმაციის გაცემაზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს საზოგადოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ იქნება, მაშინ ისევ მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი განიმარტება განვრცობითად და იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია საზოგადოება, ანუ მისი ხელმძღვანელობითი ორგანო (დირექტორატი).

ზოგად დანაწესთან ერთად „მეწარმეთა შესახებ“ კანონი შეიცავს ასევე სპეციალურ ნორმას აქციონერის ინფორმაციის უფლებასთან მიმართებით. ამ მხრივ ყურადღება გასამახვილებელია კანონის 53-ე მუხლის მე-3¹ პუნქტზე. როგორც ითქვა, აქციონერი, ძირითადად, ინფორმაციის უფლებას იყენებს საერთო კრებაზე²⁵⁶ და მასზე მისაღები გადაწყვეტილებების გამო. ამ მხრივ, აქციონერს უფლება აქვს საწარმოს შესაბამის ორგანოებს მოსთხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საერთო კრებაზე განსახილველ და დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან. კანონი ამბობს, რომ „დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო აქციონერს უფლება აქვს მოსთხოვოს განმარტებები დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს“. მართალია, თუკი სს-ის წესდება არ ითვალისწინებს საწარმოს მართვის დუალისტურ მოდელს, მაშინ აქციონერი, ბუნებრივია, ამ ინფორმაციას ახსნა-განმარტებების სახით უშუალოდ დირექტორატისაგან (ანუ გამგეობისაგან) მიიღებს. ამასთან, კანონი მას აძლევს შესაძლებლობას საკუთარი აზრი გამოთქვას დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი კრების ჩატარებამდე 10 დღით ადრე მიმართავს დირექტორატს ან სამეთვალყურეო საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული ამა თუ იმ საკითხის

256 Semler in Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, (2007), S. 563.

თაობაზე, მაშინ ეს საკითხი მიღებულ უნდა იქნეს საერთო კრების დღის წესრიგად და კრებაზე უნდა გავიდეს განსახილველად. ამავე დროს მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ასეთი მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს ფორმულირებული და წარდგენილი საწარმოს შესაბამისი ორგანოსათვის. პრინციპში, ეს სიტუაცია უფრო აქციონერის მხრიდან დღის წესრიგის საკითხების განვრცობის და საკუთარი საკითხების დაყენების ტოლფასია. მოკლედ, ინფორმაციის უფლებასთან მიმართებით ქართული კანონმდებლობის მიხედვით დადგენილი არ არის მონაწილეობითსამართლებრივი ზღურბლი, ანუ თუ რა ოდენობის კაპიტალის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს ასეთი სახის ინფორმაცია. ნებისმიერი რაოდენობის აქციების მფლობელისათვის გარანტირებულია ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, განსაკუთრებით კი უმცირესობისათვის, მხოლოდ ეს, აუცილებლად, იმ ოთხი ძირითადი კრიტერიუმის გათვალისწინებით უნდა მოხდეს, რომელიც ზემოთ გამოიყო.

ინფორმაციის უფლებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სიტყვის უფლება. სიტყვის წარმოთქმის უფლება უზრუნველყოფს ასევე უმცირესობაში მყოფ აქციონერს გარკვეული განმარტებები მოსთხოვოს უფლებამოსილ პირს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის უფლება განიხილება კონკრეტული საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებაში. უმცირესობას ყოველთვის აქვს კითხვის დასმის და სიტყვის წარმოთქმის უფლება. ეს უფლება აქციიდან გამომდინარე კორპორაციულსამართლებრივი დეკლარაციული ხასიათის თანამმართველობითი უფლებაა,²⁵⁷ მაგრამ არა აბსოლუტური. შესაბამისად, სიტყვის უფლება ცეკვემდაბარება გარკვეულ შეზღუდვებს. ეს შეზღუდვები აუცილებელია იმისთ-

257 Göhmann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts. (2009). S. 501. აღსანიშნავია აქვე ის გარემოება, რომ ამით იგი ახლოს დგას ხმის უფლებასთან, ასევე აქციონერის ისეთ ქონებრივ უფლებებთან როგორცაა დივიდენდის მიღების უფლება და საზოგადოების ლიკვიდაციის სემდეგ დარჩენილი ქონების განაწილების უფლება.

ვის, რომ უმცირესობამ უფლება ბოროტად არ გამოიყენოს, რაც პრაქტიკაში ძალიან ხშირად ხდება ხოლმე. ამიტომ, აქციონერის ინფორმაციის უფლებასთან ერთად განხილული უნდა იყოს ასევე აქციონერის სიტყვის უფლება, რამდენადაც სიტყვის წარმოთქმის უფლება შესაძლოა იქცეს უმცირესობის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების და უმრავლესობის დაშანტაჟების საწინდარი.

ბ) აქციონერის სიტყვის უფლება

გერმანული პრაქტიკა იუწყება, რომ უმცირესობაში მყოფი აქციონერი ძალიან ხშირად იყენებს სიტყვის უფლებას ბოროტად გადაყავს რა იგი დაუსრულებელი „პოლემიკისა და იდეოლოგიური ბოლის“ რელსებზე,²⁵⁸ რომლისგანაც თავის დაღწევის ერთდრეთი შესაძლებლობა არსებობს: უმრავლესობაში მყოფი აქციონერი თანახმაა უმცირესობამ მიიღოს ის, რისთვისაც გამიზნულია ეს პოლემიკა. ამასთან მიჩნეულია, რომ ძალზე ხშირად ეს პოლემიკა სამომავლო გასაჩივრების რეპრესიულ მექანიზმს ემსახურება.²⁵⁹ სწორედ იგი ამზადებს საფუძველს უმცირესობაში მყოფი აქციონერისათვის, რათა ამ უკანასკნელმა შეიტანოს სარჩელი სასამართლოში, გაასაჩივროს რა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება და დაიწყოს ის დაუსრულებელი პროცესი, რომელმაც შეიძლება ზიანი მოუტანოს საზოგადოებას. უმცირესობა, თავის მხრივ, სწორედ ამ პროცესს ელოდება, რადგან მისთვის სასურველ შედეგს მიაღწიოს.

გერმანული სააქციო კანონმდებლობა არ შეიცავდა სპეციალურ შეზღუდვებს აქციონერის სიტყვის უფლებასთან მიმართებით. მართალია, როგორც წესი, აქციონერთა საერთო კრება ერთ დღეში უნდა დასრულდეს, თუმცა სიტყვის ჩამორთმევის არარსებობამ

258 Lehmann. Missbrauch, S. 53 ff; Martens. Missbrauch, S. 66 ff; Zöllner in KöllnerKomm., §131 Rdn. 44. უკითხო: Sailer, Aktienrechtliche Minderheitskompetenzen zwischen Missbrauch und unternehmerischer Entscheidungsfreiheit, S. 221-222.

259 Sailer, Aktienrechtliche Minderheitskompetenzen zwischen Missbrauch und unternehmerischer Entscheidungsfreiheit, S. 222.

შესაძლოა კრება იქამდე მიიყვანოს, რომ იგი უბრალოდ დათქმულ დროში ვერ დასრულდეს. ამიტომ, ასეთი ფაბულით უმცირესობაში მყოფი აქციონერი განგებ გამოიყენებდა ამ უფლებას ბოროტად და ყველანაირად შეეცდებოდა კრება დროზე არ დასრულებულიყო, რასაც შედეგად მოჰყვებოდა გადაწყვეტილების მიუღებლობა. ადრე გერმანიაში ეს გამოწვეული იყო ფაქტობრივი დროის შეზღუდვის არარსებობით,²⁶⁰ რაც გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ბევრჯერ გამხდარა დისკუსიის და კრიტიკის საგანი.²⁶¹ ამის შემდეგ გერმანული სააქციო კანონის 131-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცს დაემატა მე-2 წინადადება, რომლის მიხედვითაც საზოგადოების წესდებით ან კრების მუშაობის რეგლამენტით კრების თავმჯდომარეს მიეცა შესაძლებლობა აქციონერის სიტყვისა და კითხვის უფლების დროში შეზღუდვა მოეხდინა. ამასთან, კრების თავმჯდომარეს შესაძლოა მინიჭებული ჰქონდეს კომპეტენცია, ამ საკითხებთან მიმართებით საერთო კრების მუშაობის პროცესში გარკვეული დამატებითი რეგლამენტაციები განსაზღვროს და დაადგინოს.²⁶²

თუ რას ნიშნავს სიტყვის უფლება გერმანული კანონმდებლობა არ განსაზღვრავს.²⁶³ არ ითვალისწინებს ამას არც საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. უფრო მეტიც, ნაციონალური სამეწარმეო სამართალი, გერმანულისაგან განსხვავებით, არც ამ საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგებას იცნობს. ჩვენ კანონში არ არის განმარტებული არა მხოლოდ ის, თუ რა არის სიტყვის და კითხვის უფლება,²⁶⁴ არამედ არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა შეიზღუდოს საერთოდ აქციონერის ეს უფლება. ის, რომ სიტყვის უფლება აქციიდან გამომდინარე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა, ამაში ორი აზრი არ არსებობს.

260 Sailer, Aktienrechtliche Minderheitskompetenzen zwischen Missbrauch und unternehmerischer Entscheidungsfreiheit, S. 222.

261 იხ. მაგ.: Jänig, BB 2005, S. 949 ff. უახლესი სტატიებიდან მაგ.: K. Martens/S. Martens, Rechtsprechung und Gesetzgebung im Kampf gegen missbräuchliche Aktionärsklage, AG, Heft 6/2009, S. 173 ff.

262 იხ.: Paschke in Schwedtfeger (Hrsg.), Gesellschaftsrecht, §131, Rn. 12.

263 Reger in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, §131, Rn. 2.

264 ე.წ. Rede- und Fragerecht.

ამიტომ იქნება თუ არა იგი ნაციონალურ საკანონმდებლო დონეზე ზუსტად გაწერილი, მისი მოქმედების განსაზღვრისათვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. იგი ზოგადსაკორპორაციო გაცხადებული და გარანტირებული უფლებაა. იგი არსებობს. მაგრამ მისი არსებობა ნიშნავს თუ არა იმას, რომ წესდებით ან საწარმოს შინაგანაწესით შესაძლებელი იქნება ამ უფლების შეზღუდვის ფარგლების დაწესება? ეს რთული საკითხია. მე მაინც მგონია, რომ ზოგადსაკორპორაციოსამართლებრივი უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით, ან თვით კანონში უნდა იყოს მითითება იმის თაობაზე, რომ საზოგადოების ხელშეკრულებით იქნება შესაძლებელი ამ საკითხების ჩამოყალიბება-დადგენა, ანუ ნებაყოფლობით თვითრეგულირებადი ნორმების შემოღება. ამიტომ, ქართულმა სამართლებრივმა რეალობამ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკა ჯერ არ იცნობს აქციონერის მხრიდან ამ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს, უმცირესობაში მყოფ აქციონერს შეიძლება ამ უფლების ბოროტად გამოყენების სტიმული მისცეს. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნებოდა ამ საკითხთან მიმართებით უფრო დეტალური საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

აუცილებელია, რომ აქციონერის სიტყვის უფლება უშუალოდ ეხებოდეს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ერთ-ერთ რომელიმე საკითხს.²⁶⁵ თავის მხრივ, სიტყვის წარმოთქმის უფლება, ბუნებრივია, განსხვავდება კითხვის დასმის უფლებისაგან. კითხვის უფლება უშუალოდ არის გამიზნული გარკვეული ინფორმაციის მოპოვებისათვის, მაშინ, როდესაც სიტყვის უფლება შეიძლება მოიცავდეს ამ უკანასკნელს, თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდეს.²⁶⁶ სიტყვის უფლება, როგორც წესი, მიმართულია „აზრის ჩამოყალიბებისაკენ ან ინფორმაციის გაცემისაკენ“.²⁶⁷ ამიტომ იგი უშუალო შემხებლობაში უნდა იყოს საერთო კრებაზე მიმდინარე საკითხების განხილვასთან. გადახვევა ამ პრინციპი-

265 Reger in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG. §131, Rn. 2.

266 Reger in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG. §131, Rn. 2.

267 Reger in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG. §131, Rn. 2.

დან, შეიძლება ნიშნავდეს უკვე უფლების ბოროტად გამოყენებას. გამომდინარე აქედან, სასამართლო პრაქტიკა ადგენს დროის იმ გონივრულ კრიტერიუმებს, რომლის გათვალისწინების შემთხვევაშიც უნდა გამოირიცხოს უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. ამ მხრივ, გერმანულ კომენტატორულ იურიდიულ ლიტერატურაში, პრაქტიკის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულია თუ დროის რა პერიოდია საჭირო ჩვეულებრივი საერთო კრების ჩატარებისთვის. შესაბამისად, დადგენილია ის, თუ რამდენ ხანს შეიძლება მოიცავდეს თითოეული გამომსვლელის (აქციონერის) სიტყვის უფლება.²⁶⁸ ჩვეულებრივ საერთო კრებას დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად 4-6 საათი ესაჭიროება,²⁶⁹ თუ სახეზე არ არის ისეთი კრება, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის და ჩვეულებრივი კრების კომპეტენციის ფარგლებს.²⁷⁰ ამ შემთხვევაში, ასეთ კრებას მუშაობისათვის 10 საათზე მეტი მაინც არ დასჭირდება. ამიტომ, საშუალოდ თითოეული გამომსვლელისათვის ვარაუდობენ 10-15 წუთს, რაც გერმანულ-ევროპული სტანდარტით სიტყვის წარმოთქმის სავსებით გონივრულ ვადას წარმოადგენს.²⁷¹ როდესაც შეიმჩნევა ტენდენცია იმისა, რომ ადგილი აქვს უმცირესობის მხრიდან სიტყვის უფლების ბოროტად გამოყენებას, რაც შეიძლება საუბრის გაჭიანურებაში და მის არასავანობრივად წარმართვაში გამოიხატებოდეს, კრების თავმჯდომარე უფლებამოსილია მოსთხოვოს ამ აქციონერს სიტყვის გაწყვეტა ან გააფრთხილოს ისაუბროს უშუალოდ კრების დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე. მოკლედ, მიჩნეულია, რომ საგნობრივი საუბარი და მსჯელობა კრების პროდუქტიულობაზე, ქმედითუნარიანობასა და ხარისხზე მეტყვე-

268 იხ.: Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §131, Rn. 56.

269 ამას ითვალისწინებს ასევე გერმანული კორპორაციული მართვის კოდექსი (2.2.4. მუხლი). იხ.: Kremer in Ringleb/Kremer/Lutter/v. Werder (Hrsg.). Deutscher Corporate Governance Kodex, Kommentar, 3. Auf., C. H. Beck, München 2008, S. 91-95 (§2.2.4. Rn. 272 ff).

270 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §131, Rn. 56.

271 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §131, Rn. 56.

ლებს.²⁷² ამის დარღვევა კი საპირისპირო მოვლენად მიიჩნევა. თუმცა ორატორული საუბარი, რომელიც, გარკვეულწილად, კავშირშია დასმულ თემასთან, თავის მხრივ, არ გამორიცხავს რიტორიკული კითხვების დასმას და, ცოტა არ იყოს, დემაგოგიური სიტყვის უფლებას.²⁷³ ასეთი რამ, როგორც წესი, დასაშვებია.

ყურადსაღებია ასევე ის ფაქტიც, რომ კრების თავმჯდომარეს აქვს უფლებამოსილება მოითხოვოს აღიკვეთოს „ურჩი“ აქციონერის ქმედება და კრების ჩატარების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, აქვს ასეთი აქციონერის დარბაზიდან გაძევების უფლება.²⁷⁴ თუმცა ამას სს-ების საერთო კრებების პრაქტიკა თავს არიდებს იმდენად, რამდენადაც აქციონერის დარბაზიდან გაგდებას შეიძლება გარკვეული შედეგი მოყვეს. მაგალითად, აქციონერი გაასაჩივრებს იმ ფაქტს, რომ იგი არ ესწრებოდა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამიტომ ჩათვლის, რომ მისი კორპორაციულსამართლებრივი უფლება (კრებაზე მონაწილეობისა) დარღვეულია. ეს კი შესაძლოა გახდეს სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველი. ასეთი ვითარება, შეიძლება ყველაზე უფრო კარგად შეესაბამებოდეს ქართულ რეალობას: გამომდინარე იქიდან, რომ ნაციონალური სამოქალაქო საპროცესო სამართალი ჯერჯერობით²⁷⁵ არ იცნობს სარჩელის მატერიალური დასაშვებობის შემოწმების წინა პირობებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის საფუძველზე საერთო კრებიდან გაძევებული აქციონერი თავისი „დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების

272 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §131, Rn. 56.

273 Reger in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, §131, Rn. 2.

274 ეს უფლება აქციონერთა საერთო კრების წესრიგის დაცვის ყველაზე უფრო რადიკალური უფლებაა, მაგრამ ემსახურება კრების ხელმძღვანელი პირის მხრიდან კრების სწორად წარმართვის მიზანშეწონილობას და აქციონერთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის განუხრველ დაცვას. იხ.: Göhmann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 491.

275 არის საუბარი იმაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და მოსამართლისათვის შესაძლებელი გახდეს სარჩელის დასაშვებობის ფორმალურ შემოწმებასთან ერთად გამოყენებული იქნეს მატერიალური დასაშვებობის შემოწმების წინა პირობებიც.

დაცვისთვის“ მიმართავს სასამართლოს. საქმის განმხილველი ორგანო, თუკი სახეზე იქნება სარჩელის ფორმალური დასაშვებობის წინა პირობები, უთუოდ მიიღებს მას წარმოებაში და, შეიძლება ითქვას, რომ უმცირესობაში მყოფი პარტნიორი თავის ძირითად საწადელს მიაღწევს – ასეთ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებით და მისი სარჩელის წარმოებაში მიღებით, მინორიტარი აქციონერი საზოგადოებას ჩააბამს სასამართლო წარმოების „დაუსრულებელ“ პროცესში, რაც მისი მხრიდან უმრავლესობის და საზოგადოების დამანტაჟების კარგ საფუძველს შექმნის. გერმანული საპროცესო კანონმდებლობა იცნობს მატერიალური დასაშვებობის შემოწმებას, ამიტომ იქ, ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, პროცესი ძალიან სწრაფად და უმცირესობაში მყოფი აქციონერის საწინააღმდეგოდ დასრულდება. ამაზე, სასამართლო პრაქტიკაც ბლომად არსებობს გერმანიაში,²⁷⁶ ამიტომ, თუ რამდენად უღირს უმცირესობას ასეთი სარისკო ნაბიჯის გადადგა, თავად ამ უკანასკნელის გადასაწყვეტი იქნება.

მოკლედ, თუ აშკარა არ არის, რომ უმცირესობაში მყოფი (ძირითადად, ასეთი ქმედებები სწორედ უმცირესობიდან მოდის) აქციონერი განზრახ მუშაობს საერთო კრების ჩაშლაზე და სპეციალურად მიდის ისეთ ავანტიურისტულ მოქმედებაზე, რომელიც კრების ჩაშლისკენ და გადაწყვეტილების მიუღებლობისაკენ არის გამიზნული, მიზანშეწონილია საერთო კრების თავმჯდომარემ თავი შეიკავოს აქციონერის დარბაზიდან გაძევების უფლების გამოყენებისაგან. სხვა სიტყვებით, კრების თავმჯდომარე საერთო კრების წარმართვისას აღჭურვილია ყველა იმ უფლებით, რომელიც მას ესაჭიროება და რომელიც კრების სამართლიანად და კანონიერად ჩატარების მიზანს ემსახურება.²⁷⁷ მაგრამ იმისათვის, რომ ასეთი აგრესიული ღონისძიება იქნეს გამოყენებული უმცირესობაში (და,

276 მაგ.: BHGZ 44, 249 = AG 1966, S. 28 ff.; OLG Frankfurt M. von 08.02.2006 – 12 W 185/05; NOJZ 2006, S. 871 ff. = AG 2006, S. 250 f.

277 Marsch-Barner in Marsch-Barner/Schäfer (Hrsg.), Handbuch börsennotierte AG, Aktien- und Kapitalmarktrecht, 2. neu bearbeitete Auf., Verlag Otto Schmidt, Köln 2009, §33, Rz. 24.

საერთოდ, ნებისმიერი ურჩი აქციონერის) მყოფი აქციონერის მიმართ, ჯერ სასურველია გადადგმული იქნეს წინმსწრები ნაბიჯები: გაფრთხილება, სიტყვის უფლების ჩამორთმევა და ა.შ. მხოლოდ ამ ღონისძიებების შემდეგ უნდა იქნეს გამოყენებული საერთო კრების ხელმძღვანელის მიერ დარბაზიდან აქციონერის გაძევების უფლება. იმისთვის, რომ უმცირესობის მხრიდან გასაჩივრების შემთხვევაში საზოგადოება იურიდიულად გამართული იყოს წელში, აუცილებელია საერთო კრების მსვლელობა სათანადოდ იქნეს აღწერილი და დაოქმებული.²⁷⁸ ეს საშუალებას მისცემს სასამართლოს სარჩელის მატერიალური შემწმობის ეტაპზე გარკვეული დასკვნები გამოიტანოს (განსხვავებით, როგორც ითქვა, ქართული სამართლისაგან).

გ) შეკითხვის უფლება

კითხვის, ანუ შეკითხვის დასმის უფლებაც საერთო კრებაზე აქციონერის მონაწილეობით კორპორაციულსამართლებრივ უფლებად განიხილება.²⁷⁹ როგორც წესი, კითხვის უფლებაში იგულისხმება საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ ინფორმაციის მოპოვების მიზნით საჭირო და აუცილებელი (უშუალოდ ამ საკითხებთან შემხებლობაში მყოფი) კითხვების დასმის უფლება.²⁸⁰ კონკრეტული კითხვისთვის აქციონერს

278 ამ მხრივაც გერმანული სააქციო კანონმდებლობა გაცილებით მოწესრიგებულია, ვიდრე ქართული. მტკიცების ტვირთის (და სხვა სხვაობები) გაადვილების მიზნით გერმანულ სს-ებში საერთო კრების მსვლელობა აუცილებლად იქნება „პროტ-კოლირებული“ (განხორციელება მისი საოქმო ჩანაწერი). საჯარო სს-ის შემთხვევაში საოქმო ჩანაწერი აუცილებლად უნდა დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ. ნოტარიუსის მონაწილეობა და ჩართვა ამ პროცესში, ასევე, საერთო კრების სწორად წარმართვის მიზანშეწონილობიდანაა განპირობებული. იხ.: Ziemons in K. Schmid/Lutter (Hrsg.), AktG, §130, Rn. 1ff; Marsch-Barner in Handbuch börsennotierte AG. (2009), §33, Rz. 14. „მეწარმეთა შესახებ“ კანონში განხორციელებულმა ბოლოდროინდელმა ცვლილებებმა, საერთოდ გვერდი აუარა კრების ოქმის შედგენას. ეს კი, ჩემი აზრით, ძალიან ბევრ უხერხულ მომენტს შექმნის სს-ის გამართული ფუნქციონირების თვალსაზრისით.

279 Göhmann in Henn/Frodermann/Jannotti, Handbuch des Aktienrechts, (2009), S. 491 f.

280 Reger in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, §131, Rn. 2.

საერთო კრების თავმჯდომარისაგან შესაძლოა განსაზღვრული ჰქონდეს გარკვეული ვადა²⁸¹ (მაგალითად, 5-10 წუთი). ვადის გასვლის შემდეგ კრების ხელმძღვანელს უფლება აქვს შეაჩეროს აქციონერი და სიტყვა გააწყვეტინოს მას.²⁸² ესეც, როგორც ჩანს, საერთო კრების ნორმალურ გარემოში ჩატარების და მისი მსვლელობის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მოვლენაა. როდესაც ასეთი წვრილმანი საკითხები დეტალურად არის მოწესრიგებული საკანონმდებლო თუ არასაკანონმდებლო დონეზე, ბუნებრივია, გაცილებით უფრო ნაკლები ალბათობა არსებობს იმისა, რომ უმცირესობაში მყოფი აქციონერი უფლებას ბოროტად გამოიყენებს და საზოგადოებას გარკვეულ ზიანს მიაყენებს.

დ) ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა სასამართლოს მეშვეობით (უმცირესობის იძულებითი ღონისძიება)

სს-ის ღირეპტორატს (გამგეობას) უფლება აქვს უარი განუცხადოს აქციონერს ინფორმაციის გაცემაზე, თუკი სახეზეა კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძველები. უარის თქმის არსებით შინაარსს წარმოადგენს ის გარმობა, რომ ინფორმაცია საზოგადოების შიდა სფეროს განეკუთვნება და მისი გაცემა შესაძლოა ზიანის მომტანი გახდეს საწარმოსათვის. უმცირესობის ზემოთ მითითებული უფლების დაცვის შესაძლებლობას განაპირობებს ის, რომ ინფორმაციის გაცემაზე საზოგადოების სათანადო ორგანოს (გამგეობის) უარის შემთხვევაში, უმცირესობაში მყოფ აქციონერს შესაძლებლობა აქვს გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სასამართლოში, ანუ სახეზეა ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა სასამართლო გზით.

დ.ა.) მოთხოვნის უფლებამოსილების მქონე პირი

281 Reger in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG. §131, Rn. 2.

282 Göhlmann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts. (2009). S.

ინფორმაციის მოთხოვნის მოტივით სასამართლოს შესაძლოა მიმართოს იმ აქციონერმა, რომელსაც უარი განეცხადა ინფორმაციის მიღებაზე.²⁸³ თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ასეთივე უფლებით ვერ სარგებლობს აქციონერის წარმომადგენელი ან ლეგიტიმური აქციონერი.²⁸⁴ მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს მიწის სასამართლოში: განსჯადი იქნება მიწის (პირველი ინსტანციის) სასამართლო (სამეწარმეო საქმეთა კოლეგია),²⁸⁵ საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით.²⁸⁶ აუცილებელია, რომ მოთხოვნის წარმდგენი აქციონერი ინფორმაციის გაცემის მთელი პროცესის განმავლობაში ინარჩუნებდეს იმ სს-ის აქციონერის სტატუსს, რომლისგანაც ითხოვს ინფორმაციის გაცემას.²⁸⁷ შესაბამისად, აქციონერის სამართლებრივი სტატუსის დაკარგვა იწვევს მოთხოვნის გაქარწყლებას.²⁸⁸

დ.ბ.) მოთხოვნის შინაარსი

ამასთან აუცილებელია, რომ ინფორმაცია ეხებოდეს უშუალოდ იმ საკითხს, რომელიც გათვალისწინებული იყო საერთო კრების დღის წესრიგით,²⁸⁹ რომლის თაობაზეც დაისუვა კითხვა ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით და ეს კითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული.²⁹⁰ დირექტორატს არ აქვს ვალდებულება წერილობით დაასაბუთოს უარი.²⁹¹ ეს მის დისკრეციას წარმოადგენს, თუმცა სასამართ-

283 Reger in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, §132, Rn. 3.

284 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §131, Rn. 7.

285 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §132, Rn. 3.

286 Kubis in Münchener Kommentar zum Aktiengesetz, (2004), §132, Rn. 3.

287 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §132, Rn. 7.

288 Göhmann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S.

511.

289 Kubis in Kropf/Semler (Hrsg.) Münchener Kommentar zum Aktiengesetz (2004), §132, Rn. 8; Siems in Spindler/Stilz, AktG, 2007, §132, Rn. 10; Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §132, Rn. 7 ff.

290 Göhmann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S.

511.

291 Göhmann in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S.

511.

ლოში თავის მართლების თვალსაზრისით მიზანშეწონილია უარი იმთავითვე იყოს წერილობით დასაბუთებული (ან, რა თქმა უნდა, სახეზე იყოს საოქმო ჩანაწერი ამ უარის დასაბუთების თაობაზე). განცხადება სასამართლოში ინფორმაციის მოპოვების მიზნით წარდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ საერთო კრების ჩატარებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.²⁹² ამ ვადის გაშვების შემდეგ განცხადება არ დაიშვება.

3. საერთო კრების გადაწყვეტილებათა ბასაჩივრების ბოროტად გამოყენება და უმცირესობის დაცვის საკანონმდებლო მექანიზმები

საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება თავისი არსებითი შინაარსით წარმოადგენს აქციონერის²⁹³ ერთ-ერთ ცენტრალურ კორპორაციულსამართლებრივ უფლებას. იგი აქციონერის კონტროლის უფლების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა.²⁹⁴ გასაჩივრების უფლების ჩამორთმევა, როგორც წესი, არ დაიშვება. თუმცა კანონმდებლობას შეუძლია ამ თვალსაზრისით გარკვეული შეზღუდვები დააწესოს. ეს შეზღუდვებიც სწორედ იმას უნდა ემსახურებოდეს, რომ სს-ის, როგორც კაპიტალური ტიპის საზოგადოების, სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, დაცული იქნეს კაპიტალის გადანაწილების სამართლიანობის პრინციპი: სს არის ისეთი კაპიტალური საზოგადოება, სადაც საწარმოს ხელმძღვანელობა, ძირითადად, უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის ხელშია მოქცეული. სს-ის პოლიტიკური ნებაც სწორედ რომ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ფორმირდება. უნდა გამოითქვას ვარაუდი, რომ აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება, თუ იგი, რა თქმა უნდა, ფორმალური წინა პირობების დარღვევის გარეშეა წარმართული და ჩატარებული, სამართლიანი გადაწყვეტილებათა და არსებითად

292 Reger in Bürgers/Börber, Heidelberger Kommentar zum AktG, §131, Rn. 4.

293 პრინციპში, ძირითადად, უმცირესობაში მყოფი აქციონერის.

294 Langenbucher, Aktien- und Kapitalmarktrecht, S. 158.

შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს და საწარმოს ძირითად პოლიტიკას. მაგრამ ბუნებაში არსებობს შემთხვევები, როდესაც უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის სამართლიანი საზოგადოებასთან მიმართებაში, იგი ხელყოფს მინორიტარი პარტნიორის (არსებით) ინტერესს და ამით, საბოლოო ჯამში, ზიანი ადგება საზოგადოებას. გამოძინარე აქედან, სააქციო სამართალი ითვალისწინებს მთელ რიგ მექანიზმებს უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლებების დასაცავად, აძლევს რა მას ამ „არასწორი“ გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებამოსილებას. გასაჩივრებით, გარკვეულწილად, შესაძლებელია აღდგეს სამართლიანობა კორპორაციაში და იგი (გასაჩივრება) მოგვევლინოს არასწორი გადაწყვეტილების აღდგენის წინა პირობად. თუმცა აქვე ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ არის შემთხვევები, როცა თავად უმცირესობა იყენებს გასაჩივრების უფლებას ბოროტად და ამით ცდილობს ზიანი მიაყენოს უმრავლესობის ნებას და, ზოგადად, საზოგადოებას. ამ თვალსაზრისით საქმე ისეთ კონსტალაციას ეხება, როდესაც უმცირესობაში მყოფი აქციონერი უბრალოდ ასაჩივრებს საერთო კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ასაბუთებს ამას თითქოსდა საწარმოს ინტერესის პრიმატით და მისი, როგორც უმცირესობის ინტერესების შელახვის ფაქტით,²⁹⁵ სინამდვილეში კი გასაჩივრების არანაირი ინტერესი მას არ აქვს, იგი არ ზრუნავს საწარმოზე და მისი ქმედება, ძირითადად, გამიზნულია არა საზოგადოების, არამედ უმრავლესობაში მყოფი აქციონერის ინტერესების საწინააღმდეგოდ.²⁹⁶ სხვა სიტყვებით, მისი ქმედება გამიზნულია მხოლოდ იქითკენ, რომ გარკვეული (მისთვის სასურველი) ქმედების განხორციელებაზე წამოიყვანოს დომინანტი აქციონერი.²⁹⁷ მოკლედ,

295 ამ დროს გერმანულ იურისპრუდენციაში მიუთითებენ „კოხ-ალერის“ ცნობილ გადაწყვეტილებაზე: BGH (Urteil von 22.05.1989) – II ZR 206/88, BGHZ 107, 296 = AG 1989, S. 399 ff.

296 ამიტომაც არის, რომ, ძირითადად, საკორპორაციო სამართალი უფლების ბოროტად გამოყენებას უმცირესობის მხრიდან საზოგადოებისა და თანაპარტნიორთა მიმართ ერთგულების მოვალეობის დარღვევის ფაქტად განიხილავს. K. Martens/S. Martens, AG, Heft 6/2009, S. 174.

297 Martens/Martens, AG, Heft 6/2009, S. 174.

შინაარსობრივად ადგილი აქვს უმრავლესობაში მყოფი აქციონერის დაშანტაჟების მცდელობას. ამიტომ საჭიროა ოქროს შუალედის პოვნა უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვასა და უმცირესობის უფლების დაცვის უზრუნველყოფას შორის. ეს კი შესაძლოა გამოვლინდეს როგორც უმცირესობისათვის თავისი კორპორაციულსამართლებრივად უზრუნველყოფილი უფლების სამართალიანად გამოყენებაში, ისე ამ უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვაში. წიგნის ამ ნაწილში ამ უფლების დაცვის მხოლოდ რამდენიმე ასპექტს შევხვებით. ეს არის უმცირესობის მიერ საერთო კრების მოწვევის და საზოგადოების საქმიანობის სპეციალური შემოწმების საკითხი.

ა) საერთო კრების მოწვევა უმცირესობის ინიციატივით

ამ შემთხვევაში ყურადღება, ძირითადად, მახვილდება რიგგარეშე კრების მოწვევის უფლებაზე. ჩვეულებრივ, საერთო კრების მოწვევა და დღის წესრიგის განსაზღვრა დირექტორატის (გამგეობის) და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შედის.²⁹⁸ თუმცა ეს არ გამორიცხავს ისეთ ვითარებას, როდესაც საერთო კრების მოწვევაზე უფლებამოსილი უმცირესობაში მყოფი აქციონერი იქნება.²⁹⁹ სწორედ ამ შინაარსს განსაზღვრავს გერმანული სააქციო კანონის 122-ე პარაგრაფი.

ა.ა.) მოწვევაზე უფლებამოსილი პირი

სააქციო კანონმდებლობა ნებისმიერი პროცენტის მფლობელ აქციონერს ავტომატურად არ აძლევს (რიგგარეშე) საერთო კრების მოწვევის შესაძლებლობას. გერმანული სამართლის მიხედვით, საერთო კრების მოწვევა დღის წესრიგის მითითებით შეუძლიათ საწესდებო კაპიტალის 1/20-ის, ანუ საწესდებო კაპიტალის 5%-

298 Langenbacher, Aktien- und Kapitalmarktrecht, S. 159.

299 Langenbacher, Aktien- und Kapitalmarktrecht, S. 159.

ის მფლობელ აქციონერებს, ან იმ აქციონერებს, რომელთა წილიც კაპიტალში 500 000 ევროს აღწევს.³⁰⁰ დაახლოვებით ამგვარი ფორმულირებაა მოცემული „მეწარმეთა შესახებ“ კანონში. წინამდებარე კანონის 53-ე მუხლის მე-3³ პუნქტი ადგენს, რომ 5%-ის მფლობელ აქციონერს უფლება აქვს მოითხოვოს წესდებით გათვალისწინებული ორგანოსაგან რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება. ამ შემთხვევაში ნაციონალური კანონმდებლობა ყურადღებას მხოლოდ აქციონერის პროცენტულ მაჩვენებელზე ამახვილებს, გერმანულისაგან განსხვავებით. ამასთან ქართული სამართალი არაფერს ამბობს თუ რა 5%-ის მფლობელი აქციონერია ის პირი, რომელსაც ეს უფლება გააჩნია. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს საზოგადოების კაპიტალის 5%-ის მფლობელ პარტნიორზე. ნიშანდობლივია, რომ მხედველობაში ამ დროს მიიღება აგრეთვე ე.წ. სინდიკატური ხელშეკრულებები, ანუ ხმათა შეკერის ხელშეკრულებები. სწორედ ამიტომ კანონის მოცემულობა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფსაც, რომელიც საბოლოო ჯამში 5%-ის მფლობელი იქნება. შესაბამისად, თუკი 0,0001%-ის მქონე აქციონერებიც გაერთიანდებიან და ჯამში 5%-იან შემადგენლობას შეკრავენ, მათ უფლება აქვთ საზოგადოების დადგენილ ორგანოს მოსთხოვონ საერთო კრების ჩატარება და განსაზღვრონ დღის წესრიგის საკითხები. აქციათა კლასს მნიშვნელობა არ აქვს, ანუ მთავარია 5%-იანი მონაწილეობა საწარმოს კაპიტალში, ხოლო თუ რა სახის (პრივილეგირებული, ჩვეულებრივი თუ ა.შ.) აქციის მფლობელი იქნება აქციონერი, უმნიშვნელოა. მართალია, აქ ყურადღება, ძირითადად, მახვილდება უმცირესობაში მყოფ 5%-ის (ან 500 000 ევროს) მფლობელ აქციონერზე, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ საერთო კრების მოწვევის უფლება არ აქვს უმრავლესობას.³⁰¹ შესაბამისად, გერმანული და

300 Ludwig in Happ (Hrsg.). Aktienrecht, Handbuch, Mustertexte, Kommentar. 3. neu bearbeitete Auf., Carl Heymanns Verlag, Köln, München 2007, S. 1228.

301 Reger in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, §122, Rn. 1.

ქართული სააქციო სამართლის ეს ნორმები არ არის იმპერატიული ხასიათის, რაც იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობასაც შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული უფლება. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული სააქციო კანონის ზემოთ აღნიშნული პარაგრაფი, პრინციპში, იმპერატიული ხასიათისაა (აქციონერთა ქვორუმთან მიმართებით) საზოგადოების ხელშეკრულებით შესაძლოა დადგინდეს უფრო მცირე ზღვარი პროცენტული მაჩვენებლისა ან დადგინდეს წერილობითი ფორმის³⁰² გამარტივების საკითხებიც.³⁰³ თუკი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის წინამდებარე ნორმის სიტყვასიტყვით განმარტებას გაესმება ხაზი, მაშინ თვალნათელია, რომ ნაციონალური სააქციო სამართალი არ უშვებს წერილობითი ფორმის გარდა სხვა სახით კრების მოწვევის საკითხის დაყენებას. პრინციპში, აღნიშნული ნორმა სხვგვარად ვერც განიმარტება. გამოდის, რომ მოთხოვნა ყველა ვარიანტში მხოლოდ წერილობითი ფორმით უნდა იქნეს წარდგენილი საზოგადოების შესაბამისი ორგანოსათვის. მოთხოვნის ადრესატი, გერმანული სამართლის მიხედვით, ყველა შემთხვევაში საზოგადოებაა, წარმოდგენილი მისი ორგანული წარმომადგენლობითი ორგანოს – გამგეობის (დირექტორატის) სახით.³⁰⁴ ქართული სამართლის მიხედვით, ეს ორგანო საზოგადოების წესდებით იქნება დადგენილი.

ა.ბ.) უარის შემთხვევაში უმცირესობის დაცვის მექანიზმი

პრაქტიკაში ბევრია შემთხვევა, როდესაც უმრავლესობა გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს საწარმოს ხელმძღვანელობით ორგანოზე. უფრო მეტიც, თავად უმრავლესობა არის წარმოდგენილი

302 როგორც წესი გერმანული სამართალი აქცენტს საერთო კრების მოწვევის დაყენების წერილობით ფორმაზე აკეთებს. ტელეფაქსის გამოყენება ამ შემთხვევაში არ დაიშვება. Ziemons in K. Schmid/Lutter, AktG, §122, Rn. 12.

303 Hüfner, Aktiengesetz, (2006), §122, Rz. 8; Kubis in MünchKommAktG, (2004), §122, Rn. 69.

304 Kühn, BB 1965, S. 1170. ეუთოთბ: Ziemons in K. Schmid/Lutter, AktG, §122, Rn. 13.

დირექტორთა საბჭოში. ეს შესაძლოა გახდეს იმის საფუძველი, რომ უმცირესობის მოთხოვნა საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებით დირექტორატმა არ დააკმაყოფილოს. ამ შემთხვევაში, კანონმდებლობა ითვალისწინებს მინორიტარი აქციონერის დაცვის მექანიზმს: ამ უკანასკნელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს აქციონერთა საერთო კრების ჩატარება. სასამართლოს შეუძლია მიანიჭოს უმცირესობას უფლება თავად მოიწვიოს საერთო კრება.³⁰⁵ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომელთაც თავდაპირველად მიმართეს იგივე მოთხოვნით საწარმოს დირექტორატს.³⁰⁶ ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიმართვის მოთხოვნაში დასაბუთებული უნდა იყოს, თუ რატომ არის საჭირო რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, მაშინ, როდესაც შესაძლოა ეს საკითხები ჩვეულებრივ საერთო კრებაზე განხილულიყო.³⁰⁷ ამის დასაბუთებას, სასამართლო სხდომაზე ძალიან დიდი მნიშვნელობა მიექცევა. სწორედ სწორმა და მართებულმა დასაბუთებულობამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ სასამართლოს ეჭვი გაუქარწყლდეს უმცირესობის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროცესის მსვლელობის და დასრულების მთელი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებული იყოს კანონით გათვალისწინებული საფუძველი: 5%-ანი (ან გერმანული სამართლის შემთხვევაში 500 000 ევროანი) მონაწილეობითსამართლებრივი უფლება საწარმოს კაპიტალში.³⁰⁸ ამ პრინციპის დარღვევა იწვევს უმცირესობაში მყოფი აქციონერის არაუფლებამოსილებას კრების მოწვევის საკითხთან მიმართებით.³⁰⁹ შესაბამისად, მოწვევისათვის აღარც სამართლებრივი საფუძველი იარსებებს.

305 Ludwig in Happ (Hrsg.), Aktienrecht, (2007), S. 1232.

306 Ludwig in Happ (Hrsg.), Aktienrecht, (2007), S. 1232; Ziemons in K. Schmid/Lutter, AktG, §122, Rn. 33; Willamowski in Spindler/Stilz, AktG, §122, Rn. 9.

307 Werner in Grosskomm., §122, Rn. 15 ff. უუთითბ: Willamowski in Spindler/Stilz, AktG, §122, Rn. 9.

308 Ludwig in Happ (Hrsg.), Aktienrecht, (2007), S. 1232.

309 Göhmann in Henn/Frodenmann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, (2009), S.

ნიშანდობლივია, რომ გერმანული სააქციო სამართალი ცალსახად აძლევს შესაძლებლობას უმცირესობაში მყოფ აქციონერს ნებისმიერ შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოთხოვნით, თუ დირექტორატი (ან სამეთვალყურეო საბჭო)³¹⁰ უარს განაცხადებს ამ ქმედების განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში, გერმანული კანონმდებლობა ავტომატურ რეჟიმში არ აძლევს უმცირესობაში მყოფ აქციონერს თავად მოიწვიოს კრება, ანუ დირექტორატის მხრიდან უარის გაცხადების შემთხვევაში, მან აუცილებლად უნდა მიმართოს სასამართლოს, რომელიც მიაინჰებს ან არ მიაინჰებს მას შესაძლებლობას თავად განახორციელოს კრების მოწვევის პროცედურა და ჩაატაროს კრება.

ქართული სამართალი ამ საკითხის სხვაგვარ მოწესრიგებას გვთავაზობს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, თუკი სახეზეა 53-ე მუხლის მე-3³ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორატი ვალდებულია მოთხოვნიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში, დანიშნოს და ჩაატაროს საერთო კრება. ნორმის ამგვარი ფორმულირება, ჩემი აზრით, ისევ გაუგებრობას წარმოშობს: ჯერ ერთი, კანონი იმპერატიულად ადგენს უმცირესობის მიერ კრების ჩატარების მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში კრების მოწვევას მმართველი ორგანოების მხრიდან, რაც არასწორია. შესაძლოა, საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს მიზანშეწონილად არ მიაჩნდეს ამ ეტაპზე უმცირესობის მოთხოვნის დაკმაყოფილება და რიგგარეშე კრების ჩატარება. საერთო კრების ჩატარება გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, შეიძლება საკითხი საწარმოს ისეთ საქმიანობას ეხებოდეს, რომლის სააშკარაოზე გატანა საწარმოს ინტერესის საწინააღმდეგო იქნება. გარდა ამისა, დირექტორატი საზოგადოებას უძღვება კეთილსინდისიერების და სამეწარმეო საქმიანობის მიზანშეწონილობისა და გადაწყვეტილების მიღების თა-

310 გერმანული სააქციო კანონის 111-ე პარაგრაფი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც, ექსტრემალურ სიტუაციაში და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, კრება შესაძლოა მოწვეულ იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერაც.

ვსუფლების ფარგლებში (მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი). ამიტომ, მოწვევის დავალდებულება ხელყოფს ამ პრინციპებს: შეიძლება ღირეპქტორი დარწმუნებული იყოს, რომ კრების ჩატარება ზიანის მომტანი იქნება საზოგადოებისათვის. ამ ქმედების განხორციელების დავალდებულება კი პირდაპირ მოდის კეთილსინდისიერების პრინციპთან წინააღმდეგობაში. მეორე – ქართული კანონი ძალიან კარგ შესაძლებლობას აძლევს უმცირესობაში მყოფ აქციონერს ეს უფლება ბოროტად გამოიყენოს. გაუთავებელი კრების მოწვევით მინორიტარი აქციონერი ბევრ სიძნელეს შეუქმნის დომინანტ აქციონერს (როგორც ზემოთ აღინიშნა, უმცირესობის ქმედება ძირითადად უმრავლესობაში მყოფი აქციონერის საწინააღმდეგოდ არის გამიზნული, ანუ საზოგადოებას). სასამართლო ფილტრის დაწესებით კი ასეთი შესაძლებლობა (უფლების ბოროტად გამოყენებაა მხედველობაში) ნულამდე იქნება დაყვანილი. მესამე, ნაციონალური კანონმდებლობა მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში უშვებს იმას, რომ ღირეპქტორატმა უარი განაცხადოს კრების მოწვევაზე: მაშინ, როცა დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთადერთი საკითხი – ღირეპქტორის გადაყენების საკითხია. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ძალიან დიდია ალბათობა იმისა, რომ ღირეპქტორი ამ ღონისძიებას არ განახორციელებს და არ მოიწვევს საერთო კრებას. მას შემდეგ, რაც მოთხოვნიდან 20 დღე გავა და კრება მოწვეული არ იქნება, უმცირესობაში მყოფ აქციონერს ავტომატურად ეძლევა შესაძლებლობა თავად მოიწვიოს საერთო კრება დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის მითითებით. კრების ინიციატორი დაზღვეული წერილით მიმართავს ყველა დანარჩენ აქციონერს საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებით. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე 75%-ანი პარტნიორი. როგორც ჩანს, მოწვევის გერმანული და ქართული სტანდარტი განსხვავდება ერთმანეთისაგან. გერმანული სამართალი, ჩემი აზრით, უფრო იძლევა უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლების დაცვის და უფლების ბოროტად გამოყენების შეზღუდვის შესაძლებლობას.

ბ) საზოგადოების საქმიანობის სპეციალური შემოწმება

იმ აქციონერისთვის, რომელსაც პირდაპირი შეხება და უშუალო კონტაქტი არ აქვს საწარმოს მმართველ ორგანოებთან, ძნელია საზოგადოების საქმიანობის შესახებ სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაციის მიღება. ამიტომ, მიჩნეულია, რომ „სპეციალური შემოწმების ინსტრუმენტი“ მას ამ მექანიზმის განხორციელებაში ეხმარება.³¹¹ როგორც წესი, გადაწყვეტილება საქმიანობის შემოწმების შესახებ მიიღება ხმათა ჩვეულებრივი უმრავლესობის შემთხვევაში.³¹² აქედან გერმანული სააქციო სამართალი იცნობს სპეციალურ შემოწმებას, რომლის ჩატარების შესახებაც საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას და შემოწმებას, რომელზედაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას.³¹³ იმ შემთხვევაში, თუკი საერთო კრებაზე ჩვეულებრივი უმრავლესობის მიერ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, მაშინ უმცირესობაში მყოფ აქციონერს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს სპეციალური შემოწმების ჩატარება. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება საწარმოს 1%-იანი წილის მფლობელი საზოგადოების კაპიტალში ან 100 000 ევროს ღირებულების მფლობელი აქციონერი.³¹⁴ რომ შევადაროთ ეს საკითხი ქართულ სამართალს ისევ სხვაობას მივიღებთ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი 53-ე მუხლის მე-3² პუნქტში ითვალისწინებს საწარმოს კაპიტალის 5%-იანი უმცირესობის მხრიდან „სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალურ შემოწმებას“. თუმცა არ აკონკრეტებს ვინ იღებს ამის თაობაზე გადაწყვეტილებას, საჭიროა თუ არა ამისათვის საერთო კრების მოწვევა, შეზღუდულია თუ არა შემოწმება დროში (ანუ მოქმედებს თუ არა სპეციალურ შემოწმებაზე ხანდაზმულობის გარკვეული ვადა) და ა.შ. ნაციონალური კანონმდებლობა უფლე-

311 Langenbucher, Aktien- und Kapitalmarktrecht, S. 161.

312 Paschke in Schwerdtfeger (Hrsg.), Gesellschaftsrecht, §142, Rn. 4.

313 Holzborn in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, §142, Rn. 3ff; 12ff.

314 Spindler in K. Schmidt/Lutter (Hrsg.), AktG, §142, Rn. 38, 39.

ბის ისევ დეკლარირებით შემოიფარგლება და მისი კონკრეტიზაციისაგან თავს იკავებს. სავსებით დასაშვებია, რომ უმცირესობის ეს უფლებაც თავისუფლად შეიძლება გახდეს მისი ბოროტად გამოყენების საწინდარი. ამიტომ მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაში რამდენიმე იურიდიული ფაქტის არსებობას უნდა ჰქონდეს ადგილი, რათა, შეძლებისდაგვარად, თავიდან იქნეს აცილებული ბოროტად გამოყენების ბერკეტი. პირველი, აუცილებელია, რომ აქციონერი აქციებს ფლობდეს სამი თვით ადრე საერთო კრების ჩატარებამდე³¹⁵ და მთელი პროცესის განმავლობაში ეს მაჩვენებელი შენარჩუნებული უნდა იყოს.³¹⁶ მეორე, საკითხი უშუალოდ სს-ის საქმიანობას (მოყოლებული მისი დაფუძნებიდან კრების მოწვევის დღემდე) უნდა ეხებოდეს.³¹⁷ მესამე, ხანდაზმულობის ვადა ხუთ წელს უნდა შეადგენდეს შესამოწმებელი ფაქტის არსებობის (საწარმოს დაფუძნებიდან ან საქმიანობიდან გამომდინარე) დღიდან.³¹⁸ მეოთხე, აუცილებელია საკითხი ეხებოდეს უშუალოდ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს.³¹⁹ და მეხუთე, ის საკითხი, რომლის დაყენებას და განხილვას ითხოვს აქციონერი სპეციალურ შემოწმებაზე, არ უნდა ყოფილიყო დაყენებული აქციონერთა ბოლო საერთო კრებაზე, სადაც ეს საკითხი იქნა განხილული და მასზე შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული.³²⁰

შესაძლებელია, ასევე, რომ სპეციალური შემოწმების მოთხოვნით საერთო კრებაზე თავად უმრავლესობის მიერ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებით უმრავლესობის მიერ დანიშნული იქნება აუდიტი (სპეციალური ცოდნის მქონე პირი), რომელსაც დაევალება საზოგადოების საქმიანობის შემოწმება (ან საზოგადოების დაფუძნებიდან გამომდინარე გარკვეული საკითხე-

315 Langenbucher, Aktien- und Kapitalmarktrecht. S. 161.

316 Mimberg in Handbuch börsennotierte AG, (2009), §37, Rz. 4ff.

317 Holzborn in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, §142, Rn. 1.

318 Spindler in Spindler/Stilz, AktG. §142, Rn. 50.

319 Mock in Spindler/Stilz, AktG, §142, Rn. 36 f.

320 Paschke in Armin Schwerdtfeger (Hrsg.). Gesellschaftsrecht. §142, Rn. 4.

ბის შემოწმება). არის შემთხვევა, როდესაც უმცირესობაში მყოფი აქციონერი არ ეთანხმება უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აუდიტის პიროვნებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში გერმანული სააქციო სამართალი, ისევე უმცირესობის ინტერესებიდან გამომდინარე, იძლევა შესაძლებლობას, რომ აუდიტი სასამართლოს მეშვეობით იქნეს დანიშნული.

სპეციალური შემოწმების და, ქედან გამომდინარე, აუდიტორის დანიშვნა შესაძლებელია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საერთო კრება არ მიიღებს უმცირესობის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას, არამედ მაშინაც, როცა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ ეს გადაწყვეტილება, უმცირესობის აზრით, არასამართლიანია.³²¹ ამ შემთხვევაში, ძირითადად, საკითხი ეხება უკვე დანიშნული აუდიტორის (აუდიტორების) კვალიფიკაციას ან ნეიტრალიტეტს.³²² უმცირესობა სპეციალური ცოდნის მქონე პიროვნების სწორედ ამ მახასიათებლებს ხდის სადავოდ და მიაჩნია, რომ ის ვერ იქნება საკმაოდ კვალიფიციური ან ნეიტრალური. შესაბამისად, მის მიერ ჩატარებულ შემოწმებას უმცირესობა უნდობლობის თვალთ შეხედავს, რაც მათი უფლების დარღვევის ტოლფასი შეიძლება იყოს. ამიტომ გერმანული სააქციო კანონმდებლობის მიერ შემოთავაზებულია არა ერთი (ცალკეული), არამედ რამდენიმე აუდიტის დანიშვნა სპეციალური შემოწმების განსახორციელებლად.³²³ აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სააქციო კანონი ამ დროს ადგენს კვალიფიციურ უმცირესობას,³²⁴ ანუ არა 5%-იან უმცირესობას (კაპიტალში მონაწილეობითსამართლებრივ ზღვარს), არამედ 1%-ის ან 100 000 ევროს სს-ის საწესდებო კაპიტალში.³²⁵ განცხადების შემტანი პირი, როგორც წესი,

321 Wilsing/Neumann in Heidel (Hrsg.), Aktienrecht und Kapitalmarktrecht, NomosKommentar. 2. Auf., Verlag Nomos. Baden-Baden 2007, §142 AktG, Rn. 27.

322 Wilsing/Neumann in Heidel (Hrsg.), Aktienrecht, (2007), §142 AktG, Rn. 27.

323 Mock in Spindler/Stilz, AktG, §142, Rn. 135.

324 Mock in Spindler/Stilz, AktG, §142, Rn. 134.

325 Wilsing/Neumann in Heidel (Hrsg.), Aktienrecht, (2007), §142 AktG, Rn. 21.

უნდა იყოს თავად აქციონერი.³²⁶ თუმცა ამ წესიდან გამონაკლისიც დაიშვება: უფლებამოსილი პირი შესაძლოა იყოს „ლიგიტიმური აქციონერი, მოგირავენე, მაგრამ არა გირავენობის კრედიტორი“.³²⁷ განცხადება აუდიტის დანიშნავსთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი უნდა იყოს ორი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, საიდანაც სპეციალური ცოდნის მქონე პირის დანიშვნის თაობაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება.³²⁸ თუკი აუდიტი თავის საქმიანობას უნდა შეუდგეს არა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების დღიდან, არამედ მოგვიანებით, მაშინ ორკვირიანი ხანდაზმულობის ვადაც, შესაბამისად, მისი საქმიანობის რელურად ამოქმედების დღიდან აითვლება.³²⁹ მიუხედავად იმისა, რომ განცხადების წარდგენა, ასე ვთქვათ, დამატებითი აუდიტორის დანიშვნის თაობაზე, უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლების დაცვის ერთ-ერთი გარანტიაა, იგი ასევე მინორიტარის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების ბერკეტი შეიძლება გახდეს. ამ შემთხვევაში საუბრობენ იმაზე, რომ მინორიტარი (სასამართლოში განცხადების წარმდგენი პირი) „არალოიალურად დამოკიდებული ხდება საზოგადოებისადმი და მხოლოდ საკუთარ კერძო ინტერესზე ზრუნავს“.³³⁰ განსაკუთრებით საუბრობენ ისეთ განცხადებებზე, რომელიც უმცირესობაში მყოფ აქციონერს, სასამართლოში საქმის დაწყებით, არავითარ უპირატესობას არ ენიჭებს, შესაბამისად, მათ არსებითად არანაირი ახალი პერსპექტივა არ უჩნდებათ თავიანთი კანონიერი და მართლზომიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად და განცხადებები, როგორც წესი, შეიცავს არასაგნობრივ მსჯელობას და არასაგნობრივ

326 Wilsing/Neumann in Heidel (Hrsg.), Aktienrecht, (2007), §142 AktG, Rn. 21.

327 Grosskomm-AktienR/Bezenberger, §142 Rn. 47. ეუთითებ: Wilsing/Neumann in Heidel (Hrsg.), Aktienrecht, (2007), §142 AktG, Rn. 21.

328 Mock in Spindler/Stilz, AktG, §142, Rn. 135.

329 Mock in Spindler/Stilz, AktG, §142, Rn. 135.

330 OLG München v. 16.07.2007 – 31 Wx 29/07, 31 Wx 029/07, ZIP 2007, S. 1728; AG Ingolstadt v. 18.01.2001 – HRB S. 2468, DB 2001, S. 1356 f; და ა.შ. ეუთითებ: Spindler in K. Schmidt/Lutter, AktG, §142, Rn. 59.

საკითხებს.³³¹ თუკი განცხადებას აუდიტის დანიშვნის მოთხოვნის თაობაზე სასამართლო უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტად მიიჩნევს, მაშინ მან განცხადებას უარი უნდა უთხრას არა დაუშვებლობის, არამედ დაუსაბუთებლობის მოტივით.³³² ამასთან, შესაძლოა დადგეს უკვე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხიც. ასეთ შემთხვევაში ეს უკვე შესაძლოა განხილული იყოს როგორც სანქცია, მიმართული არაკეთილსინდისიერი აქციონერის წინააღმდეგ. თუმცა სანქცია, რომელიც, თავის მხრივ, პრევენციის მიზნებს ემსახურება, აუცილებელია იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები. მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ ვერ იქნა მოძიებული უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკა უშუალოდ ამ საკითხზე, ვფიქრობ, რომ აქ მოყვანილი მსჯელობა საინტერესო იქნება მომავალი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის.

4. უმცირესობის უფლების ერთადერთი დაცვის საშუალება სს-იდან განდევნის შემთხვევაში

ბოლო საკითხი, რომელსაც მინდა წიგნის ამ ნაწილში ყურადღება მიექცეს არის უმცირესობის უფლებისა და ინტერესის დაცვა ე.წ. squeeze-out-ის შემთხვევაში.³³³ ეს ინსტიტუტი სულ რამდენიმე ხნის წინ იქნა შემოღებული ქართულ სამართალში, რასაც ღიდი გაუგებრობა და ვნებათა ღელვა მოყვა ქართულ სა-

331 Spindler in K. Schmidt/Lutter. AktG, §122, Rn. 59.

332 Hüffer, §142 Rz. 21; Fleischer in Küting/Weber, Hdb. Rechnungslegung, §142 AktG Rz. 132; Hirte, ZIP 1988, S. 953, 956. უუთითებ: Spindler in K. Schmidt/Lutter. AktG, §122, Rn. 59.

333 საუბარია სს-იდან უმცირესობაში მყოფი აქციონერის განდევნის, გამკვების, აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. თუმცა მე ვაშჯობინებ ამ სიტყვის ერთ ტერმინში გამოხატვას: განდევნა.

ზოგადობაში.³³⁴ ევროპული სამართალი³³⁵ ერთხმად აღიარებს ასეთი უფლების გამოყენების დაშვების კონსტიტუციურობას ნაციონალურ კანონმდებლობაში.³³⁶ ამიტომ დღეს უკვე გაბატონებულ მოსაზრებას წარმოადგენს ის, რომ უმცირესობაში მყოფი აქციონერების სს-იდან განდევნის (აქციათა სავალდებულო მიყიდვის) უფლება შესაბამისობაში მოდის კონსტიტუციურსამართლებრივ ნორმებთან.³³⁷ მიჩნეულია, რომ ამ დროს უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლების დაცვის თანამედროვე და მეტად ეფექტური დაცვის მექანიზმებია დადგენილი. ამიტომ აღიარებულია, რომ მათი საზოგადოებიდან განდევნის უფლება უფრო „მაღლა მდგომ უფლებასთან (სამართალთან)“³³⁸ შესაბამისობაშია მოყვანილი და არ ეწინააღმდეგება მას.³³⁹ ამ დროს, თითქოსდა, მართლაც ილახება მინორიტარი აქციონერის უფლება და იგი მისი ნებისაგან დამოუკიდებლად კარგავს წილს (აქციას) საზოგადოებაში. თუმცა კომენტატორულ ლიტერატურაში საინტერესო მოსაზრება ვითარდება ამ საკითხთან მიმართებით: აქციონერს მის საკუთრებას სახელმწიფო არ ართმევს, ანუ სახელმწიფო არ ეცილება მას მის უფლებაში, აქედან გამომდინარე კი სახეზე არ არის საკუთრების

334 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმები არაერთხელ გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. ერთხელ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურადაც აღიარა უმცირესობაში მყოფი აქციონერის სს-იდან განდევნის ინსტიტუტი. სსსგ №2/1-370,383,390,402,405, (18.05.2007). თუმცა საბოლოო ჯამში, ახალი ცვლილებების გათვალისწინებით, იგი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანილად ჩაითვალა.

335 Richtlinie 2004/25/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom dem 21. April 2004 betreffend Übernahmeangebote (Übernahmerechtlinie). ვუთითებ: Schüppen in Haarmann/Schüppen (Hrsg.), Frankfurter Kommentar zum WpÜG, 3. neu bearbeitete Aufl., Verlag Recht und Wirtschaft, Frankfurt am Main 2008. Ein., Rn. 2.

336 Hirte in Hirte/Bülow (Hrsg.), Kölner Kommentar zum WpÜG, Carl Heymanns Verlag, Köln 2003, Ein., Rn. 119.

337 ამის თაობაზე მაგ.: Grunewald in MünchKommAktG, 2. Auf., Band 9/1, (2004), vor §327a, Einl. Rn. 6f; Koppensteiner in Kölner Komm. Zum AktG, vor. §327a, Rn. 6, 7; Singhof in Spindler/Stilz, AktG, §327a, Rn. 5f და ა.შ.

338 Vereinbarkeit mit höherrangigem Recht.

339 Hirte in Hirte/Bülow (Hrsg.), Kölner Kommentar zum WpÜG, Ein., Rn. 119.

ჩამორთმევის³⁴⁰ ინსტიტუტი გერმანიის ძირითადი კანონის მე-14 მუხლის მე-3 აბზაცის³⁴¹ მიხედვით.³⁴² სააქციოსამართლებრივი განდევნის³⁴³ შემთხვევაში კანონმდებელი, უმეტესწილად, უმრავლესობაში მყოფ ძირითად აქციონერს ანიჭებს უფლებას მოიწვიოს საერთო კრება (რომელზედაც გადაწყვეტი ხმის უფლება სწორედ ამ უკანასკნელს აქვს) და მიიღოს უმცირესობაში მყოფი აქციონერის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება. სწორედ ამაში გამოიხატება აქციაში განმტკიცებული საკუთრების უფლების შინაარსობრივი და შეზღუდვითი მხარე. აქედან გამომდინარე, კანონმდებელს შეუძლია დაადგინოს ასეთი ნორმები, თუკი ადგილი აქვს საზოგადოებაში ძირითადი აქციონერის სამართლებრივი სტატუსის მართებულად გამოყენებას, საზოგადოებრივ ინტერესს გამოხატულს თავად ამ საწარმოს რენტაბელური საქმიანობის წარმართვაში და სოციალური სიკეთის შექმნასა და განვითარებაში.³⁴⁴ მხედველობაში მიიღება ასევე ე.წ. „სინერჯიის ეფექტი“, რომელიც ეკონომიკის და, საერთოდ, სამეწარმეო საქმიანობის მასტიმულირებელ კრიტერიუმად არის აღიარებული.³⁴⁵ დღეს უკვე საყოველთაოდ მიღებულია, რომ უმცირესობის განდევნამ უმრავლესობაში მყოფ აქციონერს უნდა მისცეს შესაძლებლობა „საწარმოს მარტივად და დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე უხელმძღვანელოს“.³⁴⁶ მინორიტარი აქციონერი მისი საზოგადოებიდან გასვლის შემთხვევაში იღებს შესაბამის (სამართ-

340 Enteignung.

341 შდრ. საქართველოს კონსტიტუცია, 21-ე მუხლი. ნაციონალურ კანონმდებლობაში იგივეობრივი შინაარსია მოცემული.

342 Grunewald in MünchKommAktG. (2004), vor §327a. Einl. Rn. 6.

343 გერმანიაში, საქართველოსაგან განსხვავებით, არსებობს ასევე შექენითსამართლებრივი განდევნა (WpÜG). უმცირესობაში მყოფი პარტნიორის განდევნას საზოგადოებიდან ორი საკანონმდებლო აქტი აწესრიგებს სააქციო კანონი და კანონი ფასიანი ქაღალდების შემქნის და საწარმოს დაუფლების შესახებ.

344 Hamman, S. 20ff.; Pöitzsch/Möller, S. 30. Wirth/Arnold. AG 2002, S. 503 504. ვუთითებ: Grunewald in MünchKommAktG, (2004), vor §327a, Einl. Rn. 6.

345 მაგ.: Hirte in Hirte/Bülow (Hrsg.), Kölner Kommentar zum WpÜG. Ein., Rn. 3ff.

346 Grunewald in MünchKommAktG, (2004), vor §327a, Einl. Rn. 8.

ლიან) ანაზღაურებას, რომლის სიდიდეც (მოცულობა) სასამართლო წარმოების გზით მოწმდება.³⁴⁷ აქვე ხაზგასასმელია ის, რომ უმცირესობაში მყოფი აქციონერები, დომინანტი პარტნიორებისაგან განსხვავებით, განიხილებიან მხოლოდ „კაპიტალდამბანდებლებად და არა როგორც სამეწარმეო წილის მფლობელებად“.³⁴⁸ აქაც ყურადღებას აქცევენ საზოგადოებაში მონაწილეობის ხარისხს და მოცულობას. ამიტომ გამოყოფენ უმცირესობაში მყოფი აქციონერების კაპიტალით მონაწილეობას, ხოლო უმრავლესობაში მყოფ აქციონერებს განიხილავენ როგორც კაპიტალდამბანდებლებს, ისე სამეწარმეო მონაწილეობაზე ორიენტირებულ პარტნიორებს.³⁴⁹ ამ უკანასკნელში კი უნდა ივარაუდებოდეს უმრავლესობის მხრიდან საზოგადოების მართვის, საწარმოს პოლიტიკური ცხოვრების წარმართვის შესაძლებლობა. მოკლედ, მიჩნეულია, რომ ძირითადი აქციონერის საზოგადოებაში 90%-იანი მონაწილეობის დროს უმცირესობას ნამდვილად არ ეკუთვნის „სამეწარმე-საქმიანობითი მონაწილეობა“,³⁵⁰ რაც მათი ინტერესის პრიმატს განსაზღვრავს.

საინტერესოა კითხვა, უნდა არსებობდეს თუ არა მნიშვნელოვანი საფუძველი საზოგადოებაში უმცირესობაში მყოფი აქციონერის განდევნისა? ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა: ასეთ დროს მნიშვნელოვანი საფუძველის არსებობას მნიშვნელობა არ აქვს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონით უმრავლესობას პირდაპირ ეძლევა უფლება განდევნოს უმცირესობა ისე, რომ არანაირი საფუძველის მითითება და მტკიცება მას არ ესაჭიროება. ამიტომ ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით უნდა იქნეს გათვალისწინებული უმცირესობაში

347 იგივეს იუწყება გერმანული და ქართული სამართალი.

348 უმცირესობისათვის სს-ში აქციის ფლობის ინტერესი არა საწარმოს მართვით არის განპირობებული, არამედ კაპიტალდამბანდებით: შესაბამის დროს გაყიდოს თავისი აქცია რაც შეიძლება მეტ ფასად და მოგება მიიღოს. ამიტომ უმრავლესობისაგან განსხვავებით, რომელიც საწარმოს მართვითა და ხელმძღვანელობით არის ძირითადად დაინტერესებული და ორიენტირებულია ამაზე, მინორიტარ აქციონერს არ აინტერესებს საწარმოს წარმართვის საქმე. Bauer, NZG 2000, S. 1214.

349 Zehetmeier-Müller/Zirngibl in Geibel/Süssmann (Hrsg.), WpÜG. Kommentar, 2. Auf., C. II. Beck, München 2008, Ein., Rn. 88f.

350 Grunewald in MünchKommAktG. (2004), vor §327a, Einl. Rn. 8.

მყოფი აქციონერის უფლებები. პრინციპში, ძირითადი ინტერესი და ამ ინტერესის დაცვის თანამედროვე მექანიზმად მიიჩნევა მინორიტარისათვის მის საკუთრებაში არსებული აქციების გაყიდვისთვის სამართლიანი ფასის გადახდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი გადაწყვეტილების დროს, როცა სასამართლომ არაკონსტიტუციურად აღიარა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53³-ე მუხლი, ძირითადად ყურადღება მახვილდებოდა იმაზე, მიიღებდა თუ არა აქციონერი მის აქციებში სათანადო ანაზღაურებას და გათვალისწინებული იქნებოდა თუ არა მისი აქციისათვის სამართლიანი ფასის განსაზღვრის ობიექტური კრიტერიუმები. ამიტომ ამ ობიექტური კრიტერიუმების არ არსებობამ, შესაძლებელია, შინაგანი გავლენა იქონია სასამართლოზე, არ დაკმაყოფილდა რა მოსარჩელეთა მოთხოვნა.³⁵¹ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში განხორციელებული დამატებების შემდეგ კი ეს ხარვეზი ამოივსო. კერძოდ, თუკი ზემოთ დასაბუთდა, რომ მინორიტარი აქციონერის განდევნა არ არის კონსტიტუციის და კანონის საწინააღმდეგო ქმედება, მაშინ ერთადერთი, რისი ინტერესიც უმცირესობას უნდა ჰქონდეს არის ის, რომ მის მფლობელობაში არსებულ აქციებში, რაც შეიძლება მეტი აიღოს და გავიდეს საზოგადოებიდან. ამიტომ, მიჩნეულია, რომ სამართლიანი ფასის განსაზღვრის მექანიზმი განაპირობებს ძირითადად უმცირესობის უფლების დაცვის თანამედროვე მექანიზმს, იცავს რა მას მისი საკუთრების „ჩამორთმევის“ არაობიექტურობისა და არასამართლიანობისაგან.³⁵² მოკლედ, ამ შემთხვევაში ქართული სააქციო სამართლის მიხედვით მინორიტარი აქციონერის უფლების ერთადერთი დაცვის შესაძლებლობა მდგომარეობს იმაში, რომ მან თავის აქციებში მიიღოს სამართლიანი ფასი. სხვა მექანიზმს ნაციონალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

351 თუმცა აქ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს მოსარჩელებმა რამდენჯერმე განაცხადეს, რომ მათთვის სამართლიანი ფასის გადახდის შემთხვევაში ისინი დიდი სიამოვნებით დათმობდნენ აქციებსა და გაუიღონენ საზოგადოებიდან.

352 Holzborn/Müller in in Bürgers/Körber, Heidelberger Kommentar zum AktG, §327a, Rn. 9.

ლალი ლაზარაშვილი

სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში;

მცირე აქციონერის ცნება. მცირე აქციონერისა და დომინანტი აქციონერის უფლებათა ურთიერთმიმართება ქართულ სააქციო სამართალში.

სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში

შესავალი

დირექტორი (დირექტორატი) სამეწარმეო საზოგადოების მართვის აუცილებელი ორგანოა, რომლის მნიშვნელობაც საზოგადოების საქმიანობის სწორად წარმართვაში გადამწყვეტია. დირექტორი, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-3 პუნქტის თანახმად, აღჭურვილია საზოგადოების ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მეწარმე სუბიექტის მიზანს (მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი), წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კი მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში საზოგადოების წარმოდგენას ნიშნავს (მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი). სწორედ დირექტორის მეშვეობით ხდება იმ გადაწყვეტილებების რეალიზაცია, რომელთაც იღებს პარტნიორთა საერთო კრება.

დირექტორის სამართლებრივი მდგომარეობა სამეწარმეო საზოგადოებაში დიდად არის დამოკიდებული საწარმოს მიერ მასთან დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელსაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი სასამსახურო ხელშეკრულებას უწოდებს. ამდენად, კანონში განსაზღვრულია დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სახე

– სასამსახურო ხელშეკრულება, მაგრამ მისი სამართლებრივი ბუნებისა და შინაარსის შესახებ ძალზედ მწირი რეგულირებაა. იმავდროულად, აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი მოწესრიგების თაობაზე პრაქტიკაში წამოჭრილია საკითხები, რაც საჭიროებს პასუხის გაცემას. შევეცდებით, წარმოვაჩინოთ ღირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულების პრობლემატიკა და ნათელი მოვფინოთ რიგ საკითხებს. სასამსახურო ხელშეკრულების პრობლემებზე მსჯელობისას ასევე შევეხებით ღირექტორისა და პარტნიორების შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობების საკითხს მასთან კონტექსტში.

1. სასამსახურო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების პრობლემატიკა

სამეწარმეო საზოგადოების მიერ ღირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შესახებ დოქტრინაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ბევრი ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება შრომით ხელშეკრულებას წარმოადგენს. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს დასაბუთება, რომ ყოველი ორგანიზაციული დამოუკიდებლობის დროს ხელმძღვანელის შრომა დამოკიდებულია ქონების მესაკუთრის (საზოგადოების) ნებაზე, რომ ასეთი ხელმძღვანელობა ხორციელდება სხვა პირის (სამუშაოს მიმცემის, დაქირავებლის) საქმიანობის სფეროში, მის ინტერესებში, მისი ხელმძღვანელობით და რომ ამ შემთხვევაში საკითხი ეხება განსაკუთრებულ შრომით ფუნქციას: საწარმოს მართვას. იმავდროულად საწარმოს მართვას აქვს თავისი სპეციფიკა, რაც უნდა აისახოს შესაბამის ხელშეკრულებაში. მოცემული ავტორები ასევე მიიჩნევენ, რომ ღირექტორი, არსებითად, წარმოადგენს აქციონერთა დაქირავებულ პირს, რომლის სამუშაო რეჟიმი და შრომითი გარანტიები განისაზღვრება შრომის კოდექსით, მისი გათავისუფლებაც შესაძლებელია შრომის კოდექსით

გათვალისწინებული საფუძვლებით და რომ დაუშვებელია ნებისმიერ დროს მასთან უმოტივოდ ხელშეკრულების შეწყვეტა, ანუ ამ შემთხვევაში აქციონერებს არ აქვთ უფლება, ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებით შეარჩიონ და შეცვალონ თავიანთი ქონების მმართველი.¹

არსებობს მოსაზრებაც, რომ აღნიშნული ხელშეკრულება კომპლექსური ხასიათისაა, რამდენადაც იგი მოიცავს როგორც შრომით, ისე – ქონებრივი ხასიათის პირობებს და დირექტორის ანუ მენეჯერის შრომის რეგულირებაში შეხამებულია სამოქალაქოსამართლებრივი და შრომითსამართლებრივი რეგულირება. საუბარია იურიდიული პირის ხელმძღვანელთან ე.წ. სამეწარმეო ხელშეკრულებაზე, რომელიც არის სამუშაო ძალისა და მისი გამოყენების თაობაზე კომერციული ხელშეკრულება, ითავსებს შრომითი ხელშეკრულებისა და ნარდობის ელემენტებს, იგი იდება მუშაკთან, რომელიც ფლობს განსაზღვრული სამუშაოს შესრულების განსაკუთრებულ უნარს, ანუ ამ შემთხვევაში კონტრაქტი განხილულია, როგორც შერეული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს შრომითი ხელშეკრულებისა და ნარდობის ანუ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების ელემენტებს.²

არსებობს მოსაზრებაც, რომ დირექტორთან ურთიერთობის მოწესრიგება შესაძლებელია როგორც შრომითი, ისე – სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე, რაც დამოკიდებულია ამ ურთიერთობის ფაქტობრივ ხასიათზე. არის მოსაზრებაც, რომ აღნიშნული ხელშეკრულება მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივია, რაც დასაბუთებულია იმით, რომ დირექტორს, როგორც ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს, უნდა ჰქონდეს მეწარმის სტატუსი, რამდენადაც წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეძლებდა საწარმოს სამეწარმეო მიზნების განხორციელებას. სამოქალაქო ხელშეკრულებებიდან ზემომითითებული ხელშეკრულების მიმართ

1 Г. Рубско, Исполнительные органы акционерного общества: особенности правового статуса, Хозяйство и право. №12(347). 2005, გვ.32.

2 Е. Н. Бычкова, Договоры Акционерного общества с его исполнительным органом и ответственность за их нарушения, Правоведение. 2000, №2(229), გვ.167.

ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო შესაბამისად განხილულია ნარდობის წესები, თუმცა ამ მოსაზრების მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ, რამდენადაც ნარდობის საგანს წარმოადგენს, პირველ რიგში, შრომის განივებული შედეგი და არა მხოლოდ შრომითი პროცესი, ამ ხელშეკრულების საფუძველზე საზოგადოებასა და დირექტორს შორის ურთიერთობის მოწესრიგება შეუძლებელია, დირექტორის საქმიანობის შემთხვევაში ხომ საქმიანობის პროცესი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე საქმიანობის შედეგი. დირექტორის სახელშეკრულებო ვალდებულების შინაარსს უნდა წარმოადგენდეს თავად მართვის პროცესი, ხოლო საქმიანობის ძირითად მიზანს – აქციონერების ინტერესი (სარგებელი).³

არის მოსაზრებაც, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი თავისი მდგომარეობით წარმოადგენს მინდობილ მესაკუთრეს და მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან რეგულირებული უნდა იყოს საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ნორმებით, რომელთაც მოიცავს სამოქალაქო კოდექსი. აღნიშნული მოსაზრება ლიტერატურაში გაკრიტიკებულია იმ მოტივით, რომ მინდობილი მესაკუთრე, იურიდიული პირის ორგანოსგან განსხვავებით, არის სააქციო საზოგადოების ინტერესების არაპირდაპირი წარმომადგენელი აქციონერების სასარგებლოდ, რამდენადაც მოქმედებს სხვისი (წარმოდგენილის) ხარჯით, მაგრამ თავისი სახელით. გამოთქმულია ვარაუდი, რომ, ზოგადად, შესაძლებელია ვისაუბროთ სააქციო საზოგადოებისა და მისი აღმასრულებელი ორგანოს ურთიერთობის აგებაზე ქონების მინდობილი საკუთრების ხელშეკრულების მოდელით, თუმცა ასეთი ხელშეკრულება შერეული უნდა იყოს. იგი უნდა აერთიანებდეს საკუთრების მინდობისა და მომსახურების სასყიდლიანი გაწვევის ხელშეკრულებების დებულებებს, ან საკუთრების მინდობისა და დავალების ტიპის სააგენტო მომსახურების ხელშეკრულების დებულებებს. ამის შესაბამისად, მესამე პირებთან ურთიერთობაში,

³ იქვე, გვ.166-167: Г. Рубско, Исполнительные органы акционерного общества: особенности правового статуса, Хозяйство и право, №12(347), 2005, გვ.32-33.

რომელიც შეეხება საწარმოს, როგორც ქონებრივი კომპლექსის მართვას, სააქციო საზოგადოების დირექტორი ხელმძღვანელობს მინდობილი საკუთრების ხელშეკრულების ნორმებით და არის სააქციო საზოგადოების არაპირდაპირი წარმომადგენელი, ხოლო საწარმოს მართვის შიდაორგანიზაციულ საკითხებს წყვეტს მომსახურების სასყიდლიანი გაწევის ხელშეკრულების ან დავალების ტიპის სააგენტო მომსახურების ხელშეკრულების დებულებების საფუძველზე, რამდენადაც ეს ხელშეკრულებები სააქციო საზოგადოების დირექტორს შესაძლებლობას აძლევს, იმოქმედოს საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს სახით.⁴

ამგვარად, ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, არსებობს ორი ტიპის ურთიერთობა სააქციო საზოგადოებასა და მის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით ორგანოს შორის: ურთიერთობა, დაფუძნებული შრომით ხელშეკრულებაზე, სამეწარმეო საზოგადოებების მომწესრიგებელი სპეციალური კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სამოქალაქო სამართლებრივი ელემენტებით; ურთიერთობა, დაფუძნებული სამოქალაქო ხელშეკრულებაზე, რომელიც შეიძლება იყოს შერეული (მისი ელემენტები შეიძლება იყოს მინდობილი საკუთრების დებულებები და სასყიდლიანი მომსახურების გაწევის ხელშეკრულების ელემენტები, ან მინდობილი საკუთრების ხელშეკრულებისა და დავალების ხელშეკრულების დებულებები).

სასამსახურო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების გარკვევა ასევე დაკავშირებულია საკითხთან, თუ როგორი ურთიერთობა არსებობს საზოგადოებასა და დირექტორს, როგორც ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობით ორგანოს შორის. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ იურიდიული პირის მმართველობაში მონაწილეობას კორპორაციული ხასიათი აქვს. ამ ურთიერთობის ელემენტებად მიიჩნევა უფლება კორპორაციულ ძალაუფლებაზე და კორპორაციული დაქვემდებარებულობის

4 Н. Козлова, Гражданско-правовой статус органов юридического лица, Хозяйство и право. №8(331), 2004, с.50-52.

ვალდებულება, რომლებსაც სამოქალაქო სამართლის ეს დამოუკიდებელი სუბიექტები ნებაყოფლობით გადასცემენ ერთმანეთს კანონის, სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და მათ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.⁵

სხვა ავტორთა მოსაზრებით, ურთიერთობა იურიდიულ პირსა და ფიზიკურ პირს შორის, რომელიც მისი აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციას ასრულებს, ერთი მხრივ, წარმოადგენს შრომითს, ხოლო მეორე მხრივ – შიდაკორპორაციულს, რაც აისახება მისი სამსახურებრივი ურთიერთობების სპეციფიკაზე. როდესაც ფიზიკური პირი, რომელიც ასრულებს იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციას, იმავდროულად წარმოადგენს მის თანამშრომელს, მისი უფლებამოსილება, იმოქმედოს ამ საწარმოს სახელით, ეფუძნება არა მარტო კანონს და სადამფუძნებლო დოკუმენტებს, არამედ – დამფუძნებლის გადაწყვეტილებასაც ხელმძღვანელად მისი დანიშნვისა თუ არჩევის შესახებ.⁶

ზოგი მეცნიერის მოსაზრებით, იურიდიული პირის თანამშრომლის მოქმედებები, რომლებიც მისი შრომითი (სამსახურებრივი, თანამდებობრივი) ფუნქციების ფარგლებში ხორციელდება, განსახიერებს თავად იურიდიული პირის საქმიანობას და ამიტომ არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ წარმომადგენლობას.⁷

ზემოაღნიშნული საკითხები ძალზედ საინტერესოდ არის გააზრებული გერმანულ კორპორაციულ სამართლებრივ დოქტრინაში.⁸

გერმანული სამართალი დირექტორთან დადებულ გარიგებას ერთდროულად განიხილავს როგორც ვალდებულებით სახელ-

5 Н. Козлова. Гражданско-правовой статус органов юридического лица. Хозяйство и право, №8(331). 2004, გვ.47.

6 Степанов П., Правовая квалификация отношений, возникающих между единственным исполнительным органом и акционерным обществом. Хозяйство и право. 2002, №12. გვ. 92-94.

7 Н. Козлова. Гражданско-правовой статус органов юридического лица. Хозяйство и право, №8(331). 2004, გვ.48.

8 ამ საკითხის დამუშავებაში გაწეული დახმარებისათვის დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ბ-ნი ირაკლი ბურდულის მიმართ, რომელმაც მომწოდა მეტად საჭირო მასალა ამის თაობაზე.

შეკრულებოსამართლებრივ და სპეციფიკურ კორპორაციულსამართლებრივ ურთიერთობას. საუბარია გერმანული სამართლის მიერ საკანონმდებლო დონეზე აღიარებულ ე.წ. დანაწევრების პრინციპზე, რომელიც გულისხმობს ღირექტორის (გამგეობის წევრის) სამსახურებრივი ურთიერთობის გამიჯვნას მისი ორგანული ადგილის ანუ კორპორაციული თანამდებობისაგან.⁹ ეს ურთიერთობა სს-ში და შესაბამისად, ყველა კაპიტალურ საზოგადოებაში მოიცავს, ერთი მხრივ, სამეთვალყურეო საბჭოს ან სასამართლოს მიერ (როდესაც სამეთვალყურეო საბჭო არ ნიშნავს ან ვერ ნიშნავს ღირექტორს და სასამართლოს ჩარევა ხდება საჭირო) გამგეობის (ღირექტორატის) წევრად დანიშვნას, რაც ქმნის მისი, როგორც კორპორაციული სუბიექტის ორგანულსამართლებრივ მდგომარეობას (ე.წ. ორგანულ ადგილს) და, მეორე მხრივ, თანამდებობაზე გამწესებას ხელშეკრულების დადების მეშვეობით.¹⁰ ღირექტორატის წევრის ორგანული ადგილი აღნიშნავს მის კორპორაციულსამართლებრივ მდგომარეობას, ხოლო სამსახურებრივსამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში საუბარია ღირექტორსა და სს-ს შორის სამართლებრივ ურთიერთობაზე, როგორც ვალდებულებითსამართლებრივ კატეგორიაზე.¹¹ ე.ი. დანიშვნის აქტით ღირექტორთან ყალიბდება ორგანულსამართლებრივი ურთიერთობა, სასამსახურო აქტით – ვალდებულებითი სახელშეკრულებოსამართლებრივი ურთიერთობა.¹²

ღირექტორთან სს-ის სამსახურებრივი ურთიერთდამოკიდებულებაც სწორედ ზემოაღნიშნული თავისებურებებით ხასიათდება.

⁹ აღრე გერმანული იურიდიული ღოგმატიკა არ იყენებდა დანაწევრების პრინციპს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ღირექტორის დანიშვნა და თანამდებობაზე მისი გამწესება ერთ სამართლებრივ აქტად განიხილებოდა და მათ შორის სხვაობა არ არსებობდა. თუმცა თანამედროვე იურიდიულმა მეცნიერებამ ამ საკითხთან მიმართებით სხვა კონცეფცია განავეითარა, რომლის მიხედვითაც აუცილებელია გამწესების და სასამსახურო აქტს შორის სამართლებრივი სხვაობის არსებობა. ერთიანი თეორიის შესახებ იხ.: ე. Godin ZakDR 1938, S. 596, 597, 598; v. Godin/Wilhelmi AktG Kommentar. §75 A. Rn. 2; Ritter §75, Rn. 2a.

¹⁰ Mertens in KölnerKomm. AktG, §84, Rn. 2; BGHZ 79, 38, 41.

¹¹ Boemke, ZfA 1998, S. 209-210; Hüffer, AktG, Komm., 7 Auf., §84 Rn. 2;

¹² Seibt in K. Schmidt/Lutter, AktG, 2008, S. 9-18.

როგორც აღინიშნა, გამგეობის წევრთა კორპორაციულსამართლებრივი უფლებები და მოვალეობები ყალიბდება ორგანული ადგილის მეშვეობით. თავად საზოგადოებასა და გამგეობის წევრს შორის ვალდებულებითსამართლებრივი დამოკიდებულება კი მოწესრიგებულია სასამსახურო ურთიერთობით, რომელიც დაფუძნებულია სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებაზე. მოწესრიგების საგანს, ძირითადად, წარმოადგენს გამგეობის წევრის ანაზღაურების და უზრუნველყოფის (პენსია, ოჯახის წევრთა სოციალური ანაზღაურება, თუ ასეთი გათვალსწინებული იქნება და სხვა) საკითხები.

მიუხედავად ზემოაღნიშნული სამართლებრივი დანაწევრებისა, ორგანული და სამსახურებრივი ურთიერთიერთობები მჭიდრო ფაქტობრივ და სამართლებრივ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. მაგალითად, თუკი სახეზეა დანიშვნის აქტი, პირს შეუძლია მოითხოვოს მასთან სასამსახურო ხელშეკრულების დადება. თავის მხრივ, დირექტორატის წევრის გამოწვევა, როგორც წესი, იმავდროულად, ნიშნავს მასთან სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტას, ან ამ ხელშეკრულების შეწყვეტა ხშირად შეიძლება მისი თანამდებობიდან გამოწვევის ტოლფასი აღმოჩნდეს.¹³ ამდენად, ეს ურთიერთობები გადაჯაჭვულია ერთმანეთზე.

დანაწევრების და კერძო ავტონომიის პრინციპებიდან გამომდინარე, გამგეობის წევრთან სასამსახურო (შრომითი) ურთიერთობა, ორგანულ ურთიერთობასთან ერთად, დამოუკიდებლად უნდა დაფუძნდეს. წმინდა ფაქტობრივი თვალსაზრისით, ძალიან ხშირად თანამდებობაზე გამწესება და პერსონალური სამართალურთიერთობის ჩამოყალიბება საზოგადოებასა და გამგეობის წევრს შორის ერთ აქტად, პროცესად განიხილება. სისტემატურად გვხვდება შემთხვევები, როდესაც პირები მხოლოდ მაშინ იღებენ მათი თანამდებობაზე გამწესების წინადადებას ანუ აცხადებენ თანხმობას, როდესაც იმავდროულად მათთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და შრომითი ურთიერთობა მყარდება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ

13 BGHZ 89, 48, 52; Fleischer/Thüsing in Fleischer (Hrsg.), Handbuch des Vorstandsrechts, 2006, §4, Rn. 4.

ხელშეკრულების დადებისას იყოს ღირეპქტორად გასამწესებელი პირის თანხმობა. ასევე საგულისხმოა, რომ ხელშეკრულება ძალაში არ შედის თანამდებობაზე დანიშნვის აქტიით. მხოლოდ ეს უკანასკნელი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ღირეპქტორთან სამსახურებრივი ურთიერთობა დამყარდეს. აუცილებელია ხელშეკრულების დადება, თუმცა თავად ხელშეკრულება საზოგადოებასა და გამგეობის წევრს შორის შესაძლოა დაიდოს როგორც ზეპირად, ისე – წერილობით და კონკლუდენტური ქმედებითაც.

სამსახურებრივი ურთიერთობა წარმოადგენს ვალდებულებითსამართლებრივ ფუნდამენტს ორგანული ადგილისათვის (თანამდებობისთვის).¹⁴ იგი ეფუძნება სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებას, გამოხატულს, როგორც წესი, ხშირად დავალების შესრულების ხელშეკრულების ფორმით.

ქართულ საკორპორაციო სამართალში სასამსახურო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების გასარკვევად მნიშვნელოვანია, გაირკვეს, თუ რომელი კანონმდებლობა გამოიყენება მის მიმართ.

2. სასამსახურო ხელშეკრულების მიმართ ბამოსაყენებელი კანონმდებლობა

თანამედროვე ქართულ საკორპორაციო სამართალში პრობლემურია საკითხი, ვრცელდება თუ არა ღირეპქტორებთან ურთიერთობებზე შრომითსამართლებრივი ნორმები.¹⁵

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი მასში 2005 წლის 24 ივნისის კანონით განხორციელებულ ცვლილებებამდე ამ საკითხზე არ შეიცავდა რაიმე მითითებას. ამის გამო პრაქტიკაში ღირეპქტორს

14 Frodermann/Schäfer in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, S. 352.

15 ამ ურთიერთობის მიმართ შრომის კანონმდებლობის ნორმების გამოყენების საკითხზე იხ. ასევე ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, 2002წ, გვ.429-430.

განიხილავდნენ როგორც ჩვეულებრივ დაქირავებულ მუშაკს და მის მიმართ ყველა ურთიერთობაში, მათ შორის, თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაზეც ავრცელებდნენ იმ დროს მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის ნორმებს.¹⁶ ღირექტორის მიერ სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნით წარმოებულ დაევბზეც საერთო სასამართლოები, ჩვეულებრივ, ამოწმებდნენ, რამდენად კანონიერად გათავისუფლდა ღირექტორი შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე. მაგალითად, თუკი ღირექტორი თანამდებობიდან გათავისუფლდებოდა დამფუძნებელთა ინიციატივით სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, სასამართლო ამოწმებდა, იყო თუ არა დაცული იმდროინდელი შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის პირობები, კერძოდ, აღვილი ჰქონდა თუ არა ღირექტორის მოვალეობის დარღვევის ფაქტს, რამდენად არსებითი იყო ეს დარღვევა, ჰქონდა თუ არა დარღვევას სისტემატური ხასიათი, მანამდე ღირექტორის მიმართ იყო თუ არა გამოყენებული დისციპლინური ზემოქმედების რაიმე ღონისძიება და ა.შ. ფაქტობრივად, საქმე იქამდე მიდიოდა, რომ პარტნიორები, თუკი ისინი აღარ ენდობოდნენ საზოგადოების ღირექტორს ან კომერციული მიზანშეწონილებიდან და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე სურდათ მათი საწარმოს უკეთესი მენეჯერისათვის მინდობა, ამის შესაძლებლობას, პრაქტიკულად, მოკლებული იყვნენ, თუკი საწარმოს ღირექტორი თავის მოვალეობებს სისტემატურად უხეშად არ დაარღვევდა და ამას ისინი სათანადოდ ვერ დაასაბუთებდნენ.¹⁷

16 საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც მიღებული იყო 1973 წელს, ძალადაკარგულია 2006 წლის 25 მაისის საქართველოს შრომის კოდექსის ამოქმედების გამო.

17 იხ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, შპს-ში ღირექტორების დანიშვნა, გამოწვევა, მათთან შრომითი ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა წარმოადგენს პარტნიორთა კრების პრეროგატივას, მაგრამ აღნიშნული არ ქმნიდა კოლიზიას შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნებთან, ამიტომ პარტნიორთა კრების მიერ ღირექტორის გათავისუფლებისას დაცული უნდა ყოფილიყო შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნები.

თავდაპირველად სწორედ სასამართლო პრაქტიკაში დადგა საკითხი, რამდენად სწორია საწარმოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევის მიმართ შრომის კანონთა კოდექსით საწარმოს დაქირავებული მუშაკის გათავისუფლებისათვის დადგენილი წესების გამოყენება, არის კი ეს ის ურთიერთობა, რომლის მიმართაც შრომის კანონთა კოდექსი ვრცელდება? პირველად სწორედ სასამართლო პრაქტიკამ გასცა პასუხი ამ კითხვას და განიმარტა, რომ დირექტორსა და საზოგადოებას შორის დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა არ არის ტიპური შრომითსამართლებრივი ურთიერთობა დამქირავებელსა და დაქირავებულ მუშაკს შორის, ეს არის სპეციფიკური კორპორაციული ურთიერთობა, რომლის მიმართაც შრომის კანონთა კოდექსის გავრცელება არ შეესაბამება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნებს.¹⁸

სასამართლო პრაქტიკის ამგვარი მიდგომა საკითხისადმი კანონმდებელმაც გაიზიარა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონს 2005 წლის 24 ივნისს განხორციელებული ცვლილებებით დაემატა შემდეგი შინაარსის 9.8¹ მუხლი: „დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ურთიერთობებზე არ ვრცელდება საქართველოს

18 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №3/259-01, სადაც სასამართლომ განმარტა: „შრომის კანონთა კოდექსით მოწესრიგებულია საწარმოს დირექტორსა და მის მიერ დაქირავებულ მუშაკს შორის ურთიერთობა, რომელიც, ჩვეულებრივ, შრომითსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის საქმიანობა არის სამეწარმეო. იგი, ჩვეულებრივ, მეწარმეა, მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა რეგულირდებოდეს მეწარმეთა შესახებ კანონით“; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 26 ივნისის განჩინებაში საქმეზე №ას-68-767-03 სასამართლომ განმარტა: „დაეა საწარმოს დირექტორის გამოწვევასთან, გათავისუფლებასთან დაკავშირებით, დირექტორის სამართლებრივი მდგომარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ და არა შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე“; იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-958-1193-04.

შრომის კანონთა კოდექსი“. ეს ნორმა ამგვარი რედაქციით იყო ფორმულირებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონში 2008 წლის 14 მარტის კანონით განხორციელებულ ცვლილებებამდე. ზემოაღნიშნული 9.8¹ მუხლის შემოღების შემდეგ გაჩნდა კითხვები, რომლებიც შემდეგში მდგომარეობდა: საერთოდ, არც ერთ ნაწილში არ ვრცელდება დირექტორების მიმართ შრომის კანონთა კოდექსის მოქმედება? თუკი დირექტორების მიმართ შრომის კოდექსი არ ვრცელდება, მაშინ რა ვრცელდება ამ ურთიერთობაზე და რით უნდა ვიხელმძღვანელოთ დირექტორებსა და საზოგადოებას შორის სხვადასხვა სამსახურებრივი საკითხების მოსაწესრიგებლად? იმაკდროულად კანონის 9.8¹ მუხლის ამგვარი ფორმულირება დირექტორების მიმართ, ზოგადად, შრომის კანონმდებლობის მოქმედების შეზღუდვადაც განიხილებოდა, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის აღძვრის საფუძველიც გახდა.¹⁹

„მეწარმეთა შესახებ“ კანონში 2008 წლის 14 მარტს განხორციელებული ცვლილებებით ზემოაღნიშნული 9.8¹ მუხლი გაუქმდა, ხოლო ამ ნორმით რეგულირებული საკითხი კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „დირექტორებთან და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, წესდებით და მათთან დადებული ხელშეკრულებით“. ამავე საკითხზე კანონში სხვა ნორმებიც ჩაიღო, კერძოდ: 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი („დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება ამ კანონით ან/და საწარმოს წესდებით“), 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი („დირექტორთა უფლებამოსილებები განისაზღვრება მათთან წესდების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით. წესდებაში ასეთი განსაზღვრების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონით დადგენილი

19 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/418, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილებით კონსტიტუციური სარჩელი არ იქნა მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითად განსახილველად.

ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი“).

კითხვები, რომლებიც კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის სახეშეცვლილი რედაქციის პირობებში დარჩა, შემდეგში მდგომარეობს: არის თუ არა ამომწურავი და საკმარისი ღირეპტორებთან ურთიერთობების მოსაწესრიგებლად „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, წესდება და ღირეპტორებთან დადებული ხელშეკრულება? გამოირიცხება თუ არა ამ ურთიერთობებზე შრომის კოდექსის დებულებებისა და სხვა შრომითსამართლებრივი ნორმების გავრცელება? კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტში ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ ღირეპტორთან სპეციალური ურთიერთობები, რომლებიც სხვა კანონმდებლობისგან, მათ შორის, შრომის კოდექსისგან განსხვავებულად წესრიგდება? შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლიდან კი ხომ გავდივართ კანონზე „მეწარმეთა შესახებ“?

სრულყოფილი სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით საუკეთესო ვითარება, როდესაც ღირეპტორსა და საზოგადოებას შორის სამსახურებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პრობლემები მინიმუმამდეა დაყვანილი, არის შემთხვევა, როდესაც საზოგადოებასა და ღირეპტორს შორის დადებულია წერილობითი ხელშეკრულება, სადაც ყველა საკითხი დეტალურადაა გაწერილი, ან ეს საკითხები წესდებაშია სრულყოფილად მოწესრიგებული, თუმცა ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში იშვიათია. ხშირად ღირეპტორთან წერილობითი ხელშეკრულება არც ფორმდება, არსებობს მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება ღირეპტორის დანიშვნის თაობაზე, ხოლო წესდება მხოლოდ ზოგადად მიუთითებს კანონზე „მეწარმეთა შესახებ“.

ვნახოთ, წესდებითა და ხელშეკრულებით დეტალური მოწესრიგების არარსებობის პირობებში როგორი კანონისმიერი მოწეს-

სრიგება გვრჩება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ღირექტორებთან სამსახურებრივი საკითხების შესახებ კანონი მწირ რეგულირებას იძლევა. ამ საკითხს, ძირითადად, სულ შემდეგი ნორმები ეთმობა: მუხ. 9.6 (ხელშეკრულებით შეიძლება საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუხმაურებლობის ვალდებულება ძალაში დარჩეს ღირექტორის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, მაგრამ არა უმეტეს 3 წლის ვადით. შესაძლებელია ამ ვალდებულებისათვის გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით); მუხ. 9^{1.6} „ა“ (შპს-ში პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრის შესახებ); მუხ. 9^{1.6} „ე“ (შპს-ში პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას ღირექტორების დანიშვნისა და გამოწვევის, მათთან ხელშეკრულებების დადებისა და შეწყვეტის შესახებ); მუხ. 47.3 (შპს-ის ღირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება ამ კანონით ან/და საწარმოს წესდებით); მუხ. 55.7 „ვ“ (სს-ის სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს ღირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს); მუხ. 55.7 „ვ¹“ (იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, ღირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში ღირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება); მუხ. 55.8 „ე“ (სს-ში სამეთვალყურეო საბჭო ადგენს ღირექტორთა უფლებამოსილების ფარგლებს); მუხ. 55.8 „კ“ (სს-ში სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობას, ადგენს მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპებს და წარუდგენს საერთო კრებას და-

სამტკიცებლად); მუხ. 56.2 (ღირექტორთა უფლებამოსილებები განისაზღვრება მათთან წესდების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით. წესდებაში ასეთი განსაზღვრების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებები); მუხ. 57.3 (აქციონერს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობა ჰქონდეს საზოგადოებასთან, მათ შორის, იყოს ღირექტორი ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და მიიღოს მისგან ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს); მუხ. 66.2 (კოოპერატივში ღირექტორებს ირჩევენ 4 სამეურნეო წლის ვადით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს).

ზემოაღნიშნული ნორმების მოხმობიდან ცხადია, რომ რჩება უამრავი საკითხი, რაც ღირექტორსა და საზოგადოებას შორის სამსახურებრივი ურთიერთობისას წარმოიშობა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონით არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, თანამდებობაზე მიღების კონკრეტული მოთხოვნები, შევსებების მიცემის წესი და პირობები, მივლინების საკითხი, სამუშაო დრო, შესვენებისა და დასვენების დრო, შრომის პირობების დაცვა, შრომითი ურთიერთობების შეჩერება და ა.შ.

როგორც ვხედავთ, მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი საკმარის რეგულირებას არ შეიცავს ღირექტორთან სამსახურებრივი ურთიერთობების სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილად მოსაწესრიგებლად, რის გამოც სასამსახურო ხელშეკრულებითა და წესდებით დეტალური მოწესრიგების არარსებობის პირობებში სამართლებრივი რეგულირებისა და სათანადო კანონის გამოყენების პრობლემა ცხადია. ამასთან, ხელშეკრულებისა და წესდების შესაბამისი დებულებების არსებობის შემთხვევაშიც, თუკი დადგება ამ დებულებების კანონშესაბამისობის საკითხი, პრობლემა, თუ რომელი კონკრეტული კანონის ნორმებთან შესაბამისობა უნდა შემოწმდეს, წამოიჭრება.

ერთი რამ ცხადია: მთელი სამართლებრივი ურთიერთობები, რომელშიც ღირექტორი საწარმოსთან სამსახურებრივი ურთიერ-

თობებში გამოდის, შესაძლებელია სამართლებრივი მოწესრიგების გარკვეულობის თვალსაზრისით ორ ნაწილად დავყოთ – ერთი მხრივ, სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან გათავისუფლების ურთიერთობები, მეორე მხრივ, ყველა სხვა დანარჩენი ურთიერთობები.

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო პრაქტიკა იმის შესახებ, რომ ღირექტორის სამუშაოდან გათავისუფლების ურთიერთობაზე შრომის კოდექსი არ ვრცელდება, უკვე არსებობს. ამ ურთიერთობაზე ვრცელდება კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომლის 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სააქციო საზოგადოებიდან ღირექტორთა გამოწვევა გათვალისწინებულია ნებისმიერ დროს (სამეთვალყურო საბჭო „ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს ღირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს“). მაგრამ გულისხმობს თუ არა „ნებისმიერ დროს“ გათავისუფლება უმოტივოდ და უპირობოდ გათავისუფლებას? ამის თაობაზე არსებობს სასამართლო პრაქტიკა, სადაც განმარტებულია: ღირექტორისათვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება, ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ ღირექტორები, მაგრამ ამისათვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი.²⁰

20 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 26 ივნისის განჩინება (საქმე №ას-68-767-03), უზენაესმა სასამართლომ საქმე უკან დააბრუნა ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია, არსებობდა თუ არა ღირექტორის თანამდებობიდან დათხოვნის მნიშვნელოვანი საფუძველი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 30 მარტის განჩინებით (საქმე №3კ/259-01) სასამართლომ ღირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების საქმარის მოტივად მიიჩნია ის გარემოება, რომ ღირექტორსა და საზოგადოების პარტნიორებს შორის აღვილი ჰქონდა სერიოზულ უთანხმოებას შპს-ის მართვის საკითხებში. ღირექტორი არ იზიარებდა მმართველი საზოგადოების მიერ შემუშავებულ სტრატეგიას სამეურნეო პოლიტიკაში და არ ემორჩილებოდა სამეთვალყურო საბჭოს მითითებებს; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 24 ნოემბრის განჩინებით (საქმე №ას-958-1193-04) უზენაესმა სასამართლომ საქმე უკან დაუბრუნა

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ევროპული კანონმდებლობის მიდგომაც, კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ გერმანიის კანონის თანახმად, შპს-ის დირექტორის გაწვევა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების მოთხოვნების ხელყოფის გარეშე, თუმცა აქვე გათვალისწინებულია, რომ სადამფუძნებლო ხელშეკრულებით შესაძლებელია, დირექტორის გამოწვევა დაიშვას მხოლოდ სერიოზული საფუძვლების არსებობისას, როგორცაა მოვალეობების უხეში დარღვევა ან საქმეების სათანადო გაძღოლის უუნარობა (§38). რაც შეეხება სააქციო საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებების შესახებ გერმანიის კანონი ადგენს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გაიწვიოს გამგეობის წევრი ან თავმჯდომარე, თუკი ადგილი აქვს სერიოზულ საფუძვლებს, როგორცაა: ვალდებულებების უხეში დარღვევა, საქმეების სათანადო გაძღოლის უუნარობა; უნდობლობა, გამოხატული საერთო კრების მიერ, თუკი ნდობაზე უარი არ იყო განცხადებული აშკარად არაობიექტური მიზეზების გამო (§84 (3)). საფრანგეთის 2000 წლის სავაჭრო კოდექსის²¹ თანახმად, შპს-დან დირექტორის გამოწვევა შესაძლებელია განხორციელდეს საკმარისი საფუძვლების არსებობისას (მუხ. L. 223-25). ანალოგიური დანაწესი მოქმედებს სს-ის შემთხვევაშიც, კერძოდ, აქაც, თუკი აქციონერთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორის გამოწვევას ადგილი ექნება საკმარისი საფუძვლების გარეშე, იგი გამოიწვევს

სააქლაციო სასამართლოს განსახილველად იმის გასარკვევად, ნამდვილად არსებობდა თუ არა ხარვეზები დირექტორის საქმიანობაში, რაც მითითებული იყო სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმში; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 1 ივლისის განჩინებით (საქმე №ას-12-396) დირექტორის გათავისუფლების საკმარის საფუძვლად მიჩნეულ იქნა ის გარემოება, რომ დირექტორი არ ასრულებდა საზოგადოების ერთადერთი დამფუძნებლის – საქართველოს განათლების სამინისტროს დაეალებს სახელმწიფო ქონების დაბრუნების შესახებ.

21 2000 წლის 18 სექტემბერს საფრანგეთში მიღებულ იქნა ახალი სავაჭრო კოდექსი (Code de commerce), რომელმაც შეცვალა მანამდე მოქმედი 1807 წლის სავაჭრო კოდექსი.

ზიანის ანაზღაურებას (მუხ. L. 225-61).

რუსეთის ფედერაციის კანონი სააქციო საზოგადოებების შესახებ ითვალისწინებს, რომ აქციონერთა საერთო კრებას, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების მმართველი პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ (მუხ. 69.4). რუსეთის ფედერაციის შრომის კოდექსში, თავის მხრივ, ჩამოთვლილია ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების სხვადასხვა საფუძვლები (მუხ. 75, 81, 278).²²

ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა ხელშეკრულების შეწყვეტის გარდა ყველა სხვა დანარჩენი სამსახურებრივი ურთიერთობის მიმართ გასაგრძელებელი კანონმდებლობის შესახებ ჯერ არ გვაქვს შესაბამისი დავების არარსებობის გამო. აღნიშნული, თავის მხრივ, მიანიშნებს, რომ მოცემული სამართლებრივი ურთიერთობა ჯერ-ჯერობით არ არის სათანადოდ პრობლემური სასამართლოს ჩარევის დონეზე გადასაწყვეტად.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა სამართლებრივი მოწესრიგება, რასაც რუსეთის ფედერაციის სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონი შეიცავს. კანონის თანახმად, საზოგადოებასა და მის ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს (დირექტორი, გენერალური დირექტორი) ან კოლეგიურ აღმასრულებელ ორგანოს (გამგეობა, დირექცია) შორის ურთიერთობებზე შრომის კანონმდებლობა ვრცელდება იმ ნაწილში, რაც არ ეწინააღმდეგება სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის დებულებებს. ამდენად, ამ შემთხვევაში შრომის კანონმდებლობის გავრცელება დირექტორთან სამსახურებრივ ურთიერთობებზე დასაშვებია სააქციო კანონის სპეციფიკური რეგულირების გათვალისწინებით.

საინტერესოა აღნიშნული საკითხისადმი გერმანული დოქტრინის მიდგომაც. აქ განიხილება, რომ სამუშაოს შესრულების, სა-

22 Комментарий к трудовому кодексу Российской Федерации. М., 2004, гл.146-147, 182-185, 191-201, 735-741.

სამსახურო ხელშეკრულების მეშვეობით არ ფუძნდება შრომითი ურთიერთობა, რის გამოც შრომის სამართლის ნორმები მასზე არ ვრცელდება. მიუხედავად გამგეობის წევრთა, გარკვეულწილად, საზოგადოებაზე ეკონომიკური დამოკიდებულებისა, დირექტორები საწარმოს მართავენ საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში, ამიტომ მათ მიმართ არ გამოიყენება არანაირი შრომითსამართლებრივად მნიშვნელოვანი მითითებები. გამგეობის წევრთა ხელმძღვანელობითი ფუნქციიდან გამომდინარე, ისინი არ მიიჩნევიან დაქირავებულ პირებად პირდაპირი მნიშვნელობით, გამგეობა თავად არის ნების გამომწვენი ორგანო. სამუშაოს მიძღვების, დაქირავებულის ცნების განმარტებისთვის გადამწყვეტია პერსონალური, პირადი დამოკიდებულება სხვა პირზე. დირექტორატის წევრები საზოგადოების კანონიერ წარმომადგენლობით წევრებად განიხილებიან, თავად ქმნიან და ახორციელებენ საწარმოს და დაქირავებულის ფუნქციებს. ისინი მართავენ საზოგადოებას საკუთარი პასუხისმგებლობით. ამიტომ მათი დამოუკიდებელი სამართლებრივი ადგილიდან გამომდინარე, ისინი არ განიხილებიან დაქირავებულ მუშაკებად, მუშა-მოსამსახურეებად. სხვაგვარად, გამგეობის წევრი არ არის სამუშაოს მიძღვები, მუშა-მოსამსახურე, მას უჭირავს „პრინციპალის კონკრეტული ადგილი საწარმოში“.²³ თუმცა მათზე ვრცელდება კანონისმიერი ნორმები საპენსიო დაზღვევის და უმუშევრობის დაზღვევის შესახებ.

მიუხედავად მიდგომისა, რომ დირექტორებთან სამართლებრივ ურთიერთობაზე არ ვრცელდება შრომითსამართლებრივი ნორმები, გერმანული სამართალი იცნობს სპეციფიკურ შემთხვევებს, როდესაც შრომით ნორმებს ამ ურთიერთობაზე მაინც ავრცელებენ. კომენტატორულ ლიტერატურაში არის საუბარი იმაზე, რომ გამგეობის წევრთა სასარგებლოდ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შრომითსამართლებრივი ნორმები, მაგრამ არსებითად მკაცრად განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში. ეს ის შემთხვევებია, როდესაც, მაგალითად, მათი ადგილი, ფაქტობრივად, გათანაბრებუ-

23 Seibt in K. Schmidt/Lutter, AktG, 2008, S. 955.

ლია სამუშაოს მიმღების, მუშა-მოსამსახურის ადგილთან და შრომის დაცვის შესაბამისი ნორმებიდან ან მათი განმარტებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.²⁴ სასამართლოც მითითებულ გამონაკლის შემთხვევებში იცავს დირექტორს და უზრუნველყოფს მის ორგანულ თანამდებობრივ ადგილს არა როგორც დირექტორის, არამედ – როგორც იმ პირის, რომელმაც საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში უნდა მართოს საწარმო და პირადად იყოს ვალდებული საწარმოს საქმიანობის რენტაბელობაზე. ამიტომ მიჩნეულია, რომ, თუკი დირექტორი, მისი კონკრეტული ფუნქციის შესრულებისას გაიგივებულია საწარმოს მუშა-მოსამსახურესთან, მაშინ მისივე და, ზოგადად, საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესია, მასაც გარკვეული სოციალური გარანტია და დაცულობა ჰქონდეს, რათა უკეთესად და თამამად განახორციელოს საქმიანობა. ამიტომაც საუბრობენ იმაზე, რომ ზემოაღნიშნულ სპეციფიკურ შემთხვევებში გავრცელდეს შრომითსამართლებრივი დებულებები.

3. დირექტორის დანიშვნასა და მასთან ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი ორგანო/პირი

„მეწარმეთა შესახებ“ კანონით აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია, კერძოდ, განსაზღვრულია, რომ საზოგადოებაში, სადაც შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭო (შპს, სს), დირექტორს ნიშნავს ეს უკანასკნელი (მუხ. 55.7, „ვ“), ხოლო თუკი საზოგადოებას სამეთვალყურეო საბჭო არ აქვს, ასეთ შემთხვევაში დირექტორის დანიშვნა პარტნიორთა კრების კომპეტენციაა (მუხ. 91.6 „ე“). იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო

24 Hefermehl/spendler in MünchKommAktG, §84 Rz. 44.

საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება (მუხ. 55.7 „ვ1“).

საინტერესოა საკითხი, თუ ვინ აწერს ხელს დირექტორთან დადებულ სასამსახურო ხელშეკრულებას საზოგადოების მხრიდან. თუკი საზოგადოებას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, ასეთ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ იგი ნიშნავს დირექტორს და, შესაბამისად, სასამსახურო ხელშეკრულებას საზოგადოების მხრიდან ხელს მოაწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ამისათვის უფლებამოსილი პირი. რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც დირექტორს ნიშნავს პარტნიორთა საერთო კრება, ამ დროს დირექტორთან დადებულ ხელშეკრულებას ხელს შეიძლება აწერდეს ყველა პარტნიორი, ან პარტნიორთა კრების თავმჯდომარე, ან პარტნიორთა კრების მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აქციონერთა საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას – ერთ-ერთი დირექტორი, მათი არყოფნისას კი კრების თავმჯდომარეს უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. სხვა საზოგადოებებთან მიმართებით კანონით არ არის განსაზღვრული, თუ ვინ თავმჯდომარეობს პარტნიორთა კრებას, ე.ი. ასეთი შეიძლება იყოს პარტნიორთა კრების მიერ არჩეული პირი (მუხ. 9¹). ამდენად, დირექტორთან ხელშეკრულებას სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის შემთხვევაში სააქციო საზოგადოებაში შეიძლება ხელს აწერდეს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, ამ უკანასკნელის არყოფნისას – საერთო კრების მიერ არჩეული პირი. რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, საზოგადოების სახელით ხელშეკრულებას სააქციო საზოგადოებაში ხელს აწერს დირექტორთა საბჭოს (სამეთვალყურეო საბჭოს) თავმჯდომარე ან დირექტორთა საბჭოსაგან უფლებამოსილი პირი (სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის 69-ე

მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 აბზაცი), ხოლო შპს-ის შემთხვევაში – საერთო კრების თავმჯდომარე ან საერთო კრების გადაწყვეტილებით უფლებამოსილი პარტნიორი (კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ, მუხ.40).

4. სასამსახურო ხელშეკრულების რიგი პირობები

სასამსახურო ხელშეკრულების, როგორც კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების, პირობები ინდივიდუალურია იმისდა მიხედვით, თუ რომელ საზოგადოებაში როგორი შეთანხმება შედგება დირექტორთან. უფრო მეტიც, რამდენიმე დირექტორის (დირექტორატის) არსებობის შემთხვევაში ეს პირობები შეიძლება ინდივიდუალური იყოს დირექტორატის ცალკეული წევრების მიმართ. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ ხელშეკრულება შეესაბამებოდეს კანონის ძირითად პრინციპებს და მის იმპერატიულ ნორმებს.

დირექტორის ანაზღაურება – ანაზღაურების საკითხი სასამსახურო ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. დირექტორის ანაზღაურება მოიცავს ხელფასს და სხვა შესაძლო გასაცემლებს. ამ უკანასკნელთან მიმართებით კანონი შეიცავს მითითებას, რომ ეს შეიძლება იყოს მოგებაში მონაწილეობის უფლება, პენსიის მიცემის უფლება, სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობა, რაზეც გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება (მუხ. 9^{1.6} „ა“: შპს-ში პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრის შესახებ; მუხ. 55.8 „კ“: სს-ში სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობას, ადგენს მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპებს და წარუდგენს საერთო კრებას დასამტკიცებლად). ამდენად, კუთვნილი გასამრჯელოს გარდა დირექტორების მიმართ შესაძლებელია დადგინდეს საზოგადოების წლიურ მოგებაში მონაწილეობის უფლება,

ასევე სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ მათთვის პენსიის დანიშვნის შესაძლებლობა და სხვა ფინანსური პრივილეგიები, როგორცაა, მაგალითად, ღირექტორის პრემიების სისტემა და ა.შ. ამასთან, ხელმძღვანელის ერთგულების მოვალეობა ღირექტორს ავალდებულებს, ბოროტად არ გამოიყენოს თავისი გავლენა საზოგადოებაზე ამგვარი საკითხების გადაწყვეტისას. მაგალითად, ასეთ შემთხვევას შეიძლება აღვიღოთ ჰქონდეს, როდესაც ღირექტორი თავისი თანამდებობის გამოყენებით ითხოვს განსაკუთრებულ პირობებს, როგორცაა მაღალი ანაზღაურება ან სხვა პრივილეგიები. იმავედროულად, ერთგულების მოვალეობიდან არ გამომდინარეობს ღირექტორის ვალდებულება, რომ მან საზოგადოების მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო უარი თქვას თავის გასამრჯელოზე ან მოითხოვოს ანაზღაურების შემცირება. ასევე, ერთგულების მოვალეობა არ უკრძალავს ღირექტორს, უარი თქვას თანამდებობაზე, თუკი ფინანსური კრიზისის გამო სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტს ხელფასის შემცირებას.²⁵

სააქციო საზოგადოებების შესახებ გერმანიის კანონი ითვალისწინებს, რომ სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც გამგეობის ცალკეული წევრის ანაზღაურების ზოგად ოდენობას ადგენს (ხელფასი, მოგებაში მონაწილეობა, ხარჯების ანაზღაურება, დაზღვევის ხარჯი, საკომისიო გასამრჯელო, ნებისმიერი ტიპის დამატებითი გასაცემლები), ვალდებულია, იზრუნოს იმაზე, რომ გასაცემლების საერთო ოდენობა პროპორციულად შეესაბამებოდეს გამგეობის წევრზე დაკისრებულ ვალდებულებებს და საზოგადოების მდგომარეობას. ეს წესი, შესაბამისად, გამოიყენება პენსიისა და სხვა გადასახდელების მიმართაც (§87(1)). ასევე გათვალისწინებულია, რომ, თუკი ანაზღაურების ოდენობის დადგენის შემდეგ საზოგადოების მდგომარეობა ისე არსებითად გაუარესდა, რომ არასამართლიანი იქნებოდა გამგეობის წევრებისთვის შემდგომი ანაზღაურების გაგრძელება, ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია,

25 ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ.330-331.

შემციროს ანაზღაურების ოდენობა. ეს შემცირება არ შეეხება ხელშეკრულების სხვა დებულებების შეცვლას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გამგეობის წევრს უფლება აქვს, მოშალოს ხელშეკრულება შემდგომი კალენდარული კვარტლის დამთავრებამდე, რის შესახებაც საზოგადოებას უნდა შეატყობინოს 6 კვირით ადრე (§87(1)).

შესაძლებელია, რომ დირექტორატის წევრმა მასზე დაკისრებული მოვალეობები უსასყიდლოდაც შეასრულოს. ასეთი რამ, რა თქმა უნდა, აკრძალული არ არის. ამ შემთხვევაში, ფუძნდება სპეციფიკური პერსონაფიცირებული (პიროვნული) ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა დირექტორატის წევრსა და საზოგადოებას შორის.

დირექტორის უფლებამოსილების ვადა – დირექტორთან ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს როგორც განსაზღვრული, ისე – განუსაზღვრელი ვადით, თუმცა საკორპორაციო სამართალში უფრო მიღებულია ამ ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადება. საფრანგეთის 2000 წლის სავაჭრო კოდექსის თანახმად, სს-ის დირექტორის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 2-დან 6 წელს, თუ წესდებით ვადა არ არის განსაზღვრული, იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში ვადა 4 წელია (მუხ. 225-62). სააქციო საზოგადოებების შესახებ გერმანიის კანონის თანახმად, გამგეობის წევრებს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არა უმეტეს 5 წლის ვადით. დასაშვებია განმეორებითი დანიშვნაც ან უფლებამოსილების ვადის გაგრძელება, მაგრამ არა უმეტეს 5 წლით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი თანხმობა, რაც მიღებული უნდა იქნეს უფლებამოსილების წინა ვადის გასვლამდე არაუადრეს ერთი წლით ადრე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დანიშნის ვადა 5 წელს არ აღემატება, შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ უფლებამოსილების გასაგრძელებლად სამეთვალყურეო საბჭოს ახალი თანხმობა არ მოითხოვება, რამდენადაც უფლებამოსილების ზოგადი ვადა 5 წელია (§84 (1)). რუსეთის ფედერაციის შრომის კოდექსი ითვალისწინებს, რომ ორგანიზაცი-

ის ხელმძღვანელთან ვადიანი ხელშეკრულება იდება არა უმეტეს 5 წლით (მუხ.58; მუხ.275).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონში უფლებამოსილების კონკრეტული ვადა განსაზღვრულია მხოლოდ კოოპერატივის დირექტორების მიმართ, კერძოდ, 66.2 მუხლის თანახმად, კოოპერატივში დირექტორებს ირჩევენ 4 სამეურნეო წლის ვადით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სხვა საზოგადოებებში, გარდა კოოპერატივისა, დირექტორის უფლებამოსილების კონკრეტულ ვადას კანონი არ ადგენს და აღნიშნული საკითხი მთლიანად მხარეთა შეთანხმებით მოწესრიგებას ექვემდებარება. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის შემუშავებული სააქციო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების თანახმად, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აქციონერების კონტროლის უფლება, რეკომენდებულია, დადგინდეს დირექტორების უფლებამოსილების მოკლე ვადა, მაგალითად, ერთი წელი.²⁶

დირექტორების კომპეტენცია – ეს უფრო კანონისმიერი მოწესრიგების საკითხია, რომელიც დირექტორის, როგორც კორპორაციული სუბიექტის ადგილს უკავშირდება, თუმცა მან სასამსახურო ხელშეკრულებაშიც შეიძლება ჰპოვოს ასახვა დირექტორის უფლება-მოვალეობების დადგენისას, რომლებიც სწორედ კანონისმიერი კომპეტენციის ფარგლებიდან გამომდინარეობს. დირექტორის კომპეტენციაში შემავალ საკითხთა წრის განსაზღვრისას ამოსავალია შემდეგი წესი: დირექტორის კომპეტენციაში შედის ყველა საკითხი, გარდა პარტნიორთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხებისა. როგორც წესი, დირექტორის კომპეტენციაშია საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის განხორციელება და ამ საქმიანობის ფარგლებში გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, თუ რას მოიცავს მიმდინარე ხელმძღვანელობის

26 General principles of Company Law for transition economies, The Journal of Corporation Law, volume 24, №2, 1999. გვ.282-283.

შინაარსი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ აკონკრეტებს, თუ რა განეკუთვნება საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას, ანუ საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, რასაც კანონის რიგ მუხლებში ვხვდებით (მუხ. 9¹.7, 54.6, „ლ“). გერმანული სავაჭრო კოდექსი ასეთ საქმიანობად მიიჩნევს ხელმძღვანელობის ისეთ მოქმედებებს, რომლებიც უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობის ჩვეულებრივ განხორციელებას (§116). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „მიმდინარე“ განმარტებულია როგორც ყოველდღიური, საყოველთაო, მორიგი, ხოლო სიტყვა „ჩვეულებრივი“ – როგორც სხვებისგან არგამორჩეული, ისეთი, როგორიც ბევრი სხვაა.²⁷ ამდენად, საზოგადოების მიმდინარე ანუ ჩვეულებრივი საქმიანობა შეიძლება განიმარტოს, როგორც იმ იურიდიული მოქმედებების ერთობლიობა, რომლებსაც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი, შიდასაზოგადოებრივ და გარესაზოგადოებრივ ურთიერთობებში ასრულებს ყოველდღიური და საწარმოსათვის ჩვეული, არაგანსაკუთრებული საქმიანობის სახით.

საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობად უნდა მივიჩნიოთ საზოგადოების მიმდინარე საქმიანობა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ხოლო ის მოქმედებები და გარიგებები, რომლებიც თავიანთი შინაარსის, მოცულობის, მიზნის გათვალისწინებით, აგრეთვე, პასუხისმგებლობის მოსალოდნელი რისკის მაღალი ხარისხის გამო, ყოველდღიურ მიმდინარე საქმიანობას არ განეკუთვნება, შესაძლებელია, განვიხილოთ როგორც ისეთი, რომელიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას. მაგალითად, მიმდინარე საქმიანობა იქნება აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულება, გარიგებების დადება ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის პროცესში: საზოგადოებისათვის საჭირო ნედლეულის, მასალების შეძენა, რაც აუცილებელია საზოგადოების კონკრეტული სამეურნეო საქმიანობის გასაწევად, პროდუქციის რეალიზაცია,

²⁷ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ნაკვეთი მეორე, თბილისი, 1990, გვ.658, 1155.

მიმდინარე ოპერაციების განსახორციელებლად კრედიტის აღება და ა. შ.

საგულისხმოა, რომ საზოგადოების ჩვეულებრივი ანუ მიმდინარე საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ დირექტორის მიერ, ანუ სამეთვალყურეო საბჭოსა და პარტნიორთა საერთო კრებას არ შესწევთ უნარი, უშუალო მოქმედებებით განახორციელონ მიმდინარე საქმიანობა, რამდენადაც აღნიშნული მხოლოდ ხელმძღვანელობითი ორგანოს (დირექტორატის) უფლებამოსილების არსია.

რაც შეეხება დირექტორის კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს, სასურველია, ისინი სასამსახურო ხელშეკრულებაში დეტალურად გაიწეროს, მაგალითად: ინტერესთა კონფლიქტის წესების დაცვა, ინფორმაციის გაუხმაურებლობის ვალდებულება, აქციონერთა მორიგი და რიგგარეშე საერთო კრებების დროული მოწვევის ვალდებულება, საზოგადოების აქციათა რეესტრის წარმოების ვალდებულება პირადად ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, აქციათა ემისია, ობლიგაციებისა და აქციაში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების ვალდებულება საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით და სხვა.

დირექტორების პასუხისმგებლობა — ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია სასამსახურო ხელშეკრულებაში, რაც მხარეთა მიერ თანხმდება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე.

კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებლობის კონკრეტულ ზომებს, რაც მხარეებმა ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მიიღონ, მაგალითად, განეკუთვნება ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას დირექტორის ვალდებულება, დათმოს ამ საზოგადოებიდან გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება და აანაზღაუროს ზიანი (მუხ. 9.5); კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულებების დარღვევის შემთხვევებში გათვალისწინებულია, რომ დირექტორი საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებს სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. ამასთან, საზოგადოებას არ აქვს უფლება, უარი

განაცხადოს ასეთ დროს დირექტორისაგან რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე, შეურიგდეს დირექტორს და აპატიოს ზიანის მიყენება, თუკი ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად (მუხ. 9.6). მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შემთხვევაში (თუკი ანაზღაურება საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი) ხელმძღვანელის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი არ შეიძლება გახდეს ის გარემოება, რომ ხელმძღვანელი მოქმედებდა პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად (მუხ. 9.6). ამდენად, საზოგადოების ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც საკუთარი ნება აქვს, პასუხისმგებლობისგან სრულად არ თავისუფლდება პარტნიორთა არასწორი გადაწყვეტილებების შესრულების შემთხვევაში.

სასამსახურო ხელშეკრულებაში შეიძლება ჩაიდოს დირექტორის პასუხისმგებლობის დამატებითი პირობებიც.

დირექტორების ერთგულების მოვალეობის დარღვევად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც გამგეობის წევრი მოუწოდებს და აიძულებს სამეთვალყურეო საბჭოს, მასთან ისეთი ხელშეკრულება დადოს, რომელიც მას პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებს. თვით ასეთი ხელშეკრულების არსებობაც არ ათავისუფლებს გამგეობის წევრს ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუკი მისმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებამ ზიანი მიაყენა საზოგადოებას.²⁸

საზოგადოების პასუხისმგებლობა – თანამდებობიდან დირექტორის ნებისმიერ დროს გათავისუფლების საკომპენსაციოდ, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, სასამსახურო ხელშეკრულებაში სასურველია გათვალისწინებულ იქნეს ასეთ შემთხვევაში საზოგადოების მიერ შესაბამისი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, თუკი, რასაკვირველია, გათავისუფლება თავად დირექტორის ბრალეული ქმედებით არ არის განპირობებული.

²⁸ ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ.330-331.

5. განსჯადობის პრობლემა

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც დირექტორის სასამსახურო ხელშეკრულების თაობაზე წარმოშობილ დავას მხარეები არაგანსჯად სასამართლოში აწარმოებენ. ამ შემთხვევაში მხედველობაშია დარგობრივი (საგნობრივი) განსჯადობა სამოქალაქო სამართალწარმოებით საქმის განმხილველ სასამართლოსა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველ სასამართლოებს შორის. პრობლემა განსჯადობასთან მიმართებით, ძირითადად, არსებობს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებების შემთხვევაში, სადაც საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი – სახელმწიფო წარმოდგენილია მისი ორგანოს – ადმინისტრაციული ორგანოს სახით და ეს უკანასკნელი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების დირექტორის გათავისუფლების შესახებ, რა დროსაც ხშირად გამოიყენა ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის აქტი ბრძანების სახით. განსჯადობის პრობლემა წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ მოსარჩელე დირექტორი რიგ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნულ ბრძანებას (მაგალითად, მინისტრის ბრძანება სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს-ის დირექტორის გათავისუფლების თაობაზე) მიიჩნევს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად და შესაბამისად, ამ აქტის კანონიერებაზე დავას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილველ სასამართლოში აღძრავს.

დღეისათვის აღნიშნულ საკითხზე ჩამოყალიბებულია სტაბილური სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ, სადავო არ არის, რომ ზემომითითებული ბრძანება არ განეკუთვნება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რამდენადაც არ შეიცავს ამ აქტის მიმართ კანონით გათვალისწინებულ ისეთ არსებით ნიშანებს, როგორიცაა აქტის გამოცემა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და აქტის გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდე-

ქსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). მოცემული აქტი გამოიცემა კერძო სამართლის კანონის – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე და მას შესაბამისი სახელმწიფო ორგანო გამოსცემს არა როგორც ადმინისტრაციული ორგანო მისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, არამედ – როგორც კერძო სამართლის სუბიექტი – სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორი. ამდენად, აღნიშნული აქტი თავისი არსით განეკუთვნება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად მიღებულ პარტნიორის გადაწყვეტილებას სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, შესაბამისად, სახეზეა კერძოსამართლებრივი და არა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც განხილვას ექვემდებარება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.²⁹

29 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 2 დეკემბრის განჩინება საქმეზე №3გ/ად-31-კ-02, რომლითაც გადაწყდა სასამართლოთა შორის განსჯადობის დაეა და სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს-ის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბრძანების კანონიერების თაობაზე აღძრული დაეა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმედ იქნა მიჩნეული; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 2 დეკემბრის განჩინებით საქმეზე №3გ/ად-3-გ-02 განიშარტა: „სახელმწიფო (მისი სახით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო), როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად მონაწილეობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი და ასეთ შემთხვევებში მისი მხრიდან საჯარო ფუნქციების განხორციელება არ ხდება“; ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-12-296-05. ამ შემთხვევაში სადაეო იყო საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დაფუძნებული შპს-ის დირექტორის გათავისუფლების კანონიერება და საკითხი, წარმოადგენდა თუ არა განათლების მინისტრის ბრძანება ადმინისტრაციულ აქტს. უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „როცა საზოგადოებას ერთი პარტნიორი ჰყავს, ამ პარტნიორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად. ასეთ შემთხვევაში მთაუარია პარტნიორის ნების გამოვლენის ნამდვილობა და დოკუმენტის ფორმის დაუცველობა არ იწვევს პარტნიორის გადაწყვეტილების ბათილობას“.

6. პარტნიორი და ღირებულებები შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში

სასამსახურო ხელშეკრულების საკითხი უკავშირდება პარტნიორებისა და ღირებულების შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობების საკითხსაც. ამასთან დაკავშირებით ღირებულებისა და პარტნიორების ურთიერთობების ძირითადი სპექტრი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: პარტნიორები ნიშნავენ ღირებულებას (შპს-ში), ისინი აკონტროლებენ მას (შპს-ში), ისინი წყვეტენ, თუ რომელი საქმიანობა არ შეიძლება განახორციელოს ღირებულებამ მათი თანხმობის გარეშე, ისინი აფასებენ მისი საქმიანობის აკარგვიანობას და ამტკიცებენ მის ანგარიშს, ისინი თავისუფლებენ მას (სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის პირობებში) ან აძლევენ რეკომენდაციას სამეთვალყურეო საბჭოს მის გასათავისუფლებლად. თავის მხრივ, ღირებულები ანგარიშვალდებულია პარტნიორების წინაშე და ვალდებულია, მართოს საწარმო პარტნიორთათვის მაქსიმალური სარგებლიანობის მოტანის მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს პარტნიორთათვის რაც შეიძლება მეტი დივიდენდის მიღების შესაძლებლობა საზოგადოების ინტერესების ხელყოფის გარეშე.

იმავდროულად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ღირებულები, როგორც იურიდიული პირის ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობითი ორგანო, საქმეებს უძღვება საკუთარი პასუხისმგებლობისა და სამეწარმეო გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე, იგი საქმიანობის პროცესში ავლენს საკუთარ ნებას, რაც ნიშნავს, რომ კონკრეტული მოქმედებების განხორციელებისას ღირებულები არ არის დამოკიდებული პარტნიორებზე და მისთვის ღირებულებების მიცემის უფლება არავის აქვს. თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მან არ უნდა გაითვალისწინოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებები და პარტნიორთა კრებას არ უნდა შეუთანხმოს მნიშვნელოვანი საკითხები. აქ საუბარია ცალკეულ პარტნიორთა სუბიექტურ შეხედულებებზე, სუბიექტურ დამოკიდებულებაზე, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არც პარტნიორთა კრების არასწორი გადაწყვეტილებების გათვალისწინება

ათავისუფლებს დირექტორს პასუხისმგებლობისგან.

მნიშვნელოვანია, რომ დირექტორი მართავს და უძღვება საწარმოს სწორედ საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში. არავის აქვს უფლება ზემოქმედება მოახდინოს მის საქმიანობაზე, საწარმოს პარტნიორებსაც კი, თუმცა საკონცერნო საზოგადოებათა პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როდესაც ხდება დამოკიდებული საწარმოს დირექტორატისთვის (ან მისი რომელიმე წევრისთვის) უშუალო დავალებების მიცემა „ზემდგომი საზოგადოების“ (ძირითადი საწარმო, რომელზეც არის დამოკიდებული ეს საზოგადოება) მიერ. აღნიშნულს განიხილავენ, როგორც კოლიზიას სამსახურებრივი დავალების მიცემის უფლებასა და საკუთარი პასუხისმგებლობით საწარმოს მართვის ძირითად პრინციპს შორის.³⁰

სპეციფიკურობით ხასიათება პარტნიორებსა და დირექტორს შორის ურთიერთობა იმ შემთხვევაში, როდესაც, ერთი მხრივ, სამეწარმეო საზოგადოებაში ერთი პარტნიორია და, მეორე მხრივ, იგი იმავდროულად დირექტორიც არის. ამ შემთხვევაში დირექტორისთვის ანგარიშგასაწევია ერთადერთი პარტნიორის მითითებები, რომლებიც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას უთანაბრდება, გარდა არასწორი მითითებებისა, რომელთა შესრულებისათვის, როგორც უკვე აღინიშნა, დირექტორი პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდება. იგივე შეიძლება ითქვას 75%-ზე მეტი ხმის უფლების აქციების მფლობელ დომინანტ აქციონერზეც, რომლის გადაწყვეტილებები, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54.1¹ მუხლის თანახმად, ასევე ითვლება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად. თუკი ერთადერთი პარტნიორი იმავდროულად საწარმოს დირექტორია, ასეთ შემთხვევაში, ფაქტობრივად, არ არსებობს სასამსახურო ხელშეკრულების დადების საჭიროება და პარტნიორი თავისი, როგორც ხელმძღვანელის ფუნქციას განახორციელებს კანონისა და წესდების საფუძველზე.

30 ეს შემთხვევა საგამონაკლისოდ მიიჩნევა გერმანულ სამართალში. Frodermann/Schäfer in Henn/Frodermann/Jannott, Handbuch des Aktienrechts, 8 Auf., Heidelberg 2009, S. 327, 354.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამსახურო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შესახებ დოქტრინაში არ არის ერთიანი აზრი. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ დირექტორი, ერთი მხრივ, გამოდის როგორც კორპორაციული სუბიექტი, რომელსაც მინიჭებული აქვს საწარმოს ხელმძღვანელობით-წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენცია. მეორე მხრივ, იგი წარმოადგენს საწარმოს თანამშრომელს და საწარმოსთან ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეს. ძირითადად, სწორედ ეს უკანასკნელი ურთიერთობაა სასამსახურო ხელშეკრულების არსი.

მცირე აქციონერის ცნება. მცირე აქციონერისა და დომინანტი აქციონერის უფლებათა ურთიერთმიმართება ქართულ სააქციო სამართალში

I. მცირე და დომინანტი აქციონერის ცნება

აქციონერი არის სააქციო საზოგადოების პარტნიორი, ამ საზოგადოების წევრი, მონაწილე, რომელიც ფლობს განსაზღვრული რაოდენობისა და კლასის აქციებს და რომელსაც საზოგადოებაში აქვს შესაბამისი უფლება-მოვალეობები. საკორპორაციო სამართლის თეორიაში კორპორაციას (სააქციო საზოგადოებას) რიგ შემთხვევაში აღარებენ „პატარა რესპუბლიკას“,³¹ ხოლო აქციონერებს — კორპორაციის „მოქალაქეებს“,³² რომლებსაც ამ „რესპუბლიკაში“ მოპოვებული აქვთ განსაზღვრული უფლებრივი მდგომარეობა. ამ მდგომარეობის მიხედვით აქციონერები შეიძლება პირობითად დაეყოს მცირე და დომინანტ (მსხვილ)* აქციონერებად.³³ თანამედროვე ქართულ სააქციო სამართალში თვალსაჩინოა აღნიშნული დაყოფა და მცირე და დომინანტი აქციონერების უფლებრივი განსხვავება, უფლებრივი კონტრასტი.

მაინც, ვინ შეიძლება მივიჩნიოთ მცირე და დომინანტ აქციონერად?

31 Alan R. Palmiter, Corporations, fifth edition, New York, გვ.105.

32 Anupam Chander, Minorities, Shareholders and Otherwise, 113 Yale L. J. 119 (October, 2003).

* რაც შეეხება საშუალო აქციონერს, როგორც დამოუკიდებელ კატეგორიას, მას საკორპორაციო სამართლის თეორიაში ცალკე არ გამოყოფენ.

33 საკორპორაციო სამართალში მცირე და დომინანტი აქციონერის მიმართ გამოიყენება სხვა ტერმინებიც: მინორიტარი და მაჟორიტარი აქციონერი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაშიც ხმის უფლების მქონე აქციათა 5%-ზე ნაკლების მფლობელი მცირე აქციონერისა და 95%-ზე მეტის მფლობელი მსხვილი აქციონერის მიმართ ასევე გამოიყენებულია ტერმინები: მინორიტარი აქციონერი და მაჟორიტარი აქციონერი (იხ. საქმე №2/1-370,382,390,402,405, საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელიაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).

დომინანტი პარტნიორისა და დომინანტი აქციონერის ცნებები „მეწარმეთა შესახებ“ კანონში განსაზღვრულია. კერძოდ, კანონის თანახმად, დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე (მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის მე-2 წინადადება). ანალოგიურად, ამავე კანონის თანახმად, დომინანტად ითვლება აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს სააქციო საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგზე (53.4 მუხლი).

ამდენად, კანონის თანახმად, დომინანტის სტატუსის მოპოვებისათვის აქციონერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ა. იგი უნდა მოქმედებდეს დამოუკიდებლად ან ჯგუფურად (სხვა აქციონერთან (აქციონერებთან) ერთად); ბ. მას უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, გადაწყვიტოს საზოგადოების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებათა ბედი. სწორედ ეს უკანასკნელი, ანუ აქციონერთა საერთო კრების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე გადამწყვეტი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა წარმოადგენს დომინანტი აქციონერის სტატუსის განმსაზღვრელ ძირითად პირობას.³⁴ ამასთან, აქ საუბარია არა უბრალოდ ზეგავლენაზე, არამედ – გადამწყვეტ ზეგავლენაზე, რაც პირდაპირ განაპირობებს ამა თუ იმ კონკრეტული შედეგის დადგომას.

განსხვავებით დომინანტი აქციონერისაგან, მცირე აქციონერის ცნებას კანონი არ იძლევა. დომინანტი აქციონერის ცნების მაკვალიფიციცირებელი ნიშნის – საზოგადოების გადაწყვეტილებებზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენის გათვალისწინებით შესაძლე-

34 აქციების იმ ოდენობას, რაც აქციონერთა საერთო კრებაზე სასურველი გადაწყვეტილებების მისაღებად არის საჭირო, სხვაგვარად საკონტროლო პაკეტსაც უწოდებენ. როგორც წესი, ასეთად სააქციო კაპიტალის ნახევარს ანუ აქციათა უმრავლესობას მიიჩნევენ.

Кулагин М. И., Государственно-монополистический капитализм и юридическое лицо. Избранные труды. М., 1997, гл. 104.

ბელია დავასკვნათ, რომ სწორედ აღნიშნული ნიშანი უნდა დაედოს საფუძვლად მცირე აქციონერის განსაზღვრებასაც, კერძოდ, ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს აქციონერი, რომელსაც დამოუკიდებლად არ აქვს შესაძლებლობა, გადაწყვიტოს აქციონერთა საერთო კრების კენჭისყრის ბედი. მცირე აქციონერის განმარტება ლიტერატურაში გვხვდება შემდეგნაირადაც: ინვესტორი, რომელიც კორპორაციის კაპიტალში ფლობს მცირე, არასაკონტროლო პროცენტს.³⁵ არის ასეთი განმარტებაც: აქციონერი, რომელიც ფლობს ხმის უფლებას, მაგრამ მოკლებულია სააქციო საზოგადოების მართვაზე რაიმე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობას.³⁶ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მცირე აქციონერი დამოუკიდებლად ვერ ახდენს გავლენას კენჭისყრის შედეგზე, თორემ სხვა აქციონერის ხმებთან ერთობლიობაში შეიძლება მისი ხმაც გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ასე, მაგალითად, თუკი აქციონერთა საერთო კრების განხილვის საგანი იქნება წესდებაში ცვლილების შეტანის საკითხი და მას ხმათა 49%-ის მფლობელ აქციონერთან ერთად მხარს დაუჭერს 2%-ის მფლობელი აქციონერიც, რის შედეგადაც გადაწყვეტილება მიიღება 51%-ის უმრავლესობით, ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული 2%-ის მფლობელ აქციონერს არ შეეძლო კრების გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა, რამდენადაც ამ შემთხვევაში მისი 2% სწორედაც რომ გადამწყვეტი აღმოჩნდა, თუმცა ეს გარემოება მას დამოუკიდებლად არ აქცევს დომინანტ აქციონერად.

კანონის თანახმად, სს-ში აქციონერთა საერთო კრების მიერ სხვადასხვა გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა სხვადასხვა რაოდენობაა საჭირო, რის გამოც ერთ შემთხვევაში აქციონერს შეიძლება ჰქონდეს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს კენჭისყრის შედეგზე, მეორე შემთხვევაში – ვერა. მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ“

35 Anupam Chander, Minorities, Shareholders and Otherwise, 113 Yale L. J. 119 (October, 2003).

36 Кулагин М. И., Государственно-монополистический капитализм и юридическое лицо. Избранные труды. М., 1997, гл. 104.

კანონის 54.6 მუხლის თანახმად, წესდებაში ცვლილების შესატანად საჭიროა ხმათა 50%-ზე მეტი აქცია, ხოლო სს-ის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად – 75%-ზე მეტი. ამდენად, ხმათა 51%-ის მფლობელი აქციონერი ერთ შემთხვევაში დომინანტურ მდგომარეობაშია, მეორე შემთხვევაში კი კენჭისყრის შედეგზე გადაწყვეტი ზეგავლენის პირობას ვერ აკმაყოფილებს. მიუხედავად ამისა, ხმის უფლების მქონე 50%-ზე მეტი აქციების მფლობელი არის პოტენციურად დომინანტი აქციონერი, რამდენადაც იგი ფლობს საკონტროლო პაკეტს. ამასთან, აქციონერს, რომელიც აკონტროლებს საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტს, პრაქტიკულად, აქვს იმის შესაძლებლობაც, რომ სავალდებულო სატენდერო შეთავაზების გზით გაზარდოს მის ხელთ არსებული აქციები იმ ოდენობამდე, რაც საზოგადოებაზე კონტროლის მეტ შესაძლებლობას მისცემს (მუხ.53²).³⁷

განვიხილოთ, თავის მხრივ, რაზეა დამოკიდებული საზოგადოების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის მექანიზმის ქონა და ამდენად, მცირე თუ დომინანტი აქციონერის სტატუსის მოპოვება.

სააქციო საზოგადოება, ისევე როგორც ნებისმიერი სამეწარმეო საზოგადოება, საწარმოს მართვასთან, საქმიანობასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს იღებს აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების ბედის განმკარგავი უზენაესი ნების – აქციონერთა ნების გამომხატველ ორგანოს. სწორედ ამ ნების მეშვეობით ფუნდება საზოგადოება და მასზევეა დამოკიდებული საწარმოს შემდგომი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაც. მმართველობის ამ რგოლს აქვს კორპორაციული ძალაუფლება, გადაწყვიტოს საზოგადოების უმნიშვნელოვანესი საკითხები და გან-

37 სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისა და აქციათა აუცილებელი მიყიდვის შესახებ იხ. ირაკლი ბურდული, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა?! „მართლმსაჯულება“, №2, 2007წ. გვ.10-38.

საზღვროს სხვა მმართველობითი ორგანოების — დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის პოლიტიკაც. აქციონერები საერთო კრებაზე გადაწყვეტილებებს იღებენ კენჭისყრის შედეგად, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მათი ხმები. კერძოდ, საერთო კრებაზე დღის წესრიგის საკითხების კენჭისყრაში მონაწილეობენ მხოლოდ ხმის უფლების მქონე აქციები, ანუ ხმის უფლების არმქონე აქციის, მაგალითად, პრივილეგირებული აქციის მფლობელი მონაწილეობას ვერ მიიღებს კენჭისყრაში და საზოგადოების მართვის საკითხების გადაწყვეტაში. თუმცა იგი, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი პარტნიორი, ჩვეულებრივ, უფლებამოსილია, დაესწროს აქციონერთა საერთო კრებას, გამოთქვას თავისი აზრი დღის წესრიგის საკითხებზე და დააფიქსიროს თავისი პოზიცია.

ამდენად, აქციონერთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილებების მიღება დამოკიდებულია ამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო რაოდენობის ხმების ქონაზე. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში საქციო საზოგადოებაში მოქმედებს პრინციპი: ერთი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას. აქციონერი, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმებს ფლობს, წარმოადგენს სწორედ დომინანტ აქციონერს, ხოლო აქციონერი, რომელიც თავისი ხმების გათვალისწინებით დამოუკიდებლად ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს კენჭისყრის შედეგზე — მცირე აქციონერს.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის ნორმათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქციო საზოგადოებაში უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით ყველაზე ნაკლები სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ ხმათა 5%-ზე ნაკლების მფლობელი მცირე აქციონერები, რასაც ქვემოთ შევხებით.

მართალია, მცირე აქციონერებს აქვთ ხმის უფლება, მაგრამ, რეალურად, ისინი მოკლებული არიან საზოგადოების მმართველობაზე რაიმე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას. საზოგადოების კაპიტალში სუსტი ფინანსური მონაწილეობაა სწორედ ის ძირითადი მიზეზი, რაც გამორიცხავს საზოგადოების მართვაში აქტიურ მონაწილეობას. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საკუთრებისა და ძალაუფლების საკითხები ერთმანეთთან პირდაპირპრო-

პორციულ დამოკიდებულებაშია. სწორედ საზოგადოების მართვაში რეალური მონაწილეობის შეუძლებლობა წარმოადგენს კორპორაციის საკითხების გადაწყვეტაში მცირე აქციონერების პასიურობის მიზეზსაც. ფრანგი იურისტის – ჟ. პელიუსოს მოსაზრებით, მცირე აქციონერთა პასიურობას ანუ აბსენტიზმს მატერიალური და ფსიქოლოგიური მიზეზები აქვს. პირველს განეკუთვნება აქციონერთა საერთო კრებების შესახებ აქციონერთა ინფორმირების არადამაკმაყოფილებელი სისტემა, საერთო კრების გამართვის ადგილის აქციონერთა საცხოვრებელი ადგილისაგან გეოგრაფიული სიშორე, აქციონერის მიერ ამ კრებაზე წასვლის დროისა და სახსრების უქონლობა. რაც შეეხება პასიურობის ფსიქოლოგიურ მიზეზებს, აღნიშნული ავტორი ასეთად მიიჩნევს მცირე აქციონერის „მორჩილების“, „არასრულფასოვნების“, „იზოლაციის“ განცდას, რაც, თავის მხრივ, მომდინარეობს საზოგადოების ძირითად კაპიტალში სუსტი ფინანსური მონაწილეობიდან. ამიტომ არის, რომ, ჩვეულებრივ, მრავალი აქციონერისგან შემდგარი საზოგადოების საერთო კრებაზე მონაწილეობს მხოლოდ აქციონერთა მცირე რაოდენობა.³⁸

II. მცირე აქციონერისა და დომინანტი აქციონერის უფლებათა ურთიერთმიმართება

საკორპორაციო სამართალი აქციონერის მდგომარეობას იცავს სამი ძირითადი მექანიზმით: ხმის უფლება; აქციის გასხვისების უფლება; სარჩელის უფლება.³⁹ მცირე და დომინანტი აქციონერის უფლებათა ურთიერთმიმართებაც, ძირითადად, სწორედ ამ უფლებებთან დაკავშირებით არის თვალსაჩინო, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ქონებრივი უფლებებიც.

38 Paillusseau J. La societe anonyme: Technique juridique d'organisation d'entreprise. P., 1967, p.48-49, ix. მიტიტება Кулагин М. И., Государственно-монополистический капитализм и юридическое лицо. Избранные труды. М., 1997, გვ. 105.

39 Alan R. Palmiter, Corporations, fifth edition, New York, გვ.105-106.

1. უფლებათა ურთიერთმიმართება ხმის უფლებასთან დაკავშირებით

ხმის უფლებას⁴⁰ მრავალი ფუნქცია აქვს. თეორიაში არის მოსაზრება, რომ იგი არის თვითდახმარების საშუალება დომინანტი აქციონერისთვის, აირჩიოს თავისი წარმომადგენელი კორპორაციის მმართველ წრეებში. გარდა ამისა, ხმის უფლება აქციონერს აძლევს ძალაუფლებას, სათანადო რეაგირება მოახდინოს შეცვლილ გარემოებებზე და დაიცვას თავისი მდგომარეობა. ასევე, დომინანტი აქციონერს ხმის უფლება ხელს უწყობს, რომ თავი დაიცვას მცირე აქციონერისგან, ამ უკანასკნელის მიერ გამომძალველობითი მოქმედების დროს დათმობებზე წაყვანის შემთხვევაში. ხმის უფლება დაკავშირებულია სარჩელის უფლებასთანაც, კერძოდ, ის საკითხები, რომლებიც აქციონერების მიერ თავიანთი ხმის უფლების გამოყენებით წყდება და არა დირექტორების მიერ ერთპიროვნულად, ნაკლები ალბათობაა, რომ სადავო გახდეს. პრაქტიკაში ხმის უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კორპორაციის მმართველობის უფლების მოპოვებისა და კონტროლის უფლებებთან მიმართებით. რამდენადაც აქციის გასხვივება იმავდროულად ნიშნავს მასში განსხეულებული ხმის უფლების გადაცემასაც, მსხვილი სააქციო პაკეტის მყიდველები, იმავდროულად, აქციასთან ერთად კორპორაციის მმართველი თანამდებობის პირების შეცვლის უფლებასაც იძენენ საერთო კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოზე გაუღენის მოხდენის მეშვეობით.⁴¹

აქციონერი კუთვნილი ხმის უფლების რეალიზაციას ახდენს აქციონერთა საერთო კრებაზე კენჭისყრის გზით.

საყურადღებოა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად აქციონერთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილებების მიღების წესი. კანონის 54-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად, რომლებიც

40 სხვაგვარად ხმის უფლებას საზოგადოების მმართველობის უფლებადაც მოიაზრებენ. ირაკლი ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2008, გვ.216.

41 Alan R. Palmiter, Corporations, fifth edition, New York, გვ.106-107.

აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციასა და გადაწყვეტილებათა მიღების წესს განსაზღვრავს, ამ გადაწყვეტილებათა მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის მიხედვით გამოიწვეულია შემდეგ გადაწყვეტილებები:

ა. გადაწყვეტილებები, რომელთა მისაღებად საჭიროა ხმათა 75%-ზე მეტი. ასეთს განეკუთვნება: სს-ის წესდებაში ცვლილების შეტანა; სს-ის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; სააქციო კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში აქციონერის უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება;

ბ. გადაწყვეტილებები, რომელთა მისაღებად საჭიროა ხმათა 50%-ზე მეტი: წმინდა მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის გადაწყვეტილების მიღება; სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა, გამოწვევა, მათი უფლებამოსილების ვადის განსაზღვრა; დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება; სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა; აუდიტორის არჩევა; სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნა; საზოგადოების აქტივების ღირებულების 1/2-ზე მეტის ოდენობით ქონების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა.

ზემოაღნიშნული მოწესრიგება არ არის იმპერატიული. კანონი შესაძლებლობას იძლევა, რომ გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ხმები წესდებით სხვაგვარადაც გადანაწილდეს.

კანონით ასევე გამოიყოფა გადაწყვეტილებები, რომელთათვის საჭიროა ასევე ზუსტად განსაზღვრული ოდენობის ხმების ქონა. მაგალითად, 95%-ზე მეტი ხმის მოპოვების შემთხვევაში აქციონერს უფლება აქვს, დანარჩენ აქციონერებს მოსთხოვოს აქციათა სავალდებულო მიყიდვა (მუხ. 53⁴), 50%-ზე მეტი ხმის უფლების შეძენის შემთხვევაში აქციონერს წარმოეშობა სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვალდებულება (მუხ. 53²). თუკი მხოლოდ ერთი აქციონერი ფლობს ხმების 75%-ზე მეტს, მას შეუძლია,

საერთო კრების მოუწვეველად მიიღოს გადაწყვეტილება კრების კომპეტენციაში შემავალ საკითხზე. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს მხოლოდ ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (მუხ. 54.1').

აქციონერები ასევე განსხვავდებიან კრების მოწვევის კომპეტენციის ქონის თვალსაზრისით.

ნებისმიერი კლასის აქციათა 5%-ზე ნაკლების მფლობელ აქციონერებს არ აქვთ უფლება, მოიწვიონ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ან მოითხოვონ დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოსგან მისი მოწვევა, რაც ამ უკანასკნელთათვის სავალდებულო იქნება. აღნიშნულ აქციონერებს შეუძლიათ მხოლოდ წინადადებით მიმართონ დირექტორატს ან სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის თხოვნით, მოწვევის აუცილებლობის შესახებ შესაბამისი დასაბუთებით, რაც არ არის სავალდებულო ამ უკანასკნელთათვის. აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების სავალდებულო ინიცირებისა და უშუალო მოწვევის უფლება მხოლოდ იმ აქციონერებს აქვთ, რომლებიც 5%-სა და მეტს ფლობენ (მუხ. 53.3').

მნიშვნელოვანია აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლებაც. ამ შემთხვევაში აქციონერებს თანაბარი უფლებები აქვთ. მცირე აქციონერს, დომინანტი აქციონერის თანაბრად, აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს საერთო კრების დღის წესრიგის საკითხების განხილვაში, გამოთქვას თავისი მოსაზრება ამ საკითხების ირგვლივ, დასვას კითხვები, მოითხოვოს ახსნა-განმარტება ამა თუ იმ საკითხზე და ა.შ. რასაკვირველია, აღნიშნული არ შეეხება საერთო კრებაზე გადაწყვეტილებების მიღების წესს, მცირე აქციონერებს არ აქვთ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებისთვის საკმარისი ხმები, რაზედაც ზემოთ აღინიშნა. კანონის 53.3' მუხლის თანახმად, აქციონერს უფლება აქვს, საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტებები დირექტორებსა და სამეთვალყურეო

საბჭოს და გამოთქვას თავისი აზრი, თუ მოთხოვნა წერილობით იქნება წარდგენილი საერთო კრებამდე 10 დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნეს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული.

აქციონერთა უფლებრივი მდგომარეობის განსხვავება ვლინდება საერთო კრების მოწვევის პროცედურაშიც. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, განსხვავდება 1%-ზე ნაკლები ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი აქციონერების მოწვევის წესი და, მეორე მხრივ, სხვა დანარჩენი აქციონერების მოწვევის წესი.

პირველ შემთხვევაში ხმის უფლების მქონე აქციათა 1%-ზე ნაკლების მფლობელ აქციონერებს პერსონალურად არ ეგზავნებათ მოსაწვევი საერთო კრებაზე დაზღვეული წერილით (მუხ. 54.2, მე-2 აბზაცი). საერთო კრების შესახებ მათი ინფორმირება მოცემულ შემთხვევაში ხდება კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების მეშვეობით (მუხ. 54.2, პირველი აბზაცი). ამდენად, ამ აქციონერებს არ შეუძლიათ, საერთო კრების შესახებ მათთვის პერსონალური შეტყობინების გაუგზავნელობა მიიჩნიონ კრების უხეში პროცედურული დარღვევებით ჩატარებად და კრების ოქმის გასაჩივრების შემთხვევაში დაეყრდნონ ხანდაზმულობის ერთწლიან ვადას (მუხ. 15.2). ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით. რაც შეეხება 1% და მეტი ხმების მფლობელებს, მათთვის პერსონალური მოწვევის გაგზავნა კრების დღის წესრიგის მითითებით აუცილებელია. ამ წესის დაუცველობა წარმოადგენს არსებით პროცედურულ დარღვევას და საზოგადოება ვერ დაეყრდნობა მხოლოდ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებას, რომელიც ამ შემთხვევაში აქციონერის ინფორმირებისათვის არ არის საკმარისი.

საერთო კრებაზე კენჭისყრის შემთხვევაში როგორც მცირე, ისე დომინანტ აქციონერს აქვს ხმის უფლების საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების უფლება. გამონაკლისია შემთხვევები, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება აქციონერთან გარეგნობის დადებას ან აქციონერის ანგარიშის დამტკიცებას. ამ უკანასკნელ შემთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც აქციონერი, იმავდროულად, დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრია და საერთო კრება იხილავს მისი ანგარიშის დამტკიცების საკითხს.

იქიდან გამომდინარე, რომ, რეალურად, მცირე აქციონერს, ხმის უფლების მიუხედავად, არ აქვს სს-ის მართვაზე გავლენის მოზღენის შესაძლებლობა, საერთო კრების კენჭისყრის შედეგზე დომინანტი აქციონერის წინააღმდეგ ვერაფერს გახდება, მეცნიერულ ლიტერატურაში საუბარია მათ მიერ ფორმალური ხმის უფლების ქონაზე.⁴²

2008 წლის 14 მარტს „მეწარმეთა შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებებით აქციონერთა საერთო კრების როლი შესუსტდა იქიდან გამომდინარე, რომ წესდების საფუძველზე დაიშვა საერთო კრების უფლებამოსილებების გადანაწილების შესაძლებლობა დირექტორატსა და სამეთვალყურეო საბჭოზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მცირე აქციონერის ხმის უფლებამ კიდევ უფრო ფორმალური დატვირთვა შეიძინა.

ხმის უფლება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საზოგადოებაში ინფორმაციის მიღებისა და საზოგადოების კონტროლის უფლებაზე, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

42 Кулагин М. И., Государственно-монополистический капитализм и юридическое лицо. Избранные труды. М., 1997, гл. 104.

2. ინფორმაციის მიღებასა და საზოგადოების კონტროლთან დაკავშირებულ უზღუდათა ურთიერთმიმართება

ინფორმაციის მიღებისა და საზოგადოების კონტროლის უფლებასში თვალსაჩინოა განსხვავება აქციათა 5%-ზე ნაკლების მფლობელ მცირე აქციონერებსა და დანარჩენ აქციონერებს შორის, ე.ი. ამ შემთხვევაში ხმის უფლების მქონე აქციათა 5%-ზე ნაკლების მფლობელ აქციონერებს გააჩნიათ საზოგადოებაში ინფორმაციის მიღების, საზოგადოების კონტროლისა და შემოწმების შეზღუდული შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნული შეზღუდვა გამოიხატება იმაში, რომ ხმის უფლების მქონე აქციათა 5%-ზე ნაკლების მფლობელ აქციონერებს არ აქვთ უფლება, საზოგადოების მმართველობის ორგანოებს მოსთხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ (მუხ.53.3³). ასეთი ინფორმაციის გაცემა მთლიანად მმართველი ორგანოების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. კორპორაციული მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე, სს-მ, თუკი მას პრეტენზია აქვს სოლიდურ საზოგადოებად ყოფნაზე, ეს ინფორმაცია უნდა გასცეს, თუმცა მას შეუძლია, უარი თქვას ინფორმაციის გაცემაზე, თუკი ეს ეწინააღმდეგება საზოგადოების არსებით ინტერესებს. ამ ინფორმაციის გაცემა აღმოფხვრის შიდასაზოგადოებრივ დაპირისპირებას საზოგადოების ხელმძღვანელობასა და მცირე აქციონერს შორის, ხელს შეუშლის მცირე აქციონერის მიერ სარჩელის აღძვრისა და შემდგომი დავების პროვოცირებას. სამეწარმეო საზოგადოებას არ უნდა სჭირდებოდეს მის მიერ დასადები გარიგებების დამალვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკითხი ეხება კონფიდენციალურ გარიგებებს და აქციონერისთვის მათი გამჟღავნება ზიანის მომტანი იქნება საზოგადოებისთვის.

აქციების 5%-ზე ნაკლების მფლობელ აქციონერებს შეზღუდული უფლებამოსილება აქვთ საზოგადოების კონტროლისა და შე-

მოწმების საკითხშიც, კერძოდ, მათ არ აქვთ უფლება, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მიაჩნიათ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს (მუხ.53.3²). აღნიშნულ შემოწმებაზე უფლების მიცემაც, ისევე როგორც ზემოთ მითითებულ შემთხვევაში, საზოგადოების მმართველი ორგანოების კეთილ ნებასა და საზოგადოების გამჭვირვალობის ხარისხზეა დამოკიდებული. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში კანონი არ მიუთითებს ხმის უფლების მქონე აქციებზე, ე.ი. ხმის უფლების არმქონე 5% და მეტის მფლობელ აქციონერებსაც აქვთ ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობა.

რაც შეეხება წლიური ანგარიშის ასლის მიღებას, ბალანსის გაცნობა-მიღებას, ამის თაობაზე, კანონის თანახმად, შეზღუდვა არ არის, რამდენადაც დირექტორის წლიურ ანგარიშს, რომელშიც ბალანსის მონაცემებიც აისახება, ამტკიცებს საერთო კრება და პარტნიორი მონაწილეობს აღნიშნული ანგარიშის განხილვაში. თანაც, ნებისმიერ აქციონერს უფლება აქვს, შეამოწმოს დირექტორის წლიური ანგარიში, რომელიც აქციონერთა საერთო კრებისთვისაა მომზადებული, ამ მიზნით კი აქციონერს, შესაბამისად, შეუძლია მოითხოვოს იმ საბუღალტრო დოკუმენტაციის ნახვა, რომელიც წლიური ანგარიშის შემოწმებისთვისაა საჭირო. რაც შეეხება საზოგადოების სხვა დანარჩენი კორესპონდენციის მიღებას, ამაზე ვრცელდება კანონის 3.10 მუხლი და მისი გაცემა არ არის შეზღუდული.

3. აქციის განკარგვასთან დაკავშირებულ უფლებათა ურთიერთმიმართება

ნებისმიერ აქციონერს, ბუნებრივია, შეუძლია, თავისუფლად განკარგოს კუთვნილი აქციები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რომელიმე კლასის აქციის გადაცემა წესდებით საზოგადოების თანხმობას საჭიროებს (მუხ. 52.2), თუმცა არის გამონაკლისი რეგულირებაც აქციათა სავალდებულო მიყიდვის წესების სახით. ამ ნორმების თანახმად, 5%-ზე ნაკლები აქციების მფლობელ აქციონ-

ნერებს არ აქვთ სამართლებრივი შესაძლებლობა, 95%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის მიერ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესაძლებლობის გამოყენების შემთხვევაში შეაჩერონ მათთვის აქციების ჩამორთმევა. მათ შეუძლიათ მხოლოდ იდავონ აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურის დაცვასა და აქციათა გამო-სყიდვის სამართლიანი ფასის დადგენაზე (მუხ. 53⁴).

აქციების გაყიდვის შესაძლებლობა აქციონერებს აქვთ იმ შემ-თხვევაშიც, როდესაც აუცილებელ სატენდერო შეთავაზებას აქვს ადგილი ხმათა 50%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის მხრი-დან, თუმცა ამ შემთხვევაში, განსხვავებით აქციათა სავალდებულო მიყიდვისგან, შეთავაზებული წინადადების საფუძველზე კუთვნილი აქციის გაყიდვა აქციონერის უფლებაა და არა ვალდებულება (მუხ. 53²).

აქციონერს ასევე შეუძლია, გამოიყენოს საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის შესაძლებლობა იმ შემთხვევებში, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს ან ეხება საწარმოს რეორგანიზაციას (მუხ. 53¹). აღნიშნული ნორმა, შინაარსის გათ-ვალისწინებით, ვრცელდება მცირე აქციონერზე და მის უფლებებს იცავს, რათა, საზოგადოებაში ფორმალურ მონაწილეობასთან ერ-თად, მისი უფლებები, დამატებით, იმდენად არსებითად არ შეი-ლახოს, რომ მისთვის საზოგადოებაში ყოფნამ აზრი სრულიად დაკარგოს. აღნიშნული ნორმის სუბიექტი ვერ იქნება დომინანტი აქციონერი, რამდენადაც მას ისედაც აქვს სამართლებრივი შე-საძლებლობა, გავლენა მოახდინოს კრების კენჭისყრის შედეგზე და არ მიიღოს მისთვის არასასურველი გადაწყვეტილება, რაც მის უფლებებს არსებითად შელახავს.

ნებისმიერ აქციონერს ასევე აქვს აქციათა უპირატესი შესყიდ-ვის უფლება სააქციო კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, რათა ამ დროს უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების კაპიტალში აქციონერის წილის ოდენობის სტაბილურობა, თუმცა აქციონერთა საერთო კრებას შეუძლია ამ უფლების გაუქმება ხმების 75%-ზე

მეტი უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს აქციონერის კუთვნილი წილის შემცირებას (მუხ. 54.6, „გ“).

4. მოგებაში მონაწილეობის უზღუდატა ურთიერთმიმართება

ასევე მნიშვნელოვანია წმინდა მოგების განაწილებაში მონაწილეობისა და დივიდენდის მიღების უფლება, რაც ყველა აქციონერს აქვს. დივიდენდი (ლათ. ივიდენდუმ – გასაყოფი) – ეს არის წმინდა მოგების ნაწილი, რაც თითოეულ აქციონერზე განაწილებას ექვემდებრება მათ მიერ დაბანდებული კაპიტალის შესაბამისად. წმინდა მოგებას, თავის მხრივ, განეკუთვნება საწარმოს შემოსავლის ის ნაწილი, რაც რჩება ხარჯების გამოკლების შემდეგ. წმინდა მოგება განისაზღვრება ბალანსის საფუძველზე. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დივიდენდის განაწილება სს-ში შესაძლებელია წლიურად ან შუალედურად. წმინდა მოგების არსებობა, თავისთავად, არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად განაწილდება პარტნიორებს შორის დივიდენდის სახით. აქციონერთა საერთო კრებაზე, საამისოდ დასაბუთებული წინადადების წარდგენის შემთხვევაში, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება გასანაწილებელი წმინდა მოგების საზოგადოებისათვის უკან დაბრუნებისა და მისი ინტერესებისთვის მოხმარების შესახებ (რეინვესტირება). აღნიშნული შეიძლება შეეხოს როგორც წმინდა მოგების მთლიან ოდენობას, ისე – მის მხოლოდ ნაწილს, ხოლო დარჩენილი ნაწილი განაწილდეს აქციონერებს შორის. მაგალითად, თუკი საზოგადოებას სჭირდება კრედიტის აღება საწარმოს ოფისის გასაახლებლად და აღნიშნული სესხის % მიმედ დაწვევა საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას, შესაძლებელია, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რომ სესხის აღების ნაცვლად თანხის მოსაზიდად საზოგადოებამ გამოიყენოს წლიური წმინდა მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ და არ გაანაწილოს პარტნიორებზე. რასაკვირველია, აღნიშნული გულისხმობს, რომ წმინდა მოგების ამ სახით გამოყენება საზოგა-

ლოების ინტერესებსა და მის გაძლიერებას წაადგება და საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება, რაც მომავალ წლებში უფრო მაღალი დივიდენდის გაცემის პერსპექტივას შექმნის. ამასთან, როგორც წესი, ასეთ შემთხვევას უნდა ჰქონდეს გამონაკლისი ხასიათი, რამდენადაც სს-ის სამართლებრივი ბუნება და დანიშნულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ წმინდა მოგების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს დივიდენდების გაცემა აქციონერთათვის, ამასთან, ინვესტორი არც თუ ხალისით ჩადებს კაპიტალს ისეთ სს-ში, საიდანაც გარკვეული პერიოდის მანძილზე არანაირი მოგების მიღება არ მოუწევს.

მართალია, წლიურ მოგებაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა აქციონერს, მაგრამ 50%-ზე მეტის მფლობელ დომინანტ აქციონერს შეუძლია, გავლენა მოახდინოს იმ საკითხის გადაწყვეტაზე, განაწილდეს არსებული წმინდა მოგება აქციონერებს შორის დივიდენდის სახით, თუ დარჩეს საწარმოში.

5. სარჩელის უფლება

სარჩელის უფლების ძირითადი მიზანია, უზრუნველყოფილი იყოს კორპორაციის მმართველი ორგანოების – დირექტორატი-სა და სამეთვალყურეო საბჭოს არამართლზომიერი ქმედებებისგან საზოგადოების დაცვა და ამდენად, ამ ორგანოების ანგარიშვალდებულებაც, ასევე დომინანტი აქციონერის მიერ თავისი დომინანტური მდგომარეობის საზოგადოების საზიანოდ გამოყენების თავიდან აცილება. მოცემულ შემთხვევაში ესაუბრობთ უფლებაზე კორპორაციული სარჩელის აღძვრასთან მიმართებით, როდესაც აქციონერს შეუძლია საზოგადოების ინტერესის დასაცავად, საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი. ამ შემთხვევაში გვაქვს აქციონერის მიერ არა თავისი, არამედ – საზოგადოების დარღვეული უფლების დასაცავად აღძრული სარჩელი, როდესაც აქციონერი თავისი, როგორც საზოგადოების კონკრეტული წევრის უფლების დარღვევას უკავშირებს კორპორაციის ინტერესების დარღვევას საზოგადოების ხელმძღვანელობის

მხრიდან და სწორედ აქედან გამომდინარე დაობს (დერივატიული სარჩელი⁴³). კანონში მითითებული ასეთ შემთხვევებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

ა. სააქციო საზოგადოების მიერ მესამე პირის მიმართ მოთხოვნის განუხორციელებლობის შემთხვევაში აქციონერს შეუძლია, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. აქციონერის მიერ აღნიშნული სარჩელის აღძვრას წინ უნდა უსწრებდეს შიდასაზოგადოებრივი პროცედურის მოწურვა, კერძოდ, მანამდე აქციონერმა უნდა მიმართოს ჯერ საზოგადოებას ამ სარჩელის აღძვრის მოთხოვნით. საზოგადოებამ აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში ან უნდა აღძვრას სარჩელი მესამე პირის წინააღმდეგ, ან უნდა დაასაბუთოს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს (მუხ.53.5). ეს ვადები შეიძლება შემცირდეს ან არ იქნეს დაცული, თუკი წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩელის აღძვრას აზრი დაეკარგება, მაგალითად, გავა ხანდაზმულობის ვადა.

ბ. დირექტორის მიერ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევის შემთხვევაში საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს (9.5 მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება).

გ. თუ დირექტორები არღვევენ კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულებებს, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, რისი მოთხოვნითაც შესაძლებელია სარჩელის აღძვრა (მუხ. 9.6).

დ. თუ დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა სააქციო საზოგადოების საზიანოდ,

43 დაწერილების აქციონერის პირდაპირი და დერივატიული სარჩელების შესახებ იხ. ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ.411-454.

მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია, რისი მოთხოვნითაც აქციონერს სარჩელის აღძვრა შეუძლია (53.4 მუხლის ბოლო წინადადება).

ცალკე შეიძლება გამოვყოთ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დანიშვნის მოთხოვნით და აქციონერთა საერთო კრების მოწვევის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა. აღნიშნულს იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი, თუკი სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აკლია წევრი, ამ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა ახალი წევრი და ამდენად, სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა შეფერხებულია. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს წევრის არჩევის სხვაგვარ შესაძლებლობას (მუხ.55.1²). აქციონერთა საერთო კრების მოწვევის მოთხოვნით სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვამდე კი ჯერ დაცული უნდა იყოს კრების მოწვევისათვის გათვალისწინებული შიდასაზოგადოებრივი პროცედურა (მუხ.53.3⁴).

როგორც ვხედავთ, კანონი ამ შემთხვევაში თითქმის თანაბარ მდგომარეობაში აყენებს მცირე და დომინანტ აქციონერებს, ანუ თანაბრად აძლევს სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას მიუხედავად მათი აქციების ოდენობისა (გამონაკლისია ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევის შემთხვევა, როდესაც პირდაპირ არის მითითებული, თუ რამდენ აქციას უნდა ფლობდეს აქციონერი სარჩელის აღსაძრავად და დომინანტი აქციონერის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა), თუმცა ამ შემთხვევაში უკმაყოფილო აქციონერი, რომელსაც სასამართლოსადმი მიმართვა სურს, როგორც წესი, არის მცირე აქციონერი, რამდენადაც დომინანტ აქციონერს სრული სამართლებრივი შესაძლებლობა აქვს, ესა თუ ის შიდასაზოგადოებრივი კონფლიქტი თავისი ძალებით გადაწყვიტოს. აქვე გასათვალისწინებელია კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტიც, რომლის თანახმად, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაა, რომლის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღე-

ბა ხმების 50%-ზე მეტის უმრავლესობით. ამდენად, ასეთი სარჩელის აღძვრის უფლებაში მცირე აქციონერები, ძირითადად, კვლავ დომინანტ აქციონერებზე რჩებიან დამოკიდებული.

ბი ა ქირია

საკორპორაციო ღირებულების განხილვის წესი სასამართლოსა და კერძო არბიტრაჟში;

საკორპორაციო ღირებულების სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობა და გასჯალობა;

საკორპორაციო ღირებულებაზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა.

საკორპორაციო ღირებულების განხილვის წესი სასამართლოში

საკორპორაციო ღირებულების განხილვა სასამართლოში იწყება სარჩელის შეტანით, რომელიც უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლს და რომელშიც უნდა მიეთითოს:

- იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შედის სარჩელი განსახილველად;
- მოსარჩელისა და სასამართლოზე დაბარებული ნებისმიერი პირის მონაცემები და თუ წარმომადგენელს შეაქვს სარჩელი მისი დაზუსტებული მონაცემებიც (მისამართი, მათ შორის ალტერნატიული მისამართი, სასურველი დრო სასამართლოდან დოკუმენტაციის მიღებისა და ა.შ.);
- ღირებულების საგანი და სარჩელის ფასი, საჭიროების შემთხვევაში;
- ის ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;
- მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- მოსარჩელის მოთხოვნა და ის სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს.

საჭიროების შემთხვევაში უნდა მიუთითოს ასევე შუამდგომლობები, ანუ ის, რომ სასამართლომ დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებების წარმოდგენა სასამართლოში, რომელიც მასთან ინახება და რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს. სასამართლომ მისცეს მითითება შესაბამის ორგანოებს, რომ ისინი ადასტურებენ სარჩელში აღნიშნულ გარემოებებს და ა.შ.;

- დოკუმენტთა ნუსხა, რომელიც თან ერთვის სარჩელს;
- იმ შემთხვევაში, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი – მოსარჩელის იურიდიული ინტერესი;

აღიარებითი სარჩელი შეიძლება იყოს დადებითი (პოზიტიური) ან უარყოფითი (ნეგატიური) და იგი მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობების (უფლებების) არსებობის დადგენისაკენ. აღიარებითი სარჩელის გარდა არსებობს ასევე **მიკუთვნებითი ანუ აღსრულებითი სარჩელები** ანუ ისეთი სარჩელები, რომლითაც მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვს რაიმე მოქმედების შესრულებას ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავებას. არსებობს ასევე ე.წ. **გარდაქმნითი სარჩელები** – რომლებიც არსებული ურთიერთობის გარდაქმნისკენაა მიმართული.

სარჩელს თან უნდა ერთვოდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და სარჩელში მითითებული ყველა მტკიცებულება. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს არ შეუძლია საპატიო მიზეზით მტკიცებულებათა წარმოდგენა, მან ამის შესახებ უნდა მიუთითოს სარჩელში და მოითხოვოს სასამართლოში მათი წარდგენისთვის გონივრული ვადა.

ამდენად, ფაქტია, რომ სარჩელი არ არსებობს მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის გარეშე. სასამართლო ვალდებულია სარჩელი განიხილოს იმ მოთხოვნის ფარგლებში, რომელიც ჩამოყალიბებულია სარჩელში და იმ ფაქტების მიმართ, რომელიც მოსარჩელემ საფუძვლად დაუდო თავის მოთხოვნას.

საკორპორაციო დავეების განხილვისას მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება უნდა ამართლებდეს მოსარჩე-

ლის მოთხოვნას და ადასტურებდეს მისი უფლებების მოპასუხის მიერ დარღვევის ფაქტს. ანუ ეს გარემოებები ერთ მთლიანობაში უნდა შეადგენდეს მტკიცების საგანს.

აღსანიშნავია, რომ მტკიცების საგანი და სარჩელის საგანი საკორპორაციო დავების, ისევე, როგორც სხვა კატეგორიის საქმეების განხილვისას, ხშირ შემთხვევაში იდენტურია, რამდენადაც სარჩელის საგანი ესაა მოპასუხის მიმართ წაყენებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, რომელიც სასამართლოს (არბიტრაჟის) განსჯადია და რომელზეც სასამართლოს (არბიტრაჟს) გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება. მასთან, ე.ი. მტკიცების საგანთან მჭიდროდაა დაკავშირებული ასევე სარჩელის საფუძველი, რამდენადაც კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნით სარჩელში უნდა აღინიშნოს ის გარემოებები, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს.

მოსარჩელეს საკორპორაციო დავების შემთხვევაში არ შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ თავისი მოთხოვნის ჩამოყალიბებით. მოსარჩელემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ არ მიუთითოს იმ გარემოებებზე და ფაქტებზე, რომელთაც უშუალო შემხებლობა არა აქვთ დავის საგანთან და შესაბამისად, ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ გადაწყვეტილების მიღებაზე.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადების წარდგენისას ყველა ის მტკიცებულება, რაზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, აუცილებლად უნდა დაურთოს სარჩელს. თუ მოსარჩელე ვერ შეძლებს ამ მტკიცებულების წარმოდგენას, როგორც აღვნიშნეთ, მას მტკიცებულებათა წარდგენისათვის შეუძლია მოითხოვოს გონივრული ვადა.

მთავარზე უმთავრესი საკორპორაციო დავების განხილვისას სარჩელის წარდგენისას არის მოსარჩელის მოთხოვნა და ამ მოთხოვნის მიუთითებლობა წარმოადგენს სარჩელის ხარვეზს, თანმდევი სამართლებრივი შედეგებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIX თავით.

საკორპორაციო დავების განხილვისას მოსარჩელეს უფლება

აქვს შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი, მაგრამ ერთდროულად ორივე ელემენტის შეცვლა დაუშვებელია; რამდენადაც, სარჩელის ინდივიდუალიზირება დაფუძნებულია სარჩელის ელემენტებზე და სარჩელის ორივე ელემენტის – სარჩელის საგნისა თუ საფუძვლის შეცვლა გამოიწვევს არა სარჩელში ცვლილებების შეტანას, არამედ ახალი სარჩელის აღძვრას, რასაც არავითარი ცვლილება არ შეიძლება ეწოდოს.

სარჩელის ხელახალი შემოტანა (აღძვრა) უნდა მოხდეს აუცილებლად იმ პირობების გათვალისწინებით, რაზეც გვქონდა საუბარი და რაც იმპერატიულადაა განსაზღვრული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-179-ე მუხლებით.

სარჩელის სასამართლოში შეტანის შემდგომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკორპორაციო, არამედ ყველა კატეგორიის საქმეებისათვის, სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობები, რომლებიც ხასიათის მიხედვით შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი წინაპირობები, როგორც ამას უთითებდა პროფ. ა. კობახიძე¹.

გერმანული კანონმდებლობის მიხედვით პროცესუალური წინაპირობები სამ ჯგუფად იყოფა: ა) უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა; ბ) ქმედუნარიანობა და გ) სარჩელის საგნის ღირებულება².

ქართული კანონმდებლობის მიხედვით საკორპორაციო დავების განხილვისას პროცესუალური წინაპირობების დარღვევის გამო არა მხოლოდ მხარეთა შუამდგომლობით, ასევე თავისი ინიციატივითაც სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს საქმის წარმოება შემდეგ საფუძველთა გამო, თუ:

- დარღვეულია უწყებრივი ქვემდებარეობა და არა განსჯადობა, რამდენადაც უწყებრივი ქვემდებარეობით ჩანს საკორპორაციო დავა ექვემდებარება თუ არა სასამართლობას უწყებრივად;
- არ არსებობს დავის საგანი მხარეებს შორის;

1 ა. კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 294.

2 O. Jauernig, Zivilprozessrecht. München, 1993, s. 73.

- არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იგივე მხარეებს შორის იგივეობრივ დავის საგანზე და იმავე საფუძველით;
- უარი თქვა მოსარჩელემ სარჩელზე, რაც დისპოზიციურობის პრინციპის უშუალო არსიდან გამომდინარეობს, იგივე შეიძლება ითქვას მხარეთა მორიგებაზე;
- იურიდიული პირი, რომელიც საკორპორაციო დავის მხარედ გამოდის ლიკვიდირებულია, რამდენადაც იურიდიული პირის ლიკვიდაციისას უფლებამონაცველობა არ წარმოიშეება;
- მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება დავის კერძო არბიტრაჟისთვის გადაცემის შესახებ;

სასამართლოს, გარდა საქმის შეწყვეტისა, შეუძლია საკორპორაციო დავისას სარჩელი განუხილველად დატოვოს შემდეგ შემთხვევაში, თუ:

- იგი შეტანილია არა ქმედუნარიანი ან არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა და მოპასუხე თანახმაა წარმოდგენილი სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული;
- სასამართლო სხდომაზე არცერთი მხარე არ გამოცხადებულა;
- სასამართლო წარმოებაში იმავე მხარეებს შორის – იმავე საგნითა და იმავე საფუძველით არის საქმე;
- სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

სასამართლოს თავის შეხედულებით შეუძლია სარჩელი განუხილველად დატოვოს, თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში არასწორადაა მითითებული მისი ან მოპასუხის იურიდიული მისამართი.

საკორპორაციო დავების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება, როგორც აღვნიშნეთ, უნდა გამახვილდეს სარჩელის რეკვიზ-

იტებზე, რომლებიც თავისი კლასიფიკაციით შეიძლება მრავალგვარი იყოს, მაგრამ პროფ. თ. ლილუაშვილი აქცენტს აკეთებდა სავალდებულო და არასავალდებულო რეკვიზიტებზე³.

2007 წლის 28 დეკემბრის ცვლილებებით სამოქალაქო საპროცესიო კოდექსის მიხედვით, კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის მოთხოვნაზე, იგივე *დავის საგანზე* (სარჩელის საგანზე); რამდენადაც, სასამართლო სარჩელს განიხილავს იმ მოთხოვნის (დავის საგნის) ფარგლებში და გამოიტანს გადაწყვეტილებას იმ ფარგლებში დავის საგნიდან გამომდინარე, რაც მოსარჩელეს აქვს დაყენებული სასამართლოს წინაშე.

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელემ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, სრულად და ყოვლისმომცველად მოპასუხის წინაშე დააყენოს ის საკითხები, რამაც განაპირობა მისი უფლებების შელახვა; რამდენადაც, მხარეებს აქვთ თანაბარი უფლებები და ვალდებულებები კანონმდებლის მიერ მინიჭებული და ისინი სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობით, დაასაბთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ და გააქარწყლონ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები; მხარეები მტკიცების ტვირთის არსიდან გამომდინარე, თვითონ განსაზღვრავენ იმ გარემოებებს, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს, თუ შესაგებელს. ე.ი. სარჩელში მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებათა ფარგლებს გარეთ გასვლა სასამართლოს შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, არ ხელეწიფება.

იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე თავის მოთხოვნას სრულყოფილად ვერ ჩამოაყალიბებს – ეს იქნება მისი მხრიდან დაშვებული ხარვეზი, რომლის გამოსასწორებლად, ხარვეზის გამოსწორების მიზნით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს გონივრულ ვადას მის გამოსასწორებლად.

მოსარჩელის მხრიდან, ისევე, როგორც მოპასუხის მხრიდან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებე-

3 თ. ლილუაშვილი – სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 296.

ბზე, რაზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს.

სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ სარჩელში მითითებულ ფაქტებს.

იმ შემთხვევაში, თუ სასარჩელო განცხადებაში ასეთი მითითება არ არის, სასამართლო, ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, განჩინებით მოსარჩელეს დაუნიშნავს გონივრულ ვადას მათ გამოსასწორებლად, რამდენადაც მტკიცებულებათა მიუთითებლობა ეს არის ხარვეზი, რომლის გამოსწორების პრეროგატივა მხოლოდ მხარეს აკისრია.

საკორპორაციო დავების განხილვის დროს, სასამართლოს მიერ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულებისათვის, სავარაუდო დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია გავითვალისწინოთ სარჩელის უზრუნველყოფის პროცესუალური მნიშვნელობა, რაშიც მოიაზრება მოსაპუხისთვის მისი ქონების ან სხვა სახსრების განკარგვის უფლების შეზღუდვა.

სასამართლოში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანის უფლება აქვს როგორც მოსარჩელეს, ასევე მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შემდეგია საკორპორაციო დავებთან დაკავშირებით:

- ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე *ყადაღის დადება*, რომელიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;
- *გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა* მოპასუხისთვის;
- *სასამართლო აღსრულებისათვის სექვესტრის სახით მფლობელობაში ნივთის გადაცემა* მოპასუხის მიერ;
- *მოპასუხის სასარგებლოდ ქონების გადაცემის ან რაიმე ვალდებულების შესრულების აკრძალვა* სხვა პირებისათვის;
- *ქონების რეალიზაციის შეჩერება* ყადაღისგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში;

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის *სადავო აქტის მოქმედების შეჩერება*.

მოსარჩელე, ანუ მესამე პირი, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა და რომელიც განცხადებით მოითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა გააჩნდეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, რომ სადავო ქონება აღრიცხულია მოპასუხის სახელზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ განჩინებით მისგან უნდა მოითხოვოს ხარვეზის შევსება, ისევე, როგორც ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში ხარვეზის შევსება.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს სასამართლოსადმი:

- კონკრეტულად იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებას, რომელთა მიუღებლობა გააძნელებს (შეაფერხებს) ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას;
- მოპასუხის ფულად სახსრებზე და ქონებაზე მითითებას.

სარჩელის უზრუნველყოფის დროს, ისევე, როგორც საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპსა თუ სტადიაზე, მტკიცების ტვირთი აწევს მოსარჩელეს, რომელმაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, უნდა დაამტკიცოს სასამართლოს წინაშე ის გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებს და ეს ყველაფერი უნდა აისახოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში. აღნიშნული სახის განცხადება მოსარჩელის მიერ შეიძლება შეტანილი იქნეს ასევე სარჩელის აღძვრამდე.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას, მოსარჩელემ 10-დღიან ვადაში უნდა უზრუნველყოს სარჩელის შემოტანა სასამართლოში, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოიტანს

განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიების გაუქმების შესახებ.

განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განიხილავს განცხადების შეტანიდან ერთდღიან ვადაში მოპასუხისათვის შეუტყობინებლად.

მას შემდეგ, რაც სასამართლო ერთდღიან ვადაში გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ფაქტია, რომ შეიზღუდება მოპასუხის უფლებამოსილება თავისი ქონებისა თუ ფულადი სახსრების განკარგვაზე, რამაც მას შეიძლება ზიანი მიიყენოს. ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეით დგას საკორპორაციო დავების განხილვის დროს.

მოპასუხისათვის სავარაუდო ზიანის ანაზღაურების პროცესუალური ხერხია საპროცესო უზრუნველყოფა, რომელიც დარეგულირებულია საპროცესო კოდექსის VI თავით.

სასამართლომ, კონკრეტულ შემთხვევაში, თუ დააკმაყოფილებს მოსარჩელის ან მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით, მხოლოდ მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე უნდა განახორციელოს მოსარჩელის (მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით) ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანა, რაც შესაბამისად გარანტიის უზრუნველყოფა სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.

სასამართლო უფლებამოსილია დაუშვას უზრუნველყოფის ისეთი საშუალებაც კი, როგორცაა საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული თავდებობა.

იმ შემთხვევაში, თუ მოიხსნება საფუძველი, რომლის გამოც განხორციელდა უზრუნველყოფა, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა ასეთი უზრუნველყოფა, ვალდებულია უზრუნველყოფის გარანტია დააბრუნოს.

ამდენად, დასკვნა ერთია: სარჩელის ინტერესების დაცვა

უზრუნველყოფილია სარჩელის უზრუნველყოფით, ხოლო ზიანის ანაზღაურებად მოპასუხის ინტერესების დაცვაა უზრუნველყოფილი.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო სასარჩელო განცხადებას წარმოებაში მიიღებს, მან სასარჩელო განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად უნდა გადაუგზავნოს მოპასუხე მხარეს.

მოპასუხე, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე, უფლებამოსილია მოსარჩელის წინააღმდეგ აღძრას შესაგებელი სარჩელი თავდაპირველ სარჩელთან ერთად განსახილველად.

შეგებებული სარჩელის აღძვრა საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს სასამართლო პაექრობის დაწყებამდე.

სასამართლო შეგებებულ სარჩელს მიიღებს შემდეგ შემთხვევებში, თუ:

- შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;
- მისი დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;
- პირვანდელ სარჩელსა და მას შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვა უზრუნველყოფს დავის სწრაფ და მართებულად გადაწყვეტას.

მოპასუხე, შეგებებული სარჩელის გარდა, რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებით სარჩელის მსგავსია და ისიც უნდა პასუხობდეს სარჩელის მსგავსად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-179 მუხლების მოთხოვნებს, სარგებლობს მოსარჩელისადმი შესაგებლის წარდგენის უფლებით.

აღნიშნული უფლების რეალიზაცია მოპასუხის მხრიდან საქმის მომზადების მიზნით ხორციელდება. მოსამართლე მოპასუხეს გადაუგზავნის რა სარჩელს და თანდართულ დოკუმენტაციას, მოპა-

სუხეს დაუნიშნავს ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს, რათა მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე. მოპასუხემ ამ ვადაში უნდა წარმოადგინოს თავისი პასუხი, რომელშიც მითითებული იქნება:

- ცნობს თუ არა სარჩელს და თუ ცნობს სარჩელს, იგი ცნობს სარჩელს მთლიანად თუ ნაწილობრივ;
- სარჩელის ნაწილობრივ ცნობისას მოპასუხემ უნდა დააკონკრეტოს, რომელ მოთხოვნას ცნობს იგი და რომელს არა;
- იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც მოპასუხე ამყარებს თავის შესაგებელს სარჩელის წინააღმდეგ;
- მიუთითოს იმ კონკრეტულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს ადასტურებენ.

საკორპორაციო დაგების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ისევე, როგორც სხვა კატეგორიის საქმეებზე, იმ ფაქტზე, რომ მოპასუხის მიერ მითითებული გარემოებებით უნდა დასტურდებოდეს მისი შესაგებლის მართებულობა და არარსებობა მოსარჩელის უფლების დარღვევის ფაქტისა. ე.ი. შესაგებელი ისეთ ფაქტებს უნდა დაეფუძნოს, რომლებსაც კანონი სარჩელის განხილვაზე უარის თქმას, პროცესის შეწყვეტას, სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას და ა.შ. უკავშირებს.

მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით შესაგებელში უნდა აისახოს სრულყოფილად და იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაცაა იგი სარჩელში გადმოცემული.

მოპასუხემ შესაგებლის წარდგენისას უნდა გაითვალისწინოს, რომ:

- არ გააკეთოს მითითება ისეთ გარემოებებზე, რომელსაც დავის საგანთან პირდაპირი შეხება არა აქვს და დავის გადაწყვეტაზე არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ;
- ყველა მტკიცებულება, რაც მას საჭიროდ მიაჩნია, დაურთოს შესაგებელს.

ამასთანავე მოპასუხემ უნდა გაითვალისწინოს, რომ საპატიო მიზეზის გამო თუ არ შეუძლია შესაგებელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ აღნიშნოს შესაგებელში, რათა შემდგომში არ წაერთვას აღნიშნულ მტკიცებულებათა წარდგენის უფლება;

- მტკიცებულებათა წარდგენისთვის მოითხოვოს გონივრული ვადა;

მოპასუხემ აღნიშნულის გარდა უნდა აღნიშნოს:

- აპირებს თუ არა შესაგებელი სარჩელის წარდგენას;
- ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას.

მოპასუხემ ასევე ცალსახად უნდა აღნიშნოს, აქვს თუ არა შუამდგომლობები სასამართლოს წინაშე და თუ აქვს რაში მდგომარეობს იგი?

- ხომ არ აქვს აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ;
- ვინ უნდა ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;
- რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული;
- რა სახის ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს;
- ვინ შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალისტად;
- ხომ არ სურს მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერება და ა.შ.

ამდენად, თეორიულ ასპექტში, იმისდა მიხედვით, თუ რა შედე-

გის მიღწევა სურს მოპასუხეს, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ მატერიალური და პროცესუალური შესაგებელი;

პროფ. თ. ლილუაშვილის მოსაზრებით, პროცესუალური შესაგებელი ესაა მოპასუხის მიერ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, რომლებსაც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები უკავშირებენ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარისთქმას, საქმის წარმოების შეწყვეტას, სარჩელის განუხილველად დატოვებას ან კიდევ, საქმის წარმოების დროებით შეჩერებას⁴.

რაც შეეხება მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებელს, ის შეიძლება დაჯგუფდეს იმის მიხედვით, თუ რა შედეგის მიღწევა შეიძლება; ამ შედეგის მიხედვით ის შეიძლება იყოს უფლებადამაბრკოლებელი, უფლებაგამქარწყლებელი ან უფლებამემწყვეტი შესაგებელი.


აღნიშნული პროცედურის შემდეგ ხდება საქმის წინასწარი მომზადება ზეპირი განხილვისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული და ჩაითვალა, რომ საქმე სასამართლოს განსახილველია მოსამართლე დაიწყებს საქმის მომზადებას, რათა რაც შეიძლება სწრაფად და ოპერატიულად და ეს განსაკუთრებით საკორპორაციო დავების განხილვისას უნდა მოხდეს, დაჩქარდეს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვა.

როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტში სასამართლოში საქმის განხილვა I ინსტანციით მოიცავს ორ სტადიას (ეტაპს). პირველი ეტაპი (სტადია) ესაა – საქმის მომზადება მთავარი სხდომისათვის განსახილველად ე.წ. წერილობითი შეჯიბრი და მეორე ეტაპი (სტადია) – საქმის განხილვა მთავარ სხდომაზე ე.წ. ზეპირი შეჯიბრი.

საქმის განხილვისას ორივე სტადია პრაქტიკულად შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

4 თ. ლილუაშვილი – სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005. გვ. 309.



სსკ 207 მუხლის საფუძველზე
ინიშნება მთავარი სხდომა;
საქმის განხილვის II სტაფია (მტკი)
მ.წ. ზემოთი უმჯობესი

სასამართლო მას შემდეგ, რაც მხარეებს მისცემს საშუალებას, რომ თავიანთი მოსაზრებანი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით გაცვალონ სარჩელისა (სსსკ 178-179 მმ შედგენილი) და შესაგებლის (სსსკ 201 მ შედგენილი) ან შეგებებული სარჩელის (სსსკ 188-189 მ.მ. შედგენილი) სახით თვითვე საქმის მომზადების მიზნით იწყებს შემდეგ მოქმედებებს:

- ავალებს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ სასამართლოში წარდგენილი წერილობითი მასალები;
- ავალებს მხარეებს წარმოადგინონ ის მტკიცებულებები და ნივთები, რომელიც აუცილებელია საქმის განხილვისათვის;
- მხარეთა თხოვნით გამოითხოვს იმ მტკიცებულებებს, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს;

- გადაწყვეტს საკითხს, საჭიროა თუ არა საქმეში თანამონაწილეების ან მესამე პირების დაშვება;
- შეამოწმებს მტკიცებულებებს;
- ჩაატარებს ადგილზე დათვალიერებას;
- გასცემს სასამართლო დავალებებს;
- მოახდენს სარჩელის უზრუნველყოფას მოსარჩელის განცხადების საფუძველზე და საპროცესო უზრუნველყოფას;
- დანიშნავს ექსპერტიზას;
- გადაწყვეტს ექსპერტიზა და სპეციალისტის მოწვევის საკითხს; სპეციალისტი შეიძლება შესაბამისი დაწესებულებიდან იქნას მოწვეული. ამ დროს დაწესებულების ხელმძღვანელი გასცემს განკარგულებას, თუ ვინ გაიგზავნოს სასამართლოში სპეციალისტად;
- მთავარ სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მისაღებად დაიბარებს მოწმეებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს.

საქმის მომზადების I სტადიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მტკიცების საგნის განსაზღვრის პრობლემატიკას. უდავოა, რომ მხარეები თვითონ განსაზღვრავენ მათ მოთხოვნებს, თუ რომელი ფაქტი უნდა დაედოს და რომელი მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს. ანუ მტკიცების ტვირთი თანაბარზომიერადაა განაწილებული მხარეთა შორის, რამდენადაც როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე მხარე უშუალოდ ამტკიცებს იმ გარემოებებს, რაზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს თუ შესაგებელს და არავითარ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს.

ამ მხრივ საინტერესოა: სასამართლომ უნდა მიიღოს (დაუშვას) ყველა ის მტკიცებულება, რომლებიც მხარეების მიერ იქნა წარმოდგენილი? აქ პასუხი ერთია: თუ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებას შემხებლობა არა აქვს განსახილველ საქმესთან, იგი დაშვებული არ უნდა იქნეს.

რაც შეეხება საკითხს, სასამართლოს შეუძლია თუ არა თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ, პასუხი უარყოფითია, რამ-

დენადაც საქმის განხილვა დაფუძნებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რომლის მისედვითაც მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს და რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ასევე უდავოა, რომ თუ სასამართლო თავისი ინიციატივით შეიტანს მტკიცების საგანში ფაქტებს, დაირღვევა დისპონციურობის პრინციპიც, რამდენადაც მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

ამდენად, საქმის მომზადების სტადია (ეტაპი) ეს არის მხარეთა შორის ე.წ. წერილობითი შეჯიბრი, სადაც მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების დაზუსტება, დაკონკრეტება, შევსება ხდება. ამავე სტადიაზე ხორციელდება ფაქტების სამართლებრივი მნიშვნელობისა და მტკიცების საგნის განსაზღვრა. სასამართლოს მიერ, რასაც შემდგომში საქმის ზეპირი განხილვის დროს, მთავარ სასამართლო სხდომაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რათა თავისი შინაგანი რწმენით, საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე მიიღოს სასამართლომ გადაწყვეტილება (განჩინება).

საქმის მომზადების სტადიაზევე უნდა გაირკვას არასათანადო მხარის შეცვლის საკითხი, რათა საქმის განხილვის მთავარი სხდომა წარიმართოს ყოველგვარი შეფერხების გარეშე.

საქმის განხილვის I სტადიაზე მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა იმ შემთხვევაში, თუ საქმეში მხარეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები იძლევა საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი, ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე ან თუ მოსამართლის აზრით საქმის სასამართლო განხილვისათვის სათანადო მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს. ამ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5-დღიან ვადაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, რაზეც მხარეებს 3 დღეში უნდა აცნობოს.

მხარეებთან შეთანხმებით სასამართლოს შეუძლია მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში.

როგორც აღვნიშნეთ, საქმის მომზადების სტადიაზევე სასამართლო უფლებამოსილია მოახდინოს არასათანადო მოსარჩელის შეცვლა სათანადო მოსარჩელით იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება: სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნის უფლება. სასამართლო ასეთ შემთხვევაში მოსარჩელის თანხმობით შეცვლის თავდაპირველ მოსარჩელეს (არასათანადო მხარეს), სათანადო მოსარჩელით საქმის შეწყვეტის გარეშე;

იმ შემთხვევაში, თუ სათანადო მოსარჩელე, მიუხედავად თავდაპირველი მოსარჩელის თანხმობისა, არ არის თანახმა შეცვალოს არასათანადო მოსარჩელე, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას იმ მოტივაციით, რომ არასათანადო მხარემ მის მიერ აღძრულ სარჩელზე უარი თქვა;

იმ შემთხვევაში, თუ არასათანადო მოსარჩელე თანახმა არაა სათანადო მოსარჩელით შეიცვალოს, სათანადო მოსარჩელე საქმეში შეიძლება ჩაებას მესამე პირად და რომელიც განაცხადებს დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას დავის საგანზე, რასაც სასამართლო აცნობებს ამ პირს. თუ ეს პირი თანახმაა საქმეში მესამე პირად ჩაბმაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო მოსარჩელეს სარჩელზე მისი დაუსაბუთებლობის გამო, ხოლო მესამე პირად ჩაბმული სათანადო მოსარჩელის მიმართ სარჩელი დაკმაყოფილდება საერთო საფუძვლით;

იმ შემთხვევისათვის, თუ საქმეში მესამე პირად ნაგარაუდევო სათანადო მოსარჩელე უარს იტყვის ჩაებას ამ საქმეში, სასამართლო არასათანადო მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის;

საქმის მომზადების სტადიაზევე სასამართლო უფლებამოსილია მოახდინოს არასათანადო მოპასუხის შეცვლა, კერძოდ: თუ სასამართლო საქმის განხილვისას დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც წარდგენილ სარჩელზე პა-

სუხი უნდა გასცეს, სასამართლოს მოსარჩელის თანხმობით შეუძლია თავდაპირველი მოპასუხე შეცვალოს სათანადო მოპასუხით;

იმ შემთხვევისათვის, თუ მოსარჩელე თანახმა არ არის თავდაპირველი მოპასუხე რომ სათანადო მოპასუხით შეცვალოს, სასამართლო მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს ეტყვის თავისი გადაწყვეტილებით.

საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლო გადაწყვეტს მხარეებთან შეთანხმებით თანამონაწილეობის საკითხს, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ:

- სარჩელის საგანი საერთო უფლებას წარმოადგენს;
- სარჩელის ერთი და იმავე საფუძველიდან გამომდინარეობს სასარჩელო მოთხოვნები;
- სასარჩელო მოთხოვნები, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი – ერთგვაროვანია.

მიუხედავად აღნიშნულისა, თითოეული მხარე (მოსარჩელე ან მოპასუხე) მეორე მხარის მიმართ სასამართლო პროცესზე დამოუკიდებლად გამოდის.

საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე (ეტაპზე) ანუ ე.წ. წერილობითი შეჯიბრისას მოსარჩელე უფლებამოსილია შეცვალოს *სარჩელის საგანი ან საფუძველი, შეაქოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე*. აღნიშნულის შესახებ სასამართლო ვალდებულია მოპასუხეს აცნობოს, რამდენადაც სამოქალაქო და მათ შორის საკორპორაციო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის საფუძველზე მიმდინარეობს. მხარეები თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით სარგებლობენ, პირველ ყოვლისა, ისინი უფლებამოსილი არიან იცოდნენ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი არა მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მონაცემები, არამედ ის საშუალებები, რითაც მოსარჩელე აპირებს მის წინააღმდეგ საქმის წარმოებას.

მიუხედავად ამისა, უკვე მოპასუხის თანხმობით, მოსარჩელეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგაც შეუძლია სარჩელის საგნის ან საფუძვლის შეცვლა. ასეთ შემთხვევაში, მოპასუხეს, პროცესისათვის სათანადოდ მომზადების მიზნით, შეუძლია სასამართლოს მოსთხოვოს სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადება.

ზემოთაღნიშნულის მიუხედავად, ცალსახად გვინდა განვაცხადოთ: ისევე, როგორც საკორპორაციო დავების განხილვისას, სხვა კატეგორიის საქმეების განხილვის დროსაც, მოსარჩელის მიერ სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება თუ დამატება, ასევე სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირება ანდა სადავო ნივთის ღირებულების ანაზღაურება თუ მოსარჩელისთვის ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება.

მოსარჩელეს, საქმის მომზადების სტადიაზე, ისევე, როგორც საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი, ისე, რომ უარი არ თქვას თავის სასარჩელო მოთხოვნაზე.

სარჩელის გამოხმობა დასაშვებია მოპასუხის თანხმობით:

- მთავარ სასამართლო სხდომაზე;
- სააპელაციო წესით საქმის განხილვისას;
- საკასაციო წესით საქმის განხილვისას.

იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე თანახმა არ არის მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობისა, სასამართლომ საქმე მაინც უნდა განიხილოს და გამოიტანოს გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ თუ სასამართლო მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ დააკმაყოფილებს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ.

სარჩელის დაბრუნებისას მოსარჩელეს დაუბრუნდება შესაბამისი ინსტანციიდან გამოთხოვილი სარჩელისათვის გადახდილი

ბაჟის ოდენობა, მასვე დაეკისრება იმ სასამართლო ხარჯების გადახდა, რაც მოპასუხის მიერ იქნა გაწეული.

იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიერ სარჩელი გამოხმობილი იქნა სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციების სასამართლოებიდან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები გაუქმდება.

მანამ უშუალოდ შევეხებოდეთ საკორპორაციო დაეების განხილვის წესს სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მანამდე გვინდა შევეხოთ წარმომადგენლობის ინსტიტუტსაც, რამდენადაც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ კატეგორიის საქმეების განხილვის დროს.

სასამართლოში, საკორპორაციო დაეების განხილვისას, იურიდიულ პირებს – საკორპორაციო სამართლის სუბიექტებს საქმის წარმოება შეუძლიათ იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით (დებულებით) შეუძლია იმოქმედოს მისი სახელით.

მხარეებს საკორპორაციო დაეების განხილვისას საქმის წარმოება შეუძლიათ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით, თუმცა წარმომადგენლის მეშვეობით საქმის წარმოება მხარეებს უფლებას არ ართმევს თვითონვე მიიღონ მონაწილეობა საქმეში.

წარმომადგენელს მარწმუნებლის სახელით სასამართლოში, როგორც საკორპორაციო დაეების, ასევე სხვა კატეგორიის საქმეების განხილვისას, შეუძლიათ ყველა საპროცესო მოქმედების შესრულება, გარდა:

- სარჩელის აღძვრისა;
- არბიტრაჟისთვის საქმის გადაცემისა;
- სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა;
- სარჩელის ცნობისა;
- სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა;
- სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა;
- სააღსრულებლო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა;

- მიკუთვნებული ფულის ან ქონების მიღებისა.

წარმომადგენლისათვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებისათვის მარწმუნებელმა უნდა აღნიშნოს სპეციალურად მისთვის გაცემულ მინდობილობაში, რომ თავისი უფლებამოსილება ამ კუთხით გადაეცა წარმომადგენელს.

ამასთანავე, მარწმუნებელს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უფლება აქვს გააუქმოს მის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, ისევე, როგორც წარმომადგენელს უფლება აქვს უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, ოღონდ ამის შესახებ მან უნდა აცნობოს როგორც სასამართლოს, ასევე მის მარწმუნებელს, ისევე, როგორც მარწმუნებელმა უნდა აცნობოს წარმომადგენელს მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

აღნიშვნის ღირსია, რომ მხარის წინადადებით წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა საქმის წარმოების შეჩერების თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს არ წარმოადგენს.

საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის ბარეში

1997 წლის 14 ნოემბერს ძალაში შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლის მე-5 მუხლის თანახმად მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე. საინტერესოა, თუ ვინ იგულისხმება პირებში, რომელთა უფლებების თანასწორობაზეც არის საუბარი აღნიშნულ მუხლში. როგორც აღვნიშნეთ, რა თქმა უნდა, ასეთ პირებში მოიაზრებიან კონკრეტული სამოქალაქო დავის განხილვაში ჩართული პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები. თუმცა საკორპორაციო დავისას საქმე გვაქვს იურიდიულ პირებთან. საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლში, გარდა კანონის წინაშე თანასწორობისა, განმტ-

კიციბულია ასევე სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობს, ჯერ ერთი იმას, რომ მხარებს სამოქალაქო პროცესში უფლება აქვთ მოუსმინონ, თუ რას ამბობენ მათ წინააღმდეგ, მეორეს მხრივ, მათ უფლება აქვთ თვითონ იქნან მოსმენილნი იმის შესახებ, რისი თქმაც უნდათ როგორც მოწინააღმდეგე მხარის მისამართით, ისე თავის დასაცავად. მხარეთა სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპი ნიშნავს აგრეთვე იმასაც, რომ საქმის განხილვის პროცესში ორივე მხარეს ჰქონდეს ერთნაირი საპროცესო უფლებები თავიანთი მოთხოვნების თუ შესაგებლის დასასაბუთებლად.

სწორედ, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპთან ჰირდაპირ კავშირშია საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს: სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. საპროცესო კანონმდებლობა უფლებებისა და მოთხოვნების დაცვის თვალსაზრისით მხარეებს საშუალებას აძლევს თავიანთი შესაძლებლობების რეალიზაცია განახორციელონ მტკიცებულებათა წარდგენის, ახსნა-განმარტებების მიცემის, მოწმეთა ჩვენებების, ექსპერტიზის დასკვნების და სხვა საპროცესო საშუალებების გზით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მხარის იმ უფლებების დაცვა, რაც გულისხმობს პრინციპს – იყოს მოსმენილი.

გერმანული კანონმდებლობით აღნიშნული პრინციპი მნიშვნელოვანი და საკონსტიტუციო დონეზე აყვანილი დებულებაა⁵.

გერმანული კანონმდებლობით, სასამართლოს არ შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს ისე, რომ მხარეებს არ მისცეს საშუალება გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები. აღნიშნული პრინციპის

⁵ გერმანიის კონსტიტუციის 103-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება იყოს მოსმენილი სასამართლოში.

დარღვევა გერმანიის სამართალწარმოებაში კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, ეს გარემოება გერმანიის კონსტიტუციის 93-ე მუხლისა და „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის 90-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება საკონსტიტუციო სარჩელით მიმართვის საფუძველი გახდეს⁶.

როგორც პროფესორი ა. დავთიანი აღნიშნავს, გერმანიის კანონმდებლობის ანალიზი საფუძველს იძლევა, რომ პრინციპი – იყო მოსმენილი, მდგომარეობს იმაში, რომ საქმის გარემოებათა დასადგენად სასამართლო ვალდებულია ურთიერთობა დაამყაროს მხარეებთან, მოისმინოს მათი განმარტება წარდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. აღნიშნული პრინციპი გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში პირდაპირ დაფიქსირებული არაა, მაგრამ იგულისხმება სამართალწარმოების ძირითად წესებში, რაც დაკონკრეტებულია კოდექსის სხვადასხვა მუხლებში⁷.

საქართველოს ახალმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა, განსაკუთრებით მასში განხორციელებულმა უახლესმა ცვლილებებმა, სასამართლოში საქმის განხილვის არსებითად ახალი ფორმა დაამკვიდრა ქართულ პროცესუალურ სამართალში, რომელსაც ეწოდა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე. კერძოდ, ამ ფორმით საქმის განხილვის უფლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილში აისახა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს⁸.

როგორც ამ ნორმის შინაარსიდან ირკვევა, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის უფლება საპროცესო კოდექსის 1997

6 Гражданский процесс зарубежных стран, А. Г. Давтян, Москва, 2009 г.

7 Гражданский процесс зарубежных стран, А. Г. Давтян, Москва, 2009 г.

8 აღნიშნულის მუხლის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ საქმე განხილვორდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც გვექონდა პატივი მონაწილეობა მიგვეღო, როგორც სპეციალისტს და გამოვეუქვა ჩენი მხარდაჭერა აღნიშნული მუხლის დეფინიციისადმი (გ. ქ.).

წლის რედაქციით მიეცა მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას.

განსახილველ თემაზე მსჯელობისას მიმაჩნია, რომ ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, თუ რას ნიშნავს საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე. თვით კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი გვეუბნება, რომ საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. აღნიშნული ნორმის დეფინიცია გულისხმობს საქმის არსებითად განხილვას და ამ განხილვის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანას. ამ საკითხის დეტალიზირება საჭიროა იმისათვის, რომ ერთმანეთისგან გაემიჯნოთ 408-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 401-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები. ეს უკანასკნელი ნორმა ითვალისწინებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტას ზეპირი განხილვის გარეშე, რაც დაკავშირებულია საპროცესო კოდექსის 396-ე და 391-ე მუხლებით გათვალისწინებული საკითხების გარკვევასთან. თუმცა 401-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ ზღუდავს სასამართლოს, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად დაინიშნოს სხდომა და მოიწვიოს მხარეები. მაგალითად, საქმის მასალებიდან არ დგინდება, თუ როდის ჩაბარდა კასატორს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც თავის მხრივ საჭიროა იმის გასარკვევად კანონით დადგენილ ვადაშია თუ არა შეტანილი საკასაციო საჩივარი. ასეთ და მსგავს შემთხვევებში, საკასაციო სასამართლომ შეიძლება დანიშნოს ზეპირი განხილვა საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად.

ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვაში არ იგულისხმება, რომ სასამართლოს მიერ არ ხდება საქმის მასალების შესწავლა. როგორც ვიცით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია, ხოლო ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკა-

საციო სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედარება). ამავე კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი.

დასახელებული ნორმები განსაზღვრავს და ხაზს უსვამს საკასაციო სასამართლოს ფუნქციას და უფლებამოსილების ფარგლებს. კერძოდ, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილი არ არის მიიღოს შეგებებული სარჩელი, იმჯელოს შეცვლილ, გადიდებულ დავის საგანზე ან ხარჯების განსაზღვრაზე. საკასაციო სასამართლოს მოქმედების ფარგლების ამგვარი შეზღუდვა გამოწვეულია იმით, რომ იგი წარმოადგენს საბოლოო ინსტანციას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივ შეფასებას აძლევს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და არ ადგენს ახალ ფაქტობრივ გარემოებებს. ამრიგად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ იურიდიულ და არა ფაქტობრივ მხარეს, გარდა იშვიათი და კანონში პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა. ამასთან, საკასაციო სასამართლო ვალდებულია წინასწარ აცნობოს მხარეებს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ. შეტყობინება კი მხარეებს უნდა გაეგზავნოთ საპროცესო კოდექსის 70-78 მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს სწორედ ამგვარი, გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი შეფასების ფუნქციით აღჭურვის გამო 1997 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა მას მიანიჭა უფლება საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რაშიც იგულისხმება საქმის განხილვა მხარეთა დამატებითი ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საქმის მასალებში უკვე არსებული განმარტებებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე.

ზოგჯერ ეჭვს არ იწვევს, რომ გადაწყვეტილება მართლაც კანონის დარღვევითაა გამოტანილი, ხოლო ზოგჯერ ასევე არა-

ვითარ ეჭვს არ იწვევს, რომ გადაწყვეტილება მიღებულია კანონის მოთხოვნათა ზუსტი შესაბამისობით. შეიძლება ასეთ ვითარებაში მართლაც არ იყოს საჭირო მხარეთა გამოძახება და მათი მონაწილეობით საქმის ზეპირი განხილვა. მაგრამ როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების, იურიდიული მხარის, ანუ სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმება დაკავშირებულია საქმის მასალების, საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზთან, ან კასატორის მიერ წარმოდგენილი დამატებითი წერილობითი მასალები მიუთითებენ ისეთ საპროცესო დარღვევებზე, რომლებსაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ გასაჩივრებული გადაწყვეტილების, როგორც ფაქტობრივ, ისე მის იურიდიულ დასაბუთებულობაზე და სხვა, აგრეთვე როდესაც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და გამოტანილ იქნეს ახალი გადაწყვეტილება მისი ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნების გარეშე, ასეთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო და მიზანშეწონილი იყოს მხარეთა მონაწილეობით საქმის ზეპირი განხილვის დანიშვნა.

2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილებები, კერძოდ, 207-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად მხარეთა თანხმობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე სასამართლომ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს.

კოდექსს დაემატა ასევე 376¹ მუხლი, რომლის თანახმად თუ სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თარიღის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ მისი ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას, მაგრამ აპელანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები ან წარმოდგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუშვებელი ფაქტები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მხარეთა წერილობითი თანხმობით განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს.

როგორც ვხედავთ, 1997 წლის საპროცესო კოდექსის მიერ შემოტანილი სიახლე – საქმის განხილვის ფორმა ზეპირი მოსმენის გარეშე არა თუ ანტიკონსტიტუციური, პირიქით, კანონშესაბამისი და პრაქტიკულ სასამართლო საქმისწარმოებაში საჭირო ინსტიტუტია, რისი დასტურიც ზემოთ მოყვანილი საკანონმდებლო ცვლილებებია. უფრო მეტიც, საქმის განხილვის ეს ფორმა გათვალისწინებული იქნა სააპელაციო და თვით პირველი ინსტანციის სასამართლოშიც კი, თუმცა ამ წესით ამ სასამართლოებში საქმის განხილვისათვის კანონი აწესებს გარკვეულ მოთხოვნებსა და აუცილებელ პირობებს.

2007 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა 232¹ მუხლი, რომლის თანახმად მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხების გადაწყვეტა ურთიერთშეთანხმებით ვერ ხერხდება, დაინტერესებული მხარე თავისი უფლებების დასაცავად მიმართავს სასამართლოს. საქმეში მონაწილე მხარეებს გააჩნიათ კანონით გათვალისწინებული გარკვეული საპროცესო უფლებები, მაგრამ ამასთან ერთად მათ აკისრიათ საპროცესო ვალდებულებები.

ბები. ერთ-ერთი ასეთი ვალდებულებაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი, რომლის მე-ნ ნაწილის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია, თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისთვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე მუხლის მე-7 ნაწილით სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ საქმეში მონაწილე ნებისმიერი პირი, ვალდებულია პატივი სცეს სასამართლოს და შეასრულოს მისი დავალება, ხოლო ასეთი დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში მის მიმართ გატარებული იქნება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, შესაგებლის წარუდგენლობისას კანონით გათვალისწინებული ღონისძიება არის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

პირს, რომელსაც სასამართლო ორგანო უგზავნის სარჩელს, უწყებას ან ნებისმიერ სხვა დოკუმენტს, ფაქტია, რომ მის მიმართ დაწყებულია გარკვეული სახის იძულებითი პროცესი დაკავშირებული მის უფლებებთან და მოვალეობებთან. აქედან გამომდინარე, მას უკვე გააჩნია ინტერესი თავისი პოზიციების დასაცავად და თუ მას ასეთი ინტერესი გააჩნია, იგი რა თქმა უნდა, შეეცდება თავისი უფლებების დაცვას სასამართლოში შესაგებლის ან შეგებებული სარჩელის შეტანის გზით, მის მიმართ წაყენებული მოთხოვნის შესახებ, რაზეც წინა თავში გვქონდა საუბარი. აღსანიშნავია, რომ შეიძლება არსებობდეს საპატიო მიზეზები, რამაც შესაძლოა მოპასუხეს ხელი შეუშალოს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში წარადგინოს თავისი შესაგებელი, პასუხი ან თუნდაც შეგებებული სარჩელი, მაგრამ მან ასეთი საპატიო მიზეზების შესახებ სასამართლოს ან წინასწარ უნდა აცნობოს, ანდა შემდგომში დაადა-

სტუროს უტყუარად მათი არსებობა. ამ შემთხვევაში მთავარია გაირკვეს, აქვს თუ არა მოპასუხეს ინტერესი სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები. თუ ასეთი ინტერესი მას არ გააჩნია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ეთანხმება მის მიმართ წაყენებულ სასარჩელო მოთხოვნას და ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უფლება წარმოეშვა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხლოს დაეა და გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

გვინდა აღვნიშნოთ: დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო საქმეს არ იხილავს არსებითად და ამოწმებს მხოლოდ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს თუ არა სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო თუ არ ამართლებს, მაშინ ინიშნება მთავარი სხდომა, ანუ საქმე განიხილება მხარეთა მონაწილეობით.

გამომდინარე აქედან, ფაქტია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მეორე ნაწილში საუბარია ზეპირი მოსმენის გარეშე ისეთი გადაწყვეტილების გამოტანაზე, როდესაც საქმე წყდება არსებითად, წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების და გამოკვლევის საფუძველზე. უბრალოდ, განსახილველი საქმე მხარეთა შორის არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით სადავო არ არის და არც მიაჩნიათ საჭიროდ, რომ საქმე განხილულ იქნეს მათი მონაწილეობით, რის გამოც გამოთქვამენ თანხმობას ზეპირი მოსმენის გარეშე მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. კანონი სასამართლოს ავალდებულებს მხარეთა თანხმობის შემთხვევაში გამოიტანოს მოტივირებული განჩინება, სადაც მიეთითება სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველები და მოტივაცია. სასამართლო ვალდებულია მხარეებს წინასწარ აცნობოს ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შესახებ.

ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის უფლება გააჩნია სააპელაციო სასამართლოსაც იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას.

ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის განსხვავებულ საფუძველს ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376¹ მუხლის მე-2 ნაწილი, კერძოდ, თუ სააპელაციო საჩივარი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ მისი ფაქტობრივი საფუძველიანობის შემოწმებას, მაგრამ აპელანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მხარეთა წერილობითი თანხმობით განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოთ მხარეებს.

განსახილველ საკითხთან მიმართებაში საინტერესოა სხვა ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზიც.

გერმანიის საპროცესო კოდექსის 214-ე მუხლის თანახმად, სასამართლო განხილვაზე გამოძახება ხორციელდება სასამართლოს ინიციატივით⁹. აღნიშნული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, საუბარია სასამართლო სხდომაზე მხარეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა გამოძახებაზე. ამავე კოდექსის 128-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად სასამართლოს დადგენილებები, რომლებიც არ წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებებს, შეიძლება გამოტანილ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე¹⁰. აღსანიშნავია, რომ გერმანიის საპროცესო სამართალში ტერმინი „გადაწყვეტილება“ იხმარება არაერთმნიშვნელოვნად და ამ ნორმაში მითითებული ტერმინის ქვეშ იგულისხმება საბოლოო გადაწყვეტილება (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-300 და 301-ე მუხლები). იმავე კოდექსის 216-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სასამართლო

9 გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 214.

10 გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 128.

სხლომები ინიშნება სასამართლოს ინიციატივით, თუ შეტანილია შუამდგომლობა ან განმარტება, რომელზეც გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ზეპირი განხილვის შემდგომ¹¹.

214-ე მუხლთან ერთად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს 272-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმად დავა, როგორც წესი, უნდა გადაწყდეს ყოველმხრივ მომზადებულ ზეპირ განხილვაზე (საქმის ძირითადი მოსმენა). საქმის განხილვა შედგება რამდენიმე ეტაპისაგან. კერძოდ, საქმის განმხილველი თავმჯდომარე ან ნიშნავს საქმის წინასწარ მოსმენას, ან გადაწყვეტს წინასწარი წერილობითი წარმოების ჩატარებას. გერმანიის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით საქმის მომზადების ორი ფორმა არსებობს. კერძოდ, მოსამართლეს უფლება აქვს დანიშნოს წინასწარი ზეპირი მოსმენა ან ჩამოყალიბდეს საქმის მოსამზადებლად წერილობითი წარმოების ჩატარებაზე.

წინასწარ ზეპირ განხილვას განსაკუთრებული მიზანი გააჩნია იმ შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებები გარკვეულია და მათი გარკვევა რთული არ არის. წინასწარი ზეპირი განხილვის დანიშვნის შემდეგ მოსამართლე კანცელარიის საშუალებით იძახებს მხარეებს.

საქმის სათანადო დონეზე მომზადების შემდგომ სასამართლო ნიშნავს ზეპირ განხილვას ან ძირითად სხდომას¹².

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმის განხილვა სასამართლოში, რომელიც იხილავს მხარეთა შორის დავას, ხორციელდება ზეპირად, ხოლო მეორე ნაწილის თანახმად კი მხარეთა თანხმობით, იმ შემთხვევაში, თუ შესაგებელი დასაშვებია მხოლოდ პროცესუალური საკითხების არსებით ცვლილებებთან დაკავშირებით, სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლო დაუყოვნებლივ განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც არის შესაძლებელი საპროცესო დოკუმენტების

11 გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 216, ნაწილი პირველი.

12 Гражданский процесс зарубежных стран, А. Г. Давтян, Москва, 2009 г.

წარდგენა და დადგენილების გამოქვეყნებისთვის სხდომის თარიღს. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის გადაწყვეტა არ დაიშვება, თუ მხარეთა თანხმობიდან გასულია სამ თვეზე მეტი. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, თუ წყდება მხოლოდ ხარჯებთან დაკავშირებული საკითხი, დადგენილების გამოტანა შესაძლებელია ზეპირი განხილვის გარეშე¹³.

უდავო ფაქტია, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის ფორმა მნიშვნელოვანი ინსტიტუტია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში. როგორც ჩვენი, ასევე გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა სავალდებულოდ მიიჩნევს მხარეთა წინასწარი თანხმობის არსებობას ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვისათვის, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ასეთი თანხმობის არსებობის სავალდებულობა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით აუცილებელია, თუ მოპასუხის შესაგებელი დასაშვებია მხოლოდ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ პროცესუალურ საკითხებზე. არსებობს ასევე სხვა განსხვავებანიც ქართულ კანონმდებლობასთან. კერძოდ: გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლის მეორე ნაწილის ბოლო წინადადებით დაწესებულია შეზღუდვა, რომელიც სასამართლოს არ აძლევს უფლებას განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე, თუ მხარეთა მიერ ამ საკითხზე მიცემული თანხმობიდან გასულია სამი თვე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასეთ შეზღუდვებს არ აწესებს და სასამართლოს (იგულისხმება პირველი და სააპელაციო სასამართლო მხარეთა თანხმობას ამ საკითხში არ საჭიროებს) უფლებას აძლევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ვადა სრულად გამოიყენოს საქმის განხილვისათვის.

რაც შეეხება საქმის განხილვას, გერმანიის სააპელაციო სასამართლოში, მოსამართლეს უფლება აქვს:

- უარი უთხრას საჩივარს ზეპირი მოსმენის გარეშე; უარი უთხრას საჩივარს ზეპირი მოსმენის შემდეგ;

13 გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 128.

- გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს ქვემდგომ სასამართლოს;
- გააუქმოს გადაწყვეტილება პროცესუალური დარღვევების გამო და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, არც ერთი მხარე არ შეიძლება იქნეს გასამართლებული ისე, რომ არ მოუსმინონ და არ გამოიძახონ. აღნიშნული ნორმა განამტკიცებს შეჯიბრებითობის პრინციპს და იგი შეიცავს მნიშვნელოვან წესს: თუ უნდათ, რომ მოსამართლემ განიხილოს საქმე, მან უნდა იცოდეს თითოეული მხარის პოზიცია. თითოეულმა მხარემ უნდა იცოდეს თავისი არგუმენტები და განიხილოს მოწინააღმდეგის არგუმენტები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოწინააღმდეგე არ პასუხობს, მან აუცილებლად უნდა გამოთქვას თავისი მოსაზრებები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საფრანგეთის სასამართლო წარმოებაში აუცილებელი ფაქტორია მხარეთა მოწვევა და მათი ახსნა-განმარტებების მოსმენა.

საქმის მოსმენა საფრანგეთის სასამართლოში ხდება საქმისწარმოების ძირითდი პრინციპების – საჯაროობისა და ზეპირობის დაცვით. საფრანგეთის კანონმდებლობაში არსებობს „სპეციალური პროცესის“ გაგება, რაშიც იგულისხმება პროცესი ადვოკატის აუცილებელი მონაწილეობის გარეშე და ამ შემთხვევაში მოქმედებს პროცესის ზეპირობა.

საფრანგეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე პირველი ინსტანციის სასამართლოში გათვალისწინებული იყო მორიგების პროცედურის აუცილებლობა. ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 829-ე მუხლით შენარჩუნებულ იქნა აღნიშნული პროცედურა, მაგრამ მხოლოდ ფაქულტატური ფორმით. ამდენად, მორიგების პროცედურა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მოსარჩელე გამოთქვამს თანხმობას. რაც შეეხება მოთხოვნას

მორიგების მცდელობის შესახებ, ეს უნდა განხორციელდეს ზეპირად ან მარტივი წერილობითი ფორმით სასამართლო მდივანთან, სადაც მოსარჩელემ უნდა მიუთითოს თავისი გვარი, სახელი, მამის სახელი, პროფესია, მხარეთა მისამართები და მოთხოვნის საგანი.

რაც შეეხება საქმის განხილვის ფორმას, საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოში ამ საქმის მოსმენის დანიშვნა ხორციელდება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რომელიც საჩივრის შეტანიდან ორი თვის ვადაში სასამართლოს მიმართავს თხოვნით საქმის განხილვის შესახებ.

რაც შეეხება ინგლისის სამოქალაქო (საკორპორაციო) სასამართლო წარმოებაში სხვა პრინციპებთან ერთად, ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს სამოქალაქო (საკორპორაციო) საქმეთა განხილვის საჯაროობა. აღნიშნული პრინციპის თანახმად, საქმის განხილვაზე დასწრება შეუძლიათ როგორც პრესის წარმომადგენლებს, ასევე სხვა ნებისმიერ მსურველს.

პროფ. ა. დავთიანის განმარტებით, ინგლისის საპროცესო კანონმდებლობაში განმტკიცებული საჯაროობის პრინციპი ტრადიციული გაგებით ემთხვევა რუსეთის საპროცესო კოდექსში განმტკიცებულ პრინციპს.

ინგლისის სამოქალაქო საქმისწარმოებაში არსებობს წარმოების რამდენიმე სახე:

- ნაწილობრივი წარმოება საქმეებზე, რომლებზეც სარჩელის ფასი პატარაა;
- დაჩქარებული წარმოება;
- ჩვეულებრივი წარმოება.

საკითხი იმის შესახებ, თუ საქმის განხილვის რომელი ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული, წყდება ამ პირობების შესაბამისად. აქვე გათვალისწინებელია გამარტივებული წარმოება, რომლის დროსაც მოსამართლე ეცნობა საქმეში არსებულ დოკუმენტებს და მას შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს პროცესის მონაწილეთა ღია გამოსვლების გარეშე. ასევე შეკვეცილი წარმოება ხორციელ-

დება საქმეებზე, რომლებზეც სარჩელის ფასი პატარაა (ნაწილობრივი წარმოება) და ამ დროს არ გამოიყენება ჩვეულებრივი წარმოებისთვის გათვალისწინებული ზოგიერთი წესები. კერძოდ, დროებითი წესები, მტკიცებულებათა გახსნა და ინსპექტირება, მტკიცებულებათა შესახებ განსხვავებული ნორმები, სასამართლო განხილვა და ა.შ.

რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლო წარმოებას ამერიკის შეერთებულ შტატებში, აქ საქმის განხილვა მიმდინარეობს ზეპირი მოსმენით. მაგალითად, მტკიცებულებათა გამოკვლევისას სასამართლო ხელმძღვანელობს საჯაროობისა და ზეპირობის პრინციპით.

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 157-ე მუხლის პირველ ნაწილს, თანახმად სასამართლო საქმის განხილვისას ვალდებულია უშუალოდ გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები: მოისმინოს მხარეთა და მესამე პირთა განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტთა დასკვნები, სპეციალისტთა კონსულტაციები და განმარტებები, გაეცნოს წერილობით მტკიცებულებებს, დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულებები, მოისმინოს აუდიოჩანაწერები და ნახოს ვიდეოჩანაწერები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი საქმის განხილვა მიმდინარეობს ზეპირად და მოსამართლეთა უცვლელი შემადგენლობით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული 157-ე მუხლი ეხება რუსეთის ფედერაციის პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვის წესს, მაგრამ არც სააპელაციო, არც საკასაციო და არც საზედამხედველო წარმოებაში, რასაც ჯერ კიდევ ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის საპროცესო კანონმდებლობა, არ არის დაშვებული ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის ფორმა. შედარების თვალსაზრისით აღნიშნვის ღირსია რუსეთის საპროცესო კოდექსის მოყვანილი ნორმა ზუსტი ანალოგია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილისა.

ამ მხრივ საინტერესოა უკრაინული კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 158-ე მუხ-

ლის პირველი ნაწილის შესაბამისად სამოქალაქო საქმის განხილვა ხდება სასამართლო სხდომაზე, საქმეში მონაწილე პირების აუცილებელი შეტყობინებით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით პირს, რომელიც მონაწილეობას ღებულობს საქმის განხილვაში უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა მისი დასწრების გარეშე საქმის განხილვის შესახებ.

სასამართლო შეტყობინება და დაბარება

საკორპორაციო, ისევე, როგორც სხვა კატეგორიის საქმეების განხილვისას მნიშვნელოვანია საქმეში მონაწილე პირთა დაბარება და მათთვის შეტყობინების გაგზავნა კანონის მოთხოვნათა დაცვით. პროცესის მონაწილეთა დაბარება და მათთვის შეტყობინების გაგზავნა კანონის მოთხოვნათა დაცვით. პროცესის მონაწილეთა დაბარება და მათთვის შეტყობინების ჩაბარების საკითხები მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით, რომელშიც ცვლილება განხორციელდა 2007 წლის 28 დეკემბერს.

ცვლილებამდე არსებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი სასამართლოს ავალდებულებდა სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი ეცნობებინა როგორც მხარისათვის, ასევე მისი წარმომადგენლისთვის. პრაქტიკულად ეს ნიშნავდა იმას, რომ თუ მხარე საქმეში წარმოდგენილი იყო წარმომადგენლის სახით და სასამართლოსთვის ცნობილი იყო, რომ უწყება ჩაბარდა წარმომადგენელს, მაგრამ უცნობი იყო, ჩაბარდა თუ არა თვითონ მხარეს და წარმომადგენელი არ გამოცხადებოდა სასამართლო სხდომაზე, სასამართლოს უფლება არ ჰქონდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. პრაქტიკაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიერ ასეთ შემთხვევებში გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებები უქმდებოდა და საქმე იხილებოდა ხელახლა. აღნიშნული კი ბუნებრივად იწვევდა საქმეზე

საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის გაჭიანურებას.

უახლესი ცვლილებებით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შესაძლებელია მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები დაიბარონ ტელეფონით, დეკემით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება არის ის ძირითადი საპროცესო დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც მხარეს ან მის წარმომადგენელს ეცნობებათ არამარტო სასამართლო სხდომის, არამედ, აგრეთვე ცალკეული საპროცესო მოქმედების (მაგალითად, ადგილზე დათვალიერების, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის და სხვა) შესრულების დრო და ადგილი.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაშიც განმტკიცებულია იგივე პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ სამოქალაქო სამართლის საფუძველზე დანიშნული წარმომადგენლისთვის დოკუმენტების გადაცემას გააჩნია ისეთივე ძალა, როგორიც პირადად მარწმუნებლისათვის ჩაბარებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელდა სიახლე; კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1^ლ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ითვლება. 73-ე მუხლის 1^ლ ნაწილი კი გვეუბნება, რომ თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისთვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა

მისამართზე. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ არ შეიძლება საქმის განხილვა გაჭიანურდეს და გაგრძელდეს დაუსრულებლად იმის გამო, რომ მხარეს ვერ ჩაბარდა უწყება. მსგავსი შემთხვევები შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ გამოყენებული იქნეს საქმის გაჭიანურების მიზნით და ეს რომ არ მოხდეს, სასამართლოს უფლება აქვს დამატებით კიდევ გააგზავნოს უწყება დასაბარებელ პირთან და იმის მიუხედავად, ადრესატს ჩაბარდება თუ არა მეორედ გაგზავნილი უწყება, განიხილოს საქმე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილში მითითებულია როგორ უნდა მოხდეს უწყების ჩაბარება ფიზიკური პირისა და იურიდიული პირისათვის. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. სწორედ ეს უკანასკნელია მნიშვნელოვანი საკორპორაციო დავების განხილვის თვალსაზრისით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ თავის განჩინებაში მიუთითა: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ორგანიზაციის სახელზე გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს, ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს.

საინტერესოა ისეთი შემთხვევის განხილვა, როდესაც მხარის გამოუცხადებლობა, მიუხედავად მისი კანონით დადგენილი წესით

გაფრთხილებისა, ხდება უკვე დაწყებული სასამართლო განხილვის შემდგომ სხდომაზე, ანუ გადადებულ სასამართლო სხდომაზე. მაგალითად, ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ განმარტა შემდეგი: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი წინაპირობაა მთავარ სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობა.

მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლი მიუთითებს და მასში იგულისხმება, რომ საქმის არსებითი განხილვა ჯერ არ დაწყებულა და მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას განაპირობებს ერთის მხრივ ვარაუდი, საქმის განხილვის მიმართ მისი ინტერესის არარსებობის შესახებ და იმავდროულად, იგი ისჯება თავისი არაკეთილსინდისიერებისთვის, რაც, მოწვევის მიუხედავად, სასამართლო სხდომაზე საერთოდ გამოუცხადებლობაში მდგომარეობს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის I¹ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 78-ე მუხლის დეფინიციით. 78-ე მუხლის ახალი რედაქცია ასევე სიახლეს წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში. აღნიშნული ნორმის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისგან განსხვავებით, რომლის თანახმად სასამართლოს უფლება აქვს გადახდისუუნარობაზე განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება გამოაქვეყნოს სასამართლო დაფაზე და ჟურნალ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და გამოქვეყნებისთვის დამატებით აირჩიოს ასევე სხვა ბეჭდვითი ორგანო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი ცალსახად განსაზღვრავს, თუ რომელ გაზეთში უნდა გამოქვეყნდეს მხარის დასაბარებელი უწყება. კერძოდ, ეს უნდა მოხდეს იმ გაზეთში, რომლის გავრცელებაც ხდება დასაბარებელი პირის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. მნიშვნელოვანი ცვლილება იქნა შეტანილი ასევე საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლში. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმეში მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, მოწინააღმდეგე მხარე 10-ზე მეტი პირია და არ არსებობს თანამონაწილეობა, მაშინ სასამართლო უწყება ეგზავნება სარჩელზე (საჩივარზე, შესაგებელზე) ხელის მომწერ პირველ სამ პირს. უწყების ჩაბარება ერთ-ერთი მათგანისთვის ნიშნავს უწყების ჩაბარებას მის მხარეზე მონაწილე ყველა პირისათვის.

ანალოგიური წესით უწყებისა და სხვა სასამართლო დოკუმენტების ჩაბარებას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლი, რომლის თანახმად ჩაბარება შეიძლება განხორციელდეს საჯარო გამოქვეყნებით (საჯარო ჩაბარება) თუ

- მხარის ადგილსამყოფელი უცნობია და წარმომადგენლის ან უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარება შეუძლებელია;
- საზღვარგარეთ ჩაბარება შეუძლებელია ან არ გამოიღებს შედეგს;
- ჩაბარების განხორციელება შეუძლებელია, რადგან ჩაბარე-

ბის ადგილია პირის საცხოვრებელი, რომელიც თანახმად სასამართლო წარმოების შესახებ კანონის მე-18-20 მუხლებისა არ შედის იურისდიქციაში.

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, იგი არ ითვალისწინებს მხარის საჯარო შეტყობინების ფორმას. აღნიშნული ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მოპასუხის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის შემთხვევაში ცხადდება მისი ძებნა. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების, მუნიციპალური განათლების, ასევე ალიმენტის დაკისრების მოთხოვნის, დასახიჩრების, ჯანმრთელობის სხვა დაზიანების ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე სარჩელების განხილვისას თუ ვერ დგინდება მოპასუხის ადგილსამყოფელი სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს განჩინება მოპასუხის ძებნის გამოცხადების შესახებ. მოპასუხის ძებნის გამოცხადება ხდება სასამართლოს ინიციატივით, მიუხედავად იმისა, შეტანილია თუ არა ამ საკითხზე მოსარჩელის შუამდგომლობა და ხორციელდება მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს შეტყობინებას მოპასუხის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის შესახებ. მოპასუხეზე ძებნის გამოცხადება შესაძლებელია როგორც საქმის მომზადების სტადიაზე, ასევე სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

ამ მხრივ საინტერესოა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა: სადაც უწყების ჩაბარებას ახორციელებს სასამართლოს კანცელარია, რომელსაც უფლება აქვს ეს საქმიანობა მიანდოს „საფოსტო სამსახურის შესახებ“ კანონისა და გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168, 170-172 და 178 მუხლების საფუძველზე მოქმედ უფლებამოსილ ორგანიზაციას ან სასამართლოს თანამშრომელს. თვითონ გზავნილის ჩაბარება უნდა განხორციელდეს კანონიერი წარმომადგენლისთვის, თუ ადრესატი არაქმედუნარიანი პირია; ასევე შესაძლებელია ჩაბარება უფლებამოსილი პირისათვის, რომლის უფლებამოსილებაც უნდა დასტურდებოდეს

წერილობითი მინდობილობით; საპროცესო წარმომადგენლისთვის; ადრესატის ოჯახის წევრი სრულწლოვანი პირისათვის, ან მასთან მუდმივად მცხოვრები სრულწლოვანი პირისათვის და ა.შ.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის თანახმად, საქმეში მონაწილე პირების, ასევე მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების და თარჯიმნების შეტყობინება და გამოძახება სასამართლოში ხორციელდება შეკვეთილი წერილით, სასამართლო უწყებით, ტელეფონოგრამით ან ტელეგრაფით, ფაქსით ან სხვა საშუალებებით, რომლითაც შესაძლებელია დასტურის მიღება ადრესატისთვის შეტყობინების ჩაბარების შესახებ. აღსანიშნავია, რომ შეტყობინება უნდა გაიგზავნოს საქმის განსახილველად დანიშნის შესახებ არაუგვიანეს მეორე დღისა.

უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გამოძახება ხორციელდება სასამართლო უწყების, სასამართლო უწყება-შეტყობინების გზით. სასამართლო უწყება ეგზავნებათ პირებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საქმეში, მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, თარჯიმნებს, ხოლო სასამართლო უწყება-შეტყობინებები – პირებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საქმეში საპროცესო მოქმედების განხორციელების გამო, რომლებშიც ამ პირების მონაწილეობა სავალდებულო არ არის. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად კი პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საქმეში, ასევე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება გამოიძახონ სასამართლოში ტელეგრამით, ფაქსით ან კავშირის სხვა საშუალებით, რომლებითაც უზრუნველყოფილია შეტყობინების ან გამოძახების მიღების დადასტურება.

ისევე, როგორც რუსეთის ფედერაციის, უკრაინის საპროცესო კანონმდებლობაც ითვალისწინებს მოპასუხის ძებნას. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ აღიმენტიზის დაკისრების, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან ფიზიკური პირის გარდაცვალების გამო საქმეებზე მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლო,

დადგენილებით აცხადებს მის ძებნას. ძებნა ხორციელდება შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ, ხოლო მის გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯები, სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით ეკისრება მოპასუხეს.

2008 წლის დეკემბერში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელსაც საფუძვლად დაედო „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონი. კერძოდ, კოდექსს დაემატა თავი X IV² – წარმოება პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვასთან დაკავშირებით. ამ თავში გათვალისწინებულია სამოქალაქო საქმის განხილვის სპეციალური წესები იმ პირთა მიმართ, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322² მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ან რომელიც წარმოადგენს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ სუბიექტს. ამ კატეგორიის საქმეებზე სარჩელის შეტანის უფლება აქვს პროკურორს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ექვსი თვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პირის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

ამ კატეგორიის საქმეებზე მხარეთა შეტყობინებისა და დაპირების წესები განსაზღვრულია ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავით.

სასამართლოს მთავარი სხდომა

როგორც აღვნიშნეთ, საქმის განხილვა I ინსტანციაში ორ სტადიას (ეტაპს) მოიცავს. პირველი ეტაპი (სტადია) ესაა საქმის მომზადება მთავარ სხდომაზე განსახილველად ე.წ. წერილობითი შეჯიბრი და მეორე ეტაპი (სტადია) – საქმის განხილვა მთავარ სხდომაზე, ანუ ე.წ. ზეპირი შეჯიბრი.

მთავარი სხდომა ეს ისეთი სხდომაა, სადაც არსებითად, მთელი სისრულით ხდება საქმის გადაწყვეტა და მასში სტრუქტურულად გამოიყოფა შემდეგი სტადიები:

- სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყება და მისი შემდგომი ანუ ზეპირი შეჯიბრის საწყისებზე საქმის ჩატარების შეასძლებლობის გარკვევა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს იმის შემოწმებას, სასამართლოში –
 - ✓ დაბარებული პირები გამოცხადდნენ თუ არა;
 - ✓ დადგენილია თუ არა სასამართლოში გამოცხადებულ პირთა ვინაობა;
 - ✓ სასამართლოში გამოცხადებულ პირებს აქვთ თუ არა შუამდგომლობები. ასეთის შემთხვევაში მათი განხილვა;
- საქმის განხილვის დაწყება და საქმის არსის შესახებ სასამართლოსთვის მოხსენება. ამ დროს სასამართლომ დეტალურად უნდა განმარტოს:
 - ✓ სასარჩელო განცხადების შინაარსიდან გამომდინარე მოსარჩელის მოთხოვნა;
 - ✓ სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და ის მტკიცებულებები, რომლითაც იგი ადასტურებს იმ გარემოებებს, ან თუ ასეთი არ არის ის მოსაზრებანი, რაც მოსარჩელეს ამ შემთხვევისათვის გააჩნია;
 - ✓ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებელი, მასში ჩამოყალიბებულ ყველა დებულებასთან ერთად. ამასთანავე

წარმოჩინებულ უნდა იქნეს ის ფაქტები და გარემოებები, რომელზედაც მოპასუხე ამყარებს თავის შეგებებულ სარჩელს თუ შესაგებელს; აქვე უნდა იქნეს მითითება იმ მტკიცებულებებზე, რაც მოპასუხის მიერ იქნა წარმოდგენილი.

საქმის განხილვის ამ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ გაითვალისწინოს: ამ დროს უკვე მხარეები შეზღულულები არიან, წარმოადგინონ ან მიუთითონ:

- ახალი მტკიცებულებები;
- ახალი გარემოებები.

რომელთა შესახებაც მხარეებს გაცხადებული არა აქვთ სარჩელსა (შეგებებულ სარჩელში) და შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე.

ახალ მტკიცებულებებსა და გარემოებებზე მითითება მთავარ სხდომაზე დასაშვებია, თუ არსებობს უდავოდ დადასტურებული საპატიო მიზეზი მათი წარმოდგენლობისა. ამ შემთხვევაში, თუ საპატიო მიზეზი დადასტურდება მხარეთა სურვილით საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვისაა შესაძლებელი.

- მტკიცებულებათა გამოკვლევა, რომელშიც იგულისხმება:
 - ✓ მხარეთა მხრიდან ახსნა-განმარტებების მიღება, მოწმეთა თუ საქმეში მონაწილე სხვა პირთა დაკითხვა;
 - ✓ წერილობითი, ნივთიერი თუ სხვა მტკიცებულებათა გამოქვეყნება და ა.შ.

სასამართლომ მტკიცებულებათა შემოწმება-გამოკვლევის მიზნით ისინი უნდა შეაჯეროს ერთმანეთთან, მოახდინოს მათი შედარებითი გამოკვლევა და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება, ყველა მათგანის სრულად, ობიექტურად და ყოველმხრივად გამოკვლევის საფუძველზე, რომელი მტკიცებ-

უღებები უნდა დაედოს საფუძვლად გადაწყვეტილების გამოტანას, რათა შემდგომში გააღწევილები დასაბუთება სამოტივაციო ნაწილში იყოს სრული და ყოვლისმომცველად ობიექტური.

- მხარეთა პაექრობა, რომლის დროსაც პირველად გამოდის მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი.

მხარეთა გამოსვლის შემდეგ სიტყვა ეძლევა ჯერ იმ მესამე პირებს, რომელთაც განაცხადეს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა და შემდეგ იმ მესამე პირებს, რომელთაც განაცხადებული არა აქვთ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა.

მხარეებმა პაექრობისას უნდა გაითვალისწინონ და თავიანთ სიტყვაში უნდა მიუთითონ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტები თუ გარემოებები შეიძლება ჩაითვალოს დადასტურებულად და რომელი არა, ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი და ა.შ.

ამ შემთხვევისთვის მოწინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია იურიდიული შეფასება, იგივე სამართლებრივი შეფასება გააკეთოს სამართლის ნორმაზე მითითებით იმ ფაქტებზე, რაც წარმოდგენილი იქნა მისი მოწინააღმდეგე მხარის მიერ.

ანუ მხარეთა პაექრობისთვისაც, ისევე როგორც მთელი პროცესის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს გააჩნიათ თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ საქმის განხილვის მიმდინარეობას რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რა მტკიცებულებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

ანუ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მხარეების პრეროგატივაა საქმის განხილვისას შეჯიბრებითობის საწყისებზე თუ ვინ როგორ შეხვდება მოსამზადებლად საქმის მომზადებას, მიმდინარეობასა თუ განხილვას, ხოლო სასამართლო ხელმძღვანელობს მხარეთა შეჯიბრს.

მთავარი სხდომა მხარეთა პაექრობით მთავრდება და ამ დროს სასამართლო გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების გამოსატანად.

ანუ მხარეთა პაექრობის შემდეგ ხდება:

- სხდომის დახურვა და გადაწყვეტილების გამოტანა.

საკორპორაციო დაგების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება გეინდა დაეუთმოთ *აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის წესს*.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების საკითხის განხილვისას სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს განსჯადობის საკითხი, განსაზღვროს არის თუ არა საქმე კონკრეტული სასამართლოს განსჯადი.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეები განსჯადობის თვალსაზრისით გამარტივებული წარმოების სხვა სახეებისგან განსხვავებით, განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება. თუ დავალიანების გადახდევინების, ასევე თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეები განიხილება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აქციათა სავალდებულო მიყიდვის საქმეებზე არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13-18 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

მყიდველის განცხადებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁰ მუხლის თანახმად განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები, მყიდველის იურიდიული მისამართის შესაბამისად. თბილისის საქალაქო სასამართლო მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იური-სდიქცია – დასავლეთ საქართველოს. ამდენად, სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოები არ არის უფლებამოსილი განიხილოს განცხადება „აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ“. მიუხედავად აღნიშნულისა, თუ განმცხადებელი მაინც მიმართავს არაუფლებამოსილ სასამართლოს განცხადებით, სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის

პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე უარს ეტყვის განმცხადებელს განჩინებით განცხადების წარმოებაში მიღებაზე, ამასთან ვალდებულია განჩინებაში მიუთითოს, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს განმცხადებელმა.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეებზე განმცხადებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, განცხადება არის უმთავრესი დოკუმენტი, რომლის სრულყოფილად და კანონის დაცვით შედგენაზე არის დამოკიდებული განცხადების წარმოებაში მიღება და საქმის განხილვა. განცხადება სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, განცხადება შეიძლება წარედგინილი იყოს როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.

მოსამართლე აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების საკითხს იხილავს განცხადების შეტანიდან 3 დღის ვადაში. აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღება სასამართლოს მიერ ხდება სპეციალური განჩინებით „აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ“, თუმცა აღნიშნული განჩინების მიღებამდე სასამართლომ უნდა გაარკვიოს, ხომ არ არსებობს განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველები. განცხადების წარმოებაში მიღებისათვის აუცილებელია წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებდეს საქართველოს სსკ-ის 309^ე მუხლის მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის შესახებ და განმცხადებელს მის შესავსებად მისცემს განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადას. თუ განმცხადებელი ამ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და განცხადებას თანდართულ მასალებთან ერთად უბრუნებს განმცხადებელს. სასამართლოს განჩინებაზე აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განჩინების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

აქვე აღსანიშნავია, რომ განცხადების წარმოებაში მიღების

დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, განმცხადებელს შეუძლია განმეორებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს აქციათა სავალდებულო მიყიდვა.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹¹-ე მუხლით. თუმცა აღნიშნული მუხლი არ არის ამომწურავი. მიგვაჩინია, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება ასევე შეუძლებელია თუ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილით აღნიშნული გარემოებები.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ასევე სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა, თუმცა აღნიშნული გამარტივებული წარმოებისას პირდაპირ არ არის გათვალისწინებული და მოცემული ხარვეზი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის ანალოგიით უნდა გადაწყდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309⁸ მუხლით შეიძლება განხილული იქნეს სააქციო საზოგადოების აქციონერის განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ. აღნიშნული მუხლი ყურადღებას ამახვილებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ მოთხოვნაზე, ხოლო სხვა სახის მოთხოვნა გამარტივებული წარმოების დროს დაუშვებელია.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს განცხადების წარდგენა არაგანსჯად სასამართლოში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადებას განიხილავენ ქუთაისისა და თბილისის საქალაქო სასამართლოები, ამდენად სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს აღნიშნული განცხადება. ამდენად, არაგანსჯად სასამართლოში განცხადების წარდგენისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის

პირველი ნაწილის „ი“ პუნქტის თანახმად უარი უნდა ეთქვას განმცხადებელს განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

განცხადებაში მხოლოდ მოთხოვნის ფაქტობრივ გარემოებაზე მითითება საკმარისი არ არის, მოთხოვნა თითოეული პუნქტით დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით, რომლის წარმოდგენლობის შემთხვევაში სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას წარმოებაში მიიღოს განცხადება.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების განჩინებაში უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- განჩინების მიღების დრო და ადგილი;
- განჩინების მიმღები სასამართლოს დასახელება;
- მხარეები და მოთხოვნის არსი;
- საკითხი, რომელზედაც მიღებული უნდა იქნეს განჩინება;
- მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე;
- სასამართლოს დადგენილება.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება მოსამართლის მიერ ხდება სასამართლოში განცხადების შეტანიდან 3 დღის ვადაში. გამარტივებული წარმოების სხვა საქმეებისგან განსხვავებით, აქციათა სავალდებულო მიყიდვის საქმეებზე განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლე პირდაპირ არ ღებულობს გადაწყვეტილებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ და იწყებს საქმის მომზადებას ზეპირი მოსმენისათვის, ე.ი. ამზადებს საქმეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად. საქმის მთავარ სხდომაზე მომზადების მიზანი არის საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა. საქმის მომზადების სტადიაზე უნდა შეიქმნას ის აუცილებელი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს საქმის სრულფასოვნად და დროულად განხილვას. საქმის მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადების მიზნით სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 7 დღის ვადაში აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის

დადგენის მიზნით ნიშნავს დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას. დამოუკიდებელმა ექსპერტმა ან საბროკერო კომპანიამ უნდა შეადგინოს გამოსყიდვის ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება გამოსყიდვის ლოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და ამის საფუძველზე განსაზღვრულ აქციათა ფასი. დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის შერჩევის დროს სასამართლო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხარეთა მოსაზრებები. მხარეებს უფლება აქვთ, შესთავაზონ სასამართლოს დასანიშნი პირის კანდიდატურები. საბოლოოდ საკითხს იმის შესახებ, თუ ვის მიენდოს გამოსყიდვის ანგარიშის შედგენა, წყვეტს სასამართლო. მხარეებს უფლება აქვთ, აცილება მისცენ დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას ამ კოდექსის 35-ე მუხლით დადგენილი საფუძვლით. დამოუკიდებელი ექსპერტი ვერ მიიღებს საქმეში მონაწილეობას, თუ:

- ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;
- ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;
- მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
- პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

ნათესავებად ითვლებიან:

- მეუღლე;
- დანიშნული;
- პირდაპირი ხაზის ნათესავეები;
- და-ძმა;
- დისშვილები და ძმისშვილები;
- მშობლების და-ძმები;

- დანათესაებულები (მოყვრები);
- პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებული.

საქმის მომზადების სტადიაზე შესრულებულ საპროცესო მოქმედებათა მოცულობას კონკრეტული კატეგორიის სამოქალაქო საქმეებზე და ცალკეულ საქმეთა მომზადების მეთოდურობას, თავისი სპეციფიკა აქვს, რაც განისაზღვრება სადაო სამართალურთიერთობის ხასიათით, საქმის სირთულით, მტკიცების სირთულით, ასევე სხვა გარემოებებით¹⁴.

სასარჩელო წარმოების დროს საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად მოსამართლე:

- უგზავნის მოპასუხეს სარჩელის (განცხადების) და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს;
- დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისათვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისთვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი;
- აფრთხილებს მოპასუხეს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ.

მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

- სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვს პასუხი;
- მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს

¹⁴ Особенности рассмотрения отдельных категорий гражданских дел. М., 1995, стр. 23-38.

წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლოა მოპასუხემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები;

- ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს და რა ნაწილში;
- თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ;
- მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;
- რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;
- არსებობის შემთხვევაში, მოპასუხის შუამდგომლობები:
- ✓ ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ და ა.შ.
- ✓ ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;
- ✓ რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლო სხდომაზე;
- ✓ სხვა სახის შუამდგომლობები;
- ✓ პასუხისთვის დართული დოკუმენტების ნუსხა;
- ✓ მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.

პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით.

მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

საქმის მომზადების აღნიშნული წესი დამახასიათებელია სასარჩელო წარმოებისათვის და აქციათა სავალდებულო მიყიდვის საქმეების განხილვის დროს არ გამოიყენება. აქციათა სავალდებულო მიყიდვის საქმეების განხილვისას საქმის მომზადების ეტაპი მართალია ითვალისწინებს მოპასუხისათვის განცხადებისა და თანდართული მასალების ასლების გადაგზავნას, მაგრამ არ განესაზღვრება ვადა შესაგებლის და მასში აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენისათვის. აქციათა სავალდებულო მიყიდვის საქმეებზე მოპასუხისათვის განცხადებისა და თანდართული მასალების გადაგზავნის მიზანი არის ის, რომ მოპასუხისთვის ცნობილი გახდეს ის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც ითხოვს განმცხადებელი განცხადების დაკმაყოფილებას. სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეებზე მოპასუხე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგენს არა შესაგებელს სარჩელის ცნობის ან არცნობის შესახებ, ან შეგებებულ სარჩელს, არამედ მხოლოდ მოსაზრებებს, რაც ჩვენი აზრით არ არის საკმარისი, მიგვაჩნია, რომ მოპასუხეს მოსაზრებებთან ერთად უნდა ჰქონდეს მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლე-

ბლობა. მართალია, „აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ“ საქმეებზე უმთავრეს მტკიცებულებას წარმოადგენს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ აქციათა შეძენის შედეგად სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 85%-ის საკუთრების ფაქტი, აღნიშნულის წარდგენის ვალდებულება განმცხადებელს ეკისრება, მაგრამ იმავდროულად მოპასუხეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს მტკიცებულებები აღნიშნულის საწინააღმდეგოდ. ამდენად მტკიცებულებათა წადგენის თვალსაზრისით მხარეებს თანაბარი მდგომარეობა უნდა გააჩნდეთ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹³-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებაში სასამართლო განსაზღვრავს დროს ზეპირი მოსმენისათვის და მხარეებს დაუყოვნებლივ აცნობებს სხდომის დროსა და ადგილს. აქციონერს, რომლის აქციების გამოსყიდვასაც მოითხოვს მყიდველი (შემდგომში – დაინტერესებული პირი), უწყებასთან ერთად ეგზავნება განცხადებისა და თანდართული მასალების ასლები და განესაზღვრება ვადა მოსაზრებების წარმოდგენისათვის. თუ დაინტერესებულ პირთა რაოდენობა ორზე მეტია, ისინი ვალდებული არიან დანიშნონ წარმომადგენელი.

აქვე აღსანიშნავია, რომ სასარჩელო წარმოების დროს მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს, თუმცა საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ვადის გაგრძელება. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეებზე მოპასუხის მიერ მოსაზრებების წარდგენის ვადა კანონით არ არის დადგენილი. მიგვაჩნია, რომ გამარტივებული წარმოების პრინციპიდან გამომდინარე, აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეების განხილვა გამარტივებული წარმოების სხვა სახეებისგან არსებითად განსხვავ-

ვებულად მიმდინარეობს. თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელები, დავალიანების გადახდევინების, ასევე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმეები განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, არ ხდება საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად, ამ მიზნისთვის მოპასუხისათვის განცხადებისა და თანდართული მასალების ასლების გადაგზავნა, სასამართლო სხდომაზე მხარეთა ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა და ა.შ. რასაც ვერ ვიტყვით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეებზე. მართალია აქციათა სავალდებულო მიყიდვის საქმეები განიხილება ზეპირი მოსმენით, რაც ნიშნავს მხარეთა დაბარებას და მათგან ახსნა-განმარტების მოსმენას, მაგრამ აღნიშნული სასარჩელო წარმოებისგანაც განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდება. სასარჩელო წარმოების დროს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავი ადგენს მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლებს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მოერე ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული თავი ითვალისწინებს ასევე ორივე მხარის გამოუცხადებლობისას სამართლებრივ შედეგებს, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

აღნიშნული წესი „აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ“ საქმეების განხილვისას არ გამოიყენება და კანონმდებელი გვთავაზობს განსხვავებულ წესს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹³-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, განცხადება განიხილება სასამართლო სხდომაზე, სასამართლო ამოწმებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურების შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან, მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას.

განსხვავებული წესია ასევე დადგენილი „აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ“ საქმეების განხილვის ვადასთან დაკავშირებით. თუ სხვა კატეგორიის საქმეებს, გარდა გამონაკლისისა, სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს ორი თვისა, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლო განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილება გა-

მოაქვს განცხადების წარმოებაში მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, აღნიშნული ვადის გაგრძელების შესაძლებლობას მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს, რაც გამარტივებული წარმოების არსიდან და იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე ეფიქრობთ, საფუძვლიანია.

თუ სასამართლო დაადგენს აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურების შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან, მას გამოაქვს გადაწყვეტილება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით დგინდება აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასი და თარიღი (სამუშაო დღის ბოლოს შესაბამისი დრო), რომლის მდგომარეობით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან უნდა მოხდეს მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი). სასამართლომ აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს:

- ამ აქციების ღირებულება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე;
- საზოგადოების მიერ მომავალში მისაღები სავარაუდო შემოსავლები;
- საზოგადოების აქტივები (მათ შორის საწარმოს რეზერვეები, საწარმოს საქმიანი რეპუტაცია, გამოცდილება, პერსპექტივები და საქმიანი კავშირები) და პასივები.

სასამართლოს გადაწყვეტილება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლოს სხდომის მდივანი, წარმომადგენლები, მოთხოვნის არსი.

გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს განმცხადებლის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია განმცხადებლის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას.

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას განცხადების დაკმაყოფილების შესახებ, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრებასა და წესზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება დაიშვება გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 14 დღისა. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეები გასაჩივრების თვალსაზრისითაც განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო წესით, საკასაციო წესით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეების გასაჩივრება დაუშვებელია. სააპელაციო წესით საქმის განხილვის ვადაა ერთი თვე. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

საკორპორაციო დაწესების განხილვის წესი კერძო არბიტრაჟში

საკორპორაციო დაწესების განხილვა კერძო არბიტრაჟში საერთო სასამართლოსგან განსხვავებით აქვს ის უპირატესობა, რომ მხარეთა ინტერესები უფრო ოპტიმალურადაა წარმოჩენილი, რაც გამოიხატება შემდეგში:

- საარბიტრაჟო შეთანხმება არის მთავარი ფაქტორი, რაც განაპირობებს დავის განხილვას არბიტრაჟში;

- ძირითადადში, საარბიტრაჟო დავა წყდება მხარეთა მიერ საარბიტრაჟო განხილვის ადგილის მიხედვით.

შესაძლებელია საარბიტრაჟო დავისას განისაზღვროს:

- გამოსაყენებელი საპროცესო და მატერიალური სამართალი, ან რეგლამენტი, როგორც გამოსაყენებელი საპროცესო და მატერიალური სამართალი.
- არბიტრის დანიშვნის საკითხი – მათ შორის არბიტრთა ოდენობის განსაზღვრა, პონორარის, პასუხისმგებლობის თუ სხვა საკითხები;

რაც შეეხება უშუალოდ დავის საარბიტრაჟო განხილვას, იგი თითქმის მსგავსია იმ პროცედურისა, რაზეც გვქონდა საუბარი სამართლოში საკორპორაციო დავების განხილვის თავისებურებებში. კერძოდ, მსგავსება თვალშისაცემია, როდესაც საკითხი ეხება:

- თხოვნას არბიტრაჟის შესახებ და საარბიტრაჟო პრეტენზიას;
- პასუხს თხოვნაზე და შესაგებელს;
- მტკიცებულებებს და მტკიცებულებათა გამოკვლევას, მათ შორის იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ელექტრონული ფორმით არსებობს.

საკორპორაციო დავების საარბიტრაჟო წესით განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დავის განხილვისა და გამოსაყენებელ სამართალს, რომელშიც უნდა განისაზღვროს და განიმარტოს:

- გამოსაყენებელი სამართლის შინაარსი და ფარგლები;
- ხელშეკრულება და სავაჭრო ტრადიციები;
- კოლიზიის ნორმები და გამოსაყენებელი სამართალი;
- გამოსაყენებელი სამართლის ადგილი საერთაშორისო საარბიტრაჟო რეგლამენტში;
- დავის საგანთან ყველაზე მჭიდროდ მყოფი სამართალი.

საკორპორაციო დავების განხილვისას კერძო არბიტრაჟში ძალზედ მნიშვნელოვანია ორივე მხარისათვის, თუ ვინ უნდა განიხილოს საქმე, რამდენადაც მათი კორპორაციული ინტერესები ამაზე დიდადაა დამოკიდებული. ამ შემთხვევაში, მათი კორპორაციული ინტერესებიდან გამომდინარე, წინ წამოიწევს არბიტრაჟში დავის განმხილველ არბიტრთა შემადგენლობა, მათი დაკომპლექტების წესი და განსაკუთრებით არბიტრთა საქმიანი მხარე – კვალიფიკაცია, კომუნიკაბელობა და არა მხოლოდ პროფესიული, არამედ მორალური თვისებებიც კი.

საარბიტრაჟო განხილვის დროს თვალში საცემია დავის განხილვის შედარებით, დროში არსებული მობილობა საერთო სასამართლოებთან მიმართებაში. ამიტომაც, საკორპორაციო დავებისას, როდესაც დრო ეს იგივე თანხაა მხარეებისათვის, დროში არსებულ მობილობას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მით უმეტეს, რომ დავის განხილვისას დავის პროცედურულ წარმართვაში პრიორიტეტი მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებას ეთმობა.

საარბიტრაჟო დავების განხილვა მხარეთა შორის სრულდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ან საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტით.

რაც შეეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, ის უნდა იყოს წერილობითი ფორმით, თუმცა შესაძლებელია მისი ელექტრონული ფორმით არსებობა.

საარბიტრაჟო განხილვის დროს საკორპორაციო დავებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა დასაბუთება აუცილებლად უნდა შეიცავდეს:

- დასაბუთებაში მითითებული საფუძვლები არის თუ არა ურთიერთსაწინააღმდეგო;
- მხარეთა პოზიცია – პრეტენზიაში მითითებული ან მოპასუხის მოთხოვნა შეფასების გარეშე არის თუ არა დარჩენილი.

ისევე, როგორც საერთო სასამართლოებში, საკორპორაციო დავებზე არბიტრაჟშიც გადაწყვეტილება მხარეთა თხოვნით შეიძლება გამოვიდეს დასაბუთების გარეშე.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, საკორპორაციო დავებზე, ისევე, როგორც სხვა კატეგორიის საქმეებზე, საარბიტრაჟო განხილვა დაიწყება 10 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც არბიტრაჟში წარდგენილი იქნება საარბიტრაჟო პრეტენზია. თუ ამ დროს არბიტრაჟის შემადგენლობა არჩეული არ არის, საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს არბიტრაჟის ყველა წევრის დანიშნვიდან 10 დღის განმავლობაში, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

მხარეებს უფლება აქვთ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობა მიიღონ როგორც პირადად, ასევე აღვოკატის მეშვეობით.

მუდმივმოქმედ არბიტრაჟში, თუ მხარეები სხვა რამეზე არ არიან შეთანხმებულები, დავა განიხილება არბიტრაჟის დებულების მიხედვით.

არბიტრაჟი, სულ ცოტა 5-დღიან ვადაში მხარეს აცნობებს არბიტრაჟის სხდომის ჩატარებას.

არბიტრაჟს საქმის განხილვასთან დაკავშირებით, შეუძლია:

- ორ დღიან ვადაში მხარეს გადაუზავნოს მოწინააღმდეგე მხარიდან შემოსული დოკუმენტაცია;
- ნებაყოფლობით დაკითხოს მოწმეები;
- მხარეთა თხოვნით დანიშნოს ექსპერტიზა – არბიტრაჟის უარი ექსპერტიზის დანიშვნაზე დასაბუთებული უნდა იყოს;
- თავისი ინიციატივით ან მხარის თხოვნით გამოიტანოს დადგენილება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ.

არბიტრაჟის სხდომები დახურულია და საქმის განხილვა მიმდინარეობს ზეპირად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

არბიტრაჟში, ისევე, როგორც სასამართლოში, საქმის განხილვა მხარეთა თანასწორობის საფუძველზე მიმდინარეობს. მისი

განხილვა არბიტრაჟში მიმდინარეობს მხარეთა ახსნა-განმარტების საფუძველზე; იმ შემთხვევაში, თუ მხარე თავს არიდებს სხდომაზე გამოცხადებას ახსნა-განმარტების მისაცემად, არბიტრაჟი უფლებამოსილია, მხარის ახსნა-განმარტების მიცემის გარეშე გამოიტანოს გადაწყვეტილება.

საარბიტრაჟო განხილვის დროს და განხილვის შემდგომაც არბიტრაჟის წევრი ვალდებულია დაიცვას საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

საარბიტრაჟო განხილვის ადგილი მხარეთა შეთანხმებითაა განსაზღვრული. თუ მხარეთა შორის ასეთი შეთანხმება არ არსებობს, საქმის განხილვის ადგილად საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ადგილი ჩაითვლება.

აღნიშვნის ღირსია, სასამართლოში საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენა არ იწვევს საარბიტრაჟო განხილვის ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას.

მხარეთა შეთანხმებით, ღვინდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა. თუ მხარეთა შეთანხმებით ვადა არაა დადგენილი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ ვადაში არ იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, არბიტრაჟი უნდა გადადგეს. ამ შემთხვევაში მხარეები ვალდებულები არიან 10-დღიან ვადაში დანიშნონ არბიტრაჟის ახალი წევრები. თუ ისინი დადგენილ ვადაში არ გამოიტანენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, საარბიტრაჟო შეთანხმებები გაუქმებულად ჩაითვლება.

მხარეს ან არბიტრაჟს შეუძლია სასამართლოს თხოვნით მიმართონ, რომ დაეხმარონ მათ მტკიცებულებათა შეგროვებაში.

ისევე, როგორც სასამართლოში, არბიტრაჟშიც მხარეებს შეუძლიათ საქმე მორიგებით დაამთავრონ. არბიტრაჟი მხარეთა მიმართვიდან, რომ მათ სურთ საქმე მორიგებით დაამთავრონ, სამი დღის ვადაში გამოიტანს გადაწყვეტილებას.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით ჩამოყალიბდება და მასში აუცილებლად უნდა აღინიშნოს:

- გადაწყვეტილების გამოტანის დრო, ადგილი და არბიტრაჟის შემადგენლობა;
- საარბიტრაჟო შეთანხმება;
- დავის მონაწილეები და დავის საგანი;
- სამოტივაციო ნაწილი, რომელშიც მოცემულია არბიტრაჟის მოტივაცია მიღებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში;
- საარბიტრაჟო დადგენილება;
- გადაწყვეტილების აღსრულების ვადა.

მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს, რომ საქმე გადასინჯოს სხვა კერძო არბიტრაჟმა, რომლის ვადა ოცდაათი დღეა.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ვალდებულია 20 წლის ვადაში შეინახოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

რაც შეეხება დროებითი არბიტრაჟის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, გადაეცემა იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მოხდა საქმის საარბიტრაჟო განხილვა.

მხარეთა შეთანხმებით, მხარე უფლებამოსილია საარბიტრაჟო სასამართლოს მოსთხოვოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების განმარტება. რასაც არბიტრაჟი მოთხოვნიდან ოცდაათ დღიან ვადაში შეასრულებს.

მხარე ასევე უფლებამოსილია არბიტრაჟს მოთხოვოს მის მიერ დაშვებული შეცდომის გასწორება.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება თუ ნებაყოფილობით არ შესრულდება, ის იძულებით უნდა აღსრულდეს.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო განხილვის მხარის სარჩელით შეიცვალოს შემდეგ შემთხვევებში:

- მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კანონმდებლობას;

- არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით დადგენილი წესებია დარღვეული;
- არბიტრაჟის წევრის მიერ ჩადენილია ქმედება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლით.

აღსანიშნავია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება გასაჩივრების შემთხვევაშიც.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს გასაჩივრებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, თუ ამან შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მოუტანოს მხარეს.

საკორპორაციო დავების კერძო არბიტრაჟში განხილვის თავისებურებების თვალსაზრისით აუცილებელია, გათვალისწინებული იქნეს ის უახლესი ცვლილებები, რაც ეხება სასამართლოს მონაწილეობას საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში, რომელიც შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში კარი VII¹ სახით და რომელიც ამოქმედდება 2010 წლის 1 იანვრიდან.

სასამართლო უახლესი ცვლილებების მიხედვით განიხილავს არბიტრაჟთან დაკავშირებულ შემდეგ საქმეებს, კერძოდ: I ინსტანციით გადაწყვეტილება გამოაქვს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს თუ საკითხი ეხება:

- არბიტრის დანიშვნის, აცილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტას;
- არბიტრაჟის კომპეტენციას;
- მტკიცებულებათა მოპოვებისა და მოწმის დასწრების უზრუნველყოფაში სასამართლოს დახმარებას;

II ინსტანციით, ანუ სააპელაციო სასამართლოები იხილავენ საქმეებს, თუ საკითხი ეხება:

- საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფას;
- არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობის, აღსრულებისა

და აღსრულებაზე უარის თქმას;

- სააღსრულებლო ფურცლის გაცემას;
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებასა და გაუქმებას;

საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს განსაზღვრულ შემთხვევაში საქმეს, თუ საკითხი ეხება:

- საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას;

ახალი ცვლილებების მიხედვით სასამართლო –

- ✓ 30 დღის ვადაში ნიშნავს არბიტრს განცხადების წარმოებაში მიღებიდან;
- ✓ 14 დღის ვადაში, მას შემდეგ რაც განცხადების წარმოებაში მიღებას გამოაქვს გადაწყვეტილება არბიტრის აცხადების ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- ✓ გამოიტანს განჩინებას, განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღეში – არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ. აქვე უნდა მიეთითოს კომპეტენტური ორგანო.

აღნიშნულ შემთხვევაში, ისევე როგორც არბიტრის აცხადების ან უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვა ვერ შეაჩერებს საქმის განხილვას არბიტრაჟში. სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება ნებისმიერ ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დანარჩენ საკითხებზე განჩინება მიიღება მოქმედი საარბიტრაჟო კანონმდებლობის შესაბამისად. ამ შემთხვევაშიც მიღებული განჩინებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

რაც შეეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას გადაწყვეტილება გამოიტანება დაინტერესებული მხარის მხრიდან შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ. ამ შემთხვევაში მხარემ უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი და ასლი, ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ, კანონმდებლობით გათვალისწინებული, დამოწმებული ასლი. თუ აღნიშნული არ არის

ქართულ ენაზე შესრულებული, მხარე ვალდებულია წარმოადგინოს ამ დოკუმენტაციის სათანადოდ დამოწმებული ქართული თარგმანი.

აღნიშნული საკითხი განიხილება სასამართლო სხდომაზე ზეპირი მოსმენით, რომელიც აუცილებლად ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას ვერ შეაფერხებს.

მხარეებს ეძლევათ სააღსრულებლო ფურცელი, მაშინ როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე განჩინება. აღნიშნული განჩინება საბოლოოა და იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით, საარბიტრაჟო კანონმდებლობის საფუძველზე ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება. სასამართლო, მას შემდეგ რაც წარმოებაში მიიღებს განცხადებას 30 დღიან ვადაში გამოიტანს მოტივირებულ გადაწყვეტილებას¹⁵ საჩივრის, რომელიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებას ეხება, განხილვის შესახებ. 30 დღით შეიძლება შეჩერდეს აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება გასაჩივრების შემთხვევაში.

სასამართლო მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე უფლებამოსილია შეაჩეროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არა უმეტეს 30 დღისა განცხადების წარმოებაში მიღებიდან, თუ მხარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა.

15 ალბათ, უნდა ეგულისხმოდ განჩინება და არა გადაწყვეტილება /გ.ქ./.

საკორპორაციო დავებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა

საკორპორაციო დავების განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ისევე, როგორც სხვა კატეგორიის საქმეების გადაწყვეტისას, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას წინ უსწრებს დავის განხილვა იმ წესების დაცვით, რომელიც იმპერატიულადაა ჩამოყალიბებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და რომლის შესახებაც საუბარი გვექონდა წინა თავში.

ამ თვალსაზრისით, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლოს მიერ მათ მიეცათ თანაზომიერი შესაძლებლობა, წარმოეჩინათ თავიანთი მოსაზრებები დაფუძნებული მტკიცებულებებზე.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (განჩინებით) თანაბარზომიერადაა მხარეთა უფლებები დაცული, ფაქტობრივი და სამართლებრივი კუთხით დასაბუთებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ მხარეებს აქვთ უფლება შეამოწმონ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთებულობის კუთხით აპელაციაში. რაც შეეხება კასაციას, აქ მოწმდება საქმის მხოლოდ სამართლებრივი დასაბუთებულობა, ანუ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ რამდენად მართებულადაა გამოყენებული მატერიალური და პროცესუალური სამართლებრივი ნორმები.

ამდენად, ფაქტია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით არსებითად წყდება მხარეებს შორის დავა და გადაწყვეტილება განსხვავებულია სასამართლოს მიერ მიღებული სხვა ფორმის ისეთი დადგენილების სახეებისაგან, როგორცაა განჩინება, გადახდის ბრძანება და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, სარჩელის წარდგენის შემდეგ სასამართლოს ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისაკენ, რამდენადაც სასამართლოს მიერ საქმის

ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას დაშვებული უზუსტობის გამოსწორება სამართლებრივი შეფასების ხარჯზე თუ შეუძლებელი არაა, ძალიან ძნელია.

ცალსახაა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ვერანაირად ვერ გაცდება საქმეში მხარეების მიერ განსაზღვრულ იმ ფაქტებს, რომლებიც საფუძვლად იქნა დადებული თვით მხარის მიერ თავისი მოთხოვნისათვის და იმ მტკიცებულებებს, რომლითაც მხარის მიერ დადასტურებულ იქნა თვით ეს ფაქტები.

სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი შედგება:

- *შესავალი ნაწილისგან*, რომელშიც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დრო, ადგილი, მისი დასახელება და შემადგენლობა, სხდომის მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები და დავის საგანია მითითებული;
- *აღწერილობითი ნაწილისგან*, რომელშიც მითითებულია მოსარჩელის მოთხოვნა თუ მოპასუხის პოზიცია, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომელსაც ეფუძნება სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებები, რომლითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას;
- ამდენად, სასამართლომ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილშივე უნდა გაიაზროს საკუთარი სამართლებრივი შეფასებების სავარაუდო შედეგები იმისდა გათვალისწინებით, რამდენად იქნება იგი გაზიარებული მხარის მიერ გადაწყვეტილების აპელაციასა და კასაციაში დასაბუთებულობის შემოწმების კუთხით.
- *სამოტივაციო ნაწილისგან*, რომელშიც მითითებულია სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ გადაწყვეტილების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის თეორიული და თუგინდ პრაქტიკული შესწავლა, წინა პლანზე წამოსწევს სასამართლო გადაწყვეტილებ-

ისაღმი წარდგენილ მოთხოვნას, რომ გადაწყვეტილება ფაქტობრივად და სამართლებრივად მოტივირებული იყოს. რამდენადაც, სასამართლოს მოტივაცია, თუგინდ იგივე მოსაზრება, რომელიც სასამართლოს შინაგან რწმენას უდევს საფუძვლად დავის გადაწყვეტისას, ასახული უნდა იქნას გადაწყვეტილებაში.

ამდენად, ცხადია, სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში უნდა ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრება:

- იმ ფაქტების მიმართ, რომელთაც საქმის გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობა აქვთ;
- იმ ფაქტების მიმართ, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო და რომელზეც მხარეები არ დავობენ;
- იმ ფაქტების მიმართ, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო სასამართლო მტკიცებულებების გამოყენებით;
- იმ მტკიცებულებების მიმართ, რომელსაც სასამართლო ემყარება;
- იმ მტკიცებულებების მიმართ, რომლებიც სასამართლომ არამართებულობის გამო უარყო.
- *სარეზოლუციო ნაწილისაგან*, რომელშიც მითითებულია სასამართლოს დასკვნა სარჩელის დაკმაყოფილების, სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ; აქვე სასამართლომ უნდა აღნიშნოს სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი, მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი.

სასამართლომ გადაწყვეტილებაში, რამდენადაც შემდგომში დღის წესრიგში დგას მისი აღსრულების საკითხი, სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად, ლაკონურად და ამომწურავად უნდა ჩამოაყალიბოს სარჩელის მოთხოვნის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილება რაში გამოიხატება.

რაც შეეხება ზოგადად სასამართლო გადაწყვეტილებას, ის შეიძლება იყოს:

- ნაწილობრივი გადაწყვეტილება;
- წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება.

მხარეთა თხოვნით, სასამართლოს მიერ ნაწილობრივი გადაწყვეტილება გამოიტანება, თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, ასევე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების მისაღებად.

აგრეთვე, დაინტერესებული მხარის თხოვნით, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადაწყვეტილების მისაღებად მომზადებულია ერთ-ერთი სარჩელი ან შეგებებული სარჩელი.

სასამართლოს წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების მიღება შეუძლია საქმეში სარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ, რომლის გასაჩივრება დასაშვებია.

კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ მიღებული წინასწარ (შუალედურ) გადაწყვეტილებას ექნება პრეიუდიციული ძალა, სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებისათვის, რომლითაც მოთხოვნის მოცულობა განისაზღვრება.

ამდენად, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ დასაბუთების თვალსაზრისით სასამართლოს როგორ გადაწყვეტილებასთან გვაქვს საქმე – საბოლოო, ნაწილობრივ, თუ წინასწარ (შუალედურ) გადაწყვეტილებასთან.

როგორც აღვნიშნეთ, საკორპორაციო დაკების დასრულების შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის კუთხით გამოტანისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს:

- წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებას;
- განსაზღვრავს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი დაუდგენელი;
- რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული;
- წარდგენილი სარჩელი მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა იქნეს თუ არა დაკმაყოფილებული.

საკორპორაციო დავებისას, ისევე, როგორც სხვა კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების შინაარსი უნდა იყოს დასაბუთებული და მან პასუხი უნდა გასცეს სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი შეჯიბრებითობის დროს, მხარეთა მიერ წამოჭრილ ყველა საკითხს, ყველა მტკიცებულებასა თუ მოსაზრებას.

ამ კუთხით, კიდევ ერთხელ გვინდა შევხვით გადაწყვეტილების შინაარსს, კერძოდ, გადაწყვეტილების შინაარსის შესავალი ნაწილის დაწერისას სასამართლომ უნდა აღნიშნოს გადაწყვეტილების გამოტანის დრო, რომელიც იდენტური უნდა იყოს სასამართლოს იმ სხდომის თარიღისა, რომელზეც სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა და სასამართლომ მხარეებს გააცნო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების ადგილს თუ რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას არ აქვს ადგილი, ემთხვევა სასამართლოს მისამართს. რაც შეეხება სასამართლოს შემადგენლობას, იგი უნდა ემთხვეოდეს სასამართლო სხდომის ოქმში მითითებულ სასამართლო შემადგენლობას, თუ არადა ასეთი გადაწყვეტილებისადმი გაუქმების აბსოლუტური საფუძველი იქნება, რამდენადაც საქმე განხილული იქნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტით არაკანონიერი შემადგენლობის მიერ.

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილს, აქ უნდა აღინიშნოს:

- სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი;
- დავის საგანი;
- დავის არსის მოკლე მიმოხილვა;
- კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე (მოპასუხე) ამყარებს თავის მოთხოვნებს;
- მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელემ (მოპასუხემ) წარმოადგინა, სარჩელში (შესაგებელში) მითითებული გარემოებების დასადასტურებლად;
- მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა იყოს აღნიშნული;

- სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზეც მოსარჩელემ (მოპასუხემ) დაამყარა თავისი მოთხოვნა, თუ ასეთი არსებობს;
- მოსარჩელის (მოპასუხის) მიერ დაყენებული შუამდგომლობები თუ ასეთი არსებობს;
- მოპასუხის პოზიცია იმის დაკონკრეტებით, თუ სარჩელის რა ნაწილი ცნო ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- საპროცესო საშუალებები, რომლის გამოყენებითაც მოპასუხემ დაიცვა თავი წარდგენილი სარჩელისაგან;
- შეგებებული სარჩელის შინაარსი, თუ ასეთი არსებობს.

სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, როგორც აღვნიშნეთ, დასაბუთებულობის თვალსაზრისით უნდა აღმოსცეს სასამართლოს მიერ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასების შედეგი, განსაზღვრება იმისა, თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი დაუდგენელი, აგრეთვე რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტული საქმის განხილვისას და უნდა დაკმაყოფილდეს სარჩელი თუ არა.

აღნიშნული მოთხოვნა სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილზე არ გავრცელდება მაშინ, თუ მხარეები:

- ეთანხმებიან სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას;
- უარს ამბობენ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე;
- უარს ამბობენ გადაწყვეტილების დასაბუთებაზე;

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები უარს ამბობენ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, მათ ეს თავიანთი ხელმოწერებით უნდა დაადასტურონ.

სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მნიშვნელობით, სასამართლოს მიერ სამოტივაციო ნაწილის დაწერისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დავის:

- ფაქტობრივ და იურიდიულ დასაბუთებულობას;
- მოტივაციას მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტებითა და სამართლებრივი შეფასებისას გამოყენებული კანონით.

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, ლაკონურად და ამომწურავად სასამართლომ უნდა აღნიშნოს:

- დაკმაყოფილდა თუ არა სარჩელი;
- როგორ განაწილდა ბაჟი მხარეთა შორის;
- როგორია სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და თავისებურება.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადას დაადგენს ან გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად მიიღებს ზომებს, იგი აუცილებლად უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

სასამართლოს იურიდიული პირისაგან ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას მხარეთა შუამდგომლობით სარეზოლუციო ნაწილში შეუძლია მიუთითოს:

- გადასახდელი თანხის ხასიათზე;
- ან ბანკიდან, მოპასუხის რომელი ანგარიშიდან უნდა ჩამოიწეროს დაკისრებული თანხა;

იმ შემთხვევაში, თუ დავა ეხება ქონების ნატურით მიკუთვნებას, სასამართლო გადაწყვეტილებაში იმ ქონების ღირებულებაზე მიუთითებს, რომელიც მოპასუხეს უნდა გადახდეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას მას არ აღმოაჩნდება აღნიშნული ქონება.

გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს განსაზღვრული მოქმედების შესრულება ევალება, სასამართლო ამავე გადაწყვეტილებაში მიუთითებს:

- თუ მოპასუხე მიღებულ გადაწყვეტილებას არ შეასრულებს კონკრეტულ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში,

მოსარჩელეს უფლება აქვს ეს მოქმედება მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით შეასრულოს.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოქმედება შეიძლება მხოლოდ მოპასუხემ შეასრულოს, სასამართლო დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა აღსრულდეს.

აღსანიშნავია, თუ სასამართლომ დასაბუთებული გადაწყვეტილება რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ გამოიტანა, მაშინ სასამართლომ უნდა აღნიშნოს:

- რა წილი ეკუთვნის თითოეულ მოსარჩელეს;
- თუ წილებზე საუბარი არ არის, მაშინ უნდა მიეთითოს – გადახდებიან თუ არა სოლიდარული.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ დასაბუთებული გადაწყვეტილება რამოდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ გამოიტანა, მაშინ სასამართლომ უნდა აღნიშნოს:

- რა წილი უნდა შეასრულოს თითოეულმა მოპასუხემ;
- ან რომ პასუხისმგებლობა სოლიდარულია.

მას შემდეგ, რაც დამთავრდება საქმის ზეპირი განხილვა, სასამართლო გამოაცხადებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს და მან ეს გამოცხადება შეიძლება მოახდინოს სათათბირო ოთახში გაუსვლელად.

რთული კატეგორიის საქმეებზე, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის თვალსაზრისით, მოსამართლეს შეუძლია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება საქმეზე არა უმეტეს ერთი თვისა გადადოს გონივრულ ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას, რაც მხარეებს სხდომის დამთავრებისთანავე ეცნობება და აუცილებლად იმავე განჩინებაში მითითებული იქნება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი.

ამ შემთხვევაში სასამართლომ მხარეებს უნდა განუმარტოს მიღებული განჩინების გასაჩივრების წესი და ვადები. ამასთანავე, იგივე სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს განუმარტოს განჩინების როგორც სამართლებრივი საფუძვლები, ასევე მისი შინაარსი.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაკმაყოფილდება მხარეთათვის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებით I და II ინსტანციაში, 14-დღიან ვადაში უნდა მოამზადოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და უზრუნველყოს მისი მხარეთათვის გადაცემა. რაც შეეხება III ინსტანციას (კასაციას), სასამართლოსთვის ეს ვადა ერთ თვეს შეადგენს.

რაც შეეხება საპელაციო სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების შინაარსს, იგი შედგება:

✓ *შესავალი ნაწილისაგან*, რომელშიც აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული:

- გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი;
- სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირის დასახელება;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

✓ *აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების*, როგორც I ინსტანციის სასამართლოშია, ნაცვლად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

- სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნას;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებას საქმის გარემოებებიდან გამომდინარე;
- დასაბუთებას (ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების უშუალო მითითებით) გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ;
- იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება

I ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებულ შეფასებებს ფაქტობრივ ანდა სამართლებრივ საკითხებთან მიმართებაში, მაშინ სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით;

- ✓ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას –
- სააპელაციო საჩივრის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
- სასამართლო ხარჯების განაწილების შესახებ;
- სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადისა და წესის შესახებ.

აღნიშვნის ღირსია ის უდავოდ დადასტურებული ფაქტი, რომ სააპელაციო, ისევე როგორც საკასაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები შეცვალოს იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

აღნიშნული დებულება დაფუძნებულია მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპზე, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოება დაფუძნებულია მხარის უფლებაზე, რამდენადაც *მხოლოდ მხარეები განსაზღვრავენ დავის საგანს (სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრის შინაარსს) და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას, რა წესით უნდა მოხდეს მათი დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების აღდგენა.*

რაც შეეხება იმ კატეგორიის საქმეებს, რომლებზედაც სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება, *სასამართლო მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს გამოაცხადებს.* აქვე, იგი განმარტავს მიღებული გადაწყვეტილების მოტივებს, რომლებიც შეცვლის გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებს.

სასამართლოს მიერ განხორციელებული ასეთი სახის განმარტება აუცილებლად უნდა აისახოს სასამართლო სხდომის ოქმში.

ამგვარ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ და განსახილველი საქმის სირთულიდან გამომდინარე, გამოიტანოს ან უარი თქვას დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაზე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით შეუძლია გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები გაასწოროს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს კერძო საჩივარი.

აგრეთვე, სასამართლოს შეუძლია დამატებითი გადაწყვეტილება გამოიტანოს მხარეთა თხოვნით, ან თავისი ინიციატივით შემდეგ შემთხვევებში:

- მხარეებმა წარმოადგინეს მტკიცებულებები და მისცეს ახსნა-განმარტებები თავიანთი მოთხოვნის გამო, მაგრამ სასამართლოს მიერ ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გამოტანილა;
- მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს უფლების საკითხი გადაწყვიტა, არ მიუთითა:
 - ✓ გადასახდელი თანხის ოდენობა;
 - ✓ გადასაცემი ქონება;
 - ✓ მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს;
 - ✓ სასამართლომ არ გადაწყვიტა სასამართლო ხარჯების საკითხი;

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მხოლოდ შეიძლიან ვადაში შეიძლება დაისვას საკითხი დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

დამატებითი გადაწყვეტილება ჩვეულებრივი წესით გასაჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უარს იტყვის განჩინებით დამატებითი გადაწყვეტილების გამომტანაზე, ასეთი განჩინება გასა-

ჩივრდება კერძო საჩივრით.

საკორპორაციო დაეების განხილვის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა თხოვნით ან ქონებრივი თუ სხვა გარემოებათა გათვალისწინებით ერთჯერადად, სამი თვის ვადით გადადოს, ან ერთი წლის ვადით გაანაწილვადოს –

- გადაწყვეტილების აღსრულება;
- შეცვალოს გადაწყვეტილების აღსრულების წესი და საშუალება.

ასეთ შემთხვევაში, ანუ როდესაც სასამართლოს მიერ ხდება გადაწყვეტილების აღსრულების გადადება, ან განწილვადება აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა სასამართლო მიიღებს განჩინებას, რომელზეც კერძო საჩივრის შეტანაა დაშვებული.

აგრეთვე, სასამართლო იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია, უფლებამოსილია სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელშეწყობის მიზნით, მხარეთა ან აღმსრულებლის მოთხოვნით განმარტოს გადაწყვეტილება. აღნიშნულის შესახებ, სასამართლო გამოიტანს განჩინებას გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, რომელზეც კერძო საჩივრის შეტანაა დაშვებული.

აქვე გვინდა განემარტოთ: თავიანთი განცხადების საფუძველზე მხარეებს, განცხადების შეტანიდან სამი თვის ვადაში გადაეცემათ დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლები, რომელსაც ხელს აწერს სასამართლოს კანცელარიის მდივანი და უსვია სასამართლოს ბეჭედი.

გადაწყვეტილება აუცილებლად მიღებული და ჩამოყალიბებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და მას ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე სასამართლო კოლეგია, გამონაკლისა შემთხვევა, როდესაც საქმე განხილულია ერთპიროვნულად.

გადაწყვეტილების გარდა, ფრიად მნიშვნელოვანია განჩინების

სამართლებრივი ბუნება საკორპორაციო დავების განხილვის დროს.

საკორპორაციო, ისევე, როგორც სხვა კატეგორიის საქმეების განხილვის პროცესში კერძო დავების განხილვასა და გადაწყვეტასთან დაკავშირებით, სასამართლოს უწევს მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა, რისთვისაც სასამართლოს გამოაქვს სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტები. ეს დოკუმენტები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობის საკითხებს წყვეტენ და აქედან გამომდინარე, განისაზღვრება მათი ფორმაც, ხოლო ყველა მათგანი წარმოადგენს სასამართლო დადგენილებებს. „გერმანულ პროცესუალურ ლიტერატურაში სასამართლოს დადგენილებების ქვეშ მოიაზრება კანონით გაწერილი განსაკუთრებული შემთხვევების სამართლებრივი შედეგების გამოხატულება. სასამართლო დადგენილებები არის გონებრივი მოქმედების შედეგი, რომელიც მოიცავს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას და მათთვის ობიექტური სამართლის ნორმების მისადაგებას“¹⁶. სასამართლო დადგენილებების აღნიშნული განსაზღვრება ზუსტად ასახავს მათი შექმნის პროცესსა და არსს. როგორც ვხედავთ, სასამართლო დადგენილების მიღებისთვის საჭიროა: განსაკუთრებული შემთხვევის არსებობა, აღნიშნული შემთხვევა გაწერილი უნდა იყოს კანონით, ხოლო მისი მიმღები ორგანოს, სასამართლოს გონებრივი მუშაობის შედეგად უნდა განხორციელდეს ამ შემთხვევისათვის ობიექტური სამართლის ნორმის მისადაგება, სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა და შედეგად იქმნება სამართლებრივი აქტი, რომელსაც გააჩნია სამართლებრივი შედეგები: წარმოშობს, არეგულირებს, ცვლის ან წყვეტს სამართლებრივ ურთიერთობებს.

სასამართლო დადგენილებები ტერმინოლოგიურად იმიჯნება მათი შინაარსისა და ხასიათის მიხედვით. „პროცესუალურ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში სასამართლო „გადაწყვეტილება“ ორგვარი მნიშვნელობით გამოიყენება. ზოგადი, ფართო გაგებით სასამართლო გადაწყვეტილება მოიცავს სასამართლო ორგანო-

16 А. Г. Давтян, *Гражданское процессуальное право Германии*, Москва, 2000, с. 160.

თა მიღებულ ყველა აქტს, სასამართლოს მიერ აღძრულ მოთხოვნებსა და განკარგულებებს. ასეთ გადაწყვეტილებაში მოიაზრება როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, განაჩენები, განჩინებები და ბრძანებები, ისე სასამართლოს სხვადასხვა დაეალებები, მოთხოვნები და განკარგულებები. სამოქალაქო საპროცესო სამართალში „გადაწყვეტილება“ იხმარება სპეციალური ვიწრო გაგებით. ასეთი გაგებით სასამართლო გადაწყვეტილება არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის განხილვის კანონის შესაბამისად მიღებული დადგენილება, რომლითაც არსებითად წყდება ეს საქმე. ყველა სხვა შემთხვევაში საქმისწარმოების შეწყვეტის, განუხილველად დატოვების, საქმის წარმოების შეჩერებისას სასამართლოს დადგენილება გამოდის „განჩინების“ ფორმით¹⁷.

სასამართლოს განჩინებებს, თუ ფართო გაგებით მიუვადებთ, სასამართლოს გადაწყვეტილებათა ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ხოლო ვიწრო გაგებით – სასამართლო დადგენილების ერთ-ერთ სახეს, ისევე როგორც თვით სასამართლოს გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. როგორც ვხედავთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განჩინების სასამართლო გადაწყვეტილებისაგან ძირითად განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევს იმას, რომ იგი საქმეს არსებითად არ წყვეტს. მიგვაჩნია, რომ განჩინების გადაწყვეტილებისაგან გამოიჯვნა მხოლოდ იმ მახასიათებლით, რომ მისით საქმე არსებითად არ წყდება არასრულია, ვინაიდან აღნიშნული თვისება ახასიათებთ ისეთ სასამართლო დადგენილებებსაც, როგორცაა გადახდის ბრძანება და ბრძანება ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ. გარდა ამისა, „რა ითვლება საქმის არსებითად გადაწყვეტად და რა არ ითვლება ამ პასუხს კანონმდებლობა არ შეიცავს. ამიტომ უნდა მივმართოთ პრაქტიკას. სასამართლო

17 აეთანდლილ კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003; გვ. 325-326.

პრაქტიკის თანახმად კი საქმის არსებითად გადაწყვეტად ითვლება სასამართლოს ისეთი მსჯელობა, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის (განცხადების) ბედს, ანუ მსჯელობა იმის შესახებ, დაკმაყოფილდეს სარჩელი თუ უარი ეთქვას მოსარჩელეს (განმცხადებელს) მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. რაც შეეხება სასამართლოს მსჯელობებს სარჩელის (განცხადების) დასაშვებობის ანუ მისი წარმოებაში მიღების წინაპირობების შესახებ, სარჩელის განუხილველად დატოვების, თუ საქმისწარმოების შეჩერების შესახებ, ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ და ა.შ. აისახება სასამართლოს განჩინებებში, რადგან ასეთი მსჯელობები არ განსაზღვრავენ საქმის ბედს, უფრო ზუსტად, არ განსაზღვრავს მხარის მოთხოვნის ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებულობასა თუ დაუსაბუთებლობას¹⁸. როგორც ვხედავთ, კანონმდებლობაში სასამართლო პრაქტიკითაა განსაზღვრული იმ საკითხების წრე, რაზეც მიიღება განჩინება, რომლის როლი სამოქალაქო პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან განჩინებით წყდება სხვადასხვა მნიშვნელოვანი, საქმის განხილვასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც ეყრდნობა სასამართლო დავის არსებითად გადაწყვეტისას, რომელიც აძლევს მიმართულებას საქმის მსვლელობას. „განჩინება, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება საქმის მოძრაობის მართვას, პროცესის ორგანიზებას, ისინი მიმართულია პროცესის წარმოშობის განვითარების და დამთავრებისაკენ. განჩინებით წესრიგდება სასამართლო, აგრეთვე სასამართლო შემადგენლობისა და პროცესის მონაწილეთა საკითხი. ზოგიერთი განჩინებით წესრიგდება სასამართლოს მიერ საქმის განხილვის მომზადებისთვის ოპერატიული მოქმედებები, თვით საქმის განხილვა და მონაწილეთა ქმედებები. ასეთ განჩინებებს აკუთვნებენ განჩინებებს, რომლებიც ეხება ამა თუ იმ მხარის ინტერესის დაკმაყოფილებას ან უზრუნველყოფას“¹⁹.

რაც შეეხება განჩინების გამოტანის წესს, სამოქალაქო საპ-

18 თ. ლილუაშვილი, აპელაცია სამოქალაქო პროცესში, თბილისი, 2005, გვ. 59-60.

19 Советский гражданский процесс, под ред. проф. М. А. Гурвича, стр. 236.

როცესო კოდექსით გათვალისწინებულია განჩინების მიღების ორი სახე. განჩინებები მათი მიღების წესისა და მათი ჩამოყალიბების ფორმის მიხედვით პირობითად იყოფა *საოქმო განჩინებებად*, რომლებიც სასამართლოს გამოაქვს სასამართლო სხდომაზე და მათი შინაარსი აისახება სხდომის ოქმში და *დამოუკიდებელ საპროცესო დოკუმენტად ჩამოყალიბებულ განჩინებებად*, რომელიც სასამართლოს გამოაქვს სათათბირო ოთახში გასვლის შედეგად. პრაქტიკაში განჩინებათა უმეტესობა სასამართლოს გამოაქვს საოქმო განჩინების სახით.

„კანონმდებელი განსხვავებით სისხლის სამართლის პროცესისაგან, არ აღგენს რომელ საქმეზე გამოიტანს სასამართლო განჩინებას სათათბირო ოთახში, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი წესით განჩინების გამოტანა სასამართლოსთვის საუკლებულო არ არის, მაგრამ სასამართლო თვითონ წყვეტს ამ საკითხს, იმის მიხედვით, თუ რამდენად რთულ და მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ღებულობს განჩინებას. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ საჭიროა ცალკე თათბირი და აზრთა შეჯერება, ის განჩინების გამოსატანად გავა სათათბირო ოთახში, ხოლო თუ განჩინება ეხება მარტივად გადასაწყვეტ საკითხს, ის შეიძლება მიღებული იქნას სათათბირო ოთახში გაუსვლელად ადგილზე დადგენით“²⁰. ვფიქრობ, სწორედ აღნიშნული მოსაზრებაა გათვალისწინებული სსსკ-ის ბოლო ცვლილებაში და 419-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადებით პირდაპირ განისაზღვრა: საქმის ზეპირი განხილვის შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია განჩინება გამოიტანოს სათათბირო ოთახში გაუსვლელად.

სსსკ-ი დეტალურად არეგულირებს უკვე გამოტანილი განჩინების მხარეთათვის და იმ პირთათვის, ვის უფლებებზეც იგი გავლენას ახდენს, გამოქვეყნებისა და ჩაბარების წესს, მაგრამ 286-ე მუხლი გამოყოფს სამი სახის განჩინებას, რომელიც დაჩქარებულ 5-დღიან ვადაში ეგზავნება მხარეებს, რომლებიც არ ესწრებიან

20 აეთანდლი კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003; გვ. 345.

განჩინების გამოცხადებას: *საქმის წარმოების შეჩერების, სარჩელის განუხილველად დატოვების, და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებები*. თავისი ხასიათით, ეს განჩინებები წარმოადგენენ აღმკვეთ განჩინებებს, რომლებიც გამოორიცხავენ საქმის შემდგომ მსვლელობას, და სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი მათი მოკლე ვადებში ჩაბარება. „თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლოს სხვა განჩინებები, არ უნდა გადაეგზავნოს მხარეს (მხარეებს), რომელიც არ ესწრებოდა მის გამოცხადებას. ყველა განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის ან საჩივრის შეტანა, აუცილებლად უნდა გადაეგზავნოს იმ მხარეს (მხარეებს), რომელიც არ ესწრებოდა ასეთი განჩინების გამოცხადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დაიწყება კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის ათვლა და მისი შემდგომი გასაჩივრება (თუ მხარე ამას შეიტყობს მოგვიანებით) გამოიწვევს პროცესის არეულარეებასა და გაჭიანურებას. ამ მუხლში ხაზგასმულია ის, რომ მხოლოდ ზემოხსენებული განჩინებები მხარეებს უნდა გადაეცეთ დაჩქარებულ 5-დღიან ვადაში.

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, აღნიშნული საკითხი განსხვავებულად რეგულირდება. თუ ჩვენთან ყველა სასამართლო დადგენილება ექვემდებარება გამოქვეყნებას, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: სასამართლო განჩინება, რომელიც გამოტანილია ზეპირი განხილვის საფუძველზე, უნდა იქნეს გამოქვეყნებული.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: გამოქვეყნებული განჩინებები და განკარგულებები მხარეებს ეცნობებათ ნებისმიერი ფორმით, თუ ასეთი დადგენილებით ინიშნება სხდომა ან დგინდება ვადის ათვლა, ისინი უნდა იქნეს ჩაბარებულნი²¹. როგორც ვხედავთ, არა ყველა, არამედ მხოლოდ ზეპირი განხილვის საფუძველზე მიღებული განჩინებები ექვემდებარებიან გამოქვეყნებას.

21 Гражданское процессуальное уложение Германии, от 30 января 1877 г. в редакции от 12 сентября 1950 г., с изменениями и дополнениями, внесенными до 30 ноября 2005 г., 177-185.

გამოქვეყნებულთაგანაც კანონი განსაზღვრავს მხარეთათვის მხოლოდ განსაკუთრებული კატეგორიის განჩინებების სავალდებულოდ ჩაბარებას, ხოლო „ზეპირი განხილვის გარეშე გამოტანილი სასამართლო განჩინებების შესახებ საკმარისია მათი ცნობება მხარეთათვის რაიმე სპეციალური ფორმის დაცვის გარეშე, მაგალითად, ტელეფონით²². აღნიშნულიც სასამართლოს მაღალ კულტურაზე მეტყველებს და საგრძობლად ამსუბუქებს სასამართლოს შრომას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს, მაგრამ კანონის ანალოგიის თანახმად, მას შეუძლია განმარტოს განჩინება, ე.ი. განჩინების განმარტებაზე მხარეს უარი არ უნდა ეთქვას იმ მოტივით, რომ კანონი ამას არ ითვალისწინებს, მაგრამ, კანონის ანალოგიის თანახმად, მას შეუძლია განმარტოს განჩინება, ისევე, როგორც გადაწყვეტილება. ე.ი. განჩინების განმარტებაზე მხარეს უარი არ უნდა ეთქვას იმ მოტივით, რომ კანონი ამას არ ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ განჩინება აშკარად საჭიროებს განმარტებას. „გადაწყვეტილების ანალოგიურად სასამართლოს მხარეთა შეთანხმებით შეუძლია განმარტოს თავისი განჩინება, თუ იგი ამას საჭიროებს“²³.

აღნიშნული მოსაზრება საყურადღებოა და სასურველია კანონით პირდაპირ განისაზღვროს ასეთი შესაძლებლობა, ვინაიდან ზოგიერთი განჩინების არასწორად განმარტებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მხარის უფლებებზე.

როგორც აღვნიშნეთ, განჩინებაში აუცილებლად უნდა აისახოს:

- განჩინების მიღების დრო და ადგილი;
- იმ სასამართლოს დასახელება, რომელმაც განჩინება მიიღო;

22 А. Г. Давтян, Гражданское процессуальное право Германии, Москва, 2000, стр. 162-163.

23 თ. ლილუაშვილი, ვ. ზრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, II გამოცემა, თბილისი, 2007. გვ. 500.

- განჩინების მიმღები სასამართლოს შემადგენლობა და სხდომის მდივანი;
- მხარეები და დავის საგანი;
- საკითხი, რის გამოც განჩინება უნდა იქნეს მიღებული;
- განჩინების დასაბუთებულობის მიზნით ის მოტივები, რომლითაც სასამართლო მივიდა დასკვნამდე;
- კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა და რაც შეადგენს სამართლებრივ დასაბუთებულობას;
- სასამართლო დადგენილება;
- განჩინების გასაჩივრების წესი და ვადა.

**ეკონომის საკორპორაციო სამართლებრივი
დირექტივებისა და დადგენილებების მნიშვნელობა
ქართული საკორპორაციო სამართლის
კოდიფიკაციისთვის**

შესავალი

საქართველოში საკორპორაციო სამართლის პირველი კოდიფიკაციიდან 15 წელი გავიდა. მეწარმეთა შესახებ კანონმა საფუძველი ჩაუყარა ახალ, კერძო ინიციატივასა და კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საბაზრო ეკონომიკას.¹ პირველი კომერციული საზოგადოებები – სააქციო თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები ამ კანონის მიხედვით წარმოიშვა და განვითარდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ახალი ქართული ეკონომიკა ამ კანონით შექმნილმა სამეწარმეო სუბიექტებმა ჩამოაყალიბეს.

კანონის მიღებიდან დღემდე მასში მრავალი ცვლილება შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ცვლილება არ ყოფილა ერთნაირად წარმატებული თუ წარუმატებელი, ისინი ადასტურებენ ერთ ისტორიულ პროცესს, რომელსაც საქართველოში საკორპორაციო სამართლის განვითარება ეწოდება. ყოველი ეპოქა ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე დგას. დღეს საქართველოში დგას საკორპორაციო სამართლის კოდიფიკაციის აუცილებლობა. მრავალი ცვლილების შედეგად კანონი მეწარმეთა შესახებ საგრძნობლად მოძველდა, მისი მრავალი ნორმა უკვე ვერ პასუხობს დღევანდელი მითხოვნებს. არადა ამ სფეროში რევოლუციური

¹ ლადო ჭანტურია, კანონი მეწარმეთა შესახებ ქართულ სამოსამართლო სამართალში. თენგიზ ლილუაშვილი. 75. საიუბილეო კრებული. თბ. 2003. გვ. 11-30, ლადო ჭანტურია, კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. „ს. ჯორბენაძე. 70. საიუბილეო კრებული. თბ. 1996 წ. გვ. 32-55.

ცვლილებები ხდება, რომელთა გაუთვალისწინებლობა საკორპორაციო სამართლის კოდიფიკაციისას დაუშვებელია.

ქართული საკორპორაციო სამართლის ახალი კოდიფიკაციის თვალსაზრისით გამორჩეულად დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ევროპის საკორპორაციო სამართალს. ევროპის კავშირი სამართლის უნიფიკაციის სფეროში უდიდეს რეფორმებს ატარებს. ეს ეხება საკორპორაციო სამართალსაც.

ევროპის კავშირის საკორპორაციო სამართლებრივ დირექტივებსა და დადგენილებებში განმტკიცებული დებულებები საფუძველი უნდა გახდეს ქართული საკორპორაციო სამართლის ახალი კოდიფიკაციისთვის. ამიტომაც მიმანია მიზანშეწონილად და აუცილებლად ამ დირექტივების ანალიზი და განხილვა ქართულ ენაზე. საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლების მიერ დასახული ევროპის კავშირში გაწევრიანების მიზანი ევროპული საკორპორაციო სამართლისადმი ამგვარ დამოკიდებულებას კიდევ უფრო აძლიერებს. ევროპის კავშირში გაწევრიანების პროცესში საქართველოს მოუწევს ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ინკორპორაცია ქართულ სამართალში. რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უფრო უკეთესია ევროპის კავშირში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებისთვის.

ევროპის კავშირი ევროპული სახელმწიფოების უაღრესად საინტერესო და დღემდე ფრიად წარმატებულ გაერთიანებას წარმოადგენს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ისტორიულად ამ კავშირს საფუძველი მხოლოდ ქვანახშირისა და ფოლადის მოპოვებისა და წარმოების ხელშეკრულებებით ჩაეყარა, ნათელი გახდება, თუ როგორი ტრანსფორმაცია განიცადა თავდაპირველმა ეკონომიკურმა წარმონაქმნმა.

ამჟამად ევროპის კავშირი 27 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, ჰყავს 500 მილიონზე მეტი მაცხოვრებელი და ერთობლიობაში წარმოადგენს მსოფლიოს ყველაზე დიდ ეკონომიკას, რომელიც აწარმოებს მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 30%-ს.²

2 Philipp Lambach, Christoph Schieble: *EU Consours. Leitfaden zur Europäischen Union*. 2. Auflage. ViaEurope, Berlin 2007.

დღევანდელი ევროპის კავშირის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 1993 წლის 1 ნოემბერს ძალაში შესული ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ, რომელიც 2001 წელს შეიცვალა ნიცის ხელშეკრულებით. ევროპის კავშირის ამ ხელშეკრულებას ემყარება ე.წ. სამი სვეტი სახელმწიფოთა ამ კავშირის: ევროპული თანამეგობრობა (European Communities), ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, საპოლიციო და იუსტიციის სფეროში თანამშრომლობა სისხლის სამართლის საკითხებზე.

იმის გამო, რომ განვლილი წლების მანძილზე ევროპის კავშირში მრავალი ახალი სახელმწიფო გაერთიანდა და კავშირის ძველი სტრუქტურები აღარ შეესაბამებოდა ახალ რეალობებს, აუცილებელი გახდა ახალი სამართლებრივი დოკუმენტის მომზადება. ამიტომ ევროპის საბჭომ 2007 წლის 13 დეკემბერს ხელი მოაწერა ლისაბონის ხელშეკრულებას, რომლის რატიფიცირებაც წევრ სახელმწიფოებში უნდა მოხდეს 2009 წლის შუა პერიოდამდე, თუმცა ირლანდიის უარმა რეფერენდუმზე ეს პროცესი გარკვეულწილად შეაფერხა.

ამ ეტაპამდე ევროპის კავშირმა საინტერესო გზა განვლო. ყველაფერი კი დაიწყო 1951 წლის 18 აპრილს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შუმანის ინიციატივით ქვანახშირისა და ფოლადის მოპოვების ევროპული თანამეგობრობის, ე.წ. Montanunion-ის შექმნით, რომლის პირველი წევრები იყვნენ ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები. ქვანახშირისა და ფოლადის ამ თანამეგობრობის აღნიშვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც მისი მართვის ორგანოები შემდგომში საფუძვლად დაედო დღევანდელი ევროპის კავშირის ორგანოთა სტრუქტურას. კერძოდ, ამ გაერთიანებას ჰქონდა უმაღლესი უწყება სუპრანაციონალური კომპეტენციით (რომლისგანაც განვითარდა თანამედროვე ევროპის კომისია), მინისტრთა საბჭო, როგორც საკანონმდებლო ორგანო (ამჟამინდელი ევროპის კავშირის საბჭო) და სათათბირო კრება (მოგვიანებით ევროპის პარლამენტი).

ევროპული ინტეგრაციის გზაზე შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1957 წელს დადებული ე.წ. რომის ხელშეკრულებები, რომლებითაც შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა და ევროპის ატომური გაერთიანება – ევროატომი. მიზანი ამ გაერთიანებისა, რომელშიც ზემოთ აღნიშნული ექვსი სახელმწიფო მონაწილეობდა, იყო ერთიანი ბაზრის შექმნა და ამ ბაზარზე საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალი ბრუნვის უზრუნველყოფა.

ყველა ამ სამ თანამეგობრობას ჰქონდა მართვის საკუთარი ორგანოები – საკუთარი კომისია და საკუთარი საბჭო. 1967 წელს ე.წ. შერწყმის ხელშეკრულებით ეს ორგანოები გაერთიანდა და მათ ეწოდებოდა ევროპის თანამეგობრობათა ორგანოები.

1987 წელს ერთიანი ევროპული აქტის მიღებით ევროპულმა ინტეგრაციამ ახალი დინამიკა შეიძინა. 1992 წლის 7 თებერვალს ხელი მოეწერა მაასტრიხტის ხელშეკრულებას ევროპის კავშირის შექმნის თაობაზე. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა, რის საფუძველზეც მოგვიანებით შემოღებულ იქნა ევრო – ევროპის ერთიანი ვალუტა. გარდა ამისა, ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას შეეცვალა სახელწოდება და იგი გარდაიქმნა ევროპის თანამეგობრობად.

სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ გაიზარდა ევროპის კავშირში წევრად გახდომის მსურველთა რაოდენობა. ამის გამო 1993 წელს წევრმა სახელმწიფოებმა შემოიღეს ე.წ. წევრობის კოჟენკაენის კრიტერიუმები, რომლებმაც ევროპის კავშირის ფუნდამენტურ ღირებულებებად განსაზღვრეს: თავისუფლება, დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო, ადამიანის უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებები.

2004 წლის ოქტომბერში ხელი მოეწერა რომის ხელშეკრულებას, რომლითაც ევროპის კავშირში უნდა მიეღოთ ევროპის კონსტიტუცია, რომლის რატიფიკაციაც უნდა მოეხდინათ მაშინდელ 25 წევრ-სახელმწიფოს. საფრანგეთსა და პოლანდიაში რეფერენდუმზე უარის თქმის შედეგად ეს პროექტი ჩავარდა. მის საკომპენსაციოდ მიღებულ იქნა ე.წ.

ლისაბონის ხელშეკრულება, რომელიც ამ კონსტიტუციის ძირითად დებულებებს შეიცავს.

ევროპის კავშირის მიერ ეკონომიკური პოლიტიკის, შიდა ბაზრის განვითარებისა და კაპიტალის თავისუფალი ბრუნვის უზრუნველყოფის სფეროში დასახული ამოცანების განსახორციელებლად დიდია ევროპის საკორპორაციო სამართლის როლი და მნიშვნელობა.

საკორპორაციო სამართალი, როგორც პირთა კერძოსამართლებრივი გაერთიანებების სამართალი, ევროპის კავშირში სამართლის უნიფიკაციისა და პარმონიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი კოდიფიცირებული საკორპორაციო სამართალი ევროპის კავშირს არ გააჩნია, ევროპული დირექტივებისა და დადგენილებების წყალობით საკორპორაციო სამართლის მრავალი საკითხი ევროპის კავშირის წევრ-სახელმწიფოებში ერთნაირად არის მოწესრიგებული. ამას ემატება ევროპის თანამეგობრობათა სასამართლოს სამოსამართლო სამართალი, რომელიც ევროპის თანამეგობრობათა შესახებ ხელშეკრულების ნორმებზე დაყრდნობით განამტკიცებს საწარმოების დაფუძნების თავისუფლებას.³ უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა დადგენილებათა მნიშვნელობაც. ევროპის სააქციო საზოგადოებისა და ევროპის კერძო საზოგადოების შემოღება ამის თვალსაჩინო დასტურია.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ევროპის კავშირში მიღებული მნიშვნელოვანი საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივები და დადგენილებები, რომლებიც ევროპის საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტს ქმნიან. გარდა ამ დადგენილებებისა, მნიშვნელოვანია ასევე ევროპის სასამართლოს სამოსამართლო სამართალი საკორპორაციო სამართლის საკითხებზე. თუმცა წინამდებარე კვლევაში ისინი განხილული არ იქნება. პირველ თავში წარმოდგენილი იქნება საკორპორაციო

³ ამ ასპექტით აღსანიშნავია შემდეგი გადაწყვეტილებები: EuGH, Urteil v. 9.3.1999, Rs. C-212/97, Slg. 1999, I-1459 – Centros Ltd / Erhvervs- og Selskabsstyrelsen, EuGH, Urteil vom 5.11.2002, Rs.C-208/00, Slg. 2002, I-9919 – Überseering BV / Nordic Construction Company Baumanagement GmbH, EuGH, Urteil v. 30.9.2003, Rs. C-167/01, Slg. 2003, I-10155 – Kamer van Koophandel en Fabrieken voor Amsterdam / Inspire Art Ltd.

სამართლებრივი ღირექტივები, ხოლო მეორე თავი ეძღვნება საკორპორაციო სამართლებრივ დადგენილებებს.

ამ კვლევის ძირითადი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოამზადოს ნიადაგი ქართული საკორპორაციო სამართლის ახალი კოდიფიკაციისთვის, რომლის განხორციელების აუცილებლობა უკვე დღის წესრიგში დგას.

თავი პირველი

საკორპორაციო სამართლის ევროპული დირექტივები

I. პირველი დირექტივა ე.წ. საჯაროობის დირექტივა
(1968 წლის 9 მარტი. ცვლილებები და დამატებები
2003 წლის 15 ივლისის დირექტივით)

1. დირექტივის მიზნები

საკორპორაციო სამართლის პირველი ევროპული დირექტივა,⁴ რომელიც საჯაროობის დირექტივის სახელწოდებითაც არის ცნობილი,⁵ ევროპის თანამეგობრობათა საბჭოს⁶ მიერ მიღებულ იქნა 1968 წლის 9 მარტს. მისი მიზანი არის ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის დამფუძნებელი ხელშეკრულების⁷ 54-ე მუხლის მე-3 აბზაციით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობის ადგილის არჩევის თავისუფლების შეზღუდვათა გაუქმება.⁸ ამ კონტექსტში დირექტივა ყურადღებას ამახვილებს კაპიტალური საზოგადოებების საქმიანობის, განსაკუთრებით კი მათი დამფუძნებელი ან სტატუსის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი დოკუმენტების გახსნილობას⁹ და მათ ხელმისაწვდომობაზე მესამე პირ-

4 First Council Directive 68/151/EEC of 9 March 1968 on co-ordination of safeguards which, for the protection of the interests of members and others, are required by Member States of companies within the meaning of the second paragraph of Article 58 of the Treaty, with a view to making such safeguards equivalent throughout the Community. Official Journal L 065 , 14/03/1968 P. 0008 – 0012.

5 ამგვარი სახელწოდებით არის ეს დირექტივა გერმანულ სამართალში ცნობილი: უბლიზიტ ტსრიცკტლინიე.

6 The Council of the European Communities

7 Treaty establishing the European Economic Community

8 The abolition of restrictions on freedom of establishment.

9 ქართულ ენაში ტერმინ „გახსნილობასთან“ დაკავშირებით იხ: ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. თბ. „სამართალი“, 2006 წ. გვ. 17.

თათვის.¹⁰ კაპიტალურ საზოგადოებებთან ურთიერთობაში მყოფ მესამე პირებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი და ამომწურავი ინფორმაცია ამ საზოგადოებების შესახებ – ეს არის პირველი დირექტივის უმთავრესი მიზანი და მის მისაღწევად ევროპული საკორპორაციო სამართლის აღნიშნული დოკუმენტი აწესებს კაპიტალური საზოგადოებების შესახებ ზოგი ინფორმაციის გახსნილობის ვალდებულებას.

2003 წლის 15 ივლისს მიღებულ იქნა ახალი დირექტივა, რომელმაც ცვლილებები შეიტანა პირველ დირექტივაში.¹¹ ეს ცვლილებები ძირითადად გამოიწვია ინფორმატიული ტექნოლოგიებისა და ტრანსნაციონალური სამეწარმეო საქმიანობის განვითარებამ. ამის შესაბამისად, ცვლილებებმა მიზნად დაისახეს გახსნილობის მოვალეობის განხორციელებისა და მისი შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების გაიოლება.¹²

დეკლარირებულ მიზანთან მიმართებაში დირექტივის ძირითადი თემა არის კაპიტალური საზოგადოებების წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადებული გარიგებების ნამდვილობის საკითხი. კერძოდ, მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული იმ საფუძვლების ნუსხა, რომლებიც საზოგადოების წარმომადგენლობით ორგანოთა მიერ დადებული გარიგებების ბათილობას იწვევენ.¹³ ეს მიზანდასახულობა ემსახურება იმას, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობაში მყოფ პირებს ჰქონდეთ სტაბილური და მყარი გარანტიები საქმიანი კონტაქტების დამყარებისა და განხორციელებისთვის.

10 the basic documents of the company should be disclosed in order that third parties may be able to ascertain their contents and other information concerning the company, especially particulars of the persons who are authorised to bind the company

11 Directive 2003/58/EC of the European Parliament and of the Council of 15 July 2003 amending Council Directive 68/151/EEC, as regards disclosure requirements in respect of certain types of companies, Official Journal L 221 , 04/09/2003 P. 0013 _ 0016

12 დირექტივის ნორმები ქვემოთ განხილული იქნება 2003 წლის ცვლილებების გათვალისწინებითა და ახალი რედაქციით.

13 it is necessary, in order to ensure certainty in the law as regards relations between the company and third parties, and also between members, to limit the cases in which nullity can arise and the retroactive effect of a declaration of nullity, and to fix a short time limit within which third parties may enter objection to any such declaration

2. გახსნილობის ვალდებულება

ა. მონაცემები, რომლებზეც ვრცელდება გახსნილობის ვალდებულება

კაპიტალური საზოგადოებების მონაწილეობით წარმოშობილ ურთიერთობებში მესამე პირთა უფლებების დასაცავად ზოგიერთი მონაცემის გახსნილობასა და ხელმისაწვდომობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქედან გამომდინარე, ღირექტივა განსაზღვრავს ამ მონაცემების ნუსხას და ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, რომ აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

აა. წესდება და დამფუძნებელი დოკუმენტები

გახსნილი და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების წესდება¹⁴ და დამფუძნებელი დოკუმენტები,¹⁵ თუკი კანონმდებლობა დამფუძნებელი დოკუმენტების არსებობას წესდებისაგან დამოუკიდებლად ითვალისწინებს.¹⁶ სავალდებულოა, რომ ხელმისაწვდომი იყოს ასევე წესდების ყოველი ცვლილება.¹⁷ ამ მიზნით ღირექტივა მოითხოვს, რომ დამფუძნებელი დოკუმენტების ან წესდების ყოველგვარი ცვლილების შემდეგ ამ აქტების სრული ტექსტების საკონტროლო რედაქცია იყოს ხელმისაწვდომი.¹⁸

ბბ. მონაცემები საზოგადოების ორგანოების შესახებ

გახსნილი უნდა იყოს ინფორმაცია საზოგადოების ორგანოების ან მათი წევრების დანიშვნისა და გამოწვევის შესახებ, აგრეთვე პერსონალური მონაცემები კანონით გათვალისწინებული მართვის ორგანოთა იმ წევრების შესახებ, რომლებიც უფლებამოსილი არიან საზოგადოება სასამართლოში ან მესამე პირებთან ურთიერთო-

14 The statute; Die Satzung.

15 instrument of constitution; Der Errichtungsakt.

16 Art. 2 (1)(a)

17 Art. 2 (1)(b)

18 Art. 2 (1)(c)

ბაში, ე.წ. სასამართლოს გარე ურთიერთობებში¹⁹ წარმოადგინონ.²⁰

გახსნილობას ექვემდებარება ასევე მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომლებიც საზოგადოების მართვაში, სამეთვალყურეო ან საკონტროლო ორგანოების საქმიანობაში იღებენ მონაწილეობას.

საზოგადოების ორგანოებთან დაკავშირებით გახსნილობის ვალდებულება მოითხოვს აგრეთვე იმის მითითებას, საზოგადოების უფლებამოსილ პირებს ერთპიროვნულად თუ მხოლოდ ერთობლივად შეუძლიათ საზოგადოების წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში.

გვ. მონაცემები ქონებრივი მდგომარეობის შესახებ

გახსნილობის ობიექტია საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობაც და იმის აღნიშვნაც, თუ რა პროცენტურა უნდა იქნეს დაცული კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, კერძოდ, საჭიროა თუ არა წესდების შეცვლა და ა.შ.²¹ ეს ინფორმაცია წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გამოქვეყნდეს.

ყოველი სამეურნეო წლისთვის უნდა გამოქვეყნდეს ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში იმ პირების მითითებით, რომლებსაც ეკისრებათ ამ დოკუმენტების დამოწმების მოვალეობა.²²

დდ. სხვა მონაცემები, რომლებზეც ასევე ვრცელდება გახსნილობის მოვალეობა

გახსნილი უნდა იყოს ინფორმაცია საზოგადოების ადგილსამყოფელის შეცვლის შესახებ.²³

განსაკუთრებული ყურადღების საგანი ღირეექტივაში არის საზოგადოების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხების გახს-

19 in dealings with third parties and in legal proceedings; gerichtlich oder aussergerichtlich.

20 Art. 2 (1)(d)

21 Art. 2 (1)(c)

22 Art. 2 (1)(f)

23 Art. 2 (1)(g)

ნილობა. კერძოდ, გახსნილი უნდა იყოს ინფორმაცია საზოგადოების გაუქმების შესახებ,²⁴ ასევე სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საზოგადოების ბათილობა იქნა დადგენილი.²⁵

საზოგადოების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული პროცედურაც გახსნილად უნდა მიმდინარეობდეს. ამიტომ გახსნილი უნდა იყოს ინფორმაცია ლიკვიდატორების დანიშვნის, მათი პიროვნებისა და უფლებამოსილების შესახებ, თუკი ეს უფლებამოსილება კანონიდან ან წესდებიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს.²⁶ საჯარო უნდა იყოს ასევე ინფორმაცია ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ სპეციალური რეესტრიდან საზოგადოების ამომშლის ჩათვლით.

ბ. გახსნილობის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა

მართალია, საჯაროობის დირექტივა ბაზარზე მოქმედ კაპიტალურ საზოგადოებებს მნიშვნელოვან ვალდებულებებს აკისრებს, მაგრამ ამ ვალდებულებათა შესრულების პირობების უზრუნველყოფა წვერი სახელმწიფოების ამოცანაა. ასე, მაგალითად, წვერმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ცენტრალური რეესტრის, სავაჭრო ან საკორპორაციო რეესტრის წარმოება, რომელშიც მოხდება გახსნილობას დაქვემდებარებული ინფორმაციის რეგისტრაცია. ამ მიზნით დირექტივა მოითხოვს, რომ თითოეულ კორპორაციაზე გაიხსნას ცალკე სარეგისტრაციო საქმე.²⁷ ყველა საბუთი და მონაცემი, რომელზეც ვრცელდება გახსნილობის მოვალეობა, ჩაკერებული უნდა იყოს ამ საქმეში ან დარეგისტრირდეს რეესტრში.²⁸

2003 წლის დირექტივის მნიშვნელოვანი სიახლე წვერი

24 The winding up of the company; Die Auflösung der Gesellschaft _ Art. 2(1)(h)

25 Declaration of nullity of the company; Die Nichtigkeit der Gesellschaft – Art.

2(1)(i)

26 Art. 2 (1)(j)

27 File, die Akte: Art. 3 (1).

28 Art. 3 (2)

სახელმწიფოებისთვის დაკისრებულ ერთ-ერთ ვალდებულებას უკავშირდება, რომლის თანახმად 2007 წლის 1 იანვრისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ საზოგადოებებმა, რომლებზეც გახსნილობის ვალდებულება ვრცელდება, შეძლონ მონაცემების მიწოდება ელექტრონული ფორმით.²⁹ უფრო მეტიც, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, რომ ელექტრონული ფორმით ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებებს კანონით დააკისრონ კიდევ.

ელექტრონული ფორმით ინფორმაციის მიწოდებისა და მისი გამოქვეყნების ვალდებულება არ აუქმებს საზოგადოებათა რეგისტრაციის იმ წესს, რომელიც წევრ სახელმწიფოებში არსებობს,³⁰ თუმცა მნიშვნელოვანი სიახლეები შეაქვს მასში. კერძოდ, გერმანიაში 2007 წლის 1 იანვრიდან საზოგადოებათა დამფუძნებელი და რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს ელექტრონული ფორმით. ამ დოკუმენტების სანოტარო დამოწმება სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მაინც შენარჩუნებულია.³¹

საჯაროობის ვალდებულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს დაინტერესებული პირებისთვის გახსნილობას დაქვემდებარებული მონაცემების მიწოდების შესაძლებლობა. 2003 წლის დირექტივის თანახმად, დაინტერესებულ პირებს ასლების მიღება შეუძლიათ როგორ წერილობითი ისე ელექტრონული ფორმით. იმის შესაბამისად, წერილობით თუ ელექტრონული ფორმით არის ასლები გაცემული, განსხვავებულია მათი კორექტულობის დაზუსტების წესიც. წერილობით გაცემული ასლი ოფიციალურად დასტურდება, ხოლო ელექტრონული ფორმით გაცემული – არა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დაინტერესებული პირი ამას დაჟინებით მოითხოვს.³²

29 Art. 3 (2)

30 მაგალითად, გერმანიაში სამეწარმეო საზოგადოებების რეგისტრაცია ხდება სასამართლოებში და ეს წესი საჯაროობის დირექტივით არ იცვლება.

31 Pressemitteilung des Bundesministerium der Justiz vom 28. September 2006: www.bmj.bund.de/enid/0,0/Presse/Pressemitteilungen_58.html

32 Art 3 (3)

ზემოთ აღნიშნული მონაცემები და საბუთები აუცილებელია გამოქვეყნდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ ოფიციალურ ორგანოში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.³³

საბუთებისა და მონაცემების გახსნილობას აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობაც: ეს მონაცემები მესამე პირთა მიმართ შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ იქნეს გამოქვეყნებული, რაც ისინი გამოქვეყნებულ იქნა.³⁴ ამასთან, გამოქვეყნებული ინფორმაციის შესაბამისობის უზრუნველყოფა რეგისტრირებულ მონაცემებთან წვერი სახელმწიფოს მოვალეობას წარმოადგენს. ამ გარემოების დიდი მნიშვნელობა აიხსნება სწორედ იმით, რომ მესამე პირებს უფლება აქვთ დაეყრდნონ გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორის პრეზუმფციას.³⁵

საჯაროობის დირექტივა წვერ სახელმწიფოებს აკისრებს მოვალეობას, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.³⁶

წვერი სახელმწიფოების მოვალეობას წარმოადგენს ისიც, რომ მათ სავალდებულო წესით დაუდგინონ საზოგადოებებს საქმიან ქალაქებზე, ე.წ. ბლანკებზე იმ მონაცემების მითითება, რომლებიც დაფიქსირებულია სარეგისტრაციო საქმეში.³⁷ ასევე წვერი სახელმწიფოების მოვალეობას შეადგენს იმის განსაზღვრა, თუ რომელი პირები არიან პასუხისმგებელნი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე.³⁸

33 magaliTad. germaniaSi saregistracio monacemebis gamoqveyneba gardamavali periodisTvis 2008 wlamde gaTvaliswinebulia yoveldRiur gazeTSic.

34 Art. 3 (5)

35 Art. 3 (6)

36 Art. 3a (2)

37 Art. 4

38 Art. 5

3. საზოგადოების მონაწილეობა სამოქალაქო ურთიერთობებში

პირველი დირექტივა არ შემოიფარგლება მხოლოდ გახსნილობის მოვალეობით და საზოგადოებათა (კორპორაციების) საქმიანობის კიდევ სხვა რამდენიმე ასპექტს შეეხება, რომლებმაც უკვე დაიმკვიდრეს თანამედროვე საკორპორაციო სამართალში, მათ შორის ქართულ სამართალში, თავისი ადგილი.

ა. დამფუძნებელთა პასუხისმგებლობა საზოგადოების ქმედებისათვის

თუ დამფუძნებლის პროცესში მყოფი საზოგადოების სახელით განხორციელდა რაიმე მოქმედება მანამ, სანამ საზოგადოება უფლებიანობას მოიპოვებდა,³⁹ და საზოგადოება არ კისრულობს პასუხისმგებლობას ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ვალდებულებებისთვის, მაშინ პასუხისმგებლობა ეკისრებათ მოქმედების განმხორციელებელ პირებს შეუზღუდავად როგორც სოლიდარულ მოვალეებს.⁴⁰

ბ. საზოგადოების წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობებში საზოგადოება, როგორც სამართლის უფლებიანობის სუბიექტი, სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილეობს თავისი ორგანოების მეშვეობით. ცხადია ამ ორგანოების სტრუქტურა, კომპეტენცია და შექმნის წესი ნაციონალური სამართლით განისაზღვრება. მაგრამ ორგანოთა საქმიანობის რამდენიმე ასპექტი სცილდება წმინდა ეროვნულ ჩარჩოებს და ამიტომაც გახდა ევროპული დირექტივის რეგულირების საგანი.

საჯაროობის მოვალეობა აღიარებს იმ ფაქტს, რომ გამოქვეყნებულ მონაცემებს მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ მესამე პირებისთვის, არამედ მბოჭავი ხასიათიც თავად საზოგადოებისთვის.

39 before a company being formed has acquired legal personality.

40 Art. 7

ვის. მაგალითად, თუ დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდა მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომლებმაც საზოგადოება, როგორც საზოგადოების ორგანომ უნდა წარმოადგინონ მესამე პირებთან ურთიერთობაში, თანამდებობაზე მათი დანიშვნისას არსებული დარღვევები არ შეიძლება მესამე პირებთან ურთიერთობაში იქნეს გამოყენებული. გამონაკლისი გათვალისწინებულია იმ შემთხვევებში, როცა მესამე პირებმა იცოდნენ ამ ხარვეზის (ნაკლის) შესახებ.⁴¹

ღირექტივაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საზოგადოებას ვალდებულებები წარმოეშობა სწორედ მისი ორგანოების მოქმედებების შედეგად მაშინაც კი, როცა ეს მოქმედებები არ განეკუთვნება საწარმოს საქმიანობის საგანს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მოქმედებები იმ უფლებამოსილებებს არღვევენ, რომლებიც კანონით ამ ორგანოებისთვის არის დადგენილი.⁴² თუმცა უფლებამოსილებების გადაჭარბება მხოლოდ მაშინ შეიძლება პასუხისმგებლობისაგან საზოგადოების გათავისუფლების საფუძველი გახდეს, როცა მესამე პირმა იცოდა ამის შესახებ. მხოლოდ საწესდებო ჩანაწერი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ საზოგადოება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.⁴³

საზოგადოების ორგანოთა უფლებამოსილების შეზღუდვას, რომელიც მხოლოდ წესდებით არის გათვალისწინებული, მესამე პირებისთვის არა აქვს იურიდიული ძალა იმ შემთხვევაშიც, თუკი ეს შეზღუდვები გამოქვეყნებულია.⁴⁴ ამრიგად, ევროპული ღირექტივა საზოგადოების ორგანოთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას მხოლოდ კანონის საფუძველზე მიიჩნევს მესამე პირებისთვის ძალის მქონე აქტად.

41 Art. 8

42 Art 9 (1)

43 Art. 9 (1) მეორე აბზაცი

44 Art. 9 (2)

4. საზოგადოების ბათილობა

მართალია, საზოგადოებათა დაფუძნება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა კერძო ავტონომიის გამოვლინებაა, მაგრამ ევროპის საკორპორაციო სამართალი მოითხოვს, რომ ეს პროცესი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდეს. ამ მიზნით ღირე-ქტივა აღგენს, რომ „საზოგადოების დამფუძნებელი დოკუმენტები და წესდება, ასევე ამ დოკუმენტების ცვლილებები ოფიციალურად იყოს დამოწმებული“.⁴⁵

პირველი ევროპული ღირექტივა საზოგადოებათა საქმიანობის მყარ გარანტიებსაც აღგენს და აწესებს იმ პირობების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლის დროსაც დაიშვება საზოგადოებათა ბათილობა. საზოგადოების ბათილობა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით⁴⁶ და მხოლოდ შემდეგი პირობების არსებობისას:

პირველი, თუ საზოგადოების დაფუძნების აქტი არ არსებობს ან არ არის დამოწმებული ოფიციალურად;⁴⁷

მეორე, თუ საწარმოს საქმიანობის საგანი მართლსაწინააღმდეგოა ან ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს;⁴⁸

მესამე, თუ დაფუძნების აქტი ან წესდება არ შეიცავს საზოგადოების ფირმას, შესატანებს, ხელმოწერილი კაპიტალის ოდენობას ან საწარმოს საქმიანობის საგანს;⁴⁹

მეოთხე, თუ დარღვეულია ნაციონალური სამართლის წესები მინიმალური საწესდებო კაპიტალის შეტანის შესახებ;⁵⁰

მეხუთე, თუ საზოგადოების ყველა დამფუძნებელი ქმედუნაროა;⁵¹

მექვსე, თუ დამფუძნებელთა რაოდენობა იმაზე ნაკლებია,

45 Art. 10

46 Art. 11 (1)

47 Art. 11 (2)(a)

48 Art. 11 (2)(b)

49 Art. 11 (2)(c)

50 Art. 11 (2)(d)

51 Art. 11 (2)(e)

ვიდრე ეს დადგენილია ეროვნული სამართლით.⁵²

საზოგადოებათა ბათილობის ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლები ამომწურავია და დაუსუქებელია სხვა საფუძვლებით საზოგადოებათა მიჩნევა ბათილად.

საზოგადოების ბათილად გამოცხადება არ იწვევს საზოგადოების ვალდებულებათა ბათილობას.⁵³ ბათილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით იწყება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესი.⁵⁴

II. მეორე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1976 წლის 13 დეკემბერი)

1. დირექტივის მიზანი

საკორპორაციო სამართლის მეორე ევროპული დირექტივა მიღებულ იქნა 1976 წლის 13 დეკემბერს.⁵⁵ პირველისაგან განსხვავებით, იგი მხოლოდ სააქციო საზოგადოებებს შეეხება და აწესრიგებს სააქციო საზოგადოებების დაფუძნებისა და მათში საწესდებო კაპიტალის გაზრდისა თუ შემცირების საკითხებს იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას როგორც საზოგადოების აქციონერების, ისე საზოგადოების კრედიტორების ინტერესები. დირექტივის თანახმად, სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი დოკუმენტები და წესდება უნდა იძლეოდნენ ამომწურავ ინფორმაციას საზოგადოების კაპიტალის შესახებ, ხოლო კანონმდებლობა კი უნდა უზრუნველყოფდეს კაპიტალის, როგორც კრედიტორთა უზრუნველყოფის საშუალების, შენარჩუნებას.

52 Art. 11 (2)(f)

53 Art. 12 (3)

54 Art. 12 (2)

55 Second Council Directive 77/91/EEC of 13 December 1976 on coordination of safeguards which, for the protection of the interests of members and others, are required by Member States of companies within the meaning of the second paragraph of Article 58 of the Treaty, in respect of the formation of public limited liability companies and the maintenance and alteration of their capital, with a view to making such safeguards equivalent, Official Journal L 026 , 31/01/1977 P. 0001 _ 0013

მოცულობითაც და მნიშვნელობითაც მეორე დირექტივა შეიცავს ფუძემდებლურ წესებს, რომლებიც დიდი ხანია უკვე იქცნენ სააქციო სამართლის შინაარსის განმსაზღვრელ ნორმატივებად ევროპულ სამართალში.

2. სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი დოკუმენტებისა და წესდების სავალდებულო რეკვიზიტები

დირექტივა ერთმანეთისაგან განასხვავებს საზოგადოების წესდების ან საზოგადოების დამფუძნებელი დოკუმენტების სავალდებულო რეკვიზიტებსა და იმ რეკვიზიტებს, რომლებიც გახსნილობის ვალდებულებას ექვემდებარებიან და რომლებიც ასევე უნდა შეადგენდნენ წესდების შინაარსის სავალდებულო ნაწილებს.

საზოგადოების წესდება ან დამფუძნებელი დოკუმენტები სულ ცოტა უნდა შეიცავდნენ შემდეგ მონაცემებს: ა. საზოგადოების სამართლებრივ ფორმას და საფირმო სახელწოდებას; ბ. საწარმოს საქმიანობის საგანს; გ. ხელმოწერილი საწესდებო კაპიტალის ოდენობას;⁵⁶ დ. დებულებებს საზოგადოების იმ ორგანოთა შექმნისა და მათი წევრების არჩევის წესსა და პირობებს, რომელთაც აკისრიათ მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოების წარმომადგენლობა, საზოგადოების ხელმძღვანელობის, კონტროლისა და მეთვალყურეობის კომპეტენცია, ასევე ამ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა, თუკი ეს კანონიდან არ გამომდინარეობს; საზოგადოების ხანგრძლივობა, თუკი იგი უვადოდ არ არის დაფუძნებული.⁵⁷

ბუნებრივია, რომ მეორე დირექტივის მიღებით პირველ დირექტივას ძალა არ დაუკარგავს. ამიტომ გახსნილობის ვალდებულება, რომელიც პირველი დირექტივის მიხედვით კაპიტალურ

⁵⁶ თუკი საზოგადოება ითვალისწინებს ნებადართული კაპიტალის არსებობას, მაშინ უნდა აღინიშნოს ამ კაპიტალის ოდენობა და მისი თანაფარდობა ხელმოწერილ კაპიტალთან.

⁵⁷ Art 2.

საზოგადოებებს აკისრიათ, თავის გამოხატულებას მეორე დირექტივაშიც პოულობს. კერძოდ, მეორე დირექტივის მე-3 მუხლის მიხედვით, დოკუმენტები, რომლებზეც გახსნილობის ვალდებულება ვრცელდება,⁵⁸ უნდა შეიცავდნენ, სულ ცოტა, შემდეგ მონაცემებს:

- ა. საზოგადოების ადგილსამყოფელს;
- ბ. ხელმოწერილი აქციების ნომინალურ ღირებულებას და წელიწადში ერთხელ მაინც ამ აქციების რაოდენობას;
- გ. ხელმოწერილი აქციების რაოდენობას მათი ნომინალური ღირებულების მითითების გარეშე;
- დ. იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომლებიც ზღუდავენ აქციების გადაცემას, თუკი ასეთი პირობები არსებობს;
- ე. თუკი აქციათა რამდენიმე სახეობა არსებობს, მაშინ უფლებებს, რომლებიც თითოეულ მათგანთან არის დაკავშირებული;
- ვ. აქციათა ფორმებს – სახელობითი თუ წარმომდგენის – თუკი კანონმდებლობა ამ ფორმის აქციებს უშვებს;
- ზ. ხელმოწერილი კაპიტალის უკვე განხორციელებულ შესატანს საზოგადოების დაფუძნების მომენტიისთვის ანდა საქმიანობის განხორციელების ნებართვას;
- თ. იმ აქციების ნომინალურ ღირებულებას ან, თუ ნომინალური ღირებულება არ არსებობს, აქციათა რაოდენობას, რომლებიც გაიცა საწესდებო კაპიტალში არაფულადი შესატანის სანაცვლოდ, აგრეთვე არაფულადი შესატანის სახეობას და შემტანის სახელს;
- ი. იმ პირთა მონაცემებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს საზოგადოების დამფუძნებელ დოკუმენტებს ან საზოგადოების წესდების პროექტს, რომლითაც დაფუძნდა საზოგადოება;

58 მათ განეკუთვნება წესდება, საზოგადოების დაფუძნების აქტი ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც ზემოაღნიშნულ მონაცემებს შეიცავენ.

- კ. მიახლოებით ოდენობას იმ ხარჯებისა, რომლებიც საზოგადოების დაფუძნებასთან არის დაკავშირებული;
- ლ. მითითებას ყოველგვარ შეღავათზე, რომელიც საზოგადოების დაფუძნების მომენტში ან იმ მომენტში, როცა საზოგადოება იღებს საქმიანობის დაწყების ნებართვას, მინიჭებული აქვს ვინმეს, ვინც საზოგადოების დაფუძნების ან ნებართვის მიღების პროცესში მონაწილეობდა.

3. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი და მისი დაცვა

ა. შესატანი საწესდებო კაპიტალში

მეორე ღირებულება შეიცავს მეტად მნიშვნელოვან წესებს სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ფორმირების თაობაზე და ამით სიცხადე შეაქვს იმ საკითხში, თუ რა შეიძლება გამოდგეს სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შესავსებად. კერძოდ, მეორე ღირებულების თანახმად, საწესდებო კაპიტალი შეიძლება შეივსოს მხოლოდ ისეთი ქონებრივი ობიექტებისაგან, რომელთა ეკონომიკური ღირებულების დადგენა შესაძლებელია. სამუშაოს ან მომსახურების გაწევის ვალდებულებები არ შეიძლება შეფასდეს ქონებრივ ობიექტად.⁵⁹

ღირებულება კრძალავს აქციების გაცემას მათ ნომინალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად, ხოლო თუ ასეთი ღირებულება კანონით არ არის გათვალისწინებული, მაშინ საანგარიშო ღირებულებაზე დაბალ ფასად.⁶⁰

საზოგადოების დაფუძნების მომენტისთვის ან საქმიანობის დაწყების თაობაზე ნებართვის გაცემის დროისთვის აუცილებელია, რომ გაცემული აქციების ღირებულების 25% მაინც იყოს შეტანილი.⁶¹ რაც შეეხება არაფულად შენატანებს, ისინი საზოგადოების დაფუძ-

59 Art. 7

60 Art. 8 (1)

61 Art. 9 (1)

ნებიდან ხუთი წლის მანძილზე სრულად უნდა იქნან შეტანილი.⁶² მეორე დირექტივის სახელს უკავშირდება საწესდებო კაპიტალში არაფულადი შენატანის დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შეფასების დამკვიდრების აუცილებლობა. დამოუკიდებელ ექსპერტად მიიჩნევა სახელმწიფო ორგანოს ან სასამართლოს მიერ დანიშნული ფიზიკური ან იურიდიული პირი ანდა საზოგადოება, რომელსაც ამგვარი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება აქვს მინიჭებული.⁶³

ზოგიერთ შემთხვევაში, რომელთა სანიმუშო ჩამონათვალს დირექტივა შეიცავს, შესაძლოა დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ არაფულადი შესატანის შეფასება თავიდან იქნეს აცილებული. ასე, მაგალითად, თუ საწესდებო კაპიტალის 90%-ის არაფულადი შესატანის განმხორციელებელი დამფუძნებელი აქციონერები უარს იტყვიან დამოუკიდებელი აუდიტორის შეფასებაზე.⁶⁴

დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნა ქონებრივი შესატანის თაობაზე ექვემდებარება გახსნილობის მოვალეობას და იგი უნდა გამოქვეყნდეს.⁶⁵

თუ საზოგადოება იძენს რაიმე ქონებრივ საგანს საზოგადოების დამფუძნებელი აქციონერებისგან, რომლის ღირებულება საწესდებო კაპიტალის 10%-ს შეადგენს, ეს ქონებრივი საგანი უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა.⁶⁶

ბ. შესატანისაგან გათავისუფლებისა და ქონების განაწილების დაუშვებლობა

სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შევსების მნიშვნელოვან გარანტიას შეიცავს დირექტივის მე-12 მუხლი, რომლის თანახმადაც „დაუშვებელია აქციონერების გათავისუფლება

62 Art. 9 (2)

63 Art. 10 (1)

64 Art. 10 (4)

65 Art. 10 (3)

66 Art. 11 (1)

საწესდებო კაპიტალში შესატანის შეტანის მოვალეობისაგან.⁶⁷

ღირეკტივა პრინციპულად უკრძალავს სააქციო საზოგადოებებს აქციონერებისთვის ღივიდენდების განაწილების გარდა სხვაგვარი ანაზღაურების მიცემას, თუკი არ ხდება საწესდებო კაპიტალის შემცირება.⁶⁸ ქონების ყოველგვარი განაწილება, ყოველგვარი საზღაური, რომელსაც აქციონერები მიიღებენ სააქციო საზოგადოებისაგან, მათ უკან უნდა დაუბრუნონ საზოგადოებას, თუკი საზოგადოება დაამტკიცებს, რომ ამგვარი განაწილების დაუშვებლობის შესახებ აქციონერებმა იცოდნენ.⁶⁹

საზოგადოების კაპიტალის სერიოზული დანაკლისის (serious loss) შემთხვევაში, ღირეკტივა მოითხოვს, რომ სასწრაფოდ იქნეს მოწვეული აქციონერთა საერთო კრება იმის შესამოწმებლად, ზომ არ არსებობს საზოგადოების გაუქმების (დაშლის) საფუძვლები ან ზომ არ უნდა იქნას სხვა ღონისძიებები გატარებული.⁷⁰

გ. საკუთარი აქციების შეძენის დაუშვებლობა

ღირეკტივით დადგენილი ზოგადი წესის თანახმად, „საზოგადოებას არა აქვს საკუთარ აქციებზე ხელმოწერის უფლება“.⁷¹

იმ შემთხვევებში, როცა წევრი სახელმწიფოების სამართალი ითვალისწინებს სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარის აქციების შეძენის შესაძლებლობას, ასეთი რამ მხოლოდ გამონაკლისის სახით და ისიც გარკვეული წინაპირობების არსებობისას უნდა იქნას დაშვებული. ეს პირობები შემდეგია.

პირველი, საკუთარი აქციების შეძენის ნებართვა უნდა გასცეს აქციონერთა საერთო კრებამ, რომელმაც ასევე უნდა განსაზღვროს აქციების შეძენის პირობები (მაქსიმალური რაოდენობა, ვადა, ღი-

67 Art. 12

68 Art. 15. ეს მუხლის შეიცავს მრავალ წესს, რომლებიც აქციონერებისთვის ღივიდენდების გარდა სხვა ანაზღაურების მიცემის აკრძალვის წესისგან გამონაკლისებს ითვალისწინებენ.

69 Art. 16.

70 Art. 17 (1) თუ რა უნდა ჩაითვალოს „ხელმოწერილი კაპიტალის სერიოზული დანაკლისად“, ამის განსაზღვრა ნაციონალური სამართლის კომპეტენციას შეადგენს.

71 Art. 18 (1)

რებულება და ა.შ.).

მეორე, იმ აქციების ნომინალური ღირებულება ან ცალობრივი ღირებულება, რომლებიც საზოგადოებამ ადრე შეიძინა და ჯერ კიდევ მის მფლობელობაშია.

მესამე, აქციების შეძენამ არ უნდა გამოიწვიოს საზოგადოების აქტივების შემცირება.

მეოთხე, საკუთარი აქციების შეძენა შეიძლება შეეხოს მხოლოდ იმ აქციებს, რომელთა ფასიც სრულად არის გადახდილი.⁷²

საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების შეძენის აკრძალვის წესი, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, არ გამოიყენება იმ აქციებზე, რომელთა შეძენა ხდება საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად ანდა იმ აქციებზე, რომელთა ჩამონათვალს ღირეპტივა მე-20 მუხლში დაწერილებით შეიცავს.⁷³

საკუთარი აქციების შეძენისათვის დადგენილი წესების დარღვევით შეძენილი აქციები ერთი წლის ვადაში უნდა იქნას გასხვისებული. წინააღმდეგ შემთხვევაში აქციები ჩაითვლება ბათილად.⁷⁴

საზოგადოების აქციების შეძენასთან დაკავშირებით ღირეპტივა ერთ საყურადღებო წესს შეიცავს. კერძოდ, საზოგადოებას არა აქვს უფლება თავისი აქციების შესაძენად შეძენის მსურველებს სესხი ან სხვაგვარი ავანსი გასცეს.⁷⁵

დ. კაპიტალის გაზრდა და მისი შემცირება

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ყოველი გაზრდა მოითხოვს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებას. ეს გადაწყვეტილებაც და მისი განხორციელების მიმდინარეობაც ექვემდებარება საჯაროობის ვალდებულებას, რომელიც პირველი ღირეპტივით არის დადგენილი.⁷⁶

72 Art. 19 (1)

73 Art. 20

74 Art. 21.

75 Art. 23 (1)

76 Art. 25

არაფულადი შესატანები, რომლებიც აქციების სანაცვლოდ უნდა იქნას საწესდებო კაპიტალში შეტანილი, სავალდებულოა, რომ გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი წლის განმავლობაში იქნეს სრულად შეტანილი.⁷⁷ ამ დროს დაცული უნდა იქნას არაფულადი შესატანის შეფასებისა და შეტანისათვის დადგენილი წესები, განსაკუთრებით არაფულადი შესატანის შეფასებაში დამოუკიდებელი ექსპერტის მონაწილეობის თაობაზე.

იმ შემთხვევებში, როცა საწესდებო კაპიტალის გაზრდა ხდება ფულადი შესატანების გზით, ღირექტივა მოითხოვს, რომ აქციები პირველ რიგში შეთავაზებულ იქნას აქციონერებსზე მათი აქციების პროპორციული ოდენობით.⁷⁸

შეთავაზება გამოშვებული აქციების უპირატესად შეძენის შესახებ მისი გამოყენების პირობების ჩათვლით ექვემდებარება სავალდებულო გამოქვეყნებას პირველი ღირექტივის შესაბამისად. ასეთი გამოქვეყნება არ არის სავალდებულო, თუკი საზოგადოებას გამოშვებული აქვს მხოლოდ სახელობითი აქციები. ამ დროს თითოეულ აქციონერს წერილობით უნდა შეეტყობინოს შეთავაზების თაობაზე.⁷⁹

აქციების უპირატესად შეძენის უფლება არ შეიძლება წესდებით ან საზოგადოების დაფუძნების აქტით შეიზღუდოს ან საერთოდ გამოირიცხოს. ამის გაკეთება დაიშვება მხოლოდ აქციონერთა საერთო კრებაზე, თუკი საზოგადოების გამგეობის ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი იქნება იმის დასაბუთება, თუ რატომ არის ამის გაკეთება აუცილებელი.⁸⁰

აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება ასევე აუცილებელია საზოგადოების კაპიტალის შემცირებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კაპიტალის შემცირება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.⁸¹ კაპიტალის შემცირების თაობაზე

77 Art. 27

78 Art. 29 (1)

79 Art. 29 (3)

80 Art. 29 (4)

81 Art. 30

მიღებული გადაწყვეტილებაც ექვემდებარება საჯაროობის ვალდებულებას.

თუ სხვადასხვა კლასის აქციებია გაცემული, მაშინ აუცილებელია, რომ გადაწყვეტილებას კაპიტალის შემცირების შესახებ მხარი დაუჭირონ იმ კლასის აქციონერებმა, რომელთა უფლებასაც შეიძლება შეეხოს ეს შემცირება.⁸²

სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შემცირებისას, როგორც წესი, შესაძლოა შეილახოს საზოგადოების კრედიტორების უფლებები. ამიტომ ღირექტივა მოითხოვს, რომ კრედიტორებს მიეცეთ უფლება საზოგადოებისგან მოითხოვონ თავიანთი მოთხოვნებისთვის უზრუნველყოფათა წარდგენა.⁸³

სააქციო საზოგადოება კაპიტალური საზოგადოებაა. ამიტომ საწესდებო კაპიტალის შემცირება არ შეიძლება თვითნებურად და შეუზღუდავად. კერძოდ, ღირექტივა მოითხოვს, რომ შემცირების შემდეგაც საწესდებო კაპიტალი არ უნდა იყოს კანონით ან წესდებით დადგენილ საწესდებო კაპიტალზე ნაკლები.⁸⁴

ევროპის კავშირის ზოგი ქვეყნის საკორპორაციო სამართალი ითვალისწინებს სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა იძულებით ამოღების (compulsory withdrawal of shares) შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში ღირექტივა მოითხოვს, რომ ამ ინსტიტუტის გამოყენებისათვის დაცული იყოს რამდენიმე წინაპირობა. კერძოდ, აქციათა იძულებითი ამოღების შესაძლებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს წესდებით ან დაფუძნების აქტით მანამ, ვიდრე აქციებზე იქნება ხელი მოწერილი. გარდა ამისა, გადაწყვეტილება იძულებითი ამოღების შესახებ მიღებულ უნდა იქნას აქციონერთა საერთო კრების მიერ, ხოლო საზოგადოების ორგანომ, რომელიც ამ ამოღებას ახორციელებს, უნდა განსაზღვროს ამოღების წინაპირობები და პროცედურა. აუცილებელია, რომ აქციათა იძულებით ამოღების შესახებ გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს პირველი ღირე-

82 Art. 31

83 Art. 32 (1)

84 Art. 34

ქტივით დადგენილი წესის თანახმად.⁸⁵

ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ე.წ. დაბრუნებადი აქციების (redemable shares, rückerwerbbar Aktie) გამოშვებას, რომელიც სააქციო საზოგადოებას უფლებას აძლევს გამოშვებული აქციები უკანვე დაიბრუნოს. მეორე ღირეპტივა ასეთი აქციების დასაშვებობის რამდენიმე პირობას ითვალისწინებს. პირველი, დაბრუნებადი აქციების არსებობის შესახებ მითითებული უნდა იყოს წესდებაში ამ აქციებზე ხელმოწერამდე;⁸⁶ მეორე, ამ აქციათა საფასური სრულად უნდა იყოს გადახდილი;⁸⁷ მესამე, გამოსყიდვის პირობები და განზორციელება ზუსტად უნდა იყოს წესდებაში დარეგულირებული;⁸⁸ მეოთხე, გამოსყიდვა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ თანხებით, რომლებიც დივიდენდების სახით უნდა განაწილებულიყო აქციონერებზე ანდა იმ თანხებით, რომლებიც შემოსულია ახალი აქციების განთავსების შედეგად;⁸⁹ მეხუთე, გამოსასყიდი აქციების ნომინალური ღირებულების ან აქციათა რაოდენობის შესატყვისი თანხა შეტანილ უნდა იქნას საზოგადოების სარეზერვო ფონდში და ამ თანხის განაწილება აქციონერებს შორის არ დაიშვება;⁹⁰ მეექვსე, აქციათა გამოსყიდვის შესახებ ინფორმაცია ექვემდებარება გამოქვეყნებას პირველი ღირეპტივის თანახმად.⁹¹

მეორე ღირეპტივა წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ კაპიტალთან დაკავშირებული საკითხების საკანონმდებლო მოწესრიგებისას მხედველობიდან არ იქნას გამოტოვებული აქციონერთა თანასწორუფლებიანობის საკითხი.⁹²

85 Art. 36

86 Art. 39 (a)

87 Art. 39 (b)

88 Art. 39 (c)

89 Art. 39 (d)

90 Art. 39 (e)

91 Art. 39 (h)

92 Art. 42

III. სააქციო საზოგადოებების შეიწყობა მესამე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1978 წლის 9 ოქტომბერი)

1. დირექტივის მიზნები

საკორპორაციო სამართლის მესამე ევროპული დირექტივა შეეხება სააქციო საზოგადოებების შერწყმასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და იგი მიღებულ იქნა 1978 წლის 9 ოქტომბერს.⁹³

დირექტივა რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ისახავს, რომელთა განხორციელებამაც უკვე დიდი როლი ითამაშა სააქციო საზოგადოებების შერწყმის ერთიანი ევროპული მოწესრიგების უზრუნველყოფის საქმეში. სწორედ წევრ სახელმწიფოებში სააქციო საზოგადოებების შერწყმის მომწესრიგებელი სამართლის ნორმების კოორდინირება და საზოგადოებათა შერწყმის ინსტიტუტის შემოღება იყო მესამე დირექტივის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი.

შერწყმის სამართლის მომწესრიგებელი ნორმების კოორდინირების გამოკვეთილ მიზანდასახულობას წარმოადგენს შესარწყმელი საზოგადოებების აქციონერთა მაქსიმალური ინფორმირება შერწყმის პროცესთან დაკავშირებით და მათი უფლებების სათანადოდ დაცვა.

სააქციო საზოგადოებების შერწყმის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ აქციონერების ინტერესები, არამედ შესარწყმელი საზოგადოებების კრედიტორთა უფლებები. ამიტომ მესამე დირექტივა მიზნად ისახავს იმ კრედიტორთა უფლებების დაცვასაც, რომელთა მდგომარეობაც შერწყმის შედეგად შეიძლება გაუარესდეს.

საკორპორაციო სამართლის პირველი ევროპული დირექტივით გათვალისწინებული საჯაროობის ვალდებულება წითელი ზოლი-

93 Third Council Directive 78/855/EEC of 9 October 1978 based on Article 54 (3) (g) of the Treaty concerning mergers of public limited liability companies, Official Journal L 295 . 20/10/1978 P. 0036 _ 0043

ვით გასდევს ყველა დირექტივას. ეს იგრძნობა მესამე დირექტივაშიც, რომელიც სააქციო საზოგადოებების შერწყმის პროცესსაც გახსნილობის (გამჭვირვალობის) პრიზმაში ატარებს.

2. შერწყმის ფორმები

დირექტივა ერთმანეთისაგან განასხვავებს სააქციო საზოგადოებების შერწყმის ორ ფორმას: შერწყმა ერთი ან რამდენიმე საზოგადოების მიერთების გზით (merger by acquisition) და შერწყმა ახალი საზოგადოების დაფუძნების გზით (merger by the formation of a new company).⁹⁴

ა. შერწყმა მიერთების გზით

შერწყმად საზოგადოების მიერთების გზით მიიჩნევა პროცესი, რომლითაც ერთი ან რამდენიმე საზოგადოება მთელ თავიანთ აქტივ- და პასივ ქონებას საზოგადოების გაუქმების (დაშლის)⁹⁵ მეშვეობით, მაგრამ ლიკვიდაციის გარეშე, გადასცემენ სხვა საზოგადოებას, იმ პირობით, რომ მისაერთებელი საზოგადოების აქციონერები მიიღებენ იმ საზოგადოების აქციებს, რომელიც იერთებს (მიმაერთებელი საზოგადოება).⁹⁶ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოხდეს ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საზოგადოებების მიერთებაც. ამის შესაძლებლობას მესამე დირექტივა უშვებს.⁹⁷

სხვა საზოგადოების მიერთების გზით შერწყმის აუცილებელ პირობად დირექტივა მიიჩნევს შერწყმის შესახებ წერილობით გეგმის არსებობას, რომელიც უნდა წარმოადგინონ შერწყმაში მონაწილე საზოგადოებების ხელმძღვანელმა და მმართველმა ორგანოებმა.⁹⁸

94 Art. 2

95 wind up, Auflösung

96 Art. 3 (1)

97 Art. 3 (2)

98 Art. 5 (1)

შერწყმის გეგმა ღირეკტივის თანახმად უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ა. შერწყმაში მონაწილე საზოგადოებების სამართლებრივ ფორმას, საფირმო სახელწოდებასა და ადგილსამყოფელს;⁹⁹ ბ. აქციების გაცვლის კურსს (თანაფარდობას) ან, თუ არსებობს, ფულადი გადახდის ოდენობას;¹⁰⁰ გ. მისაერთებელი საზოგადოების აქციათა გადაცემის დეტალებს;¹⁰¹ დ. დროის იმ მომენტს, რომლიდანაც აქციებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ დივიდენდების განაწილებაში;¹⁰² ე. დროის იმ მომენტს, რომლიდანაც მისაერთებელი საზოგადოების მოქმედებები საბუღალტრო ანგარიშგების თვალსაზრისით იმ საზოგადოებას შეეარაცხება, რომელიც იერთებს;¹⁰³ ვ. უფლებები, რომლებიც სპეციალური უფლებების მქონე აქციონერებს შერწყმის შემდეგ მიენიჭებათ;¹⁰⁴ ყოველგვარ უპირატესობებსა და შეღავათებს, რომლებიც ხელმძღვანელი, მართვის და საკონტროლო ორგანოების წევრებს მიენიჭებათ.¹⁰⁵

შერწყმის გეგმა სავალდებულოა გამოქვეყნდეს ერთი თვით ადრე აქციონერთა იმ საერთო კრების ჩატარებამდე, რომელმაც შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.¹⁰⁶

შერწყმისათვის აუცილებელია შერწყმაში მონაწილე საზოგადოებების აქციონერთა კრებების გადაწყვეტილება, რომელიც, ღირეკტივის თანახმად, მიღებული უნდა იქნას ხმათა, სულ ცოტა, 2/3-ის უმრავლესობით.¹⁰⁷ ღირეკტივა ასევე უშეებს იმის შესაძლებლობას, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებულ იქნას ის პროცედურა, რაც დადგენილია წესდების ცვლილებათა მიღებისათვის.¹⁰⁸

99 Art. 5 (2)(a)

100 Art. 5 (2)(b)

101 Art. 5 (2)(c)

102 Art. 5 (2)(d)

103 Art. 5 (2)(e)

104 Art. 5 (2)(f)

105 Art. 5 (2)(g)

106 Art. 6

107 Art. 7 (1)

108 Art. 7 (1)

მისაღები გადაწყვეტილება ერთდროულად უნდა მოიცავდეს როგორც შერწყმის გეგმას, ისე მისი განხორციელებისთვის აუცილებელ საწესდებო ცვლილებებს.¹⁰⁹

საზოგადოებათა შერწყმის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი აკისრიათ შერწყმაში მონაწილე საზოგადოებების ხელმძღვანელ ორგანოებს. შერწყმის გეგმის პრაქტიკული შესრულება სწორედ მათი ამოცანაა. ამიტომაც აკისრებს ღირეპტივა ამ საზოგადოებათა ხელმძღვანელ ორგანოებს ამომწურავი წერილობითი ანგარიშის შედგენას, რომელშიც შერწყმის გეგმა და განსაკუთრებით კი, აქციათა გაცვლითი კურსი სამართლებრივად და ეკონომიკურად იქნება განმარტებული და დასაბუთებული.¹¹⁰

ღირეპტივა დაწერილებით აწესრიგებს შერწყმაში მონაწილე საზოგადოებებისთვის დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ შერწყმის გეგმის შემოწმების პროცედურასა და წესს.¹¹¹ ამ ნორმის მიზანია ის, რომ აქციონერებს ჰქონდეთ ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაცია შერწყმის პირობებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ. ეს ინფორმაცია წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს. ამიტომაც შეიცავს ღირეპტივა ექსპერტების მიერ წერილობითი ანგარიშის შედგენის წესს. ამასთან, ყოველ ექსპერტს უფლება აქვს შერწყმაში მონაწილე საზოგადოებებისგან მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია და საბუთები.¹¹²

ბ. შერწყმა ახალი საზოგადოების დაფუძნების გზით

შერწყმა ახალი საზოგადოების შექმნის გზით, ღირეპტივის თანახმად, არის პროცესი, რომლითაც რამდენიმე საზოგადოება მათ საერთო ქონებას, როგორც აქტივებს, ისე პასივებს, საზოგადოებათა გაუქმებით, ოღონდ ლიკვიდაციის გარეშე, გადასცემენ ახალ საზოგადოებას, რომელსაც ისინი აფუძნებენ, რომლის დროსაც ისინი უზრუნველყოფენ ლიკვიდირებული საზოგადოებების

109 Art. 7 (3)

110 Art. 9

111 Art. 10

112 Art. 10(3)

აქციონერებისთვის ახალი საზოგადოების აქციების გადაცემას.¹¹³

ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ძველი საზოგადოებების შერწყმით ახალი საზოგადოების დაფუძნებას. თუმცა ამ შემთხვევაში საუბარია ლიკვიდაციის პროცესის ისეთ სტადიაზე, როცა საზოგადოების დარჩენილი ქონების განაწილება აქციონერებს შორის ჯერ არ დაწყებულა.¹¹⁴

ახალი საზოგადოების დაფუძნების გზით შერწყმის წინაპირობები და საფუძვლები ისეთივეა, როგორც მიერთების გზით შერწყმისა. ამიტომ ამ წინაპირობებზე ცალკე არ შევჩერდები. მხოლოდ იმაზე გავამახვილებ ყურადღებას, რომ შერწყმის ამ ფორმის გამოყენებისას აუცილებელია, რომ როგორც შერწყმის გეგმა, ისე დამფუძნებელი დოკუმენტები და წესდება მოწონებულ იქნას ორივე საზოგადოების საერთო კრების მიერ.¹¹⁵

გ. აქციონერთა უფლებები შერწყმისას

სააქციო საზოგადოებათა შერწყმისას პირველ რიგში წამოიჭრება აქციონერთა დაცვის პრობლემა. გარდა ამისა, საბოლოო ჯამში გადაწყვეტილება შერწყმის შესახებ თვითონ აქციონერებმა უნდა მიიღონ. აქედან გამომდინარე, დირექტივა საგანგებოდ ეხება აქციონერთა მდგომარეობას და მათ მნიშვნელოვანი უფლებებით აღჭურავს. კერძოდ, ყოველ აქციონერს უფლება აქვს საერთო კრების ჩატარებამდე, სულ ცოტა ერთი თვით ადრე, გაეცნოს შემდეგ საბუთებს: ა. შერწყმის გეგმას;¹¹⁶ შერწყმაში მონაწილე საზოგადოებების წლიურ ანგარიშებსა და საქმიანობის ანგარიშებს უკანასკნელი სამი სამეურნეო წლისათვის;¹¹⁷ გ. საზოგადოებათა შუალედურ ბალანსებს;¹¹⁸ დ. ხელმძღვანელი ორგანოების ანგარი-

113 Art. 4 (1)

114 Art. 4 (2)

115 Art. 23 (3)

116 Art. 11 (1)(a)

117 Art. 11 (1)(b)

118 Art. 11 (1)(c)

შებს შერწყმასთან დაკავშირებით,¹¹⁹ ე. დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნებსა და ანგარიშებს.¹²⁰

დ. კრედიტორთა დაცვა

აქციონერების გარდა, სააქციო საზოგადოებათა შერწყმა პირდაპირ ეხება ამ საზოგადოებათა კრედიტორებს. ბუნებრივია, რომ მათი უფლებების დაცვაც შერწყმის მომწესრიგებელი ნორმების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ღირექტივა ამ საკითხის მოწესრიგებას კავშირის წევრ სახელმწიფოებს აკისრებს და განსაზღვრავს, რომ კრედიტორებს უნდა ჰქონდეთ შერწყმამდე წარმოშობილი მოთხოვნების შესრულების გარანტიები.¹²¹

ე. შერწყმის შედეგები

პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია შერწყმის შედეგები, რომელთაც ღირექტივა ამომწურავად განსაზღვრავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს შედეგები კანონით არის დადგენილი და მათი შეცვლა შერწყმის გეგმით ან სხვა შეთანხმებით დაუშვებელია. სახელდობრ, შერწყმის შედეგად ა. მისაერთებელი საზოგადოების მთელი ქონება, როგორც აქტივები, ისე პასივები, გადადის იმ საზოგადოებაზე, რომელიც იერთებს;¹²² ბ. მისაერთებელი საზოგადოების აქციონერები გადაიქცევიან იმ საზოგადოების აქციონერებად, რომელიც იერთებს;¹²³ გ. მისაერთებელი საზოგადოება ამოიშლება რეესტრიდან.¹²⁴

როგორც აღვნიშნე, შერწყმის ეს შედეგები იმპერატიულია და მათი შეცვლა მხარეთა სურვილით არ დაიშვება.

119 Art. 11 (1)(d)

120 Art. 11 (1)(e)

121 Art. 13

122 Art. 19 (1)(a)

123 Art. 19 (1)(b)

124 Art. 19 (1)(c)

ვ. შერწყმის ბათილობა

ღირექტივა ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს ასევე უწესებს განსაზღვრულ ფარგლებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა პირობების არსებობისას შეიძლება შერწყმა ბათილად იქნას მიჩნეული. კერძოდ, პირველი, ბათილობა დადგენილი უნდა იქნას სასამართლოს გადაწყვეტილებით;¹²⁵ ბ. ბათილად შეიძლება შერწყმა გამოცხადდეს, თუკი იგი არღვევს შერწყმისთვის დადგენილი წინასწარი სასამართლო ან ადმინისტრაციული კონტროლის დადგენილ პროცედურასა და პირობებს ანდა წარმოდგენილი საბუთები არ არის ოფიციალურად დამოწმებული;¹²⁶ გ. შერწყმის ბათილობის შესახებ სარჩელი დაუშვებელია შეტანილ იქნას ექვსი თვის შემდეგ იმ დროიდან, როცა შერწყმა მესამე პირებისთვის უკვე ნამდვილი გახდა;¹²⁷ დ. თუკი ხარვეზი, რომლის გამოც უნდა დადგეს შერწყმის ბათილობა, გამოსწორებადია და სასამართლო მის გამოსასწორებლად ვადას დაადგენს¹²⁸ და ა.შ.¹²⁹ ღირექტივის ამ ნორმების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა არ შექმნან ზედმეტი ბარიერები, რომლებიც საზოგადოებათა შერწყმის ინსტიტუტის ეფექტურობას ეჭვქვეშ დააყენებდნენ.

125 Art. 22 (1)(b)

126 Art. 22 (1)(b)

127 Art. 22 (1)(c)

128 Art. 22 (1)(d)

129 ეს პირობები ჩამოყალიბებულია 22-ე მუხლის პირველი აბზაცის ე.ფ.გ და 3 პუნქტებში.

IV. სააქციო საზოგადოებების გაყოფა მეექვსე საპროპორაციო სამართლებრივი ღირებულება (1982 წლის 17 დეკემბერი)

1. ღირებულების მიზანი

მიუხედავად იმისა, რომ რიგითობისა და ქრონოლოგიის მიხედვით მეექვსე ღირებულებას წინ უსწრებს მეოთხე ღირებულება, რომელიც კაპიტალური საზოგადოებების ანგარიშსწორების საკითხებს შეეხება,¹³⁰ თემატურად მეექვსე ღირებულება დაკავშირებულია მესამესთან და ავსებს კიდევ მას. საკორპორაციო სამართლის მეექვსე ევროპული ღირებულება მიღებულ იქნა 1982 წლის 17 დეკემბერს და არეგულირებს საზოგადოებათა გაყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს.¹³¹

მესამე ღირებულების მსგავსად მეექვსე ღირებულების ძირითად მიზანს შეადგენს აქციონერებისა და კრედიტორების დაცვა იმ საფრთხისაგან, რომელიც საზოგადოების გაყოფის შედეგად შეიძლება წარმოიშვას. იმავედროულად, განსხვავებით საზოგადოებათა შერწყმის ღირებულებისაგან, მეექვსე ღირებულება წევრ სახელმწიფოებს ანდობს იმის გადაწყვეტას, დაუშვებენ თუ არა ისინი საზოგადოებათა გაყოფის ინსტიტუტის შემოღებას.¹³²

მეექვსე ღირებულება არ აკონკრეტებს, თუ რომელ საზოგადოებებზე ვრცელდება მისი მოქმედება, მაგრამ მესამე ღირებულებაზე მითითება ადასტურებს არა მხოლოდ ამ ორი ღირებულების ორ-

130 Fourth Council Directive 78/660/EEC of 25 July 1978 based on Article 54 (3) (g) of the Treaty on the annual accounts of certain types of companies, Official Journal L 222, 14/08/1978 P. 0011 _ 0031

131 Sixth Council Directive 82/891/EEC of 17 December 1982 based on Article 54 (3) (g) of the Treaty, concerning the division of public limited liability companies. Official Journal L 378, 31/12/1982 P. 0047 _ 0054

132 აღსანიშნავია, რომ მაგალითად, გერმანიაში, საზოგადოებათა გაყოფის ინსტიტუტი იმ გაგებით, როგორც ამას ღირებულება განამტკიცებს, 1994 წლის 28 ოქტომბრამდე უცნობი იყო: *Habersack, Mathias*, *Europäisches Gesellschaftsrecht*. 3. Auflage. Beck-Verlag. München. 2006. § 7, Rn. 30.

განული კავშირის ფაქტს, არამედ იმასაც, რომ გაყოფის წესები სააქციო საზოგადოებების მიმართ უნდა იქნას გამოყენებული.

2. ბაჟოვის ფორმები

ღირექტივა ერთმანეთისაგან განასხვავებს საზოგადოებათა გაყოფის ორ ფორმას: გაყოფა მიერთებით და გაყოფა ახალი საზოგადოების დაფუძნებით. გაყოფის ამ ორივე ფორმის ლეგალური დეფინიცია მოცემულია ღირექტივაში.

ა. გაყოფა მიერთებით

ღირექტივის თანახმად, გაყოფა მიერთებით (division by acquisition) არის პროცესი, რომლითაც ერთი საზოგადოება მთელს თავის აქტივ- და პასივ ქონებას საზოგადოების გაუქმების, მაგრამ არა ლიკვიდაციის გზით, გადასცემს ერთ ან რამდენიმე საზოგადოებას ისე, რომ გაყოფის შედეგად წარმოშობილი საზოგადოებების (ე.წ. მიმღები საზოგადოებების – recipient companies) აქციებს გადასცემს გაყოფილი საზოგადოების აქციონერებს.¹³³

გაყოფის პროცესში მონაწილე საზოგადოებათა ადმინისტრაციული და ხელმძღვანელი ორგანოები ვალდებული არიან შეადგინონ გაყოფის წერილობითი გეგმა.¹³⁴ ეს გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ა. გაყოფაში მონაწილე საზოგადოებების სამართლებრივ ფორმას, საფირმო სახელწოდებას და ადგილსამყოფელს;¹³⁵ ბ. აქციების გაცვლით კურსს და საჭიროებისას დამატებითი გადასახდელების ოდენობას;¹³⁶ გ. მიმღები საზოგადოებების აქციათა გადაცემის დეტალებს;¹³⁷ დ. დროის იმ მომენტს, რომლიდანაც

133 Art. 2 (1)

134 Art. 3 (1)

135 Art. 3 (1)(a)

136 Art. 3 (1)(b)

137 Art. 3 (1)(c)

აქციები უკვე მოგების მიღების უფლებას ანიჭებენ აქციონერებს¹³⁸
და ა.შ.¹³⁹

თუ საზოგადოების გაყოფის დროს არ მოხდა პასივი ქონების ზუსტად მიკუთვნება ახალი საზოგადოებებისთვის, მაშინ ყოველი მიმღები საზოგადოება სოლიდარულად აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე.¹⁴⁰ წევრ სახელმწიფოებს, ღირექტივის თანახმად, აქვთ უფლება, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობა შემოფარგლონ მხოლოდ იმ აქტივებით, რომელთაც მიმღები საზოგადოება გაყოფის შედეგად ფლობს.

გაყოფის გეგმაც, მსგავსად შერწყმის გეგმისა, აქციონერთა იმ საერთო კრების ჩატარებამდე ერთი თვით ადრე უნდა წარედგინოს, რომელმაც გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.¹⁴¹

გაყოფის პრაქტიკულად განხორციელების შემთხვევაში დღის წესრიგში დგება უმცირესობაში მყოფი აქციონერების უფლებების დაცვის საკითხიც. კერძოდ, თუკი მიმღები საზოგადოებების აქციები გაყოფილი საზოგადოების აქციონერებს არ უზრუნველყოფენ კაპიტალზე სათანადო უფლებებს, ამ აქციონერებს უფლება აქვთ საზოგადოებისაგან აქციათა გამოსყიდვა მოითხოვონ. ამ აქციათა ღირებულებას დავის შემთხვევაში ადგენს სასამართლო. ასეთი წესის შემოღების უფლებას ღირექტივა წევრ სახელმწიფოებს ანიჭებს.¹⁴²

გაყოფაში მონაწილე საზოგადოებების ადმინისტრაციული და ხელმძღვანელი ორგანოების მოვალეობანი ისევეა განსაზღვრული, როგორც ეს შერწყმის დროს უკვე იყო განხილული. სახელდობრ, ამ ორგანოებმა უნდა შეადგინონ დაწვრილებითი წერილობითი ანგარიში, რომელიც შეიცავს გაყოფის გეგმას, აქციათა გაცვლის

138 Art. 3 (1)(d)

139 gayofis eggmisTvis gaTvaliswinebuli monacmebi praqtikulad imcorcbs im monacmebs. romelTac Seicavs Serwymis gegma. amitom dawvrilebiT maTze aq ar SevCerdebi.

140 Art. 3 (3)(b)

141 Art. 5

142 Art. 5 (2)

კურსს, მათი გადანაწილების მასშტაბს და ა.შ.¹⁴³ გარდა ამისა, აუცილებელია გაყოფაში მონაწილე თითოეული საზოგადოებისთვის დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გაყოფის გეგმის შემოწმება, ანგარიშის შედგენა და მისი წარდგენა აქციონერებისთვის.¹⁴⁴

ბ. გაყოფა ახალი საზოგადოების დაფუძნებით

მეექვსე ღირექტივის თანახმად, გაყოფა ახალი საზოგადოების დაფუძნებით არის პროცესი, რომლითაც ერთი საზოგადოება მთელ თავის აქტივ- და პასივ ქონებას საზოგადოების გაუქმების გზით, მაგრამ ლიკვიდაციის გარეშე, გადასცემს რამდენიმე ახალდაფუძნებულ საზოგადოებას, და რომლის დროსაც ახალდაფუძნებული საზოგადოებების აქციები გადაეცემა გაყოფილი საზოგადოების აქციონერებს.¹⁴⁵

გაყოფილი საზოგადოების აქციონერებისთვის ახალდაფუძნებული საზოგადოებების აქციათა გადაცემისას შესაძლებელია დამატებითი ფულადი გადახდების დადგენაც, რომელთა ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აქციათა ნომინალური ღირებულების 10%-ს.¹⁴⁶

გაყოფა ახალი საზოგადოებების დაფუძნების გზით დაიშვება ასევე ძველი საზოგადოების ლიკვიდაციის საფუძველზეც.¹⁴⁷

გაყოფა ახალი საზოგადოებების დაფუძნების გზით უნდა განხორციელდეს იმ პროცედურის დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია გაყოფისთვის მიერთების გზით. ამიტომ მათი ცალკე განხილვა არ არის აუცილებელი.

გ. აქციონერთა უფლებები

აქციონერთა უფლებების დაცვა საზოგადოების გაყოფის დროსაც პრიორიტეტულია და ღირექტივაც ამ მიზნით მნიშვნელოვან ნორმებს შეიცავს. კერძოდ, საერთო კრების ჩატარებამდე ერთი

143 Art. 7

144 Art. 8

145 Art. 21 (1)

146 Art. 21 (1)

147 Art. 21 (2)

თვით ადრე აქციონერებს უფლება აქვთ გაეცნონ შემდეგ საბუ-
თებს: ა. გაყოფის გეგმას;¹⁴⁸ ბ. გაყოფაში მონაწილე საზოგადოების
წლიური და სამეურნეო ანგარიშები უკანასკნელი სამი წლისთვის;¹⁴⁹
გ. შუალედური ბალანსები და ხელმძღვანელებისა თუ დამოუკიდე-
ბელი ექსპერტების ანგარიშები გაყოფასთან დაკავშირებით.¹⁵⁰

დ. კრედიტორთა დაცვა

როგორც უკვე აღვნიშნე, შერწყმის ღირექტივისაგან განსხვა-
ვებით გაყოფის ღირექტივა უფრო სარეკომენდაციო ხასიათს ატა-
რებს და წევრ სახელმწიფოებს მეტ შესაძლებლობებს ანიჭებს
გაყოფასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად.
იმავედროულად ღირექტივა აკისრებს წევრ სახელმწიფოებს იმის
მოვალეობას, რომ საკანონმდებლო წესით გაითვალისწინონ „გა-
ყოფაში მონაწილე საზოგადოებების იმ კრედიტორთა ინტერესების
დაცვის სათანადო სისტემა“,¹⁵¹ რომელთა მოთხოვნებიც გაყოფის
შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებამდე წარმოიშვა.

ეს „სათანადო სისტემა“ ღირექტივის მიხედვით, სულ ცოტა,
იმას უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ამ კრედიტორებს თავისი მო-
თხოვნებისთვის სათანადო გარანტიები ჰქონდეთ, თუკი გაყოფის
შედეგად წარმოშობილი საზოგადოებების ფინანსური მდგომარეობა
ასეთ გარანტიებს მოითხოვს.¹⁵²

კრედიტორების დაცვასთან დაკავშირებით ყურადღებას იმ-
სახურებს ღირექტივის ნორმა, რომელიც კრედიტორს უფლებას
ანიჭებს მოითხოვოს სოლიდარული პასუხისმგებლობა გაყოფის
შედეგად წარმოშობილი საზოგადოებებისაგან, თუკი კრედიტორი
ვერ მიიღებს დაკმაყოფილებას იმ საზოგადოებისაგან, რომელზეც

148 Art. 9 (1)(a)

149 Art. 9 (1)(b)

150 Art. 9 (1)(c,d,e)

151 an adequate system of protection for the interests of the creditors of the com-
panies involved in a division: Art. 12 (1)

152 Art. 12 (2)

გადავიდა მისი ვალდებულება.¹⁵³

გაყოფის შედეგად წარმოშობილი საზოგადოებების სოლიდარული პასუხისმგებლობის შემოღება გაყოფილი საზოგადოებების ვალდებულებებისთვის განსახილველი ღირეპტივის ერთ-ერთი ცენტრალური რეკომენდაცია, რომელიც პრინციპში, კრედიტორთა დაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად უნდა ჩაითვალოს.¹⁵⁴

ე. გაყოფის შედეგები

საზოგადოების გაყოფის სამართლებრივი შედეგები, რომელსაც ღირეპტივა სავალდებულო შედეგებად მიიჩნევს, შემდეგია:

პირველი, გაყოფილი საზოგადოების მთელი პასივი და აქტივი ქონება გადადის მიმღებ საზოგადოებებზე გაყოფის გეგმის შესაბამისად.¹⁵⁵

მეორე, გაყოფილი საზოგადოების აქციონერები გადაიქცევიან ერთი ან რამდენიმე მიმღები საზოგადოებების აქციონერებად.¹⁵⁶

მესამე, გაყოფილი საზოგადოება უქმდება და რეესტრიდან ამოიშლება.¹⁵⁷

ვ. გაყოფის ბათილობა

გაყოფის ბათილობის მოწესრიგების ნაწილში მეექვსე ღირეპტივა პრაქტიკულად იმეორებს იმ დებულებებს, რომლებიც განმტკიცებულია მესამე ღირეპტივაში საზოგადოებათა შერწყმასთან დაკავშირებით.¹⁵⁸ ამიტომ მათზე ცალკე შეჩერება არ არის აუცილებელი.

153 Art. 12 (3)

154 Art. 12 (6)

155 Art. 17 (1)(a)

156 Art. 17 (1)(b)

157 Art. 17 (1)(c)

158 Art. 19

V. სააქციო საზოგადოებების საერთაშორისო
შერწყმათა რეგულირება – 2005 წლის
26 ოქტომბრის დირექტივა

1. დირექტივის მიზანი

მართალია, საზოგადოებათა შერწყმისა და გაყოფის დირექტივებმა მრავალი საკითხი მოაწესრიგეს, მაგრამ ევროპის კავშირის წევრი სხვადასხვა სახელმწიფოს კაპიტალური საზოგადოებების მონაწილეობით საერთაშორისო შერწყმათა საკითხებს ისინი არ შეხებიან. არადა ამ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა, იმის გათვალისწინებით, რომ კაპიტალური საზოგადოებების საქმიანობამ ტრანსნაციონალური ხასიათი შეიძინა, ამჟამად თვალშისაცემი იყო. როგორც დირექტივის შესავალშია აღნიშნული, მრავალი ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი სირთულე, რომლებიც სხვადასხვა ფორმის კაპიტალური საზოგადოებების შერწყმას უშლიდა ხელს, მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორი იყო შიდა ბაზრის განვითარების საქმეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2005 წლის 26 ოქტომბერს ევროპის პარლამენტმა და საბჭომ მიიღეს დირექტივა, რომელიც ცნობილია „სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების კაპიტალური საზოგადოებების შერწყმის შესახებ“ სახელწოდებით.¹⁵⁹

დირექტივა ავალებს წევრ სახელმწიფოებს, რომ მათ დაუშვან ერთი ქვეყნის კაპიტალური საზოგადოების შერწყმა სხვა წევრი ქვეყნის კაპიტალურ საზოგადოებასთან. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუკი ნაციონალური სამართალი საერთოდ კრძალავს მოცემული სამართლებრივი ფორმების საზოგადოებათა შერწყმას.¹⁶⁰

კაპიტალური საზოგადოებების საერთაშორისო შერწყმათა რეგულირებისას გამოიყენება ნაციონალური სამართლის ნორმები,

159 DIRECTIVE 2005/56/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 October 2005 on cross-border mergers of limited liability companies.

160 დირექტივის პრეამბულის მე-2 აბზაცი

თუკი ღირეპტივით რაიმე სპეციალური წესები არ არის დადგენილი, რომლებზეც ქვემოთ მექნება საუბარი. ნაციონალური სამართლის ნორმების გამოყენების წინაპირობა არის ის, რომ ისინი არ უნდა აწესებდნენ შეზღუდვებს საწარმოთა დაფუძნებისა და კაპიტალის ბრუნვის თავისუფლებისათვის.¹⁶¹

2. ღირეპტივის გამოყენების სფერო

ღირეპტივა გამოიყენება იმ კაპიტალური საზოგადოებების შერწყმის მიმართ, რომლებიც ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზეა დაფუძნებული.¹⁶² ეს ნიშნავს, რომ არაევროპული საზოგადოებების მონაწილეობა შერწყმის პროცესში სცილდება აღნიშნული ღირეპტივის რეგულირების ფარგლებს.

იმ კაპიტალური საზოგადოებების განსაზღვრისას, რომლებზეც ვრცელდება ე.წ. საერთაშორისო შერწყმის (crossborder merger) წესები, ღირეპტივა უთითებს პირველ ღირეპტივაზე. მის თანახმად, კაპიტალურ საზოგადოებებს განეკუთვნება სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, ასევე სააქციო კომანდიტური საზოგადოება და მათი შესატყვისი საზოგადოებები ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში.¹⁶³

გარდა აღნიშნულისა, კაპიტალურ საზოგადოებად ჩაითვლება საზოგადოება, რომელის არის იურიდიული პირი და აქვს განკალკეებული კაპიტალი, რომლითაც იგი საზოგადოების ვალდებულებებისთვის აგებს პასუხს.¹⁶⁴

შერწყმის დეფინიცია, რომელსაც ღირეპტივა შეიცავს, არსებითად იმეორებს საზოგადოებათა შერწყმის იმ განსაზღვრებას, რომელიც მესამე ღირეპტივაშია განმტკიცებული.¹⁶⁵ ამიტომ მასზე შეჩერება არ არის აუცილებელი.

161 ღირეპტივის პრეამბულის მე-3 აბზაცი

162 Art. 1

163 Art. 2 (1)(a)

164 Art. 2 (1)(b)

165 Art. 2(2)

საერთაშორისო შერწყმათა გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს საზოგადოებათა ისეთი სამართლებრივი ფორმების არსებობა, რომელთა შერწყმასაც წვერი სახელმწიფოს სამართალი უშეებს.¹⁶⁶ ეს იმას ნიშნავს, რომ შერწყმა, როგორც საკორპორაციო სამართლის ინსტიტუტი, გამოიყენება არა შეუზღუდავად, არამედ მხოლოდ განსაზღვრული ფორმის საზოგადოებების გაერთიანების მიზნით.

3. საერთაშორისო შერწყმათა ერთობლივი გეგმა და დასკვნები შერწყმის თაობაზე

საერთაშორისო შერწყმათა განხორციელების აუცილებელი წინაპირობას წარმოადგენს ერთობლივი გეგმა, რომელიც უნდა შეადგინონ შერწყმაში მონაწილე საზოგადოებების ადმინისტრაციულმა და ხელმძღვანელმა ორგანოებმა. გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა. შერწყმაში მონაწილე საზოგადოებების სამართლებრივ ფორმას, საფირმო სახელწოდებებს და ადგილსამყოფელს, აგრეთვე სამართლებრივ ფორმას, საფირმო სახელწოდებასა და ადგილსამყოფელს იმ საზოგადოებისა, რომელიც შერწყმის შედეგად წარმოიშობა;¹⁶⁷
- ბ. აქციების ან საზოგადოების სხვა წილების გაცვლითი კურსი და აუცილებლობის შემთხვევაში – დამატებითი გადასახადების ოდენობა;¹⁶⁸
- გ. შერწყმის შედეგად წარმოშობილი საზოგადოების აქციების ან სხვა წილების გადაცემის დეტალები;¹⁶⁹
- დ. საერთაშორისო შერწყმის მოსალოდნელი გავლენები დასაქმებაზე;¹⁷⁰

166 Art. 3(1)(a)

167 Art. 5 (a)

168 Art. 5 (b)

169 Art. 5 (c)

170 Art. 5 (d)

- ე. დროის იმ მომენტს, რომლიდანაც აქციები (წილები) აქციონერებს მოგებაში მონაწილეობის უფლებას ანიჭებენ, ასევე ყველა თავისებურება, რომელთაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ამ უფლებაზე;¹⁷¹
- ვ. დროის იმ მომენტს, რომლიდანაც შერწყმაში მონაწილე საზოგადოებების მოქმედებები ანგარიშგების თვალსაზრისით შეერაცხება იმ საზოგადოებას, რომელიც შერწყმის შედეგად წარმოიშობა;¹⁷²
- ზ. უფლებებს, რომელთაც შერწყმის შედეგად წარმოშობილი საზოგადოება ანიჭებს იმ აქციონერებს (პარტნიორებს), რომლებიც სპეციალური უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი, ანდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც მათთვის იქნა შეთავაზებული;¹⁷³
- თ. შეღავათებსა და უპირატესობებს, რომლებიც მიეცემათ დამოუკიდებელ ექსპერტებს, რომლებიც შერწყმის გეგმას ამოწმებენ, ანდა შერწყმაში მონაწილე საზოგადოებების ადმინისტრაციული და ხელმძღვანელი ორგანოების წევრებს;¹⁷⁴
- ი. საერთაშორისო შერწყმის შედეგად წარმოშობილი საზოგადოების წესდებას;¹⁷⁵
- კ. მონაცემებს იმ პროცედურის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება დასაქმებულთა მონაწილეობა შერწყმის შედეგად წარმოშობილი საზოგადოების მართვის ორგანოებში;¹⁷⁶
- ლ. იმ აქტივებისა და პასივების შეფასების მონაცემებს, რომ-

171 Art. 5 (e)

172 Art. 5 (f)

173 Art. 5 (g)

174 Art. 5 (h)

175 Art. 5 (i)

176 Art. 5 (j). ეს ნორმა აქტუალურია მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც კანონმდებლობა ითვალისწინებს საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობას საზოგადოების მართვის ორგანოებში, როგორცაა, მაგალითად, გერმანული იტბესტიმპუნგ.

ლებიც შერწყმის შედეგად წარმოშობილ საზოგადოებას გადაეცემა;¹⁷⁷

მ. შერწყმაში მონაწილე საზოგადოებების წლიური შედეგების შეჯამების დღეს.¹⁷⁸

საერთაშორისო შერწყმათა ერთობლივი გეგმა, დირექტივის თანახმად, ექვემდებარება სავალდებულო გამოქვეყნებას პირველი დირექტივით დადგენილი და ნაციონალური სამართლით გათვალისწინებული წესებისა და პირობების დაცვით ერთი თვით ადრე აქციონერთა იმ საერთო კრების ჩატარებამდე, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის თაობაზე.¹⁷⁹

საერთაშორისო შერწყმათა განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს წინასწარი დასკვნების არსებობა, რომელიც, ერთი მხრივ, უნდა მოამზადონ შერწყმაში მონაწილე საზოგადოებების ადმინისტრაციულმა და ხელმძღვანელმა ორგანოებმა,¹⁸⁰ ხოლო მეორე მხრივ – დამოუკიდებელმა ექსპერტებმა.¹⁸¹ დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ დასკვნის მომზადება არ არის სავალდებულო მაშინ, როცა შერწყმაში მონაწილე საზოგადოების ყველა აქციონერი (პარტნიორი) უარს იტყვის ამაზე.¹⁸²

ორივე დასკვნა უნდა განმარტავდეს და ასაბუთებდეს საერთაშორისო შერწყმის სამართლებრივ და ეკონომიკურ ასპექტებს, ასევე მის მოსალოდნელ შედეგებს აქციონერებზე (პარტნიორებზე), კრედიტორებსა და დასაქმებულებზე. დასკვნა აქციონერებს უნდა წარედგინოთ არა უგვიანეს ერთი თვისა აქციონერთა იმ საერთო კრების ჩატარებამდე, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის თაობაზე.

გადაწყვეტილებას საერთაშორისო შერწყმის განხორციელების შესახებ იღებს შერწყმაში მონაწილე ორივე საზოგადოების

177 Art. 5 (k)

178 Art. 5 (l)

179 Art. 6.

180 Art. 7

181 Art. 8.

182 Art. 8 (4)

საერთო კრება მას შემდეგ, რაც ზემოთ განხილული დასკვნები შერწყმის თაობაზე იქნება წარდგენილი.¹⁸³

ევროპის კავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს სპეციალური სახელმწიფო სამსახურები, რომლებიც საზოგადოებათა შერწყმის მიზანშეწონილობის საკითხს წინასწარ ამოწმებენ. ამგვარი წინასწარი კონტროლის ერთ-ერთი მიზანი არის ბაზარზე მონოპოლიების შექმნისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ასეთი მაკონტროლებელი ორგანოების არსებობას განსაზღვრავს დირექტივა ანგარიშს უწევს, მაგრამ იმავედროულად ადგენს, რომ წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან დაასახელონ ეს ორგანო, რომელიც შეიძლება იყოს სასამართლოს, ნოტარიუსი ან სხვა ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო.¹⁸⁴

წევრ სახელმწიფოებში არსებულმა მაკონტროლებელმა ორგანოებმა, დირექტივის თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა გასცენ ცნობა იმის შესახებ, რომ საერთაშორისო შერწყმა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა.¹⁸⁵

4. საერთაშორისო შერწყმათა ნამდვილობა

საერთაშორისო შერწყმათა ნამდვილობის პირობები განისაზღვრება იმ სახელმწიფოს სამართლის მიხედვით, რომელშიც ფუნქცია შერწყმის შედეგად წარმოშობილი საზოგადოება.

შერწყმის ნამდვილობის პირობათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა საზოგადოების რეგისტრაცია. ამასთან, დირექტივის მიხედვით, საჯარო რეესტრი, რომელმაც მოახდინა შერწყმის შედეგად წარმოშობილი საზოგადოების რეგისტრაცია, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შერწყმამდე არსებული საზოგადოებების მარეგისტრირებელ რეესტრს იმის შესახებ, რომ

183 Art. 9 (1)

184 Art. 10 (1)

185 Art. 10 (2)

შერწყმა უკვე განხორციელდა. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება საზოგადოებათა მოშლა რეესტრიდან.¹⁸⁶

საერთაშორისო შერწყმის შედეგები ისეთივეა, როგორც ეს ჩვეულებრივი შერწყმის დროს ხდება, კერძოდ, მთელი ქონება გადადის ახლადდაფუძნებულ საზოგადოებაზე, შერწყმაში მონაწილე საზოგადოებების პარტნიორები გადაიქცევიან ახალი საზოგადოების პარტნიორებად, ხოლო შერწყმული საზოგადოებების ქონება გადადის ახალ საზოგადოებაზე.

VI. წევრ-სახელმწიფოებში დაფუძნებული ფილიალების საჯაროობის შესახებ მეთერთმეტე საკორექტიო სამართლებრივი დირექტივა (1989 წლის 21 დეკემბერი)

მეთერთმეტე დირექტივა, რომლის სრული სახელწოდებაცაა წევრ-სახელმწიფოებში განსაზღვრული სამართლებრივი ფორმის საზოგადოებების მიერ დაფუძნებული ფილიალების საჯაროობის დირექტივა, მიღებულ იქნა 1989 წლის 21 დეკემბერს.¹⁸⁷ ამ დირექტივის მიღებამდე ევროპის კავშირში მოქმედი ყველა დირექტივა სხვადასხვა ფორმის საზოგადოებების ან მათი შვილობილი საზოგადოებების საქმიანობას არეგულირებდა, ხოლო ფილიალების დაფუძნება და მათი საქმიანობა რეგულირების გარეშე იყო დარჩენილი. არადა ფილიალების დაფუძნება ევროპის თანამეგობრობათა ხელშეკრულების 58-ე მუხლით განმტკიცებული დაფუძნების

186 Art. 13

187 Eleventh Council Directive 89/666/EEC of 21 December 1989 concerning disclosure requirements in respect of branches opened in a Member State by certain types of company governed by the law of another State, Official Journal L 395, 30/12/1989 P. 0036 – 0039; Elfte Richtlinie 89/666/EWG des Rates vom 21. Dezember 1989 über die Offenlegung von Zweigniederlassungen, die in einem Mitgliedstaat von Gesellschaften bestimmter Rechtsformen errichtet wurden, die dem Recht eines anderen Staates unterliegen, Amtsblatt Nr. L 395 vom 30/12/1989 S. 0036 – 0039.

თავისუფლების განხორციელების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. გარდა ამისა, ფილიალებთან დაკავშირებული წესები წევრ-სახელმწიფოებში ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რაც ამ სფეროს სამართლებრივი რეგულირების უნიფიცირებას ხელს უშლიდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა იმ საბუთებისა და მონაცემების მოწესრიგება, რომლებიც მოეთხოვებოდათ ფილიალებს სხვადასხვა წევრ-სახელმწიფოებში. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ღირეპტივა, უპირველეს ყოვლისა, აწესრიგებს საბუთებისა და მნიშვნელოვანი მონაცემების საჯაროობის საკითხებს.

მართალია, თვითონ ღირეპტივა არ შეიცავს ფილიალების ცნებას, მაგრამ ეს ცნება ევროპულ სამართალში სადავო არ არის და იგი აღნიშნავს საზოგადოების სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საქმიანობს საზოგადოების ადგილსამყოფელის გარეთ და ჰყავს ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილი არიან საზოგადოების სახელით დადონ გარიგებები. განსხვავებით შვილობილი საზოგადოებებისაგან, ფილიალები არ არიან იურიდიული პირები და არა აქვთ იურიდიული პირებისთვის დამახასიათებელი დამოუკიდებლობა.¹⁸⁸

პრაქტიკულად ფილიალების შესახებ მონაცემების საჯაროობას ისეთივე მნიშვნელობა მიენიჭა, როგორც ძირითადი საზოგადოებების მონაცემთა საჯაროობას პირველი და მეორე ღირეპტივების შესაბამისად. საჯაროობას დაქვემდებარებული ინფორმაციის მიმართ გამოიყენება სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფცია. იმ შემთხვევებში, როცა ძირითადი საზოგადოების მონაცემებსა და ფილიალის მონაცემებს შორის არსებობს განსხვავება, მესამე პირებთან ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება ფილიალის შესახებ გამოქვეყნებულ მონაცემებს.¹⁸⁹

საჯაროობის ვალდებულებას დაქვემდებარებული საბუთებისა და მონაცემების ნუსხა დაწვრილებით არის ღირეპტივის მე-2

188 დაწვრილებით ამ საკითხზე ევროპის სასამართლოს პრაქტიკის შესახებ ნახეთ: Habersack, Europäisches Gesellschaftsrecht, 3. Aufl. Beck Verlag, 2006, S. 107.

189 Art. 1 (2).

მუხლში განმტკიცებული და ეს სია არის ამომწურავი.¹⁹⁰ კერძოდ, ფილიალების შესახებ საჯარო უნდა იყოს შემდეგი ინფორმაციას:

- ა. ფილიალის მისამართი;
- ბ. ფილიალის საქმიანობა;
- გ. რეესტრი, რომელშიც არის რეგისტრირებული ძირითადი საზოგადოება და რეგისტრაციის ნომერი;
- დ. ძირითადი საზოგადოების საფირმო სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა, ასევე ფილიალის საფირმო სახელწოდება, თუკი საზოგადოებისა და ფილიალის სახელწოდებები განსხვავდება ერთმანეთისაგან;
- ე. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები, მათი დანიშვნა, განთავისუფლება და პირადი მონაცემები;
- ვ. საზოგადოების ლიკვიდაციის წესი, ლიკვიდატორების დანიშვნისა და განთავისუფლების წესი და მათი კომპეტენცია;
- ზ. საბუღალტრო ანგარიშგების დოკუმენტაცია;
- თ. ფილიალის გაუქმება.

ფილიალები, დირექტივის თანახმად, ვალდებული არიან საქმიან წერილებსა და ბლანკებზე მიუთითონ იგივე მონაცემები, რომლებიც საჯაროობის პირველი დირექტივის მიხედვით საზოგადოებებმა უნდა მიუთითონ თავიანთ საქმიან წერილებზე.¹⁹¹

ფილიალების საჯაროობის ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ წევრ-სახელმწიფოებში დაფუძნებული საზოგადოებების ფილიალებზე, არამედ მესამე სახელმწიფოთა საზოგადოებების ფილიალებზე. ამ მხრივ დირექტივა მხოლოდ რამდენიმე დამატებით ინფორმაციას ითვალისწინებს.¹⁹² კერძოდ, ზემოთ აღნიშნული მონაცემების გარდა უნდა მიეთითოს იმ ქვეყნის სამართალი, რომელ-

190 Art. 2 (1).

191 Art. 6.

192 Art. 7.

საც საზოგადოება ექვემდებარება,¹⁹³ დამფუძნებელი დოკუმენტი ან წესდება, თუკი კანონმდებლობა ასეთ რამეს ითვალისწინებს.¹⁹⁴

წევრი-სახელმწიფოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ იმ პირობებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საჯაროობის ვალდებულების შესრულებაზე.¹⁹⁵

როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს დირექტივა ორ მიზანს ემსახურება. ერთი მხრივ იგი უზრუნველყოფს ევროპის კავშირში დაფუძნების თავისუფლების რეალურ განხორციელებას და ყველას უქმნის საქმიანობისთვის ერთიან პირობებსა და საინფორმაციო სივრცეს. მეორეს მხრივ კი იგი კრედიტორებისთვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის იმით, რომ მათ ხელი მიუწვდებათ არა მხოლოდ ფილიალის, არამედ მისი საზოგადოების მონაცემებზე, რაც პრაქტიკულად ზრდის მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების შანსს.¹⁹⁶

VII. მეთორმეტე დირექტივა ერთი პირის საზოგადოებების შესახებ (1989 წლის 21 დეკემბერი)

დირექტივამ,¹⁹⁷ რომლის რეგულირების საგანს მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები შეადგენს, იმ დროისთვის ძალიან მნიშვნელოვან სიახლეებს ჩაუყარა საფუძველი. ამ დირექტივის მიღებამდე ბევრი წევრი-სახელმწიფოს საკორპორაციო სამართალი კრძალავდა ერთი პირის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების დაფუძნებას. ამ წესის შეცვლა დაიწყო ზოგიერთ წევრ-სახელმწიფოში. დირექტივა მიზნად მცირე

193 Art. 8 (c).

194 Art. 8 (c).

195 Art. 13.

196 Habersack, *Europäisches Gesellschaftsrecht*, 3. Aufl. Beck Verlag, 2006, S. 104.

197 Twelfth Council Company Law Directive 89/667/EEC of 21 December 1989 on single-member private limited-liability companies, *Official Journal L 395*, 30/12/1989 P. 0040 _ 0042; *Zwölfte Richtlinie 89/667/EWG des Rates vom 21. Dezember 1989 auf dem Gebiet des Gesellschaftsrechts betreffend Gesellschaften mit beschränkter Haftung mit einem einzigen Gesellschafter*, *Amtsblatt Nr. L 395 vom 30/12/1989 S. 0040 _ 0042*

და საშუალო ბიზნესისთვის მეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი ფორმისთვის ერთიანი ევროპული სტანდარტების დაწესებას. ამ ღირეპტივის მრავალი ნორმა დღეს უკვე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შესახებ კანონმდებლობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

მართალია, ღირეპტივა უმთავრესად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს არეგულირებს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში იგი სააქციო საზოგადოებების მიმართაც გამოიყენება. კერძოდ, თუკი ერთი პირის შპს სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნება, მაშინ ამ სააქციო საზოგადოების მიმართ ღირეპტივა სრულად გამოიყენება.¹⁹⁸

ღირეპტივის თანახმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს ერთადერთი პარტნიორი როგორც დაფუძნების დროს, ისე ერთი პირის ხელში ყველა წილის გაერთიანების შედეგად (ერთი პირის საზოგადოება – სინგლე-მემბერ კომპანყ).¹⁹⁹ თუკი საზოგადოება წილთა გაერთიანების შედეგად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება, სავალდებულოა ამ ფაქტის რეგისტრაცია რეესტრში.²⁰⁰

ერთადერთი პარტნიორი ახორციელებს საერთო კრების უფლებამოსილებას, თუმცა ღირეპტივა ავალდებულებს, რომ მიღებულ გადაწყვეტილებებზე შედგეს ოქმი ან გადაწყვეტილებები გაფორმდეს წერილობით.²⁰¹ ასევე ერთადერთ პარტნიორსა და საზოგადოებას შორის დადებული ხელშეკრულებები უნდა გაფორმდეს წერილობით.²⁰² სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვა ამას უდავოდ მოითხოვს და ღირეპტივა ამ რეალობას ანგარიშს უწევს.

198 Art. 6.

199 Art. 2 (1).

200 Art. 3.

201 Art. 4.

202 Art. 5.

VIII. საწარმოთა შექმნის თაობაზე სავალდებულო შეთავაზებების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (2004 წლის 21 აპრილი)

2004 წლის 21 აპრილს მიღებული საწარმოთა შექმნის თაობაზე სავალდებულო შეთავაზების შესახებ დირექტივა²⁰³ ერთ-ერთი ფუძემდებლური დოკუმენტია ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების სფეროში. იგი აწესრიგებს ბირჟაზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებების შექმნას ამ საზოგადოების აქციათა შექმნის გზით, რომელიც ხორციელდება შემთავაზებელსა და მიზანი საზოგადოების აქციონერებს ე.ი. ამ შეთავაზების აღრესატებს შორის. როგორც წესი, აქციათა ასეთი შექმნის დროს მყიდველი მოიპოვებს კონტროლს სააქციო საზოგადოებაზე. დირექტივა განამტკიცებს ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა თანასწორობის პრინციპი, ტრანსპარენტულობის პრინციპი და ბაზრის დამახინჯების თავიდან აცილება.

მართალია, აქციათა შექმნა აქციონერსა და აქციათა შემძენს შორის შეთანხმების საგანია, მაგრამ დირექტივა ზოგიერთ შემთხვევაში განამტკიცებს შეთავაზების საჯაროდ გაკეთების ვალდებულებას ისე, რომ სხვა აქციონერებს ჰქონდეთ ინფორმაცია შეთავაზების მოცულობის თაობაზე.

ცხადია, რომ აქციონერების შეცვლა და საზოგადოებაზე კონტროლის გადასვლა ახალ აქციონერებზე ყოველთვის უქმნის საფრთხეს მიზანი საზოგადოების მენეჯმენტს და დღის წესრიგში აყენებს მათი ყოფნა-არყოფნის საკითხს. ამიტომ ამ დროს დირექტივა უკრძალავს მიზანი საზოგადოების დირექტორებს, რომ ხელი შეუშალონ აქციათა შექმნის პროცესს (შექმნის ჩაშლის

203 Directive 2004/25/EC of the European Parliament and of the Council of 21 april 2004 on takeover bids, Official Journal L 142 , 30/04/2004 P. 0012 – 0023; Richtlinie 2004/25/EG des Europäischen Parlaments und des rates vom 21. april 2004 betreffend Übernahmeangebote, Amtsblatt Nr. L 142 vom 30/04/2004 S. 0012 – 0023.

აკრძალვა). თუმცა წევრ-სახელმწიფოეებს უფლება აქვთ უარი თქვან ამ წესის გამოყენებაზე.

ამ ღირეპტივის სახელს უკავშირდება ევროპის კავშირში ისეთი ინსტიტუტების უნიფიცირებული შემოღება, როგორცაა შქუე-ეზე ოუტ და შელლ ოუტ.²⁰⁴

ღირეპტივა არ შემოიფარგლება მხოლოდ კერძოსამართლებრივი საკითხების მოწესრიგებით და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, კერძოდ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურების ზოგიერთ კომპეტენციასაც განსაზღვრავს.²⁰⁵ ზედამხედველობის სამსახური შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო დაწესებულება, ისე კერძო ორგანიზაცია, რომელსაც წევრი-სახელმწიფოების ნაციონალური სამართლის მიხედვით მინიჭებული აქვს ამ ფუნქციის განხორციელება.²⁰⁶

იმის გამო, რომ ეს ღირეპტივა დიდ როლს ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზრის მქონე ქვეყნებში თამაშობს და საქართველოს ასეთი ქვეყნების კატეგორიას ჯერ არ განეკუთვნება, უფრო დაწვრილებითი განხილვა ამ ღირეპტივისა არ არის აუცილებელი.

204 Art. 15

205 Art. 14.

206 Art. 14.

IX. აქციონერთა უფლებების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (2007 წლის 11 ივლისი)

აქციონერთა უფლებების შესახებ დირექტივა²⁰⁷ მიღებულ იქნა ევროპის კავშირში საკორპორაციო სამართლის განვითარების მოქმედებათა გეგმის შესაბამისად.²⁰⁸ იგი აწესრიგებს ბირჟაზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებების აქციონერთა ზოგიერთი უფლების განხორციელების საკითხებს და მიზნად ისახავს ხმის უფლების მქონე აქციონერთა უფლებების დაცვას.²⁰⁹

დირექტივა აუაღლებულებს სააქციო საზოგადოებას, რომ მან საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლების მქონე ყველა აქციონერს კრებაზე მონაწილეობისა და ხმის უფლების განხორციელების თანასწორი პირობები უნდა შეუქმნას.²¹⁰

აქციონერთა უფლებების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა საერთო კრების შესახებ ინფორმაციის დროულად მიღება. დირექტივა ადგენს, რომ აქციონერებს ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ 21 დღით ადრე საერთო კრების ჩატარებამდე ამისთვის დადგენილი ფორმით.²¹¹ თუკი აქციონერთა გადაწყვეტილებით ხმის მიცემა შესაძლებელია ელექტრონული გზით, მაშინ შეიძლება საერთო კრება მოწვეულ იქნეს 14 დღით ადრე, თუკი ამას მხარს დაუჭერს აქციონერთა არანაკლებ 2/3.

207 Directive 2007/36/EC of the European Parliament and of the Council of 11 July 2007 on the exercise of certain rights of shareholders in listed companies; Richtlinie 2007/36/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 11. Juli 2007 über die Ausübung bestimmter Rechte von Aktionären in börsennotierten Gesellschaften.

208 Modernising Company Law and Enhancing Corporate Governance in the European Union – A plan to Move Forward. Brussels, 21.5.2003 (COM (2003) 284 final: Modernisierung des Gesellschaftsrechts und Verbesserung der Corporate Governance in der Europäischen Union – Aktionsplan.

209 Art. 1 (1).

210 Art. 4.

211 Art. 5 (1).

ღირექტივა განსაზღვრავს, თუ როგორი ფორმით და რა პირობების დაცვით უნდა იქნას საერთო კრება მოწვეული და რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს განცხადება საერთო კრების მოწვევის შესახებ.²¹²

აქციონერთა უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილია საერთო კრების დღის წესრიგის შევსებისა და მასში დამატებების შეტანის უფლებამოსილება. ამ საკითხთან დაკავშირებითაც ღირექტივა კონკრეტულ წესებს განამტკიცებს, რომელთა დაცვა წევრ-სახელმწიფოებს ნაციონალური სამართლით მოეთხოვებათ.²¹³

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს, რომელსაც ღირექტივა განამტკიცებს, განეკუთვნება ხმის უფლების ელექტრონული საშუალებებით განხორციელების ინსტიტუტი.²¹⁴

მთლიანობაში ღირექტივა ასახავს თანამედროვე სააქციო სამართალში აქციონერთა უფლებების დაცვის უახლეს სტანდარტებს და მნიშვნელოვან წინაპირობებს ქმნის ნაციონალურ სამართალში აქციონერთა უფლებების განხორციელების განმტკიცების თვალსაზრისით.

212 Art. 5 (2) und (3).

213 Art. 6.

214 Art. 8.

თავი მეორე

სუპრანაციონალური სამართლებრივი ფორმები ევროპის საკორპორაციო სამართალში

I. ევროპის სააქციო საზოგადოება

1. შესავალი

ევროპის სააქციო საზოგადოებამ ევროპის საკორპორაციო სამართალში უკვე დაიმკვიდრა ადგილი, მიუხედავად იმ სექტიკური დამოკიდებულებისა, რომელიც ამ სამართლებრივი ფორმის მიმართ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობდა. ისეთი დიდი კონცერნები, როგორცაა ლლიანზ, ორსცკე, შ უკვე გარდაიქმნენ ევროპის სააქციო საზოგადოებად და ამით თავიანთი ტრანსნაციონალური ხასიათი იურიდიულადაც გააფორმეს.²¹⁵

2004 წლის 8 ოქტომბერს ევროპის კავშირის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა დადგენილება²¹⁶ *ევროპის სააქციო საზოგადოების*²¹⁷ (Societas Europaea) სტატუტის შესახებ. ამ დადგენილებით, რომელიც ევროპის კავშირის მინისტრთა საბჭომ 2001 წლის 8 ოქტომბერს მიიღო, განისაზღვრა ეს-ის სამართლებრივი სტატუსი.²¹⁸ 30 წლის განმავლობაში ეს იყო მეოთხე მცდელობა ევროპის

215 Die Societas Europaea (SE). Dokumentation der Seminare vom 30. März 2006 und vom 24. April 2007 im Deutschen Aktieninstitut in Frankfurt am Main.

216 ინგლისურ ენაზე ამ დოკუმენტს ეწოდება Regulation, ხოლო გერმანულად Verordnung. ყველაზე მისადაგებულ ქართულ ტერმინად ჩათვალე დადგენილება. ეს დადგენილება შეიცავს ევროპის სააქციო საზოგადოების სტატუტს, რომელიც შედგება 70 მუხლისაგან. დადგენილების მუხლები და სტატუტის მუხლები იდენტურია.

217 შემოკლებით – ეს.

218 Council Regulation (EC) No 2157/2001 of 8 October 2001 on the Statute for a European company (SE). *Official Journal L 294, 10/11/2001 P. 0001 _ 0021*; Verordnung (EG) Nr. 2157/2001 des Rates vom 8. Oktober 2001 über das Statut der Europäischen Gesellschaft (SE). *Amtsblatt Nr. L 294 vom 10/11/2001 S. 0001-0021*. უნაიდან როგორც ინგლისური, ისე გერმანული ენები ევროპის კავშირის ოფიციალურ ენებს წარმოად-

ერთიანი სამეწარმეო საზოგადოების შემოღებისა და წინამორბედებისგან განსხვავებით იგი წარმატებით დასრულდა.²¹⁹ ევროპული სამართლის საზოგადოების შექმნის იდეა დაიბადა საფრანგეთში 1959 წელს საფრანგეთის ნოტარიუსთა 57-ე კონგრესზე.²²⁰

აღნიშნული დადგენილება კავშირის წევრ სახელმწიფოებში პირდაპირ მოქმედებს და მისი დანერგვისათვის რაიმე სპეციალური საკანონმდებლო აქტის მიღება სავალდებულო არ არის.²²¹ მაგრამ იმის გამო, რომ დადგენილება წევრ სახელმწიფოებს აკისრებს გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების ვალდებულებას, ასევე აძლევს წევრ-სახელმწიფოებს სხვადასხვა საკითხში არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, შესაბამისად მიღებულ იქნა სპეციალური კანონებიც.²²²

დადგენილების თანახმად თანამეგობრობის ტერიტორიაზე სამეწარმეო საზოგადოებები²²³ შეიძლება ჩამოყალიბდეს ევროპის საა-

გენს, სამართლებრივი ტერმინოლოგიის ზუსტად გადმოცემის მიზნით მიზანშეწონილად ჩაეთვალე, რომ გამომეყენებინა ორივე ენაზე გამოქვეყნებული ტექსტები.

219 *Hopt, Klaus J.*, Europäische Aktiengesellschaft _ per aspera ad astra? EuZW 1/2002, S. 1; *El Mahi, Farida*, Die Europäische Aktiengesellschaft. Societas Europaea. 2003. S. 7-10.

220 *Blanquet, Françoise*, Das Statut der Europäischen Aktiengesellschaft (Societas Europaea „SE“). Ein Gemeinschaftsinstrument für die grenzübergreifende Zusammenarbeit im Dienste der Unternehmen. ZGR 1/2002, S. 21.

221 Art. 249 Abs. 2 EGV; *El Mahi, Farida*, Die Europäische Aktiengesellschaft. Societas Europaea. 2003. S. 2.

222 მაგალითად, ავსტრიაში 2004 წლის 27 მაისს მიღებულ იქნა კანონი ევროპის სააქციო საზოგადოების შესახებ: Europäische AG: Grundlagen. Rechtsvorschriften. (Bearb. Reinhard Bradatsch. Wien. 2004. aseve germaniaSic: *Hirte, Heribert*, Die Europäische Aktiengesellschaft _ ein Überblick nach In-Kraft-Treten der deutschen Ausführungsgesetzgebung (Teil I). DSrR 15/2005, S. 653-658; *Nagel, Bernhard*, Die Europäische Aktiengesellschaft (SE) in Deutschland _ der Regierungsentwurf zum SE-Einführungsgesetz. NZG 18/2004. S. 833-839.

223 დადგენილების ინგლისურ ტექსტში გამოიყენება ტერმინი company, ხოლო გერმანულში – ანდელსგესელსკაფტენ. (muxli pirveli)

ქციო საზოგადოების²²⁴ (Societas Europaea)²²⁵ ფორმით. მართალია, ამ საზოგადოების ლათინურ სახელწოდებაში არ ფიგურირებს სიტყვა „სააქციო“, მაგრამ თავისი სამართლებრივი ბუნებით იგი წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას. ამის თაობაზე პირდაპირ არის მითითებული დადგენილების სამოტივაციო ნაწილში:²²⁶ „შუნდა წარმოადგენდეს კაპიტალურ საზოგადოებას²²⁷ და იგი უნდა ჩამოყალიბდეს სააქციო საზოგადოების ფორმით, ვინაიდან როგორც დაფინანსების, ისე ხელმძღვანელობის თვალსაზრისით იგი ყველაზე მეტად შეესატყვისება თანამეგობრობის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების მოთხოვნებს“.²²⁸

საწარმოს რაციონალური სიდიდის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად ჩაითვალა მინიმალური საწესდებო კაპიტალის განსაზღვრა,²²⁹ რომელიც საზოგადოების სათანადო ქონებრივი საფუძვლების შექმნის გარანტია უნდა იყოს.²³⁰ ამასთან, პრობლემები არ უნდა შეექმნათ მცირე და საშუალო საწარმოებს. აქედან გამომდინარე, ეს-ის დასაფუძნებლად აუცილებელია საწესდებო კაპიტალი, რომლის მინიმალური ოდენობა შეადგენს 120 000 ევროს.²³¹ ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უფრო მაღალი მინიმალური საწესდებო კაპიტალი დაადგი-

224 ინგლისურად – European public limited-liability company. გერმანულად – europäische Aktiengesellschaft.

225 შემოკლებით SE.

226 შემდგომში: მოტივები.

227 „The SE must take the form of a company with share capital“ (მოტივების მე-13 პუნქტის პირველი წინადადების ინგლისური ტექსტი)

228 მოტივების მე-13 პუნქტის პირველი წინადადება

229 თუმცა ევროპის კავშირის ბევრი ქვეყნის საკოორპორაციო სამართალი საე-აღდებულოდ არ მიიჩნევს საწესდებო კაპიტალის არსებობას.

230 მოტივების მე-13 პუნქტის მე-2 წინადადება

231 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი და მე-2 აბზაცები. 1970 წლის პროექტის მიხედვით საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენდა 500 000 ეკიუს, ხოლო 1975 წლის პროექტის თანახმად – 250 000 ეკიუს; *Blanquet, Françoise, Das Statut der Europäischen Aktiengesellschaft (Societas Europaea „SE“). Ein Gemeinschaftsinstrument für die grenzübergreifende Zusammenarbeit im Dienste der Unternehmen. ZGR 1/2002, S. 63*

ნონ იმ სააქციო საზოგადოებებისთვის, რომლებიც განსაზღვრული სახეობის საქმიანობას ახორციელებენ. მოცემულ სახელმწიფოში დაფუძნებულ ეს-ზე გავრცელდება კანონმდებლობა მაღალი საწესდებო კაპიტალის შესახებ.²³²

საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია აქციებად.²³³ ყოველი აქციონერი პასუხს აგებს მის მიერ ხელმოწერილი კაპიტალის ფარგლებში.²³⁴ დადგენილების ეს ფორმულირება იურიდიულ ლიტერატურაში კრიტიკის საგანი გახდა, რამეთუ აქციონერები საზოგადოების კრედიტორების წინაშე არ აგებენ პასუხს.²³⁵ გაბატონებული შეხედულების თანახმად, აქციონერი პასუხს აგებს მხოლოდ შეუტანელი შესატანის ფარგლებში.²³⁶

ევროპის სააქციო საზოგადოება წარმოადგენს იურიდიულ პირს.²³⁷

ევროპის სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმის შემოღების უმთავრეს მიზანს შეადგენს იმ საწარმოებისთვის ფართო სამართლებრივი ასპარეზის მიცემა, რომელთა საქმიანობა სცილდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებს და ვრცელდება ევროპის კავშირის ტერიტორიაზე. ე.წ. ტრანსნაციონალური კორპორაციების ეფექტური საქმიანობის ერთ-ერთ ხელშემშლელ გარემოებად მიიჩნეოდა განსხვავებული სამართლებრივი სისტემების არსებობა თვით ევროპის კავშირის წევრ-სახელმწიფოებში.²³⁸ ესის შემოღებით სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალურ საზოგადოებებს შესაძლებლობა ეძლევათ გაერთიანდნენ, შექმნან ჰოლდინგური საზოგადოებები ანდა შვილობილი საზოგადოებები და ამით ეკონო-

232 დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 აბზაცი

233 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 აბზაცი

234 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება

235 *El Mahi, Farida*, Die Europäische Aktiengesellschaft. Societas Europaea. 2003. S. 3

236 *Lind, Michael*. Die Europäische Aktiengesellschaft. Eine Analyse der Rechtsanwendungsvorschriften. Wien. 2004. S. 18

237 დადგენილების პირველი მუხლის მე-3 აბზაცი

238 მოტივების მე-4 პუნქტი

მიკური საქმიანობა მთლიანად კავშირის ტერიტორიაზე ზედმეტი ბარიერების გარეშე განავითარონ.²³⁹

ეს, როგორც კაპიტალური საზოგადოების ფორმა, გამოიყენება მხოლოდ ევროპის კავშირის წევრ-სახელმწიფოებში დაფუძნებული სააქციო საზოგადოებებისათვის. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის კორპორაციები, რომელთაც ფილიალი წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე აქვთ და ამ ფილიალის მეშვეობით ახორციელებენ საქმიანობას.²⁴⁰ იურიდიულ ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ სააქციო საზოგადოების ეს ფორმა შესაძლოა მიმზიდველიც კი იყოს იმ საწარმოებისთვის, რომელნიც არ არიან ევროპის კავშირში დაფუძნებული.²⁴¹

მართალია, ეს ახალ შესაძლებლობებს იძლევა სამეწარმეო საქმიანობის ტრანსნაციონალიზაციისათვის, მაგრამ იგი მაინც მჭიდროდ არის დაკავშირებული წევრი-სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებთან, რამეთუ ეს-ის საქმიანობის მრავალი ასპექტი სწორედ წევრი-სახელმწიფოების სამართლით წესრიგდება.²⁴² ამიტომ ევროპის სააქციო საზოგადოება პრაქტიკულად წარმოადგენს არა ერთიან და უნივერსალურ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, არამედ ევროპული სააქციო საზოგადოებების კომპლაციას, რაც პრაქტიკული საქმიანობისას უდავოდ შექმნის დამატებით სირთულეებს, რაზეც უთითებენ კიდევ იურიდიულ ლიტერატურაში.²⁴³ აღნიშნავენ იმასაც, რომ რეალურ სამართლებრივ

239 *Vossius, Oliver*, Gründung und Umwandlung der deutschen Europäischen Gesellschaft (SE). ZIP, 17/2005, S. 741-749; motivebis me-10 punqti.

240 მოტივების მე-15 პუნქტი

241 *Blanquet, Françoise*, Das Statut der Europäischen Aktiengesellschaft (Societas Europaea `SE-). Ein Gemeinschaftsinstrument für die grenzübergreifende Zusammenarbeit im Dienste der Unternehmen. ZGR 1/2002, S. 64.

242 *Lutter, Marcus, Kollmorgen, Alexander, Feldhaus, Heiner*, Die Europäische Aktiengesellschaft _ Satzungsgestaltung bei der `mittelständischen SE-. Betriebs-Berater (BB), 46/2005, S. 2473-2483.

243 *Hopt, Klaus J.*, Europäische Aktiengesellschaft _ per aspera ad astra? EuZW 1/2002, S. 1

ცხოვრებაში იარსებებს ერთმანეთისაგან განსხვავებული ევროპის სააქციო საზოგადოებები იმის მიხედვით, თუ სად იქნება ისინი დაფუძნებული: გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა თუ ესპანეთში.²⁴⁴ ალბათ ამითიც აიხსნება ის გარემოება, რომ ეს-ის შემოღებიდან დღემდე განსაკუთრებული ინტერესი მის მიმართ მეწარმეებს არ გამოუჩენიათ. ევროპის სააქციო საზოგადოების კიდევ ერთ ნაკლად მიიჩნევენ იმას, რომ იგი წარმოადგენს დიდი კაპიტალის კონცენტრაციის ფორმას, რაც არ ითვალისწინებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ინტერესებს.²⁴⁵

2. მართვის სისტემის არჩევის შესაძლებლობა – სასურველი მოდელი ევროპის სააქციო საზოგადოების მაგალითზე

ევროპის სააქციო საზოგადოების ორგანოთა დახასიათებისას ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს ის თავისებურებები, რომლებითაც გამოირჩევა ევროპის კავშირის წევრი-სახელმწიფოების კორპორაციული მართვის სისტემები.²⁴⁶ მათში გავრცელებულია როგორც დუალისტური, ისე მონისტური სისტემები.²⁴⁷ ამ სამართლებრივი რეალობისთვის კანონმდებელს ანგარიში უნდა გაეწია. ამიტომ დადგენილება ეს-ის მართვის ორგანოების განსაზღვრისას ორივე

244 *Lutter, Marcus*, Europäische Aktiengesellschaft _ Rechtsfigur mit Zukunft? BB, Heft 1, 4. Januar 2002, S. 3.

245 *Teichmann, Christoph*, The European Private Company. European Company Law, December 2004, Issue 4. P. 162-165

246 *Hopt, Klaus J., Leyens, Patrick C.*, Board Models in Europe. Recent Developments of Internal Corporate Governance Structures in Germany, the United Kingdom, France, and Italy. p. 4-10; *Lutter, Marcus*, Corporate Governance in Deutschland und USA, S. 35-36; *Plessis, Jean J Du*, The German two-Tier Board and the German Corporate Governance Code.

247 დაწერილებით: ლუთერი მარკუს, კორპორაციული მართვა (ჩორპორატე ოვერნანცე) გერმანიასა და აშშ-ში. კრებულში „საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში“. გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი. თბილისი. 2000 წლის 7-8 მარტი. გვ. 21-32

სისტემის გამოყენების შესაძლებლობას უშვებს.²⁴⁸ ევროპის კავშირის წევრი-სახელმწიფოებიდან აღსანიშნავია საფრანგეთი, რომლის სამართალი ორივე სისტემის გამოყენების შესაძლებლობას ისედაც ითვალისწინებს.²⁴⁹

ევროპის სააქციო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შემდეგი ორგანოები: ა) აქციონერთა საერთო კრება²⁵⁰ და ბ) სამეთვალყურეო ორგანო და ხელმძღვანელი ორგანო (დუალისტური სისტემა – *two-tier system*) ანდა ერთი მმართველი ორგანო (მონისტური სისტემა – *one-tier system*) იმის მიხედვით, თუ როგორ განსაზღვრავს წესდება.

ა. აქციონერთა საერთო კრება

როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული, აქციონერთა საერთო კრებასთან დაკავშირებით დადგენილება თითქმის არ ქმნის თანამეგობრობისთვის საერთო ნორმებს და იგი პრაქტიკულად შემოიფარგლება ისეთი საკითხების მოწესრიგებით, როგორცაა საერთო კრების მოწვევა, დღის წესრიგი და კრების ჩატარების სიხშირე.²⁵¹ სხვა მხრივ საერთო კრების მიმართ გამოიყენება იგივე წესები, რომლებიც მოქმედებს იმ წევრ-სახელმწიფოში, სადაც ფუძნდება ეს.²⁵²

ბ. მართვის ორგანოები

ეს-ის მართვის ორგანოების განსაზღვრისას დადგენილება დამფუძნებლებს აძლევს მონისტურ და დუალისტურ სისტემებს შორის არჩევანის შესაძლებლობას. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორი სისტემა მოქმედებს მოცემულ სახელმწიფოში. ეს მიიჩნევა ევროპის სააქციო საზოგადოების შესახებ

248 დადგენილების 38-ე მუხლი

249 საფრანგეთის საეკონომიკური კოდექსის 225-57 მუხლები (2001 წლის რედაქცია)

250 ინგლისურად: A General meeting of shareholders. germanulad: eine Hauptversammlung der Aktionäre.

251 Lind, Michael, Die Europäische Aktiengesellschaft. S. 20

252 დადგენილების 53-ე მუხლი

დადგენილების ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებად.²⁵³

ა. დუალისტური სისტემა

როგორც უკვე იყო აღნიშნული, დუალისტური სისტემისთვის დამახასიათებელია ის, რომ საზოგადოებას, საერთო კრების გარდა, აქვს ორი ორგანო, რომელთაგან ერთს ევალება კონტროლის, მეთვალყურეობის ფუნქცია ისე, რომ საზოგადოების ყოველდღიურ ხელმძღვანელობას არ ახორციელებს²⁵⁴ (მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭო), ხოლო მეორის ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების ყოველდღიური ხელმძღვანელობა (მაგალითად, გამგეობა გერმანულ სამართალში).²⁵⁵

დუალისტურ სისტემაში ხელმძღვანელი ორგანო საზოგადოების საქმეებს უძღვება საკუთარი პასუხისმგებლობით.²⁵⁶ ხელმძღვანელი ორგანოს წევრების დანიშვნა და გათავისუფლება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.²⁵⁷ თუმცა დადგენილება წევრ-სახელმწიფოებს იმის უფლებასაც აძლევს, რომ თვითონ საზოგადოების წესდებით განისაზღვროს ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა არჩევა და გამოწვევა საერთო კრების მიერ იმ წესების დაცვით, რომლებიც მოცემულ სახელმწიფოში მოქმედებს.²⁵⁸ პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ დუალისტური სისტემის ქვეყნებშიც კი შესაძლებელია მონისტური სისტემის ჩამოყალიბება, თუკი დამფუძნებლები ამას მიზანშეწონილად ჩათვლიან.²⁵⁹

დუალისტური სისტემის დროს დაუშვებელია, რომ ხელმძღვანელი ორგანოს წევრები იმავდროულად იყვნენ სამეთვალყურეო

253 Lutter, Marcus. Europäische Aktiengesellschaft – Rechtsfigur mit Zukunft? BB. Heft 1, 4. Januar 2002, S. 4.

254 დადგენილების მე-40 მუხლის პირველი აბზაცი

255 დაწერილობით: ჭანტურია, ლადო, ნინიძე, თედო, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. მესამე გამოცემა. „სამართალი“, 2002 წ. გვ. 128-130

256 დადგენილების 39-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადება

257 დადგენილების 39-ე მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადება

258 დადგენილების 39-ე მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება

259 Lutter, Europäische Aktiengesellschaft – Rechtsfigur mit Zukunft? S. 4.

ორგანოს წევრები.²⁶⁰ გამონაკლისის წესით დადგენილება უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მივლინებულ იქნეს ხელმძღვანელ ორგანოში, თუკი არსებობს ვაკანსია. ასეთ შემთხვევაში მას უჩერდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილება.²⁶¹

სამეთვალყურეო ორგანოს წევრები აირჩევა საერთო კრების მიერ. რაც შეეხება სამეთვალყურეო ორგანოს პირველ შემადგენლობას, იგი შეიძლება წესდებით განისაზღვროს.²⁶² გარკვეული სირთულეები არსებობს გერმანული სამართლისთვის დამახასიათებელი მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის ინსტიტუტთან დაკავშირებით, რის მიმართ ინვესტორები კრიტიკულად არიან კიდევ განწყობილი.²⁶³

როგორც სამეთვალყურეო ორგანოს, ისე ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს წესდება და ამისთვის საკანონმდებლო რეგულირება სავალდებულო არ არის.²⁶⁴

ხელმძღვანელი ორგანო ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო ორგანოს წინაშე. სამ თვეში ერთხელ მან უნდა წარუდგინოს ინფორმაცია საქმიანობის შესახებ. იგი ასევე ვალდებულია სისტემატურად და დროულად მიაწოდოს ინფორმაცია სამეთვალყურეო ორგანოს ყველა იმ საკითხზე, რომელთაც შესაძლოა გავლენა იქონიონ საზოგადოების მდგომარეობაზე.²⁶⁵ თავის მხრივ სამეთვალყურეო ორგანოც უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დაკისრებული მოვალეობის სათანადოდ შესასრულებლად.²⁶⁶

260 დადგენილების 39-ე მუხლის მე-3 აბზაცის პირველი წინადადება

261 დადგენილების 39-ე მუხლის მე-3 აბზაცის მე-2 წინადადება

262 დადგენილების მე-40 მუხლის მე-2 აბზაცი

263 ამის თაობაზე იხილეთ: *Krause, Rüdiger, Die Mitbestimmung der Arbeitnehmer in der Europäischen Gesellschaft (SE). Betriebs-Berater (BB). 22/2005, S. 1221-1229.*

264 დადგენილების 39-ე მუხლის მე-4 აბზაცი და მე-40 მუხლის მე-3 აბზაცი

265 დადგენილების 41-ე მუხლის პირველი და მე-2 აბზაცები

266 დადგენილების 41-ე მუხლის მე-4 აბზაცი

ბბ. მონისტური სისტემა

მონისტური სისტემა ერთმანეთისაგან არ განასხვავებს სამეთვალყურეო და ხელმძღვანელ ორგანოებს. მმართველი ორგანო, რომელიც საერთო კრების მიერ აირჩევა,²⁶⁷ ორივე ფუნქციას – საკონტროლოსა და ხელმძღვანელობითს – თვითონვე ასრულებს.

მმართველი ორგანოს წევრთა რაოდენობა ან ამ რაოდენობის განსაზღვრის წესი რეგულირდება საზოგადოების წესდებით.²⁶⁸ მმართველი ორგანოს თავმჯდომარე აირჩევა მმართველი ორგანოს წევრების მიერ საკუთარი შემადგენლობიდან.²⁶⁹

მმართველი ორგანოს სხდომების სიხშირე განისაზღვრება ასევე წესდებით. დადგენილება სავალდებულოდ მიიჩნევს, რომ მმართველი ორგანოს წევრები სამ თვეში ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბონ და იმსჯელონ საზოგადოების საქმიანობის პერსპექტივებზე.²⁷⁰

გგ. ორივე სისტემისთვის საერთო ნორმები

გარდა ცალკეული სისტემებისათვის დამახასიათებელი სპეციალური ნორმებისა, დადგენილება ასევე განამტკიცებს წესებს, რომლებიც საერთოა ორივე სისტემისათვის და ამიტომ თანაბრად გამოიყენება მიუხედავად იმისა, თუ მართვის რომელ მოდელს აირჩევენ დამფუძნებლები. მაგალითად, ორგანოების წევრთა უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 წელს.²⁷¹ დადგენილება განამტკიცებს იმის შესაძლებლობასაც, რომ მართვის ორგანოებში იურიდიული პირებიც იქნენ წევრად არჩეული.²⁷² ეს წესი არ გამ-

267 დადგენილების 43-ე მუხლის მე-3 აბზაცი

268 დადგენილების 43-ე მუხლის მე-2 აბზაცი

269 დადგენილების 45-ე მუხლი

270 დადგენილების 44-ე მუხლი

271 დადგენილების 46-ე მუხლის პირველი აბზაცი

272 დადგენილების 47-ე მუხლის პირველი აბზაცი; *Brandes, Stephan M., Europäische Aktiengesellschaft: Juristische Person als Organ? In: NZG, 14/2004. S. 642-649.*

ოიყენება იმ ქვეყნებში, რომელთა კანონმდებლობაც არ უშვებს იურიდიული პირების წევრობას მართვის ორგანოებში.²⁷³

ორივე სისტემისათვის საერთო მოვალეობას წარმოადგენს მართვის ორგანოთა წევრების ღუმილის მოვალეობა. კერძოდ, ისინი ვალდებული არიან, რომ თანამდებობის დატოვების შემდეგაც არ გაახმაურონ ის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება საზოგადოებისთვის ზიანის მომტანი იყოს.²⁷⁴

3. მართვის ორგანოების ფუნქცია პასუხისმგებლობა

მართვის ორგანოების წევრთა პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ რაიმე წესებს დადგენილება არ განამტკიცებს. იგი შემოიფარგლება მხოლოდ იმის მითითებით, რომ პასუხისმგებლობის მიმართ გამოიყენება ის წესები, რომლებიც ესს-ის ადგილსამყოფელის სახელმწიფოში მოქმედებს სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის თაობაზე.²⁷⁵

აქედან გამომდინარე, ევროპის სააქციო საზოგადოებაში ორგანული პასუხისმგებლობის სუბიექტები არიან სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს (გამგეობის) ან მმართველი ორგანოს წევრები იმის მიხედვით, თუ რომელ მოდელს – დუალისტურ თუ მონისტურს – აირჩივენ ევროპის სააქციო საზოგადოების დამფუძნებლები.

273 მაგალითად, ავსტრიის სააქციო კანონის 75-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი და 86-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი პირდაპირ მიუთითებს, რომ იურიდიული პირი ან აზნაგობა არ შეიძლება დაინიშნონ გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად.

274 დადგენილების 49-ე მუხლი

275 დადგენილების 51-ე მუხლი

II. ევროპის კერძო საზოგადოება

1. შესავალი

2008 წლის 25 ივნისს ევროპის კომისიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ევროპის კერძო საზოგადოების (Societas Privata Europaeae, SPE) შესახებ.²⁷⁶ ევროპის პარლამენტმა 2009 წლის 10 მარტს განიხილა და მოიწონა ეს პროექტი. ამჯერად დარჩა მხოლოდ ევროპის კავშირის საბჭოს მიერ ამ დადგენილების დამტკიცება.²⁷⁷ ევროპის სააქციო საზოგადოების შემოღების შემდეგ²⁷⁸ ეს მორიგი დიდი სიახლეა, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის კავშირში მცირე და საშუალო ბიზნესისთვის²⁷⁹ ხელშეწყობას.²⁸⁰

თუკი ევროპის სააქციო საზოგადოება (Societas Europaea) მსხვილი საწარმოების სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს, ევროპის კერძო საზოგადოება (ან ევროპის კერძო კომპანია) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (შმაღლ ანდ მედიუმ-სიზედ ენტერპრისეს (შ) განკუთვნილი სამართლებრივი ფორმაა. ამ საწარმოებს თანამედროვე ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ: ისინი შეადგენენ ევროპის კავშირში დაფუძნებული საწარმოების 99%-ს, თუმცა მათი მხოლოდ 8% ეწევა ტრანსნაციონალურ საქმიანობას და 5%-ს აქვს შვილობილი საზოგადოებები

276 Council Regulation on the Statute for a European private company, Brussels. 25.6.2008 Com (2008) 396 final (SEC(2008) 2098); Verordnung des Rates über das Statut der Europäischen Privatgesellschaft.

277 http://de.wikipedia.org/wiki/Europ%C3%A4ische_Privatgesellschaft

278 იხილეთ ამის თაობაზე ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ. „სამართალი“, 2006, გვ. 87-90; მისივე, ევროპის სააქციო საზოგადოება (Societas Europaea) – უნივერსალური მოდელი თუ საკანონმდებლო კომპილაცია. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“. 4/2004, გვ. 90-100.

279 Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee of the Regions: „A single market for 21st century Europe“ – COM(2007) 724, 20.11.2007.

280 Klaus J. Hopt, Die Europäische Privatgesellschaft, EuZW 17/2008. S. 513 ff.

ან ერთობლივი საწარმოები საზღვარგარეთ.²⁸¹ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებად მიიჩნევიან საწარმოები, რომელთაც ჰყავთ 250-მდე თანამშრომელი და აქვთ წლიური ბრუნვა მაქსიმუმ 50 მილიონი ევრო.²⁸² იმის გამო, რომ ნაციონალური საკორპორაციო სამართლები ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში სამეწარმეო საზოგადოებებს არ განასხვავებენ სიდიდის მიხედვით, დაახლოებით 23 მილიონ საწარმოს, რომლებიც მცირე და საშუალო საწარმოების კატეგორიას განეკუთვნებიან, იგივე ადმინისტრაციული პროცედურების გაელა და ხარჯების გაწევა უხდებათ, რაც 41 ათას მსხვილ საწარმოს ეკისრება.²⁸³ ამან დააყენა დღის წესრიგში კაპიტალური საზოგადოების ახალი ფორმის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც საქმიანობის დასაწყებად და განსახორციელებლად უფრო ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს.

ევროპის კერძო საზოგადოების სტატუტის კონცეფცია თავდაპირველად გასული საუკუნის 90-იან წლებში ბიზნესისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების მიერ იქნა შემუშავებული. დროთა განმავლობაში ამ ინიციატივას მრავალი მხარდამჭერი გამოუჩნდა როგორც მეწარმეთა შორის, ისე პოლიტიკოსებშიც.²⁸⁴ 2006 წლიდან იწყება ამ პროექტის ინტენსიური განხილვები ევროპის პარლამენტში, რის შედეგადაც ევროპის პარლამენტმა მოუწოდა ევროპის კომისიას, რომ 2007 წლის ბოლომდე წარმოედგინა წინადადება ევროპის კერძო საზოგადოების შემოღების თაობაზე.²⁸⁵ 2007 წლის 25 ოქტომბერს ევროპის პარლამენტმა კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი ამ ინიციატივას. ევროპის კომი-

281 Explanatory Memorandum to Council Regulation on the Statute for a European private company, paragraph 1.

282 Der „Small Business Act“, EuZW 14/2008, S. 419.

283 http://ec.europa.eu/enterprise/entrepreneurship/sba_de.htm.

284 Opinion of the Economic and Social Committee on a „European Company Statute for SMEs“ (OJ C 125, 27.5.2002, p. 19).

285 European Parliament Report with recommendations to the Commission on the European private company Statute (2006/2013(INI)), A6-0434/2006 final.

სიამ 2008 წლის 10 მარტს ჩაატარა კონფერენცია ევროპის კერძო საზოგადოებასთან დაკავშირებით. მას წინ უძღოდა პროექტის განხილვა და აპრობირება საქმიანი წრეების წარმომადგენლების მხრიდან, ასევე ექსპერტთა დასკვნა პროექტის თაობაზე.²⁸⁶ ამ პროცესმა უკვე დასკვნით ფაზას მიაღწია და უახლოეს მომავალში ევროპის საკორპორაციო სამართალს შეემატება სამეწარმეო საზოგადოების ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

განსხვავებით ევროპის სააქციო საზოგადოებისაგან, რომელიც ევროპის კავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს სააქციო საზოგადოებათა თავისებურებების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა და ამიტომაც მას ნაციონალური სააქციო საზოგადოებების ერთგვარ ნაჯვარს უწოდებენ,²⁸⁷ ევროპის კერძო საზოგადოება სრულიად ახალ ევროპულ სამართლებრივ ფორმას (new European legal form) წარმოადგენს.²⁸⁸ იმავდროულად იგი თავისი სამართლებრივი ბუნებითა და სტატუსით უფრო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისკენ იხრება, წარმოადგენს იურიდიულ პირს და აქვს საწესდებო კაპიტალი.²⁸⁹ თუმცა დადგენილება ევროპის კერძო საზოგადოების შესახებ ახლებურ მიდგომებს შეიცავს მრავალ იმ საკითხზე, რომლებზეც დიდი ხანია ევროპის საკორპორაციო სამართალში დისკუსიები მიმდინარეობს.²⁹⁰ ამიტომ ზოგ მათგანზე სასურველია აქ მოკლედ შეჩერება.

286 http://ec.europa.eu/internal_market/company/advisory/index_en.htm

287 *Hopt*, Die Europäische Privatgesellschaft, S. 513.

288 Explanatory Memorandum to Council Regulation on the Statute for a European private company, paragraph 2.

289 Explanatory Memorandum to Council Regulation on the Statute for a European private company, paragraph 7.

290 *Hommelhoff Peter*, Der Wettbewerb der Rechtsordnungen im Europäischen Unternehmensrecht: www.uni-heidelberg.de/presse/news/2110rektor.html 21.08.2008, *Eidenmüller Horst*, Die GmbH im Wettbewerb der Rechtsformen. ZGR 2/2007, S. 168-211, *Schuhmann Ralph*, Das deutsche Wirtschaftsrecht im Wettbewerb der Sprachen, ZRP, 5/2007, S. 160-162.

2. საზოგადოების დაფუძნება

საკორპორაციო სამართალთა კონკურენციის თაობაზე ევროპაში მიმდინარე დისკუსიებში მუდმივად ფიგურირებს სამეწარმეო საზოგადოებათა დაფუძნების პროცედურის გამარტივების საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამფუძნებელი დოკუმენტების მომზადების, მათი სანოტარო წესით დამოწმებისა და სახელმწიფოს პრევენციული კონტროლის სხვა ფორმების არსებობას, რაც ზრდის საზოგადოებათა დაფუძნების ხარჯებს.²⁹¹ აქედან გამომდინარე, არ არის შემთხვევითი, რომ ამ საკითხში დადგენილება დაფუძნების საგრძნობი გამარტივების გზით მიდის.

ევროპის კერძო საზოგადოების დაფუძნებისთვის დადგენილება რაიმე სახის შეზღუდვებს არ ითვალისწინებს. იგი შეიძლება დააფუძნოს როგორ ერთმა, ისე რამდენიმე ფიზიკურმა და/ან იურიდიულმა პირმა.²⁹² განსხვავებით ევროპის სააქციო საზოგადოებისაგან, რომლის დამფუძნებლები აუცილებლად სხვადასხვა ევროპული ქვეყნების წარმომადგენლები უნდა იყვნენ, ევროპის კერძო საზოგადოება შეიძლება დააფუძნონ ერთი და იგივე სახელმწიფოს წარმომადგენლებმაც.²⁹³ დაფუძნება შეიძლება განხორციელდეს როგორც თავდაპირველი დაფუძნების გზით, ისე რეორგანიზაციის, შერწყმის ან გაყოფის ნიადაგზე.²⁹⁴ ამასთან, ევროპის კერძო საზოგადოება შეიძლება დაფუძნდეს ნაციონალურ სამართალში გათვალისწინებული ნებისმიერი სამეწარმეო საზოგადოების რეორგანი-

291 Kieninger Eva-Maria, *Wettbewerb der Privatrechtsordnungen im Europäischen Binnenmarkt – Studien zur Privatrechtskoordinierung in der Europäischen Union auf den Gebieten des Gesellschafts- und Vertragsrechts*. Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2002. Beiträge zum ausländischen und internationalen Privatrecht, Band 74 (Habilitationsschrift, 2001). Heine Klaus, *Regulierungswettbewerb im Gesellschaftsrecht: zur Funktionsfähigkeit eines Wettbewerbs der Rechtsordnungen im europäischen Gesellschaftsrecht*, Berlin: Duncker & Humlot, 2003; Ogus Anthony, *Competition Between National Legal Systems: A Contribution of Economic Analysis to Comparative Law*, *International and Comparative Law Quarterly*, Vol. 48, April 1999, p. 405-418.

292 Article 3 (1) (e) of the Regulation.

293 *Hopt*, *Die Europäische Privatgesellschaft*, S. 513.

294 Article 5 (1) of the Regulation.

ზაციის შედეგად.²⁹⁵

ევროპის კერძო საზოგადოების სახელწოდება შეიცავს სავალდებულო დამატებას „SPE“ – Societas Privata Europaeae.²⁹⁶ საზოგადოების ადგილსამყოფელი – რეგისტრაციის ადგილი ან ცენტრალური ოფისის ადგილსამყოფელი აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს ევროპის კავშირის წევრ ერთ-ერთ სახელმწიფოში. ამასთან, საზოგადოებას არ უნდა დაეკისროს იმის ვალდებულება, რომ ცენტრალური ოფისი ან ძირითადი ადგილსამყოფელი ჰქონდეს იმავე სახელმწიფოში, სადაც არის საზოგადოება რეგისტრირებული.²⁹⁷ ამ საკითხში იგრძნობა ევროპის თანამეგობრობის სასამართლოს სამოსამართლო სამართლის გავლენა.²⁹⁸

დადგენილება არ შეიცავს ევროპის კერძო საზოგადოების რეგისტრაციასთან დაკავშირებით რაიმე სპეციალურ წესებს და ძირითადად ეყრდნობა ევროპის თანამეგობრობის პირველი საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივით გათვალისწინებულ დებულებებს.²⁹⁹ ამ მიდგომის მიზანია საზოგადოების დაფუძნების გამარტივება და გაიაფება. ასე, მაგალითად, დადგენილების მიხედვით შესაძლებელია რეგისტრაციის შესახებ ელექტრონული განაცხადის შეტანა.³⁰⁰ მეორეს მხრივ, დადგენილება შეიცავს რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს.³⁰¹

295 Article 5 (3) of the Regulation.

296 Article 6 of the Regulation.

297 An SPE shall not be under any obligation to have its central administration or principal place of business in the Member State in which it has its registered office: Article 7 of the Regulation.

298 აღსანიშნავია ეწ. ჩენტროს-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება: №-212/97.

299 First Council Directive 68/151/EEC of 9 March 1968 on co-ordination of safeguards which, for the protection of the interests of members and others, are required by Member States of companies within the meaning of the second paragraph of Article 58 of the Treaty, with a view to making such safeguards equivalent throughout the Community, Official Journal L 065 , 14/03/1968 P. 0008 – 0012.

300 Article 10 (1) of the Regulation.

301 მათ განეკუთვნება: ევროპის კერძო საზოგადოების სახელწოდება და მისი ადგილსამყოფელი, სახელი და მისამართი იმ პირებისა, რომლებიც უფლებამოსილი

მიუხედავად რეგისტრაციის გამარტივების მცდელობისა, დადგენილება მას მაინც კონსტიტუტიურ მნიშვნელობას ანიჭებს და განამტკიცებს, რომ ევროპის კერძო საზოგადოება, როგორც იურიდიული პირი, წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად.³⁰² ამიტომაც უშვებს დადგენილება სარეგისტრაციო დოკუმენტების დამოწმებისა და რეგისტრაციამდე მათი სახელმწიფო შემოწმების შესაძლებლობას.³⁰³

3. საზოგადოების წილები

განსხვავებით ევროპის სააქციო საზოგადოებისაგან, რომლის აქციებიც საჯარო ვაჭრობისთვის არის გამიზნული, ევროპის კერძო საზოგადოების წილები ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია: მათი არც საჯაროდ შეთავაზება ხდება და არც საჯაროდ ვაჭრობა.³⁰⁴ ამის საკომპენსაციოდ დადგენილება საზოგადოების მეწილეებს ფართო უფლებებს აძლევს, როცა საუბარია ამ წილების განსაზღვრასა და მათთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებზე. ევროპის კერძო საზოგადოება უფლებამოსილია გამოუშვას ჩვეულებრივი და პრივილეგირებული წილები.³⁰⁵

საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებს ეკისრებათ საზოგადოების მეწილეთა ნუსხის (List of shareholders) წარმოება, რომელშიც

არიან საზოგადოება წარმოადგინონ მესამე პირებთან ურთიერთობაში ან მონაწილეობენ საზოგადოების მართვაში, საზოგადოების კაპიტალი, წილების კატეგორიები და წილთა რაოდენობა ცალკეული კლასების მიხედვით. წილთა საერთო რაოდენობა, წილების ნომინალური ღირებულება ან წილთა არითმეტიკული ჯამი, საზოგადოების წესდება, თუ საზოგადოება რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნდა, მაშინ გადაწყვეტილება ამის შესახებ: Article 10 (2) of the Regulation.

302 Article 9 (2) of the Regulation.

303 Article 10 (4) (a), (b).

304 „As the SPE is a private company, the shares of the SPE may not be offered to the public or be publicly traded“: Explanatory Memorandum to Council Regulation on the Statute for a European private company, paragraph 7 I.

305 Explanatory Memorandum to Council Regulation on the Statute for a European private company, paragraph 7 I.

შეიტანება ყოველი წილი და წილის მფლობელი.³⁰⁶ ეს ნუსხა წარმოადგენს მეწილეობის დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტს.³⁰⁷ გარდა ამისა, მესამე პირებს უფლება აქვთ გაეცნონ ამ სიას და ამით მიიღონ სარწმუნო ინფორმაცია საზოგადოების პარტნიორების თაობაზე. საზოგადოების ხელმძღვანელობა ასევე ვალდებულია მეწილეთა ან მესამე პირთა მოთხოვნით გადაამოწმოს სიის სიზუსტე.³⁰⁸

ჩვეულებრივ ევროპის კერძო საზოგადოების წილების გასხვისება თავისუფალია. თუმცა დადგენილება ითვალისწინებს წილების გასხვისების შეზღუდვის შესაძლებლობასაც. ასეთ შემთხვევაში წილების გასხვისების პირობები საზოგადოების წესდებაში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული. წილის გასხვისებასთან დაკავშირებული შეზღუდვის ან გასხვისების აკრძალვის შემოღება დაიშვება მხოლოდ იმ მეწილის თანხმობით, რომელსაც ეს შეზღუდვა ან აკრძალვა ეხება.³⁰⁹

წილების გასხვისებისთვის საკმარისია მარტივი წერილობითი ფორმა. გასხვისების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდება საზოგადოების ხელმძღვანელს, რომელიც შესაბამის ცვლილებას შეიტანს მეწილეთა ნუსხაში მას შემდეგ, რაც შემძენი დაამტკიცებს, რომ ის არის მართლზომიერი მესაკუთრე.³¹⁰

პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი იმის თაობაზე, თუ რომელი მომენტიდან ითვლება წილის შემძენი მის მესაკუთრედ. ამ საკითხში დადგენილება გარკვეულ დიფერენცირებას აკეთებს: საზოგადოების მიმართ წილის შემძენი მეწილედ, ანუ მართლზომიერ მესაკუთრედ, მიიჩნევა წილის შეძენის შესახებ საზოგადოებისთვის შეტყობინების დღიდან. ხოლო მესამე პირებთან მიმართებაში შემძენი მესაკუთრედ ითვლება მეწილეთა ნუსხაში შეტანის დღიდან.³¹¹

306 Article 15 of the Regulation.

307 Article 14 (1) of the Regulation.

308 Article 15 (3) of the Regulation.

309 Article 16 (1) of the Regulation.

310 Article 16 (2) (3) of the Regulation

311 Article 16 (4) (a) (b) of the Regulation

დადგენილება არ ანიჭებს მეწილეებს უმცირესობაში მყოფი, მინორიტარი მეწილეების საზოგადოებიდან იძულებით გაყვანის, ე.წ. squeeze-out-ის უფლებას. არც უმრავლესობაში მყოფ მეწილეებს აკისრიათ მინორიტარი მეწილეების წილების გამოსყიდვის ვალდებულება, ე.წ. sell-out right. თუმცა ასეთი შემთხვევები წესდებით შეიძლება იყოს გათვალისწინებული.³¹²

დადგენილების საყურადღებო სიახლეა მეწილეებისთვის საზოგადოებიდან გასვლის უფლების მინიჭება. გასვლის შემთხვევაში მეწილე იღებს თავისი წილის კომპენსაციას, რომლის ოდენობას განსაზღვრავს დამოუკიდებელი ექსპერტი, ხოლო დავის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.³¹³

4. საზოგადოების კაპიტალი

საკორპორაციო სამართალში მიმდინარე დისკუსიების ერთ-ერთი მუდმივი თემა არის მინიმალური საწესდებო კაპიტალი. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ქვეყნები, რომელთა საკორპორაციო სამართალი სავალდებულო მინიმალურ საწესდებო კაპიტალს ითვალისწინებს კორპორაციებისთვის,³¹⁴ და ქვეყნები, რომლებშიც საწესდებო კაპიტალის ოდენობას თვითონ კორპორაციის დამფუძნებლები განსაზღვრავენ და კანონმდებლობით ეს სავალდებულოდ დადგენილი არ არის.³¹⁵ კანონით დადგენილი მინიმალური საწესდებო კაპიტალი გერმანული სამართლის ინსტიტუტს წარმოადგენს,

312 Explanatory Memorandum to Council Regulation on the Statute for a European private company, paragraph 7 III.

313 Article 18 of the Regulation

314 ამ მოდელის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი არის გერმანია. ამ ქვეყნის სამართლით სააქციო საზოგადოებებისთვის დადგენილია მინიმალური საწესდებო კაპიტალი 50 000 ევროს ოდენობით, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისთვის – 25 000 ევროს ოდენობით. ევროპის სააქციო საზოგადოების მინიმალური საწესდებო კაპიტალი კი შეადგენს 120 000 ევროს.

315 ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია.

ხოლო კორპორაცია ასეთი სავალდებულო საწესდებო კაპიტალის გარეშე ახასიათებს ინგლისურ-ამერიკულ სამართალს. ამრიგად, დისკუსიის ძირითადი მიზანი არის იმის გარკვევა, თუ რომელია ამ ორ კონცეფციას შორის უკეთესი. საჭიროა კანონისმიერი მინიმალური საწესდებო კაპიტალი თუ არა?³¹⁶

ევროპის კერძო საზოგადოებამ უარი თქვა მაღალი მინიმალური საწესდებო კაპიტალის, როგორც საზოგადოების კრედიტორთა დაცვის საშუალებად აღიარების, კონცეფციაზე. ამ მიდგომას საფუძვლედ დაედო ის გამოკვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ საზოგადოების კრედიტორები საზოგადოებასთან ურთიერთობების დამყარებისას საწესდებო კაპიტალს კი არ აქცევენ ყურადღებას, არამედ მის ლიკვიდურობას, საფინანსო ბრუნვას, ე.წ. Cashflow და ა.შ.³¹⁷ ამიტომ, დადგენილება, მართალია, უარს არ ამბობს მინიმალურ საწესდებო კაპიტალზე, მაგრამ მას სიმბოლურ ხასიათს ანიჭებს და საზოგადოების დაფუძნებისთვის მინიმალურ საწესდებო კაპიტალად 1 ევროს ადგენს.³¹⁸ თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დამფუძნებლებს უფრო მაღალი მინიმალური საწესდებო კაპიტალის განსაზღვრა არ შეუძლიათ.

საზოგადოების დამფუძნებლებს აქვთ სრული თავისუფლება თვითონ განსაზღვრონ საწესდებო კაპიტალში შესატანის სახეობა – ფულადი თუ არაფულადი შესატანი. მათ უფლება აქვთ თვითონ გადაწყვიტონ არაფულადი შესატანის შეფასების საკითხი: მიანდონ იგი დამოუკიდებელ ექსპერტს თუ შეაფასონ თვითონ. თუმცა ყველა ეს საკითხი უნდა იყოს საზოგადოების წესდებაში გათვალისწინებული.³¹⁹

დადგენილება შეიცავს ასევე ერთიან წესებს საზოგადოების

316 საწესდებო კაპიტალის მხარდასაჭერი თუ საწინააღმდეგო არგუმენტების მიმოხილვა იხ.: *Drygala Tim, Stammkapital heute – Zum veränderten Verständnis vom System des festen Kapitals und seinen Konsequenzen*, ZGR 2006, S. 589 ff.

317 Explanatory Memorandum to Council Regulation on the Statute for a European private company, paragraph 7 IV.

318 Article 19 (1) of the Regulation.

319 Explanatory Memorandum to Council Regulation on the Statute for a European private company, paragraph 7 IV.

ქონებიდან მეწილეებისთვის გადახდის თაობაზე (დივიდენდების გადახდა, საზოგადოების საკუთარი წილების შექმნა, ვალების აღება). ამგვარი გადახდა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოება აკმაყოფილებს საბალანსო ტესტს, ე.ი. როცა ამგვარი გადახდის შემდეგ საზოგადოების ქონება სრულად ფარავს საზოგადოების ვალებს.³²⁰

5. საზოგადოების ორგანოების სტრუქტურა

დადგენილების თანახმად ევროპის კერძო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ერთი ხელმძღვანელი ორგანო (a management body), რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ყველა საკითხზე, თუკი ეს საკითხები დადგენილების ან წესდების თანახმად არ არის მეწილეების გადასაწყვეტი.³²¹ ამ ორგანოს წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.³²²

სხვა საკითხებს ხელმძღვანელი ორგანოების სახელწოდებებთან ან კორპორაციული მართვის მოდელების თაობაზე დადგენილება არ შეიცავს და იგი აქაც სრულ საწესდებო ავტონომიას უჭერს მხარს, რაც მას ევროპის სააქციო საზოგადოებისგან განასხვავებს.

დადგენილება განსაზღვრავს საზოგადოების ხელმძღვანელთა მოვალეობებს, რომელთაგან უმთავრესია საზოგადოების ინტერესებისთვის საქმიანობისა და საზოგადოების სასარგებლოდ გულმოდგინე და გონივრული საქმიანობის ვალდებულებები. ეს მოვალეობები მათ აკისრიათ საზოგადოების წინაშე. ხელმძღვანელთა

320 დადგენილება არ შეიცავს „ქონებისა“ და „ვალების“ დეფინიციებს და მათ მიმართ გამოიყენება ევროპის მეოთხე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივის ნორმები ან 2002 წლის 1606-ე დადგენილება: Fourth Council Directive 78/660/EEC of 25 July 1978 based on Article 54 (3) (g) of the Treaty on the annual accounts of certain types of companies, Official Journal L 222 , 14/08/1978 P. 0011 – 0031.

321 Article 26 (1) of the Regulation.

322 Article 30 (1) of the Regulation.

პასუხისმგებლობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოიყენება ნაციონალური სამართლის ნორმები.³²³

დასკვნა

ევროპის კერძო საზოგადოებას, განსხვავებით ევროპის სააქციო საზოგადოებისაგან, უფრო კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, რაც უწინარეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ მას მრავალი მხარდამჭერი და მომხმარებელი გამოუჩნდება ევროპის კავშირში.³²⁴

მიუხედავად იმისა, თუ როგორი წარმატებული იქნება სამეწარმეო საზოგადოების ამ ახალი სამართლებრივი ფორმის დამკვიდრება ევროპაში, ერთი რამის თქმა თამამად შეიძლება: ევროპის კავშირი ინტენსიურად ცდილობს განახორციელოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ საწარმოებს მისცეს ევროპის შიდა ბაზარზე გამოსვლისა და საქმიანობის შესაძლებლობა.

საქართველოსთვის კი უდავოდ საინტერესოა იმ პროცესების შესწავლა, რომლებიც ევროპის საკორპორაციო სამართალში მიმდინარეობს, რადგან ქართული საკორპორაციო სამართალი გადაუდებელ რეფორმას საჭიროებს. მეწარმეთა კანონში წლების მანძილზე იმდენი უსისტემო და ძნელად ასახსნელი ცვლილება შევიდა, რომ დიდი ხანია დღის წესრიგში დგას ახალი კანონის შემუშავების აუცილებლობა. ევროპული გამოცდილება კი აქ უეჭველად გასათვალისწინებელია.

323 Article 31 of the Regulation.

324 Hopt. Die Europäische Privatgesellschaft, S. 514.

თავი მესამე

ევროპის საკორპორაციო სამართლის განვითარების პრესექტივა

I. ევროპის კავშირის მოქმედებათა გეგმა

2003 წლის 21 მაისს ევროპის თანამეგობრობათა კომისიის მიერ მიღებული „ევროპის კავშირში საკორპორაციო სამართლის მოდერნიზაციისა და კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მოქმედებათა გეგმა“³²⁵ ითვლება უკანასკნელი წლების მანძილზე მიღებულ ევროპული საკორპორაციო სამართლის ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტად. ევროპის პარლამენტმა 2004 წლის 21 აპრილს მოიწონა ეს დოკუმენტი და მხარი დაუჭირა მასში მოცემულ ყველა ინიციატივას.

მოქმედებათა გეგმაში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ადგილი უკავია კორპორაციულ მართვას. ევროპული ინტეგრაციის შედეგად, რომელიც გლობალიზაციის პროცესის პარალელურად მიმდინარეობს, მსხვილ კორპორაციებს დიდი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში უწყვეტ საქმიანობა. ევროპის კავშირის შიგნით ამ კონკურენციის პირობებსა და თამაშის წესებს შესაბამისად განსაზღვრავს ევროპის კავშირი. ამ პირობებისა და თამაშის წესების უპირველესი ადრესატი კორპორაციების ხელმძღვანელი ორგანოები და ამ ორგანოთა წევრები არიან.

მოქმედებათა გეგმა საკორპორაციო სამართლისა და კორპორაციული მართვის დინამიურ და მოქნილ ჩარჩო პირობებს თანამედროვე, დინამიური და ურთიერთდაკავშირებული ინდუსტრიული

325 Modernising Company Law and Enhancing Corporate Governance in the European Union _ A plan to Move Forward. Brussels, 21.5.2003 (COM (2003) 284 final; Modernisierung des Gesellschaftsrechts und Verbesserung der Corporate Governance in der Europäischen Union _ Aktionsplan.

საზოგადოებებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ წინაპირობად მიიჩნეეს.³²⁶ უფრო მეტიც, კარგ საკორპორაციო სამართალსა და კორპორაციული მართვის საუკეთესო წესებს რეალური ეკონომიკის გაუმჯობესების პირობად თვლის.

მოქმედებათა გეგმა აღიარებს, რომ უახლესმა ფინანსურმა სკანდალებმა კელავაც აქტუალური გახადა დისკუსია საწარმოს ხელმძღვანელობისა და კონტროლის თაობაზე. «დიდი და მცირე ინვესტორები მოითხოვენ უფრო მეტ გამჭვირვალობასა და უკეთეს ინფორმირებულობას საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით და ისწრაფვიან, რომ გაიზარდოს მათი გავლენა იმ კორპორაციების მოღვაწეობაზე, რომელთა მოწილეებსაც ისინი წარმოადგენენ».

მოქმედებათა გეგმით განსაზღვრულ ერთ-ერთ ცენტრალურ პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენს აქციონერთა უფლებების დაცვა და ამ კონტექსტში საწარმოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის გაზრდა (მოქმედებათა გეგმის 2.1 პუნქტი). კორპორაციული მართვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საილუსტრაციოდ გამოდგება მოქმედებათა გეგმით გათვალისწინებული ინიციატივა, რომ ყოველწლიურად ერთხელ ან ორჯერ ჩატარდეს ევროპული ფორუმი კორპორაციული მართვის საკითხებზე, რათა ამ გზით შესაძლებელი იყოს ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ გაწეული ძალისხმევის კოორდინირება.

მოქმედებათა გეგმა აღიარებს, რომ უკანასკნელი წლების ფინანსურმა სკანდალებმა, ზოგიერთ საწარმოში კორპორაციული მართვის ჩავარდნამ ძალიან შეასუსტა ნდობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმართ. ამიტომ კორპორაციული მართვის სრულყოფა საკორპორაციო სამართლის რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს, თუმცა ხაზგასმულია ისიც, რომ არ არის აუცილებელი ევროპის კავშირის ერთიანი კორპორაციული მართვის კოდექსის შემუშავება.

მოქმედებათა გეგმა კორპორაციული მართვის სფეროში ათი

326 „A dynamic and flaxible company law and corporate governance framework is essential for a modern, dynamic, interconnected industrialised society“. Introduction, p. 3

ლონისძიების გატარებას ითვალისწინებს, რომელთაგან ექვსი მოკლევადიანია და 2003-2005 წლებში განხორციელებადი, ხოლო ოთხი საშუალოვადიანი და 2006-2008 წლებში უნდა განხორციელდეს.³²⁷ ამ ღონისძიებათა პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით უკვე მომზადდა ევროპის კავშირის კომისიის ორი რეკომენდაცია: 2004 წლის 14 დეკემბრის რეკომენდაცია ითვალისწინებს სათანადო წესების შემუშავებას ბირჟაზე რეგისტრირებული კორპორაციების ხელმძღვანელთა ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე. ხოლო 2005 წლის 15 თებერვლის რეკომენდაცია შეეხება არამენეჯერი დირექტორების (ე.ი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების) ამოცანებსა და გამგეობისა თუ სამეთვალყურეო საბჭოს კომისიების მუშაობის წესს.

კორპორაციული მართვის სფეროში მოქმედებათა გეგმით შემოთავაზებული რეკომენდაციები ოთხ ჯგუფად იყოფა:

1. კორპორაციული მართვის გახსნილობის (დისკლოსურე) გაუმჯობესება;
2. აქციონერთა უფლებების გაძლიერება;
3. მმართველი ორგანოების მოდერნიზაცია და
4. ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ძალისხმევითა კოორდინირება კორპორაციული მართვის გასაუმჯობესებლად.³²⁸

1. კორპორაციული მართვის გახსნილობის გაუმჯობესება ორ მნიშვნელოვან მიმართულებას მოიცავს: კორპორაციული მართვის თაობაზე ყოველწლიური ანგარიშის³²⁹ გამოქვეყნება და ინსტი-

327 დაწერილებით იხილეთ მოქმედებათა გეგმის დანართი I: Ancx I. Modernising Company Law and Enhancing Corporate Governance in the European Union _ A plan to Move Forward. Brussels, 21.5.2003.

328 Modernising Company Law and Enhancing Corporate Governance in the European Union _ A plan to Move Forward. Brussels, 21.5.2003 (COM (2003) 284 final, p.12-17

329 Annual Corporate Governance Statement

ტუციური ინვესტორების როლის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა³³⁰.

ბირჟაზე რეგისტრირებულ კორპორაციებს ეკისრებათ მოვალეობა კორპორაციული მართვის თაობაზე ყოველწლიურად გამოაქვეყნონ ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას: აქციონერთა კრების მუშაობის წესისა და მისი ძირითადი ფუნქციების შესახებ, ასევე აქციონერთა უფლებებისა და ამ უფლებების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ; კორპორაციის ხელმძღვანელი და სამეთვალყურეო ორგანოების შემადგენლობისა და კომპეტენციის თაობაზე; განსაკუთრებული უფლებების მქონე აქციონერების შესახებ, მათი უფლებების ჩათვლით; რისკის მენეჯმენტის სისტემის³³¹ არსებობის შესახებ და ა.შ.

ინსტიტუციურ ინვესტორებს, რომელთაც განეკუთვნება ბანკები, საინვესტიციო კომპანიები, სხვადასხვა ფონდები და ა.შ., ეკისრებათ მოვალეობა, რომ გამოამჟღავნონ საინვესტიციო სტრატეგია იმ კორპორაციებთან დაკავშირებით, რომლებშიც ისინი ინვესტირებას აპირებენ, ხმის უფლების განხორციელების პირობები და შემთხვევები. ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია იმით, რომ ინსტიტუციური ინვესტორები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ კორპორაციებთან დაკავშირებით.

2. მოქმედებათა გეგმის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას აქციონერთა უფლებების გაძლიერება წარმოადგენს.³³² განსაკუთრებული აქცენტი ამ სფეროში კეთდება აქციონერებისთვის შესაძლებლობის მიცემაზე, ინტერნეტის საშუალებით მიიღონ ინფორმაცია აქციონერთა კრების თაობაზე და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განახორციელონ თავიანთი ხმის უფლება მიუხედავად იმისა, თუ ევროპის კავშირის რომელ წევრ-სახელმწიფოში იმყოფება აქციონერი. კომუნიკაციების თანამედროვე ელექტრონული

330 3.1.1 of the EU Action Plan

331 Risk management system

332 3.1.2 of the EU Action Plan

საშუალებების როლისა და მნიშვნელობის არნახულად ზრდის პირობებში შეუძლებელია კანონმდებელმა ანგარიში არ გაუწიოს იმ რეალობას, რომ ბიზნესის სფეროში ელექტრონული საშუალებები უამრავი გარიგების დადებას აიოლებენ.

3. მმართველი ორგანოების მოდერნიზაცია სამ ძირითად სფეროს შეეხება: *მმართველი ორგანოების შემადგენლობა; დირექტორების ანაზღაურება; დირექტორების პასუხისმგებლობა.*

მმართველი ორგანოების შემადგენლობის მოდერნიზაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ ბირჟაზე რეგისტრირებულ კორპორაციებში გადაწყვეტილებები ისეთმა ორგანოებმა მიიღონ, რომლებშიც წევრთა უმრავლესობას დამოუკიდებელი დირექტორები შეადგენენ. ამ მოთხოვნის განხორციელების მიზნით, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ევროპის კავშირის კომისიამ 2005 წლის 15 თებერვალს მიიღო შესაბამისი რეკომენდაცია.³³³ დამოუკიდებელი წევრების არსებობა სამეთვალყურეო საბჭოებში ან სხვა მმართველ ორგანოებში, რომელთაც უნარი შესწევთ წინააღმდეგობა გაუწიონ მენეჯერი დირექტორების (ან გამგეობის წევრების) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, კომისიის მიერ აღიარებულია აქციონერებისა თუ სხვა მესამე პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად.³³⁴ სწორედ მათ ამოცანას შეადგენს კორპორაციების ისეთი მართვის უზრუნველყოფა, რომ დაცული იყოს აქციონერთა უფლებები დირექტორების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან.

ამ დოკუმენტში მრავალი საინტერესო წინადადებაა შემოთავაზებული სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, რომელთაგან მიზანშეწონილია მხოლოდ რამ-

333 Commission Recommendation of 15 February 2005 On the role of non-executive or supervisory directors of listed companies and on the committees of the (supervisory) board (2005/162/EC); Empfehlung der Kommission vom 15. Februar 2005 zu den Aufgaben von nicht geschäftsführenden Direktoren/Aufsichtsratsmitgliedern börsennotierter Gesellschaften sowie zu den Ausschüssen des Verwaltungs-/Aufsichtsrats. (2005/162/EG).

334 Commission Recommendation of 15 February 2005, L 52/52, (7)

დენიმეს გამოყოფა: თანამდებობიდან გადამდგარი ან გათავისუფლებული გამგეობის თავმჯდომარე არ უნდა დაინიშნოს იმავე კორპორაციაში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ; მონისტურ სისტემაში, სადაც მმართველობის ერთი ორგანოა ბორდის სახით, უნდა გაიმიჯნოს ბორდის თავმჯდომარისა და მენეჯერი დირექტორის ფუნქციები.³³⁵ გარდა ამისა, რეკომენდაციის 13.1 პუნქტი იძლევა მმართველი ორგანოს წევრის დამოუკიდებლობის დეფინიციას, რომლის თანახმადაც „საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ითვლება დამოუკიდებლად, თუკი ის არ იმყოფება კორპორაციათან, საკონტროლო პაკეტის მქონე აქციონერთან ანდა კორპორაციის ხელმძღვანელობასთან ისეთ ურთიერთობაში, რომელიც იწვევს ინტერესთა კონფლიქტს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე.“

დამოუკიდებლობის კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ პირთა ან იმ კომისიების დამოუკიდებლობის საკითხს, რომელთაც კორპორაციების საქმიანობის წლიური შედეგები უნდა შეამოწმონ. საუბარია აუდიტორული შემოწმებების მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე.

კორპორაციების დირექტორთა ანაზღაურების გამჭვირვალობის საკითხი კორპორაციული მართვის თაობაზე არსებული დისკუსიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდა. განსაკუთრებით ეხება ეს იმ კორპორაციებს, რომლებიც ბირჟაზე არიან დაშვებული. ამიტომ ეს საკითხი სრულიად ბუნებრივად აისახა მოქმედებათა გეგმაში³³⁶ და მას სულ მოკლე დროში ევროპის კავშირის კომისიის რეკომენდაციაც მოჰყვა.³³⁷ ამ რეკომენდაციის თანახმად, ბირჟაზე რეგისტრირებულმა კორპორაციამ უნდა გამო-

335 Commission Recommendation of 15 February 2005, L 52/55, 3.2.

336 3.1.3 of the EU Action Plan

337 Commission Recommendation of 14 December 2004 fostering an appropriate regime for the remuneration of directors of listed companies (2004/913/EC): Empfehlung der Kommission vom 14. Dezember 2004 zur Einführung einer angemessenen Regelung für die Vergütung von Mitgliedern der Unternehmensleitung börsennotierter Gesellschaften (2004/913/EG)

აქვეყნოს ინფორმაცია შრომის ანაზღაურების პოლიტიკის შესახებ. კერძოდ, იგი უნდა შეიცავდეს მონაცემებს, თუ რომელი კონცეფციის მიხედვით ხდება ღირექტორების (სამეთვალყურეო საბჭოს წევრების) შრომის ანაზღაურება.³³⁸ გარდა ამისა, ცალკე გამოქვეყნებას ექვემდებარება ღირექტორების მიერ მთელი წლის განმავლობაში მიღებული ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია.³³⁹

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედებათა გეგმა ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს, უდავო და უხარვეზო იგი არ არის. განსაკუთრებით ძლიერია ამ დოკუმენტის კრიტიკა გერმანულ სამართალში. მის ერთ-ერთ ძირითად ნაკლად მიიჩნევენ იმას, რომ იგი არ მიისწრაფვის სააქციო სამართლის სრული ჰარმონიზაციისაკენ ერთიანი ევროპის ფარგლებში, არამედ ცდილობს ევროპული საწარმოების კრიზისის დაძლევის ინსტრუმენტის ფუნქცია შეიძინოს.

II. საკორპორაციო სამართლის უმაღლესი დონის ქსპერტთა ანბარში ევროპის საკორპორაციო სამართლის თანამედროვე ჩარჩო პირობების თაობაზე

საკორპორაციო სამართლის უმაღლესი დონის ექსპერტთა ჯგუფი³⁴⁰ შეიქმნა 2001 წლის სექტემბერში ევროპის კომისიის მიერ³⁴¹ და მისი მიზანი იყო ევროპის კავშირში საკორპორაციო სამართლის ახალი ჩარჩო პირობების განსაზღვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. ჯგუფმა 2002 წლის ოქტომბერში

338 Commission Recommendation of 14 December 2004, L 385/56, 3.1, 3.2.

339 Commission Recommendation of 14 December 2004, L 385/57, 5.1.

340 The High Level Group of Company Law Experts. შემოკლებით „ექსპერტთა ჯგუფი“.

341 ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა შიდი წევრისაგან, რომლებიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანას წარმოადგენდნენ. ჯგუფს ხელმძღვანელობდა პოლანდიელი უაპ ჭინტერ. ჯგუფის დანარჩენი წევრები იყვნენ: Jose Maria Garrido Garcia, Klaus J. Hopt, Jonathan Rickford, Guido Rossi, Jan Schans Christensen, Joelle Simon.

დაამთავრა მუშაობა და წარმოადგინა ანგარიში,³⁴² რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო მოქმედებათა გეგმას.

კორპორაციული მართვის კვლევა თავდაპირველად შემოიფარგლებოდა ტრადიციული პრობლემებით, როგორცაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აქციონერებისა და კრედიტორებისათვის, აქციონერთა უფლებების გაფართოება, ხელმძღვანელი ორგანოების მოვალეობანი, კორპორაციული მართვის კოდექსები ევროპაში და მათი კოორდინაცია. მაგრამ ამერიკული გიგანტის „ენრონის“ ფინანსური სკანდალის შემდეგ ევროპის კომისიამ გააფართოვა ჯგუფის მანდატი და იგი ოთხ მნიშვნელოვან საკითხსაც შეეხო: არააღმასრულებელი დირექტორების³⁴³ ანუ სამეთვალყურეო საბჭოს როლი, საწარმოს ხელმძღვანელთა შრომის ანაზღაურება, საწარმოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა საფინანსო ინფორმაციისათვის და წლიური შედეგების შეფასების პროცედურა.³⁴⁴

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ კორპორაციული მართვა წარმოადგენს სისტემას, რის გამოც სარისკოა ამ სისტემის ცალკეული ელემენტების იზოლირებულად, კონტექსტისგან მოწყვეტით განხილვა. ამ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კორპორაციული მართვის შიდა ელემენტებს, რომლის შემადგენელ ნაწილსაც ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებლობაც წარმოადგენს.³⁴⁵

კორპორაციული მართვის სრულყოფის კონტექსტში ექსპერტთა ჯგუფი ოთხ სფეროზე აკეთებს აქცენტს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კარგი კორპორაციული მართვის არსებობა: გახსნილობა, აქციონერები, ხელმძღვანელი ორგანოები, აუდიტორული შემოწმება,³⁴⁶ კორპორაციული მართვის მოწესრიგება ევროპაში.

342 Report of The High Lever Group of Company Law Experts on A modern Regulatory Framework for Company Law in Europe. Brussels, 4 November 2002.

343 non-executive directors

344 Chapter III of the Report. Corporate Governance. 1. Introduction

345 Chapter III of the Report. Corporate Governance. 1. Introduction.

346 5. Auditing Practices: Chapter III of the Report. განსაკუთრებულად უნდა გაიზარდოს აუდიტორების მნიშვნელობა და ამავე დროს მათი პასუხისმგებლობა კორპორაციების ფინანსური ანგარიშების შემოწმებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, კორპორაციული მართვის კარგი სისტემის პირობებში აქციონერებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ საწარმოს მართვაზე. ინფორმაციის მიღებასთან ერთად აქციონერებს უნდა ჰქონდეთ აქციონერთა კრების მოწვევის შესაძლებლობა, კრებაზე დაუსწრებლად ხმის მიცემის შესაძლებლობა, უმცირესობაში მყოფი აქციონერებისთვის სპეციალური შემოწმების უფლების მინიჭება და ა.შ. ამ შესაძლებლობათა რიგში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ასევე აქციონერებისთვის დირექტორების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელით მიმართვის უფლების მიცემა.

საინტერესო სიახლეებით გამოირჩევა ექსპერტთა ჯგუფის წინადადებები კორპორაციების მმართველი ორგანოების სტატუსთან დაკავშირებით. კერძოდ, ჯგუფის აზრით უნდა გაიზარდოს დამოუკიდებელი დირექტორების (ე.ი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების) როლი და გავლენა.³⁴⁷ მათ უნდა შეძლონ ნაკლებად ინფორმირებულ აქციონერთა უფლებების განხორციელება დირექტორთა გაკონტროლების თვალსაზრისით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი დირექტორების (სამეთვალყურეო საბჭოს წევრების) აქტიურობა დირექტორების შერჩევისას, მათი შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას და საფინანსო ანგარიშის შემოწმებისას. ჯგუფის წევრების აზრით სწორედ კონტროლის არარსებობა გახდა ძირითადი მიზეზი იმ ფინანსური სკანდალებისა, რომლებიც ამერიკის უდიდეს კორპორაციებში მოხდა.³⁴⁸

დირექტორთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის წევრები ე.წ. კოლექტიური პასუხისმგებლობის ინსტიტუტს (Collective responsibility) უჭერენ მხარს და ამას იმით ხსნიან, რომ ამ დროს გამოირიცხება დირექტორთა ერთი ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენა. ეს მოსაზრება მოქმედებათა გეგმაში სრულად იქნა გაზიარებული. კოლექტიური პასუხისმგებლობა უნდა გავრცელდეს ყველა განცხ-

347 4.1 of Chapter III of the Report.

348 Report of The High Level Group of Company Law Experts. P. 60

ადებაზე, რომელიც საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ გაკეთდება, საბირჟო პროსპექტებისა და სხვა საჯარო ინფორმაციის ჩათვლით.³⁴⁹

ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დირექტორების პასუხისმგებლობას საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში. სახელდობრ, ევროპაში გავრცელებული წესების თანახმად,³⁵⁰ რომელიც გაზიარებულია ანგარიშშიც, თუ დირექტორები ამჩნევენ, რომ საზოგადოებას არ შესწევს უნარი შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, მათ უნდა გადაწყვიტონ, გადაარჩინონ საწარმო (და უზრუნველყონ კრედიტორთა სასარგებლო სამომავლო გადახდები) ან განაცხადონ გაკოტრების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში დირექტორები თვითონ აგებენ პასუხს კრედიტორების წინაშე.³⁵¹

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც შემოთავაზებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მდგომარეობს სანქციის სახით დირექტორად მუშაობის აკრძალვაში იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც დაარღვევენ საფინანსო ან სხვა ცენტრალური არასაფინანსო ინფორმაციის საჯაროობის მოვალეობას.³⁵²

349 Report of The High Level Group of Company Law Experts. P. 67 (4.3 Chapter III of the Report)

350 ბრიტანულ სამართალში მას ეწოდება wrongful trading. ზოლო გერმანულ სამართალში ისოლვენზერსკლექპუნგსკაფტუნგ.

351 Report of The High Level Group of Company Law Experts. P. 68 (4.4. Wrongful trading. Chapter III of the Report)

352 Report of The High Level Group of Company Law Experts. P. 69-70 (4.5 Chapter III of the Report)

ევროპის კავშირის საკოორდაციო
სამართლებრივი დირექტივები

1. პირველი დირექტივა ე.წ. საჯაროობის დირექტივა (1968 წლის 9 მარტი. ცვლილებები და დამატებები 2003 წლის 15 ივლისის დირექტივით)

First Council Directive 68/151/EEC of 9 March 1968 on co-ordination of safeguards which, for the protection of the interests of members and others, are required by Member States of companies within the meaning of the second paragraph of Article 58 of the Treaty, with a view to making such safeguards equivalent throughout the Community, Official Journal L 065, 14/03/1968 P. 0008 – 0012

Erste Richtlinie 68/151/EWG des Rates vom 9. März 1968 zur Koordinierung der Schutzbestimmungen, die in den Mitgliedstaaten den Gesellschaften im Sinne des Artikels 58 Absatz 2 des Vertrages im Interesse der Gesellschafter sowie Dritter vorgeschrieben sind, um diese Bestimmungen gleichwertig zu gestalten, Amtsblatt Nr. L 065 vom 14/03/1968 S. 0008 – 0012

2. მეორე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1976 წლის 13 დეკემბერი)

Second Council Directive 77/91/EEC of 13 December 1976 on coordination of safeguards which, for the protection of the interests of members and others, are required by Member States of companies within the meaning of the second paragraph of Article 58 of the Treaty, in respect of the formation of public limited liability companies and the maintenance and alteration of their capital, with a view to making such safeguards equivalent, Official Journal L 026 , 31/01/1977 P. 0001 – 0013

Zweite Richtlinie 77/91/EWG des Rates vom 13. Dezember 1976 zur Koordinierung der Schutzbestimmungen, die in den Mitgliedstaat-

ენ დასაქმებულთა საზოგადოებების შერწყმა – მესამე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1978 წლის 9 ოქტომბერი)

Third Council Directive 78/855/EEC of 9 October 1978 based on Article 54 (3) (g) of the Treaty concerning mergers of public limited liability companies, Official Journal L 295 , 20/10/1978 P. 0036 – 0043

Dritte Richtlinie 78/855/EWG des Rates vom 9. Oktober 1978 gemäß Artikel 54 Absatz 3 Buchstabe g) des Vertrages betreffend die Verschmelzung von Aktiengesellschaften, Amtsblatt Nr. L 295 vom 20/10/1978 S. 0036 – 0043

4. განსაზღვრული ტიპის კორპორაციებში წლიური ანგარიშგების შესახებ – მეოთხე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1978 წლის 25 ივლისი)

Fourth Council Directive 78/660/EEC of 25 July 1978 based on Article 54 (3) (g) of the Treaty on the annual accounts of certain types of companies, Official Journal L 222 , 14/08/1978 P. 0011 – 0031

Vierte Richtlinie 78/660/EWG des Rates vom 25. Juli 1978 aufgrund von Artikel 54 Absatz 3 Buchstabe g) des Vertrages über den Jahresabschluss von Gesellschaften bestimmter Rechtsformen, Amtsblatt Nr. L 222 vom 14/08/1978 S. 0011 – 0031

6. სააქციო საზოგადოებების გაყოფა – მეექვსე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1982 წლის 17 დეკემბერი)

Sixth Council Directive 82/891/EEC of 17 December 1982 based on Article 54 (3) (g) of the Treaty, concerning the division of public limited liability companies, Official Journal L 378 , 31/12/1982 P. 0047 _ 0054

534

Sechste Richtlinie 82/891/EWG des Rates vom 17. Dezember 1982 gemäß Artikel 54 Absatz 3 Buchstabe g) des Vertrages betreffend die Spaltung von Aktiengesellschaften, Amtsblatt Nr. L 378 vom 31/12/1982 S. 0047 – 0054

7. კონსოლიდირებული ანგარიშგების შესახებ – მეშვიდე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1983 წლის 13 ივნისი)

Seventh Council Directive 83/349/EEC of 13 June 1983 based on the Article 54 (3) (g) of the Treaty on consolidated accounts, Official Journal L 193 , 18/07/1983 P. 0001 – 0017

Siebente Richtlinie 83/349/EWG des Rates vom 13. Juni 1983 aufgrund von Artikel 54 Absatz 3 Buchstabe g) des Vertrages über den konsolidierten Abschluß, Amtsblatt Nr. L 193 vom 18/07/1983 S. 0001 – 0017

11. წევრ-სახელმწიფოებში დაფუძნებული ფილიალების საჯაროობის შესახებ – მეთერთმეტე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1989 წლის 21 დეკემბერი)

Eleventh Council Directive 89/666/EEC of 21 December 1989 concerning disclosure requirements in respect of branches opened in a Member State by certain types of company governed by the law of another State, Official Journal L 395 , 30/12/1989 P. 0036 – 0039

Elfte Richtlinie 89/666/EWG des Rates vom 21. Dezember 1989 über die Offenlegung von Zweigniederlassungen, die in einem Mitgliedstaat von Gesellschaften bestimmter Rechtsformen errichtet wurden, die dem Recht eines anderen Staates unterliegen, Amtsblatt Nr. L 395 vom 30/12/1989 S. 0036 – 0039

12. ერთი პირის საზოგადოების შესახებ – მეთორმეტე საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (1989 წლის 21 დეკემბერი)

31989L0667 Twelfth Council Company Law Directive 89/667/EEC of 21 December 1989 on single-member private limited-liability companies, Official Journal L 395 , 30/12/1989 P. 0040 – 0042

Zwölfte Richtlinie 89/667/EWG des Rates vom 21. Dezember 1989 auf dem Gebiet des Gesellschaftsrechts betreffend Gesellschaften mit beschränkter Haftung mit einem einzigen Gesellschafter, Amtsblatt Nr. L 395 vom 30/12/1989 S. 0040 – 0042

– ევროპის სააქციო საზოგადოების მართვაში საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის შესახებ – საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივა (2001 წლის 8 ოქტომბერი)

Council Directive 2001/86/EC of 8 October 2001 supplementing the Statute for a European company with regard to the involvement of employees, Official Journal L 294 , 10/11/2001 P. 0022 – 0032

Richtlinie 2001/86/EG des Rates vom 8. Oktober 2001 zur Ergänzung des Statuts der Europäischen Gesellschaft hinsichtlich der Beteiligung der Arbeitnehmer, Amtsblatt Nr. L 294 vom 10/11/2001 S. 0022 – 0032

– კორპორაციათა გახსნილობის ვალდებულებათა შესახებ – ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (2003 წლის 15 ივლისი)

Directive 2003/58/EC of the European Parliament and of the Council of 15 July 2003 amending Council Directive 68/151/EEC, as regards disclosure requirements in respect of certain types of companies, Official Journal L 221 , 04/09/2003 P. 0013 – 0016

Richtlinie 2003/58/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 15. Juli 2003 zur Änderung der Richtlinie 68/151/EWG des Rates in Bezug auf die Offenlegungspflichten von Gesellschaften bestimmter Rechtsformen, Amtsblatt Nr. L 221 vom 04/09/2003 S. 0013 – 0016

– საწარმოთა შექმნის თაობაზე სავალდებულო შეთავაზებების შესახებ – ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (2004 წლის 21 აპრილი)

Directive 2004/25/EC of the European Parliament and of the Council of 21 april 2004 on takeover bids, Official Journal L 142 , 30/04/2004 P. 0012 – 0023

Richtlinie 2004/25/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 21. april 2004 betreffend Übernahmeangebote, Amtsblatt Nr. L 142 vom 30/04/2004 S. 0012 – 0023

– საქციო საზოგადოებების საერთაშორისო შერწყმათა რეგულირება
– 2005 წლის 26 ოქტომბრის დირექტივა

DIRECTIVE 2005/56/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 October 2005 on cross-border mergers of limited liability companies

RICHTLINIE 2005/56/EG DES EUROPÄISCHEN PARLAMENTS UND DES RATES vom 26. Oktober 2005 über die Verschmelzung von Kapitalgesellschaften aus verschiedenen Mitgliedstaaten

– წლიური ანგარიშისა და კონსოლიდირებული ანგარიშების შემოწმების (აუდიტის) შესახებ – ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 17 მაისი დირექტივა

Directive 2006/43/EC of the European Parliament and of the Council of 17 May 2006 on statutory audits of annual accounts and consolidated accounts, amending Council Directives 78/660/EEC and 83/349/EEC and repealing Council Directive 84/253/EEC

Richtlinie 2006/43/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 17. Mai 2006 über Abschlussprüfungen von Jahresabschlüssen und konsolidierten Abschlüssen, zur Änderung der Richtlinien 78/660/EWG und 83/349/EWG des Rates und zur Aufhebung der Richtlinie 84/253/EWG des Rates

– წლიური ანგარიშებისა და კონსოლიდირებული ანგარიშების წესების შეცვლის შესახებ – ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (2006 წლის 14 ივნისი)

Directive 2006/46/EC of the European Parliament and of the Council of 14 June 2006 amending Council Directives 78/660/EEC on the annual accounts of certain types of companies, 83/349/EEC on consolidated accounts, 86/635/EEC on the annual accounts and consolidated

accounts of banks and other financial institutions and 91/674/EEC on the annual accounts and consolidated accounts of insurance undertakings

Richtlinie 2006/46/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 14. Juni 2006 zur Änderung der Richtlinien des Rates 78/660/EWG über den Jahresabschluss von Gesellschaften bestimmter Rechtsformen, 83/349/EWG über den konsolidierten Abschluss, 86/635/EWG über den Jahresabschluss und den konsolidierten Abschluss von Banken und anderen Finanzinstituten und 91/674/EWG über den Jahresabschluss und den konsolidierten Abschluss von Versicherungsunternehmen

– საქცილ საზოგადოებათა დაფუძნებისა და კაპიტალის შენარჩუნებისა და შეცვლის შესახებ – ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (2006 წლის 6 სექტემბრის)

DIRECTIVE 2006/68/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL

of 6 September 2006 amending Council Directive 77/91/EEC as regards the formation of public limited liability companies and the maintenance and alteration of their capital

RICHTLINIE 2006/68/EG DES EUROPÄISCHEN PARLAMENTS UND DES RATES

vom 6. September 2006 zur Änderung der Richtlinie 77/91/EWG des Rates in Bezug auf die Gründung von Aktiengesellschaften und die Erhaltung und Änderung ihres Kapitals

– აქციონერთა უფლებების შესახებ – ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (2007 წლის 11 ივლისი)

Directive 2007/36/EC of the European Parliament and of the Council of 11 July 2007 on the exercise of certain rights of shareholders in listed companies

Richtlinie 2007/36/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 11. Juli 2007 über die Ausübung bestimmter Rechte von Aktionären in börsennotierten Gesellschaften

ევროპის კავშირის საკოორდაციო
სამართლებრივი დადგენილებები

საბჭოს დადგენილება ევროპის ეკონომიკური ინტერესის ჯგუფების შესახებ (1985 წლის 25 ივლისი)

Council Regulation (EEC) No 2137/85 of 25 July 1985 on the European Economic Interest Grouping (EEIG) , Official Journal L 199 , 31/07/1985 p. 0001 – 0009

Verordnung (EWG) Nr. 2137/85 des Rates vom 25. Juli 1985 ueber die Schaffung einer Europaeischen wirtschaftlichen Interessenvereinigung (EWIV), Amtsblatt nr. L 199 vom 31/07/1985 S. 0001 – 0009

ევროპის სააქციო საზოგადოების შესახებ – საბჭოს დადგენილება (2001 წლის 8 ოქტომბერი)

Council Regulation (EC) No 2157/2001 of 8 October 2001 on the Statute for a European company (SE), Official Journal L 294 , 10/11/2001 P. 0001 – 0021

Verordnung (EG) Nr. 2157/2001 des Rates vom 8. Oktober 2001 über das Statut der Europäischen Gesellschaft (SE), Amtsblatt Nr. L 294 vom 10/11/2001 S. 0001 – 0021

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების შესახებ – საბჭოს დადგენილება (2002 წლის 19 ივლისი)

Regulation (EC) No 1606/2002 of the European Parliament and of the Council of 19 July 2002 on the application of international accounting standards

Verordnung (EG) Nr. 1606/2002 des Europäischen Parlaments und des Rates vom 19. Juli 2002 betreffend die Anwendung internationaler Rechnungslegungsstandards

ევროპის კერძო საზოგადოების შესახებ – დადგენილების პროექტი
Council Regulation on the Statute for a European private company

Verordnung des Rates über das Statut der Europäischen Privatgesellschaft

**თანამედროვე საკორპორაციო
სამართლის თეორიული და პრაქტიკული
საკითხები**

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2009

ტირაჟი 500

რედაქტორი *ნელი ელიზბარაშვილი*
ტექ. რედაქტორი *ინგა ნაეროზაშვილი*

გამომცემლობა „მერიდიანი“,
აღ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: info@meridianpub.com ☎ 39-15-22